

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია**

**ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering**

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

ბილეთავით ასალ 2013 წელს

**4
2012**

ბიზნეს – ინჟინერინგი

Business-Engineering

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

უპკ (UDC) 338.22+62

ბ-666

№ 4, 2012 წელი

- ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ნიდენსი (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეჯი: გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე, ბ. ბოჭორიშვილი, ზ. გასიტაშვილი, **გ. გამსახურდია**, ი. გაბისონია, ჯ. გაზოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), ზ. ვაშაყიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურდი, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონ (გერმანია), ირ. ვოუთერ ტენ ჰააფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიანაშვილი, პ. კოლუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მამნიანაშვილი, მ. მაცაბერიძე, გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. ჟორდანი, გ. სალუქვაძე, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სოხაძე, რ. სტურუა, ფ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ლავთაძე (ქუთაისი), ლ. ლოლელიანი, მ. ჩიქვა, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახიძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava

TECHNICAL EDITOR: A. Nidens

DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze

DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: G. Abdushelishvili, G. Abramishvili, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, M. Chikava, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. Dzierašvili, A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, **G. Gamsakhurdia**, Z. Gasitashvili, G. Gvartadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhstan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, I. Kveselava, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniashvili, M. Matsaberidze, G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhstan), D. Tavkhelidze, B. Tskhadadze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორები: დალი სეხნიაშვილი, ნინო ჩიკვილაძე

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ასმათ ფიფია

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 613^ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.

ვებ გვერდი: www.bpengi.com

ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:

Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 613^ბ.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.

www.bpengi.com

E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ზ ი

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული პარამეტრები

Александр Сичинава, Шота Вешапидзе

К вопросу формирования понятия бизнес - инжиниринга.....6

როზეტა ასათიანი

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა.....9

მადონა კობალეიშვილი, ნელი მახვილაძე

ბიზნეს-ინჟინერინგის სწავლება უცხოეთის უნივერსიტეტებში.....12

რევაზ (ივერი) კაკუბავა, ნინო ყიფიანი, გიორგი მაკასარაშვილი

სოციალურ ჯგუფებში ფინანსურ გადაწყვეტილებათა ფორმირების ალბათური მოდელირება.....16

არჩილ ფრანგიშვილი, ზურაბ გასიაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, ივორ კვესელავა, შალვა ნაცყეცია, ბადრი ცხადაძე

გურამ ქაშაყაშვილი - 80 19

სამართალი და პოლიტიკა

ჯემალ გახოკიძე

ძიებანი რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით.....24

ივორ კვესელავა

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პარადიგმები და დილემები (წერილი პირველი).....30

სოფო მიდელაშვილი

თვითგამორკვევის უფლება და საერთაშორისო სამართალი (აფხაზეთი, ოსეთი, კოსოვო).....35

ანზორ მესხიშვილი, თამარ კოლუაშვილი

ანონში „საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის ზოგიერთი ხარვეზის შესახებ“.....39

მიხეილ მამნიაშვილი, ზურაბ მეღვინე

არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის სისხლის სამართალწარმოების თავისებურებები.....42

ამირან ნიკურაძე

ჰენრი კისინჯერი – უნივერსალურობიდან თანაფარდობისკენ44

სალომე ფიფია

ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი ასპექტები კოსოვოს კონფლიქტის მაგალითზე47

ჯემალ გახოკიძე

ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს.....53

პრონომისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

А.С. Нарынбаева

СИСТЕМА СТРАХОВАНИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ПРОДУКЦИИ В КАЗАХСТАНЕ55

პატა კოლუაშვილი, დავით მამუკელაშვილი

კოოპერაცია – სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტური მექანიზმი.....61

ლია პიტიურიშვილი, ამბროსი გრიშკაშვილი

აგრარული სექტორის წინაშე მდგარი ზოგიერთი პრობლემა.....66

რევაზ ველიჯანაშვილი, ტარიელ ქოქოლაძე

ლოგისტიკური კომპლექსები და სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთქმედება.....69

ნინო ადამაშვილი სახელმწიფო პოლიტიკა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში.....	74
---	----

შოთა მინჯორაია, გიორგი მინჯორაია რეკომენდაციები კერძო ბიზნესის წამომწყებთათვის.....	79
--	----

მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

ნოდარ ვარამაშვილი გრაფიკები ეკონომიკაში.....	85
---	----

გურამ ჯოლია, დალი სეხნიაშვილი ცოდნის მართვის ამოცანები.....	88
--	----

სულხან შუციშვილი, ნინო მჭედლიშვილი, გიორგი ამილახვარი ფირმის საქმიანობის წინასწარი შეფასების მრავალკრიტერიუმიანი ექსპერტული მეთოდი, არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის და MATLAB-ის ბაზაზე.....	91
---	----

ნინო კუპრაშვილი ევროპული გაცვლითი და ტრენინგის პროგრამები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.....	98
---	----

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

ზუმბურიძე ოთარ, ჟიჟილაშვილი ნინო საინფორმაციო საზოგადოებისადმი ქვეყნის მზაობის საერთაშორისო ინდექსები.....	101
---	-----

David Nachkebia Analysis of Windows Portable Executable Software Protection Systems.....	108
---	-----

ეკა აბესაძე მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა ORACLE ისევ ლიდერობს.....	114
--	-----

მაია ამირგულაშვილი თანამედროვე მიმდინარეობები: მსოფლიო ნაციონალიზმი და გლობალიზმი.....	117
---	-----

ნონა ესიავა საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტული მართვის მოდელირება.....	119
--	-----

მომსახურება და მენეჯმენტი

გიორგი ძიძიგური, ზურაბ ზურაბიშვილი, სოფიკო ჯააძე, მარიამ ნონიკაშვილი პროფესიული შერჩევისა და პროფესიული ორიენტაციისზოგიერთი მეთოდის გამოყენების თავისებურებანი.....	122
--	-----

თ. ვანიშვილი მომსახურების ხელშეწყობა და მენეჯერის ფუნქცია ორგანიზაციაში.....	127
---	-----

თ. ხმელიძე, თ. ვანიშვილი ტყის პროდუქტების მრეწველობაში გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობა.....	129
---	-----

ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

შალვა სრესელი ინვესტიციების ძირითადი ეკონომიკური ასპექტები.....	132
--	-----

ირინა მამალაძე ბანკების საინვესტიციო რესურსების ფორმირების პრინციპები და თავისებურებები.....	135
---	-----

ტურიზმის მართვა და ინფრასტრუქტურა

ბესიკ ბარკალაია, ზურაბ ვაშაკიძე ტურიზმისა და ეროვნული პარკების ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი პრინციპები.....	141
---	-----

ტიქნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

თამაზ ბაციკაძე, კობა სოსხაძე, ზურაბ ფარესიშვილი
სამეცნიერო-ტიქნიკური პარკი, როგორც ინოვაციური რეალიზაციის ობიექტი145

გუგული ყურაშვილი
რეგიონების ინოვაციური განვითარების და ტექნოლოგიური პარკების სტრუქტურების მოდელი.....151

ალექსანდრე ედიბერიძე, თეონა ბაქანიძე
ტიქნოპარკების ფუნქციონირების მნიშვნელობა და მისი დაფინანსების წყაროები.....156

რამაზ სიჭინავა
ოფშორული ზონების თანამედროვე ბაზარი და მისი ძირითადი თავისებურებანი.....162

ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიკაში

ლერი გვასალია, ინა ქავთარაძე, ევეგენია შენგელია
კარტოფილში სპილენძის მიახლოებითი მნიშვნელობის განსაზღვრა, ნიადაგში
Cu, Zn, Cd-ის შემცველობის და pH-საგან დამოკიდებულებით.....165

მელა ჩიქავა
ბიზნეს-ინჟინერინგი ჯანდაცვის სისტემაში და ქრონიკულ დაავადებათა პრევენცია რეინჟინერინგი.....167

ბიზნეს ინჟინერინგი კვების პრაქტიკაში

Сарлыбаева Л. М., Торайгырова С., Бектемиров А. А., Арынгазин К. Ш.
**Варианты зерновых элеваторов различного целевого назначения с использованием
металлических емкостей**.....176

Нургазезова А. Н., Амирханов К.Ж., Асенова Б. К., Кажибаетова Г.Т., Нурымхан Г. Н.
**ПРИМЕНЕНИЕ ЭЛЕКТРОМЕХАНИЧЕСКИХ ВОЗДЕЙСТВИЙ ПРИ ПОСОЛЕ В
ПРОИЗВОДСТВЕ ДЕЛИКАТЕСНЫХ МЯСОПРОДУКТОВ ИЗ БАРАНИНЫ**.....180

Туганова Б.С.
**БИОТЕХНОЛОГИЯ ПРОИЗВОДСТВА КИСЛОМОЛОЧНЫХ ПРОДУКТОВ
НОВОГО ПОКОЛЕНИЯ**.....182

ბიზნეს ინჟინერინგი ენერგეტიკაში

დავით ჯაფარიძე, თენგიზ მალრაძე
ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებით ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალური მართვის
უზრუნველსაყოფად ელექტროენერგეტიკის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება.....188

Кэтеван Арчвадзе, Василий Мотиашвили, Нанули Багдавадзе
СОЛНЕЧНАЯ ЭНЕРГИЯ И ЕЕ ИСПОЛЬЗОВАНИЕ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ195

გიორგი მაჭარაშვილი, ნიკოლოზ ბჟალავა, ქეთევან კვესელავა, მიხეილ საბახტარიშვილი
ენერგოსისტემის ქსელებში დატვირთვის ოპტიმალური განაწილებისა და დანაკარგების აღრიცხვის მათემატიკური მოდელი.....200

ვაჟა შუბითიძე
ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმები ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან.....202

დემურ ჩომახიძე
მოკლე ნარკვევი საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების ისტორიიდან.....205

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

შოთა ვეშაბიძე, ნანი მამფორია
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების განვითარების და დაძლევის საკითხისათვის210

для него превратиться наиболее эффективным и действительно полезным инструментом.

Процессуальный подход является ориентированным на конечный продукт, т. е. это целостный, общий подход, при которой отдельные процессы со своими конкретными целями непосредственно подчинены конечным целям.

Такая ориентация не обусловлена тем, что раньше управление бизнесом был неправильным. Это потребовало возникновения и осознание изменений в современных технологических и рыночных структурах. Сдвиг начался в середине прошлого века, которое вызвало соответствующая развитие технологий и интернет-торгов. Теперь уже фирма представила в целостности свою общую стратегию развития и его бизнес-процессов, как этапов ориентированной на стратегический цель. Современные информационные технологии дают возможность менеджерам разбираться в работе с другими департаментами и открыть новых путей успехов. Они могут получить более полную и разностороннюю информацию. Это повлияет на осуществление ролей менеджеров, или реализации специфических задач. В тысячах функций, которые должны осуществлять менеджеры, можно выделить разные роли для реализации стратегии организации.

Бизнес-инжиниринг разъясняет как происходит системное, коренное обновление технологических организационных структур. Это необходимость вызвано развитием маркетинга, когда стало нужным адаптирование структур производства меняющимися требованиями потребителя, которое ставит неизбежным практически непрерывное обновление этих структур: хотя бы в одном звене происходящая изменение, вызывает изменения всей системы.

Интересно, почему мы должны обратить внимание на бизнес-процессы. Процесс - это взаимосвязанный цеп осуществления деятельности (работы, операции), которое ставит целью достижение высоких потребительских ценностей. Эта формулировка позволяет выделить важные процессы.

При управлении процессов, мы обеспечим эффективное сотрудничество (коммуникации) как внутри компании, так и с внешним миром. Соответственно, можно уменьшить транзакционные расходы (расходы безкачественного взаимодействия) - как внутренние (между сотрудниками и подразделениями) так и внешние (между фирмами и покупателями, поставщиками, инвесторами и т.д.) затраты.

Не существует завершенный (полюсный) и стандартный список процессов. Их столько, сколько нужно для осуществления определенных видов деятельности. Для развития системы управления, необходимо создать процессуальную структуру, которая будет построена в порядке взаимосвязанной последовательности. Цель каждого процесса получение определенного результата, который используется для последующих результатов на более высоких этапах. Так что, в конце концов,

структура должна обеспечить, чтобы общие цели компании были достигнуты. При определении структуры в такой форме, мы определяем разветвленную структуру управления целей компаний. В то же время нужно разработать стратегическую карту организации.

Выше указанные положения имеют важнейшее значение для понимания понятии бизнес-инжиниринга. Как совершенно справедливо утверждает профессор Тбилисского Технического Университета, известный теоретик, Мераб Гвелесиани в указанном вопросе мы должны исходить с целостного подхода процессами.¹ На основе этого положения, эволюцию формирования бизнес-инжиниринга, приблизительно, можно представить по такое последовательной схеме: инжиниринг?реинжиниринг?бизнес-инжиниринг. Это есть целостное выделение, на котором должна быть ориентирована каждая дисциплина. Такой подход значит признание того, что каждый специалист, каждая профессия является нужным.

Бизнес-инжиниринг представляет собой целостную, ориентированную на конечном результате, на конечный цель, решение вопроса, т. е. как происходит в целом это решение.

Целостный подход только лишь технологическими процессами, называют инжиниринг, а перманентно такому действию называют - реинжиниринг. Когда такой целостный подход применяется к применительно бизнес-процессам - это уже бизнес-инжиниринг.

Бизнес-инжиниринг имеет тесные связи с многими другими науками. Этот взаимосвязанность (возможности решения задач и достижения конечной цели на основе накопленного знания в разных сферах) указывает на то, что оно комплексный, интердисциплинарный феномен. Ее выделение как отдельного направления науки вызвано тем, что на современном этапе для достижения высоких конечных результатов, необходима обеспечение тесных взаимосвязей точных и естественных наук, инженерных, гуманитарных, экономических и правовых дисциплин, включая: математику, физику, химию, машиностроение, строительные работы, экономику и бизнеса, маркетинга, менеджмента правоведения, современных финансов, информации и коммуникации, политехнологических, социо-культурных и кросскультурных областей, психологию, социологию, технологию, мегаэкономику и многих других.

Главнейший цель бизнес-инжиниринга это использование в высокой эффективности интеллектуального капитала, рабочей силы и других ресурсов. Ее можно достичь реализацией инноваций как продукта, в результате создания и внедрения новых технологий.

На переднем плане должно выдвинута практические аспекты бизнес-инжиниринга, которая основана на ин-

¹ Гвелесиани М., Маркетинговое видение – основа основ бизнес-инжиниринга, Тб.: Ж. «Бизнес-инжиниринг», №1, 2011, с. 20-28; Gvelesiani M., Business-engineering progress to wide conception, Tbilisi: Basic paradigms in science and technology development for the 21st century, Transactions I, 2012, pages 79-85.

новационный тип мышления. В каждом конкретном деле создания новых технологий должны стремиться к поиску и осмысления новшеств. Такое мышление в первую очередь требует расчет, ориентированную на конечные результаты каждого структурного подразделения деятельности. Именно вразрезе видения будущего должны осуществляться менеджмент: планирование, организация, мотивация и контроль. Она также нуждается в соответствующую мотивацию, лидерство, коммуникацию, принятия решений и их осуществления.

Sitchinava Alexander
Veshapidze Shota

THE MODERN CONCEPT OF BUSINESS ENGINEERING

Summary

Business engineering has resulted from highly technological management, development information technology and electronic trade characteristic a modern epoch. These are rules of optimization business of projects and certain technologies, information, building, etc. company activity in which basis the remedial approach lies. Its main things making is set interconnected organizational, technological, information means. It is organizational system which defines the purposes and directions of development of business, business processes and technologies, structure of business, its information

and resources.

Business engineering application should is begun by radical restructuring of own sights which managers of innovative type being in eternal search of innovations and innovations can only. According to the business engineering concept, the main object of management are business processes, or the remedial, system approach. More often it apply when it is necessary to achieve sharp (spasmodic) improvement of old management methods by means of its replacement by new management.

Literature:

1. Gareth R. Johns, Jenifer M. George, Principles of Modern Management. Tbilisi, 2006
2. Gvelesiani M., Marketing View – Basics of Business Engineering, magazine Business-Engineering, #1, 2011.
3. Gvelesiani M., Bussiness-engineering progress to wide conception, Tb.: Basic paradigms in science and techonlogy development for the 21st century, Transactions I, 2012, pages 79-85.
4. Prangishvili I., Systemic approach, systemic thinking and management issues. "Komentari", #1, Winter, 2003-2004, 01.12.03.-29.02.04.
5. Prangishvili A., O. Namicheishvili, Conversation about philosophy of science, Tbilisi, 2009.
1. Горелик С., Бизнес-инжинеринг и управление организационным развитием. <http://www.big.spb.ru>
2. Бизнес-инжинеринг. Не роскошь, а средство управления.
3. <http://business.rin.ru>
- 4.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა

როზეტა ასათიანი, სტუ-ს სრული როფესორი



სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ერთიანი, ურთიერთგანპირობებული განვითარების პროცესი, ორგანულად უკავშირდება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და თანამედროვე პირობებში მის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. იგი სათავეს იღებს მანუფაქტურული წარმოების ეპოქიდან XVI-XVIII საუკუნეებში (I ეტაპი), გრძელდება მანქანური ინდუსტრიის ეპოქაში XVIII საუკუნის ბოლო პერიოდიდან (II ეტაპი), ხოლო XX საუკუნის II ნახევრიდან, საზოგადოებრივი წარმოების დივერსიფიკაციის საფუძველზე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გზით, ყალიბდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სახით, რომელიც შემდგომ თანდათან გადაიზარდა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესში.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ისტორია დაკავშირებულია ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიასთან. ამ საკითხის ახსნისათვის აუცილებელია განვიხილოთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის წინაპირობები, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება მსოფლიოში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებას. ეს უკანასკნელი, როგორც ეკონომიკის მართვის სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა სისტემა, სათავეს იღებს XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან, უკავშირდება ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობას, როდესაც „ეკონომიკის მამამთავრის ადამ სმიტის ავტორობით გამოვიდა პირველი სრულმასშტაბიანი ტრაქტატი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1976). „ენდე ბაზარს“ – ამ თეზაზე თითქმის 160 წლის მანძილზე მორგებულმა ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიო მიიყვანა ისტორიაში ყველაზე ღრმა 1929-1933 წლების ეკონომიკურ კრიზისამდე. ამ პერიოდში, რომელიც ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ზედმეტი იყო საუბარი რაიმე პროგრესზე, მით უმეტეს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. მიუხედავად ამისა, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა უცვლელი რჩებოდა და სმიტისეული „უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული დრომოჭმული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა კვლავინდებურად „აზრთა კონვენციის“ [1] გამოხატულებას წარმოადგენდა.

არსებითი გარდატეხა ეკონომიკურ პოლიტიკაში მოახდინა ჯონ მენარდ კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიამ, რომელიც ჩამოყალიბდა ახალ ეკონომიკურ მიმართულებად – კეინზიანელობად და წარმოადგინდა იქნა მის ფუნდამენტურ ნაშრომში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (შემდგომში – „ზოგადი თეორია“) (1936). ამ ნაშრომმა, როგორც „დიდი დეპრესიის“ გამოძახილმა“, 40-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა კეინზიანურ რეგულაციას. დაიწყო კაპიტალისტური სისტემის გამყარებისა და არა მისი რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური სისტემის ჩანაცვლების პროცესი. რაც მთავარია, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლით, დასავლურ კაპიტალისტურ სამყაროში ბესტსელერად აღიარებული „ზოგადი თეორიის“ ძირითად პოსტულატებზე და, პირველ ყოვლისა, „მოთხოვნის თეორიაზე“ დაყრდნობით, დაძლეული იქნა „დიდი დეპრესია“ და გამოჩნდა სტაბილურობის ნიშნები. გაბედულმა სიღრმისეულმა ცვლილებებმა უდიდესი პოზიტივი შეიტანა ეკონომიკურ განვითარებაში. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა სახელმწიფო სოციალური ხარჯების გადიდებისა და გადასახადების შემცირების კვალობაზე ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის საფუძველზე საქმიანი აქტიურობის გაფართოებამ და ბაზრის გამოცოცხლებამ როგორც ნებისმიერი პროგრესის საწყისმა.

მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგებისა, 1950-იანი წლებიდან (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან) წამოვიდა „სიურპრიზების“ კასკადი. უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონტურები. 1948 წელს გაეროს მიერ პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, 1953 წელს პირველად მსოფლიო ისტორიაში შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ანუ იმ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საფუძველად დაედო ქვეყნის ეკონომიკისა და „დანარჩენ მსოფლიოსთან“ (150-ზე მეტ ქვეყნასთან) მისი ეკონომიკური კავშირების შესწავლას. ეკონომიკის სტრუქტურაში სათანადო ადგილი დაეთმო მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციასა და მისი განსაკუთრებული როლის წარმოჩენას [2]. ამ პერიოდიდან ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, თავის ოქროს ხანაში შევიდა [3]. ძველმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა „ეროზია“ განიცადა, ეკონომიკურმა პოლიტიკამ კი ახალი შინაარსი შეიძინა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა კოლონიური უღლისგან რიგი ქვეყნების განთავისუფლება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების კექტორის შეცვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ამაღლებასაც მიუძღვის.

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა თავისი ადგილი თანდათან მაკროეკონომიკურ რეგულირებას დაუთმო. რეალურად დაიწყო „ველური კაპიტალიზმის“ ჩანაცვლება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკით. ბაზარი ახალ ამპლუაში წარმოჩინდა. დასავლეთის ქვეყნებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სოციალური ფონი: მოსახლეობაში გაიზარდა საშუალო ფენის ზვედრითი წონა, შემცირდა სიღარიბე.

უკვე 60-იანი წლებიდან კაპიტალიზმის განვითარებაში ახალი ეპოქა დაიწყო. სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა. ამ პერიოდიდან ეკონომიკურად დაწინაურებულმა

ქვეყნებმა მიიღეს განვითარებული ქვეყნის სტატუსი (მათი რიცხვი ნებისმიერი კლასიფიკაციით 22-ია). ინდუსტრიულ საზოგადოება პოსტინდუსტრიულში გადაიზარდა [4].

თუ წინათ პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკა ემყარებოდა წარმოებაში რაც შეიძლება მეტი შრომითი, ენერგეტიკული, სანედლეული და ა.შ. რესურსების ჩაბმას, ამ პერიოდიდან ეკონომიკური ზრდის ფაქტორი გახდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მის მიღწევათა ფართოდ დაწერვა წარმოებაში. მაგალითად, იაპონიაში 80-იან წლებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის 70%-მდე წარმოებულ იქნა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დაწერვის ხარჯზე [5, გვ. 22]. იაპონიამ მოახდინა კოლოსალური ნახტომი ეკონომიკურ განვითარებაში. ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით, წარმოების დარგობრივ სტრუქტურით, წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ხარისხითა და ა.შ. იგი გადაიქცა მოწინავე სახელმწიფოდ. წარმოების ტექნიკური დონით მას დღესაც, შეიძლება ითქვას, ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში.

განვითარებულ ქვეყნებში უნივერსალური ეგმ-ისა და პერსონალური კომპიუტერების ფართოდ დაწერვის საფუძველზე ინფორმაციის სწრაფად გადაამუშავებამ განაპირობა საინჟინრო და საკონსტრუქტორო შრომის მწარმოებლურობის მკვეთრად ამაღლება. სამრეწველო წარმოებაში მნიშვნელოვნად შემცირდა ერთეული პროდუქციის ენერგო- და მასალატევადობა, რაც რესურსდამზოგველი ეკონომიკის სწრაფი განვითარების მარჯვენელი გახდა. სამრეწველო წარმოებამ არსებითად შეიცვალა იერსახე: მასალატევადი, სანედლეული ტიპის დარგების (შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიურის, ნავთობ-ქიმიურისა და ა.შ.) ადგილი სულ უფრო დაიკავა მეცნიერებატევადმა დარგებმა, რომელთა პროდუქციას (სამრეწველო ელექტრონიკას, რობოტექნიკას, ლაზერულ ტექნიკას, საამწყობო ავტომატურ ხაზებს, ბიოტექნოლოგიას, ნახევარგამტარულ ტექნიკას, მიკროელექტრონიკასა და ა.შ.) არსებითი ცვლილებები შეაქვს წარმოების ციკლში და, საერთოდ, მთელი ეკონომიკის განვითარებაში.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა განვითარებამ კოლოსალურად გაზარდა მოთხოვნა როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ მომსახურების მიმართ. მან დააჩქარა სპეციალიზებული სერვისული ფორმების ჩამოყალიბება, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს ისეთი ფუნქციები, რომლებსაც წინათ თვით სამრეწველო კომპანიები ასრულებდნენ. სერვისული ბიზნესის მასშტაბების გაფართოებამ და მომსახურების სექტორის განუწყვეტელმა განახლებამ მკვეთრად გაზარდა მომსახურების მოხმარება. მომსახურების ისეთმა სექტორებმა, როგორცაა საბანკო საქმე, დაზღვევა, განათლება, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, რეკლამა, ბაზრების გამოკვლევა, საინფორმაციო სერვისი, კონსულტაციები მართვის საკითხებში, მსხვილი კორპორაციების შტაბბინების მოწყობა და მათი მომსახურება, ტურიზმი და ა.შ. ეროვნულ ეკონომიკაში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. სერვისული საქმიანობის განვითარების მთავარი წყარო **ტექნოლოგიური ახალშემონაღებები** გახდა. მაგალითად, 80-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში ყველაზე დინამიკური ის დარგები იყო, რომლებიც ბაზარს მოწინავე საინფორმაციო

ტექნოლოგიით წარმოებულ მომსახურებას აწვდიდა და ვაჭრობდა თვით ინფორმაციით [6, გვ. 58-59].

მომსახურების მწარმოებელ სპეციალიზებულ კომპანიებზე მოთხოვნის სწრაფმა ზრდამ და მომსახურების ბიზნესის განვითარების საიმედო პერსპექტივამ დიდად შეუწყო ხელი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე მატერიალურ-ნივთობრივი წარმოებიდან (აგრარული და ინდუსტრიული სექტორები) გამოთავისუფლებული სახსრების მომსახურების სფეროში დაბანდებას. პარალელურად ამ პროცესს თან მოჰყვა ადამიანისეული რესურსების სწრაფი მიზიდვა მომსახურების სექტორში. მაგალითად, 1975-1990 წლებში იაპონიის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა 27%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც მრეწველობაში – მხოლოდ 7%-ით [5, გვ. 143].

ცივილიზებულ ქვეყნებში „ეკონომიკის სერიზაცია“ არ შემოიფარგლა მხოლოდ მომსახურების სფეროს განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლებით. იგი მოიცავს ისეთმა პროცესებმაც, რომლებიც მიმდინარეობდა ქვეყნის ყველა დარგის შიგნით (მაგალითად, ინფორმატიზაცია). ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების (საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, სამუშაო ძალის პროფესიულ-საკვალიფიკაციო დონის, წარმოებითი და სამმართველო გამოცდილების და ა.შ.) როლის ზრდის საერთო პროცესმა, მათმა გადაქცევამ საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად განვითარებულ ქვეყნებში „სოფტიზაციის“ სახელწოდება მიიღო. იგი გამოვლინდა არამატერიალური რესურსების ხვედრითი წონის ზრდაში, ინვესტიციების სტრუქტურაში, მეცნიერულ-კვლევასა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (მძსსს – НИОКР) დანახარჯების ამაღლებაში. თანდათან მოწინავე პოზიციები დაიკავა საფინანსო შუამავლობამ და სადაზღვევო მომსახურებამ. განსაკუთრებული ყურადღება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გარდა, წარმოების რესურსტევადობის შემცირებას, მის ინფორმაციულ უზრუნველყოფას მიექცა. ბიზნესში სულ უფრო მოიკიდა ფეხი საინფორმაციო მომსახურების მწარმოებელმა ისეთმა ახალმა სახეებმა კავშირგაბმულობისა, როგორცაა: ფაქსიმილური, ვიდეოტექსტური, ტელეტექსტური, ტელეკონფერენციული კავშირგაბმულობა და ა.შ. ამიტომ, საკვებით ლოგიკურად, თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც იყო 30-40 წლის წინათ. მისი განვითარება ეყრდნობა წარმოებაში მიკროელექტრონიკის, ეგმ-ისა და კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების ფართოდ გამოყენებას, რომლებიც იწვევენ წარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე – ინფორმაციულ ტექნოლოგიაზე გადასვლას. ინფორმაციული სერვისი ეკონომიკის ყველაზე დინამიკური ნაწილი გახდა.

ათეული წლების განმავლობაში საინფორმაციო პროდუქციის გამოშვება, განაწილება და მოხმარება ჩაკეტილი იყო ცალკეული, უმეტესად მსხვილი ფირმების შიგნით. ძირითადად ეს იყო „არასაქონლური“ ინფორმაციული ეკონომიკა და ბაზარი მას თითქმის არ შეიგრძნობდა. ამჟამად სიტუაცია არსებითად შეიცვალა. ძალზე გაიზარდა საინფორმაციო პროდუქციის „საქონლურობა“, ჩამოყალიბდა დიდი მოცულობის დამოუკიდებ-

ბელი ბაზრები [7].

ტექნოლოგიურმა სიახლეებმა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებასთან ერთად, გამოიწვია ელექტრონული ინფორმაციის გიგანტური ბაზრების შექმნა. წარმოების პროცესების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, ენერჯის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ, ეგმ-ის ახალი თაობის ფართოდ დანერგვამ და ა.შ. თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით, გამოიწვია მისი ტრანსფორმაცია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესში.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, თავისი მრავალწახნაგოვანი თვისებებით, ორ ურთიერთდაკავშირებულ მხარედ წარმოჩნდა: 1. ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების ტექნოლოგია (ტექნიკური მხარე); 2. ამ პროცესში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები (ეკონომიკური მხარე). განვითარებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა წინა პლანზე ინოვაციური მექანიზმი წამოსწია. ინოვაციურ პროცესს მჭიდროდ დაუკავშირდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. მეტიც, იგი ინოვაციური პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცა. ინოვაციურმა პროცესმა გააერთიანა მეცნიერება, ტექნიკა, ეკონომიკა, მეწარმეობა და მართვა. იგი იწყება იდეების წარმოშობით და გრძელდება მის კომერციულ გამოყენებამდე, ამასთან, მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელ კომპლექსს: წარმოებას, გაცვლასა და მოხმარებას.

მეცნიერული ცოდნის დაგროვებამ და ტექნოლოგიურ ახალშემოღებებში მატერიალიზებამ მოითხოვა მასშტაბური ცვლილებების შეტანა მართვის მეთოდებში. რევოლუციურმა პროცესებმა ინფორმატიკაში, მიკროეკონომიკაში, ბიონჟინერიაში, ახალ მასალებში და ა.შ. შეცვალა პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ტრადიციული მეთოდები, ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტები. ეს ფართომასშტაბური პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა გლობალიზაციამ. განსაკუთრებული როლი ქვეყნებს შორის ტექნოლოგიების ტრანსფერტს დაეკისრა. ეს უკანასკნელი, როგორც ახალი ტექნოლოგიების გავრცელების ფორმა, მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესად გარდაქმნის პროცესი სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებშიც აისახა. მართალია, ჯერ კიდევ, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში შემორჩენილია ტექნიკური უნივერსიტეტები, მაგრამ ძირითადად მიმდინარეობს მათი ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებად გარდაქმნის კანონზომიერი პროცესი (ცნობილი ამერიკელი ეკონომისტ-თეორეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1970) პოლ სამუელსონი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მასაჩუსეტისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში). მსოფლიოში მიმდინარე ეს პროგრესული ტენდენცია გასათვალისწინებელია საქართველოშიც. ამიტომ, ვფიქრობთ, დროულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწოდოს საქართველოს

ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. ამ მოსაზრებას უნივერსიტეტის დღეს არსებული დივერსიფიცირებული სტრუქტურაც განამტკიცებს.

**SCIENTIFIC-TECHNOLOGICAL PROGRESS –
A DEVELOPED FORM OF SCIENTIFIC
TECHNICAL PROGRESS**

Rozeta Asatiani, Full professor of GTU
SUMMARY

The article considers theoretical and methodological aspects of scientific-technological progress and its role in the development of national as well as world economy. The preconditions of scientific-technical revolution, the role of economical science in their preparation, the natural process of growing of scientific-technical progress into scientific-technologic progress are analyzed. Scientific-technological progress is explained as the constituent part of innovative process, the attention is focused on the transfer of technologies as the distribution of technological innovations between countries.

In the article on the basis of appropriate argumentation a proposal is made about giving the title of Georgian Technological University to Georgian Technical University.

ლიტერატურა

1. **Krugman P.** The Return Depression Economics and the Crisis of 2008. New-York, 2010;
2. **ასათიანი რ.** თეორიული ცოდნა როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №3;
3. **Самуелсон П., Нордхаус В.** Экономика. Пятнадцатое издание. М., «Бином-Кнорус», 1999;
4. **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английского. М., «Academia», 1999;
5. **Лебедева И.П.** Экономика современной Японии. М., 1995;
6. **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993;
7. **Хауелсс Дж.** Сфера услуг в Европе: размещение, экономические и технологические тенденции. Олдершот, 2008;
8. **Кун Г.С.** О конкуренции технологических укладов и приоритетах инновационного порядка. Перевод с английского. М., «Наука», 1980;
9. **Тинберген Я.** Пересмотр международного порядка. Перевод с английского. М., «Наука», 1980;
10. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2006;
11. **ველესიანი მ.** რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., „კომერსანტი“, 2000.

ბიზნეს-ინჟინერიის სწავლება უცხოეთის უნივერსიტეტებში

*მადონა კობალეიშვილი
ნელი მახვილაძე, ინსტიტუტი ტექნიკორში*



ეფექტური ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების საქმეში საინჟინრო მიდგომის გამოყენების იდეა გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოიშვა აშშ-ში. ეს დარგთაშორისი ტექნოლოგია, რომელიც ბიზნეს-ინჟინერიის სახელით არის ცნობილი და განმარტებულია, როგორც “ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საინ-ფორმაციო სისტემების ინტეგრირებული მოდელი”¹, ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებული კომპანიების მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მიუხედავად ბიზნეს-ინჟინერიის მიმართ არსებული ინტერესისა, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. უდავოაა მიჩნეული, რომ არსებული ბიზნეს-საქმიანობის გარდაქმნა და ახალი ბიზნეს-პროექტების ერთიანი, სრულყოფილი გააზრება და მართვა მოითხოვს სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის ინტეგრირებას, მენეჯერული და ტექნიკური უნარების შერწყმას.

არც თუ დიდია იმ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, რომლებშიც ხდება ბიზნეს-ინჟინერიის სპეციალობით კვალიფიციური პერსონალის მომზადება. ცნობილია ამერიკის, ევროპისა და აზიის უნივერსიტეტები, რომელთა შემადგენლობაშია ბიზნეს-ინჟინერიის სპეციალობის სტრუქტურული ერთეულები ინსტი-ტუტის, კოლეჯის, სკოლის, ფაკულტეტის სახით ან გადიან ბიზნეს-ინჟინერიის აკადემიურ პროგრამებს აღნიშნული სტრუქტურების შექმნის გარეშე. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის (დანია, ბელგია, შვეიცარია) რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლებმაც ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ჩამოაყალიბეს ბიზნეს-ინჟინერიის სასწავლო ინსტიტუტები.

ბიზნეს-ინჟინერიის აკადემიური პროგრამები და სწავლის ხანგრძლივობა განსხვავდება სხვადასხვა უნივერსიტეტში. საერთო ამ პროგრამებისათვის არის ზოგადი, საინჟინრო, ეკონომიკური დისციპლინებისა და ენის სავალდებულო კურსები. სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (აკუმულაციის) ევროპული სისტემის (European Credit Transfer and Accumulation System – ECTS)² შესაბამისად - უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ეს სამდონიანი სისტემა ითვალისწინებს ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის, ბიზნეს-ინჟინერიის მაგისტრის, ბიზნეს-ინჟინერიის დოქტორის ხარისხის მინიჭებას. ერთი აკადემიური წელიწადი შეესაბამება 60 კრედიტს (საქართველოსთვის – 60-65 კრედიტი), რაც 1500-1800 აკადემიური საათის ექვივალენტია.


ბელგიის უნივერსიტეტებში^{3,4,5} (ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი - Université Libre de Bruxelles, Solvay Brussels School of Economics and Management, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი - Université catholique de Louvain, ლიეჯის უნივერსიტეტი - University of Liege,

ანტვერპენის უნივერსიტეტი - University of Antwerp, მონსის უნივერსიტეტი - University of Mons - Warocqué School of Business and Economics) ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭირო კრედიტების რაოდენობაა 180, ბაკალავრის ხარისხი აუცილებელია ბიზნეს-ინჟინერიის მაგისტრის ხარისხის მისაღებად.

მონსის უნივერსიტეტის პროგრამები შედგენილია ბიზნეს-ინჟინერიის მეცნიერებათა ბაკალავრის (3 წლიანი კურსი) და მაგისტრის (5 წლიანი კურსი) ხარისხის მისაღებად შემდეგ სპეციალობებში: ფინანსური ბაზრები, საინფორმაციო ტექნოლოგიების და მონაცემთა ბაზრების მენეჯმენტი, მრეწველობის და გარემოს მენეჯმენტი, ინოვაციების მენეჯმენტი და სამეწარმეო საქმიანობა, მარკეტინგის ინჟინერია, მომსახურების მენეჯმენტი, ოპერაციული კვლევები და ეკონომეტრიკა, გლობალური სტრატეგია და ლიდერობა და სხვ.

საბაკალავრო საფეხურზე იქმნება ფუნდამენტი კვალიფიციური სპეციალისტის მოსამზადებლად. ბიზნეს-ინჟინერიის სპეციალობაზე ისწავლება ზოგადი დისციპლინები, ეკონომიკისა და მართვის მათემატიკური საფუძვლები, კომპიუტერული ტექნიკა, სტატისტიკა, ეკონომეტრიკა, საბუღალტრო საქმე, სამართალი, მენეჯმენტის შესავალი კურსი და სხვ. მნიშვნელოვანი ყურადღება საბაკალავრო საფეხურზე სწავლის მთელ პერიოდში ექცევა ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი ენის, შესწავლას. პროგრამა ითვალისწინებს მეორე ენის (გერმანული, ფრანგული და სხვ.) სწავლებასაც სტუდენტის არჩევანის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ნაჩვენებია დისციპლინათა განაწილების პროცენტული თანაფარდობა ბიზნეს-ინჟინერიის სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მიხედვით:




I წელი:

13% – ზოგადი კურსი (სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, სოციოლოგია);

39% – ეკონომიკის და მენეჯმენტის კურსი (პოლიტიკური ეკონომია, ზოგადი საბუღალტრო საქმე, ბიზნეს-სამართლის და სამოქალაქო სამართლის შესავალი);

33% – დამხმარე კურსი (ეკონომიკისა და მართვის მათემატიკური საფუძვლები, სტატისტიკა I, კვლევის უნარ-ჩვევები, კომპიუტერული ტექნიკა I);
15% – ენები (ინგლისური და სხვ.).




II წელი:

43% – ეკონომიკის და მენეჯმენტის კურსი (მაკრო-ეკონომიკური ანალიზი, მიკროეკონომიკური ანალიზი, მენეჯმენტი I, ვაჭრობის სამართალი, ფინანსური ინსტიტუტები, საბუღალტრო საქმე მენეჯმენტში, მარკეტინგის საფუძვლები)

37% – დამხმარე კურსი (საფინანსო მათემატიკის ელემენტები, გამოყენებითი მათემატიკა მენეჯერებისათვის, სტატისტიკა II, კომპიუტერული ტექნიკა II, მონაცემთა ბაზების მართვა, მენეჯმენტის მეცნიერული საფუძვლები)

20% – ენები (ინგლისური და სხვ.)



III წელი:

10% – ზოგადი კურსი (პროექტი);

20% – ენები (ინგლისური და სხვ.);

30% – დამხმარე კურსი (ოპერაციული კვლევები, ლოჯისტიკის საფუძვლები, გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია);

40% – ეკონომიკის და მენეჯმენტის კურსი (მენეჯმენტი II, მომხმარებლის ქცევები, საგადასახადო სამართალი, საერთაშორისო და ევროპის ეკონომიკა, ფინანსური ანალიზის შესავალი, სახელმწიფო ბიუჯეტი, სერტიფიცირებული მართვის სისტემები).

ბიზნეს-ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამით სწავლების ხანგრძლივობაა 2 წელი (120 კრედიტი), მოცემულია აკადემიური პროგრამის შინაარსი 2011-2012 სასწავლო წლისათვის.

დანიაში^{6,7} (VIA University College, The University of Southern Denmark - Southern Denmark School of Business and Engineering) საბაკალავრო პროგრამით ბიზნეს-ინჟინერიის სწავლების ხანგრძლივობა 4,5 წელია (270

კრედიტი). ზოგადი ბიზნეს-ინჟინერიის პროგრამა მეტად ვრცელი და მოქნილია. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს დისციპლინების ოთხ ძირითად ჯგუფს:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია), სამუშაო გარემო და გარემომცველი პირობების შესწავლა, მულტიმედია;

საინჟინრო საგნები, მასალათმცოდნეობა, მასალათა გამძლეობა, მანქანათა ნაწილები, ტექნოლოგიური პროცესები, ელექტრონული და მიკროპროცესული ტექნოლოგიები. დამატებით შეიძლება იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა ინტეგრირებული პროდუქციის წარმოების განვითარება, ინტერნეტი, ობიექტორიენტირებული პროგრამირება და დაგეგმარება, ელექტრონული ბიზნესი და ბიზნესის განვითარება.

ეკონომიკა და მარკეტინგი, მაგალითად, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკა, ოპერაციული და საბაზრო ეკონომიკა, ბაზრის კვლევა, ფინანსები, ექსპორტის მარკეტინგი, ლოჯისტიკა და სამრეწველო მარკეტინგი;

ენა, ინგლისური არის სავალდებულო. მეორე უცხო ენა შეიძლება იყოს გერმანული, ფრანგული ან ესპანური.

აკადემიური წელი მოიცავს ორ სემესტრს, იწყება 1 სექტემბერს და 1 თებერვალს.

ECTS კრედიტების განაწილების სქემა:

სავალდებულო დისციპლინები და პროექტები	– 170
სამუშაო ადგილი	– 30
შერჩეული დისციპლინები	– 48
საბოლოო პროექტი	– 22
სულ	– 270

VIA University College, რომელიც შეიქმნა 2008 წელს, ამზადებს ბიზნეს-ინჟინერიის სპეციალისტებს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხით. აქ შემუშავებულია დებულება⁸, რომელიც სავალდებულოა ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის პროგრამის შესასრულებლად. მასში აღწერილია პროგრამის სტრუქტურა, გამოცდების ჩაბარება-გადაბარების წესები, კრედიტების ტრანსფერის რეგულაცია და სხვ. სტუდენტები იღებენ კომპლექსურ ცოდნას ეკონომიკის, კომუნიკაციების, საერთაშორისო მარკეტინგის, მეცნიერების, ტექნოლოგიების, ენების დისციპლინებში.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. საერთაშორისო ბიზნესის განვითარება;
2. ინოვაცია და პროდუქციის დაგეგმვა;
3. ინტელექტუალური მექანიზმები და სისტემები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროდუქციის მენეჯმენტი.

თითოეული მიმართულება მოიცავს შესასწავლი დისციპლინების გარკვეულ სფეროებს:

საერთაშორისო ბიზნესის განვითარება – სამრეწველო საწარმოს ანალიზი, კონკურენტი საწარმოს ანალიზი, ბიზნესის განვითარების გზები, ლოჯისტიკა, საერთაშორისო პროექტის მენეჯმენტი, მენეჯმენტი, საბაზრო კომუნიკაციები, ელექტრონული ბიზნესი, უცხოური ინვესტიციები და ფინანსები. საინჟინრო საბაზისო კურსის სახით შერჩეულ უნდა იქნას მანქანათმშენებლობა და

საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ინოვაცია და პროდუქციის დაგეგმვა – დაგეგმვა, მასალათმცოდნეობა, ფუნქციური ანალიზი, ინოვაციის პროცესი, მეწარმეობა, პარტნიორული ურთიერთობები, ბაზრის ანალიზი, ბიზნესის ეკონომიკა. საინჟინრო საბაზისო კურსის სახით შერჩეულ უნდა იქნას მანქანათმშენებლობა.

ინტელექტუალური მექანიზმები და სისტემები – საინფორმაციო ტექნოლოგიები, ელექტრო ინჟინერია, ავტომატური საკონტროლო სისტემები, თანამედროვე მექანიზმები და სისტემები. საინჟინრო საბაზისო კურსის სახით შერჩეულ უნდა იქნას მანქანათმშენებლობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროდუქციის მენეჯმენტი – ლოჯისტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, რესურსების დაგეგმვა, პროდუქციის კონტროლი, მონაცემთა ბაზების შექმნა და განვითარება. საინჟინრო საბაზისო კურსის სახით შერჩეულ უნდა იქნას საინფორმაციო ტექნოლოგიები.

შვეიცარიის წმ. გალის უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ინსტიტუტი (The University of St. Gallen – The Business Engineering Institute St. Gallen)⁹ ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი სასწავლებელია ევროპაში, სადაც სასწავლო პროცესთან ერთად ტარდება მნიშვნელოვანი კვლევები ბიზნეს-ინჟინერიის სფეროში. აქ ხდება ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის, აგრეთვე ბიზნეს-ინჟინერიის აღმასრულებელი მაგისტრის ხარისხის მინიჭება.

უნივერსიტეტში სწავლა იწყება მოსამზადებელი კურსის გავლით, რასაც უწოდებენ შეფასების (assessment) წელს. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია (180 კრედიტი, ერთი კრედიტი – 30 აკადემიური საათი). მაგისტრის ხარისხის მისაღები პროგრამა გრძელდება 1,5 წელი (90 კრედიტი). მხოლოდ სამართლისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (120 კრედიტი).

მოსამზადებელი დონის გავლის შემდეგ იწყება ბაკალავრის დონე, როცა სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი კურსი ხუთი სპეციალობიდან:

1) ბიზნეს-ადმინისტრირება; 2) ეკონომიკა; 3) საერთაშორისო საქმიანობა; 4) სამართალი; 5) სამართალი და ეკონომიკა.

სამაგისტრო პროგრამით სწავლება ხდება 12 სპეციალობაში:

1) ინფორმაცია, მედია და ტექნოლოგიის მენეჯმენტი; 2) მარკეტინგი, მომსახურებისა და კომუნიკაციის მენეჯმენტი; 3) საბუღალტრო საქმე და ფინანსები; 4) საბანკო საქმე და ფინანსები; 5) სტრატეგია და საერთაშორისო მენეჯმენტი; 6) ბიზნეს-მენეჯმენტი; 7) ეკონომიკა; 8) რაოდენობრივი ეკონომიკა და ფინანსები; 9) საერთაშორისო საქმიანობა და მართვა; 10) სამართალი; 11) სამართალი და ეკონომიკა; 12) საორგანიზაციო საქმიანობა და კულტურის თეორია.

აღწერილია თითოეული სპეციალობის სტრუქტურა და ინტერესის სფერო¹⁰.

წმ. გალის უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მზადდება მომავალი მკვლევარები გამოყენებითი მეცნიერების ხუთ დარგში და მათ ენიჭებათ დოქტორის ხარისხი შემდეგ

დისციპლინებში: 1) მენეჯმენტი (PMA); 2) ეკონომიკა და ფინანსები (PEF); 3) საერთაშორისო საქმეები და პოლიტიკური ეკონომია (DIA); 4) ორგანიზაცია და კულტურა (DOK); 5) სამართალი (DLS).

ბიზნეს-ინჟინერიის აღმასრულებელი მაგისტრის ხარისხის პროგრამა^{11,12} ორიენტირებულია ხელმძღვანელ მუშაკათვის და მიმდინარეობს ე.წ. part-time რეჟიმში. უნივერსიტეტში ორ კვირიანი სწავლის პერიოდებს ჩაენაცვლება ექვს კვირიანი პრაქტიკის პერიოდი, როცა სტუდენტები უბრუნდებიან თავიანთ სამუშაოს. სულ უნივერსიტეტში გადიან 20 კვირიან (100 დღე) თეორიულ მომზადებას, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა დაახლოებით 18 თვე. პროგრამის დასასრულს წარდგენილ უნდა იქნას ნაშრომი.

აღნიშნული პროგრამის გავლა მნიშვნელოვნად ამაღლებს მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის კვალიფიკაციას, განსაკუთრებით ბიზნეს-ინჟინერიის თანამედროვე მიდგომების დაუფლების საქმეში.

Oulu-ს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (Oulu University of Applied Sciences-OAMK, ფინეთი)¹³ ბიზნეს-ინჟინერიის სპეციალობის პროგრამით დაგეგმილია ინჟინერიის სფეროში ბიზნეს-საქმიანობის სწავლება. შესაბამისად, ინჟინრებს ასწავლიან სხვადასხვა ბიზნეს-გარემოში მუშაობას და საერთაშორისო კომპანიების მარკეტინგულ ანალიზს. ძირითადად სწავლება ფოკუსირებულია იმ ცოდნის მისაღებად, რაც დაკავშირებულია ტექნიკური სფეროს პროდუქციის ექსპორტთან. კურსზე დაიშვებიან მხოლოდ საინჟინრო დარგში ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პირები.

გერმანიაში სტეინბეის უნივერსიტეტს (Steinbeis-Hochschule Berlin - Steinbeis University)¹⁴ აქვს აკადემიური პროგრამა ბიზნეს-ინჟინერიაში. პროგრამა აერთიანებს მენეჯმენტის ხელოვნებას, ბიზნესის ადმინისტრირებას, ფინანსებს და ეკონომიკას. კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ბიზნეს-ინჟინერიის მაგისტრის წოდება სწავლის ორწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ. პროგრამაში დასამუშავებლად ჩვეულებრივად საჭიროა ინჟინერიაში ხარისხის ფლობა.

Saxion-ს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (Saxion University of Applied Sciences - ნიდერლანდები)¹⁵ ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის ერთწლიან კურსს გადიან ის პირები, რომლებსაც სურთ გახდნენ ტექნიკური სფეროს ანტერპრენერ-მენეჯერები ან აპირებენ საკუთარი ბიზნესის წამოწყებას. სხვადასხვა ხანგრძლივობის პროგრამების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ანიჭებს ბაკალავრის ხარისხს შემდეგი სპეციალიზაციით: 1) საერთაშორისო ფინანსებისა და საბუღალტრო საქმის ბაკალავრი; 2) ტექნოლოგიის ხელოვნების ბაკალავრი; 3) საერთაშორისო ბიზნესისა და მართვის სფეროს ბაკალავრი; 4) ელექტრო და ელექტრონიკის ინჟინერიის ბაკალავრი; 5) თამაშის ტექნოლოგიისა და სათამაშო აპარატების ბაკალავრი; 6) ტურიზმის მართვის ბაკალავრი; 7) საფეიქრო ნაწარმის ინჟინერიისა და მართვის ბაკალავრი; 8) თამაშის შექმნისა და სათამაშო აპარატების ბაკალავრი; 9) სასტუმროს მართვის ბაკალავრი; 10) ფიზიოთერაპიის ბაკალავრი.

Lehigh-ს უნივერსიტეტში (Lehigh University, აშშ)¹⁶ ბიზნესისა და ინჟინერიის ოთხწლიანი ინტეგრირებული

**BUSINESS ENGINEERING TRAINING
IN FOREIGN UNIVERSITIES**

SUMMARY

The academic programs of training in business engineering in a number of leading world universities are presented. It is mentioned that the theory and methodology of the discipline have not been sufficiently studied. Business engineering academic programs and the duration of studies are different in different universities. General for these programs are the compulsory general, engineering, economic and language training courses. Training is carried out in accordance with the European Credit Transfer and Accumulation System – ECTS. The training courses for degrees of Master of Business Engineering (MBE) and Bachelor of Business Engineering (BBE) in the universities of Belgium, Denmark, Switzerland, Germany, USA, and some other countries are described.

ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org/wiki/Business_engineering
2. http://en.wikipedia.org/wiki/European_Credit_Transfer_and_Accumulation_System
3. <http://www.studyinbelgium.be/en/institutions/universite-de-mons>
4. <http://portail.umons.ac.be/en2/universite/facultes/warocque/enseignement/bachelier/pages/bacheliereningénieurdegestion.aspx>
5. <http://applications.umons.ac.be/webappspub/WebPdC/progViewerEn.aspx?progId=1-07&ppp=no>
6. <http://www.danish-day.com/universities/via-university-college/bachelor-in-global-business-engineering/>
7. <http://www.studentie.ro/university/bachelor/bachelor-of-global-business-engineering-5353>
8. <http://www.viauc.dk/horsens/uddannelser/global/Documents/Studieordning.pdf>
9. <http://www.unisg.ch/Studium.aspx>
10. <http://www.unisg.ch/Studium/Master/Rechtswissenschaft.aspx>
11. <http://www.jite.org/documents/Vol1/v1n4p279-288.pdf>
12. <http://www.embe.unisg.ch/>
13. http://www.oamk.fi/tekniikka/english/studies/non-degree_studies/business/
14. http://www.econ.msu.ru/cmt2/lib/message/622/file/Broschuere_mbe_09_eng.pdf
15. <http://www.saxion.edu/programmes/degree-programmes/>
16. <http://www.lehigh.edu/~inpcr/eng/academics/undergraduate/majors/ibe.html>
17. <http://www.drexel.edu/catalog/degree/business-engineering.htm>

პროგრამებით ამზადებენ ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელ სტუდენტებს. პროგრამის მიზანია მოამზადონ ლიდერები სამრეწველო დარგების კვლევებში და ტექნოლოგიებში, მენეჯერ-კონსულტანტები, რომელთაც უნარი აქვთ შექმნან ინოვაციური ტექნოლოგიები, გამოიჩინონ სამეწარმეო ინიციატივები, მოახდინონ ფინანსური სერვისები, შეისწავლონ მაღალი ტექნიკური რისკები (high-tech ventures).

ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხი მიენიჭებათ ბიზნესის ყველა სახეობაში და ინჟინერიის შემდეგ დარგებში: ქიმია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, გამოთვლითი ტექნიკა, ელექტრონიკა, გარემოს დაცვა, მასალათმცოდნეობა, მექანიკა. სტუდენტებს შეუძლიათ გააგრძელონ სწავლა მეზუთე წელს და მიიღონ მეორე საინჟინერო სპეციალობაც.

Drexel-ის უნივერსიტეტში (Drexel University, აშშ)¹⁷ 2011-2012 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის ბიზნეს-ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭიროა 185 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს საფუძვლიანი ცოდნის მიღებას ბიზნესის და ინჟინერიის სფეროში და ორიენტირებულია ტექნიკურ განათლებაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების, ბიზნეს-ეთიკის, კრიტიკული არგუმენტაციის, ტექნოლოგიური ინოვაციების დისციპლინები ასწავლიან მასშტაბურ აზროვნებას და იდეების ეფექტურ წარმოჩენას. პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ ბიზნესის სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საბუღალტერო საქმე, ეკონომიკა, ფინანსები, საინფორმაციო სისტემები, სამართალი, მარკეტინგი, სტატისტიკა და სხვ.

პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინები (ზოგადი, მეცნიერული და გამოთვლითი, ბიზნესის სფერო, ინჟინერინგი და სხვ) გაწერილია დაწვრილებით¹⁸.

ჩვენ განვიხილეთ უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტში ბიზნეს-ინჟინერიის სწავლების პირობები და აკადემიური პროგრამების თავისებურებები. ცნობილია, რომ ბიზნეს-ინჟინერიის პროგრამებით სპეციალისტთა მომზადება ხდება სხვა უნივერსიტეტებშიც. მათ შორისაა: შვეციის ტექნოლოგიის სამეფო ინსტიტუტი (KTH Royal Institute of Technology – Sweden)¹⁹, ვატერლოოს უნივერსიტეტი კანადაში (The University of Waterloo – Canada)²⁰, სინგაპურის მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტი (Management Development Institute of Singapore — MDIS)²¹ და სხვ.

ბიზნეს-ინჟინერიის განვითარების პერსპექტივების განხილვას მიეძღვნა 2005 წლის ოქტომბერში ჩინეთში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “ელექტრონული ბიზნეს-ინჟინერია” (ICEBE Conference on e-Business Engineering)²².

2012 წლის 20-21 სექტემბერს ჩატარდა ბიზნეს-ინჟინერიის ფორუმი, რომლის ინიციატორი იყო შვეიცარიის წმ. გალის უნივერსიტეტის მენეჯმენტის, ტექნოლოგიის და კანონმდებლობის სკოლა (Executive School of Management, Technology and Law). შემდეგი შეხვედრა დაგეგმილია 2013 წლის 10-11 ოქტომბერს²³.

მჭიდროდ ბმულია თუ მისი ყველა ელემენტი ერთმანეთზე ზემოქმედებს (შესაძლოა არაპირდაპირაც). არსებობს ორგრაფები, რომლებიც მჭიდროდ ბმული არ არის, მაგრამ ასეთი სახის ქვესიმრავლებებს შეიცავს. მათ **ძლიერი კომპონენტები** ეწოდება. ორგრაფის წიბოების მიმართულების შეცვლით შექცეული ორგრაფი მიიღება. თუ გრაფი D ასოთი გვაქვს აღნიშნული, მისი შექცეული ორგრაფი $C(D)$ ასოთი აღინიშნება. შექცევის დროს ზოგი ძლიერი კომპონენტი ერგოდიულ სიმრავლეს ქმნის, ზოგი – არამდგრად სიმრავლეს. **ერგოდიული** ჩაკეტილ სიმრავლეს აღნიშნავს, რომლის არცერთი ქვესიმრავლე ჩაკეტილი არ არის. თუ მარკოვის ჯაჭვი ერგოდიულ სიმრავლეში მოხვდა, მას აღარასოდეს აღარ დატოვებს. საკმარისია მოცემული ერგოდიული სიმრავლის ყველა მდგომარეობა გავაერთიანოთ და იგი ერთ შთანთქმად მდგომარეობად განვიხილოთ. ასეთ შემთხვევაში ერგოდიული სიმრავლე ერთი ელემენტისგან შედგება და მარკოვის ჯაჭვს **შთანთქმადი ჯაჭვი** ეწოდება (ან ჯაჭვი შთანთქმადი მდგომარეობებით).

ზოგი ერგოდიული მარკოვის ჯაჭვი **რეგულარულიც არის**. ამ შემთხვევაში ნებისმიერი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლა ზუსტად k ბიჯის შედეგად ხდება.

ძირითადი ნაწილი

მარკოვის ჯაჭვების თეორია და გრაფთა თეორია ისეთ სოციალურ ამოცანებში გამოიყენება, სადაც ჯგუფური გადაწყვეტილების ფორმირება ხდება. მსგავსი ტიპის ამოცანების მათემატიკური მოდელირება და ძირითადი შედეგები ფრენჩს (French, [1956]) და ჰარარის (Harary [1959]) ეკუთვნის [6,7].

განვიხილება n წევრისგან შემდგარი ჯგუფი. ჯგუფის თითოეული წევრი გაიგივებულია რაიმე ნატურალურ რიცხვთან. განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის წევრებმა ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. $t=0$ საწყის მომენტში ჯგუფის ყველა წევრს გარკვეული შეხედულება აქვს. uk წევრის შეხედულება a_k ნამდვილი რიცხვით გამოისახება. ჯგუფის თითოეული წევრი სხვა წევრზე ზეგავლენას ახდენს. a_{ij} არაუარყოფითი რიცხვი ui -ური წევრის uj წევრზე ზემოქმედებას გამოისახავს. მიჩნეულია, რომ

$$\sum_{i=1}^n \alpha_j = \alpha_{1j} + \alpha_{2j} + \dots + \alpha_{nj} = 1 \quad (2).$$

ჯგუფის წევრების ურთიერთზემოქმედება D ორგრაფის საშუალებით გამოისახება. D ორგრაფის წევრობებს ჯგუფის წევრები: $u1, u2, \dots, un$ წარმოადგენს. თუ $\alpha_j \neq 0$ ui -დან uj -სკენ წიბოა გავლებული შესაბამისი α_j წონით. დაშვებულია, რომ D ზემოქმედების ორგრაფი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უცვლელია. აზრის გამოთქმა და გადაწყვეტილების მიღება დროის დისკრეტულ მომენტებში t

$= 1, 2, \dots$ ხდება. $t+1$ მომენტში ჯგუფის uj წევრის შეხედულება შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$a_j(t+1) = \sum_{i=1}^n \alpha_j a_i(t). \quad (3)$$

მოდელის მიზანია, შემდეგ კითხვებს უპასუხოს:

1) ლებულობს თუ არა ჯგუფის თითოეული წევრი საბოლოო (ფინალურ) გადაწყვეტილებას?

$$\lim_{t \rightarrow \infty} a_i(t) = a_i^*$$

2) არსებობს თუ არა საერთო ჯგუფური ფინალური გადაწყვეტილება?

მოდელი არ გამორიცხავს, რომ ფინალური გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისად დიდი დროა საჭირო. რეალურ შემთხვევებში, თუ ჯგუფური აზრი ჩამოყალიბდა, ის თეორიული ზღვართი მნიშვნელობიდან გარკვეულწილად დაცილებულია.

მოდელის გამოსაკვლევად D შეწონილი ორგრაფის შექცეული $C(D)$ ორგრაფი განვიხილოთ. $C(D)$ შეიცავს (ui, uj) რკალს p_{ij} წონით, რომელიც α_{ji} -ის ტოლია მხოლოდ მაშინ, როცა D შეიცავს (uj, ui) რკალს α_{ji} წონით. შექცევის დროს რკალის მიმართულებები (მარყუჟების გარდა) საპირისპიროდ იცვლება.

თუ D რომელიმე სოციალური ჯგუფის ზეგავლენის ორგრაფია, მაშინ (2) ფორმულის გათვალისწინებით მისი შექცეული $C(D)$ ორგრაფი სტოქასტური იქნება. მას ზემოთ მოცემული (1) სტოქასტური მატრიცა შეესაბამება.

ფრენჩის და ჰარარის მოსაზრება, რომ ზოგიერთი $\alpha_{ii} > 0$, რაც ნიშნავს, რომ ზოგი წევრი საკუთარ თავზეც ახდენს ზეგავლენას, ფინალური გადაწყვეტილების მისაღწევად მნიშვნელოვანია [2].

მოცემულ სიტუაციას მარკოვის ჯაჭვების თეორიის

თეორემები კარგად ესადაგება. ვთქვათ, $(t) = \begin{pmatrix} a_1(t) \\ \dots \\ a_n(t) \end{pmatrix}$

არის t მომენტში ჯგუფის წევრების შეხედულებების ვექტორი. P - ზემოთ მოცემული სტოქასტური მატრიცა. (2) პირობა ამტკიცებს, რომ

$$A(t+1) = P \cdot A(t) = P P^t \cdot A(0) = P^{t+1} A(0). \quad (4)$$

შესაბამისად $A(t) = P^t A(0)$.

თეორემა 1. თუ სოციალური ჯგუფის ზეგავლენის D ორგრაფი მჭიდროდ ბმულია და ერთ მარყუჟს მაინც შეიცავს, ჯგუფის წევრები საერთო ფინალურ გადაწყვეტილებას იღებენ. ჯგუფური გადაწყვეტილება ტოლია:

$$\sum_{i=1}^n w_i a_i(0).$$

W_i - შექცეული ორგრაფის შესაბამისი მარკოვის ჯაჭვის მატრიცის სტაციონალური წერტილის შესაბამისი ალბათური ვექტორის $w = (w_1, w_2, \dots, w_n)$ -ის

კომპონენტია.

$ai(0)$ – საწყის მომენტში i -ური წევრის შეხედულებაა.

ფორმულა წარმოადგენს ჯგუფის წევრების საწყისი შეხედულებების საშუალო შეწონილ მნიშვნელობას.

დამტკიცება: D ორგრაფი მჭიდროდ ბმულია, აქედან გამომდინარეობს, რომ $C(D)$ მჭიდროდ ბმულია. $C(D)$ ერგოდიულ ჯაჭვს განსაზღვრავს. რადგან ზოგიერთი $p_j \neq 0$, ეს ჯაჭვი რეგულარულიც არის. რეგულარულ მარკოვის ჯაჭვებზე თეორემის თანახმად

$\lim_{t \rightarrow \infty} P^t = W$. W მატრიცას ყველა სტრიქონი ერთი და იგივე (w_1, w_2, \dots, w_n) ვექტორია. (4) პირობიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი j -სათვის

$$a_j(t) \rightarrow \sum_{i=1}^n w_i \cdot a_i(0) \quad (5).$$

მაშასადამე ჯგუფის ყოველი წევრის შეხედულება $ai(t)$ ერთი და იმავე ფინალური გადაწყვეტილებისაკენ მიისწრაფის. **თეორემა დამტკიცებულია.**

ანალოგიური მსჯელობების საფუძველზე მტკიცდება შემდეგი

თეორემა 2. თუ სოციალური ჯგუფის ყველა წევრი ერთმანეთზე ზემოქმედებს და ყოველ ძლიერ ქვეჯგუფში ერთი წევრი მაინც საკუთარ თავზე ახდენს ზეგავლენას, სამართლიანია შემდეგი დებულებები:

1) ჯგუფის ყოველი წევრი მდგრად ფინალურ გადაწყვეტილებამდე მიდის. იგი მხოლოდ ძლიერი ქვეჯგუფების წევრების საწყის შეხედულებებზეა დამოკიდებული.

2) თუ სოციალურ ჯგუფში ერთი ძლიერი ქვეჯგუფია, მთელი ჯგუფი საერთო ფინალურ გადაწყვეტილებას იღებს. იგი ძლიერი ქვეჯგუფის ფინალური გადაწყვეტილების ტოლია და მისი წევრების საწყის შეხედულებებზეა დამოკიდებული.

3) თუ რამდენიმე ძლიერი ქვეჯგუფია, თითოეული მათგანი ფინალურ გადაწყვეტილებამდე მიდის. როცა ისინი ერთნაირია, მთელი ჯგუფი საერთო ფინალურ გადაწყვეტილებას ღებულობს. იგი დამოკიდებულია მხოლოდ ძლიერი ქვეჯგუფების წევრების საწყის შეხედულებებზე [2,3,4].

მარკოვის ჯაჭვების თეორიის გამოყენებით და ზეგავლენის გრაფის გარკვეული გარდაქმნების შედეგად შესაძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, რომ ჯგუფი საერთო ფინალურ გადაწყვეტილებას აღწევს. გარდა ამისა მტკიცდება, რომ თითოეული წევრის შეფარდებითი ზეგავლენა გარკვეული რიცხვით გამოისახება, რაც განსაზღვრულია მისი წვლილით ფინალური გადაწყვეტილების მიღწევაში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამოცანებში, რომლებიც თავისი ბუნებით სრულიად არ არის ალბათური, მარკოვის ჯაჭვების თეორიის მეთოდები ძალიან ეფექტიანია. ვვარაუდობთ,

რომ მომავალი კვლევები გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანია მარკოვის ჯაჭვებისა და გრაფების თეორიის გამოყენება სხვა ტიპის სოციალური სისტემების გამოსაკვლევადა.

*Revaz (Iveri) Kakubava,
Nino Kipiani
George Makasarashvili*

PROBABILISTIC MODELING OF FORMATION OF THE FINAL DECISIONS IN SOCIAL GROUPS

SUMMARY

The work considers the problems of influence and authority in social groups. Particularly, the process of formation of the final decisions within multi-member social group and aspects of evolution of this process. On the basis of Markov chains and graph theory the following problems are researched: 1) How does each member of the group make the sustainable final decision? 2) In what conditions does the whole group or its distinct subgroup make the sustainable final decision? 3) What is the relationship between the group's final decision (if it's possible) and the initial considerations of members of the group?

ლიტერატურა:

1. გ. ბელთაძე, ჰ. მელაძე, ნ. სხირტლაძე. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძველები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებაში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. Roberts F.S. Mathematical models with application to social, biological and environmental problems, Rutgers University Prentice-Hall Inc. Englewood Cliffs, New Jersey, 1976.
3. Eric SigWard. Introduction a la theory des graphes dans la sociologie. E. Sigward a ac-nansy metr. Fr, 2009.
4. Bharucha-Reid A.T. Elements of the Theory of Markov Processes and their Applications. Mc Craw-Hill Book Company, New York, 1960.
5. Кемени Дж. Снел Дж. Конечные цепи Маркова. М.: Наука 1970.
6. French J.R.P. Jr. A Formal Theory of Social Power. Psychol. Rev., 63, 1956.
7. Harary F. A Criterion for Unanimity in Frenchs Theory of Social Power, in Studies in Social Power. D. Cartwright (ed), Inst. Soc. Rec., Ann Arbor, Mich., 1959.

თანამედროვე ქართული და მსოფლიო მატალუბის დიდებული წარმოადგენელი

არჩილ ფრანგიშვილი, სტუ-ს რექტორი, ზურაბ გასიტაშვილი, სტუ-ს რექტორის მოადგილე
ლევან კლიმაშვილი, სტუ-ს რექტორის მოადგილე, იგორ კვესელავა, სტუ-ს სრული პროფესორი,
შალვა ნაცყებია, სტუ-ს სრული პროფესორი, ბადრი ცხადაძე, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი



საქართველო და მისი თითო-
ეული კუთხე, ვისაც იგი ოდესმე
ერთხელ მინც უნახავს, თვალს
იტაცებს თავისი განუმეორე-
ბელი პალიტრით, ურთიერთ-
განმასხვავებელი ლანდშაფტი-
თა და კოლორიტით. ცნობილია,
რომ სიტყვა „კუთხეს“, ადრე,
ძველქართულად, ქვეყანა ერქვა
(მაგალითად, „გურიანთის ქვე-
ყანა“, „ნატანების ქვეყანა“,
„გაჩიანის ქვეყანა“...), იმერე-
თსა და იმერულ კილოში ახ-
ლაც შემორჩენილია ხატოვანი

სიტყვა „ქვეყანას“ წამყვანი
გამოთქმები, რომლებშიც
ადგილი უჭირავს. ასეთია: „ქვეყნის მაქვს“, „ქვეყნისა“,
„ქვეყნის ვიყიდე“, „ქვეყნის ხალხი“ და მისთ. სადაც „ქვეყ-
ანა“, ქვეყნის“... სიმრავლეს, მრავალს, ბევრს, უამრავს
აღნიშნავს. საქართველოს, როგორც ქვეყანას, ოდითგანვე
არაერთი „ქვეყნის შვილი“ გაუზრდია, რომელთაც თავი
სამშობლოს შენებით დაამახსოვრეს. ეს უხსოვარი ტრადი-
ცია ახლაც გრძელდება, ხოლო ამ ძირძველი ქართული
ტრადიციების შუაგულში, სხვა კუთხეებთან ერთად, ერთ-
ერთი გამორჩეული კუთხე იმერეთი და მისგან გამოსული
ტექნიკური თუ სამეცნიერო ინტელიგენციაცაა, ასევე
პოეტები და სახელოვნებო დარგების წარმომადგენლები,
სპორტსმენები და სხვ., მეღვინეობითაც და კულინარიუ-
ლდაც ზომ გვაცვიფრებს ეს მხარე: **იმერული სუფრა, იმ-
ერული კერძები და ღვინოები, იმერული სტუმარმასპინძლობა
და... ზრდილობა.** „გმირი იმერი ზრდილობითი“ - გვაუწყებს
მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო
მოღვაწე, პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

იმერეთის ანუ ძველი სახელდებით არგვეთის ისტო-
რიულ-გეოგრაფიულ არეალში მიუკერძოებლად ერთ-ერთი
„საფიხვნო“ ადგილი „ბაღდათის ქვეყანასაც“ უჭირავს.
საინტერესოა ამ კუთხის წარსული და აწმყო, ენობრივი
და ხალხური მარგალიტებიც. აღსანიშნავია, რომ თან-
ამედროვე ქართული ენის იმერული კილოს მკვლევრე-
ბი, ცნობილი ენათმეცნიერები (აკად. აკაკი შანიძე, აკად.
შოთა ძიძიგური, პროფ. ვლადიმერ ფანჩვიძე, პროფ. ბადრი
ცხადაძე) იმერულ დიალექტს სამ კილოკავად ჰყოფენ:
ზემო-, ქვემო- და შუაიმერულად. ნიადაგმცოდნეობის
თვალსაზრისითაც, ასევე იტყვება არალინგვისტი, პროფ.
კ. მოდებაძე იმერეთის ნიადაგის, მეღვინეობისა და ვაზის
კულტურული ჯიშების კუთხით განსაზღვრა-დახასიათე-
ბისას. შუაიმერეთი და შუაიმერული ზესტაფონის, თერ-
ჯოლის, ტყიბულისა და ბაღდათის რაიონებშია მოქცეუ-



ლი. ბაღდათზე კი, ბაღდათელი კაცის თქმით, ასეთი
გადმოცემა არსებობს: „ზედა ბაღდათს ადრე ბაღდათს
კი არ უძახოდენ, უძახოდენ საკოპაძოს, მერე საკოპა-
ძოს დაათქვეს ბაღდათი. აგერ ციხეები როა, იგი თათრის
ნაქონი არი. ჩვენი ძველები იტყოდენ, რომლო თათარსო
მეეწონაო ეგიო და ბაღდათიო ქალის თავსაფარს ქვიაო
თათრების ენაზეო და იგი დაათქვესო, ფთებთ რომ იყო
გარემო შამორაგულიო“ [1, 460]. ეს გადმოცემა სინამდ-
ვილეს უთუოდ შეესაბამება, რადგან ბაღდათის ცა და ხმე-
ლეთი ფერადოვნებით სულ სხვანაირად „ჭრელაია“, სულ
სხვანაირად მიშხიდველად ფრთა-ფერებ „შამორაგული“.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან 90-
იან წლებამდე ბაღდათის მხარეს - ამ „შამორაგულს“
ოფიციალურად „მაიაკოვსკი და მაიაკოვსკის რაიონი“
ერქვა, აქ დაბადებული დიდი რუსი პოეტის ვლადიმერ
მაიაკოვსკის საპატივცემულოდ.

იმერეთი, კერძოდ, იმერეთის ეს „შამორაგული“ ისტო-
რიულად და ეთნოგრაფიულად ბევრ სიძველეს ინახავს. ამაზე
მეტყველებს ძველი ანტიკურ და რომაულ წყაროებში მოხ-
სენიებული არქეოპოლისები დიმის, სირიუმის (ახლანდელი
სვირი!), ვარციხის (← ვარდციხის)... სახით. შემთხვევითი
არაა, რომ ბაღდათის კვლევით აღფრთოვანებულმა ქართვე-
ლმა ეთნოგრაფმა ჯულიეტა რუსხაძემ ამ მხარის ერთ-ერთ
სოფელს (ხანი), სიძველის გამო, „ხანი იმერეთის ხევსურე-
თია“ უწოდა [2].

ამ დიდებულმა მხარემ არაერთი მამულიშვილი გა-
უზარდა სამშობლოს. მათ შორისაა საქართველოსა და
მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილი პიროვნება გურამ
ქაშაკაშვილი, რომელიც გახლავთ: ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფე-
სორი, დამფუძნებლის სტატუსით საქართველოს საინჟინრო
აკადემიის წევრი, უკრაინის მეცნიერებათა და რუსეთის საბუ-
ნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი,
კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ბიოგრაფიული ცენტრის
საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის სამგზის
ლაურეატი (1988, 1994, 2012), რუსეთის საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა აკადემიის (2009), 250 სამეცნიერო ნაშრომის,
მათ შორის თორმეტი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების,
მეტალურგიული მრავალენოვანი ლექსიკონების ავტორ-გა-
მოცემელი, 100-მდე გამოკონებისა და ორი მეცნიერული აღ-
მოჩენის ავტორი, საქართველოს ენობრივ-საინფორმაციო (ასევე
სხვა ფონდების) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ბატონი გურამი 2012 წელს, 10 ნოემბერს, 80 წლის
გახდა. დაიბადა ბაღდათში (მაიაკოვსკი), 1951 წელს წარჩი-
ნებით, ოქროს მედალზე, დაამთავრა დაბა მაიაკოვსკის ვა-
ჟთა საშუალო სკოლა, 1956 წელს - საქართველოს პო-
ლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი,

განვლო საინტერესო შრომითი გზა რიგითი მუშიდან ფოლადსადნობი საამქროს უფროსობამდე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების დირექტორობამდე. რმკ-ის მარტენის საამქროს ხელმძღვანელობისას ჩატარებული მეცნიერული კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე პირველად მსოფლიო მეტალურგიაში შემუშავებულ იქნა და წარმატებით დაინერგა ნავთობისა და გაზის მოსაპოვებელი სამილე ფოლადების გამოდნობის, განუანგვისა და უწყვეტი რადიალური ჩამოსხმის შესაბამისი ტექნოლოგიები, რაც საფუძველად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას.

გასაოცრია ბატონი გურამის მეცნიერული შემართება და „მოუსვენარი ხელმარჯვეობა“. მან, როგორც მეცნიერმა და უბადლო მენეჯერმა, ხელი დაატყო და წინ წასწია ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ხარისხობრივი ზრდა. კერძოდ, მეტალურგიული დარგის სამეცნიერო ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერების, საკუთარი კვლევების, პირადი გამოცდილების, გამოგონებებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე შეძლო ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი, დასავლეთ საქართველოს გარემოს დამაბინძურებელი, გაჩერების ზღვარზე მისული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აკადემიურ დონეზე აყვანა-ამუშავება, შემდგომ კი რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ-სოციალური მაჩვენებლებით დარგის თანამედროვე, მოწინავე უნარჩენო პროდუქციის საწარმოებად გადაიარაღება და ტექნოლოგიურად „მსოფლიო რადიუსით“ გამართვა.

დროის მოთხოვნის შესაბამისად რუსთავის მეტალურგიული კომბინატში მეცნიერულად და ტექნოლოგიურად ამ პრომატევადი და კარდინალური პრობლემების გადასაწყვეტად ბატონმა გურამმა სრულიად ახალი ელექტროფოლადსადნობი საამქროს ასაშენებლად განაზრახი საქმედ აქცია - მისმა მეცნიერულ-გამომგონებლურმა გონებამ მარტენის საამქროში მსოფლიოში პირველად შეძლო საჩამოსხმო ციკხვის ზვრელიდან ფოლადის ინერტული აირებითა და წიდაწარმოხელი რეაგენტებით ლუმელგარე გაქრევა-რაფინირების ტექნოლოგიის წარმატებით განხორციელება-დანერგვა.

სწორედ ზემონახსენები ტექნიკურ-ტექნოლოგიური გათვლები, მეცნიერული კვლევები დაელო საფუძველად გურამ ქაშაკაშვილის საღიქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა მოსკოვში, საქვეყნოდ ცნობილ ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ბატონი გურამი დღემდე აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სამიტების მუშაობაში (თბილისი, ბათუმი, მოსკოვი, დელი, პარიზი, ლონდონი, პეკინი, დიუსელდორფი, ბერლინი, ვენა, სანკტ-პეტერბურგი, კიევი). წელს იგი ასეთ სამეცნიერო ფორუმზე საქართველოში (ქ. ბათუმი) და ავსტრიაშიც (ქ. ვენა) იყო მიწვეული.

საერთაშორისო მასშტაბით უცხოელთაგან გამოგონებებისა და აღმოჩენების აღიარება, მით უფრო მეცნიერისა ახალფუნქციონალური საქართველოს სახელმწიფოდან, არც ისე ადვილი გახლავთ. საკონკურსო და სამეცნიერო სარბიელზე გაჯიბრების მომენტში ბევრი მის ადგილას, ალბათ, ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ბატონი გურამის პიროვნულმა „მე“-მ, შინაგანმა, მეტალურგის დაუცხრომელმა ფოლადურმა ცეცხ-

ლგამძლე ბუნებამ სწორედ აქ იჩინა თავი...

მაგალითად, ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი, პრაქტიკულად შეჯერებული ნაკვლევი, რომელმაც მრავალი ქვეყნის მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში (პირველად მსოფლიო პრაქტიკაში!) გამართულ წარმატებულ საწარმოო მეცნიერულ კვლევებს - ფოლადის დნობის პროცესების ჩატარებას - ლითონის გამოსაშვები ზვრელიდან ბუნებრივი აირის, ჰაერის ან ჟანგბადის ნარევის შებერვით ყველაზე მძიმე პრომატევადი პროცესის - ფოლადის გამოსაშვები ზვრელის დაკეტვისა და გახსნის ოპერაციას, ადამიანის ფიზიკური შრომის გარეშე განხორციელებას ეხებოდა.

გ. ქაშაკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ეს მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაშიც წარედგინა, ავტორის წარმატებით ჩატარებული კვლევები, მისივე ჯერ დაუკანონებელი, მეცნიერული აღმოჩენების სრულიად ახალ კანონზომიერებაზე იყო დაფუძნებული.

სამწუხაროდ, მოხსენება არ იქნა ისეთი ინტერესით მიღებული და აღქმული, როგორსაც ის იმსახურებდა. საკითხის მნიშვნელობასა და ორიგინალობაში ღრმად დარწმუნებულმა ავტორმა, სათანადო ინსტრუქციის თანახმად, ახალი მეცნიერული აღმოჩენების კანონზომიერებაზე დამყარებული პროცესების თაობაზე (რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავდაყირა აყენებს დღემდე არსებულ კანონზომიერებას - დამყარებულს ფოლადის დნობის მხოლოდ გაუნახშირბადიანობის პროცესებზე) შეავსო განაცხადი. ფოლადის დნობისას ლითონის გამოსაშვები ზვრელიდან ბუნებრივი აირის, ჰაერის ან ჟანგბადის ნარევით შებერვით ბატონმა გურამმა აღმოაჩინა მეცნიერული კანონზომიერებანი (კერძოდ, როგორც აღმოჩნდა და გაირკვა, გაუნახშირბადიანობასთან ერთად მიმდინარეობს ფოლადის დანახშირბადიანება, რომელიც ლითონის ტემპერატურაზე და შესაბერი ჰაერის და ბუნებრივი აირის რაოდენობის თანაფარდობაზეა დამოკიდებული). გამოგონებისა და მეცნიერული აღმოჩენების საერთაშორისო აკადემიამ განაცხადი რეგისტრაციაში გაატარა და ერთი წლის განმავლობაში უმაღლესი რეიტინგის მქონე მეცნიერ-ქიმიკოსთა და მეტალურგთა საფუძვლიანი შესწავლისა და გ. ქაშაკაშვილთან სამრეწობრივი დავის შემდეგ 2010 წლის თებერვალში გურამ და ირაკლი ქაშაკაშვილების სახელზე გაიცა მეცნიერული აღმოჩენის პირველი დიპლომი, ხოლო 2011 წელს კი - მეორე მეცნიერული აღმოჩენის დიპლომი. ბრძნული ანდაზების არ იყოს, „Нет худа без добра“, ან „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, „То что не делается, всё к лучшему“. ისე გამოვიდა, რომ ყურადღების მიღმა დარჩენილი მოხსენება ქვეყნის მასშტაბით ტექნიკურ დარგში ორი აღმოჩენის (პირველების !!!) წინაპირობა გახდა.

ამრიგად, აღნიშნული მეცნიერული სიხალისი ავტორი გურამ ქაშაკაშვილია, მას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ხელს არ უშლიდა ამ პროექტის განხორციელებაში, მაგრამ ქარხნის მთავარმა ფოლადის მდნობელმა გრანდ კირაკოზოვმა მოსკოვში, მიღების წარმოების მთავარ სამმართველოში, დარეკა და... წამოვიდა მკაცრი, გამაფრთხილებელი სატელეფონო ზართა „ნიადვარი“ ექსპერიმენტის კატეგორიულად აკრძალვისა.

ბატონმა გურამმა სახელგანთქმულ ობერმასტერს ვაჟა ვოგობერიას სთხოვა, შინ კარგად მოხეხების შემდეგ, ღამის

ცვლაში გამოსულიყო და ჩაფიქრებული ექსპერიმენტი გან-
ეხორციელებინათ, რომლისათვის საჭირო შესაბერი ქმინი,
რომელიც, ბატონი გურამის გათვლებით, სამქროს უფროს-
მა, თბოტექნიკოსმა ალექსანდრე ნოზაძემ, ყველა ზომების
დაცვით, გაამზადა და ღუმლის გარეთ გამოცადა კიდეც.

ღამის 12 საათზე მარტენის პირველი ღუმლიდან დაიწყო
თუ არა დნობა, ობერმასტერმა ვაჟა გოგიბერიამ, უფროსმა
თბოტექნიკოსმა ალექსანდრე ნოზაძემ, ოსტატმა ირაკლი ქა-
შაკაშვილმა, ბატონი გურამის ხელმძღვანელობით, დაიწყეს
ექსპერიმენტის განხორციელება, რისთვისაც წინასწარ
დამზადებული შესაბერი ინსტრუმენტი მარტენის ღუმლის
ხვრელში მოათავსეს, ჩართეს ბუნებრივი აირი და დაწ-
ეხილი ჰაერი სისტემაში და მძლავრი ჩირაღდნით მოგუ-
გუნე ქმინი ფოლადის გამოსაშვებ ხვრელში მაგნიზიტის
ფხვნილით ჩატკენეს. დნობის სხვა პროცესები - ღუმლის
გაწყობა, ჯართის ჩატვირთვა, თუჯის ჩასხმა... ჩვეულებრი-
ვად წარიმართა, მაგრამ ხვრელიდან შებერილმა ბუნებრივი
აირისა და ჰაერის ჩირაღდანმა ისეთი ძლიერი მოძრავი
ნაკადები შექმნა, რომ პროცესი ჯერარნახული ძლიერი
დატვირთვით დაიძრა, მაგრამ ლაბორატორიიდან მოსული
ანალიზებით ნახშირბადის შემცველობა არ იცვლებოდა და
პერიოდებში უმნიშვნელოდ მატულობდა. ლითონის ტემ-
პერატურის გაზომვის შემდეგ ირაკლი ქაშაკაშვილმა გასცა
განკარგულება ლითონის გაშვებაზე, რომელიც მეფოლადეთა
ხელით შრომის გარეშე, საჩამოსხმო ამწის შესაბერი ქმინის
გაბოლებით განხორციელდა. დნობა ნორმალურად წარიმარ-
თა, მაგრამ მაღალი ნახშირბადის გამო, 45 მარკის ნაცვლად
D მარკის ფოლადად დაინიშნა. მაშინ არავის უფიქრია ასეთი
მეცნიერული აღმოჩენის კანონზომიერებაზე. გამოვონების
კომიტეტმა საავტორო უფლება გასცა ბატონ გურამსა და
სხვა ავტორებზე. გურამ და ირაკლი ქაშაკაშვილები ინსტი-
ტუტში ლექციების კითხვის დროს კვლავ დაუბრუნდნენ
რმკ-ში მსოფლიოში პირველად განხორციელებულ დნობას
ფოლადგამოსაშვები ხვრელიდან და იქ მიმდინარე პრო-
ცესების ახსნას ფოლადსადნობი პასპორტის ჩანაწერებიდან
და ღრმად შესწავლისა და ანალიზის შემდეგ აღმოაჩინეს
ახალი კანონზომიერებები ფოლადის დანახშირბადიანება,
რისთვისაც გააანალიზეს რუსეთის (ურენგოის, სარატო-
ვის, დასავლეთ ციმბირის, ჩრდილო კავკასიის და სხვ.),
უკრაინის, აზერბაიჯანის, ირანისა და სხვა ბევრი საბადოსა
თუ აირსადენის ბუნებრივი აირის ქიმიური შედგენილობები
და ნახშირბადის ჯამური შემცველობები. როგორც ცნო-
ბილია, სხვადასხვა საბადოსა თუ აირსადენის ბუნებრივ
აირში განსხვავებულია ნახშირბადის ჯამური შემცველობა,
რომელზეც დამოკიდებულია, ძირითადად, დნობის უახლეს
პროცესში ფოლადის დანახშირბადიანების ხარისხი. ეს უკვე
მესამე მეცნიერული აღმოჩენის კანონზომიერება გახლავთ,
რომლის განაცხადი ბატონმა გურამმა და ბატონმა ირაკლი
ქაშაკაშვილებმა აღმოჩენათა და გამოვონებათა ავტორების
საერთაშორისო აკადემიას მიმდინარე წლის ივლისში გაუგ-
ზავნეს და ჯერჯერობით განხილვის ფაზაშია.

აღნიშნული მეცნიერული აღმოჩენებისა და რუსთავის
მეტალურგიულ ქარხანაში განხორციელებული წარ-
მატებული სამეცნიერო კვლევების, ექსპერიმენტების
საფუძველზე, გურამ ქაშაკაშვილმა (ბატონ ირაკლისთან ერ-
თად) შექმნა ახალი ფოლადსადნობი აგრეგატი, სადაც კაზმის
ჩატვირთვა, ლითონის დნობა, დაყვანა, დუღილი, განჟავვა,

ლვეირება, ინერტული აირებითა და რეაგენტებით ფოლადის
დამუშავება ერთ მოდერნიზირებულ ციკსვ-ლუმელში ერთ-
დროულად მიმდინარეობს, ზემოდან - ელექტროდებს შო-
რის ელექტრული რკალისა და ქვემოდან - საჩამოსხმოში
ციცხვის ერთი შიბერიდან ბუნებრივი აირის ჰაერის ან ჟანგ-
ბადის ნარევისაგან წარმოქმნილი მძლავრი ჩირაღდანის მეშ-
ვეობით, ხოლო გადნობის შემდეგ - მეორე შიბერიდან გან-
ჟავვა ინერტული აირებითა და რეაგენტებით მზა ფოლადის
დამუშავების შემდეგ - ამავე შიბერით ხდება ფოლადის ჩა-
მოსხმა უწყვეტი ჩამოსხმის მანქანაზე.

გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენების
საფუძველზე შექმნილი აგრეგატი და ფოლადის წარმოების
ტექნოლოგიური ხაზი, (რომლის პატენტი გასცა „როსპატ-
ენტმა“ და დადასტურა შვეიცარიის სათანადო საპატენტო
ორგანიზაციამ, მისი ჩინურ და გერმანულ ენებზე თარგმნით)
ფოლადის წარმოებაში რევოლუციური სიახლეა. იმის გამო,
რომ საწარმოო ციკლიდან ამოღებულია ფოლადის დნობის
ძირითადი აგრეგატი ღუმელი, ლითონის ხვრელიდან გამოშ-
ვება და ყველა პროცესი კაზმის ჩატვირთვა, დნობა, დაყვანა,
განჟავვა და ლითონის ინერტული აირების დამუშავება ხდება
ერთ აგრეგატში - ლითონს ახურებენ მხოლოდ ოპტიმალურ
ტემპერატურამდე ყოველგვარი გადახურების გარეშე, რაც
ზრდის ფოლადის წარმოებას, საგრძობლად აუმჯობესებს
მის ხარისხს, იძლევა პირობითი სათბობის, ელექტროენ-
ერგიის, განმჟანგველებისა და ცეცხლგამძლე მასალების
ეკონომიას და, რაც მთავარია, ეკოლოგიური და ეკონომიური
მაჩვენებლების საგრძობ გაუმჯობესებას.

მეცნიერული აღმოჩენების ახალი კანონზომიერებისა და
ამ აღმოჩენების საფუძველზე ახალი კონსტრუქციის ფოლად-
სადნობი აგრეგატის (სადაც მიმდინარეობს ფოლადის დნო-
ბის ყველა ოპერაცია - ჩატვირთვიდან ჩამოსხმამდე ლითონის
გამოსაშვები ხვრელის დაკეტვის და გახსნის მიმე ხელით
შრომის და ლითონის ღუმლიდან გამოშვების პროცესების
ლიკვიდაცია) შექმნის გამო, გურამ ქაშაკაშვილი შარშან
მოსხენებით მიწვეულ იქნა მეტალურგთა საერთაშორისო
კონფერენციაზე, ბერლინში, ხოლო, ამავე მიზეზით, მიმდინ-
არე, 2012 წლის სექტემბერში - ვენაში. ორივე კონფერენ-
ციაზე მაღალი შეფასება მიაკუთვნეს ფოლადის წარმოებასა
და რაფინირების ახალ ხაზს. ახლა მიმდინარეობს მოლა-
პარაკებები ფოლადის მწარმოებელ მძლავრ კომპანიებთან
აღნიშნული დაპატენტებული ტექნოლოგიის ლიცენზიების
შექენაზე.

საქართველოში სულ ექვსი სამეცნიერო აღმოჩენაა. აქედან
ორი - ივანე ბერიტაშვილის სკოლისა, ორი - სიმონ ხეჩინაშ-
ვილისა, მე-5 და მე-6 სამეცნიერო აღმოჩენები - პირველი ტე-
ქნოლოგიურ დარგში - გურამ ქაშაკაშვილისაა. საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ახალი კანონზომიერე-
ბით სამეცნიერო აღმოჩენების მეკვლეა, რადგან საქართვე-
ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტექნიკური უნი-
ვერსიტეტის 90 წლის ისტორიის მანძილზე არც ერთ მეც-
ნიერს სამეცნიერო აღმოჩენის დიპლომი არ დაუმსახურებია.

ბატონი გურამისა და ირაკლი ქაშაკაშვილების სამეცნი-
ერო ოფისის კედლებს 98 გამოვონებათა დამადასტურებე-
ლი სიგელი, მოწმობა და დიპლომი ამშვენებს. გარდა ამისა,
ორივე - მეტალურგი ტერმინოლოგ-ტერმინოლოგი და
ლექსიკოგრაფიც გახლავთ.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მსოფლიოში პირველად

მათი უშუალო მონაწილეობითა და წამოწვევით, გულმოდგინე მეცადინეობით, „მეტალურგიულ სამყაროს“ მოველინა ლექსიკოგრაფიული ნაშრომი - „მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი - ლითონმცოდნეობისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის „სიტყვის კონის“ ორტომეული (თითოეული ტომი ათას გვერდს აღწევს: ტ. 1 - 904, ტ. 2. - 999, ფორმატი A-4 კომპაქტდისკითურთ) [3], რომელსაც არაერთი გამოხმაურება და სასიძოპოზიუმოდ გამიზნული რეცენზია მიედევნა [4], [5]. ორტომეულის ორივე ტომის ანოტაცია გვამცნობს, რომ იგი შეიცავს 18560 მეტალურგიულ ტერმინს ქართულ ენაზე, ახლავს შესატყვისები რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამრიგად, ლექსიკონი ექვსენოვანია, ეძღვნება ცნობილი მეტალურგი პროფესორების საქართველოში მძიმე მრეწველობის დარგის წარმოების, ქართული ტექნიკური და მეტალურგიული ტერმინოლოგიის ფუძემდებლების **გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქაშაკაშვილის** 125 წლის იუბილეს.

ამ დიდი საშვილიშვილო საქმით ბატონი გურამი საკუთარ იუბილესაც წარუდგა - ამაზე დიდი საჩუქარი და ძღვენი საკუთარი თავისთვის ხომ მართლაც წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ ამ ორტომეულმა 2012 წელს ეროვნული პრემია დაიმსახურა (თანავტორებთან ერთად).

ბატონმა გურამ ქაშაკაშვილმა 2008 წელს თავის კოლეგებთან ერთად დააფუძნა საქართველოს ენობრივ-საინფორმაციო ფონდი (**სესფი**), რომლის მეცნიერი თავკაცი თავადვე გახლავთ (წევრები კი ცნობილი მეცნიერები არიან: **არჩილ ფრანგიშვილი** - საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, სტუ-ს რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **ზურაბ წვერაძე** - სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეკანი, **თემურ ჯავახიანი** - სტუ-ს სრული პროფესორი, ფოლკლორისტი, **ვალერი ასათიანი** - კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, პროფესორი, ყოფილი საქართველოს კულტურის მინისტრი, **ლევან ღვინჯილია** - საქართველოს პარლამენტთან არსებული ყოფილი „ქართული ენის პალატის“ თავმჯდომარე, კავკასიოლოგი), **ბადრი ცხადაძე** - სტუ-ს პროფესორი, ენათმეცნიერი, ქართველოლოგი), ფონდის მეცნიერულ და მეთოდურ-ტექნოლოგიურ წარმართვაში კოლეგიალურ კონსულტაციას უწევს უკრაინის ენობრივ-საინფორმაციო ფონდის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ვლოდომირ შიროკოვი**.

ამ კუთხით ბატონი გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული ძიება და ღვაწლიც სათანადოდ დაფასდა და აღინიშნა უკრაინულ ენაზე გამოქვეყნებულ ენციკლოპედიურ გამოცემაში „უკრაინა და უკრაინელები“ [6].

ბატონი გურამი დიდი სამეურნეო ნიჭითაც დაჯილდოებული პიროვნებაა. მას, როგორც გულღია ქართველს, უყვარს ზომიერად მოლხენა (სათანადო დონეზე), თამაობა, სტუმრის გამასპინძლება, სახლ-კარის თანამედროვე მოთხოვნილებებისამებრ კეთილმოწყობა. ნამდვილად არაა ადვილი, წელიწადის ერთი ნახევარი თბილისისა და სხვა ქალაქებში დაჰყო, მეორე ნახევარი თბილისიდან ბაღდათში სიარულს და იქ ყოფნას მთანდომო. ბავშვობა-ყმაწვილკაცობაში სწორედ სოფელში გლეხურ ცხოვრებასთან ზიარებამ გამოავლინა მასში მეურნისა და შემდგომ პრაქტიკოსი მეტალურგის ნიჭი. მარაში და ჭურისთავთან ფუსფუსი ხომ მისი უსაყვარლესი საქმეა. მის მიერ ტექნოლოგიურად ქარხნული წესით დაყენებ-

ული ღვინო (20%-20%-20% ციცქა+ცოლიკაური+კრახუნა) საქვეყნოდ განთქმულ სამარკო სვირულ ღვინოს („**სვირი**“) არათუ ჩამოუვარდება, პირიქით, შეიძლება ბევრად აღმატებოდეს კიდევ.

ბატონ გურამს ქართული ქვევრისა და ჭურის თანამედროვე ტექნოლოგიურ გამართვაშიც მიუძღვის წვლილი. ეს ასე მოხდა: ერთხელ მას თავისი ჭურიდან ამოღებული ღვინო და მისი გემო არ მოეწონა. მიზეზიც დაადგინა - თურმე მიწაში გაძინარე (გრუნტიან) წყალს თინაში გაეჟონა. დაუცხრომელი ენერგიით სავსე ბატონმა გურამმა პრობლემის გადასაჭრელად ანუ „ჭურის დასაკირად“ (იმერეთში „**ჭურის დაკირვა**“) ჰქვია გარეშემო მავთულბადეში მოქცეული ქვევრ-ჭურის კირ-ცემენტთან ხსნარით გალესვას) ადგილობრივი თვითნასწავლი სპეციალისტები რომ ვერ ნახა, უცხოელ მეცნიერებს მიმართა (ჯერ რუსეთში, შემდგომ იტალიაში).

ასე მიაგნო მან იტალიაში იტალიურ მოსაპირკეთებელ მასალა **ეპოვენს**. ეს ნოუჰაუ შესანიშნავი გამოდგა ამ პრობლემის გადასაწყვეტად (აქამდე მამაპაპური კირნარევი სილით ქართული ჭურების გარეთა გარსის შელესვა, შიგნით კი თაფლის სანთლით ჭურის შიგა ამოსანთლული ზედაპირის ნაცვლად). ბატონი გურამის ახსნით, ეპოვენის უპირატესობა ისაა, რომ მისი გამოყენებით:

1. აღიკვეთება გრუნტის წყლებით ჭურში ჩასხმული ღვინის დაბინძურება ან ღვინის გაჟონვა-დანაკარგი;
2. შენარჩუნდება საღვინე უნიკალური ყურძნის ჯიშების გამორჩეული არომატი, გემო, სურნელება და ფერი (ამიტომ არასასურველი და უკუსაგდება მისი გამდიდრება თაფლის სანთლის ან მუხის კასრების არომატით);
3. ეპოვენი და მასტერსილა თავიანთი კომპონენტებით უგემო, უსუნო, ფერით მდგრადი ნეიტრალური პროდუქტია. ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ სერტიფიცირებული ბეტონის რეზერვუარებში ღვინის დიდხანს შესანაღ;
4. ეპოვენი არ არის აბსოლუტურად გაუმტარი მასალა, როგორც მუშა და მინის ჭურჭელი. მისი ფორიანობა 2,5-2,7%-ის ფარგლებშია, რაც საჭიროა ღვინის დიდხანს შესანაღ;
5. ჭურის გარეცხვა უმძიმესი შრომაა სხვადასხვა სახეხი მასალებით. იტალიური მასალის გამოყენებით, ეპოვენით მოპირკეთებული ჭური წყლის ჭავლით ადვილად ირეცხება;
6. წითელი ღვინის - საფერავის ჩანასხამ ჭურჭელში ძალიან დიდი რეცხვის შემდეგაც შეინიშნება თეთრი ღვინის შეფერადება - ვარდისფერიანობა. იტალიური მასალით დაფარული ჭურისათვის გამორიცხულია მსგავსი რამ;
7. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიით - იტალიური ინერტული მასალით ეპოვენით დაფარული ჭურის მდგრადობა განსაზღვრულია პირობით არანაკლებ 100 წლის, ე. ი. ის 20-ჯერ მეტად მდგრადია თაფლის სანთლით დაფარულთან შედარებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თაფლის სანთლით მოპირკეთებულ ჭურებს 30-40 წლის შემდეგ ამოთხრა და ხელახლა გახურებით, თაფლის სანთლით შიგა ზედაპირის დაფარვა სჭირდება (აქ აგრეთვე იგულისხმება უმძიმესი შრომა ჭურის სხვადასხვა სახეხით (სარცხელი, სიმინდის ფუჩი და სხვ.) რეცხვისა, უპირატესობა ამ ახალი ტექნოლოგიის დანეგვისა განუზომელი ჩანს. რაც შეეხება თანხას, იტალიური მასალით დამუშავება გაცილებით იაფია ჩვენში გავრცელებულ კუსტარულ დაფარვასა და ახალი მუშის ჭურჭლის შექმნასთან შედარებით. ჭურის ერთი ფუთის ტვეალობის ზედაპირის მოპირკეთება 2-3 ლარს არ აღმატება;

8. მასტერსილათი და ეპოვენიტ დაფარული ჭურების ხმარების ვადა სტატისტიკურად იზრდება, რადგან დაფარული ზედაპირი ისეთი სისხლისაა, რომ ყველაზე ბასრი მასალა ზუმფარის ქალაქი კი ვერ კაწრავს ეპოვენის ზედაპირს.

9. ქვევრებსა და ჭურებს არაივითად დიდი ხის ფესვებიც აზიანებს. ეპოვენიტ დაფარული ჭურის სიმტკიცე კი ასეთ შემთხვევას თითქმის გამოირიცხავს.

10. გაბზარული ქვევრების 100% აღდგენის ტექნოლოგიაც შემუშავებულია.

ბატონი გურამის საბოლოო რჩევითა და დასკვნით, იტალიელთა მასალებით და დაფარვის წესიდან გამომდინარე:

ა) ქართული ქვევრისა და მისგან გამომდინარე, მსოფლიო მასშტაბით ღვინის ხარისხის ასამაღლებლად ეპოვენი უთუოდ დაგვეხმარება. მისი აზრით, ეპოვენიტ ყველა იმ მექანიზმებისა და აგრეგატების დაფარვაა საჭირო, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა ლითონისაგან (მაგალითად, ყურძნის საჭყლეტი მანქანა, საწნები ანუ „საქაჯავი“ და სხვ.);

ბ) ჩვეულებრივი ჭურის ზედაპირი ათასგვარი სოკოვანი დაავადებებისაგან არაა დაცული. ეპოვენიტ დაფარული ზედაპირის სოკოებით დაავადება გამოირიცხულია მისი სისხლის, სარკისებური პრიალისა და, რაც მთავარია, ქიმიურად ნეიტრალობის გამო.

ჭეშმარიტი მეცნიერული ალლო და ძიება პრობლემის გადაწყვეტასა და დასაზულ მიზანთან უთუოდ მიგვიყვანს. ამის სანიმუშო მაგალითი თავად ბატონი გურამ ქაშაკაშვილია.

ბატონი გურამისათვის არც საპარლამენტო მუშაობაა უცხო. მისმა მენეჯერულმა და დიპლომატიურმა ნიჭმა პარლამენტარობის დროსაც გაიბრწყინა. საქართველოს პარლამენტში მუშაობისას ენგურჰეისის ამოქმედებასთან დაკავშირებით სწორედ მისი უშუალო მონაწილეობითა და მოლაპარაკებით მოხდა კონტაქტის დამყარება და სასურველი შედეგის მიღწევა აფხაზურ (რუსულ) მხარესთან. მეოცე საუკუნის მიწურულს, მაშინ, საქართველოს რუსეთთან და აფხაზურ მხარეებთან პოლიტიკური გამწვავების დროს, ამ წარმატებითი ნაბიჯის გადადგმა და მიზნის განხორციელება ძალიან ძნელი საქმე იყო.

ბატონი გურამი ქველმოქმედითაა - არაერთი საერო თუ საეკლესიო სამშენებლო-საინჟინრო, საზოგადოებრივი საქმის წამომწყები - მოთავე, ქომაგი, დამხმარე, მეოხი, მშველელი, მოძმე, მეგობარი, კოლეგა, მეცენატი... მას არაერთი ამჟამად ცნობილი სახალხო არტისტი სათვის გაუკვალავს გზა (ლადო ათანელი და სხვ.). იგი, როგორც წინაპარ ქაშაკაშვილთან კვლამაძიებელი, ნიმუშს იძლევა იმისას, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეპოქაში ადამიანმა ყოველთვის შეიძლება აკეთოს „ქმნულკეთილი“ საქმე. 7-8 საუკუნის წინანდელი ქართველი ისტორიკოსი **ბასილი ეზოსმოდუარი** თამარ მეფის მიერ ქვეყნის აღმშენებლობისა და მართვის დახასიათებისას თითქოს ბატონ გურამს და მისნაირ მამულიშვილებს გულისხმობდეს, როცა წერს:

„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფონი გარეშემო ქართლისა, თუ როდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, როდენთა მიმლაგრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, როდენნი განდევნილნი სამეფოდვე თუსად კუალად აგნა და როდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამის მოწამე არს სახლი მარგანშეთი, და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და

მტერთაგან უზრუნველობასა“ [73,55. 1-6].

ბატონი გურამის გვერდით მართლაც ძიებით, ენთუზიაზმით ადვსილ, ენერგიაზრულად ვაგებულ, საკვლევადობად წელგამართულ, მიზანმიმართულ „მკვლევარ-მეფე-ვაზირებად“ ვგრძნობთ თავს - ამის მოწამეა ყველა, ვინც მასთან, მის გვერდით ვართ, ვურთიერთობთ უნივერსიტეტში თუ მის ფარგლებს გარეთ, წამიერი, მოულოდნელი თუ საქმიანი შეხვედრით, თანამშრობლობით ან მისეული „ტკბილ-თბილი“ მეგობრული, საქმიანი და იმავდროულად წიპურტიანი შენიშვნით: „**აცდენთ ახლა ამას**“, „**მაცდენთ ახლა მე**“...

ბატონ გურამს საურთიერთობოდ და სამეგობროდ დიდი „საგურამო“ ჰყავს. ისინი სპეციალობით სხვადასხვა დარგისანი, სხვადასხვა ასაკისანი და სხვადასხვა ეროვნებისანი არიან. „საგურამო სივრცეც“ და მისი სამყაროც შთამბეჭდავია: ყოფილი საბჭოთა კავშირის (რუსეთი, უკრაინა...), ევროპის (პოლონეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია...), აშშ, კანადა, აზიის ქვეყნების (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია...) კოლეგა-მეცნიერები.

ამ სამეგობროს კიდევ უფრო მეცნიერულ-აკადემიურ და საქმიან გაშლა-განვრცობას - მსოფლიო აღიარებას ვუსურვებთ მას ჯილდოების, ეროვნული თუ უცხოური პრემიების, პატენტების, აღმოჩენებისა და გამოგონებების სახით. დაე, ბატონი გურამისნაირი „საჯილდო ქვები“ და მეტალურგები, სახელმწიფო მოღვაწეები, პროფესორები და აკადემიკოსები, სამშენებლო და საქველმოქმედო საქმიანობები ახალდადებულ ქართულ სახელმწიფოს არ მოჰკლებოდეს.

თვით ბატონ გურამს კი, კიდევ ერთხელ, ტანმრთელ, ხანგრძელ, მარადიულობასთან ნაზიარებ კიდევ უფრო უხვ მოსავლიან ოქროს შემოდგომას ვუსურვებთ თავის დიდ და სანაქებო ოჯახთან (ძვირფას მეუღლესთან - ქალბატონ **ლელიასთან** და მრავალრიცხოვან მონაგართან - შვილებთან და შვილიშვილებთან, რძალ-სიძეებთან...) ერთად.

ლიტერატურა:

1. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. 1. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბ., 1961;
2. ჯ. რუსაძე, ხანი იმერეთის ხევსურეთია (ნარკვევები), თბ., 1989;
3. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი ორ ტომად (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), პროფ. ვ. ქაშაკაშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2011;
4. ბ. ცხადაძე, ხალიბების ნაკვალევს არ ეღალატების. ჟ.ურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №2, 2012;
5. ვ. ქაშაკაშვილი, ვ. შიროკოვი, ბ. ცხადაძე, მეტალურგიული ტერმინების ექვსენოვანი ლექსიკონი. მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში II International Symposium in Lexicography, baTumi, 2012
6. Кашакашвили Гурам Венедиктович – голова мовно-інформаційного фонду Грузії: Україна й українці – цвіт нації, гордість країни. Перше видання. Київ, 2008 (на укр. яз.);
7. ბასილი ეზოსმოდუარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კასაძემ (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით) თბ., 1944.

სამართალი და პოლიტიკა

კიევიანი რუსეთ-საქართველოს სამოგავლო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით (ომი თუ ეპიფანია)

ბედნიერი ვარ, რომ არ მაქვს უფლება დიდი შეცდომისა, რადგან მე პატარა ერის შეილი ვარ

(ებრაული სიბრძნე)

„ჟამი მშვიდობისა, ჟამი შენებისა“

ეკლესიასტე

დღევანდელი მსოფლიოსათვის რთული, წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ კი სრულიად აუხსნელი პროცესებია დამახასიათებელი. ისეთ ფაქტებსაც ვაწყდებით, თავიანთი არსითა და ფორმით, რომ არათუ ცივი ომის გამოძახილად აღიქმება, არამედ ზოგჯერ XX საუკუნის პირველ ნახევარსაც გვაგონებს.

ძრავალ ნეგატიურ პროცესთან ერთად, ვხვდებით პოზიტიურსაც, რაც საფუძველს გვაძლევს მშვიდობიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებისთვის. თანამედროვე მსოფლიო, თავისი ნეგატიური და პოზიტიური შემადგენლებით, გარდამავალი ხასიათისაა. გარდამავალი იმიტომ, რომ ამჟამად მოქმედი მსოფლიო წესრიგი, ჯერჯერობით, ერთიანი და ერთმნიშვნელოვანი კარმონიული საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლებით არ არის გამყარებული. პირიქით, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველა სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, განსხვავებული და საპირისპირო ნორმებით ხელმძღვანელობს. სხვაგვარად არ აიხსნება saerTaSoriso ქაოსის პრეცედენტები, ძალადობის პრიმატი და დაყოვნება. ამის დასადასტურებლად მართლ სირიაში განვითარებული მოვლენები კმარა.

ალბათ, შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ „2008 წლის აგვისტოს ომი“ ზემოაღნიშნულის გამოვლენაა. ომი, რომელიც საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში დაიწყო, რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა. იმის გასაგებად, თუ რატომ და როგორ გადაიზარდა ერთი ომი მეორე ომში უნდა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: რამ განაპირობა რუსეთ-საქართველოს ომი? რა კონკრეტული მიზეზები ამოძრავებდა მეომარ მხარეებს? ვისთვის იყო ეს ომი სამართლიანი და ვისთვის – უსამართლო?

დასავლეთისა და აღმოსავლეთის გლობალურ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთისა და შეჯა-

გემალ ვახოკიძე, სტუ-ს სრული პროფესორი

ხების ცენტრად კავკასიაში კარგა ხანია მინც საქართველო მოიაზრება. სწორედ გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეზე ორიენტირების ტემპის პირდაპირ პროპორციულია რუსეთისაგან მომდინარე საფრთხეების ხარისხი და წინააღმდეგობრივი ქმედებები.

რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. უფრო მეტიც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს გეოსტრატეგიული ცენტრის სტატუსზე რეგიონალურ დონეზე მინც. ამიტომ კავკასიის სახელმწიფოების მხრიდან ამის არ გათვალისწინება და სრული იგნორირება დაუშვებლად მიმაჩნია. დიდი ქვეყნების ასეთი მისწრაფებები თავის მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან მიმართებაში იყო და დარჩება მუდმივ პრობლემად.

პრობლემის გამწვავებასა და გადაუჭრელობას განაპირობებდა და განაპირობებს, ერთი მხრივ, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილის და, მეორე მხრივ, რუსეთის ინტერესების თანხვედრა. პირველი მათგანი ცდილობდა საკუთარი უსაფრთხოების მოპოვებას, რაც რუსეთისაგან უფრო გარანტირებულად მიიჩნდა. სანაცვლოდ ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტები მაქსიმალურად აკმაყოფილებდნენ საქართველოში რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში განხეთქილების არანაკლებ პოლიტიკურ ფაქტორად იქცა მკვეთრი ფასეულობითი განსხვავება. ჯერ კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისებიდან, ქართულ საზოგადოებაში დომინირებდა ევრო-ატლანტიკური ფასეულობებისაკენ მისწრაფება. მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, საქართველოს პოლიტიკური კლასი ამ მიმართულების ერთგული რჩება დღესაც. ბრძოლა საპირისპირო ფასეულობებს შორის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა.

მაგრამ ერთია მოწინააღმდეგის მიზანი და მეორეა ჩვენი უნარი – ავიცილოთ ეს საფრთხეები. ჩვენ უკვე 1989 წლიდან კარგად გვესმოდა რუსეთის ზრახვები, თუმცა ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო ვერ შევძელით, ერთი მხრივ, გამოგვენახა რუსეთთან საერთო ენა და, მეორე მხრივ, განდგომილი რეგიონები დაგვერწმუნებინა, რომ საქართველოს

ფარგლებში მათ ექნებოდათ მაქსიმალური და გარანტირებული უსაფრთხოება.

ამ თვალსაზრისით, საქართველოსაგან განდგომილი რეგიონებისათვის ფასეულობითი მოტივი არსებით როლს არ თამაშობდა. აფხაზეთიცა და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც ამ მხრივ ნაკლებ ინტერესს გამოხატავდნენ და საქართველოსთან დაპირისპირების მოტივად არ სახავდნენ. მათთვის მთავარი იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის უმთავრეს პირობად რუსეთისადმი სატელიტობას მიიჩნევდნენ. შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოსა და მისი მაშინდელი ხელისუფლების არაეფექტიან ეროვნულ პოლიტიკაზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა საქართველოში ეროვნული უმცირესობების მოზიდულობას, მაგრამ ამ ფაქტორს იმ პროცესებზე, რომლებიც ჩრდილოელი მეზობლისაგან იმართებოდა, არსებითი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. **ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაში საქართველო ისტორიულად იყო და არის ტოლერანტული ქვეყანა.** გასაგებია, რომ ტოლერანტობა საკმარისი არაა ეთნიკური უმცირესობების საქართველოსთან ინტეგრაციისათვის, არაა საკმარისი ამ პრობლემის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფაც, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ესოდენ რთული და ფაქიზი საკითხის უსწრაფესი გადაჭრა შეუძლებელია; ამასთან, ისიც ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცე პირდაპირ კავშირშია ისეთი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან, რომელმაც საქართველოს ყველა ეთნოსის (აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების, სომხების, რუსების, ებრაელების და სხვათა) ერთად ცხოვრებით არა ეთნიკური ნაციონალიზმის, არამედ სახელმწიფო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა შექმნას.

„ვარდების ხელისუფლებამ“ დაიწყო ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საჭირო წანამძღვრების მომზადება. მათ შორის საერთაშორისო სტრუქტურების მხარდაჭერა, დასავლეთთან ურთიერთობების გაფართოება და ეთნოკონფლიქტების პრობლემის ინტერნაციონალიზაცია. რეფორმები ძალოვან სტრუქტურებში და არმიასა და შეიარაღებულ ძალებში. „ვარდების რეველუციის“ პირველ ეტაპზე ამკარად შეიმჩნეოდა ხელისუფლების მხიდან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გააქტიურება. მოქმედი პოლიტიკის მართებულობასა და ეფექტიანობას კიდევ უფრო ზრდიდა მშვიდობიანი საშუალებებით ეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზების ძიება. **ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთშიც საქართველოსადმი გარკვეული მიმზიდველობა შეიმჩნეოდა.**

მიუხედავად ამისა, სწორედ აღნიშნულ რეგიონთან მოგვიწია სამხედრო ძალების გამოყენება და ომში ჩაბმა. 8 აგვისტოდან სამშვიდობო პროცესი, ფაქტობრივად, შეწყდა და, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ხნით გადაიდო. რადიკალურად შეცვლილი ვითარების მიზეზთა ამომწურავი ანალიზი, დასკვნების გაკეთება და, რაც მთავარია, პრობლემების მოგვარების გზების ძიებანი რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. ექსპერტებისა და მკვლევარების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამკარად ნაჩქარევი და პოლიტიკურად საბედისწერო იყო ხელისუფლებისათვის საქართველოს ომში ჩართვა (მით უმეტეს, თუ ომის ინიცირება საქართველოს ხელისუფლებიდან მოდის, თუმცა ამ საკითხში პოლიტიკოსების

გამუდმებული შეხლა-შემოხლაა). მეორე ნაწილის მიხედვით, შეუძლებელი იყო იმის ერთმნიშვნელოვნად მტკიცება, რომ მშვიდობიანი გზით შესაძლებელი იყო განდგომილი ტერიტორიების შემოერთება.

ფაქტია ის, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაწყებული ინტეგრაცია რუსეთთან ომად გადაიქცა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რბილად რომ ვთქვათ, ნებისთი უნებლიეთ, უყურადღებოდ დატოვა რუსეთის ამ ომში ჩართვის გარდუვალობა. ამდენად, მძიმე შედეგების უმთავრესი მიზეზი იყო არა სამხედრო მარცხი, არამედ პოლიტიკური. არ არის ადვილი პასუხი შეკითხვაზე: შეგვეძლო თუ არა ომის თავიდან არიდება და მშვიდობიანი საშუალებებით სამხრეთ ოსეთის შემოერთება?! უფრო ადვილია პასუხი შეკითხვაზე: რა როლი ითამაშა რუსეთმა ამ ომში და რამდენად მოსალოდნელი იყო რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო ოპერაცია?! ამ უკანასკნელზე პასუხი, იმავდროულად, მიანიშნებს მარცხის უმთავრეს პოლიტიკურ მიზეზზე.

დიდ სამხედრო მიგნებად არ უნდა ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ რუსეთ-საქართველოს ომი, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთის გამარჯვებით დამთავრდებოდა. ომი ბოლო გამოსავალია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ომი არამცთუ ბოლო გამოსავალი, არამედ საბედისწერო პოლიტიკური შეცდომა იყო. ხელისუფლებისა და ხელისუფალთა, პოლიტიკოსთა და პოლიტიკოსთა მოვალეობა არის მუდმივად ეტბონ გზები და გამოიყენონ ყველა დონე-ხერხი ომის თავიდან ასაცილებლად. გეოპოლიტიკური, სოციო-კულტურული და ეთნიკური ნაციონალიზმი აღმოჩნდა ის ძირითადი პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც სეპარატიზმის აგრესიული ხასიათი და შეიარაღებული კონფლიქტი განაპირობა. ომში მონაწილე მხარეების მიხედვით თუ ვიმჯვებოთ, ცხადი გახდება იმ წინააღმდეგობების ლოგიკა და მასშტაბიც, რომელიც თანაბრად შეეხო თბილისის, ცხინვალისა და მოსკოვის ეროვნულ ინტერესებს. სხვა საკითხია ის, თუ რამდენად სწორად ესმის თითოეულ მათგანს საკუთარი ინტერესები. **ომის შემდგომდროინდელი ვითარება საქართველოსთვის ძალზე რთული და მძიმეა.** არ იქნება სწორი, თუ ვიტყვი, რომ ამ ეტაპზე ქართული საზოგადოება და პოლიტიკური კლასი ბოლომდე ჩამოყალიბებულია როგორც საერთო ვითარების შეფასებაში, ისე სამომავლო პროგრამის სტრატეგიაში. მხოლოდ დეკლარაციული მიზნები ამ შემთხვევაში საკმარისი ვერ იქნება. სიტუაციის დაძლევა მოითხოვს ჯერ მომხდარის სრულყოფილ ანალიზს, რაც გულისხმობს უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვების „მოხსნას“. ამ თვალსაზრისით, ასეთ შეკითხვათა რიგს განეკუთვნება: რას თამაშობდა პოლიტიკურად კონფლიქტების მოგვარების საბაბით რუსეთი საქართველოსთან. რით უპასუხებდა საქართველო. საერთოდ, რომელი მხარე ცდილობდა ომის თავიდან აცილებას და რომელი ემზადებოდა ომისთვის. მაინც რა არ მოსწონდა და აღიზიანებდა რუსეთს საქართველოს პოლიტიკაში და პირიქით.

ფაქტები მოწმობს, რომ: რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წარმოშობის რეალური საბაბი და საფუძველი ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო 20 წლის განმავლობაში არსებულმა მუდმივმა წინააღმდეგობებმა განაპირობეს.

სამართლიანად მიმანია აღვნიშნო, რომ მიუღი ამ ხნის განმავლობაში, ერთი მხრივ, რუსეთი, ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (თუმცა პრაქტიკულად ეს, უმეტესწილად, მის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული), ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებისაგან ხდებოდა რუსეთის ინტერესების იგნორირება. შედეგად მივიღეთ ის, რომ ორმა მეზობელმა, მართალია, პატარა და დიდმა, მაგრამ ერთმორწმუნე ქვეყნებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და რუსეთის ხისტ პოლიტიკას ფაქტიურად საქართველომ ასეთივე პოლიტიკა შეაგება.

ამის შედეგია, რომ 1999 წლიდან (თითქმის 10 წელიწადი) ვერ მოხერხდა რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება და ხელმოწერა, რაც ამ ორ ქვეყანას შორის, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის გარანტია იქნებოდა;

ეჭვგარეშეა, ორივე მხრიდან ურთიერთხელსაყრელი, შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დამეტრულად განსხვავებულ, ორივე ქვეყნისათვის სასიკეთო ვითარებაში აღმოჩნდებოდა;

არის კიდევ ერთი გარემოება – ჩვენი ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად დაწესებული გეოგრაფიული და ეკონომიკური შეზღუდვები რუსეთთან მიმართებაში, რაც, ერთი მხრივ, რეალობაა და, მეორე მხრივ, პოლიტიკური მოცემულობა. ამის გაუთვალისწინებლობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის, მისი პოლიტიკურ აუცილებლობად გამოუცხადებლობა წინდაუხედაობაა.

სწორედ ამაზე მიუთითებს მსოფლიოში აღიარებული დიპლომატი, აშშ-ს გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი ჰენრი კისინჯერი. იგი აღნიშნავს, რომ „რუსეთის წარმოდგენა საკუთარ თავზე, მსოფლიო არენაზე, როგორც ისტორიულ მოთამაშეზე, სერიოზულად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული“ [1].

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს ლიდერების მხრიდან პირველ ეტაპზე ამ ომში რუსეთის ბრალეულობის შეფასება, როგორც საქართველოს წინააღმდეგ არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენება, არასწორია, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და ომის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და სხვა არაფერია, თუ არა იურიდიული ნონსენსი. თუმცა შემდგომში, როგორც ევროპელების, ისე აშშ-ის პოლიტიკური წრეების განცხადებები და შეფასებები გაცილებით მკაცრი იყო და შეფასებებში გაჩნდა ომის სამართლით აღიარებული დეფინიციები „აგრესია“, „ოკუპაცია“ და ა.შ. რუსეთმა ყველა შემთხვევაში დაარღვია საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და მოახდინა ჩვენი ტერიტორიების ფაქტიური ოკუპაცია, რითაც გაამჟღავნა თავისი არაერთხელ განცხადებული ინტერესები კავკასიაში.

სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ტალიბანის კომისიამ მსოფლიო თანამეგობრობის და ქართული საზოგადოების მოლოდინები ვერ გააძარტლა. ფაქტიურად კომისიამ დასკვნის მაგივრად წარმოადგინა მომხდარის შესახებ ანგარიში, რომელიც როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად დაუსაბუთებელი და ორაზროვანია, არაკონკრეტული და არათანამიმდევრული და მით უმეტეს გამოუყენებელი რაიმეს სამტკიცებლად საერთაშორისო სასამართლოში.

იმედი იყო საერთაშორისო საგამომიებო კომისია ბო-

ლოს და ბოლოს დაადგენდა ომში მონაწილე მხარეების ბრალეულობის ხარისხს, ვისკენ იხრებოდა ომის სამართლის ნორმები, იყო თუ არა იმის შესაძლებლობა ომის მონაწილე რომელიმე მხარის ან დადანაშაულება ან გამართლება, ერთი სიტყვით, ომის სამართლის სასწორი ვის მხარეზე იხრებოდა.

ერთადერთი, რასაც, ჩვენი აზრით, კომისიამ სწორი შეფასება მისცა, ეს იყო კოდორის ხეობის ოკუპაცია. დასკვნის მიხედვით: „აფხაზური ქვედანაყოფების მიერ რუსული სამხედრო ძალების მხარდაჭერით იერიშის მიტანა (კოდორის ხეობის ზედა ნაწილზე) წარმოადგენს ძალის უკანონო გამოყენებას, რაც იკრძალება ხელშეკრულებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გაეროს წესდების მე-2 (4) მუხლით; ასევე საქართველოზე თავდასხმას გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით.“

სხვა საკითხია და ცალკე გამოსაკვლევი, რატომ დაეტოვეთ კოდორის ხეობა, რბილად რომ ვთქვათ ასე იოლად.

ჩემის მხრიდან აღვნიშნავდი, რომ, სამწუხაროდ, ცხინვალში დაგებულ საფანჯო თავი მაინც ამოვყავით, რითაც, ნებისთ თუ უნებლიეთ აღმოვჩნდით რუსეთთან სრულმასშტაბიან ომში ჩართული, რაც ეროვნულ კატასტროფასთან გათანაბრებული უძიმესი შედეგებით დამთავრდა.

საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ პრობლემები და ვითარება რუსეთთან და განდგომილ რეგიონებში დარჩა და ელოდება გადაწყვეტას ისე, როგორც არასდროს.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, აქტუალურია შემდეგი საკითხები:

1. უნდა გაგრძელდეს რუსეთთან ხისტი პოლიტიკა (ე.ი. ვიცხოვროთ პოლიტიკური პარალიზის პირობებში), თუ იგი უნდა შეიცვალოს დათბობით?
2. უნდა აღდგეს თუ არა რუსეთთან ამ ეტაპზე დიპლომატიური ურთიერთობა?
3. ნატოში სწრაფვას, მასში გაწევრიანების დაჩქარების პროცესის ინიციატორები ჩვენ უნდა ვიყოთ თუ ნატოს წევრი ქვეყნები? ხომ არ ვაჩქარებთ და დრამატიზებას ვახდენთ ამ პროცესისას?
4. ხომ არ ვკარგავთ წამყვან გეოპოლოტიკურ ფუნქციას კავკასიაში იმის გამო, რომ თითქმის პასიური დამკვირვებლის როლში ვიმყოფებით სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობაში განვითარებულ მოვლენებში. ეს მაშინ, როცა მოვიაზრებოდით, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობებისა, ორივე მხარისათვის მისაღებ შუამავლად. ამის ფონზე კი, რუსეთი და თურქეთი იწყებენ ახალ „პოლიტიკურ თამაშს“.
5. სწორია თუ არა აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის, ასევე რუსეთთან ურთიერთობის პრობლემების გადაჭრის გადავალდებულება აშშ-ისთვის, ევროპისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ე.ი. მათი სრული ინტერნაციონალიზაცია, თუ იგი, უპირველესად, ჩვენი ინიციატივებით, თანდათანობით ისევ და ისევ ჩვენი გასაკეთებელია ყველა დაშვებული პოლიტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით (მათ შორის სახალხო დიპლომატიის ამოქმედებით), მათი უშულო მონაწილეობით, თანადგომითა და დახმარებით.

ჩვენ წინაშე დღის წესრიგში დადგა მთავარი

ამოცანა, სწორად არის თუ არა გაგებული ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მისი უზრუნველყოფისათვის მისასვლელი გზები, რადგან მისი ობიექტური გაცნობიერება არსებითად განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობასა და შედეგიანობას. ჩვენი ღრმა რწმენით, მუდმივ და უმთავრეს ეროვნულ ინტერესებს დღეს საქართველოსათვის წარმოადგენს:

- 0 მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სამშობლოს საიმედო დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- 0 სტაბილურობა და ეკონომიკური აღმავლობა;
- 0 დემოკრატიულ ფასეულობათა არა მარტო აღიარება, არამედ მისი სრული რეალიზაცია ღირსებით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით.

რომელია აქედან სასიცოცხლო მნიშვნელობის? ვფიქრობ, საქართველოს გარშემო დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველა ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. და მაინც, საქართველოს ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი, ანუ, ინტერესთა იერარქიის მწვერვალი ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უსაფრთხოების საიმედო უზრუნველყოფაა. ხელისუფლების კონსტიტუციური ცვლა გარდუვალია, მუდმივი იყო, არის და იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მუდმივი ეროვნული ინტერესებისა და მსოფლიო ახალი წესრიგის „კაპრიზების“, ასევე მოსალოდნელი საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს Realpolitik-აზე დაფუძნებული ეროვნული უსაფრთხოების სრულიად ახალი კონცეფცია.

რა საფრთხეები ემუქრება გარედან რუსეთს? პოლიტიკური პროგნოზების დიდოსტატის ზ. ბჟეზინსკის დასკვნების მიხედვით, რეგიონებზე გავლენის სფეროების მოპოვების თვალსაზრისით, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით, სულ უფრო გადამწყვეტ როლს ითამაშებს და უფრო პრეტენზიული იქნება ჩინეთი. აი, რას წერს ზ. ბჟეზინსკი: „ციმბირის შესანარჩუნებლად რუსეთს დახმარება დასჭირდება; მას ამ ამოცანის დამოუკიდებლად დაძლევის ძალა არ შესწევს დემოგრაფიული დაქვეითებისა და მეზობელ ჩინეთში არსებული ახალი ტენდენციების პირობებში“. [2] **რუსეთისათვის შიდა საფრთხეებიდან** ყველაზე საშიში მაინც რეგიონალური სეპარატიზმია, რომელმაც მას უკვე კარზე მოუკაუნა. ასეთ ვითარებაში, ჯერ ერთი, ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორის გათვალისწინებით, რუსეთისათვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს საქართველოსთან ცუდი ურთიერთობა, პირიქით, იგი უნდა მიესალმებოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მისი დღევანდელი ნაბიჯები კი ამ მიმართულებით პრაგმატული პოლიტიკისაგან შორსაა და არავითარ პოლიტიკურ ლოგიკას არ ექვემდებარება. რუსეთი კი არ უნდა დაუპირისპირდეს ნატოს, ხელი შეუშალოს მის გაფართოებას, არამედ უნდა იზრუნოს ნატოსთან მოკავშირეობაზე, აქ პოლიტიკური რეალობა პირდაპირ კარნახობს მას ამ ნაბიჯების გადადგმას.

რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ცნო საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების უგულვებელყოფით, საერთაშორისო კონვენციებისა და პაქტების მოთხოვნების უხეში დარღვევით

და საყოველთაოდ დადგენილი საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის იგნორირებით, რაც გამორიცხავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად აღიარების შესაძლებლობასა და სამომავლო პერსპექტივას.

ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველო რუსეთის აგრესიასთან მარტო არ დატოვა. როგორც ჩანს, გლობალური ეკონომიკური კრიზისის, და არა მარტო ამის ფონზე, აშშ ადმინისტრაციამ, რა თქმა უნდა, დააკავდებოდა შიდა პრობლემებით, თუმცა ქვეყნის გარეთ უკვე დიდი ხნის წინ გამოხატულ მუდმივ ინტერესებს არ შეცვლის. ამის ნათელი მაგალითია აშშ-საქართველოს შორის გაფორმებული ქარტია, რომლითაც საქართველო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა.

ევროპა კი შეეცდება, და უკვე დაიწყო კიდევ, მაღალი ხარისხის საკუთარი დამოუკიდებელი თამაში გავლენის სფეროებისათვის. უწინარეს ყოვლისა, მისი ინტერესები გაძლიერდება პოსტსაბჭოურ სივრცეზე, განსაკუთრებით, რუსეთის, უკრაინისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიმართ. იგი შეეცდება ითამაშოს შედეგზე გათვლილი შუამავლის როლი რუსეთ-საქართველოს შორის, ფაქტობრივად არარსებული ურთიერთობის აღსადგენად მისი ყველა მიმართულებით. რეალურად შეეცდება თვით საქართველოს შიგნით აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას, არ არის გამორიცხული ასეთივე როლი იკისროს აზერბაიჯან-სომხეთის მიმართაც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ დავინახეთ – ახლო მეზობლის ფაქტორი. ევროპა, მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, გარკვეულად დამოკიდებულია რუსეთზე, მას უამრავი რეალური ბერკეტები აქვს რუსეთის მიმართ (მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო).

პოლიტიკის დიდ საჭადრაკო დაფაზე ახალი თამაშები იწყება. მსოფლიო ახალი წესრიგისა და გავლენის სფეროებად გადანაწილების მოლოდინშია. როგორი სვლები გაკეთდება ძირითადი მოთამაშეების მხრიდან, ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის. გარკვეულია მხოლოდ ძირითადი მოთამაშეების ვინაობა, ესაა: აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, სერიოზული მოთამაშეები ხდებიან ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, ბევრიც ემზადება. გარკვეულია ისიც, რომ რუსეთმა გაუგზავნა სერიოზული მესიჯი აშშ-ს, ევროპას იმის შესახებ, რომ ის კავკასიიდან გასვლას არ აპირებს, უფრო მეტიც, აგვისტოს ომის შემდეგ გადადგმული ყველა მისი ნაბიჯი იმის დასტურია, რომ მას უნდა ექსკლუზივი კავკასიაზე. ამ მიზნით ის ალაგებს კიდევაც ურთიერთობებს აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან, ხოლო საქართველოსთან ურთიერთობების დალაგებას ჯერჯერობით არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. გამოხატავს რა თავის მუდმივ სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაში, იწყებს სამხედრო ბაზების მშენებლობას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში 49-წლიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

ჯერ კიდევ 2004 წელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე მუშაობისას ასეთ დასკვნამდე მივიღო: „საქართველოს საგარეო-პოლიტიკური

ორიენტაცია უნდა იყოს მრავალგანზომილებიანი“, ქართული პოლიტიკის ისტორიაში და დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული დასავლური ორიენტაციის პრიორიტეტი არ უნდა გახდეს ეროვნული უსაფრთხოების „ჩრდილოეთი-სამხრეთი ვექტორის“ არეალიდან მომდინარე საფრთხის გაღრმავების მიზეზი, რაც სრულიად შეესაბამება საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიულ ინტერესებს – პოსტ-საბჭოთა გეოპოლიტიკურ სივრცეში ძალთა ბალანსის დამყარებას და ევროატლანტიკური ნაკადის გაძლიერებას“. მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ომისა, ერთგული ვრჩები და მხარს ვუჭერ „მრავალგანზომილებიან“ ძალთა ბალანსზე დამყარებულ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს. ჩვენ არ უნდა დაგვამინოს ორი დიდი სახელმწიფოს – აშშ-ისა და რუსეთის – ინტერესებმა კავკასიაში. სწორედ ეს გარემოება უნდა გამოვიყენოთ.

მინც როგორ და რა გზით უნდა იაროს ახალმა ხელისუფლებამ?!

მსოფლიოს ახალი წესრიგის მოლოდინში, ევროპასთან მიმართებაში დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პრიორიტეტებიდან პირველ ადგილზე უნდა გადაინაცვლოს ევროკავშირთან ინტეგრაციის მაქსიმალურად გააქტიურების პოლიტიკამ.

ნატოსთან მიმართებაში კი, ყოველგვარი დრამატიზირების გარეშე უნდა შევუსაბამოთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა აღიანის მიერ შემოთავაზებულ თამაშის წესებს. ნატო, თავის მხრივ, მაქსიმალურად ვაითვალისწინებს რუსეთის ფაქტორს, მისი ნეგატიური დამოკიდებულების სიმსაფრის ხარისხს და საჭირო დროს, შესაბამისი ვარემოებებისა და ბალანსის დადგომისას, ისე რომ არ დააყენებს, მიიღებს თავის პოზიტიურ გადაწყვეტილებას.

საქართველოს აშშ-თან ურთიერთობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის საყოველთაოდ აღიარებული პრიორიტეტი იყო და იქნება მომავალშიც. ისე როგორც აშშ-ისთვის საქართველო. საფუძველს მოკლებულია პესიმიზმი პოლიტიკოსების მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს აშშ-ისთვის საქართველო სტრატეგიული აქტივებიდან გადავიდა სტრატეგიულ პასივებში. თითქოს შეიცვალა აშშ-ის მუდმივი ინტერესების შინაარსი. მას მუდმივი სწორედ იმიტომ ეწოდება, რომ მისი შინაარსი არ იცვლება. ამის დადასტურება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადება „შერთებული შტატები გადაჭრით ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აპირებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას“. უფრო მეტიც ამაში მთელი სიცხადით დავრწმუნდით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების დროს აშშ-ის განუსაზღვრელ როლში საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს შესაძლებლობის მაქსიმუმი და რუსეთი არა მარტო დაამშვიდოს, არამედ დაარწმუნოს, რომ ეს მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ არ ხდება და არ მოხდება მომავალშიც. უფრო მეტიც, შევთავაზოთ რუსეთს, რომ ორივემ ვიაროთ დასავლეთისაკენ, ისე რომ ერთმანეთს ხელი არ შევეშალოთ.

„რუსეთს კი არ უნდა ებრძოლო, არამედ შენი გზით წაიყვანო“ – ზბიგნევ ბჟეზინსკი. [3]

რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენ გვინდა მათთან

სამართლიანი, თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობები, სუვერენული საქართველოსი სუვერენულ რუსეთთან, დამოუკიდებელი საქართველოსი დამოუკიდებელ რუსეთთან. ე.ი. რუსეთთან გვინდა კეთილმეზობლური ნორმალური ურთიერთობა და არა მტრობა, რუსეთთან გვინდა მშვიდობა და არა ომი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არა მარტო ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ხელს შეგვიწყობს ამ მიზნის მიღწევაში. რუსეთი იმაშიც უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი ასეთი პოლიტიკა პრაგმატული პოლიტიკაა და მასვე წაადგება სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და წინსვლისათვის.

უნდა დავარწმუნოთ აგრეთვე აფხაზებიც და ოსებიც და ვუთხრათ, რომ კონფლიქტების მოგვარების ძალისმიერმა მეთოდებმა თავისი დრო მოჭამა და იგი ისტორიის კუთვნილებად იქცა. მან გზა უნდა დაუთმოთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ყველა შესაძლებელ ხერხსა და მეთოდს. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკების დასაწყებად და გვაქვს ერთიანი განვითარების პროგრამა. ჩვენ მზად ვართ შერიგებისათვის და მონანიებისათვის, ჩვენ გვძალუძს ერთად ცხოვრება. ჩვენი ტრადიციები, კულტურა და მორალურ-ზნობრივი კოდი უფრო მეტი სიახლოვით გამოირჩევა, ვიდრე სხვებთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ქართველებისა და აფხაზ-ოსების ურთიერთნათესაური კავშირები და შერეული ოჯახების მრავალათასიანი არმია ამის ნათელი დადასტურება იყო და იქნება კიდევ დიდხანს.

არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ არაფერი კეთდება მარტო ქართველებისათვის, არაფერი კეთდება მარტო აფხაზებისა და ოსებისათვის, არამედ ყველაფერი კეთდება ქართველებისათვის, აფხაზებისა და ოსებისათვის, საქართველოში მცხოვრებ დანარჩენი თანამოქალაქეების ჩათვლით. „იცავ რა აფხაზის, სომეხის, ოსის ღირსებას, ესე იგი იცავ შენს ღირსებას, სხვანაირად ჩემთვის არ არსებობს მაღალი მცნება ქართველისა. მე მათთან ერთად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ“ [4].

საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციის პროგრამა უნდა იყოს შეუქცევადი, მრავალეტაპიანი, თანდათანობითი, ხანგრძლივი, სულ ცოტა ხუთ და მეტ წელზე გათვლილი. ღრმად ვარ დარწმუნებული გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვევლობა აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს უახლოეს და ახლო თუ არა, გრძელვადიან პერსპექტივაში კომერციული ურთიერთობები აუცილებლად დაიწყებს ამოქმედებას, რაც თანდათან ბიზნეს ურთიერთობებში გადაიზრდება.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიძლიროთ იმისთვის, რომ აფხაზეთისთვის და ოსებისთვის მეორე სარკმელი გავხსნათ, რომელიც მათ ეკონომიკური განვითარებისა და დატულობის მეტ პეტსპექტივის განცდას ჩაუსახავს, ვიდრე ჩრდილოეთით გაჭრილი ფანჯარა.

სავსებით შესაძლებელია ყოფილ მეზობლებს შორის კომერციულ ურთიერთობებთან ერთად კვლავ დადგეს დღის წესრიგში, როგორც სარკინიგზო ხაზის აღდგენა სოჭი-სოხუმი-თბილისი-ერევნის მიმართულებით, ისე ნოვოროსისკიდან აფხაზეთის გავლით საქსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთების მიზნით.

სწორედ ამ დროისთვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით. სამოქმედო პროგრამის პოლიტიკა და სტრატეგია

მეორე მხარესთან (მხარეებთან) მიმართებაში არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც ღაცვითი, არამედ კონსტრუქციული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორის ნდობის აღდგენა და თანდათანობით სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებ და სასარგებლოდ განვითარება.

პროგრამის რეალიზაცია შესაძლებელი რომ გახდეს, მხარეები, უპირველესად, უნდა შეთანხმდნენ ორივე მხარისათვის მისაღებ და ნდობით აღჭურვილ შუამავლებზე (ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული სახელმწიფოები, პოლიტიკური ფიგურები).

რა თქმა უნდა პროგრამის შინაარსის ქვეშ ვგულისხმობთ: ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნებას, რაც არ ნიშნავს მარტო ლტოლვილების უსაფრთხოებას, ეს ნიშნავს იქ დაბრუნებას უსაფრთხოებასაც.

და ბოლოს, ერთიან საქართველოში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის სპეციალური ფართო ავტონომიის ფორმით ფრთხილი, ხანგრძლივი და რთული გზის გავლით უნდა განხორციელდეს და თავისი უნიკალობითა და მიმზიდველობით უნდა გადაწონოს ე.წ. კოსოვოს დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერების და მოწინააღმდეგეების პოზიციებს, ჩვენი მხრიდან გვინდა აღვნიშნოთ, რომ:

კოსოვოს პრეცედენტის მოშველიება აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და უპერსპექტივო იმ თვალსაზრისით, რომ იქ კოსოვოელი ალბანელების გენოციდი, ეთნოწმენდა და თითქმის 1 მილიონი მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან გაძევება მოხდა სერბებისა და სერბეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ. აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ანალოგიური ვითარება გვექნებოდა თუ ქართველები და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება საყოველთაო საშიში საშუალებებით, მათ შორის გენოციდის და ეთნოწმენდის გზით, აფხაზეთიდან აფხაზებს და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ოსებს გააძევებდა და ისინი აღმოჩნდებოდნენ იძულებით გადაადგილებულის სტატუსით. სულაც არ იქნება საფუძველს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა

კოსოვოელი ალბანელების მიმართ მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების ჩათვლით.

P.S. არ მიწინააღმდეგავთ იმე ბაიბოს, რომ ჩვენი საქმე პარადაა. არა, საქმე რთულადაა, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით არის იმედი!

Jemal Gakhokidze, full professor

SUMMARY

We believe that now for Georgia the permanent and fundamental national interests are:

- Territorial integrity, reliable protection of the homeland and ensure of security;
- Stability and economical development;
- Not only the recognition of democratic values, but its full realization for forming of worthy civil society.

Foreign - political orientation of Georgia should be multidimensional. In the history of Georgian politics and in today's Georgian society, universally recognized western-oriented priority should not be reason for danger, which is equivalent of Georgia's security and strategic interests - establishment of balance of power in the Post - Soviet geopolitical space and strengthening of the Euro-Atlantic flow.

ლიტერატურა:

1. ჰ. კისინჯერი, დიპლომატია (რუსულ ენაზე), 2004
2. 3. Бжезинский, «Выбор: мировое господство и глобальное лидерство», М., 2005, 140.
3. ზ. ბჟეზინსკი, „სტრატეგიული ხედვა, ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი“, 2012 წ.
4. М. Мамардашвили, «Грузия вблизи и на расстоянии», Тбилиси, 1995, с. 32.

რეჟიმის შემოღება ცალკეულ ქალაქებში, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა, სადამსჯელო ოპერაციები სამეგრელოში და ა.შ.).

უნდა ითქვას, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად (შემოდგომა, 1992 წ.) ქვეყანაში ვერ დამკვიდრდა ურთიერთკონტროლი და წონასწორობა. პარლამენტის შიგნით გაჩნდა ოპოზიციური, პოლიტიკური ძალები, რომლებიც, ფაქტობრივად, დანიშნვის გზით მოვიდნენ საკანონმდებლო ორგანოში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით შეძლო შეექმნა საპარლამენტო უმრავლესობის ბლოკი, ოპოზიციური ძალების დაპირისპირების შედეგად სრულყოფილად ვერ ამუშავდა სამართლებრივი სახელმწიფოს სამი უმთავრესი მექანიზმი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

ქვეყანაში ოფიციალური და არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების თარემის ფონზე ნიშანდობლივი იყო ე. შევარდნაძის მცდელობა – მიეღო საგანგებო უფლებამოსილება, რაშიც მას უდავოდ დაეხმარა ნომენკლატურული, ყოფილი პარტოკრატია და ინტელიგენციის ზედა ფენის ნაწილი, რომელიც შემდგომში სახელისუფლო ელიტად დამკვიდრდა.

აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი განვითარება და ქვეყნის მართვა პოლიტიკური ელიტის მიერ ორი ტიპის პერიოდული მონაცვლეობით ხორციელდება. ყველაზე მეტად მიღებულია ვ. პარეტოს მიერ ჩამოყალიბებული ელიტარული ტიპების კლასიფიკაცია: პირველი – „ლომი“, რომელიც გამოირჩევა მკაცრი და შეუვალი გადაწყვეტილებებით, უხეში ძალისმიერი მმართველობით, და მეორე – „მელა“, რომელიც ხასიათდება მოქნილი ხელმძღვანელობის მეთოდით, პოლიტიკური კომბინაციებით, მართვის ისეთი რბილი ტექნოლოგიის გამოყენებით, როგორცაა: მოლაპარაკებები, დათმობები, შექება, დარწმუნება და ა.შ.

დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ ელიტართა მცირე ჯგუფი დიქტატორული მეთოდებით დაუპირისპირდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ ფაქტობრივად, ეს არ იყო „ლომის“ ტიპის პოლიტიკური მართვის მოდელი. სახელმწიფოს მეთაურმა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე „მელა-ლომის“ შერეული ტიპის მართვის სისტემა აირჩია. არჩეული ხელისუფლების დამხობის შემდეგ მხოლოდ უმკაცრესი, მაგრამ კარგად გაწონასწორებული რეჟიმი იხსნიდა საქართველოს სამოქალაქო ომისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევისაგან და არა ელიტა – უმცირესობის მიერ მსოფლიო ელიტის მხარდაჭერის იმედით იმის გამოცხადება, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გადატრიალების მსურველებს უჭერდა მხარს. ამ დიდმა პოლიტიკურმა ცდომილებამ მნიშვნელოვნად განაპირობა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მთელი საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს – პირველ რიგში კი – სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობასთან, რასაც საბოლოოდ შედეგად ქართულ-აფხაზურ ომში სამარცხვინო დამარცხება და ტერიტორიის დაკარგვა მოჰყვა.¹

¹ გაზ. „ერი და ცხოვრება“, 1998, 23 მარტი, 8 აპრილი.

გადატრიალების შედეგად მოსული ელიტარული ძალები ცდილობდნენ ემართათ სახელმწიფო, მაგრამ ელიტარში ამავე დროს კლასობრივ დაყოფასაც გულისხმობს; ამიტომ ელიტარული პოლიტიკოსები მხოლოდ თავის თავს მიაწერდნენ მიღწევებს და ამით გარკვეულწილად აკნინებდნენ საზოგადოების როლს. დაიწყო პიროვნულად დაკანონება იმისა, რაც ხალხს უნდა გადაეწვევია.

ხელისუფლების მაღალ წრეებში პირდაპირ მიანიშნებდნენ კლასობრივ განსხვავებაზე, რომელიც არსებობდა ე.წ. „დაბალ ფენებსა“ და იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საზოგადოების მაღალ ეშელონებთან.

არადა ისედაც ყველასათვის ცხადი იყო, რომ ქვეყანაში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ დაბალი და საშუალო ფენა შეადგენდა, რომელიც ახალი ძალების სახელისუფლო პოლიტიკით ამკარად უკმაყოფილო იყო, სამართლიანად ისმებოდა კითხვა: **თუ სახელმწიფოში ყველაფერი მოწესრიგებული იყო, რა აიძულებდა მოსახლეობის უმრავლესობას გამოსულიყო ხელისუფლების წინააღმდეგ და დაესვა მმართველობის უნდობლობის საკითხი?**

ცხადია, როდესაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, მოუწესრიგებელი იყო ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, როდესაც სახელმწიფოებრივი მართვის სათავეში იდგნენ ე.წ. ელიტარული ინტელიგენციის მცირე ჯგუფი, რომელიც ძალადობით – თავის ნებაზე მიშვებული ფორმალური და არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების ფაქტობრივი პოლიტიკური ტერორით ცდილობდა უკმაყოფილო ხალხის დამშვიდებას, საზოგადოებას ისღა რჩებოდა, რომ ამა თუ იმ ფორმით უნდობლობა გამოეცხადებინა არსებული ხელისუფლებისათვის.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ელიტარული ჯგუფი ცდილობდა განსაკუთრებული როლი მიენიჭებინა შევარდნაძის პიროვნებისათვის. მაგალითად, ფართოდ რეკლამირდებოდა განცხადებები და გამოსვლები: „ვინ გვაჭმევს დღეს პურს, ვისი მსოფლიო ავტორიტეტი? ვინ მიაყენა რუსული საგარეო პოლიტიკა კუთხეში?.. „რუსეთმა ბევრი უნდა დათმოს, უნდა თუ არა, უკან უნდა დაიხიოს“ და ა.შ.

ცხადია, ასეთი ცალსახა, დაპროგრამებული მსჯელობები და წარმოდგენები უარყოფდა ქვეყანაში ალტერნატიული, ინტელექტუალური პოტენციალის არსებობას; ამავე დროს, ეს იყო ხელისუფლების პოლიტიკის უსუსურობისა და შეცდომების მიფუჩენების, დემაგოგიური საშუალებებით საზოგადოებისათვის თვალის ახვევის მცდელობა.

ამასთანავე, რუსეთის მიმართ ხელაღებით უარყოფითი საზოგადოებრივი განწყობილების შექმნა მცდარი და მიუღებელი იყო. გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლებამ ვერ შეძლო რუსეთის თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ფაქტია, რომ აფხაზეთის საკითხის მოგვარება უნდა მომხდარიყო პირველ რიგში რუსეთთან საერთო ენის გამოძებნის მეშვეობით.

თუმცა, მეორე მხრივ, თავისი პირადი ინტერესებისათვის საფრთხის გაჩენის შემთხვევისთანავე, ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის შეიარაღებული ძალები წარმატებით გამოიყენა ყოფილი ხელისუფლების მხარდამ-

ჭერთა გასანადგურებლად, რაც შემდგომ ე.წ. პროვინციულ ფაშინებზე დიდ გამარჯვებად გამოცხადდა!

სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების მაღალ წრეებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს კომუნისტური პოლიტიკური რეჟიმის მიერ გაჩენილ საყოველთაო კრიზისის შემკვიდრებად მიიჩნევენ და ფიქრობდნენ, რომ ამ კონფლიქტს არ ჰქონდა ეთნო-ნაციონალური ფესვები, არამედ ასაზრდოებდა ნაციონალიზმის ბინძური ნიადაგი, უჩვეულო ფაშინში, რომელიც კომუნისტური წყობილების წიაღში იყო წარმოშობილი.

ცხადია, აქ წინააღმდეგობაა, რადგან ისინი, ერთის მხრივ, აღიარებდნენ, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ასაზრდოებდა ნაციონალიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, უარყოფდნენ კონფლიქტის ეთნიკურ ხასიათს; ბუნებრივია, ამ შემთხვევაში აფხაზურ ეთნო-ნაციონალურ მისწრაფებებს უნდა დაპირისპირებოდა ქართული ნაციონალიზმი. სხვა ალტერნატივა ნამდვილად არ ჩანდა.

აღნიშნული თეზა შორს გამიზნულ ამოცანას ისახავდა, ქვეყნის იმდროინდელ ხელისუფლებას ეს იმისათვის ჭირდებოდა, რომ განდევნილი კანონიერი ხელისუფლება პროვინციულ ფაშინებში გამოეცხადებინა. ახალი მმართველობა აღიარებდა, რომ ნაციონალიზმი საქართველოში საბჭოთა წიაღში ჩაისახა, მაგრამ ხალხის შეგნებაში არ დამკვიდრდა, ხოლო როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ნაციონალიზმს, – ანუ პროვინციულ ფაშინს, – კომუნისტების დამარცხებიდან სულ რაღაც ხუთ-ექვს თვეში განსაკუთრებული საზრდო მიეცა, მთელი საქართველო უცებ გადაგვარდა და სწორედ მან განაპირობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტიც. რა იყო ეს? ყველასთვის თვალში ნაცრის შეყრის ცდა, საკუთარ შეცდომათა მიფურცლების წაღილი თუ პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება, თუ სამივე ერთად?

ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, როდესაც ამ თემას ეხებოდა, შენიშნავდა, რომ შეუძლებელი იყო ქართველებს პროვინციული ფაშინში დაბრალებოდა, ქვეყნის ყოფილი ხელისუფლება და მისი მომხრეები ამ შეფასებას არ იმსახურებდნენ, რადგან ასეთი რამ დასავლეთის ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს უფრო ახასიათებდათ.¹

წინა ხელისუფლების მომხრეების პროვინციულ ფაშინებზე გამოცხადების მიზანი იყო საზოგადოების თვალში მოეხდინათ მათი მოღვაწეობის დისკრედიტაცია, დაეკნინებინათ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მნიშვნელობა, ხოლო ხალხი, რომელმაც მხარი დაუჭირა იმდროინდელ ხელისუფლებას, „ბრბოდ“ ცხადდებოდა.

ელიტარულობისაკენ სწრაფვა აშკარად ახასიათებდათ ხელოვნებისა და კულტურის იმ მოღვაწეებს, რომლებსაც სამართლიანი პოლიტიკური მორალი ნაკლებად აწუხებდათ და თვლიდნენ, რომ ყველაფერში ისინი უფრო მართლები იყვნენ, ვიდრე ახალი ხელისუფლების კურსის ოპონენტები. ელიტარული ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი ფიქრობდა, რომ მათ იდეები უნდა ეკარნახათ ხალხისათვის; მაგალითად, პოეტ რ. ამაშუკელის აზრით, ის ოპოზიციონერებთან შედარებით სხვა წონით კატეგორიას განეკუთვნებოდა, როგორც კულტურის მინისტრისა და მოქალაქეთა კავშირის

¹ გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1997, 15-21 ივლისი.

თავმჯდომარის მოადგილე.²

ელიტარული ჯგუფის სხვა წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელი იყო მიტინგებზე, შეკრებებსა და გამოსვლებში ადამიანების მიერ გამოხატული გულისტკივილის უარყოფა, და ეს მაშინ, როდესაც მათთვის სახელისუფლო კრიზისის პირობებშიც კი მისაღები იყო სისტემური ცრუ დაპირებები, აღფრთოვანებული სატრაბახო შეძახილები შევარდნაძის უდიდესად შედეგიან ვიზიტებზე მსოფლიოს ქვეყნებში, არადა, ფაქტობრივად, არც ერთ ამ ვიზიტს ქართველი ხალხისთვის რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

სწორედ ასეთი ლოზუნგური შეფასებითა და ეიფორიული აღტკინებით იკვებებოდა ქვეყნის ელიტარული საზოგადოების ნაწილი, რომელიც არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოლოგის დანიელ ბელსის ასეთ სიტყვებს:

„ხელისუფლება ხორციელდება ისეთი მექანიზმებით, როგორც არის ღირებულებანი, ტრადიციები, კანონიერება, შეთანხმებები და ა.შ. ძალადობის გარეშე“.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება მსოფლიო ინტეგრაციის ტენდენციებს მხოლოდ ერთ უწყვეტ პროცესად განიხილავდა, რაც უმართებულო იყო, რადგანაც ქვეყნებს შორის არ იყო აღმოფხვრილი ეროვნულ-პოლიტიკური და ეროვნულ-რელიგიური დაპირისპირებანი, რომლებიც პლანეტის ყველა რეგიონს მოიცავდა და ადვილი შესაძლებელი იყო კიდევ უფრო დაეჩქარებინა მსოფლიო გათიშვის პროცესი.

ეროვნულ-პოლიტიკურ და ეროვნულ-რელიგიურ დაპირისპირებებს მართავდნენ ეკონომიკურად ძლიერი საერთაშორისო ძალები, რომლებსაც სურდათ ეკისრათ კაცობრიობის სამშვიდობო მხსნელის მისია. ამ ძალების ლოზუნგი პირობითად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: „მშვიდობა ხალხებს, სიმდიდრე – ჩვენ“. საყოველთაოდ ცნობილი მარქსისტული მოწოდება – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ – შეიცვალა თანამედროვე კაპიტალიზმის ლოზუნგით: „მდიდრებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

შეეძლო თუ არა საქართველოს გაჰყოლოდა ამ გზას? აქ პასუხი შეიძლება ცალსახაც იყოს, რადგან მუდმივი საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სისტემები არ არსებობენ, ხოლო კაპიტალიზმის სისტემამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები; ამიტომ საქართველოს მოუწევდა გამიჯნოდა მისი ისტორიული გზისთვის მიუღებელ თეზას ქვეყანაში უმდიდრესი ადამიანების მცირე ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლებიც მონდომებდნენ თავს მოეხვიათ მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების არარეალური, ქვეყნისთვის მიუღებელი გზა.

საქართველოს ხელისუფლების გარკვეულ წრეებში, როდესაც დასავლეთზე ქებას იწყებდნენ, ივიწყებდნენ, რომ მარქსიზმი, წარმოშობით, ევრო-დასავლური იდეოლოგიის პირამო იყო. სწორედ ევროპა იდგა რუსეთში თებერვლისა და ოქტომბრის მოვლენების სათავეში და გადატრიალების მოთავეებს ეკონომიკურ და მორალურ დახმარებას უწევდა, მაგრამ საპირისპიროდ საბჭოეთის გაერთიანებული სახელმწიფო მიიღეს, მოგვიანებით, და-

² გაზ. „ერი“, 1994, 20 აპრილი.

სავლეთის ხელშეწყობით, საბჭოთა კავშირი დაშალა შინაგანმა წინააღმდეგობებმა. თანამედროვე რუსეთსაც პრობლემები დაემუქრა და აქ დასავლეთმა კვლავ შეასრულა განსაკუთრებული როლი. დასავლეთის წყალობით მოხდა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დაშლის მცდელობაც და ამ გზაზე პირველი მერცხალი ჩეჩნეთი იყო. რუსეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტ ელცინის მეთაურობით კრახი განიცადა... მაგრამ საზღვარსაღმეთ, ალბათ, არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს დასავლეთს მოვლენების ასეთმა განვითარებამ დიდი კმაყოფილება მოუტანა, – პირიქით, იგი ახალი არაერთმნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, – როგორც თვით დასავლელი მიმომხილველები წერდნენ ძნელი სათქმელი ჩანდა, რა იყო უარესი – ერთი, თუნდაც ძალზე დიდი სსრკ, თუ მის ნანგრევებზე აღმოცენებული უამრავი სახელმწიფოები თავისი დიდი ამბიციებით.

სოციალურ-ეკონომიკური მართვის პრობლემები

როგორც ცნობილია, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები, ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური სისტემები, თავისი ნიშნითა და მახასიათებლებით, რთული სისტემებს წარმოადგენენ. ამიტომ მათი ფუნქციონირება ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედ უნიერსალურ და სპეციფიკურ სისტემურ კანონებს, ანუ ზოგად კანონზომიერებებს ემორჩილება. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეროვნებათმორისი, ეთნიკურ ჯგუფთაშორისი პრობლემებისა და კონფლიქტების გადაწყვეტის შესაძლებლობა, უპირველესად, არსებული ბუნებრივი სისტემური კანონებისა და კანონზომიერებების ანალიზსა და აუცილებელ გათვალისწინებაში უნდა ვეძებოთ.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დასკვნები აქვთ გამოტანილი ქართველ და უცხოელ მეცნიერებს; მათ შორის დიდ ყურადღებას იპყრობს აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ნაშრომები.¹ აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას გამოკვლევები.² აღნიშნული პრობლემების გარშემო ღირებულია სხვა მკვლევარ-მეცნიერთა მოსაზრებები, დასკვნები და რეკომენდაციები.³

მეცნიერები საბაზრო ურთიერთობის პირობებში

¹ ი. ფრანგიშვილი, „რთული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მართვის ზოგიერთი პრობლემა“, ურნალი „პრიბორი“, და „სისტემა უპრავლენია“, მოსკოვი, 1995, №8; მისივე „სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზომიერებანი“, კრებულში „ფილოსოფიისკიე ისლედოვანია“, მოსკოვი 1997, №3; მისივე სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების სისტემური მდგომარეობა და სისტემური კანონზომიერებანი, მოსკოვი, 1998.

² ნ. ჭითანავა, „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები“, თბილისი, 1990; „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, თბილისი, 1992, „შერეული მრავალწიბიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა“, თბილისი, 1997; „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, 1997.

³ ლ. ჩიქავა, გ. ყუფუნია, რ. გოგოხია, ი. მესხია, რ. ასათიანი, პ. ლემონჯავა, გ. გამსახურდია, ა. კუჭუხიძე, ალ. სიჭინავა, შ. ვეშაპიძე, ფ. რობერტსი, ა. დაგაევი, ა. მარტინოვი, ზ. არტუხოვი, ი. გორსკი, ვ. ლაუშუკი, ა. ბოგდანოვი, ს. ჩერნიავსკი, ი. ზუბცოვა, ი. აბაშენკო. ვ. შ. პაზალოვი, ზ. კრიცკოვი, ი. ბუტრინი და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების მართვის ხუთ მდგომას გამოყოფენ. ცხადია, წინა პლანზე იწვევს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის ძირითადი პირობები და ქვეყნის განვითარების მდგრადობის მოდელები. მუდმივი დადლილობის სინდრომი, რომელიც ამცირებს ადამიანების აქტიურ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისი სხვადასხვა ქვეყანაში, პირველ რიგში, საფრთხეს უქმნის განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას, მაგრამ საქართველოში ამ სფეროების პარალელურად ერთდროულად მნიშვნელოვნად დაზარალდა ეკონომიკის ყველა დარგი. ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების მართვის თანამედროვე ფორმების ძიება, ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოსვლის პოვნა და განვითარების მდგრადი მოდელის შექმნა. ამ მიმართულებით არც საქართველო იყო გამონაკლისი, მაგრამ ქვეყანაში ხელშესახები ძვრები ვერ განხორციელდა.

სოციალურ-ეკონომიკური მართვის ამოცანები შეიცავს მრავალრიცხოვან მნიშვნელოვან პარამეტრებს, რომლებიც უკუმოქმედებენ ერთმანეთთან და პოზიტიური თუ ნეგატიური ტენდენციები ახასიათებთ. ამიტომაც ეკონომიკურ მართვაში შეუძლებლად ჩანს ორპარტიანი ლოგიკის გამოყენება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი სტანდარტული თუ კლასიკური მოდელების დანერგვის პროცესს.

ეკონომიკური მმართველობის ფორმები ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ხორციელდება შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკის კურსიდან გამომდინარე, მიღებულია ხუთი ტიპობრივი მდგომა:

1. **წმინდა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობა**, როდესაც სახელმწიფო მინიმალურად ან პრაქტიკულად არ ერევა კერძო სექტორის საქმიანობაში – როგორც წარმოების, ასევე მომსახურების სფეროში. სახელმწიფოს ხელში რჩება მხოლოდ სამართლებრივი და უშიშროების ფუნქციები. ამ შემთხვევაში თავისუფალ ბაზარზე ორიენტირდება სტიქიური საბაზრო ძალები, რომლებიც ეფექტიანია ძირითადად წვრილ და საშუალო ბიზნესზე, უფრო ნაკლებად მსხვილ ბიზნესზე, თუ ის დაკავშირებულია პროდუქციის გამოშვებასთან, რეალიზაციასა და მომსახურებასთან. აქ არ შეიძლება შედიოდეს, მაგალითად, ნავთობის, გაზის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და ა.შ.

სტიქიური საბაზრო ძალები შედარებით ეფექტიანია გადაამუშავებაში (და არა მოპოვებაში – ი.კ.), ისინი ძირითადად აქცენტირებენ საბოლოო პროდუქტსა (ბენზინი, კარაქი, სპილენძი, ალუმინი, რკინა და ა.შ.) და მის რეალიზაციაზე. ამ ეტაპზე მათ საქმიანობაში სახელმწიფო არ ერევა და მუშაობს წმინდა თავისუფალი ბაზარი.

2. **რეგულირებადი ბაზარი**, როდესაც სახელმწიფო ინარჩუნებს საკმაოდ აქტიურ როლს ეკონომიკური მექანიზმების მართვაში (შეღვათები, კრედიტები, მაკრო და მიკოეკონომიკური პროცესები და ა.შ.), ამასთან, პრიორიტეტი წარმოების საკითხებში, ინვესტიციების, მარკეტინგის, შრომითი რესურსების გამოყენება ეკუთვნის კერძო ფირმებს და მათ გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო კისრულობს კონკურენციის უზრუნველყოფის პრობლემებს,

სამართლებრივი ნორმების და მომხმარებელთა ინტერესების და სხვა ფაქტორების დაცვას და ა.შ. სხვათა შორის, ამ მიდგომამ გაამართლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

3. **სოციალურ-საბაზრო ტიპობრივი მიდგომა**, რომელიც ითვალისწინებს მეტწილად სისტემურ, მაგრამ შეზღუდულ სახელმწიფოებრივ ჩარევას. ამ შემთხვევაში მთელი სისტემის საფუძველში – წარმოებასა და განაწილებაში ერთდროულად მონაწილეობს კერძო უწყება და სახელმწიფო სტრუქტურები. მთავრობა პასუხს აგებს საზოგადოების ნაკლებად დაცული ფენების (უპუშევრები, ასაკოვნები, ინვალიდები, ბავშვები, მცირეშემოსავლიანები ოჯახები) სოციალურ უზრუნველყოფაზე; ამასთანავე ეხმარება წვრილ ფირმებსა და საწარმოებს, რომლებიც საჭირონი არიან, მაგრამ კონკურენციას ვერ უწევენ მსხვილ ფირმებსა და საწარმოებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიდგომამ გაამართლა ომისშემდგომი გერმანიის ეკონომიკის განვითარებაში.

4. **კორდინირებული საბაზრო ეკონომიკა**, როდესაც სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედება კერძო სექტორთან შესაძლებლობას იძლევა შედარებით ეფექტიანად იმართოს ეკონომიკა. სახელმწიფო აწარმოებს აქტიურ პოლიტიკას და ხელმძღვანელობს დასაქმებულ სფეროს, ქმედით მონაწილეობას იღებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების შემუშავებაში და ა.შ.

ასეთი მიდგომა დამახასიათებელია სკანდინავიის ქვეყნებისათვის. ამ ტიპის ეკონომიკური მართვის სისტემაში სახელმწიფო აქტიურ ჩარევას ახორციელებს იმ მიმართულებებში, რომლებშიც სტიქიური საბაზრო ძალების ორიენტაცია გამოიწვევდა აშკარა კრახს. მხედველობაშია სტრატეგიული მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ეროვნულ ინტერესებს, სამხედრო პოტენციალს და სხვა მაღალი დონის პრიორიტეტებს, სადაც ხორციელდება სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა.

სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევა ხდება იმ კერძო ბიზნესში, რომელიც მნიშვნელოვნად პერსპექტიულია, მაგრამ იმავდროულად ძალიან მაღალია ფინანსური რისკის ხარისხი ან არსებობს სხვა მიზეზებიც.

5. **ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვა**, როდესაც სახელმწიფო გაძლიერებულად, ყველანაირი ფორმით ერევა წარმოების ეკონომიკურ საქმიანობაში, ახორციელებს მკაცრ ცენტრალიზებულ კონტროლს და დიდ გავლენას ახდენს წარმოებასა და მომსახურებაზე. ამ მიდგომაში არის დირექტიული დაგეგმვის სისტემა სოციალურ სფეროში უპირატესი ყურადღების გამახვილებით.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

Igor Kveselava, full professor; GTU

PARADIGMS AND DILEMMAS OF POLITICS AND ECONOMY OF GEORGIA

SUMMARY

Due to objective and subjective reasons Georgia failed to build a Western democratic model state. During the formation of the perfect state Georgia had to wander a lot and pass through the several stages of development.

Shevardnadze's government system led to the civil resistance and territorial disintegration. The elite groups were formed in the country. Began the process of Shevardnadze's deification.

The country could not use Russia in its favor and it led to the expansion of the Georgia-Abkhazia conflict. As a result, the country received the disintegration of society, government corruption which did not have neither political nor economic containments. At that very time, the country was facing a challenge to overcome the social and economic crisis and choose between 5 approaches.

1. Free pure market relations;
2. Market regulation;
3. Social-market relations;
4. Corrupt market economy;
5. managerial-authoritative governing es tarmanania.

ლიტერატურა:

1. გაზ. „ერი და ცხოვრება“, 1998, 23 მარტი, 8 აპრილი.
2. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1997, 15-21 ივლისი.
3. გაზ. „ერი“, 1994, 20 აპრილი.
4. შ. ვეშაბიძე, ე. ლევიშვილი, ა. გრიშოკაშვილი, ნ. ასლამაზიშვილი, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008;
5. ი. კვესელავა, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური მოდელები, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, 2012, №3;
6. ი. ფრანგიშვილი, „რთული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მართვის ზოგიერთი პრობლემა“, ჟურნ. „პრიბორი“, და „სისტემა უპრავლენია“, მოსკოვი, 1995, №8; მისივე „სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზომიერებანი“, კრებულში „ფილოსოფიური სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზომიერებანი“, მოსკოვი 1997, №3; მისივე „სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების სისტემური მდგომარეობა და სისტემური კანონზომიერებანი“, მოსკოვი, 1998.
7. ნ. ჭითანავა, „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები“, თბილისი, 1990; „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, თბილისი, 1992, „შერეული მრავალწილობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა“, თბილისი, 1997; „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, 1997.
8. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები, თბ., 2012.

თვითგამორკვევის უფლება და საერთაშორისო სამართალი (აფხაზეთი, ოსეთი, კოსოვო)

სოფო მიდელაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

XX

თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის მიხედვითაც ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. საერთაშორისო სამართალი ამ უფლებით ყველა ხალხს აძლევს უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და განსაზღვროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ასევე, საკუთარი ეროვნული სიმდიდრისა და რესურსების მიმართ სუვერენიტეტს ნიშნავს.

მაგრამ სეპარატიზმის მომძღვრების ხანაში საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპის ირგვლივ ბევრი კითხვები ჩნდება. თავდაპირველად იგი მხოლოდ კოლონიურ კონტექსტში მოიხსენიებოდა, მაგრამ დღეს საერთაშორისო დოკუმენტებში მისი ზოგადი შინაარსი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

თვითგამორკვევის უფლება რეალურად სათავეს II მსოფლიო ომის შემდეგ იღებს. კონკრეტულად კი მას შემდეგ, რაც კოლონიებს მიენიჭა დამოუკიდებლობის მოპოვების უფლება. 1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწევენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას” [1].

გაერომ ამ დებულებით:

– თვითგამორკვევის უფლება მიანიჭა ყველა ხალხს და გამონაკლისი მისი შეზღუდვის მიზნით არ დაუწესებია.

– მიუთითა, რომ თვითგამორკვევის უფლება ხალხს ანიჭებს აირჩიოს მათთვის სასურველი პოლიტიკური სტატუსი, ე.ი. სახელმწიფოებრივი მოწყობა, მართველობის ფორმა და ა.შ.

– მდგრადი განვითარების მიზნით ხალხი თვითონვე ირჩევს და უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გზას.

როგორც ჩანს, ამ დებულების ფართო ინტერპრეტაციის შემთხვევაში ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანხვედრასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთი დოკუმენტი მიიღო, სადაც განმარტა თვითგამორკვევის უფლების არსი და შეეცადა გაეფართოებინა მისი შინაარსი. ესენია: გაეროს წესდება; გაეროს ადამიანთა უფლების პაქტი; ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ და სხვა. 1966 წელს მიიღეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტები. გვინდა მოკლედ

მოვიყვანოთ თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით ის ძირითადი დებულებები, რომელიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებშია წარმოდგენილი.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების [2], ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ [3] პაქტებს აქვს ერთნაირი შინაარსის ორი მუხლი:

ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლებით ისინი თავისუფლად ადგენენ საკუთარ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის მათ, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველ და სამეურვეო ტერიტორიებზე, ხელი უნდა შეუწყოს და პატივი სცეს თვითგამორკვევის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

გაეროს წესდების 1(2) მუხლის მიხედვით, გაეროს ერთ-ერთი მთავარი მიზანია „განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხის თანაბარუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად” [4].

1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ ითვალისწინებს, რომ „თანაწილობისა და თვითგამორკვევის პრინციპი მოიცავს ყველა ხალხის უფლებას, გარედან ჩარევის გარეშე თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი და იღწოდეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის” [5].

ჰელსინკის დასკვნითი აქტის თანხმად, თვითგამორკვევის უფლება არის მუდმივი და არაერთგვარადაი უფლება. ამ ფორმულირებით თვითგამორკვევას ყველა ხალხი იყენებს [6].

როგორც ზემოთ მოყვანილ დებულებებში ვხედავთ, ყველგან განმარტებულია, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობს „ხალხი”, მაგრამ არ არის განსაზღვრული, თუ რომელ ხალხს აქვს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით. ასეთი ზოგადი მიდგომა ხშირად იძლევა აღნიშნული საკითხისადმი სასურველი ელფერის მიცემის საშუალებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითად პრინციპებთან. მიგვაჩინია, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორც თვითგამორკვევის უფლებაა, ფართო ინტერპრეტაციის საშუალება არ უნდა არსებობდეს.

კოლონიალიზმის ეპოქაში თვითგამორკვევის პრინციპი, ასე ვთქვათ საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათისა იყო, იგი ხალხისთვის, რომელიც თავისუფლებისკენ მიისწრაფოდა და კოლონიური რეჟიმისგან თავის დაღწევა სურდა, ძლიერი სამართლებრივ იარაღს წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დასაწყისში კოლონიალიზმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი გაუქმდა, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი უკვე

სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიულ ფარგლებში ეთნოკონფლიქტების გაღვივების საფუძვლად, აგრესიული სეპარატიზმის სამართლებრივ საბურველად და საერთაშორისო შანტაჟისა და ზეგავლენის ეფექტურ იარაღად იქცა [7].

თვითგამორკვევის რეალიზაციის საშუალებად მოიაზრება გაფართოებული უფლებების, გაერთიანების ან ავტონომიის მინიჭება ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილის შემთხვევაში, ჩნდება სეცესიის პრობლემა.

სეცესია, ერთ მხრივ, შეიძლება განხორციელდეს მხარეების მოლაპარაკებითა და შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის წევრები - ჩეხეთი და სლოვაკეთი შეთანხმდნენ ფედერაციის დაშლაზე და ახალი სუვერენული სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს. ჩერნოგორიამ ასევე რეფერენდუმით გადაწყვიტა იუგოსლავიის ფედერაციიდან გამოსვლა, ფედერაციის მეორე წევრ - სერბეთთან შეთანხმებით. ცალმხრივი სეცესია გაცილებით პრობლემური საკითხია. ხშირად მას ძალადობა და სამხედრო დაპირისპირება მოსდევს [8].

უნდა აღინიშნოს, რომ სეცესია, რომელიც წარმატებით და უმტკივნეულოდ ხორციელდება ძირითადად ფედერაციული სახელმწიფოების მაგალითზეა, უნიტარული ქვეყნებისთვის და ამ მხრივ საერთაშორისო სამართლისთვის, ძალზე პრობლემატური საკითხია.

ცალმხრივი სეცესიის სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვისას საინტერესოა კვებეკის პრეცედენტი, როდესაც კანადის ფედერალურმა მთავრობამ მიმართა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს კვებეკის ცალმხრივად გამოყოფის ლეგიტიმურობის განსაზღვრად. სასამართლომ დაადგინა, რომ კანადის კანონმდებლობის მიხედვით, კვებეკს არ აქვს ცალმხრივად გამოყოფის უფლება და დადასტურა, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, შემდგომი ცნობის მეშვეობითაც, რადგან „ასეთი ცნობა ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით“ [9].

ცალმხრივი სეცესიის მცდელობებით ცნობილია საქართველო. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები ცდილობენ, დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და გახდნენ სუვერენული სახელმწიფოები, რასაც ერთსულოვნად ეწინააღმდეგება დასავლეთის ქვეყნები. საქართველოს მხრიდან მათი მისამართით შეთავაზებული იყო ფართო ავტონომია, საშინაო თვითგამორკვევა, მაგრამ გარეშე ძალების მხრიდან მაინც ხდებოდა სეპარატისტების წახალისება, რაც დადასტურდა 2008 წელს ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით რუსეთის მხრიდან ამ ორი რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. თუმცა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის სახელმწიფო-კუნძულმა ნაურუმ.

აქ გვინდა მოვიშველიოთ კანადის უზენაესი სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა ვერ დადგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სახელმწიფოს რომელიმე

შემაღგენელი ნაწილის აღიარება. აქვე გვინდა კიდევ ერთ გარემოებას გაუხვავოთ ხაზი: უნდა ემსჯელა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სათანადო სარჩელის საფუძველზე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების თაობაზე რუსეთის და სხვათა მიერ, კერძოდ, რამდენად შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართალს.

აღნიშნული მცდელობები საფუძველს მოკლებულია, რადგან სეცესიის უფლება წარმოიშობა მხოლოდ კოლონიური მმართველობის ან ოკუპაციის შემთხვევაში. ასევე, თუ მოცემულ ქვეყანაში მცხოვრები ხალხთა ჯგუფი არის დისკრიმინაციის, ჩავრის, ექსპლუატაციის ობიექტი. თუ დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე კულტურას გაქრობა ეშუქება, თანაც იმ პირობით თუ გამოყოფას არ მოჰყვება ადამიანის უფლებების ახალი დარღვევები [10]. ასევე, თუ ხალხს არ აძლევენ საშინაო თვითგამორკვევის შესაძლებლობას ქვეყნის საზღვრებში, მაშინ მას აქვს ცალმხრივი სეცესიის უფლება. სხვა შემთხვევაში ხალხთა ჯგუფმა მოცემული ქვეყნის ფარგლებში უნდა ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით.

ამასთან კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული მთლიანობა არის პრინციპი საერთაშორისო სამართლისა, რაც გულისხმობს, რომ ერ-სახელმწიფომ არ უნდა შეუწყოს ხელი გამოყოფის მოძრაობას ან საზღვრების ცვლილებას სხვა სახელმწიფოში [11].

თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის დროს არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. 1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“ [1]. აქვე ჩნდება კითხვა: ვინ შეიძლება ჩაითვალოს ხალხად? ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ საკამათოა, მის შინაარსში არამც და არამც არ შეიძლება გაეროს ეგულისხმება ცალკეული ეთნიკური ან რე-ლიგიური ჯგუფები, იგი ასეთ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს, მის სტაბილურობას შეუქმნიდა საფრთხეს. თუმცა იურიდიულად და პოლიტიკურად საჭირო იყო რეზოლუციის ავტორებს ეს განმარტება თავიდანვე გაეკეთებინათ. არც დღეს არის ამის გაკეთება დაგვიანებული, პირიქით: მიგვაჩნია პირველი რიგის ამოცანად. სხვანაირად კიდევ დიდხანს მოუწევს საერთაშორისო თანამეგობრობას ამ გაუგებრობაში ცხოვრება.

მით უმეტეს, ამ საკითხის მკაფიო გამოკვეთა ძალზე მნიშვნელოვანია, მაშინ როცა დედამიწაზე უამრავი რაოდენობის ერი (ნაციები) არსებობს და მათ თავისუფლად, უკვე შექმნილი პრეცედენტების ფონზე, შეიძლება გაუჩნდეთ პრეტენზია დამოუკიდებლობაზე. „იმასაც დაკუმატებთ, რომ პოტენციური ერები იშვიათად თუ ცხოვრობენ კომპაქტურად, კონკრეტულ ტერიტორიაზე, ეთნიკურად ერთფეროვანი ტერიტორიული პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნა შეუძლებელია სხვა ეროვნებების

განდევნის გარეშე“ [12].

შეიძლება ითქვას, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ირგვლივ უდაოდ ბევრი კითხვის ნიშნებია. საერთაშორისო დოკუმენტებში არ არის ცალსახად გამოკვეთილი თუ ვის ეძლევა აღნიშნული უფლება, რა სიტუაციაშია მისი გამოყენება აუცილებელი. კოლონიალიზმის პროცესის დასრულების შემდეგ ეს საკითხი დავის საგნად იქცა და უდავოდ მოითხოვს კონკრეტიზაციას, რათა აღარ ხდებოდეს სეპარატისტული მიზნებისთვის მისით მანიპულირება და სეპარატისტების მიერ აღარ მოხდეს თვითგამორკვევის უფლებისა და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპის ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთდაპირისპირება.

კონფლიქტური მაგალითების მოყვანისას, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხება, არ შეიძლება არ განვიხილოთ კოსოვოს, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. მით უმეტეს როცა, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ შემთხვევაში სეპარატისტები აპელირებენ საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპით, როგორც არის თვითგამორკვევის უფლება.

მათი შედარებით ანალიზისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია თუ რა წინაპირობები არსებობდა თვითგამორკვევისათვის ამ რეგიონებში. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში კონფლიქტამდე დაცული იყო უმცირესობათა უფლებები, დაცული იყო აფხაზური ენა, კულტურა და ტრადიციები. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდა, 28 ადგილი და შესაბამისად საპარლამენტო უმრავლესობის გარანტია ეძლეოდა, ხოლო მკვედრ ქართველებს, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 47 პროცენტს წარმოადგენდა – 26 ადგილი ენიჭებოდათ, სხვა ეროვნების წარმომადგენლებს კი 11 ადგილი. ამდენად აფხაზური მხარე არა თუ მონაწილეობას იღებდა ხელისუფლების განხორციელებაში, არამედ თავის რიცხოვნებასთან შედარებით დომინირებული ადგილიც კი ეკავა [13] ანუ, ფაქტია, რომ მათ მიმართ არ ხორციელდებოდა დისკრიმინაცია და არც სამართლებრივი საფუძველი ჰქონდათ სეცესიის მოთხოვნისთვის. სამაგიეროდ, კოსოვოში მილოშევიჩის რეჟიმის არასწორი გადაწყვეტილების საფუძველზე კოსოვოელი ალბანელების დისკრიმინაცია კოსოვოს ავტონომიის გაუქმებით დაიწყო. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოელი სერბებისგან განსხვავებით ალბანელები უმრავლესობაში იყვნენ, მაინც ხორციელდებოდა მათი შევიწროება და უფლებების იგნორირება, რამაც მათი მხრიდან გამოყოფის მოთხოვნა გააჩინა.

რაც შეეხება თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის გზებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს თვითგამორკვევის ისეთ გზებს, როდესაც სხვა ხალხის ინტერესები ილახება. აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან კი მოხდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც არაერთი გაეროს რეზოლუციითაა აღიარებული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სეპარატისტულ რეგიონებში რეფერენდუმის ჩატარებამდე მუდმივი მოსახ-

ლეობის თითქმის 2/3 გამოძევებულ იქნა და ცხოვრობენ ლტოლვილის სტატუსით. მათ წინააღმდეგ განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რაც ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ამიტომ, ეთნიკური წმენდის შედეგად დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმი ვერანაირად ვერ გამოხატავს აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხების ნებას [14]. თუნდაც ეს ერთი მიზეზი ეყოფა იმის მტკიცებას, რომ მათი მცდელობა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე არ გამოდგება სამართლებრივ საფუძვლად და საბოლოო ჯამში ის უპერსპექტივოა როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და დღეისთვის აღიარებული რეგულაციების სტანდარტებში არ თავსდება. ხოლო რაც შეეხება კოსოვოს, იქ მსგავსი გადაწყვეტილებები ადგილობრივი ალბანელების საკუთარ სახლებში დაბრუნების შემდეგ იქნა მიღებული.

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სეპარატისტთა დახმარება ხდებოდა გარე ძალების ჩარევით. მით უმეტეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას წინ უსწრებდა რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენება, სუვერენული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა, ოკუპაცია, სეპარატისტების მხარდაჭერა და ეთნიკური წმენდის განხორციელება ქართველების მიმართ, ამიტომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისთვის მხარის დაჭერა უდავოდ ეთნიკური წმენდის ლეგალიზაციას ნიშნავს. კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის სოლიდარობა კი ზუსტად კოსოვოელი ალბანელების მიმართ ეთნიკური წმენდის და გენოციდის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. თუმცა ჩვენ შემთხვევაში აღვნიშნეთ, რომ თუ ჰუმანიტარული ინტერვენცია აუცილებლობას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევებში უნდა გამაგრებული იყოს საერთაშორისო დოკუმენტებით და აღარ უნდა იძლეოდეს დავის საშუალებას. გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ რუსეთი თავის სამხედრო ინტერვენციას საქართველოში რუსი მოქალაქეების დაცვით ამართლებდა, მაგრამ ომამდე არაკანონიერად ჩატარებული „პასპორტიზაცია“ მის ამ არგუმენტს არ ამართლებს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (ე.წ. ტალიავინის კომისია) ანგარიშის I თავის მე-12 მუხლში მითითებულია: „ის პირები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებიც საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდნენ, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ისინი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და, სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან, თუ მათ უარი არ უთქვამთ მოქალაქეობაზე და არ დაუკარგავთ საქართველოს მოქალაქეობა დადგენილი პროცედურების დაცვით. რუსეთის მოქალაქეობის მასიური მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისათვის და პასპორტების მასიური გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, საქართველოს მთავრობის თანხმობ-

ბის გარეშე, ეწინააღმდეგება კეთილშობილური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშკარად უქმნის სირთულეებს და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას წარმოადგენს” [15].

ასე რომ თუ კოსოვოსთან პარალელებზე და ამ პრეცედენტზე იქნება საუბარი და ხშირად კოსოვოსა და აფხაზეთის შეთხვევებს ანალოგიურს უწოდებენ, უნდა ითქვას, რომ კოსოვოსა და აფხაზეთის შორის პარალელი გამართლებული იქნებოდა, კოსოვოელი ალბანელები უმცირესობაში რომ ყოფილიყვნენ და რომელიმე მეზობელი ქვეყნის დახმარებით, მათ მიუწევთ უძრავლეობაში მყოფი კოსოვოელი სერბების ენოქმენდა [16].

ასევე პარალელი გამართლებული იქნებოდა, საქართველოში არსებული კონფლიქტები, როგორც სერბულ-ალბანური დაპირისპირება, რომ მხოლოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ყოფილიყო და არა საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს ომში გადაზრდილი კონფლიქტები.

რაც შეეხება ისტორიულ სინამდვილეს, ჩვენი აზრით, ეს ის საკითხია, რაც ყველაზე უკანა პლანზეა გადადებული, არადა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს უნდა წამოადგენდეს საერთაშორისო სამართალში. აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ყოველთვის გაერთიანებული საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ისტორიული სინამდვილე კი ისტორიულ სამართლიანობას მოითხოვს და იგი საერთაშორისო სამართლის ძლიერ იარაღად უნდა იქცეს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ:

1. მიუხედავად გაეროს, საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობისა, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის რეგულაციები მოაქციოს საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში, არაეფექტურია და სერიოზულ, შეიძლება ითქვას, მსოფლიოსთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სიტუაცია კი ფეთქებადსაშიშა და გლობალური საფრთხის „სუნი“ ასდის.

2. ასეთ ვითარებაში, გაეროს კონსერვატიზმი, ვფიქრობთ, მიუღებელია და გაცილებით სწრაფი ზომების მიღებას საჭიროებს, ვიდრე ეს დღეს ხდება.

3. ერთი რამ ცხადია, შეიქმნა გარდაუვალი აუცილებლობა იმისა, რომ ამ და სხვა მსგავსი გლობალური პრობლემების ეფექტური რეგულაციებისათვის სიმბიძის ცენტრმა გაეროს უშიშროების საბჭოდან უნდა გადაინაცვლოს გენერალურ ასამბლეაში და სახელმწიფოთა უძრავლეობამ, და არა უშიშროების საბჭოს 5 ქვეყანამ, უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მით უმეტეს, როცა პირდაპირ დაინტერესებას იჩენს და ზოგჯერ კონფლიქტის მხარედ ან თანამხარედ გამოდის უშიშროების საბჭოს წევრი, რისი მომსწრენიც გავხდით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დაყოვნება კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას მსოფლიოში და სულაც არ დაგვირდება დიდი ხნის ლოდინი, რომ იგი თავისი საშიშროებით ტერორიზმის და ნარკოტიკების გლობალურ საფრთხეთა რიგში დადგება.

Sopho Midelashvili

SUMMARY

It is interesting to consider legal regulations of Self-determination in international law and, also, approaches of United Nations and the other international community to

this issue:

1.The regulations of Self-determination and territorial integrity are not strictly defined and it can be said, that it remains as unsolved problem for the world.

2. In such situation, the conservatism of United Nations, in our opinion, is unacceptable and urgent actions are necessity.

3. One thing is clear, such global problems must consider General Assembly and not only UN Security Council. Majority of states, and not 5 countries of the Security Council, must make important decisions, especially, when a member of the Security Council has a direct interest and sometimes it is conflict side as it was in Russian - Georgian war in 2008. Once again, we note that the delay will complicate the situation in the world.

ლიტერატურა:

1. Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples. <http://www.un.org/en/decolonization/declaration.shtml>.
1. International Covenant on Civil and Political Rights. <http://www2.ohchr.org/english/law/ccpr.htm>.
2. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. <http://www2.ohchr.org/english/law/cescr.htm>.
3. Charter of the United Nations. <http://www.un.org/en/documents/charter/chapter1.shtml>.<http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0348/90/IMG/NR034890.pdf?OpenElement>
4. მარიამ ჯიქია. “Right of self-determination vs. Territorial integrity”. ვალერი გოგალაძე, სადისერტაციო თემა „საქართველოში მომხდარი კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, გვ. 35. <http://www.tabula.ge/article-1302.html>
5. ვალერი გოგალაძე, სადისერტაციო თემა „საქართველოში მომხდარი კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, გვ. 36.
6. პაატა ცინცაძე, სადისერტაციო თემა „თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალსა და რეალურ პოლიტიკაში“, გვ. 94.
7. მარიამ ჯიქია. “Right of self-determination vs. Territorial integrity”.
8. პაატა ცინცაძე, სადისერტაციო თემა „თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალსა და რეალურ პოლიტიკაში“, გვ. 97.
9. <http://gdzeluna.wordpress.com/2010/05/29/კოსო-ვოს-პრეცედენტი-და-სა/>
10. ჯონი ხეცუროიანი. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. 2011, გვ.99.
11. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში.
12. შოთა მალაშვილი, კონფლიქტების ანატომია, გვ. 344.

კანონში „საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის ზოგიერთი სარეგულაციო უწყისების შესახებ“

ანზორ მესხიშვილი, პროფესორი,
თამარ კოლუაშვილი, იურისტი

საქართველოში საცხოვრებელი ბინების პრივატიზაცია დაიწყო 1992 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების: “საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ” ამ დადგენილების შესაბამისად დაიწყო მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. პრივატიზაციის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი სახლი (ბინა), მათ შორის ავარიული, სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლში შეუსახლებელი ბინა, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინა. ისტორიისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ სახლებში არსებული ბინის საკუთრებაში გადაცემა დაიშვებოდა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების თანხმობით. მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა ხდებოდა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით.

1992 წლის 1 თებერვლიდან კომუნალური ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შემდეგ აქტუალური გახდა ბინათსარგებლობის საკითხების მოგვარება და გადაწყვეტა. ქ. თბილისისა და სხვა ქალაქებში საბინაო საკითხებს აგვარებდა ე.წ. სახლ-მართველობები, რომელთა ლიკვიდირების შემდეგ ეს ფუნქციები აიღეს სერვისულმა ცენტრებმა. აღნიშნული სამსახურებიც ძალიან ძალზე იქნა გაუქმებული.

1997 წლის 25 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის მეოთხე თავი ეხება და არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, როგორცაა ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში, თუმცა აღნიშნულმა კოდექსმა არამც თუ ამომწურავად, არამედ ძალზე ზოგადდაც ვერ მოაწესრიგა ბინათსარგებლობის საკითხები. ძნელი გახდა რიგი საკითხების დეტალური რეგულირება, რამაც თავისთავად დააყენა დღის წესრიგში სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც დეტალურად შეეხებოდა ამ სპეციფიკურ საკითხს და ამომწურავად გასცემდა ყველა საჭირო კითხვაზე პასუხს.

2007 წლის 11 ივლისს მიღებული იქნა კანონი “ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“. კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერ-

ობებს, განსაზღვრავს დასახლებული ამხანაგობისა და მის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს.

ბინის მესაკუთრებათა ამხანაგობის დაფუძნება ხდება ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრებაში არსებული ბინა. ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით შეიძლება დაფუძნდეს ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით შეიძლება დაფუძნდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი მას შეიძლება ჰქონდეს საანგარიშგები და სხვა ანგარიშები ბანკში, აგრეთვე სხვა საჭირო რეკვიზიტები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს განცალკევებული ქონება მას შეუძლია თავის სახელით შეიძინოს ქონებრივი, არაქონებრივი უფლებები და ვალდებულებები; სამართლებრივ ურთიერთობებში ამხანაგობას წარმოადგენს თავჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა პასუხს არ აგებს თავის წევრების ვალდებულებებზე.

ამხანაგობის შექმნისათვის აუცილებელია სახლში არსებული ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეებთან საინფორმაციო შეხვედრის გამართვა. საინფორმაციო შეხვედრის მიზანია მესაკუთრეთათვის ამხანაგობის ძირითადი არსის ახსნა. ყველა მესაკუთრე უნდა იყოს ინფორმირებული სხდომის გამართვის ადგილისა და დროის შესახებ. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება შესაძლებელია გამართოს ამ ღონისძიების სპეციალურად შერჩეულ დარბაზში, საცხოვრებელ ბინაში ან თუნდაც ეზოში, ღია ცის ქვეშ. კრების მოწყობის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოიკარას სადარბაზოებსა და თვალსაჩინო ადგილებში, ერთი კვირით ადრე. ყველა კრებას (განსაკუთრებით პირველი) ესაჭიროება თავჯდომარე,

რომელიც სხდომის მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს გააფორმებს შესაბამისი ოქმით.

ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაა მიწის ნაკვეთი, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები, საინჟინრო-კომუნიკაციური მოწყობილობა და გაყვანილობა, საძირკვლები, კარკასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუა გადასურვები, მოაჯირები, სწვიმარი მილები, მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრები, სარდაფები, სხვენები, სასურავები, ლიფტები და ასე შემდეგ, რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში.

მესაკუთრის წილი ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან, ხოლო საერთო ქონების მეწილეთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

ამხანაგობის წევრები, როგორც წესი, კრებაზე აფიქსირებენ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსოების (სარდაფები, სხვენები და ა.შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა ორი მესამედით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი, თუ რა თქმა უნდა, წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. აღნიშნული ოქმი და ნახაზი მობინადრემ უნდა წარადგინოს სამეურნეო სათავსოზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, რათა შესაძლებელი გახდეს ამ სათავსოს ადგილმდებარეობის დადგენა.

კანონი საერთო საკუთრების ობიექტად მოიაზრებს მიწის ნაკვეთს, რომლის განკარგვა ხდება ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. ამ მხრივ საინტერესოა ამხანაგობის წევრთათვის ავტოფარეხის საკუთრების უფლებით პრაქტიკაში დამკვიდრებული გადაცემის წესი, რომელიც პირობითად შეიძლება ორად დაყოფილი: ერთ შემთხვევაში ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემა ხდება მიწაზე საკუთრების უფლების მოუპოვებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში – ორივეზე საკუთრების უფლებით. პირველი შემთხვევა აშკარად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ შენობა (ნივთი) მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონი კი მსგავს მუხლს არ შეიცავს. ამგვარად, არ შეიძლება ავტოფარეხი მოიაზროს იმ მიწის გარეშე, რომელზეც დგას ავტოფარეხი, და მეორე მხრივ, ავტოფარეხის საკუთრების უფლების გადაცემა იმ მიწითურთ, რომელზეც დგას ეს ავტოფარეხი. პირველ შემთხვევაში უფლების მოპოვებისათვის საჭიროა ამხანაგობის წევრთა ორი მესამედი, ხოლო მეორე შემთხვევაში – წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის (100-პროცენტის) მხარდაჭერა.

იმ შემთხვევაში თუ ავტოფარეხი საკუთრებაში გადაცემა მიწასთან ერთად ეს გამოიწვევს საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამის ცვლილებას. კერძოდ, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ფართობის ცვლილებების შემთხვევაში მოხდება ამ წევრთა წილების ხელახალი გადაანგარიშება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში იმ წევრის ან წევრთა ხარჯზე, რომელთაც ფართობის ცვლილებების შედეგად შეუძლირდათ წილი.

კანონში ბევრი რამ გაურკვეველი და დასაზუსტებელია. მაგალითად, გაურკვეველია კანონის 23-ე მუხლი გულისხმობს ამხანაგობის წევრთა 2/3-ს თუ კრებაზე დამსწრე წევრთა 2/3-ს. კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3. ზემოთ ნახსენები მუხლის თანახმად კი გამოდის, რომ წევრთა 2/3-ის მოწვევის შემთხვევაში, შესაძლებელია სამეურნეო სათავსოების განხილვა და გადაწყვეტა დამსწრე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ კრება არ ჩატარდა კვორუმის უკმარისობის გამო, განმეორებითი კრების მოწვევისას უკვე აღარაა გადაწყვეტი დამსწრე წევრთა ოდენობა და მათი უბრალო უმრავლესობის სურვილით შეიძლება საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კანონის მე-10 მუხლის 1 ნაწილს.

არის შემთხვევები, როდესაც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საერთო საკუთრების ქონების გასხვისებაზე, კრების ჩაუტარებლად ადგენს ოქმს, აწერს ხელს, ამტკიცებს ნოტარიუსთან და არეგისტრირებს საჯარო რეესტრში მისთვის სასურველ პიროვნებაზე ან პირად საკუთრებაში. ასეთ შესაძლებლობას კანონი აძლევს არა მარტო ამხანაგობის თავმჯდომარეს, არამედ ამხანაგობის ნებისმიერ წევრსაც. ასევე არ შეიძლება არ აღნიშნოს, რომ მრავალბინიან სახლებში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ბინათმესაკუთრეთა წევრების იურიდიულად გამართლებული კრების ჩატარება. რაც იწვევს ძალიან ხშირად ბინათმესაკუთრეთა სამოქალაქო დავებს.

კანონი არ განმარტავს და არ აკონკრეტებს ფაქტობრივ მდგომარეობაში რას მოიაზრებს, საერთო სათავსოს ფლობის ფაქტს, თუ მის მდებარეობას, ან უპირატეს უფლებას მისი საკუთრებით გადაცემისთვის თუკი ადგილი აქვს მობინადრის მიერ წლების განმავლობაში ფლობის ფაქტს. ასევე საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში, ერთგვარად, ფორმალურად იქცა ამ კონკრეტულ საკითხებზე საერთო კრების მოწვევის პროცედურა და ამ კრების მოწვევის გარეშეც ძალზე მარტივად ხდება ამ ფართობის რეგისტრირება ინციპტივის მქონე ამა თუ იმ დანტერესულ პირთათვის.

არც სარეგისტრაციო სამსახური და არც ნოტარიუსი, რომელიც პირდაპირაა ჩართული ამ პროცედურ-

რამი ამოწმებს მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ან კრების თავმჯდომარის ხელმოწერების ნამდვილობას, არ ითხოვს საერთო კრების მონაწილეთა ხელმოწერებს. ეს კი აადვილებს კანონის გვერდის ავლით, კრების მოწვევის გარეშე კი საკუთრების უფლებით ამა თუ იმ ფართების რეგისტრაციას მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ხელმოწერით, რაც თავისთავად ამ პროცედურის დაცვის გარეშე არის გარიგების ბათილობის საფუძველი. ამრიგად, კანონის ეს ხარვეზი არის შესავსები რათა ყველა წესის სათანადო დაცვით მოხდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თითოეული წევრის ინტერესის დაცვა, მათი საერთო ინტერესების დაცვა განაპირობებს მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, სამეზობლო სამართალში პრიორიტეტული არის ურთიერთპატივისცემის მოქმენტი და სამართლის ეს ნაწილი, ზოგადად, სწორედ ამაზეა დამყარებული.

კანონის უამრავი მუხლი ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან საკითხები არასისტემურადაა დალაგებული, კანონის რეგულირების სფეროს, მიზანს და ტერმინთა განმარტებებს მოსდევს საკითხი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინდივიდუალურ და საერთო ქონებაზე, მის განკარგვასა და მისით სარგებლობაზე. მხოლოდ ამის შემდეგაა მოქცეული ნორმები, რომლებიც განმარტავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ამოცანებს, სამართლებრივ სტატუსს, ეკონომიკურ საქმიანობას, ამხანაგობის წევრთა უფლებებს, წევრობას, მათ მოვალეობებს, ამხანაგობის წესდებას, ლიკვიდაციას, გაერთიანებას, ამხანაგობის მართვას, კრების მოწვევას, გარდამავალ და დასკვნითი დებულებებს. უმჯობესი იქნებოდა კანონის რეგულირების სფეროს, მიზანს და ტერმინთა განმარტებების საკითხებს მოსდევდეს ამხანაგობის სამართლებრივი სტატუსი, ამოცანები, ამხანა-

გობის წევრობა, უფლებები, მათ მოვალეობები, და ამის შემდეგ იქნას მოქცეული საკითხები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინდივიდუალურ და საერთო ქონებაზე.

ამრიგად, მართალია, ბუნებაში იმთავითვე სრულყოფილი კანონის მიღება, როგორც წესი, ვერ ხდება, პრაქტიკის განზოგადება, სიტუაციური ექსცესები სრულყოფს და ხვეწავს მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას (კანონს) მაინც მოეთხოვება იყოს არა ზოგადი, არამედ უფრო კონკრეტული, ნაკლებ ხარვეზიანი და ყოვლისმომცველი, რაც ზემოთ აღნიშნულ კანონს არ აქვს.

*Anzor Meskhishvili, Professor
Tamar Koguashvili, Lawyer*

SOME GAPS IN THE LAW ABOUT “HOUSING PRIVATIZATION”

SUMMARY

From February 1, 1992, after the free transfer of ownership of communal apartments, the apartment ownership issue became the urgent and pressing question. On July 11, 2007, the Law on “Apartment Ownership Association” was passed. The law regulates the relations connected with apartment condominium property management, determines the forms of ownership, also the origin matter of condominium apartment association, its development, its legal terms and conditions of elimination process. Many issues in the law remain vague and requires clarification. Besides, the issues are not

არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის სისხლის სამართალწარმოების თავისებურებები

მიხეილ მამიაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ზურაბ მეღვინე

სტუ-ს სრული პროფესორი

სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ შედარებით სიასხლეს წარმოადგენს ქართული სისხლისსამართალწარმოების პროცესში. საგამოძიებო პრაქტიკაში აღნიშნული ინსტიტუტი პირველად ამოქმედდა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო პერიოდში, როდესაც 2005 წლის 17 მაისის კანონით შემოღებული იქნა არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიმართ სისხლისსამართალწარმოების პროცედურული წესები. საგამოძიებო პრაქტიკაში ხსენებული ინსტიტუტის გამოყენების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენაში დაკავებულ პირს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ანდა ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა და უცნობია მისი ვინაობა, ანდა მაშინ, როდესაც არ გააჩნია პირადობის მოწმობა და ის თავის დაკითხვებში არ ამხელს თავის ნამდვილ ვინაობას, ანდა გამოგონილი სახელით და გვარით აცნობს თავს საგამოძიებო ორგანოებს, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ წინა საპროცესო კანონმდებლობით ასეთი ინსტიტუტის არარსებობისა და ამგვარი პროცესუალური მოქმედებების საკანონმდებლო ბაზის უქონლობით გამო სამართალდამცავ ორგანოებს უძნელდებოდათ ასეთი პირების მიმართ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელება.

არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის სისხლისსამართალწარმოების პროცედურული წესების ამოქმედებისთანავე, აღნიშნული ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობას იმთავითვე გამოუჩინდნენ მოწინააღმდეგეები, მაგალითად, პროფ. გ. მეფარიშვილი უარყოფითად აფასებდა ქართულ საპროცესო კოდექსში არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სისხლის სამართალწარმოების ინსტიტუტის შემოღებას და მიიჩნევდა, რომ კანონმდებელს გააზრებული არ ჰქონდა, თუ რა საჭიროებას წარმოადგენდა იგი, რადგანაც შეუძლებლად მიაჩნდა პირის მსჯავრდება, თუ კი არ დადგინდებოდა მისი ვინაობა.¹

ჩვენი აზრით, მკვლევარის აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული, რადგანაც მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს შესაბამისი ნორმები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას საკითხი დადებითად გადაწყდეს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-38-ე მუხლებში ასახულია ბრალის გამოძიების გარემოებები, სადაც

¹ გ. მეფარიშვილი, საქართველოში ადამიანის ვინაობის დასადგენად ფსევდონიმით გასამართლება დააკანონეს. გაზ. „ასავალ-დასავალი“ №32 (674), 2007, 6-7 აგვისტო.

სისხლისა და გვარის არცოდნა არ ითვლება ბრალის გამოძიებაზე გარემოებად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია პირის შერაცხადობა. აქედან გამომდინარე, თუ პირმა იცის თავისი ასაკი და სახელი, მაგრამ შეურაცხადია, ის არ აგებს პასუხს, პირიქით, თუ პირი შერაცხადია, მაგრამ ზუსტად არ ასახელებს თავის ბიოგრაფიულ მონაცემებს (ვინაობას), ის არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ამდენად, ბრალის გაკიცხვის საგანია პირის შერაცხადობა და არა მისი ბიოგრაფიული მონაცემები.

არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის სისხლის-სამართალწარმოების თავისებურებები გათვალისწინებულ იქნა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებული პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა) დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე, ან ფიზიკურ ნაკლის თუ სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელი ხდება მისი იდენტიფიცირება, გამოძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს, რომლებიც შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშნები (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობისა და იერის სხვა თავისებურებანი), რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება (ოქმს უნდა დაერთოს პირის ფოტოსურათი), ამასთანავე, საპროცესო ხელმძღვანელობის განახორციელებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით, პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ასოების იმგვარი კომბინაციით, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას შემდგომი საპროცესო მოქმედებების დროს. პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივის და ღირსების შემლახველი და შეურაცხყოფილი.

მაგ. ქ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის დაკავებული იქნა პიროვნება, რომელსაც აღმოაჩნდა ბულგარეთის მოქალაქის ყალბი პასპორტი №357134301, გაცემული ისმაილ რემზის სახელზე და ამავე პირზე გაცემული, ასევე ბულგარეთის რესპუბლიკის მოქალაქის ყალბი პირადობის მოწმობა. არაიდენტიფიცირებული პირის აღწერის ოქმით მას მიენიჭა პირობითი სახელი იბრაჰიმ შაჰინი.²

გამომძიებელი, პროკურორი განახორციელებს რა

² საქმე №0001912302 არაიდენტიფიცირებული იბრაჰიმ შაჰინის მიმართ

არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს, მას უფლება აქვს ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედება ჩაატაროს სრული მოცულობით, დაუბრკოლებლად. ამასთანავე, ყველა საპროცესო მოქმედება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ უნდა ჩატარდეს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით, რომლის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

არაიდენტიფიცირებულ პირს, ბრალდებულს არა უკვიანეს 3 დღე-ღამისა, ენიშნება სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად აუცილებელია დადგინდეს მისი ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის ვკუფი, სხვა ბიომეტრიული მონაცემები და მასზე უნდა განხორციელდეს დაქტილო-სკოპიური რეგისტრაცია.

ამასთანავე, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების გატარება, არაიდენტიფიცირებული პირის იდენტიფიცირების (ვინაობის დადგენის) მიზნით (მისი სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობისა და შერაცხალობის საკითხების გასარკვევად).

თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, გამოძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებულნი არიან ამ გარემოებას 48 საათის განმავლობაში შეუსაბამონ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები.

საპროცესო კოდექსში არ არის მითითებული, მაგრამ ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ კი ასეთ შემთხვევაში გამოძიებელი ან პროკურორი გამოიტანს დადგენილებას, ხოლო სასამართლო – განჩინებას, სადაც მითითებული იქნება ყველა ის პროცესუალური დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა იმ არაიდენტიფიცირებულ პირთან, რომლის პიროვნებაც დადგინდა, კიდევ მეტი, როგორც ამ კატეგორიის საქმეთა სავალდებულო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, ცალკეულ გამოძიებლებს მართლაც გამოაქვთ ამ სახის დადგენილებები, მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნულ პროცესუალურ მოქმედებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, დადგენილებებში მითითებული არ არის მისი შედგენის საკანონმდებლო საფუძველი.

არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ განაჩენის დადგენამდე, სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ გატარებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიება აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისათვის.

თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ და ეს გარემოება გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან სასჯელის ზომაზე ან იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, განაჩენი უნდა გადაისინჯოს

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარემოება იწვევს შებრუნებას შებრუნებას საუარესოდ.

დაბოლოს, ჩვენ ვერ გავიზიარებთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ არაიდენტიფიცირებული პირის ბრალდების საქმის გამოძიების პროცესში გამოძიებელი ვალდებულია დანიშნოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ინდივიდუალურად (არაიდენტიფიცირებულ პირების ბრალდების საქმის გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე) უნდა მიენდოს გამოძიებელს და პროკურორს, ან სასამართლოს.

ჩვენი აზრით, ზოგადად, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლები ასახული უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ცალკე დამოუკიდებელ მუხლში, რადგანაც არ არის გამორიცხული, ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნოს ისეთ შემთხვევებში და ისეთ პირებზე, რომლებზედაც არც რაიმე მონაცემებია საქმეში პირის შეურაცხადობის შესახებ და არც ამის რაიმე საფუძველი არსებობს, ამიტომაც უმჯობესია, გამოძიებელმა სამართლებრივი ნორმებით იხელმძღვანელოს. თუ რა შემთხვევაში და რომელ პირებზე დანიშნოს და ჩატარდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ეს მონაცემები შეიძლება იყოს:

1. ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება პირის ფსიქიურად დაავადების ფაქტი;
2. როდესაც პირის ფსიქიურად დაავადებიდან გამომდინარე, მასთან კონტაქტში შესვლა ვერ ხერხდება ან ის უცნაურად იქცევა;
3. როდესაც ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას შუამდგომლობს ის პირი, ვის მიმართაც დაიწყო გამოძიება, ასევე ადვოკატი, მშობლები, მეურვეები ან ახლო ნათესავები.¹

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის დარეგულირებით, საპროცესო კანონმდებლობა უფრო დაიხვეწება და საბოლოოდ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ერთიანი სავალდებულო პრაქტიკის დანერგვის საქმეში.

*Mikheil Mamniashvili, Full Professor
Zurab Melkadze, Full Professor*

“PECULIARITIES OF CRIMINAL PROCEEDINGS OF THE UNIDENTIFIED ACCUSED, CHARGED”

SUMMARY

In the work is discussed a question of newer institution than the Georgian Criminal Law Procedural Legislation, concerning the peculiarities of criminal proceeds of the unidentified accused, charged. There are given the peculiarities which are characteristic to a case proceeding of the given persons. There are given many questions about improvement of the procedural legislation.

¹ დაწვრილებით იხ. მ. მამნიაშვილი, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, თბილისი, 2003, გვ. 18-19

ჰენრი კისინჯერი – უნივერსალურობიან თანაფარდობისკენ

ამირან ნიკურაძე
სტუ-ს დოქტორანტი

ის, რასაც დღეს ისტორიკოსები ძალთა თანაფარდობის ევროპულ სისტემას უწოდებენ, XVII საუკუნეში დაიბადა მსოფლიო წესრიგის კონცეფციის უნივერსალურობაზე შუასაუკუნეების დროის იმედების საბოლოო მსხვერვის შედეგად, კონცეფციის, რომელიც რომის იმპერიისა და კათოლიკური ეკლესიის შენაღობს წარმოადგენდა. მსოფლიო ზეცის სარკისებურ ანარეკლად წარმოსახებოდა. ზუსტად ისე, როგორც ერთი უფალი მართავდა ზეცას, ისევე ერთი იმპერატორი შესძლებდა საერო სამყაროს მართვას, ერთი პაპი კი - უნივერსალური ეკლესიისას.

ამ თვალსაზრისით გერმანიისა და ჩრდილოეთ იტალიის ფეოდალური სახელმწიფოები გაერთიანებული იყვნენ წმინდა რომის იმპერიის იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ. მეჩვიდმეტე საუკუნის ზღვარზე ამ იმპერიას ისეთი პოტენციალი გააჩნდა, რომელიც მას ევროპაზე ბატონობის საშუალებას აძლევდა. საფრანგეთი, რომლის საზღვრები მდინარე რეინისგან შორს დასავლეთით მდებარეობდნენ, და დიდი ბრიტანეთი მასთან შედარებით პერიფერიაზე მყოფ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. წმინდა რომის იმპერიის იმპერატორს, რომ მოეხერხებინა მის ფორმალურ იურისდიქციაში მყოფ ქვეყნების ტერიტორიებზე ცენტრალიზებული კონტროლის დაწესება, დასავლეთევროპული ქვეყნების დამოკიდებულება იმპერიასთან ჩინეთის მეზობლების შუალედური სამეფოსადმი დამოკიდებულებას მოგვაგონებდა, საფრანგეთი შეედრებოდა ვიეტნამს, ან კორეას, დიდი ბრიტანეთი კი - იაპონიას.

როდესაც ერთიანობის კონცეფცია დაიმსხვრა, ქვეყნებს, რომლებიც ევროპაში ჩნდებოდნენ რაიმე პრინციპი ესაჭიროებოდათ, რომელიც გაამართლებდა მათ მწვალებლობას და ერთმანეთს შორის ურთიერთობას დაარეგულირებდა. ეს პრინციპი მათ იპოვეს *raison d'état* -ში და ძალთა თანაფარდობაში. პრინციპი *raison d'état* -ი გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი საშუალებების გამოყენებას ამართლებს, ამან შეცვალა შუასაუკუნეების წარმოდგენა მორალის უნივერსალურობაზე. ძალთა თანაფარდობის პრინციპმა კი უნივერსალურ მონარქიაზე ნოსტალგიის ადგილი დაიკავა, და იმის ნუგეშს იძლეოდა, ცალკე აღებული ყველა სახელმწიფო, თავისი ეგოისტური ინტერესების მიმდევარი, ამა თუ იმ სახით ხელს შეუწყობს დანარჩენების უსაფრთხოებას და პროგრესს.

ყველაზე ადრე და უფრო დაწვრილებით ეს ახალი მიდგომა საფრანგეთში განსაზღვრეს, ევროპაში ერთ-ერთ

პირველ სახელმწიფო-ერში.

ამგვარი ფრანგული პოლიტიკის მთავარი გამტარებელი იყო სრულიად წარმოუდგენელი ფიგურა - ეკლესიის თავადი არმან ჟან დიუ პლესი, კარდინალი რიშელიე, საფრანგეთის პირველი მინისტრი 1624 - დან 1642 წლამდე. კარდინალ რიშელიეს გარდაცვალების ამბის შეტყობისას, პაპს ურბან VIII თითქოს ეთქვას: „თუ ღმერთი არსებობს ... კარდინალ რიშელიეს მის წინაშე ბევრი რამისთვის პასუხის გება მოუწევს. და თუ კი არა... მაშინ რაღა, მან წარმატებული ცხოვრებით იცხოვრა“ ეს ორაზროვანი ეპიტაფია, ეჭვსგარეშეა, რომ მოეწონებოდა სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც უდიდეს წარმატებას მიაღწია, თუმცა მისი საუკუნის ძირითად წმინდა დადგენილებებს იგნორირებას უკეთებდა და არღვევდა მათ.

რიშელიე იყო თანამედროვე სახელმწიფო სისტემის მამა. მან გამოაცხადა *raison d'état* - ის პრინციპი და ამ კონცეფციას თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ახორციელებდა.

რიშელიემ თავისი თანამდებობა 1624 წელს დაიკავა, როდესაც წმინდა რომის იმპერიის ომპერატორი ფერდინანდ II ჰაბსბურგთა დინასტიიდან, კათოლიკური უნივერსალიზმის ცხოვრებისკენ შემობრუნებას შეეცადა, პროტესტანტიზმის ამოძირკვას და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებზე კონტროლის დაწესებას.

იყო რა ეკლესიის თავადი, რიშელიე უნდა მისალმებოდა ფერდინანდის კათოლიკური ორთოქსიის აღდგენისკენ მისწრაფებას. მაგრამ რიშელიემ საფრანგეთის ინტერესები ყოველგვარ რელიგიურ მიზნებზე უფრო მაღლა დააყენა.

რიშელიესთვის ნაკლებად დამამშვიდებელი იყო ის ფაქტი, რომ ესპანეთი და ავსტრია, როგორც საფრანგეთი, კათოლიკური ქვეყნები იყვნენ. სწორედაც რომ პირიქით: რიშელიე დიდი სიმტკიცით იბრძოდა, რომ კონტრეფორმაციის გამარჯვება აერიდებინა. იმის მისაღწევად, რასაც დღეს ჩვენ ეროვნული უსაფრთხოება ვუწოდებთ, და მაშინ კი პირველად ისტორიაში დაერქვა სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესები, რიშელიე მზად იყო პროტესტანტულ ხელმწიფეების მხარეზე გამოსულიყო და თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა უნივერსალური ეკლესიის განსეთქილება.

იმპერატორ ფერდინანდ II - რიშელიეს მეტოქეს, აზრადაც არ მოუვიდოდა ხელშეკრულების დადება პროტესტანტ-შვედებთან ან მუსულმან-თურქებთან, ანუ იმ ზომების გატარება, რომელნიც რიშელიეს თავისთავადად მიაჩნდა. ფერდინანდის მრჩეველი ლამორმანი ასე აჯამებდა იმპერატორის შეხედულებებს:

„ყალბი და გამყიდველი პოლიტიკა, ჩვენს დროში

ესოდენ გავრცელებული, მან იმთავითვე დაგმო. მას მიაჩნდა, რომ მათთან ერთად ვინც მსგავს პოლიტიკას მისდევს, არ შეიძლება საქმის დაჭერა, რადგანაც ისინი სიცრუეს ქადაგებენ, უფლის სახელს ბოროტად იყენებენ და რელიგიას ცუდად ექცევიან. უდიდესი სიგიჟე იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ღვთისგან ნაბოძები ქვეყნის გამაგრების მცდელობა, ღმერთისთვის საძულველი საშუალებებით“.

რიშელიე ფერდინანდის რწმენას სტრატეგიულ გამოწვევად აღიქვამდა. კერძო ცხოვრებაში რელიგიური, იგი თავის მინისტრულ მოვალეობას წმინდა საერო თვალთახედვით აღიქვამდა.

რიშელიე არასდროს მისცემდა თავს უფლებას, ის შესაძლებლობა არ გამოეყენებინა, რომელნიც ფერდინანდს 1629 წელს, ომის მეთერთმეტე წელიწადს, მიეცა.

რაკი საჭადრაკო დაფაზე მსგავსი დებიუტი შეექმნა, რიშელიე მტკიცე გადაწყვეტილებით აღივსო ომი რაც შეიძლება მეტად გავრძელებულიყო, რათა ცენტრალური ევროპა მთლიანად სისხლისგან დაეცალა. საშინაო პოლიტიკაში მან გვერდზე გადადო წვრილმანი რელიგიური მოსაზრებები, ზუსტად ისევე როგორც ეს საგარეო პოლიტიკაში გააკეთა. დაიცვა რა თავისი ქვეყანა შინაგანი შერყევებისგან, რომლებიც ძიძგნიდნენ ცენტრალურ ევროპას, რიშელიე შეუდგა ფერდინანდის რელიგიური გულმოდგინების საფრანგეთის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ ექსპლუატირებას.

რიშელიეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გამოწვევისთვის სათანადო პასუხის გაცემის უნარი შესწევდა, რადგან პირადად იყო დარწმუნებული, რომ მიზნებისა და საშუალებების შეფარდება თითქმის მათემატიკური სიზუსტით არის შესაძლებელი. „ლოგიკა, - წერს იგი თავის „პოლიტიკურ ანდერძში“, - მოითხოვს, რომ საგანი, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება, და ამ მხარდაჭერის ძალა ერთმანეთთან გეომეტრიულ პროპორციაში იმყოფებოდნენ“.

ბედმა მას ეკლესიის თავადობა უბოძა; შეხედულებებმა კი რაციონალისტ ინტელექტუალთა წრეში შეიყვანა, ისეთებისა, როგორც დეკარტი და სპინოზა, რომელთაც მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია ადამიანთა ქმედებანი მეცნიერული გზით იყოს წინასწარ მოხაზული; შემთხვევამ კი მისცა მას შესაძლებლობა, საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმირება მოეხდინა მისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ შემთხვევაში საკუთარი შესაძლებლობების მეცნიერულად გათვლა ზუსტი გამოდგა. რიშელიეს შეეძლო საკუთარი მიზნების განჭვრეტა, მაგრამ ვერც იგი და ვერც მისი იდეები ვერ გაიმარჯვებდა, რომ მას საკუთარი ტაქტიკის საკუთარი სტრატეგიისთვის დაქვემდებარება არ შესძლებოდა.

სახელმწიფო მოღვაწე რომ შეეაფასოთ, და კრიტიკიუმად მისი მიღწევების მისივე განზრახვებთან შედარება ავიღოთ, მაშინ რიშელიე მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ-იღბლიან ფიგურად

დარჩება. რადგან მან თავის შემდეგ მემკვიდრეობის სახით დატოვა მსოფლიო, რომელიც სრულიად განსხვავებული იყო იმისგან, რომელშიც იგი მოვიდა და ამოქმედა პოლიტიკა, რომელსაც საფრანგეთი მის შემდეგ სამი საუკუნის განმავლობაში მიყვებოდა.

ამის წყალობით საფრანგეთი ევროპაში ერთ-ერთ გავლენიან ქვეყნად იქცა და თავისი ტერიტორიის ფართომასშტაბიან გაფართოვებას შეუდგა.

„საქმეებში, რომელნიც ამა თუ იმ სახელმწიფოს შეეხება, - წერს რიშელიე თავის „პოლიტიკურ ანდერძში“, - ის, ვისაც ძალა გააჩნია, ხშირად მართალი გამოდის, ის კი, ვინც სუსტია, დიდი ძალისხმევით თუ შესძლებს მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობის თვალში მტყუანად მიჩნევისგან თავის დაღწევას“ - ამ გამონათქვამს თავის მეზობლების საქმეებში ჩამრევი ქვეყნები იშვიათად აყენებენ ეჭვს ქვეშ.

რიშელიეს ცენტრალური ევროპის ისტორიულ პროცესზე გავლენა იმ მიღწევების უკუპროპორციულია, რომელიც მან საფრანგეთის ინტერესებისთვის მოიპოვა. მას ცენტრალური ევროპის გაერთიანების ემინოდა და მას ხელი შეუშალა. გერმანიის ერთიან სახელწიფოდ ქცევა ალბათ ორი საუკუნით მაინც შეაკავა.

რიშელიემ ჰაბსბურგების გეგმები დაამსხვრია, და რომის წმინდა იმპერია სამასზე მეტ სუვერენულ ტერიტორიებად დანაწევრდა, თანაც თითოეულის მმართველს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება შეეძლო. გერმანიამ მაშინ ვერ მოახერხა სახელმწიფო-ერი გამხდარიყო; იგი წვრილმანი დინასტიურ ჭიდილში ჩაერთო და საკუთარი პრობლემებით დაკავდა. შედეგად გერმანიამ ვერ მოახერხა საკუთარი ეროვნული პოლიტიკური კულტურის შექმნა და პროვინციალიზმში დამყაყდა, რასაც თავი ვერ დააღწია XIX საუკუნის ბოლომდე, ვიდრე იგი ბისმარკმა არ გააერთიანა.

ამისდა მიუხედავად, რიშელიეს შემდეგ საფრანგეთი ორასი წლის განმავლობაში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ქვეყანას წარმოადგენდა და ღრემდე რჩება საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწე ვერ შესძლებს მსგავსი მიღწევებით იტრაბახოს. და მაინც რიშელიეს უბრწყინვალესი მიღწევები იმ დროს მიეკუთვნება, როდესაც იგი ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელმაც შუასაუკუნეების რელიგიური და მორალური შეზღუდვები მოისროლა. თავისთავად ცხადია, რომ რიშელიეს მიმდევრებმა დაკარგეს ერთადერთობის პრივილეგია-სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისამდროისთვის უკვე ფერდინანდის ფანატიური გაუტყეხლობისგან შორს წასულები იყვნენ და შეიარაღებაზე რიშელიეს მოქნილობა ჰქონდათ აღებული. როგორც კი ყველა ქვეყანამ ერთი და იგივე წესებით თამაში დაიწყო, დასახული მიზნების მიღწევა სულ უფრო რთული გახდა. საფრანგეთის დიდების მიუხედავად, სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების კონცეფცია იძულებულს ხდიდა

მის მმართველებს დაუღალავად ეშრომათ მისი განაბირა საზღვრების

გაზრდისთვის. ამასთანავე, საფრანგეთი გერმანულ ქვეყნების შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში არბიტრის როლში გამოდიოდა და, მაშასადამე, ცენტრალურ ევროპაში თავის წამყვანობის როლს ახორციელებდა. ეს იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე სახელმწიფო მუდმივი დაძაბულობისგან არ დაუძლურდა და თანდათან ევროპის საკუთარი გეგმებისა და წარმოდგენების შესატყვისად ფორმირების უნარი არ დაკარგა.

რიშელიეს მიერ შექმნილ სამყაროში, სახელმწიფოები მორალური ნორმების დაცვის მოჩვენებით თავს აღარ იწუხებდნენ. თუ უმაღლესი ფასეულობა სახელმწიფოს კეთილდღეობა იყო, მმართველის მოვალეობა იყო მისი ტერიტორიისა და მისი დიდების გაზრდა. ძლიერი იმის წართმევას ცდილობდა, რის შენარჩუნებასაც ცდილობდა სუსტი, რისთვისაც ქმნიდნენ კოალიციებს, რომ ამით მისი ყველა წევრ სახელმწიფოს ძალა გაეძლიერებინათ. თუ კოალიცია საკმარისად ძლიერი იყო საიმისოდ, რომ აგრესორისთვის ბარიერი შეექმნა, ჩნდებოდა ძალთა თანაფარდობა; თუ არა, მაშინ რომელიმე მხარე ჰეგემონიას მოიპოვებდა. თუმცა, ამის შედეგები, სრულებითაც არ აღიქმოდნენ, წინასწარ განსაზღვრულებად და ამიტომ მრავალრიცხოვან ომებში გადიოდნენ გამოცდას. თავდაპირველად შესაძლო შედეგი შეიძლებოდა იმპერია ყოფილიყო, როგორც - ფრანგული ან გერმანული, - ასევე ძალთა თანაფარდობის სისტემა. აი რატომ დასჭირდა ევროპული წესრიგის დამყარებას, რომელიც საგანგებოდ ძალთა თანაფარდობაზე იყო დაფუძნებული, ას წელზე მეტი. ასე რომ თავიდან ძალთა თანაფარდობა თითქმის შემთხვევითი მოვლენა იყო და არა საერთაშორისო პოლიტიკის მიზანი.

HENRY KISSINGER - FROM UNIVERSALISM TO THE PROPORTION

SUMMARY

From universalism to the proportion – the political strategy , which was born in France, the first country- nation in Europe and the creator of all this was Cardinal Richelieu . The man of French Catholic society, his real name was count Arman Jean Du Plesi.

In spite of his private religion views, Cardinal Richelieu made the proportion of Europe’s forces in favor of France. the country followed this political strategy during two centuries and became more powerful state in the region.

Considering his aims , tactics and strategy and the ideal balance between them, Richelieu remains one of the most successful politicians in Europe till nowadays.

ლიტერატურა

1. Louis Auchincloss. Richelieu (Ошенкрос Луи. Ришелье) N.Y.: Viking Press, 1972. P. 256.
2. Quellenbuch *Geschichte (Австрийские исторические первоисточники)* // Ed. by Otto Frass. V. II. Vienna: Birken Verlag, 1959. P. 100.
3. Albert Sorel. Europe Under the Old Rejime (Сорель Альбер. Европа при старом режиме) // Trans. by Francis H. Herrick. Los Andeles: Ward Ritchie Press, 1947. P. 10.

ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი ასპექტები კოსოვოს კონფლიქტის მაგალითზე

სალომე ფიფია, თსუ-ს დოქტორანტი

პოლიტიკური კრიზისის პერიოდი.

პოსტცივი ომის პერიოდში მსოფლიოში არსებული კონფლიქტებიდან კოსოვოს კონფლიქტი ერთ-ერთია, რომლის მაგალითზეც ძალიან კარგად შეიძლება დავინახოთ თუ როგორ ხდება ჰუმანიტარული ინტერვენცია, რა მახასიათებლები აქვს მას და რამდენად სამართლიანია ამგვარი ჩარევა. იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ, რამ განაპირობა კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება, მოკლედ განვიხილავ ამ კონფლიქტს.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ დესტრუქციული კონფლიქტის მონაწილე მხარეებს წარმოადგენდნენ კოსოვოელი ალბანელები და სერბები. სერბეთი მოსახლეობის რაოდენობით და ტერიტორიით ყველაზე დიდი რესპუბლიკა დაიშალა ორი ავტონომიური მთავრობის შექმნის შედეგად. ერთი იყო ვოევოდინა, სერბეთის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე კოსოვო, სერბეთის სამხრეთით. კოსოვოს საზღვრები ზუსტად არ ემთხვეოდა იუგოსლავიაში ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ ტერიტორიებს. 1921 წლის აღწერის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობა ალბანელი იყო¹. თუ ამ კონფლიქტს ჩვენთვის ნაცნობ კონფლიქტის ტიპებს მივუსადაგებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ კოსოვოს კონფლიქტი იყო როგორც ინტერესთა, ისე ღირებულებებით კონფლიქტის ტიპის. როგორც წესი, განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე ჯგუფებს შორის, მეტი ალბათობა არსებობს კონფლიქტისა. ჯგუფებს შორის იწყება პოლარიზაციის პროცესი. სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებისაგან კულტურულ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტები, ყველაზე ძნელად მოსაგვარებელია. პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ საქმე ეხება სხვადასხვა ტრადიციას და ფასეულობას. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა, რომ მხარეებმა შეათავსონ ასპირაციები და ინტერესები, რაც სხვადასხვა კულტურის ხალხში თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, ასპირაციები განსაკუთრებით მტკიცეა, თუ მათ საფუძვლად უდევს ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობები, როგორცაა ინდივიდუალურობა, უსაფრთხოება და აღიარება. ეს სამივე ღირებულება აშკარა იყო კოსოვოს შემთხვევაში.²

ამ კონფლიქტში მხარეებს შორის დაპირისპირება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, სანამ ეს ყოველივე შეიარაღებული კონფლიქტის სახეს მიიღებდა. უფრო კონკრეტულად კი კოსოვოში კონფლიქტის ესკალაციის სპირალი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1950-იან წლებში მოქმედებდა არა ერთი იატაკქვეშა მოძრაობა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ალბანეთთან კავშირს. თუმცა ისინი პოლიტიკურად მაინც უმნიშვნელონი იყვნენ. **1960-იან** წლებში იუგოსლავიას დაუდგა ეკონომიკური და

1968 წელს ბელგრადში დაიწყო სტუდენტური დემონსტრაციები, რაც სულ მალე მთელ კოსოვოს მოედო ანუ მოხდა ესკალაციის ტრანსფორმაცია მცირედან უფრო ფართო მასშტაბებისკენ. ტიტოს მოუხდა დემონსტრანტების რამდენიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება. კერძოდ: სერბეთისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ორგანოებში ამიერიდან ალბანელი ძალებიც იქნებოდა წარმოდგენილი და მოხდებოდა ალბანური ენის უფრო მეტი აღიარება. ამ გზით შესაძლებელი ხდებოდა ბალანსის დაცვა და ძალების თანაბარი გადანაწილება, რასაც, წესით, უნდა განეპყვებოდა სიტუაცია.

1974 წელს კოსოვოს სტატუსი შედარებით გაუმჯობესდა იუგოსლავიის ახალი კონსტიტუციის მიხედვით. მას მიენიჭა სრულფასოვანი რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი: ფედერალური თავმჯდომარის ადგილი, საკუთარი ასამბლეა, საპოლიციო ძალები და ეროვნული ბანკი.³ როგორც ვიცით, კონფლიქტის ხელშემწყობი რამდენიმე მიზეზიდან ერთ-ერთი სწორედ “სწრაფად მიღწევადი წარმატებების პერიოდებია”. ადამიანები უფრო იმედიაინები ხდებიან, როდესაც საქმე კარგად მიდის, რაც იწვევს მათი მისწრაფებების ზრდას. ასეთ დროს, როდესაც ჩაგრული ხალხი აღწევს გარკვეულ წარმატებას, მათ სულ უფრო და უფრო მეტი ასპირაციები უჩნდებათ, რაც ხშირად, ხდება კონფლიქტის საფუძველი.⁴ იგივე შეიძლება ითქვას კოსოვოს მაგალითზეც, მისი სტატუსის შედარებით გაუმჯობესებამ ბიძგი მისცა უფრო მაღალ ასპირაციებს და მეტ მოთხოვნებს, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტში გადაიზარდა.

1981 წელს ტიტოს სიკვდილს მოჰყვა პოლიტიკური არასტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდი. ამავე წელს კოსოვოს ქალაქ პრიშტინაში მოხდა პირველი მნიშვნელოვანი აჯანყება. ალბანელმა სტუდენტებმა გააპროტესტეს უნივერსიტეტის სასადილოში გრძელ რიგში დგომა. ხშირად კონფლიქტს საბაბად შესაძლოა დაედოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო მიზეზი. როგორც წესი, ხშირად კონფლიქტის საბაბი და ნამდვილი მიზეზი განსხვავდება ერთმანეთისგან. ამჯერადაც, ეს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დაპირისპირება სწრაფად გავრცელდა მთელ კოსოვოზე და სულ მალე ეროვნული ამბოხების ხასიათი მიიღო, რასაც მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები კოსოვოს მრავალ ქალაქში ანუ გამოიკვეთა ესკალაციის ტრანსფორმაციის კიდევ ორი ტიპი: კონფლიქტი კერძო უთანხმოებიდან საზოგადოებრივ უთანხმოებაში გადაიზარდა და მცირე რაოდენობის ხალხის ფართო მასებად გადაიქცა. აჯანყებულები მოითხოვდნენ, რომ კოსოვო გამხდარიყო იუგოს-

¹ John B. Allcock, John R. Lampe, Antonia Young “Kosovo” available from Encyclopedia Britannica <http://www.britannica.com/EBchecked/topic/322726/Kosovo>

² Jeffrey Z. Rubin, Dean G. Pruit, Sung Hee Kim, Social Conflict : Escalation, Stalemate, and Settlement ,New York: McGraw –Hill, 1994. pp15-60

³ BBC News “Timeline Kosovo: A Chronology of Key Events” available from http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/3550401.stm

⁴ Jeffrey Z. Rubin, Dean G. Pruit, Sung Hee Kim, Social Conflict : Escalation, Stalemate, and Settlement ,New York: McGraw –Hill, 1994. pp15-60

ლაგის მეშვედ რესპუბლიკა. სერბების ნაწილი და ზოგიერთი ალბანელი ნაციონალისტიც მიიჩნედა, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება იქნებოდა წინაპირობა “დიადი ალბანეთის” შექმნისა, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა შესულიყო: მონტენეგროს ნაწილი, მაკედონიის რესპუბლიკა და თავად კოსოვო. იუგოსლავიის ხელისუფლებამ ჩაახშო ეს აჯანყება, თუმცა არ გაუუქმებია კოსოვოს ავტონომია, როგორც ამას სერბი კომუნისტები მოითხოვდნენ. ოფიციალური ცნობით, დაიღუპა 11 ადამიანი, ხოლო არაოფიციალური წყაროებით დაღუპულთა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა. კოსოვოში განთავსდა იუგოსლავიის საიდუმლო პოლიცია, რომელიც უმოწყალოდ ახშობდა ნებისმიერი სახის ნაციონალისტურ მანიფესტაციას, ალბანელების თუ სერბების მხრიდან.¹ შეიძლება ითქვას, რომ სახეზე იყო მეტოქეობის ტაქტიკის უკიდურესი ფორმით, ძალადობრივი გზით გამოვლენა.

კოსოვოში სულ უფრო იზრდებოდა ალბანელების ნაციონალიზმი და სეპარატიზმი, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირებას.

1986 წელს გამოქვეყნდა სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის მემორანდუმის შედეგები, სადაც ლაპარაკი იყო იუგოსლავიაში მცხოვრები სერბების პოლიტიკურ სირთულეებზე. მემორანდუმი ამტკიცებდა, რომ კოსოვოელი სერბები განიცდიდნენ ფიზიკურ, პოლიტიკურ, ლეგალურ და კულტურულ გენოციდს. ასევე უწყებოდა, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე 20 ათასზე მეტმა სერბმა დატოვა კოსოვო, იქ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. მემორანდუმი მოითხოვდა, რომ კოსოვოში ყოფილიყო გარანტირებული უსაფრთხოება და თანასწორუფლებიანობა ყველასთვის.

1989 წელს სლობოდან მილოშევიჩმა გააუქმა კოსოვოს ავტონომია და ქვეყანაში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რამაც გამოიწვია დემონსტრაციები და 24 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მილოშევიჩი და მისი მთავრობა განმარტავდა, რომ კონსტიტუციური ცვლილებები საჭირო იყო, რათა დაეცვათ კოსოვოელი სერბები ალბანელი მოსახლეობის დევნიდან. ამ პოლიტიკური ცვლილებების რატიფიცირება მოხდა 1990 წლის რეფერენდუმზე. ამ მოვლენის შემდეგ 80 ათასზე მეტი კოსოვოელი ალბანელი განდევნა კოსოვოს სახელმწიფო სამსახურებიდან. ახალი სასწავლო სერბული პროგრამა ძალით გაავრცელეს კოსოვოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ავტონომიის გაუქმებას კოსოვოში მოჰყვა პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმებაც, მისი ასამბლეა და მთავრობა კი დაითხოვეს.²

ამ პერიოდში ალბანურმა პოლიტიკურმა პარტიამ ასპარეზი დაუთმო კოსოვოს დემოკრატიულ ლიგას, რომელსაც სათავეში ედგა იბრაჰიმ რუგოვა. ლიგამ კოსოვოს ავტონომიის გაუქმების სანაცვლოდ დაიწყო “მშვიდობიანი წინააღმდეგობის” პოლიტიკის გატარება. რუგოვა თვლიდა, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა სერბეთის ძლიერ სამხედრო ძალასთან იქნებოდა

უსარგებლო და მხოლოდ უშედეგო სისხლისღვრას გამოიწვევდა პროვინციაში. ამიტომ მან მოუწოდა ალბანელი მოსახლეობას, ბოიკოტი გამოეცხადებინათ იუგოსლავიისა და სერბეთის სახელმწიფოებისათვის: არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, უარი ეთქვათ სამხედრო სამსახურზე და ყველაზე მნიშვნელოვანი: შეეწყვიტათ ყველაწიერი გადასახადების გადახდა სახელმწიფოსათვის.³ ამგვარი სტრატეგიის არჩევა, ფაქტიურად ნიშნავდა “წიწილას თამაშს” სტრატეგიაზე უარის თქმას, რაც თანამშრომლობის სტრატეგიის განვითარებას უფრო შესაძლებელს ხდიდა, თუკი ორივე მხარე გარკვეულ დათმობებზე წავიდოდა.⁴

1991 წელს კოსოვოს ფორმალურად არსებულმა ასამბლეამ ორგანიზება გაუკეთა კოსოვოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმს. მიუხედავად სერბეთის უშიშროების ძალების მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა და ძალადობისა, რეფერენდუმის შედეგები მაინც გამოქვეყნდა. კოსოვოში მცხოვრები ალბანელების 90% მხარს უჭერდა კოსოვოს დამოუკიდებლობას, ხოლო მთლიანი მოსახლეობის 98% იყო მომხრე, რაც მიახლოებით მილიონ ხმას ნიშნავდა.

1992 წელს ჩატარდა მომდევნო რეფერენდუმი, სადაც რუგოვა აირჩიეს კოსოვოს პრეზიდენტად. სერბეთის მთავრობა ორივე რეფერენდუმის შედეგებს უკანონოდ ცნობდა.⁵

1996 წლიდან დაიწყო უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტი. სერბეთის თავდაცვის პერსონალზე რამდენიმე თავდასხმა განახორციელა ორგანიზაციამ, რომელიც თავის თავს უწოდებდა “კოსოვოს გამათავისუფლებელ არმიას”. ეს ორგანიზაცია დაფინანსებას იღებდა ალბანური დიასპორისგან და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად შეაფასა, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, თუმცა ალბანელები მასში თავიანთ გამათავისუფლებლებს ხედავდნენ.⁶ სასტიკმა ომმა, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა, მიგვიყვანა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციამდე და მასში ჩაერთნენ გარეშე მხარეები.

ცნობილია, რომ ხშირად დაპირისპირებული მხარეები მეტოქეობის ტაქტიკაზე უარს ამბობენ, თუკი ასპარეზზე მესამე მხარე გამოდის, განსაკუთრებით კი თუ ამ მესამე მხარეს აქვს ძალაუფლება, როგორც ეს კოსოვოს შემთხვევაში კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის შემდეგ მოხდა.

მას შემდეგ რაც კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლობა იტვირთა ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ, მხარეები შეეცადნენ გადასულიყვნენ თანამშრომლობის სტრატეგიაზე და მათ შორის დაიწყო მოლაპარაკებები, რაც ისტორიაში რამბოულეტის კონფერენციის სახელით შევიდა. ეს მოლაპარაკებები დაიწყო 1999 წლის 19 თებერვალს, სადაც სერბეთის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო სერბეთის პრეზიდენტი მილან მილუტინოვიჩი, ხოლო

³ Ibrahim Rugova, Encyclopedia of World Biography, available from <http://www.notablebiographies.com/newsmakers2/2007-Pu-Z/Rugova-Ibrahim.html>

⁴ Nir Halevy, Eileen Y. Chou, J. Keith Murnighan “Mind Games: The Mental Representation of Conflict” available from <http://law-web.usc.edu/centers/cslp/conferences/gametheory/documents/MindGamesforUSC.pdf>

⁵ G. Richard Jansen “Albanians and Serbs in Kosovo” July 22, 2008; available from <http://amar.colostate.edu/~grjan/kosovohistory.html>

⁶ Armend. R. Bekaj “The KLA and the Kosovo War: From Intra-State Conflict to Independent Country” Berghof Conflict Research, 2010; p17

¹ “A kosovo Chronology” available from <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/kosovo/etc/cron.html>

² Kosovo Timeline Chronology of events 1989-1999 relating to the crisis in Kosovo, released by the Department of State, Washington, DC, May 21, 1999; available from http://www.state.gov/www/regions/eur/fs_kosovo_timeline.html

მილოშევიჩი იმყოფებოდა ბელგრადში, 1995 წლის დეიტონის კონფერენციისგან განსხვავებით, სადაც ის თავად წარმართავდა მოლაპარაკებას. მოლაპარაკებებზე მილოშევიჩის დაუსწრებლობის გამო, მეორე მხარე ამ პროცესის მიმართ სკეპტიკურად განეწყო, რადგან მიიჩნევს, რომ რეალური გადაწყვეტილებები მიიღებოდა ბელგრადში და არა უშუალოდ კონფერენციაზე, რის გამოც ამ კონფერენციის ჩატარებას აზრი ეკარგებოდა. მეორე მხრივ, კი მილოშევიჩის ჩრდილში ყოფნა შესაძლოა განპირობებული იყო მისი შიშით, რომ არ შეეპყროთ. ამ შემთხვევაში შესაძლოა ძლიერი იყო ატრიბუციული დამახინჯების ფაქტორი, როცა მხარე მეორე მხარის ნებისმიერ ქმედებას აღიქვამს ისე, როგორც ეს მას უნდა და რისი მოლოდინიც ისედაც ჰქონდა. ასეთ დროს მეორე მხარის ნებისმიერი ქმედება მხოლოდ ამყარებს პირველის წარმოდგენას და დამოკიდებულებას. მიუხედავად სერბული მხარის წინასწარი უარყოფითი განწყობისა, მოლაპარაკების პირველი ფაზა მაინც წარმატებით წარიმართა. კონტაქტ-ჯგუფის განცხადებით, მოლაპარაკების დროს მიიღწა კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ კოსოვოს მიეღო ავტონომია, რაც ასევე გულისხმობდა თავისუფალ და გამჭვირვალე საარჩევნო სისტემას, დემოკრატიული ინსტიტუტებს, ისეთ მთავრობას, რომელიც დაიცავდა ადამიანის უფლებებს და დააარსებდა გამჭვირვალე სასამართლო სისტემას. საჭირო იყო მხოლოდ ოფიციალურად გაფორმებულიყო შეთანხმება და გადაწყვეტილიყო კოსოვოში საერთაშორისო სამოქალაქო და სამხედროების ყოფნის საკითხი. 1999 წლის მარტში ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს ალბანელმა, ამერიკელმა და ბრიტანულმა დელეგაციებმა, თუმცა სერბმა და რუსმა დელეგაციებმა უარი თქვეს ხელის მოწერაზე. ამ შეთანხმების მიხედვით კოსოვო ხდებოდა იუგოსლავიის ავტონომიური პროვინცია, სადაც უნდა ყოფილიყო ნატოს 30 000 ჯარისკაცი, რომლებიც რეგიონში წესრიგს დაიცავდნენ, თუმცა სერბები არ დათანხმდნენ კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალების განლაგებას, რადგან ამ პროცესს ს. მილოშევიჩი იუგოსლავიის სუვერენიტეტის შელახვად აღიქვამდა, ხოლო კოსოვოელი ალბანელები უარს აცხადებდნენ განიარაღებაზე, თუ კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს არ მიიღებდნენ. მხარეები ვერ შეთანხმდნენ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რის გამოც ეს მოლაპარაკება არ შედგა.¹

1999 წლის 24 მარტიდან იუგოსლავიისადმი ომის გამოცხადების გარეშე ნატომ დაიწყო დაბომბვის კამპანია. მასში ჩართული იყო 1000-ზე მეტი თვითმფრინავი, გემები, რაკეტები და ა.შ. ნატოს ყველა წევრი ქვეყანა გარკვეულწილად მონაწილეობას იღებდა ამ კამპანიაში. საბერძნეთიც კი, რომელიც საჯაროდ არ უჭერდა მხარს ამ ომს. კონფლიქტის მსვლელობისას 10 კვირის მანძილზე ნატოს ავიაციამ დაახლოებით 38 ათასი სამხედრო ოპერაცია განახორციელა. გერმანული საავიაციო ძალები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მონაწილეობდნენ

Примечание - Подготовлена автором на основании исследований					

тенге, из них за счет государства -51673 тенге и доходность товаропроизводителя - 52786 тенге.

Анализ показывает, что при определении нормативов затрат не учитываются усредненные технологии по возделыванию сельхозкультур, которые не отражают особенности каждого сельхозформирования (обеспеченность трудовыми и материально-техническими ресурсами и т.д.), что ставит в одинаковые условия при страховании различных культур (определение страховых взносов сельхозтоваропроизводителями и возмещение убытков страховыми компаниями), гарантированность возмещения ущерба за счет государства, а не

за счет страховой компании.

Таким образом, предлагается внедрить обязательное страхование по всем основным сельхозкультурам и категориям хозяйств, включая хозяйства населения. Для этого необходимо: учитывать фактически сложившуюся урожайность за пять лет и расчетные прогнозируемые цены, установленные Министерством сельского хозяйства; установить размер страховых взносов (премий) сельскохозяйственным товаропроизводителям в размере 10% застрахованной стоимости урожая, в том числе 5% - за счет республиканского бюджета, формирующих страховой фонд.

Таблица 4 – Показатели обязательного страхования в растениеводстве в 2005-2010 гг.

Мероприятия	2005 г.	2006 г.	2007 г.	2008 г.	2009 г.	2010 г.
Количество заключенных договоров со страхователями в 2005-2010 гг., в ед.	19008	13619	25446	33957	32165	16944
Всего площадь застрахованных посевов, га	10454200	9078610	12119581	14460541	14979249	12715262
Площади гибели посевов, в га	-	243761	258608	666199	584764	1155446
Охват площади гибели посевов, подвергшихся воздействию неблагоприятных природных явлений (%)	-	2,7	2,1	4,6	3,9	9,1
Количество выездов на страховые случаи, в ед.	1411	449	686	2062	1179	2015
На возмещение части страховых выплат от страховых компаний и обществ взаимного страхования поступило и рассмотрено заявлений, в ед.		1229	743	1397	2180	2179
Всего выделено бюджетных средств на реализацию программы «Поддержка страхования в растениеводстве», тыс. тенге	2000000	100000	300000	100000	100000	100000
Общая страховая сумма по договорам со страхователями, в тыс. тенге	34372458	26650054	34796059	46644737	52902505	47364918
Сумма страховых премий по договорам со страхователями, в тыс. тенге	898607	684722	997392	1093232	1114366	1076208
Сумма произведенных страховых выплат страховыми компаниями и обществами взаимного страхования по договорам заключенным в 2005-2010 гг., в тыс. тенге	1064870	477670	700538	1709623	1465129	2815380
Возмещено части страховых выплат Агентом страховым компаниям и обществам взаимного страхования по договорам заключенным в 2005-2010 гг.,						
Количество заявлений, в ед.	1034	367	623	1814	1112	1275
Сумма, в тыс. тенге	520110	236004	350188	819106	693144	1224508

A.S. Narimbaeva
SUMMARY

The article describe insurance's problems as the important condition of Kazakhstan's agrarian economy.

Insurance promotes reconstruction and development of production power appearing with technical and economical problems, not sore cast expenses of a state, reduces inflation's factor activity, and optimizes correlation of supply and demand of goods and services.

კოოპერაცია – სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტური მექანიზმი

პაატა კოლუაშვილი
სრული პროფესორი
დავით მაშუკელაშვილი



ქართული სოფელი, რომლის შინაგანი პოტენციალი და თვითგანვითარების უნარი უაღრესად დაკნინებულია წლების განმავლობაში მის მიმართ უდიერი დამოკიდებულებისა და არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას. ასეთ პირობებში ამართული და არაერთგვაროვანი სისტემის კრიზისიდან გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი მექანიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორი იქნება საბოლოოდ ქართული სოფლის მომავალი, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გაანალიზებული და შეფასებული კრიზისის გამომწვევი ფუნდამენტური პრობლემები, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული კონცეპტუალური ხედვებისა და ეფექტური პროექტების შემუშავება. ამისთვის, საუკეთესო იქნება საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც შეიშუშავებს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სტრატეგიას, სოფლის განვითარების პოლიტიკას, ინოვაციური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

დღეს საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვი საზოგადოების თითოეული წევრის მოქალაქეობრივ და სამეწარმეო გააქტიურებაში, პრობლემების საერთო ძალისხმევით მოგვარებასა და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესების ხელშეწყობაში ძევს. სწორედ ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია საწარმოო ურთიერთობათა ფორმის სწორი არჩევანი და მასზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ცვლილებები, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის, ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობისა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების საშუალებას. მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება კოოპერაციული სექტორის განვითარების აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაშია

შესაძლებელი. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ზარისზე გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება არის დარვის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა.

ეკონომიკური საქმიანობის კოოპერაციული ფორმის აღმოცენება განპირობებულია ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებით ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით – აგრარულ სფეროში. კოოპერაცია დიდ როლს ასრულებს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხში. მიმდინარე პერიოდში მსოფლიოში მოქმედებს 120-მდე სხვადასხვა ტიპის კოოპერაციული ორგანიზაცია, რომელთა საერთო რაოდენობა 70 ათასს, ხოლო მათი წევრების რაოდენობა – 800 მილიონ ადამიანს აჭარბებს.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნილოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტონმატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯვანსალი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

კოოპერატივი წარმოადგენს ავტონომიურ საზოგადოებას, რომელშიც ნებაყოფლობით გაერთიანებულნი არიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ საერთო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული საჭიროებები და სურვილები და რომლებიც ერთობლივად და დემოკრატიულად მართავენ საწარმოს.

კოოპერატივის უმჯობესი მიზანი

ძირითადი მიზანი კოოპერატივის შექმნისა არის მისი წევრების საერთო/საზოგადო საჭიროებების დაკმაყოფილება.

ღირებულებები

კოოპერატივი დაფუძნებულია ისეთ ღირებულებებზე, როგორცაა ერთობა, ურთუერთდახმარება, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლიანობა და ერთსულოვნება.

პრინციპები

კოოპერატივის პრინციპები არის ერთგვარი სახელმძღვანელო იმისათვის, რათა მოხდეს კოოპერატივის ღირებულებების რეალიზაცია პრაქტიკაში.

1. ნებაყოფლობითი და ღია წევრობა

კოოპერატივი წარმოადგენს ნებაყოფლობით (მოხალისეთა) შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერი მსურველის უზრუნველყონ თავიანთი შესაძლებლობების (მომსახურების) რეალიზაცია და გაიზიარონ წევრობის საერთო პასუხისმგებლობა დამოუკიდებლად სქესისა, სოციალური, რასობრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური დისკრიმინაციისა.

2. დემოკრატიული მმართველობა (კონტროლი)

კოოპერატივი არის დემოკრატიული გაერთიანება/ორგანიზაცია, რომელიც კონტროლდება წევრთა მიერ, რომელნიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას კოოპერატივისათვის კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წევრები (ქალები და კაცები), რომლებიც მსახურობენ როგორც არჩეული წევრები, ამ წევრობისათვის გარკვეულწილად ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ჩვეულებრივ, კოოპერატივის წევრებს ხმის მიცემის თანაბარი უფლება გააჩნიათ (თითოეულ წევრს თითო ხმის უფლება აქვს). სხვა ორგანიზაციულ დონეებზე შექმნილ კოოპერატივებსაც ორგანიზაციის დემოკრატიული სტილი გააჩნია.

3. წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა

წევრები თანაბრად მონაწილეობენ როგორც კოოპერატივის კონტროლის პროცესში, ასევე, კაპიტალში. კოოპერატივის კაპიტალი საერთო ქონებას წარმოადგენს მისი წევრებისათვის. წევრობის პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება წევრებს გააჩნდეთ განსაზღვრული ოდენობის კომპენსაცია. დამატებით შემოსავალს როგორც წესი კოოპერატივის წევრები იყენებენ მათი კოოპერატივის განვითარებისათვის, ქმნიან რეზერვებს, მონაწილეობის წილის მიხედვით გასცემენ სარგებლებს წევრებზე და აფინანსებენ კოოპერატივის სხვადასხვა ახალ-ახალ საქმიანობებს, რომლებიც დამტკიცებულია კოოპერატივის წევრების მიერ.

4. ავტონომია/თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა

კოოპერატივი წარმოადგენს თვითმმართველ, ავტონომიურ სუბიექტს, რომელიც იმართება/კონტროლდება მისივე წევრების მიერ. თუკი ისინი გადაწყვეტენ, ხელშეკრულება გააფორმონ სხვა ორგანიზაციებთან, ან სახელმწიფოსთან, ან მოიძიონ კაპიტალი გარე წყაროებიდან, ისინი ცდილობენ უზრუნველყონ არსებული მართვის სტილის დაცვა (დემოკრატია და ავტონომია).

5. განათლება, გადამზადება და ინფორმაცია

კოოპერატივი უზრუნველყოფს მისი წევრების განათლებისა და გადამზადების საქმეს, წარმოადგენს/რწმუნებული/ნდობითა და უფლებებით აღჭურვილი პირის არჩევას, ისე რომ ამ უკანასკნელებმა მეტი წვლილი შეიტანონ კოოპერატივის განვითარების საკითხში. ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებას – უმეტესად კი ახალგაზრდებსა და “აზრთა ლიდერებს” – კოოპერატივის რაობისა და სარგებლიანობის შესახებ.

6. კოოპერაცია კოოპერატივებს შორის

კოოპერატივი არსებობს იმისათვის, რათა სარგებელი მოუტანოს მის წევრებს და ამასთან, გაძლიერდეს ლოკალური/ადგილობრივი, ნაციონალური, რეგიონული და საერთაშორისო სტრუქტურათა შორის თანამშრომლობითა და მუშაობით.

7. საზოგადოებასთან დამოკიდებულება

კოოპერატივები მუშაობენ თავიანთი საზოგადოების/ერთობის მდგრადი განვითარებისათვის, მისი წევრების მიერ შემუშავებული პოლიტიკის მეშვეობით.

8. ეკოლოგიური პერსპექტივა/პირიზონტი

კოოპერატივები აცნობიერებენ, რომ ადამიანები არ არიან ერთადერთი ნაწილი დამოუკიდებელი სამყაროსი, არამედ მისი ერთ-ერთი შემადგენელი და, რომ ბუნების პატივისცემა მის ყოველ გამოხატულებაში არის განუყოფელი ადამიანური კეთილშობილებისა და ღირსებისაგან.

კოოპერატივები თანხმდებიან, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა არის განუყოფელი ნაწილი კოოპერატივების მეშვიდე პრინციპისა – საზოგადოებასთან დამოკიდებულება.

საქართველოში აგრარული წარმოების კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირების მოტივაციას. ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ საჭირო ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმების დაბალანსებული შერწყმით მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი მართვა, რაც საფუძველს უქმნის დაფინანსების ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გარანტირებულ რეალიზაციას.

აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირება გამოირჩევა რთული სტრუქტურით და ნორმატიულად განსაზღვრული კომპლექსური მიდგომით. სახელმწიფო რეგულირებით ხორციელდება ის ფუნქციები, რომლებსაც თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმი ვერ ახერხებს. ამ მექანიზმების ოპტიმალურად დაბალანსებული მოქმედებით მიიღწევა ფინანსური სტიმულირების ეფექტური მართვა, რომელიც ხდება საფუძველი დაკრედიტების ყველა სუბიექტის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისა. რეგულირების ფორმები და მეთოდები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დარგების

რეალურ მდგომარეობასთან, ხოლო ზემოქმედების მასშტაბი დამოკიდებულია სამეწარმეო საქმიანობის განვითარების დონეზე.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს კოოპერაციის სახელმწიფო რეგულირებას შეღავათიანი რეჟიმების გამოყენებით, რაც გამოიხატება კოოპერაციის სუბსიდირების, სუბვენციების, შეღავათიანი დაკრედიტების, საგადასახადო და სადაზღვევო პოლიტიკის გატარებაში.

ლიბერალური ეკონომიკური განვითარების თითქმის ყველა წარმატებულმა ქვეყანამ სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად სხვადასხვა ფორმის კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციები (კოოპერატივები, ასოციაციები, ამხანაგობები, კავშირები) მიიჩნია.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, ისევე როგორც ურთიერთობები, იცვლება განვითარების ეტაპების მიხედვით, რაც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოს როლის გაძლიერებასთან კოოპერაციული ინსტიტუტების დამკვიდრებაში. საბიუჯეტო სახსრების აგრარულ სექტორში განთავსება შეღავათიან პირობებში და მათი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. ამ პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას სახელმწიფო ახორციელებს მხოლოდ კომპლექსური მიდგომების საფუძველზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროექტმა უნდა მოიცვას აგრარული წარმოების მთლიანი სისტემა.

სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების (განსაკუთრებით საფინანსო და ფულად-საკრედიტო) ოპტიმიზაცია საშუალებას იძლევა გადაილახოს არსებული შეზღუდვები და შეიქმნას ოპტიმალური პირობები სასოფლო-სამეურნეო დაფინანსების ეფექტური განხორციელებისათვის.

საქართველოში სახელმწიფო ზემოქმედების აგრარული სუბიექტის განსაზღვრისას სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების, საწარმოო ძალთა კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით, ეფექტიანი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის თვალსაზრისით, სხვადასხვა ტიპის კოოპერაციულ ფორმებს შორის სათემო ორგანიზაციებს (სათემო კავშირები, კოოპერატივები), ჩვენი აზრით, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

სათემო ორგანიზაცია აერთიანებს ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს თავიანთ სოფელში ან უბანზე არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. მისი ხელმძღვანელობა არჩეული არის ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას გეგმავენ და ახორციელებენ მოცემული

თემის მოსახლეობასთან ერთად.

თემის სამეწარმეო მობილიზაცია წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს და წინაპირობას ვერტიკალური კოოპერაციის ტიპური მოდელის შესაქმნელად, კოოპერირების სხვადასხვა ფორმის ელემენტების გამოყენებით. ვერტიკალური კოოპერაციის, როგორც სპეციფიკური ფორმის გამოყენება წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას საწარმოო ძალთა განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც განსაკუთრებით იზრდება ორგანული ურთიერთკავშირის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და გადამმუშავებელ საწარმოს შორის.

სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ აღძრან საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და რომლებშიც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი. ამ ორგანიზაციების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი ელემენტი და სანდო პარტნიორი მწვავე პრობლემების გადაჭრისას.

მიწის წვრლ მესაკუთრეთა, მათი ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებებისა და მათთან კოოპერირების სხვადასხვა ფორმით ინტეგრირებულ გადამმუშავებელ საწარმოთა ფუნქციონირება, მიზანშეწონილია სარისკო კაპიტალის მოპოვების გზით. სარისკო კაპიტალის მოპოვების შესაძლებლობა ახალია საქართველოში და განსაკუთრებულად გამოსადეგი და მიზიდველია განვითარებადი (მცირე და საშუალო) ბიზნესებისთვის, რადგან ფინანსური დახმარების გარეშე მათი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ განვითარებას. ეს არის დაფინანსების ისეთი ფორმა, რომელიც ითვალისწინებს მცირე და მზარდი ბიზნესის მრავალმხრივ სპეციფიკას.

სარისკო კაპიტალის ინვესტირების ძირითადი მახასიათებელია საწარმოს პარტნიორად გახდომა სხვადასხვა ხარისხის რისკების გაწევაში. წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს რომ სარისკო კაპიტალის ინვესტირება მცირე და საშუალო საწარმოებში წარმოადგენს ეფექტურ საბაზრო მექანიზმს. გარდა ამისა, ამ ტიპის ინვესტიციების წარმატებასა და ამ კომპანიების სიცოცხლისუნარიანობას თან სდევს სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები.

ასეთი სესხის ასაღებად საჭიროა უფრო ნაკლები უზრუნველყოფა (გირაო) და სესხი როგორც წესი არის უფრო გრძელვადიანი კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებულ სესხებთან შედარებით. გადახდები კი შეიძლება უშუალოდ იყოს დაკავშირებული დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან. ასეთი სესხის დაფარვის ინდივიდუალური გრაფიკი შედგენილი იქნება ინვესტირების კომბინირებით ან/და ე.წ. როიალტი

(შემოსავალს ან მოგებასთან მიბმული გადახდები). სარისკო კაპიტალზე ორიენტირებული „თემის სამეწარმეო მობილიზაციის ფონდის“ შესახებ იხილეთ ქვემოთ.

სახელმწიფო რეგულირების სექტორში ახალი რეგულაციის დანერგვა იძლევა საშუალებას ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნისა, რაც, თავის მხრივ, ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისთვის, რომელიც აფერხებს აგრარული სექტორის გადასვლას (ტრანსფორმაციას) მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთობების (თანამედროვე) სისტემებზე.

მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება:

– საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას, და

– მასშტაბური წარმოების, რომელიც განაპირობებს ერთს მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

კოოპერირების პრინციპებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებით მიიღება **სინერგიული ეფექტი** შემდეგი ძირითადი კომპონენტების (ეფექტების) ერთობლიობის საფუძველზე:

1. **ეკონომიკური ეფექტი** – მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი ზრდა, სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური და დაბალანსებული განვითარება,
2. **სოციალური ეფექტი** – სოციალური სოლიდარობა და სამართლიანობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება,
3. **ეკონომიკური თვითმმართველობა** – თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი.

აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე გავლენას ახდენს რიგი ნეგატიური ფაქტორები, რაც უმთავრესად ძირითადი პრინციპების დარღვევასთან არის დაკავშირებული და ქმნის გარკვეულ მეთოდოლოგიურ სირთულეს, მაგრამ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის წარმატებული მაგალითი იძლევა საკმარის მასალას სისტემური ანალიზის საფუძველზე მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განზოგადებისთვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტი საზოგადოებრივი (კოოპერაციული) ბიზნესის განვითარების მიმართულებებს მხოლოდ კერძო ინიციატივათა ჭრილით განიხილავს, რაც აკნინებს ასეთი პროექტის რეალურ მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, კერძო ბიზნესის განვითარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ თუ არსებობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და სათანადო პროგრამებიც, რომლებიც მოქმედებს საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ინტერესებზე, თუ შესაძლებელია ორმაგი (და რიგ შემთხვევებში

კიდევ მეტი) ეფექტის მიღება როგორც ქვეყნის ტრადიციული დარგების, ისე სოციალური სფეროს სწრაფი რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება **სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად** უნდა ჩაითვალოს. საზოგადოებამ და ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიერონ, რომ სოციალური პოლიტიკის ერთადერთ და ყველაზე ძლიერ ფუნდამენტს სწორედ ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს, რომელიც მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის – **ეკონომიკურისა და ეთიკურის** – ოპტიმალური სინთეზის საშუალებას იძლევა და რომ მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის კერძო სამეწარმეო ინიციატივის განვითარებასა და სამეურნეო სისტემის სრულყოფაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება გახდეს ქვეყანაში სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის დაძლევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების უმთავრესი მყარი საფუძველი.

კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმების გამოყენებაზე დამყარებული, ახლებურად გააზრებული ეკონომიკური მოდელი არის საფუძველი სოფლის კომპლექსური განვითარების, აგრონედლეულის წარმოების, გადამამუშავების და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნისა, სადაც თითოეული სამეურნეო რგოლი წარმოადგენს დანარჩენებთან ორგანულად ინტეგრირებულ ნაწილს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას **კოოპერაციის განვითარების ეროვნული ცენტრი**, რომელიც უმოკლეს დროში შეიმუშავებს ქვეყანაში კოოპერაციის განვითარების ერთიან სტრატეგიას, მოამზადებს საკანონმდებლო ბაზას და კოორდინაციას გაუწევს პროცესის მიმდინარეობას.

„თემის სამეწარმეო მობილიზაციის ფონდი“

„თემის სამეწარმეო მობილიზაციის ფონდი“ წარმოადგენს საინვესტიციო ფონდს, ინოვაციური საინვესტიციო მექანიზმით, რომელიც ქვეყნის რეგიონებში დააბანდებს გრძელვადიან ინვესტიციებს – ძირითადად აგრობიზნესის საწარმოებში. ამით ბიძგი მიეცემა სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ამავე დროს ინვესტიციებიდან მიღებული ფინანსური სახსრების ნაწილი მოხმარდება საქართველოს სამომავლო მიზნებს. ამასთანავე, ფონდის წარმატება ქართულ აგროსამრეწველო სექტორს მიმზიდველს გახდის ინვესტორებისათვის, რაც ქვეყანაში ინვესტიციების დამატებით შემოდინებას შეუწყობს ხელს.

ფონდის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მიზნობრივი საინვესტიციო საწარმოები.

ფონდი აბანდებს ინვესტიციებს ქართულ საწარმოებში, უპირატესად საქართველოს ეკონომიკის ყველა-

ზე დიდ და მნიშვნელოვან – აგრობიზნესის სექტორში. საინვესტიციო წინადადებების განხილვისას ფონდის არჩევანი უპირატესად განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მძლავრ პარტნიორულ (კოოპერაციული) ურთიერთობებზე დამყარებული საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, აგრეთვე ხელმძღვანელობის და/ან მესაკუთრეების ძლიერი მხარეებითა და გამოცდილებით, მათი კონკურენტული უპირატესობებით, ბაზარზე მყარი ადგილის დაკავებისა და დინამიური ზრდის პერსპექტივებით. ფონდის მიერ ინვესტირებული სახსრები შეიძლება მოხმარდეს საწარმოთა ზრდის ხელშეწყობა საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს ახალი ტექნოლოგიების შექმნა, საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის ზრდა და განვითარება.

სარისკო კაპიტალი და პარტნიორობა.

ფონდი ახორციელებს ინვესტირებას და თანამშრომლობს კომპანიებთან სარისკო კაპიტალის შეთავაზების გზით.

ვინაიდან ფონდის წარმატება ინვესტიციების მიმღებთა წარმატებაზეა დამოკიდებული, მჭიდრო თანამშრომლობაზე (პარტნიორობაზე) ორიენტირებული ურთიერთობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს ფონდის მხრიდან ინვესტიციის მიმღების ოპერატიულ და სტრატეგიულ ხელშეწყობაში და არ არის დამახასიათებელი ტრადიციული კომერციული სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის.

სარისკო კაპიტალის ინვესტირებით ფონდი აქტიურად მუშაობს კომპანიის ხელმძღვანელობასთან კომპანიის საერთო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად და შემოსავლების გასაზრდელად. ეს თანამშრომლობა მოიცავს დახმარებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, ფინანსურ კონტროლში, მარკეტინგის საკითხებში, წარმოების სტანდარტებში, გაყიდვებში, მომგებიანობაში, კვალიფიციურ და მჭიდრო თანამშრომლობაზე ორიენტირებული მენეჯმენტის შექმნაში და ა.შ.

ფონდის დაფინანსების პოტენციურ მიმღებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი თვისებები:

1) **კოოპერირებისა და საწარმოო ინტეგრირების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით პროექტში მოსახლეობის ჩართულობის მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ წარ-**

მოადგენს სამეურნეო რისკების გადანაწილებისა და შემცირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს;

2) გარემოს დაცვითი და სოციალური რისკების მინიმიზირების რეალური პერსპექტივები;

3) ბიზნესის დინამიური ზრდისა და მომგებიანობის შემუშავებული სტრატეგია;

4) მასშტაბური ეკონომიკური განვითარების პოტენციალი;

5) ფულადი ნაკადის გენერირების მაღალი პოტენციალი;

6) პერსპექტიული პოზიცია მზარდ ან/და განვითარებად ბაზარზე.

*Paata Koghuashvili
GTU full Professor
Davit Mamukelashvili*

COOPERATION – THE EFFECTIVE MECHANISM OF AGRICULTURE

SUMMARY

The work concerns the development of voluntary cooperative relations and inter-branch integration and also the technological settlement in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. Based on social solidarity the cooperative community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country's population and dynamic improvement of its socio-economic situation.

აგრარული სექტორის წინაშე მდგარი ზოგიერთი პრობლემა

ლია პიტიურიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სმბროსი გრიშკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



ძველი ბერძნები საქართველოს „გეორგიას“, ხოლო ქართველებს - „გეორგიანებს“, ანუ „მიწის მუშებს“ უწოდებდნენ. ცხადია, ასეთი ტრადიციების მქონე ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ თავიანთი მარჩენალი მიწის სათანადოდ დამუშავება, თავისა და ოჯახის რჩენა. არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველო მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის სამშობლოდ მიიჩნევა. ამიტომ, დღეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება სასურსათო პროდუქციით მოსახლეობის დაკმაყოფილების სფეროში, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მორალური პრობლემაცაა. ქართველებისათვის სასირცხვილო უნდა იყოს, რომ ყაზახეთიდან ლობიო შემოგვაქვს, სტაფილო და ჭარხალი - სომხეთიდან, ვაშლი - მოლდოვიდან, დაკონსერვებული სიმინდი - იტალიიდან, ხოლო ხაზვი და ნიორი - ჩინეთიდან. უფრო მეტიც, მაშინ, როდესაც ჩინეთს შეუძლია ხორბლით დააკმაყოფილოს თავისი თითქმის მილიარდნახევრიანი მოსახლეობა და ეს პროდუქცია საექსპორტოდაც კი აწარმოოს, საქართველო, რომელიც ხორბლის ზოგიერთი ჯიშის სამშობლოდაც კი ითვლება, მეხუთედიტაც კი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს... ყოველივე ამის შედეგი კი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროდუქტების იმპორტი სამჯერ და მეტად აღემატება მის ექსპორტს. კერძოდ, 2010 წლის იანვარ-ოქტომბერში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 233,7 მილიონი ლარი, ხოლო იმპორტმა - 732,4 მილიონი.

ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტში გამოკვეთილია სანედლეულო პროდუქციის უპირატესობა, ხოლო იმპორტში კი სამომხმარებლო საქონლის. ეს კი წარმოების დაბალი განვითარების ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

ქვეყნის მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი წლების მანძილზე მცირდება. თვით სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაში ყველაზე დიდი მოცულობით წარმოადგენილია ალკოჰოლური, უალკოჰოლო, თამბაქოს პროდუქცია და ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით მცირდება. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, კერძოდ,

ქვეყანაში თამბაქოს ნედლეულის წარმოება თითქმის გაჩერებულია, როგორც ჩანს, ჩვენს ექსპორტში აისახა ნედლეულის იმპორტის შედეგად დამზადებული სიგარეტების ექსპორტის მოცულობა. რაც შეეხება იმპორტს, აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი 16.0 % და 21,2%-ია და აქაც იმპორტის ძირითადი ნაწილი ალკოჰოლურ და უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე მოდის - 46,0 და 50,8 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ექსპორტიდან შემოსავლები მხოლოდ 19-20%-ით ფარავს იმპორტისათვის აუცილებელ თანხას, რაც ნამდვილად საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებს. ამასთან ეს მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება და ქვეყნის ხელისუფლებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ საგანგებო ღონისძიებების გატარებას, როგორც იმპორტშემცველი საქონლის მოცულობის გასაზრდელად, ასევე ექსპორტის წასახალისებლად. ქვეყანაში ექსპორტის დაბალ დონეზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის მოცულობა შეადგენს - 284 დოლარს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ირლანდიაში - 28,9 ათასი დოლარია, ავსტრიაში - 18,5 ათასი, გერმანიაში 16,2 ათასი. ასევე დაბალია ექსპორტის წილი მშპ-ში და იგი 13%-ს არ აღემატება, მაშინ როცა იგი ირლანდიაში - 81,1%-ია, სლოვენიაში - 86,6%, უნგრეთში - 79,9%, ჩეხეთში 79,8%, აშშ-ში 71,4%.

წინამდებარე წერილში სწორედ იმ ზოგიერთ მიზეზზე გვსურს მოკლედ საუბარი, რომლებმაც ქვეყანაში მდგომარეობის ასეთი გამწვავება გამოიწვია.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განუვითარებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ნაკვეთების მცირეკონტურიანობა წარმოადგენს. პოლონურ ჟურნალში ერთი დასავლეთ ევროპელი ექსპერტი წერდა ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის შესახებ. წერილს თან ერთვის და ფოტოსურათიც, რომელზედაც პოლონეთის ერთ-ერთი სავოევოდოს (პოლონეთში სულ 16 სავოევოდოა) სავარგულები თვითმფრინავიდან გაზაფხულზე იყო გადაღებული. სურათიდან ჩანდა, თუ როგორი მცირეკონტურიანია ამ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარ-

გულები. პოლონეთში ამჟამად მთელი მიწები კერძო მფლობელობაშია (სოციალიზმის დროს ამ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში იყო 85 პროცენტზე მეტი, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც ახლა ჩვენთან. და ფერმერის საკუთრებაში არსებული სავარგულის საშუალო ფართობი შეადგენს 7-8 ჰექტარს. ნათელია, თუ მსგავსი სურათი რა სახეს მიიღებდა, ან რას იტყოდა ის ექსპერტი საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, სადაც ერთი ფერმერის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი საშუალოდ ერთი ჰექტარია.

ცხადია, ასეთი მცირეკონტურიანი მიწების დამუშავებას დიდი ეფექტი არ ექნება. სხვა რომ არაფერი, როგორც სათანადო შესწავლით ირკვევა, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 8%-ზე მეტი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზითაა ბრუნვიდან ამოვარდნილი, რომ ისინი მიჯნებს უკავიათ. ისეთი მცირე მიწიანი ქვეყნისათვის, როგორც ჩვენია, ეს დაუშვებელია.

ასეთი მცირეკონტურიანობის პირობებში თითქმის შეუძლებელია ასევე ტექნიკის, ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენება. თუმცა ყოვლად გაუმართლებელი იყო, ისეთი იძულებით შექმნილი შრომის ორგანიზაციის ფორმები, როგორც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენდნენ, მაგრამ მისი შემქმნელები თავიანთი პირშმოს არსებობას ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით ამართლებდნენ. ეს მართლაც ასეა. შეერთებულ შტატებში ამ დარგის ეფექტური მუშაობის ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზი ისიცაა, რომ იქ ერთი ნაკვეთის საშუალო ფართობი 50 ჰექტარზე მეტს შეადგენს. ამიტომ, სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ნაკვეთების გამსხვილების პროცესს, თუმცა არცის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც ქართული გამოთქმა ამბობს, მეტის მეტი, ბრეტის-ბრეტო. ეს პროცესი კონტროლიდან არ უნდა გამოვიდეს და ლათინოამერიკული ლატიფუნდიების სახე არ უნდა მიიღოს. ეს კიდევ უფრო დაამძიმებდა დარგში შექმნილ მდგომარეობას.

სწორედ ნაკვეთების მცირეკონტურიანობაა ამ დარგში დაბალი ეფექტურობის მიზეზი. დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოამერიკაში მოსახლეობის 2-4 პროცენტი აწარმოებს იმდენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც დააკმაყოფილოს და აგრარული პროდუქცია საექსპორტოდაც გაიტანოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაგალითად, დანიაში 3 ფერმერი აწარმოებს იმდენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომ ქვეყნის 97 მოსახლესაც აკმაყოფილებს პროდუქციით და უცხოეთშიც გააქვს იგი. ჩვენთან კი ერთ ფერმერს ერთი მოსახლის (რამეთუ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ სოფლად ცხოვრობს) მოთხოვნილების

დაკმაყოფილებაც არ შეუძლია, ექსპორტზე რომ არაფერი ვთქვათ. ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი ქვეყნის მეცხოველეობაში, სადაც ერთ ფერმერზე საშუალოდ მხოლოდ 2-3 ფური მოდის.

ჯერჯერობით ქვეყანაში არაფერი კეთდება ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებლად. უფრო მეტიც: დღევანდელი საგადასახადო სისტემა ხელშეწყობის მაგივრად აფერხებს სავარგულების გამსხვილების პროცესს, თუნდაც იმით, რომ გლენს 5 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთს არ უბეგრავს, ხოლო მის ზევით გადასახადს ახდევინებს. ეს კი ცხადია, მას ნაკვეთის გამსხვილების ხალისს უკარგავს, რაც, თავის მხრივ, აფერხებს დარგის განვითარებას.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაკვეთების გამსხვილების პარალელურად უნდა ხორციელდებოდეს სოფლის ტექნიკით მომარაგება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამსხვილებას აზრი არ ექნება და სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. დარწმუნებული ვართ, რომ თუ მოხდება ქვეყნის აგრარული სფეროს სათანადოდ მომარაგება ტექნიკით, განხორციელდება სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოები (ზოგჯერ ადამიანს ეგვი ეპარება იმაში, თუ რამდენად ეროვნულად მოაზროვნე ხალხის ხელშია ქვეყნის საირიგაციო სამუშაოები, იმდენად შეუფერებელ დროს იწყებენ არხების გაწმენდას), დაიხვეწება აგრარული სფეროს დაბეგრის სისტემა და ა.შ. მაშინ პრობლემა აღარ იქნება ჩვენი მოსახლეობის არა მხოლოდ სასურსათო პროდუქტებით მომარაგება, არამედ მისი, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა ნაწილის ექსპორტირებაც. მაშინ არც ბური ფერმერების მოწვევა დაგვეჭირდება საქართველოში და არც არაბების.

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გარკვეულ მიზეზს არასწორი საბაჟო პოლიტიკაც წარმოადგენს. ყბადაღებული უაღრესად ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს ამ დარგის განვითარებაზე. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკის მეხოტბე და მეპაიროსტრე ქვეყნები თავად უაღრესად მფარველურ პოლიტიკას ატარებენ ამ დარგის მიმართ. ეს ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დოტაციის გზით (მაგალითად, ევროკავშირის აგრარული პროდუქციის საწარმოებლად გაღებული სახსრების 60 პროცენტზე მეტს სწორედ დოტაციის ხასიათი აქვს. ევროკავშირის ქვეყნები მაღალი საიმპორტო გადასახადების წყალობით იცავენ ეროვნულ ბაზარს და იმპორტის დაბეგრვიდან მიღებული თანხებით ახალისებენ ექსპორტს.).

როგორც ჩანს, ბოლო ხანს ქვეყნის სასურსათო ბაზარზე შექმნილმა ურთულესმა ვითარებამ ჩვენი

ხელისუფლებაც მიახვედრა იმას, თუ რამდენად აუცილებელია სოფლის მეურნობისათვის დახმარების აღმოჩენა. შედეგად, წლეულს ბიუჯეტში ამ დარგისათვის გამოიყო გაცილებით მეტი თანხა (60 მილიონ ლარამდე), ვიდრე გასულ წელს. ახლა მნიშვნელოვანია, როგორც ახალი მთავრობა გეპირდება, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ეფექტიანად გამოვიყენოთ მათ მიერ დაპირებული ერთი მლრდ სახსრები.

რაც შეეხება საბაჟო პოლიტიკას, ვფიქრობთ, ამ სფეროშიც იდგმება სერიოზული ნაბიჯები. მაგალითად, გასულ წელს გარკვეულად შეიზღუდა ქვეყანაში ყურძნის (სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ა. შ.) იმპორტირება. ამან, მართალია, შესაბამისი პროდუქციის იმპორტიორთა წინააღმდეგობა გამოიწვია, მაგრამ, უნდა შეგვეძლოს კერძო ინტერესებზე ეროვნულის მალლა დაყენება.

და კიდევ ერთი საკითხზე გვსურს ყურადღების გამახვილება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთი დაბალი ეფექტურობის პირობებში, როგორც ჩვენთანაა, ის მაინც უნდა იყოს დაუშვებელი, რომ ნათესების ფართობები მკვეთრად მცირდებოდეს. სწორედ ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი საქართველოში. მაგალითად, 1990 წელთან შედარებით ერთწლიანი კულტურების ფართობები თითქმის 400 ათასი ჰექტარით შემცირდა, მ. შ. ხორბლის ნათესები - 2,4-ჯერ, სიმინდის - 1,8-ჯერ, კარტოფილის - 1,5-ჯერ, ბოსტნეულის 1,4-ჯერ და ა. შ. ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა. მარცვლეულის (განსაკუთრებით, ხორბლის) ნათესების ასეთი შემცირება არაფრით არაა გამართლებული. მით უფრო, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ როგორც ეს ზევითაც აღვნიშნეთ, საქართველოში აღწერილი და რეგისტრირებულია მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 22 ჯიშიდან 14.

ჩვენის აზრით, აგრარული სექტორის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს, კანონპროექტის „ფერმერთა ჯგუფებისა და ფერმერთა ასოციაციების შესახებ“ პარლამენტის მიერ მიღება.

L. Pitiurishvili
Academic doctor of economics
A.Grishikashvili
Academic doctor of economics,
associative professor at Gori State University

**SOME PROBLEMS EXISTING
IN AGRARIAN SECTOR**

SUMMARY

Georgia is unable to satisfy local population's demands by national food products. In our country import of food products is three times more than export. One of the main reasons of such low development of agriculture is small land contour. Cultivating of such lands doesn't give good effects. Besides, it is impossible to use mechinaries and technologies. The government should help process of areas growing. At the same it should be held equipment of farms by agricultural technology. It should be improved reclamation works. besides, great attention should be paid to tax system in agrarian sphere. In other case growing of areas will be of no use and it will not have any results.

ლიტერატურა

1. ა. გრიშკაშვილი - საქართველო გლობალურ სამყაროში. თბ. 2010
2. შ. ვეშაპიძე, ა. გრიშკაშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. ასლამაზიშვილი - მსოფლიო ეკონომიკა. თბ. 2008
3. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბ. 2011
4. კანონპროექტი „ფერმერთა ჯგუფებისა და ფერმერთა ასოციაციების შესახებ“ თბ. 2012
5. შ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“
6. პ. კოლუაშვილი, ერთად გადავარჩინოთ სოფელი, „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3, 2012, გვ. 168-175;

ლობისტისკური კომპლექსები და სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთქმედება

რევაზ გელიჯანაშვილი
სტუ-ს პროფესორი
ტარიელ ქოქლაძე
აკადემიური დოქტორი



მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ძალაუნებურად ერთ-ვეს ეკონომიკურ გლობალიზაციაში, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს მიუხედავად მისი მწირი ეკონომიკისა. გლობალიზაციაში ჩართულობას ხელს უწყობს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც, რამდენადაც ქვეყანა ევროპა-აზიის გზასაყარზე იმყოფება და წარმოადგენს სატრანსპორტო გზას ა/კავკასიის და ნაწილობრივ შუა აზიის სახელმწიფოებისათვის.

საქართველოს სატრანსპორტო – სატრანზიტო გზების და ზოგადად საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარებაში. დღეისა საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში. ამ უკანასკნელზე ნათლად მეტყველებს ქართული, ბერძნული, სომხური და არაბული ისტორიული წყაროები. ქართული სარწმუნო წყაროების მოკვლევითა და გაანალიზებით ირკვევა, რომ საქართველოს აქტიური საგარეო-ეკონომიკური (უმთავრესად სავაჭრო) ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთისა (ირანი, თურქეთი, არაბეთის ქვეყნები) და რუსეთის სახელმწიფოებთან და მათი მეშვეობით ევროპისა და აზიის ქვეყნებთან.

საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში მისი სახელმწიფოებრივი დანაწევრების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკავებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში.

კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების მიზნით. უკანასკნელ პერიოდში კავკასიური ფაქტორი მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა და კავკასია მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების, საერთაშორ-

ისო ორგანიზაციებისა და უმსხვილესი საერთაშორისო, ტრანსეროვნული კომპანიების აქტიური ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო საქართველო, რომელიც ერთიან ევრაზიულ სივრცეში ფორმირებისაკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის- ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად მოგვევლინა.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობით, ეროვნული თვითმყოფა-დობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით, და ამით, ჯერ ერთი, თავისი, თუნდაც მცირედი, წვლილი შეიტანოს მსოფლიო სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობების ამჟამად მიმდინარე რთული პროცესების რეგულირებაში, და მეორეც, მიაღწიოს ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ყოველივე აღნიშნული მიიღწევა საქართველოს სატრანსპორტო ქსელის ფართო განვითარებით.

სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანობის განმაპირობებელი უმთავრესი კომპონენტია ტვირთსაყიდების მოცულობები, რომელთა მოზიდვა და დერეფანში სტაბილურად დამკვიდრება ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული და ცვალებად ხასიათს ატარებს. ასეთ ფაქტორებს შორის უნდა აღინიშნოს TRACECA – ევრაზიური სატრანსპორტო დერეფანი არეალში – აზიისა და კავკასიის რეგიონებში ძნელად პროგნოზირებადი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო ვაჭრობის მდგრად განვითარებას. ეს გარემოებები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს TPACECA–ს არეალის ქვეყნების ეკონომიკების ინტეგრირების, საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბაზისა და ინსტიტუციური მშენებლობის მიმართულებათა დასავლურ მოდელებთან ჰარმონიზების პროცესების დაჩქარების აუცილებლობაზე;

TPACECA–ს მიმართულება ითვლება ევროპის პრიორიტეტულ პროექტად და პრაქტიკულად მას გაყავს ევროპის სატრანსპორტო კომუნიკაციები კასპიის ზღვამდე და შემდეგ აზიაში. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანს-

პორტო დერეფანი ან “ახალი აბრეშუმის გზა” TRACECA სათავეს იღებს უკრაინაში, ბულგარეთში და რუმინეთში, გადის შავი ზღვით საქართველოში, ბათუმის და ფოთის ნავსადგურებისაკენ. სამხრეთი კავკასიის ქვეყნების სატრანსპორტო ქსელის ჩართვით მარშრუტი მიმართულია კასპიის ზღვისკენ და საბორნე გადასასვლელების (ბაქო-თურქმენბაში, ბაქო-აკტაუ) მეშვეობით. TRACECA გამოდის ცენტრალური აზიის სახელმწიფოების – თურქმენეთის და ყაზახეთის სარკინიგზო ქსელებზე, რომელთა სატრანსპორტო ქსელები უერთდება უზბეკეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის მიმართულებებს და აღწევენ ჩინეთისა და ავღანეთის საზღვრებს.

საქართველოს შავ ზღვასთან მდებარეობა და ის გარემოება, რომ საქართველო საზღვაო კარიბჭეა ამიერკავკასიისათვის, განაპირობებს მის გეოპოლიტიკურ უპირატესობას, რასაც სათანადო დაფასება და გამოყენება ჭირდება. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო შეუძლია გახდეს კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრი, ნაწილობრივ იგი აღნიშნულ ფუნქციას დღესაც ასრულებს, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არნახული ტემპების და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-მოხმარების ზრდის გამო, განსაკუთრებით ნახშირბადშემცველი ნედლეულის მოხმარების ზრდის გამო, საქართველოს საზღვაო პორტების მნიშვნელობა განუხრელად იზრდება არა მარტო კავკასიის რეგიონისათვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან ნავთობის დიდი მარაგებით, ამავე დროს ამ ქვეყნებში მოჰყავთ ბამბა-საუკეთესო ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის, აწარმოებენ მატყლს, ხორცს და ა.შ. ამავე დროს ეს სახელმწიფოები გამოირჩევიან შემოსავლების სტაბილური ზრდით, რასაც თან სდევს მოსახლეობის მოთხოვნილების ამაღლება მაღალტექნოლოგიურ საქონელზე, რომლის მიწოდებაც დასავლეთიდან ხორციელდება და ზემოაღნიშნული ტვირთბრუნვისათვის ყველაზე ბუნებრივად მოკლე გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ხორციელდება ქვეყნის საკვანძო სატრანზიტო რეგიონად ჩამოყალიბების პროცესი.

საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა და ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზების სიგრძე მნიშვნელოვანი უპირატესობებია შუა აზიის სატრანსპორტო დერეფნისათვის. ჩვენი ქვეყნისათვის იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას ერთიან კომპლექსში. ამასთან დასავლეთი და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით-ალტერნატიული რამდენიმე სატრანზიტო გზების არსებობით იმ მიზნით, რომ ყოველთვის იყოს თავისუფალი კონკურენცია. ამასთან პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მიზეზითაც აქტუალურია საქართველოს შავი ზღვის პორტების განვითარების საკითხი.

სანავსადგურო პოტენციალის განვითარების კონცეფცია-

ის ფორმირების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს რეგიონული გადაზიდვების მოცულობები. ასეთი პროგნოზები განსაზღვრავს სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების სამომავლო სიდიდეებს, ტვირთების სტრუქტურას, მისი ცვლილების ტენდენციებს და ზრდის საერთო დინამიკას, წარმოაჩენს ამ ტენდენციების ანალიზს, პროგნოზირებული ტვირთნაკადების სტრუქტურის დინამიკურ და საწარმო-ტექნოლოგიურ სპეციფიკას. გასათვალისწინებელია ადგილობრივ და სატრანზიტო გადაზიდვათა სავარაუდო მოცულობები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნისა და რეგიონის სახელმწიფოთა ეკონომიკების განვითარების საერთო ტემპებსა და სტრუქტურების ცვლილებათა თავისებურებებთან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი, ისევე როგორც მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებები, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სატრანზიტო გადაზიდვათა მოცულობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მიერ შესრულებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტვირთნაკადების პროგნოზირებასთან დაკავშირებული მრავალი პროექტი.

საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ „განვითარებად“ პოზიციაშია. აქ ჯერ კიდევ ძალიან დაბალია შიდა პროდუქტის მოცულობის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაგრამ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის განათლება და პროფესიონალიზმი, ქვეყნის მისწრაფება-ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში, განაპირობებს სამომავლოდ მისი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. ბუნებრივია ამ შემთხვევაში გაიზრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო გადაზიდვებზე ქვეყნის ეკონომიკის მხრიდან.

ქვეყნის ეკონომიკური სიღუპვიდან გამოსვლის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება მისი ტრანსპორტის განვითარებაა. გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით იგი დღეისათვის არაღამაკამაყოფილებლად გამოიყურება, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემებიც მოწმობს.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოუდგენელია საზღვაო პორტების განვითარების გარეშე, ეს ითქმის განსაკუთრებით ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტებზე, მათ აკისრიათ ძირითადი როლი საზღვაო ტვირთების მომსახურების საქმეში. ამავე დროს პორტების განვითარება პროპორციულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. მიმდინარეობს კიდევაც ინტენსიური მუშაობა საქართველოს საავტომობილო გზის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალზე მისი გამტარუნარიანობის მკვეთრი ამაღლებისათვის, სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება საქართველოს რკინიგზაზე. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების დასაბუთებული პროგრამის შემუშავება.

ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა)

წლები	სულ	სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
1990	253074,9	76860,9	167070,0	9127,0	17,0
1995	14985,1	4656,4	8690,0	1636,6	2,1
2000	30060,0	11496,1	18500,0	62,6	1,3
2001	33241,3	13209,6	20000,0	30,5	1,2
2002	37488,3	14951,5	22500,0	35,5	1,3
2003	41081,4	16558,7	24500,0	21,4	1,3
2004	41149,8	15424,4	25700,0	23,9	1,5
2005	45971,5	18986,7	26959,3	23,9	1,6
2006	49946,6	22643,3	27261,3	40,4	1,6
2007	49830,2	22230,0	27561,2	37,9	1,1
2008	49058,2	21181,2	27864,4	11,9	0,7

მოლიანად საქართველო, გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სატრანზიტო ფუნქციის გათვალისწინებით, სამაოდ მიმზიდველია “ლოჯისტიკ-ცენტრების” მძლავრი სატერმინალი ქსელის შესაქმნელად არა მხოლოდ სანაპირო ზონაში. ამ თვალსაზრისით, საქართველოში წერტილოვან თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში შექმნილ კომპლექსებს (მათ შორის ნავსადგურებში) შესაძლებლობა ექნებათ, დამატებითი შრომითი რესურსების მოზიდვით, უფრო ფართოდ განახორციელონ კომერციულად ესოდენ მომგებიანი საქმიანობა. ეს კი მნიშვნელოვანი რეზერვია შავიზღვისპირა რეგიონებისა და მოლიანად ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

სანავსადგურო პორტინალიის განვითარების ღონისძიებები უშუალოდ არის დაკავშირებული რკინიგზისა და საავტომობილო გზების განვითარების შესაძლებლობებთან და პერსპექტივებთან, რეგიონებისა და მოლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებასთან, სახელმწიფოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემის განვითარებასთან.

საქართველოსათვის აუცილებელია ყურადღების გამახვილება ლოჯისტიკურ მიდგომებზე. საქართველოს საზღვაო პორტები, რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის შემადგენლებია, ლოჯისტიკურ ფუნქციაში კი ყველაზე გადამწყვეტი ინფორმაციული უზრუნველყოფაა, ანუ ერთიანი ინფორმაციული ბაზის არსებობა. დღეისათვის ასეთი ინფორმაციული ბაზა არ არსებობს. ამიტომ ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს საქართველოს ტრანსპორტის ლოჯისტიკური ცენტრის ორგანიზება...


საზღვაო პორტების მნიშვნელობიდან და ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე ტვირთბრუნვის მოცულობის ამაღლების ამოცანიდან გამომდინარე საჭირო ხდება ლოჯისტიკური ცენტრების შექმნა, რაც უზრუნველყოფს ტვირთმფლობელებსა და ტვირთგადამზიდავებს შორის რაციონალური კავშირების დამყარებას, ამით კი აღნიშნული პროცესო

გაცილებით მოწესრიგდება.

საერთოდ საპორტო მომსახურების სისტემა ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი სფეროა არა მარტო ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, არამედ მთელს მსოფლიოში. აღნიშნული განპირობებულია ამ სახის სამუშაოთა სპეციფიკით და სირთულით. ამ მიმართებით ლოჯისტიკური ცენტრების დაარსება და მათი ორგანიზაცია წინგადადგმული ნაბიჯია, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ფუნქციის ლოჯისტიკურში გადაზრდა მიუთითებს იმაზე, რომ იგი იცვლის თავის დანიშნულების სპეციფიკას და აფართოებს მას. პორტის მიზნებად ყალიბდება ლოჯისტიკის ძირითადი მიზნები (გამტარუნარიანობის ოპტიმალური გამოყენება, მაღალი მობილობა სამეწარმეო საქმიანობაში, კლიენტების მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, მომსახურების გაწვევისადმი მზადყოფნა, მომსახურების გაწვევის საიმედოობა, დანახარჯების შემცირება, კლიენტურის მოთხოვნების და საჭიროების გათვალისწინება). ამ მიზნების რეალიზაცია ზრდის პორტების კონკურენტუნარიანობას და ამასთან ერთად ნაწილობრივ იცვლება პორტის ინფრასტრუქტურაც (ფორმირდება სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრები პორტის ტერიტორიაზე, პორტის ირგვლივ ფართოვდება სამრეწველო-ლოჯისტიკური ცენტრები).

ამ ფუნქციის შესრულებისათვის პორტები უნდა ჩადგინენ ლოჯისტიკური ჯაჭვის ერთიანი სისტემაში. პორტები შეიძლება გვევლინებოდნენ ტვირთების მიწოდების ორგანიზატორებად, ტვირთმძიარობის სხვადასხვა ეტაპზე ან ტრანსპორტირების ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი. თავდაპირველად აუცილებელია პორტის ლოჯისტიკური სტრატეგიის ჩამოალიბება. ეს არის ლოჯისტიკური განვითარების ხანგძლივი მიმართულება და ამ ამოცანების ფორმებისა და საშუალებების ერთობლიობასაც ეხება. აღნიშნული ამოცანები ყალიბდება ხელმძღვანელობის მიერ და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს.



ნახაზი.1. მიწოდების ლოგისტიკური ჯაჭვი

საქართველოს მთავრობის სტრატეგიით საზღვაო პორტებში იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რაც გამოიწვევს წერტილოვან ზონებში არა მარტო ვაჭრობის, არამედ წარმოების (მრეწველობის) უპირატეს განვითარებას. ასეთი საწარმოთა ლოგისტიკური მომსახურების ორგანიზაცია მიზანშეწონილია საზღვაო პორტმა განახორციელოს.

პორტებისათვის ლოგისტიკური ფუნქციის მინიჭება განაპირობებს ეკონომიკის განვითარებას, რის საფუძველზეც განხორციელდება პორტების ფუნქციონალური დანიშნულების ევოლუცია. საერთაშორისო ექსპერტებს მოჰყავთ პორტების ევოლუციის სამი ეტაპი, რომელსაც ჩვენ შემთხვევაში ემატება თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესაძლებლობა.

დღეისათვის მეცნიერებაში დამკვიდრებულია ტერმინი – “მეოთხე თაობის პორტი.” იგი ეფუძნება საპორტო მომსახურების კომპანიის კომპეტენციასა და შესაძლებლობებს, რაც გამოიხატება ექსპორტ-იმპორტის, სატრანზიტო ტვირთ-ბრუნვის ლოგისტიკურ ჯაჭვში ტვირთნაკადების მიწოდებით.

საზღვაო პორტები გვევლინება ტვირთნაკადების კონცენტრატორად. იგი აკავშირებს მიწოდების სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ჯაჭვის შემადგენელ რგოლებს ერთმანეთთან. ამით იგი წარმოადგენს კლასტერს, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს პორტი (იხ. ნახ. 1).

საპორტო კლასტერი ფორმირდება სატრანსპორტო კვანძის კონკურენტუნარიანობის ამღლებების მიზნით. მას გააჩნია მასშტაბის ეფექტი და ეძლევა მეტი საშუალებები ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნოლოგიური ოპერაციე-

ბის ინოვაციებისათვის.

პორტების ლოგისტიკურ ცენტრებად გარდაქმნა იწვევს სამრეწველო საწარმოების მოქცევას პორტის ლოგისტიკური ზემოქმედების ზონაში. ასეთი ზემოქმედება არ ატარებს ადმინისტრაციულ ხასიათს, მაგრამ ლოგისტიკური ამოცანების გადაჭრა საწარმოებისათვის (გადაზიდვათა მინიმიზაცია, მომარაგების შეუფერხებლობა, ზუსტად დროში მომარაგება და სხვა) იწვევს მის ძალაუფლებურ დამოკიდებულებას პორტებისადმი.

საქართველოს პორტების ფუნქციების გაზრდა და მათი გადაქცევა ლოგისტიკურ ცენტრებად ერთადერთი მიმართულებაა კონკურენტუნარიანობის ამღლებისათვის, როგორც ტრანზიტული ტვირთების მომსახურების მიმართულებით, ასევე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს საზღვაო პორტების ძირითადი კონკურენტები ტრანზიტულ ტვირთებზე რუსეთის და უკრაინის შავი ზღვის პორტებია, რომელთა უმეტესობას შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობები გააჩნია ნავმისაღდგომთა სიღრმის გამო, მაგრამ საქართველოს პორტებს შეუძლიათ მომხმარებლისათვის უკეთესი სერვისული მომსახურების შეთავაზება.

ტვირთების გადატანის ორგანიზაციის და სატრანსპორტო სისტემის მონაწილეთა ურთიერთობის მიხედვით ძირითადი პრობლემაა პიკური დატვირთვები, როდესაც დროის მომენტებში სწრაფად იზრდება ტვირთების გადაზიდვაზე მოთხოვნილებები. ასეთი პიკური მოვლენები შეიძლება განპირობებული იყოს ამინდის ცვალებადობით, ფოქს-მაჟორული სიტუაციებით, გასაღების ბაზრის სწრაფი ცვალებადობით და ზოგიერთი ტვირთების სე-

ზონურობით (ხილი, ბოსტნეული). შესაძლებელია სუბ-ექტური მიზეზებიც, ისეთები, როგორცაა კონკურენტული ვალდებულებების შესრულება განსაზღვრულ დროში და მასთან დაკავშირებით ტვირთების გაგზავნის არარეალურობა. რკინიგზის ტარიფების ცვალებადობა, რომელსაც მივეყვართ ტვირთნაკადების გადამისამართებაზე და სხვა.

სატრანსპორტო ლოგისტიკური ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა ერთიანი ინფორმაციული ველის და ლოგისტიკური ცენტრების ქსელის შექმნა. ეს ცენტრები შეკრებენ ინფორმაციას საავტომობილო და სარკინიგზო შემადგენლობის სატრანსპორტო კვანძებისაკენ მოძრაობის შესახებ.

1. მიზანშეწონილია საქართველოს საზღვაო პორტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების და მომსახურების სრულყოფის მიზნით საზღვაო კლასტერების ჩამოყალიბება ქ. ბათუმის და ქ. ფოთის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელი იქნება პორტების, რკინიგზის, საავტომობილო ტრანსპორტის და ექსპედიტორული ორგანიზაციების შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა;

2. შესაძლებელია საქართველოს საზღვაო ქალაქებში ლოგისტიკური ცენტრების ორგანიზაცია, რომელთაც ექნებათ სახელმწიფოთაშორისი რეგიონალური მნიშვნელობა. ლოგისტიკური ჯაჭვის ორგანიზატორებად უნდა გვევლინებოდნენ საქართველოს საზღვაო პორტები.

Revaz Velijanashvili
Professor of Technical University
Tariel Kokoladze
Academic Doctor

**LOGISTICS COMPLEXES AND INTERACTION
IF TRANSPORT MEANS**

SUMMARY

The all countries worldwide due the scientific - technical progress are introduced in economic globalization, Georgia is not the exception. To its involvement in this process contributes its geopolitical location.

The natural location of Georgia and length of crossing Caucasus transport ways represents natural advantage in comparison with Central Asia transport corridor - the new Silk Road- TPACECA, as it will significantly cause development in integrated complex of transport various modes in our country.

Georgia's sea ports, railways and motor road are the components of unified transport logistics chain, in the logistic function the most significant is information system, i.e., the existence of a common information base. At present, such information base does not exist, so it is necessary to create Georgia Transport Logistics Center that provides establishment of rational links between the cargo owners and cargo carriers, as well as collection of information on motor road transport and rail rolling stock on traffic from transport traffic centers.

ლიტერატურა

1. მელიქიშვილი გ. „საქართველოს ისტორია“ – თბილისი, 1990. 382 გვ.
2. საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის“. (გადამუშავებული ვარიანტი). თბილისი, 2011. გვ.23.
3. https://www.google.ge/#q=ტვირთბრუნვის+პროგნოზი&hl=ka&prmd=imvns&ei=wAauT46AA6_44QSGk_G. გადამოწმებულია 20.05.2011.
4. Melikishvili G. „History of Georgia“ – Tbilisi, 1990. -382 p.
5. Government of Georgia „Basic indicators and trends of country in 2012-2015“. (revised variant). Tbilisi, 2011. p.23.
6. https://www.google.ge/#q=freightturnover+forecasting&hl=ka&prmd=imvns&ei=wAauT46AA6_44QSGk_G. validity 20.05.2011

სახელმწიფო პოლიტიკა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში

ნინო ადამაშვილი, მაგისტრანტი



საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზანია საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების შენაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

საბანკო რეგულირება ფართო ცნებაა და გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კონკრეტული წესებისა და ინსტრუქციების შემუშავებასა და გამოცემას, რომელიც განსაზღვრავს საბანკო საქმის განხორციელების სტრუქტურასა და საშუალებებს, ანუ სწორედ ეს მარეგულირებელი ინსტრუქციები ქმნიან ბანკის საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებიც ხელს უწყობენ საიმედო და ეფექტური საბანკო სისტემის შენარჩუნებას.

ჩვეულებრივ ვითარებაში, საბანკო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ბანკისთვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით. 2008 წლის 2 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გასცა ბრძანება კომერციული ბანკების მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას კომერციული ბანკებისთვის აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს და მისი დაცვა სავალდებულოა საქართველოში ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკის ფილიალისთვის. ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაცვას აკონტროლებს ეროვნული ბანკი.

სათანადო ლიტერატურეს განხილვის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საბანკო რეგულირების წარმატებულად წარმართვისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

– საბანკო რეგულირება უნდა ატარებდეს სისტემურ, საყოველთაო ხასიათს, რათა დროულად შეფასდეს კომერციული ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობა; გამოვლინდეს გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კრედიტორებისა და შენაბრეების ინტერესებს და შემოწმდეს ქვეყანაში მოქმედი საბანკო და სავალუტო კანონმდებლობის შესრულება;

– ბანკი ეკონომიკურად სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას მუშაობის შედეგებზე. ეკონომიკური დამოუკიდებლობა გამოიხატება შემდეგში: საკუთარი და მოზიდული სახსრების განკარგვის სრული თავისუფლება, კლიენტებისა და შენაბრეების არჩევანის თავისუფლება, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების

განკარგვის თავისუფლება. შესაბამისად ბანკი საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას გატარებული ოპერაციების რისკებზედაც;

– ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობები წარმოებს საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად, ანუ სესხების გაცემის დროს ბანკი პირველ რიგში ითვალისწინებს მოგების, რისკისა და ლიკვიდურობის საბაზრო კრიტერიუმებს, რადგან „საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები“ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის კომერციულ ხასიათს;

– კომერციული ბანკის საქმიანობის რეგულირება ექვემდებარება არა ადმინისტრაციულ, არამედ არაპირდაპირ ეკონომიკურ მეთოდებს, სახელმწიფო არ იძლევა ბრძანებებს, იგი მხოლოდ “თამაშის წესებს” განსაზღვრავს.

ამგვარად, საბანკო რეგულირების ფარგლებში სახელმწიფო, ცენტრალური ბანკის ან მასზე დაქვემდებარებული სპეციალური ორგანოების მეშვეობით, უზრუნველყოფს ბანკების სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას და ებრძვის დესტაბილიზაციური პროცესების გაღრმავებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირების მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის საბანკო სისტემის პოტენციალის განსაზღვრა და მისი სრულად გამოყენების ხელშეწყობა, საბანკო სისტემის განვითარებაზე მოქმედი გარეგანი და შიდა ფაქტორების შესწავლის გზით. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეთოდია ეფექტიანი საბანკო რეგულირების მექანიზმის ამოქმედება, რომელიც გულისხმობს მკაცრად განსაზღვრული მიზნებისა და მოვალეობების შემუშავებას მექანიზმის შემადგენელი თითოეული რგოლისთვის, კანონით განსაზღვრული მოქმედების თავისუფლებისა და შესაბამისი მატერიალური ბაზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად, საბანკო რეგულირების მექანიზმში ერთიანდება როგორც საბანკო ზედამხედველობის (დისტანციური ზედამხედველობისა და ადგილზე ინსპექტირების), ისე ბანკის შიგნით არსებული თვითკონტროლის სისტემის ანუ შიდა კონტროლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებთან ერთად. შიდა ფაქტორები არის უშუალოდ ბანკებში არსებული საკუთარი პოტენციალი, ხოლო გარეგან ფაქტორებში, როგორც წესი, იგულისხმება საერთო გარემო პირობები, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საბანკო პოტენციალის რეალიზაციისთვის სასურველი ატმოსფეროს შექმნა.

მნიშვნელოვანია საბანკო რეგულირების მეთოდური საფუძვლების ანალიზი. ჩემი აზრით, აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სფეროში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად ადეკვატური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით, რეგული-

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

რებისა და კონტროლის მეთოდებში გამოყოფილი ე.წ. წინასწარი დიაგნოსტიკის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს გამოკვლევას სპეციფიკურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებთან მიმართებაში. მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძველზე იკვეთება საბანკო სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკის კონტურები, რაც მომავალში უფრო ღრმა გამოკვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა, ხოლო რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლებიც ქმნიან გარკვეულ წარმოდგენას იმ გარემოზე, რომელშიც ბანკებს უწევთ საქმიანობა, ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა მშპ, ეროვნული შემოსავალი და მათი ზრდის ტემპები, ითვალ-

ისწინებენ შემდეგ სპეციფიკურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებსაც: ინფლაციის ტემპები, ფულადი მასის აგრეგატები, საკრედიტო რესურსები, მათი სტრუქტურა და ა.შ. წინასწარი დიაგნოსტიკა განზოგადებული მონაცემების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რაც ადვილებს სიტუაციის კონტროლირებას და სრულყოფის ღონისძიებების დასახვას.

კომერციულ ბანკებში ერთ-ერთი განზოგადებული მონაცემია ფულის მასა. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის განსაზღვრა. ცხრილში მოცემულია ეროვნული ბანკის მონაცემები 2005 წლიდან დღემდე.

ცხრილი 1

ფულის მასა აგრეგატების მიხედვით პერიოდის ბოლოსათვის

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
მონეტარული აგრეგატი (M3)	1,961.5	2,799.8	4,098.9	4,421.7	4,763.6	6,199.0	5,899.0	6,164.2	6,558.3	7,097.8	7,097.8	6,831.7	7,242.9
მონეტარული აგრეგატი (M2)	1,104.1	1,473.2	2,263.0	1,999.2	2,330.5	2,960.3	2,731.6	2,939.2	3,225.2	3,783.2	3,783.2	3,561.0	3,686.2
მონეტარული აგრეგატი (M1)	1,029.4	1,337.7	1,947.6	1,752.5	2,019.4	2,510.0	2,276.1	2,418.6	2,713.2	3,137.9	3,137.9	2,949.5	3,011.5
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)	736.3	827.4	1,152.1	1,082.6	1,229.4	1,373.0	1,183.2	1,248.9	1,343.7	1,439.0	1,439.0	1,276.8	1,344.0
სადეპოზიტო ვალდებულებები (ეროვნულ ვალუტაში)	367.8	645.8	1,110.9	916.7	1,101.1	1,587.3	1,548.3	1,690.4	1,881.5	2,344.2	2,344.2	2,284.2	2,342.2
სადეპოზიტო ვალდებულებები (უცხოურ ვალუტაში)	857.4	1,326.6	1,835.9	2,422.5	2,433.1	3,238.8	3,167.4	3,225.0	3,333.0	3,314.6	3,314.6	3,270.7	3,556.7
M0-ის წილი M2-ში, პროცენტი	66.7	56.2	50.9	54.1	52.8	46.4	43.3	42.5	41.7	38.0	38.0	35.9	36.5
M2-ის წილი M3-ში, პროცენტი	56.3	52.6	55.2	45.2	48.9	47.8	46.3	47.7	49.2	53.3	53.3	52.1	50.9
ლარები მიმოქცევაში	811.4	929.5	1,310.5	1,290.7	1,457.9	1,618.2	1,395.3	1,467.0	1,596.3	1,753.6	1,753.6	1,542.6	1,606.3

თეორიული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირება ითვალისწინებს უწყვეტ, ერთიან ზედამხედველობას ბანკებზე, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაზე, მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რაც მოიცავს: ლიცენზირების პროცესის, საბანკო ანგარიშგებების წარმოებისა და საზედამხედველო ინსტიტუტების მოთხოვნათა შესრულების კონტროლს ეტაპობრივად. ამასთან, ქვეყანაში საბანკო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა. ის მიიღწევა კომერციული ბანკების ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით, რაც ეხმარება დაინტერესებულ პირებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, რაც დადებითად მოქმედებს როგორც ბანკის, ისე საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 2006 წლის 23 მაისს გასცა ბრძანება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის.

კრიზისული პერიოდის ყველაზე ნათელი მაგალითია კომერციული ბანკების მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ამ დროს გარდაუვალი გახდა სახელმწიფოს ჩარევა საბანკო სფეროს ფუნქციონირებაში, რადგან ამ მოვლენამ საჭირო გახდა საფინანსო-საბანკო

სექტორზე საბანკო ასოციაციის საქმიანობის ამოცანების კორექტირება.

ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე ბანკებისთვის ამ წლებში მთავარი ამოცანაა კრიზისამდელ პერიოდში დაბრუნება. 2009 წელმა აჩვენა, რომ წლის მანძილზე ბანკებისთვის ვადაგადაცილებული სესხების ზრდა სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა, რასაც ემატება ბანკების მსესხებელთა ის ნაწილიც, რომლებიც კონფლიქტურ რეგონებიდან არიან დევნილები ან ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას.

ცხრილში მოცემულია 2005 წლიდან დღემდე სესხების დინამიკა (ცხრილი 2.).

პოსტკრიზისულ პერიოდის ათვლის წერტილად უნდა ამოვიდეთ ვარდნის ბოლო წერტილიდან. ის გარემოება, რომ 13 თვის შემდეგ საბანკო სისტემა პირველად გავიდა მოგების მაჩვენებელზე, კრიზისის ყველაზე რთული პერიოდის გადალახვის ერთ-ერთი ნიშანია. თუმცა ტენდენციები მანამდეც იყო გამოკვეთილი, როდესაც გასული ზაფხულიდან დაიწყო სადეპოზიტო ბაზის ზრდა ბანკებში. პოსტკრიზისულ პერიოდში გადასვლაზე მიუთითებს სავალუტო ბაზრის სტაბილიზაცია, რაც ეროვნული ბანკის მხრიდან ბაზარზე ჩარევის მნიშვნელოვან შემცირებაშია ასახული.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრ. 3.) მოცემულია სადეპოზიტო ბაზის მონაცემები 2005 წლიდან დღემდე.

კრიზისამდე პერიოდში საბანკო სექტორის განვითარების ვექტორები რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა:

შიდა კრედიტების სტრუქტურა პერიოდის ბოლოსათვის (მლნ. ლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
შიდა კრედიტები	2,477.7	3,249.9	5,230.2	6,207.8	5,871.8	6,812.2	6,425.1	6,990.5	7,459.8	8,148.6	8,148.6	8,047.0	8,571.8
მთავრობის წმინდა დავალიანება	627.4	414.8	352.6	-171.3	273.0	161.4	-150.8	-163.9	-214.3	127.0	127.0	-101.0	-197.6
დანარჩენი ეკონომიკის დავალიანება	1,850.2	2,835.1	4,877.5	6,379.1	5,598.8	6,650.8	6,575.9	7,154.3	7,674.1	8,021.6	8,021.6	8,148.0	8,769.3
სესხები ეროვნულ ვალუტაში	436.1	748.4	1,646.4	2,008.5	1,593.8	2,097.7	1,992.4	2,230.9	2,580.0	2,743.2	2,743.2	2,837.5	3,163.2
სესხები უცხოურ ვალუტაში	1,414.1	2,086.7	3,231.2	4,370.6	4,005.0	4,553.1	4,583.5	4,923.5	5,094.1	5,278.3	5,278.3	5,310.5	5,606.2
12 თვემდე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	21.1	21.8	21.2	24.0	24.6	25.7	25.7	26.5	26.4	27.4	27.4	26.8	25.3
12 თვემდე უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	19.8	18.3	19.3	21.6	22.5	17.5	16.9	16.5	16.1	16.5	16.5	16.6	16.3
12 თვეზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	20.2	19.2	20.2	22.2	22.9	20.6	20.3	19.4	19.1	19.3	19.3	19.4	19.3
12 თვეზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	15.2	16.0	16.1	16.7	17.1	15.5	15.1	14.4	14.0	14.0	14.0	14.1	14.1

დეპოზიტი პერიოდის ბოლოსათვის (მლნ. ლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
დეპოზიტები, სულ	1,310.2	2,096.8	3,215.0	3,567.8	3,950.2	5,488.7	5,493.9	5,775.7	6,115.6	6,745.0	6,745.0	6,766.7	7,185.6
ეროვნულ ვალუტაში	396.1	685.5	1,185.0	960.5	1,243.1	1,758.6	1,799.5	2,022.7	2,185.6	2,703.5	2,703.5	2,656.4	2,690.9
უცხოურ ვალუტაში	914.1	1,411.3	2,030.0	2,607.3	2,707.1	3,730.2	3,694.4	3,753.0	3,930.0	4,041.5	4,041.5	4,110.3	4,494.7
ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში %	30.2	32.7	36.9	26.9	31.5	32.0	32.8	35.0	35.7	40.1	40.1	39.3	37.4
უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში %	69.8	67.3	63.1	73.1	68.5	68.0	67.2	65.0	64.3	59.9	59.9	60.7	62.6
დეპოზიტები მოთხოვნამდე (ეროვნულ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთები)	3.2	4.3	6.5	5.4	6.7	5.8	7.0	7.0	6.6	8.0	8.0	6.3	6.5
12 თვემდე ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	10.0	11.5	11.7	13.3	12.2	10.8	11.6	9.0	12.3	12.3	12.3	12.2	12.1
12 თვეზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	12.7	12.7	13.1	13.9	13.6	13.0	13.9	14.0	13.9	14.0	14.0	13.7	13.7
სულ ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	6.6	7.6	8.8	9.4	8.5	7.5	8.5	8.5	8.3	9.2	9.2	8.4	8.4
დეპოზიტები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთები	2.7	3.7	4.3	5.9	7.1	5.7	5.4	5.4	5.7	5.7	5.7	5.6	5.6
12 თვემდე უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	8.0	8.6	9.5	10.6	11.0	8.5	8.6	8.4	8.5	8.4	8.4	8.3	8.4
12 თვეზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	10.1	9.8	11.1	11.7	11.5	10.3	10.3	10.1	9.9	10.0	10.0	10.0	9.7
სულ უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	6.8	7.5	8.3	9.9	9.9	8.0	7.8	7.8	7.9	8.1	8.1	8.1	7.9

1. ლიბერალი პოლიტიკა, რაც უპირველესად გამოიხატებოდა არაპროფილური აქტივების შექმნაში - სამშენებლო ბიზნესი, სადაზღვევო საქმიანობა, საბროკერო საქმიანობა და სხვა);

2. ბანკების მხრიდან წარმოებული საკრედიტო პოლიტიკა თანაბრად მოიცავდა როგორც მაღალი, ასევე შედარებით დაბალი შემოსავლების კლიენტურის ბაზის გაფართოების მიმართულებას, განვადების პრაქტიკის ფართო დანერგვითა და საცალო საბანკო პროდუქტების ფართო შეთავაზებით, რაც მეორე მხრივ კრიზისის კვალობაზე მათ გადახდისუუნარობას ზრდის და პრობლემური სესხების დაბრუნებაში ნეგატიურად აისახება;

3. წინა საკრიზისო პერიოდში წარმოებულმა ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული იყო უძრავი ქონების ბაზრის მაღალი ტემპებით ზრდისაკენ, სამწუხაროდ, სამშენებლო და განსაკუთრებით დეველოპერული კომპანიების ნაწილის არასწორმა მენეჯმენტმა უკვე დამდგარი კრიზისის პირობებში ამ აქტივებში დაბანდებული ფულის ღირებულების ვარდნა განაპირობა. შესაბამისად, იგი პირდაპირ აისახა ბანკების გარესაბანკო ანგარიშებზე რიცხული აქტივების გაუფასურებასა და დამძიმებაში, რაც მომავალშიც შეამცირებს ბანკების მოგების მაჩვენებელს.

მიგვაჩნია, რომ კრიზისული პერიოდის დასაძლევად

აუცილებელია საბანკო ასოციაციის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ბანკებთან კოორდინაცია უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურ რეჟიმში, ხოლო ნებისმიერი საკითხის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს ასოციაციის კომიტეტების ეგიდით წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. ამა თუ იმ მტკივნეული და პრობლემური საკითხის გადასაწყვეტად კონტაქტები უნდა დამყარდეს ყველა დონეზე, ეროვნული ბანკიდან დაწყებული და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებით დამთავრებული. ურთიერთობები აწყოილი უნდა იყოს საერთაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტებთანაც.

ასოციაციამ წარმატებით განახორციელა რამდენიმე საგრანტო პროგრამა. მართალია, საბანკო სექტორში შექმნილი სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა და შესდლებელი გახდა საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, მაგრამ ეკონომიკის შეკუმშვის პირობაზე კომერციულ ბანკებს პრობლემები ნამდვილად აქვთ. საპროგნოზო გათვლებით კი გლობალურ ბაზრებზე ეკონომიკის რეცესია საშუალოდ ორ წელს მაინც გავრცელდება, რაც იმას მიანიშნებს, რომ ქართული ბანკებისთვის სესხების ვადაგადაცილებისა და საერთაშორისო ბაზრებიდან ახალი საფინანსო რესურსების მოზიდვის პრობლემები დარჩება, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

კომერციულ ბანკებში კრიზისული პერიოდის დაძლევისთვის აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება.

– პირველ პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვაჩნია, კრიზისული და პოსტკრიზისული სიტუაციების მართვის მხარდაჭერა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს დღემდე არსებული ურთიერთობების გაღრმავებას საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ცნობილია, რომ კრიზისების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკრიზისული რეგულირების სახელმწიფო პროგრამებს, რომელიც ე.წ. ეკონომიკის სტიმულირების გეგმითაა ცნობილი. ამ სახის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული როგორც ქვეყნის მთავრობა, ასევე ცენტრალური ბანკები და პარლამენტი. შესაბამისად, საბანკო ასოციაციის ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან აქტიური თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავება და, მეორე მხრივ, ქვეყნის მთავრობასთან და პარლამენტთან ანტიკრიზისული რეგულირების პაკეტში საბანკო სისტემასთან დაკავშირებული ნებისმიერი თანხვედრი წინადადების ან ინიციატივის მხარდაჭერა ან მსგავსი ინიციატივების საბანკო სექტორის მხრიდან შეთავაზება და მათი ლობირება;

– მეორე მიმართულებად მიგვაჩნია საბანკო სექტორის მძლავრი საინფორმაციო მხარდაჭერა, საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესების გაშუქება და ასოციაციის წევრი ბანკების საქმიანობის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მათთან აქტიური თანამშრომლობის გზით. გასული წლების არცთუ სასიამოვნო გამოცდილებიდან გამომდინარე, კრიზისული სიტუაციები ხშირად გამხდარა ე.წ. შავი პიარის საფუძველი ამა თუ იმ ბანკის მიმართ პრესისა თუ ტელევიზიების გამოყენებით. დღეს შექმნილი სიტუაცია, გასულ წლებთან

შედარებით კიდევ უფრო გამძაფრებულია, რასაც ემატება გაუარესებული სოციალური ფონი და ბანკებში ვადაგადაცილებული სესხების მოსალოდნელი ზრდის ტენდენციები.

– მესამე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საბანკო სესხების რესტრუქტურის მხარდაჭერა. კრიზისის დროს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პრობლემური სესხები და მათი რესტრუქტურის ამოცანების გადაწყვეტა. ბუნებრივია, როცა ეკონომიკური კრიზისი ზეგავლენას ახდენს თითოეული მოქალაქის შემოსავლებზე და ბიზნესის წარმოების რისკების ზრდაზე, რაც ამცირებს ნებისმიერი მოქალაქის და ბიზნესკომპანიების შემოსავლებს და მათ გადახდისუნარიანობას, სერიოზული პრობლემები ექმნებათ პირველ რიგში საკრედიტო დაწესებულებებს. საბანკო დაწესებულებებისთვის ბიზნესგარემოს გაუარესება აისახება ბანკებში ლიკვიდობის პრობლემებით, პირველ რიგში, გაცემული სესხების უკუგების და მეორე მხრივ, მთლიანად საკრედიტო აქტივობის შემცირების თვალსაზრისით. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს, როგორც მსოფლიო გლობალური კრიზისის ზეგავლენა, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური ხდება კონფლიქტურ ზონებში დარეგისტრირებული იურიდიული პირების და ფიზიკური პირების საბანკო ვალდებულებების გადავადების ან სულაც ამ ვალდებულების ჩამოწერის ამოცანების გადაწყვეტა.

მეოთხე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ იპოთეკური სესხების რესტრუქტურისა და ბანკების სამშენებლო კომპანიებთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის საკანონმდებლო ინიციატივების მხარდაჭერა. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიო საფინანსო კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოქმნილი იპოთეკური ბაზრის კრიზისი იყო. საქართველო გამოჩაქისი ვერ იქნება, მით უმეტეს კრიზისმდე პერიოდი იპოთეკური დაკრედიტების ბუმის პერიოდს მოიცავს. საბანკო ასოციაციამ მჭიდრო ურთიერთობა უნდა იქონიოს როგორც მენაშენთა ასოციაციასთან, ასევე თავადაც უნდა გამოვიდეს ამ მიმართულებით მთავრობის მხრიდან ნებისმიერი წინადადების ან ინიციატივის მხარდასაჭერად.

– მეხუთე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მუშაობის გაგრძელება. ცნობილია, რომ ბოლო წლებში საგადასახადო კოდექსში ბევრი და საბანკოს სექტორისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩება ბევრი გადაუჭრელი საკითხი. კომერციულ ბანკებს ჯერ კიდევ აქვთ გადაუჭრელი პრობლემები იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თვალსაზრისით, რაც ამცირებს საბანკო რესურსებს და საფრთხის ქვეშ აყენებს საკრედიტო პოლიტიკის საიმედოობას.

– მეექვსე მიმართულებად მიგვაჩნია საბანკო კადრების სწავლებისა და გადამზადების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება. საბანკო ასოციაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს საბერძნეთის ბანკების ასოციაციასთან და გერმანიის შემნახველი ბანკების ასოციაციასთან ჩვენი ასოციაციის საბანკო ტრენინგ ცენტრის ბაზაზე

ტრენინგების ჩატარების თაობაზე ბანკების საშუალო და უმაღლესი მენეჯმენტისთვის. თანამშრომლობა ასევე უნდა მოიცავდეს საერთაშორისო საბანკო და საფინანსო ლიტერატურის თარგმნას და გამოცემასაც.

გარდა ამისა, საზი უნდა გაეყვას კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასებას. ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების უმთავრეს ფაქტორად საბანკო კაპიტალი ანუ ბანკის საკუთარი სახსრები მიიჩნევა. შესაბამისად, კაპიტალი, როგორც საკუთარი საფინანსო რესურსი, განსაზღვრავს ბანკების უნარს დაკრედიტებაზე და რისკების ნეიტრალიზაციაზე, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ნდობისა ფაქტორზე მენაბრებისა და კრედიტორების მხრიდან, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით. საზი ესმება იმ გარემოებას, რომ მიუხედავად გლობალური კრიზისის ზეგავლენისა ქართულ ეკონომიკაზე საქართველოში მოქმედ ბანკებს აქვთ ძლიერი კაპიტალის ბაზა – ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ანუ კაპიტალის თანაფარდობა რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან, ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, მინიმუმ 12%-ს უნდა შეადგენდეს. საშუალოდ საბანკო სექტორში მისი მაჩვენებელი ამ ნორმატივზე მაღალია. სწორედ საკუთარი სახსრების საკმარისობა უზრუნველყოფს საბანკო რისკების შემცირებას და სრტაბილურ დაფინანსებას.

აღსანიშნავია საქართველოს საბანკო სექტორის ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, ლიკვიდურობის მაჩვენებელი ვალდებულებების 20%-ს უნდა შეადგენდეს. ლიკვიდურობის საშუალო მაჩვენებელი საბანკო სექტორისთვის (30%-ს) შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 20%-ს.

საბანკო სისტემის მდგრადობისა და ლიკვიდობის ასამაღლებლად საჭიროა ბანკების რეფინანსირება საკრედიტო რესურსებით, ხოლო ეკონომიკის სტიმულირებისათვის მისი მაჩვენებლის დაწევა. დამატებით, ფინანსური ზედამხედველობის სააგენტომ მკაცრი მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბანკების ლიკვიდურობასა და რისკის მაჩვენებლებს.

საბანკო სექტორის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია დეკლარაციის მიღება კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსზე მიერთების შესახებ. რადგან დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ხელისმომწვერი კომერციული ბანკები უერთდებიან “კორპორაციული მართვის კოდექსს კომერციული ბანკებისთვის”, იზიარებენ ამ კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს და გამოხატავენ კარგი კორპორაციული მართვის პრინციპებისადმი ერთგულებას; გამოხატავენ მზადყოფნას შეასრულონ კოდექსით გათვალისწინებული დებულებები. კოდექსი ნებაყოფლობითია და კორპორატიული მართვის უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ეს ქართულ კანონმდებლობაშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბანკები,

რომლებიც მიიღებენ ამ კოდექსს, მზადყოფნას გამოთქვამენ, დაამკვიდრონ კორპორატიული მართვის მაღალი სტანდარტები, რაც მათ ინვესტორთა ნდობის მოპოვებაში დაეხმარებათ.

Nino Adamashvili

SUMMARY

Bank activities like any other commercial activities need to be regulated by the government not only during the crisis period but in everyday life. However, the need of governmental regulation and its role is increasing in the period of crisis.

The paper refers to the basic principles of bank regulation and analyzes statistical data of commercial banks various instruments. The article considers the issues for overcoming the crisis period in commercial banks and for comparison describes their functioning in non-crisis periods as well.

In conclusion, for commercial banks stable functioning banking activities should be supervised and regulated in the crisis period that provides the reliability and sustainability of commercial banks, thus avoiding the risk and in this way securing the interests of commercial banks depositors and other creditors and Georgian Financial Supervisory Agency as well. However, it should be noted that any kind of government intervention is inexpedient and will not improve or maintain development of bank sector in general. Hence the right state policy is needed.

ლიტერატურა:

1. ლ. ლუღუშაური, კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თბილისი 2007 წ.;
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmss_eaarch&view=docView&id=32962
3. დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ, https://docs.google.com/a/gtu.ge/viewer?a=v&q=cache:aKmnrxrK7YJ:www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/nbg1.4.5.1capital_adequacy_geo.pdf+&hl=en&gl=ge&pid=bl&srcid=ADGEEShQC-obRkt46orV8xRmk_3-jRPjuvLiqZTenuJpEFQlhniHinz-Uq9BNrMacnL_cYxgiBulyvwMYbk2-s9RVW_OLCZKnDdwHk8cMOZ31kKLIS70Jo39Zm0wPL4T-7aUw7YqMca&sig=AHIEtbR73bt3a66DUay2Tp9A8wOCfDcA
4. www.nplg.gov.ge;
5. www.geostat.ge.

რეკომენდაციები კერძო ბიზნესის წარმოფყვრატათვის

შ. მინჯორაია

სტუ-ს ასიცირებული პროფესორი

გ. მინჯორაია

ოსუ-ს მაგისტრი



ბიზნესი, ეს არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული სახეების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნებების მიერ საქონლის გამოშვებაზე ან მომსახურებაზე, რომელსაც აქვს მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ყველაფერი ეს უკავშირდება მოგების მიღებას.

თავდაპირველად, ეს ინგლისური სიტყვა „ბიზნესი“ გაჩნდა ინგლისში და აშშ-ში და ასახავდა თავისუფალ მეწარმეობას, რომელიც თან სდევდა მე-18, მე-19 საუკუნეების სამრეწველო რევოლუციას. ამ ქვეყნებში გამოცემულ განმარტებით ლექსიკონებში „ბიზნესი“ გაიგება, როგორც კომერციული საქმიანობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს და საშუალებას აძლევს მას იყოს თავისუფალი, აზროვნებასა გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბიზნესი – ეს ადამიანის უბრალოდ ცხოვრების წესი არ არის, რომელიც საშუალებას აძლევს მას ფული გააკეთოს. ფულს ზოგიერთი შემხვედრი ადამიანიც აკეთებს. ბიზნესი, ერთის მხრივ, არ უარყოფს ეშმაკობასა და თამაშს, მაგრამ არასოდეს არა აქვს საქმე მოპარვასთან, ძალადობასთან, კრიმინალურ საქმიანობასთან, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ გქონდეს ძლიერი და მყარი ბიზნესი, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფლობდეთ ნათელ გონებას, მეწარმეობით უნარს და, რაც მთავარია, იმ ობიექტის ღრმა ცოდნას, რასთანაც დაკავშირებულია ბიზნესი.

ცნობილია, რომ ყოველ წელიწადს მსოფლიოს მასშტაბით ასიათასობით ადამიანი იწყებს კერძო ბიზნესს. მაგრამ, მაშინ როცა უმეტესობა წარმატებას აღწევს, ბევრი მარცხს განიცდის, წარუმატებლობის მიზეზი უმეტესად ბიზნესის წამოწყებისათვის მომზადების არასაკმარისი დონეა. საქმე იმაშია, რომ ბიზნესში ადამიანები სხვადასხვა მიმართულებიდან მოდიან: ზოგი კერძო ბიზნესს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იწყებს, ზოგი პენსიაზე გასვლის შემდეგ, რამეთუ პენსია ვერ აკმაყოფილებს მის სოციალურ მოთხოვნებს. თუმცა, უმეტესობა ადამიანებისა ბიზნესს პირდაპირ სამსახურიდან იწყებს. იოლი ნამდვილად არ არის მიატოვო სამსახური, სადაც სრული შტატით ხარ დასაქმებული და გარისკო კერძო ბიზნესის დაწყება.

ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევები ბიზნესის წამოსაწყებად საქმეში დებენ ბინას, სამკაულებს და ძვირფას ნივთებს, რომ მიიღონ საწყისი კაპიტალი,

რომელიც სჭირდებათ გრძელვადიან გეგმაზე გათვლილი მოგების მისაღებად. ასევე, კერძო მეწარმეობის ტენდენციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დასაქმების დაბალი დონე, როცა არ არის მოსახლეობის სრული დასაქმების პირობები ან ზოგიერთ სამსახურში ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს შესატყვისი არ არის. ამ შემთხვევაში ადამიანები ფიქრობენ მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და დაიწყონ რაიმე სახის კერძო ბიზნესი.

კერძო ბიზნესის წამოწყების მიზეზი ასევე ხშირად ხდება ადამიანთა სურვილი, თავად აკონტროლონ თავიანთი ბედი. ამ ინდივიდებს არ შეუძლიათ იყვნენ კმაყოფილნი, როცა სხვისი გულისთვის მუშაობენ, მიჰყვებიან ვიღაცის გეგმას და იღებენ ბრძანებებს უფროსისგან.

როგორც ვხედავთ ბიზნესის წამოწყების მიზეზი მრავალნაირია. სავარაუდოდ ადამიანები აუცილებლად გადაწყვეტენ ბიზნესის დაწყებას, როცა მათი საქმიანობის სფეროში რაიმე ბიზნესი მარცხს განიცდის, მან კი იცის, როგორ შეიძლება ბიზნესის სათანადოდ ამუშავება ან წამოიწყებენ საკუთარ ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, როცა მათ სამსახურში არა აქვთ გასაქანი, გამოიყენონ მათი შესაძლებლობის სრული პოტენციალი (აქვთ დაბალი ხელფასები და სათანადოდ ვერ ავლენენ თავიანთ ნიჭს) ბაზარზე არის აშკარა მოთხოვნა იმ პროდუქტიაზე, რომლის მიწოდებაც მათ შეუძლიათ, ხვდებიან, რომ ახლებურად ან უკეთესად შეუძლიათ გააკეთონ რაიმე საქმე, ამ შემთხვევაშიც ადამიანებს უჩნდებათ მოტივაცია დაიწყონ კერძო ბიზნესი.

ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ ბიზნესის წამოწყების მიზეზები და მოტივაცია, ეს კარგია, მაგრამ მთავარია იმის განსაზღვრა ადამიანს (პიროვნებას) შეუძლია თუ არა იყოს ბიზნესმენი (მეწარმე).

აშშ-ში გამოიყენება მრავალი მეთოდი, რომელიც ადამიანებს ეხმარება იმის განსაზღვრაში, შეუძლიათ თუ არა მათ ბიზნესის დამოუკიდებლად წარმართვა. მოვიყვანო ტესტს, რომელიც დამუშავებულია მცირე ბიზნესის ერთ-ერთ ამერიკელი ხელმძღვანელობის მიერ (იხ. ცხრილი).

ტესტის თითოეული ჰორიზონტალურ სტრიქონში იაოვეთ თქვენი თვისების ის განსაზღვრა, რომელიც თქვენი აზრით უფრო მეტად გახასიათებთ. მონიშნეთ იგი ციფრით, რომელიც შეესატყვისება ყოველ ვერტიკალურ სვეტს (4, 3, 2, 1) ამ ციფრების დაჯამების შემდეგ

თქვენი შეფასება საკუთარი ბიზნესის ფლობისა და ძალიან კარგი (21-24), კარგი (17-20), საშუალო მართვის დარგში შეიძლება იყოს ფრიადი (25-28), (13-16), ცუდი (12 და უფრო ნაკლები).

მეწარმის (ბიზნესმენის) თვისების განსაზღვრის ტესტი

თვისებები	4	3	2	1
ინიციატივა	ექებს დამატებით დავალებებს, ძალიან გულანდილია	საზრიანია, გამჭრიახია დავალების შესრულებისას	ასრულებს საშუალოს აუცილებელ მოცულობას ხელმძღვანელობის მითითების გარეშე	უინიციატივო ელოდება მითითებას
დამოკიდებულება შრომისადმი	პოზიტიური საწყისი, მეგობრული ურთიერთობა ადამიანებთან	სასიამოვნო მოპყრობაში, თავაზიანი	ხანდახან მასთან ძნელია მუშაობა	ჭირვეული და არაკომუნიკაბელურია
ლიდერობა	ძლიერი, შთააგონებს სიმტკიცეს და ნდობას	მარჯვედ იძლევა ეფექტურ ბრძანებებს	წამყვანი	მიმყოლი
პასუხისმგებლობა	ავლენს პასუხისმგებლობას დავალების შესრულებისას	თანხმდება დავალები-სას (თუმცა არცთუ პროტესტის გარეშე)	უხალისოდ თანხმდება დავალებისას	თავიდან იცილებს ყოველგვარ დავალებას
ორგანიზატორული თვისებები	მეტად უნარიანი ადამიანთა დარწმუნებაში	უნარიანი ორგანიზატორი	საშუალო ორგანიზაციული უნარი	ცუდი ორგანიზატორი
გაბედულობა	სწრაფი და ზუსტი	საფუძვლიანი და ფრთხილი, წინდახედული	სწრაფი, მაგრამ ხშირად უშვებს შეცდომებს	დაეჭვებული და მშიშარა
შეუპოვრობა	მიზანსწრაფული ადვილი არ არის თავგზა აუბნით მას სიძნელებით	ხმარობს ყოველ დონეს	შეუპოვრობისა და გამბედაობის საშუალო დონე	თითქმის არავითარი შეუპოვრობა

თუ ადამიანს აღმოაჩნდება რაიმე სისუსტე, მაგრამ ექნება ძლიერი სურვილი ჰქონდეს თავისი ბიზნესი და იყოს მეწარმე, ეს სურვილი სავსებით შეიძლება შესრულდეს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია შერჩეულ იქნეს ჯგუფი და პარტნიორები იმგვარად, რომ მათ აანაზღაურონ კერძო ბიზნესის დამწყები ადამიანის სუსტი მხარეები. მაგალითად, თუ კერძო ბიზნესის დამწყებ ადამიანს დაბალი შეფასებები აქვს „ორგანიზატორული თვისებების“ და სხვებთან ურთიერთობის ნაწილში, მაშინ ასეთი ადამიანის (პიროვნების) ჯგუფში უნდა იმყოფებოდეს ვინმე ანალოგიური ძლიერი თვისებებით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა უნდა გავიგოთ კერძო ბიზნესის დამწყებ ადამიანს (პიროვნებას), რამდენად გააჩნია რისკზე წასვლის უნარი, რამეთუ ბიზნესი ნაწილობრივ მოგვაგონებს აზარტულ თამაშს, ამიტომ ყველაზე დიდი მიღწევები, როგორც მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა გააჩნია იმ მეწარმეს (ბიზნესმენს), რომელსაც შეუძლია ერთდროულად გაიანგარიშოს ან ინტუიციით განსაზღვროს რისკის დონე და, წარუმატებლობის შესაძლებლობის მიუხედავად, წავიდეს გარკვეულ რისკზე. ამ მხრივ ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად – რისკიანებად და უაღრესად ფრთხილებად. ფრთხილი ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ რისკის მინიმალური მოსალოდნელობის პირობებში. მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომელი

კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება კერძო ბიზნესის წამომწყები პიროვნება (თქვენ). **ადამიანის ამ თვისების განსაზღვრისათვის მოვიყვანთ ტესტს, რომელიც ეხება სხვადასხვა პროექტებსა და ფასიან ქაღალდებში სახსრების ინვესტირების რისკს.**

საჭიროა მოინიშნოთ ის პასუხი, რომელიც შეესატყვისება თქვენს არჩევანს, როგორც კერძო ბიზნესის წამომწყებ ადამიანს.

I. თქვენ ხართ სატელევიზიო თამაშ-სანახაობაში გამარჯვებული, რომელ ჯილდოს აირჩევდით თქვენ?

- 1) 2 ათას ლარი (1 ქულა);
- 2) 50%-იანი შანსი შემდგომში მოიგოთ 4 ათასი ლარი (3 ქულა);
- 3) 20%-იანი შანსი მოიგოთ 10000 ლარი (5 ქულა);
- 4) 2%-იანი შანსი მოიგოთ 100 ათასი ლარი (9 ქულა).

II. თქვენ წააგეთ პოკერში 500 ლარი. რამდენს დადებდით თქვენ თამაშზე, რომ დაიბრუნოთ თქვენი 500 ლარი?

- 1) 500 ლარზე მეტს (8 ქულა);
- 2) 500 ლარს (6 ქულა);
- 3) 250 ლარს (4 ქულა);
- 4) 100 ლარს (2 ქულა);
- 5) არაფერს – თქვენ გადაწყვიტეთ შეურიგდით წაგებას (1 ქულა).

III. თქვენს მიერ აქციების შესყიდვის ერთი თვის

შემდეგ კურსი მოულოდნელად გაიზარდა 15%-ით. რას მოიმოქმედებთ თქვენ იმ შემთხვევაში, თუ არა გაქვთ დამატებითი ინფორმაცია?

1) შევინახავ აქციებს დამატებითი შეძენის ან გაყიდვის გარეშე (3 ქულა);

2) გავყიდი მათ და მივიღებ სხვაობას (1 ქულა);

3) ვიყიდი უფრო მეტ იმავე აქციებს (4 ქულა).

IV. თქვენი აქციების კურსმა მოულოდნელად დაიწყო დავარდნა მათი შეძენიდან ერთი თვის შემდეგ, მაგრამ იმ კორპორაციის ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა აქციებით თქვენ იყიდეთ, გამოიყურება დამაჯერებლად. რას მოიმოქმედებთ თქვენ?

1) ვიყიდი კიდევ ამ კორპორაციის აქციებს (4 ქულა);

2) შევინახავთ მხოლოდ ამ აქციებს და დავიცდი მანამდე, სანამ ფასი არ დაუბრუნდება უწინდელ დონეს (3 ქულა);

3) გავყიდი მათ, რათა თავიდან ავიცილო უფრო მეტი წაგება (1 ქულა).

V. თქვენ ხართ ახლახან ჩამოყალიბებული კომპანიის წამყვანი სპეციალისტი, თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ წლის ბოლოს მისაღები თქვენი პრემიის ორი ფორმა, რომელ მათგანს აირჩევდით?

1) 1500 ლარი ნაღდი ფული (1 ქულა);

2) ფულის მაგიერ აიღებ ობციონს (დოკუმენტი, რომელიც იძლევა ახალი აქციების შეძენის უფლებას). იგი იძლევა პრემიის სახით კომპანიის აქციების შეძენის უფლებას, რომლებსაც შეუძლიათ მოგიტანონ მომავალ წელს დივიდენდის სახით 15 ათასი ლარი, თუ კომპანია მიადრეკს წარმატებას, მაგრამ ეს აქციები არაფერს არ მოგცემენ თუ კომპანია განიცდის მარცხს (5 ქულა).

ზემოთ განხილული ტესტის მიხედვით, რაც უფრო მეტია თქვენს მიერ შეგროვილი ქულების ჯამი, მით უფრო მაღალია თქვენი მიდრეკილება რისკისადმი.

ბევრ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესის განვითარების დიდი ხნის ისტორია მრავალი რჩევა და რეკომენდაციები არსებობს დამწყები ბიზნესმენებისათვის.

საყოველთაოდ გავრცელებული რჩევებიდან შეიძლება გამოვყოთ ძირითადი:

– მარტივი წესი იმისათვის, რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვოთ ადამიანზე ის არის, რომ ილიმებოდეთ და სასიამოვნო სიტყვებს ეუბნებოდეთ მოსაუბრეს (მაგ. „მიხარია თქვენი დანახვა“ და ა.შ.);

– გახსოვდეთ, რომ ადამიანის სახელი – ეს ყველაზე ტყბილი და ყველაზე მნიშვნელოვანი ხმაა მისთვის, ყველა ენაზე, ამიტომ უნდა დაიხსოვოთ პარტნიორის, თანამოსაუბრის სახელი და როცა საჭიროა ახსენოთ და მიმართოთ მას თავისივე სახელით;

– სხვის აზრებსა და გრძობებს მოეკიდეთ გაგებით;

– შეიძლება თქვენი თანამოსაუბრე მთლად მართალი არ იყოს, მაგრამ ის ასე არ ფიქრობს – ამიტომ

ეცადეთ მას გაუგოთ. ამით ბევრს მოიგებთ;

– ეცადეთ სწრაფად დაიპყროთ ადამიანები – ეს მიიღწევა მაშინ, თუ ყოველთვის აგრძნობინებთ თანამოსაუბრეს თავის უპირატესობას და მნიშვნელობას. ჭეშმარიტებაა, რომ თითქმის ყველა რაღაც გაგებით თქვენზე მაღლა დგას – ამიტომ ამას არ უნდა ჩრდილავდეთ, ამით მას დადებითად განაწყობთ თქვენს მიმართ.

ამ ტიპიურ ნიშნებს შეიძლება სხვა მრავალიც დაემატოს, რაც თვით ბიზნესმენის უნარზეა დამოკიდებული.

არც ერთი ტესტი იქნება ეს თუ, რჩევა და რეკომენდაცია არ შეიძლება ზუსტად გიკარნახოთ, ხართ თუ არა მზად გახდეთ ბიზნესმენი (მეწარმე) ამას გუმანი უნდა გიკარნახობდეთ. ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს მეწარმეებად იბადებიან, ეს ასე არ არის, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ყველაფერი ისწავლოთ, ხოლო ყველა სახის ტესტები, რჩევები თუ რეკომენდაციები, მათ შორის, ეს რეკომენდაციაც დაგეხმარებათ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზაციაში, სრულფასოვან ბიზნესმენად (მეწარმედ) ჩამოყალიბებაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ადამიანის ბიზნესმენად ჩამოყალიბებაში მეტად დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ასპექტი.

სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესმენები განსხვავებული ფსიქოლოგიური წყობით ხასიათდებიან, რაც გავლენას ახდენს მათი ბიზნესის სპეციფიკაზე.

ფსიქოლოგიურ ასპექტებს დიდ ყურადღებას უთმობენ იაპონელები. ისინი ძალზე მიზნობრივად და მაღალეფექტურად იყენებენ იაპონელთა ისეთ თვისებებს, როგორცაა: შრომისმოყვარეობა, ტრადიციებისადმი ერთგულება, სხვისგან საუკეთესოს გადმოღებისადმი მიდრეკილება, პრაქტიკულობა, პასუხისმგებლობისა და მოვლუების დიდი გრძნობა, ზრდილობა, აკურატულობა, მომჭირნეობა, ცოდნის დაუფლებისადმი სიყვარული და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვისებები საუკეთესო თვისებებია ადამიანთა გრძნობებისა და თვისებების მთელ კომპლექსებში.

იაპონელთა ბევრი ასეთი ჩვევა არ არის დამახასიათებელი იტალიელების, გერმანელების, ამერიკელების და სხვებისათვის.

ამერიკელების ჩვევებში გამოიკვეთება საქმის სწრაფად დაწყების ჩვევა, ნაკლები ინფორმაციის მიწოდება, ნაკლები დაპირებები და სხვა; გერმანელთა ფსიქოლოგია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულია, როგორც უაღრესად აკურატული, პუნქტუალური, მაღალხარისხოვანი შესრულებისაკენ მისწრაფება; იტალიელთა ფსიქოლოგია კი მათ ტემპერამენტს, მოუსვენრობას, ალღოიანობას ეყრდნობა და ა.შ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა დამწყები ბიზნესმენებთან დამოკიდებულებას, რამეთუ მათ ახასიათებთ ისეთი

სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურება, რომელიც აღზრდას და მათდამი დიდ ყურადღებას მოითხოვს. ასეთი თავისებურებებია: გამოცდილების უქონლობა, მოვლენების ზედაპირული აღქმა, გარეგანი ეფექტისადმი მისწრაფება, მინდობა, ზოგიერთ რთულ სიტუაციაში გარკვევის უნარის უქონლობა და სხვ.

მას შემდეგ, რაც მტკიცე გადაწყვეტილებას მიიღობთ, დაიწყეთ კერძო ბიზნესი, თქვენ გჭირდებათ სათანადო მომზადება იმ პასუხისმგებლობისათვის, რაც თან ახლავს ბიზნესის ფლობას. ის, ვისი ერთადერთი სურვილი სწრაფად გამდიდრებაა, დიდხანს ვერ შეინარჩუნებს ბიზნესის საკუთრებას.

კვლევებმა აჩვენა, რომ წარმატებულ ბიზნესმენობას ბევრი საერთო პიროვნული თვისება აქვთ. მათგან ყველაზე გამორჩეულია **თვითრწმენა**. მათ გააჩნიათ არა მხოლოდ განსაკუთრებული რწმენა საკუთარი თავისა, არამედ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობის, თავიანთი **იდეების** განხორციელების, აარსებენ ბიზნესს და ენდობიან საკუთარ ინტუიციას მთელი საქმიანობის მანძილზე.

იმეათია ერთი პიროვნება ფლობდა ყველა იმ თვისებას, რაც აუცილებელია ბიზნესში წარმატების მისაღწევად. ყველას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიხვდეთ და კარგად გაიაზროთ შენი ძლიერი და სუსტი თვისებები. ამისათვის, საჭიროა შეაფასო მთავარი მიღწევები თქვენს პირადულ და პროფესიულ ცხოვრებაში და უნარ-ჩვევები, რაც გამოიყენებ მათი დაგვირგვინებისათვის. ანალიზისათვის უნდა გაითვალისწინოთ თქვენი პირადული და პროფესიული გამოცდილებები, რომელ სამსახურში რა მოვალეობები და პასუხისმგებლობა გეკისრებოდათ. მიანიჭე ხარისხი თითოეული მიღწეულ წარმატებას, ასევე ჩართე პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლება ჰობი და მიღწევები. რომელიც პროფესიონალიზმს ან სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა. ყველაფერი ეს მოგცემთ უკეთეს წარმოდგენას იმაზე, თუ რა ბიზნესის ტიპი შეესაბამება ყველაზე კარგად თქვენს ინტერესებს და გამოცდილებას.

ამასთან ერთად, თქვენი ძლიერი და სუსტი თვისებების გამოსავლენად გააანალიზე **პიროვნული** თვისებები, როგორცაა, ხარ თუ არა მეგობრული და თვითმოტივირებული? ხარ შრომისმოყვარე და მუყაითი? გამოირჩევი კარგად ორგანიზებულობით?

პირადი თვისებების შეფასება გამოავლენს, თუ რა სახის საქმიანობა მოგწონს, რა სფეროში ხარ ძლიერი და რომელია თქვენი სუსტი მხარეები. თუ სხვა ადამიანების გარემოცვაში თავს არაკომფორტულად გრძნობთ, ხოლო მომავალში თქვენს მიერ არჩეული ბიზნესი საჭიროებს მყიდველებთან მჭიდრო ურთიერთობას, მსგავსი ტიპის მოთხოვნების საქმიანობა არ იქნება თქვენთვის შესაფერისი. ან შესაძლებელია აიყვანოთ თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს

მყიდველთა მომსახურებას, თქვენ კი გაუძღვებით ისეთ საქმეებს, რომლებიც სხვებთან შედარებით უკეთესად გამოვლით.

ასევე უნდა გააანალიზოთ თქვენი **პროფესიული** თვისებები აუცილებელი არ არის ყველაფერი ხელგეწიფებოდათ. საკმარისია ერთ რომელიმე სფეროში იყოთ კომპეტენტური. ხოლო დანარჩენი საკითხების მოსაგვარებლად შეიძლება დაგჭირდეთ სხვების დახმარება, მაგალითად, მარკეტინგის, გაყიდვის, რეკლამირების ან ადმინისტრირების სფეროში. ყველა ეს ფუნქცია შეაფასეთ თქვენი **კომპეტენტურობის** დონის მიხედვით – საუკეთესო, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი. პროფესიული თვისებების ანალიზი დაგეხმარებათ იპოვოთ საწარმოს (ბიზნესის) მართვის ყველაზე ოპტიმალური გზა.

თუ ახალბედა ბიზნესმენი სწორად განსაზღვრავს ნიშას, ანუ იმას, თუ რა სფეროა მისი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანისათვის ამ ეტაპზე მომგებიანი, მაშინ ის ბაზრის შერჩეულ სექტორში ადვილს უფრო იოლად დაიმკვიდრებს. მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყებისას მეტი ყურადღება **იდეას** უნდა მიექცეს, რაც შეეხება ბიზნესგეგმას (რაზედაც ჩვენ მოვიხილავთ გვექნება საუბარი), დასაწყისისათვის იგი ელემენტარული გათვლების დონეზეც საკმარისია.

ე.ი. ბიზნესის დამწყებთათვის პირველ ეტაპზე მთავარია **ბიზნესიდეის მოძიება**. ზოგი ფიქრობს ბიზნესი უნდა დაიწყონ სუფთა ფურცლიდან: ესეც ასე, რა პროდუქტი შეიძლება გამოვიგონო, რომელი ახალი სერვისი შეიძლება დავიწყო, რა შემიძლია ისეთი, რომელიც აქამდე არავის გაუკეთებია. ასეთი რამეების გაკეთება თუ შეგიძლიათ ეს ძალიან კარგია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ახალი ბიზნესი არ უნდა ეხებოდეს ისეთ უნიკალურ საქმეს, რაც აქამდე არავის არასოდეს გაუგია, არამედ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ „გავაუმჯობესო“ ან „რა საქმე გავაკეთო უკეთესად ან განსხვავებულად, ვიდრე ამას სხვები აკეთებენ.“ იფიქრეთ იმაზე არის თუ არა ისეთი პროდუქტები ან სერვისი, რაც გააუმჯობესებდა თქვენს ცხოვრებას, დაიზოგავდა მეტ დროს და გახდიდა უფრო პროდუქტიულს.

იდეის მოძიების ნათელყოფისათვის მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს.

ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში შუადღის შესვენების დროს ორი მეგობარი იჯდა და ფიქრობდა, სად ესაძლიათ. დიდი არჩევანი არ ჰქონდათ, რადგან იმ დროისათვის არ იყო სწრაფი კვების ბევრი ობიექტი, არსებული სასადილოებიც ძალზე გადატვირთული იყო და დიდხანს მოუწევდათ რიგში დოგმა. მოკლედ ერთ გასაჭირში იყვნენ. ერთმა მეგობარმა ინატრა: „რა კარგი იქნებოდა, აქ რომ მოეტანათ სადილი“ – და უკვე წარმოიშვა ბიზნესიდეა. ამის შემდეგ მათ გააკეთეს ის, რასაც ბევრი ადამიანი არ აკეთებს: იდეა ხელიდან არ

გაუშვებს და დაიწყებს კერძო ბიზნესი. დღესდღეობით მათ საკვების ადგილზე მიტანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფირმა აქვთ.

მოტანილი მაგალითი არც რთული და არც ორიგინალური ბიზნესია. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მათ ყურადღება გაამახვილეს საკუთარ უკმაყოფილებაზე. მიხვდნენ, რომ ამ სერვისზე მოთხოვნა რეალურად არსებობდა: ნებისმიერი დასაქმებულისათვის პრობლემა იყო 30-წუთიანი შესვენების დროს წასულიყვნენ სადილისათვის, მდგარიყვნენ რიგში და დაბრუნებულიყვნენ სამსახურში.

ეს არის იდეის მოძიების ყველაზე ორდინარული გზა – მოუსმინო საკუთარი გულის კარნახს, გაითვალისწინო თანამშრომლების, ოჯახის წევრების თუ მეზობლების უკმაყოფილება და მოთხოვნილებები.

მეორე მაგალითი, აშშ-ის მოქალაქეს, როდ ჰასტინგს სოლიდური ჯარიმა გადაახდევინეს იმისათვის, რომ ვიდეოდისკების გამჭირავებელ პუნქტში დაგვიანებით დააბრუნა DVD დისკები. იმის ნაცვლად, რომ ჯარიმის გამო გაბრაზებულიყო, დაებადა იდეა: ზომ შეიძლება დისკების გამჭირავებელ პუნქტს არ ქონდეს დროის ლიმიტი. ჰასტინგმა არ დააყოვნა და შექმნა დისკების გამჭირავების ფირმა, WETFLIX.com. მისი მუშაობის პრინციპი მარტივია: ტელეფონით ან ინტერნეტით შეგიძლია შეუკვეთოთ თქვენთვის სასურველი ფილმი, როგორც ციფრულ ვერსიაში, ისე DVD დისკის ადგილზე მიტანით. გადაიხადე პროდუქტის ღირებულება და გქონდეთ რამდენ ხანსაც ისურვებთ. ყოველი მომდევნო შეკვეთისას მოგიტანენ დისკებს, გადაიხდით მხოლოდ შეკვეთის თანხას და მიიღებ იმდენ ახალ დისკს, რამდენსაც უკან დააბრუნებ. ამ ახალმა სერვისმა საუკეთესოდ იმუშავა – მოიზიდა მილიონობით აბონენტი და ფირმის საშუალო წლიურმა შემოსავალმა 682 მილიონი დოლარი შეადგინა.

შეიძლება მოგწონდეს რომელიმე უკვე ნაცადი წარმატებული ბიზნესიდეა, თუმცა არსებულ დროსა და პირობები ეს იდეა არ მუშაობდეს, უბრალოდ შეიძლება არ ერგებოდეს თქვენს თანამედროვეობასა და საზოგადოებას. ამ დროს უნდა გაითვალისწინოთ თქვენი საზოგადოების მოთხოვნილებები, მისწრაფებები, გემოვნება, კულტურა, ტრადიციები, რამდენად მიიღებენ ინოვაციებს და ა.შ. თუ რომელიმე იდეა რეალურად ქმედუნარიანია, შეგიძლიათ იფიქროთ მის მოდერნიზაციაზე ან თქვენი ინტერპრეტაციით მორაგოთ დროსა და პირობებს. იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროთ, იქნება თუ არა წარმატებული ბიზნესიდეა თქვენს რეალობაში, უნდა ესაუბროთ ნაცნობებს და გაიგეთ მათი აზრი. მართალია, ამ დროს არსებობს ბიზნესიდეის გადინების საფრთხე, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ უნდა ისაუბროთ საქმეზე ზოგადად და არ გამოააშკარაოთ საქმის დეტალები.

გარდა აღნიშნულისა, სანამ გადაწყვეტთ ბიზნესის

დაწყებას, შეისწავლეთ მისი პოტენციალი, რა არის თქვენი პროდუქტი თუ სერვისი და არის თუ არა შესაძლებელი თქვენი საბოლოო მიზნის მიღწევა – განსაზღვრული ოდენობით მოგების მიღება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებობს დროებითი ბიზნესები, რომლებიც გარკვეული დროის მერე არამომგებიანი ხდება. ნამდვილად არ იქნებოდა ცუდი ჩაერთოთ ასეთ საქმეში, იშვით განსაზღვრული ოდენობით ფინანსები და შემდეგ დაანებოთ თავი ამ საქმეს; რამეთუ დროებითმა ბიზნესმა, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს ბევრი ბიზნესმენი (მეწარმე) გახდა მდიდარი, მაგრამ მთავარია დროზე გამოააშკარაოთ, როდის დაკარგავს ეს ბიზნესი ქმედუნარიანობას. თუ ამას არასწორად მიხვდებით და შეეცდებით დროებითი ბიზნესი გახადოთ კლასიკური, დროთა განმავლობაში იგი გახდება ზარალიანი და შესაძლებელია დაკარგოთ მთელი შემოსავალი, რაც კი აქამდე მიგიღიათ.

მას შემდეგ, რაც მოიპოვეთ ბიზნესიდეას, ყველაზე მთავარი, რაც გჭირდებათ, არის შეუდრეკელობა. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია თქვენს გარშემო მყოფმა ბევრმა ადამიანმა არ წაგახალისოთ და არ გაამხნევოთ, ზოგმა შეიძლება გითხრათ, რომ მასაც ჰქონდა ანალოგიური ბიზნესიდეა და ფიქრობდა ბიზნესის წამოწყებას, ზოგს შეიძლება შემურდეს თქვენი გუჟამნის, მაგრამ არ უნდა შედრკეთ, თქვენს გარშემო ბევრი კეთილსინდისიერი და საერთო ინტერესების ადამიანი არსებობს.

ასევე კარგად უნდა გაითვალისწინოთ ბიზნესის წამოწყებაში არსებული რისკის ფაქტორები. კარგად უნდა გაიცნობიეროთ, რას რისკავთ რეალურად და შეაფასოთ ეს სვლა – რას დაკარგავთ, თუ მიზანს ვერ მიაღწევთ: არ გარისკოთ ისეთი რამ, რისთვისაც ვერ შეძლებთ თანხის გადახდას. არ გარისკოთ საცხოვრებელი, ოჯახი ან ჯანმრთელობა. დაფიქრდით: „თუ საქმე არ გამოვიდა, აღმოჩნდებით თუ არა უარეს მდგომარეობაში, ვიდრე საკუთარი ბიზნესის დაწყებამდე იყავით“. თუ მხოლოდ დროს, ენერჯიას ან დანაზოგ ფულს კარგავთ, მაშინ კარგად გათვლილ საქმეზე გარისკვა უდავოდ ღირს.

ყველაფერი ამის შემდეგ მთავარია დროის შერჩევა, რა უფრო უმჯობესია, დაუთმო ბიზნესს ნახევარი სამუშაო დღე თუ მთელი დრო მის წამოწყებას და განვითარებას მონადლო ამ საკითხის გადაწყვეტა არც ისე მარტივია; ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება თუ დეტალურად განვიხილავთ ყველა იმ ასპექტს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ბიზნესის მართვის დროის შერჩევისას. უკვე მოძიებული გაქვთ კარგი ბიზნესიდეა და გადაწყვეტილი გაქვთ კერძო ბიზნესით დაწყება. ამის შემდეგ კარგად უნდა გათვალოთ რა უფრო სჯობს: დაიწყოთ ბიზნესი ნახევარი თუ სრული სამუშაო დროით.

თუ დაუსაქმებელი ხართ, პასუხი მარტივია –

მთელი დღე შეგიძლიათ მიუძღვნათ საკუთარი ბიზნესის ინტერესებს, მაგრამ თუ დასაქმებული ხართ, საქმე ოდნავ რთულია. ამ დროს კარგად უნდა გააცნობიეროთ, რა უფრო მიზანშეწონილი იქნება თქვენთვის, გაუძღვეთ საკუთარ ბიზნესს ნახევარი განაკვეთით, თუ დაანებო სამსახურს თავი და მთელი დრო დაუთმო ახალ დაწყებულ საქმეს.

ბევრი **ბიზნესექსპერტი** და მეწარმე გვირჩევენ, რომ **საწყის ეტაპზე** უკეთესია ბიზნესის დაწყება **ნახევარი განაკვეთით**, ვინაიდან მას ბევრი **უბიზნესობა** აქვს. ამის შესახებ ფილიპ ჰოლანდი თავის წიგნში – „როგორ დავიწყოთ ბიზნესი სამსახურის მიტოვების გარეშე“ – წერს „ბიზნესის წამოწყება ნახევარი სამუშაო განაკვეთით არის საუკეთესო არჩევანი... შენ აღმოაჩენ რა მოთხოვნები აქვს მეწარმეობას და ამავდროულად შეამცირებ პასუხისმგებლობას და რისკს, თუ, სამწუხაროდ შენი ბიზნესი მარცხს განიცდის“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნახევარი დროით ბიზნესის მართვას თან ახლავს თავისი საფრთხეები და **უარყოფითი მხარეები**. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში ცოტა დრო გრჩებათ თქვენი ბიზნესის მართვისათვის, კლიენტების მოზიდვის მეთოდებისა და სტრატეგიების შემუშავებისათვის, ცუდად მოქმედებს დამწყებ ბიზნესმენზე გადატვირთული დროის გრაფიკი. „თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია ბიზნესის მართვა ნახევარი განაკვეთით... თუ შენ გაქვს დროის მართვის საუკეთესო ნიჭი, ხარ კარგად დისციპლინირებული და გაქვს ხელშეწყობა ოჯახის წევრებისა და მეგობრებისაგან, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. გარდა ამისა, არ იფიქრო, რომ თუ სამსახურით ხარ უზრუნველყოფილი, შენს საკუთარ ბიზნესში მუყაითად არ უნდა იმუშაო“ - წერს არნოლდ სენაუ, წიგნში – „შეგიძლია დაიწყო საკუთარი ბიზნესი“.

გაითვალისწინე აღნიშნული რეკომენდაციები და დაკვირვებით შეაფასე ის გავლენები, რასაც კერძო ბიზნესის წამოწყება იქონიებს შენს ცხოვრებაზე. კერძო ბიზნესი წაგართმევს ბევრ თავისუფალ დროს. ხშირად მოგიწევს უარის თქმა გართობაზე, იმ თავისუფალ

დროზე, რომელიც გაქვთ დასვენების დღეებში, შეუბულების დროს, სადღესასწაულო დღეებში და ა.შ.

ყველაფერი ამ უარყოფითი მომენტებისათვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ. გაიხსენეთ წარმატებული ბიზნესმენების საერთო პიროვნული თვისებებიდან ყველაზე გამორჩეული თვისება **თვითრწმენა**. მათ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების, თავიანთი იდეების განხორციელების და ბიზნესის დაწყების შემთხვევაში წარმატებებიც შესაბამისად გარანტირებული იქნება.

Shota Minjoraia
Ass. Professor
Giorgi Minjoraia
Master of TSU

RECOMMENDATIONS FOR BEGINNERS OF PRIVATE BUSINESS

SUMMARY

The article considers the concept and stages of development of business. Reasons and motivations of Georgian businessman are analyzed. Test is given to determine whether concrete person can be businessman or not. Besides, another test helps us determine whether beginner of private business can take the risks.

The article considers advices and recommendations for developing business in the countries with long history of business.

It's marked that at the first stage the most important is to find business idea. Concrete examples of finding such ideas are given. Risk-factors of starting business are analyzed.

The importance of starting period of business is noted. Positive and negative aspects of starting business are described.

მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

ბრაფიკები ეკონომიკაში

ნოდარ ვარამშვილი,

ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი



ეკონომიკური ანალიზი ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ უფრო ზუსტად, როდესაც ვიყენებთ მათემატიკას. მათემატიკის გამოყენება აძლევს ეკონომიკურ თეორიას წინსვლის საშუალებას და უზრუნველყოფს ეკონომიკაში გამოთვლითი მოდელების შემუშავების საფუძვლებს. უამრავი დაკვირვება და კვლევა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სიდიდეები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ. ისინი ერთმანეთთან გარკვეულ კავშირში არიან. ფუნქციის, ფუნქციონალური დამოკიდებულების საშუალებით ხდება სხვადასხვა სიდიდებს შორის ურთიერთკავშირის მოდელირება. ფუნქციის ცნება საწყისი ცნებების რიცხვს ეკუთვნის და ამიტომ ის არ განისაზღვრება. ფუნქციონალური კავშირი x და y სიდიდეებს შორის გამოისახება ასე: $y=f(x)$, სადაც x – არგუმენტია (დამოუკიდებელი ცვლადია), ხოლო y – ფუნქცია (დამოკიდებული ცვლადი).


ბევრი ცვლადები, რომლებსაც ეკონომისტები სწავლობენ, შეიძლება რიცხვებით გამოისახოს: მანდარინის ფასები, გაყიდული მანდარინის რაოდენობა, მანდარინის მოყვანის დანახარჯები და ა. შ. ეს ეკონომიკური ცვლადები ხშირად ერთმანეთზე დამოკიდებული. როდესაც იზრდება მანდარინის ფასები მცირდება მათი გაყიდვა. ურთიერთკავშირის ასახვის ერთ-ერთი საშუალებაა გრაფიკების აგება.

გრაფიკების აგებას ორი მიზანი აქვს. ჯერ ერთი ეკონომიკური თეორიის დამუშავების პროცესში გრაფიკები გვაძლევს იდეის ვიზუალური გამოსახვის საშუალებას, რაც ნაკლებად გასაგები იქნებოდა მხოლოდ სიტყვების საშუალებით. გარდა ამისა ეკონომიკური მონაცემების ანალიზისას გრაფიკები იძლევიან ეკონომიკური ცვლადების დამოკიდებულების განსაზღვრის საშუალებას. თანამედროვე მეცნიერების წარმოდგენა შეუძლებელია გრაფიკების გამოყენების გარეშე. ისინი იქცნენ სამეცნიერო ურთიერთობის საშუალებად.

შემოვიტანოთ სიბრტყეზე მართკუთხა კოორდინატთა სისტემის ცნება. ამისათვის ავიღოთ ორი ურთიერთმართობი რიცხვითი ღერძი (საკოორდინატო ღერძები) საერთო საწყისი წერტილით (ნახ.1). მართკუთხა საკოორდინატო სისტემა არის ყველაზე გავრცელებული მეთოდი ორ ცვლადს შორის ურთიერთობის საჩვენებლად. საკოორდინატო სისტემაში თითოეული წერტილი შეიძლება აღვწეროთ ორი რიცხვის საშუალებით, რომლებსაც ამ წერტილის კოორდინატებს უწოდებენ. კოორდინატები შეიძლება იყოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, იმის მიხედვით, თუ ღერძების

მიმართ რა მდებარეობა აქვს წერტილს. ჰორიზონტალური ხაზი არის X -ღერძი და ვერტიკალური ხაზი Y -ღერძი. წერტილი, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძი იკვეთება ეწოდება საწყისი წერტილი.

მართკუთხა კოორდინატთა სისტემის გამოყენებით ფუნქციები შეიძლება თვალსაჩინოთ გამოვსახოთ გრაფიკების საშუალებით.



ნახ.1. მართკუთხა საკოორდინატო სისტემა


გრაფიკები ორ მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, გრაფიკები ეკონომიკური იდეების ვიზუალური გამოხატვის გზას გვთავაზობენ. ამას გარდა, როდესაც ეკონომიკურ მონაცემებს ვაანალიზებთ, გრაფიკები გვეხმარებიან იმის გაგებაში, თუ როგორაა ცვლადები ერთმანეთთან დაკავშირებული რეალურ ცხოვრებაში.

ეკონომიკის შესავალში შეისწავლება დამოკიდებულება ღირებულების სხვადასხვა მრუდებს შორის, როგორიცაა საშუალო ცვლადი ღირებულება, საერთო ღირებულება და ზღვრული დანახარჯები. მათემატიკა ამ დამოკიდებულებას უფრო ცხადს ხდის. მათემატიკა გამოიყენება ფინანსური პროცესების მოდელირებისათვის, და ეს საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება ოპტიმიზაციის მიღწევა გარკვეული შეზღუდვების პირობებში. გრაფიკები ეკონომიკაში ხშირად გამოიყენება კონცეფციების ვიზუალური ფორმით ასახვისათვის. ეკონომიკის საბაზისო დონეზე ხდება გრაფიკების ინტენსიური გამოყენება, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ უნდა წაიკითხოთ ისინი. ეკონომიკაში გრაფიკები ხშირად გამოიყენება რათა აჩვენოს დამოკიდებულება ორ ცნებას შორის, როგორიცაა ვთქვათ, ფასი და რაოდენობა. გრაფიკზე მასშტაბის ჰორიზონტალური ხაზი X -ღერძია, ვერტიკალური Y -ღერძი და ორი მასშტაბის ხაზების გადაკვეთა წარმოადგენს საწყის

წერტილს. გრაფიკი, სტატიის ტექსტის მსგავსად, იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ. ზოგადად პორიზონტალურ ღერძზე გადაზომილ ცვლადს ჩვენ წარმოვიდგენთ ვერტიკალურ ღერძზე გადაზომილი ცვლადის ცვლილების მიზნად.


ეკონომიკური გრაფიკები სამი ძირითადი ტიპის არიან:

დროითი სერიების გრაფიკები გვიჩვენებს დამოკიდებულებას დროსა, რომელიც გადაიზომება X-ღერძზე, და სხვა ცვლადს შორის, რომელიც გადაიზომება Y-ღერძზე. დროითი სერიების გრაფიკები გვიჩვენებს ცვლადის სიდიდეს, ცვლილების მიმართულებას და სიჩქარეს და ზრდის ან შემცირების ზოგად ტენდენციას.



ნახ.2. დროითი სერიების გრაფიკი


ძელური გრაფიკები გვიჩვენებს ცვლადის მნიშვნელობას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის დროის გარკვეულ მომენტში.



ნახ.3. ძელური გრაფიკი

წერტილოვან დიაგრამებში აგებულია ერთი ცვლადის მნიშვნელობა მეორე ცვლადის მიმართ, რათა გვიჩვენოს კავშირი ორ ცვლადს შორის. ასეთი დამოკიდებულება გვიჩვენებს ცვლადებს შორის კორელაციას.

ცვლადი 2



ნახ.4. წერტილოვანი დიაგრამა

ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკები ნაკლებინფორმაციულია, რადგან მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ

ერთ ცვლადს შეეხება. ეკონომისტებს ხშირად სჭირდებათ ცვლადებს შორის ურთიერთქმედების გაანალიზება. ამისათვის საჭიროა ერთ გრაფიკზე ორი ცვლადის ჩვენება.

ეკონომიკაში პოპულარულია წრფივი ფუნქციები. მათი დამუშავება მათემატიკურად ძალზე ადვილია. მათ ბევრი მნიშვნელოვანი გამოყენება აქვთ.

წრფივი ფუნქციის გრაფიკი წარმოადგენს წრფეს (ნახ.5).

წრფივ ფუნქციას აქვს შემდეგი სახე: $Y=f(x)=mx+c$

წრფივ ფუნქციას აქვს აქვს ერთი დამოკიდებელი (x) და ერთი დამოკიდებელი (y) ცვლადი.

წრფივი ფუნქციის გრაფიკის ასაგებად საჭიროა:

1. ვიპოვოთ ორი წერტილი რომლებიც აკმაყოფილებენ განტოლებას;

2. გავავლოთ ამ ორ წერტილზე წრფე.

ექსპონენციალური ფუნქცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მათემატიკაში (ნახ.5). X ცვლადისათვის ეს ფუნქცია ჩაიწერება ასე $exp(x)$ ან e^x , სადაც $e \approx 2.718281828$ და ცნობილია ეილერის რიცხვის სახელწოდებით. აქ e ჰქვია ფუძე ხოლო x მაჩვენებელი.


კვადრატულ ფუნქციას აქვს სახე $y = ax^2 + bx + c$, სადაც a, b და c რიცხვებია და a არ შეიძლება იყოს 0-ს ტოლი.

კვადრატული ფუნქციის გრაფიკს ჰქვია პარაბოლა (ნახ.5). პარაბოლა შეიცავს წერტილს რომელსაც ჰქვია ვერტიქსი (პარაბოლას წვერო). პარაბოლა შეიძლება გახსნილი იყოს ზემოთ (თუ a დადებითია) ან ქვემოთ (თუ a უარყოფითია).

თუ პარაბოლა ზემოთაა გახსნილი ვერტიქსი უმცირესი მნიშვნელობაა. მას ჰქვია მინიმუმი.

თუ პარაბოლა ქვემოთაა გახსნილი ვერტიქსი უდიდესი მნიშვნელობაა. მას ჰქვია მაქსიმუმი.


წრფივი $y = mx + c$



დადებითი დახრა

უარყოფითი დახრა

ექსპონენციალური ფუნქციები




გრაფიკი $y = e^x$

გრაფიკი $y = e^{-x}$

ექსპონენციალური ზრდა

ექსპონენციალური კლება


კვადრატული ფუნქციები



(1) $b^2 - 4ac < 0$; (2) $b^2 - 4ac = 0$; (3) $b^2 - 4ac > 0$

ნახ.5. წრფივი, ექსპონენციალური და კვადრატული ფუნქციების გრაფიკები

ამიტომ მოცემულ წერტილში მრუდის დახრის კუთხის განსასაზღვრად უნდა გამოვთვალოთ კუთხე მოცემულ წერტილში გავლებულ მხებსა და აბსცისათა (x) ღერძს შორის. მოცემულ გრაფიკზე (ნახ. 8a) გამოითვლება მრუდის დახრილობა A წერტილში.



ნახ.8. მრუდის დახრილობის გამოთვლა წერტილში (a) და რკალის გასწვრივ (b)


დახრილობა რკალის გასწვრივ:

რკალის გასწვრივ მრუდის საშუალო დახრილობის გამოსათვლელად ამ რკალის ბოლო წერტილებზე უნდა გავავლოთ წრფე და განვსაზღვროთ მისი დახრილობა. მოცემულ მრუდზე (ნახ.8b) გამოითვლება მრუდის საშუალო დახრილობა BC რკალის გასწვრივ.

ორზე მეტ ცვლადს შორის დამოკიდებულების გრაფიკის აგება:

ორზე მეტ ცვლადს შორის დამოკიდებულების გრაფიკი შეიძლება ავაგოთ თუ ყველა ცვლადს ორის გარდა მივიჩნევთ მუდმივებად და ავაგებთ დამოკიდებულების გრაფიკს ამ ორს შორის. ამ მეთოდს უწოდებენ *ceteris paribus* პრინციპს.

ნახ.9-ზე D_0 მრუდი გვიჩვენებს დამოკიდებულებას კინოს ბილეთების ფასსა და გაყიდული ბილეთების რაოდენობას შორის. როდესაც ფასი 8 ლარია ბილეთი არავის უნდა, ხოლო უფასო ბილეთების შემთხვევაში 400 ადამიანი შევა კინოთეატრში. D_0 მრუდი წარმოადგენს ჩვეულებრივ ფილმს. D_1 მრუდის შემთხვევაში ფილმის ჩვეულებრივობის პირობა შეცვლილია. ის შეიძლება წარმოადგენდეს მოთხოვნას ბილეთებზე, როდესაც ფილმში თამაშობს რომელიმე დიდი მსახიობი.



ნახ.9. ბილეთის ფასის დამოკიდებულება გაყიდული ბილეთების რაოდენობაზე

ეკონომისტები იყენებენ მათემატიკას რთული პრობლემების ანალიზისათვის. რამდენიმე გრაფიკის გამოყენება ხანდახან საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ საკითხების კომპლექსი, რომლებიც სხვა შემთხვევაში უზარმაზარი სადისკუსიო ცხრილების ერთობლიობა იქნებოდა.

Nodar Varamashvili

GRAPHS IN ECONOMICS

SUMMARY

Graphs plotting have two goals. Firstly in the processing of the economic theories graphs allow us to visualize expression of ideas, which would be less clear with just words. Besides, in analyzing economic data, graphs enable us to determine the relation of the economic variables. The basic graphical imaging tools are considered in the article. The rectangular coordinate system, linear, quadratic, exponential, function of several variables are considered and used. In some cases, the rules of graphs construction and graphic conception of coefficients in formulas of mathematical functions are examined. In this article there is shown some mathematical functions and its graphs which can be used for economic problem modeling and analysis.

ლიტერატურა

1. Walter J. Wessels, Economics, 2000
2. Gregory Mankiw, Principles of economics, 1998
3. Замков О.О., Черемных Ю.А., Толстопятенко А.В., Математические методы в экономике, М., 1999
4. Колесников А.Н., Краткий курс математики для экономистов, М., 1999
5. Vassilis C. Mavron, Timothy N. Phillips, Elements of mathematics for economics and finance, Springer, 2007.
6. ნატროშვილი დ., გიორგაშვილი ლ., ჯამაიაშვილი გ., მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, 2008.

ცოდნის მართვის ამოცანები

*გურამ ჯოლია, სტუ-ს სრული პროფესორი
დალი სენიაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

კომპანიებს შორის მიმდინარე კონკურენტული ბრძოლა ინტელექტუალურ კაპიტალს მეტად სპეციფიკურ და მნიშვნელოვან სტრატეგიულ რესურსად აქცევს, რომლის გამოყენება მათ უმრავლესობას არ შეუძლია, რადგან არ გააჩნია.

„წარმატებული ბიზნესი ცოდნის გამოყენებას ემყარება“ – ეს ლოზუნგი არაა მეტაფორა. ინტელექტუალური კაპიტალის ბირთვი სწორედ ცოდნაა და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მართვის მეტად რთული და სპეციფიკური ობიექტი. რაში მდგომარეობს ცოდნის სპეციფიკურობა? ცოდნის მართვა, როგორც ახალი მეცნიერება და მენეჯმენტის ერთ-ერთი განშტოება ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს.

კონკურენტულ ბრძოლაში შედარებით წარმატებულმა კომპანიებმა გაითავისეს ცოდნის მართვის მნიშვნელობა და სპეციალური ქვედანაყოფები შექმნეს, რომელთა საქმიანობა ცოდნის ინფორმაციის დამუშავებაა. მაგრამ, მეტად რთულია ცოდნის მართვის პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და კვალიფიციური მუშაკების ძალისხმევის მკაფიოდ კონცენტრირება კრეატიული მიმართულებით.

ბუნებრივად იბადება კითხვა: „რა უნდა გაკეთდეს ან რომელი ამოცანები უნდა გადაწყდეს ცოდნის მართვის სფეროში“?

ცოდნამ, რომელიც ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი რესურსია, კომპანიის სხვა რესურსების (მატერიალური, ფინანსური, ადამიანის) ანალოგიურ ამოცანებს უნდა უპასუხო, ანუ ცოდნის მართვის სამსახურის თანამშრომლებმა კომპანიის დანარჩენი თანამშრომლები უნდა უზრუნველყონ აუცილებელი ცოდნით და თანაც:


- საჭირო რაოდენობით;
- მოთხოვნის ადგილზე;
- დადგენილ დროს;
- მოთხოვნადი ხარისხით;
- მისაღები ფასით.

ამპირობების შესასრულებლად, ტოპ-მენეჯმენტმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს კომპანიის ძირითადი ამოცანები.

და კვლავ აღმოცენდება პრობლემები ცოდნის მართვის მიზნებიდან გამომდინარე. უპირველესად დასაზუსტებელია **ცოდნის მართვის საზღვრები**.

ცოდნის მართვა ესაა სფერო, რომელიც სამი დისციპლინის გადაკვეთაზე იმყოფება (იხილეთ ნახ. 1). ეს დისციპლინებია:

- **ბიზნესის მართვის მეცნიერებები** - სფერო, რომელიც პასუხობს კითხვაზე: „ცოდნის საფუძველზე როგორ შევქმნათ დამატებითი ღირებულება და უზრუნველვყოთ კონკურენტული უპირატესობა“? მოცემულ სფეროში მართვის მთავარი ობიექტია კომპანია, როგორც ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემა;
- **მეცნიერებები ინფორმაციის შესახებ** - პასუხობენ კითხვაზე: „როგორ ვიმუშაოთ ეფექტურად ინფორმაციასთან“? ამ მეცნიერებების დასახელებიდან გამომდინარე, მოცემულ სფეროში მართვის მთავარი ობიექტია ინფორმაცია;



ნახ. 1. ცოდნის მართვის დისციპლინათა შორისი ხასიათი


- **ჰუმანიტარული მეცნიერებები** - პასუხობს კითხვაზე: „როგორ უზრუნველვყოთ ადამიანების აუცილებელი ქცევა“? მოცემულ სფეროში მართვის მთავარი ობიექტია ადამიანი.

ამგვარად, ცოდნის მართვის ეს სამი სფერო განსხვავებულად იხილავს და აყალიბებს ცოდნის ამოცანებს. ამასთან, აღნიშნული ტრიადის ობიექტები (**კომპანია, ინფორმაცია, ადამიანი**), იმავდროულად, ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ კიდევ.

ახლა განვიხილოთ ურთიერთკავშირი თვით ტრიადის შიგნით და შევეცადოთ განვსაზღვროთ ის აუცილებელი რესურსები ან მხარდაჭერის კომპონენტები, რომლებიც ტრიადის ობიექტების ეფექტური ურთიერთზემოქმედებისათვის (იხილეთ ნახ. 2) არსებობს.

„ინფორმაციის“, როგორც ცოდნის მართვის ობიექტის პოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კორელაციური კავშირი:

1. **„ინფორმაცია - კომპანია“**. კომპანია, როგორც შექმნილი ცოდნის ფასეულობების მიმღები, ამ ცოდნას პროდუქტებისა და მომსახურების შესაქმნელად იყენებს და ამით ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას იღებს. ამიტომ კომპანია (ან მისი უფლებამოსილი ხელმძღვანელობა) განსაზღვრავს ცოდნის შინაარსის მოთხოვნებს;
2. **„ინფორმაცია - ადამიანი“**. ერთი მხრივ, ადამიანი იყენებს ინფორმაციას და ცოდნას. ამიტომ სწორედ ადამიანი აზუსტებს ცოდნის შინაარსისადმი მოთხოვნებს და აყალიბებს მოთხოვნებს ინფორმაციის წარდგენის ფორმისადმი. მეორე მხრივ, ადამიანი ქმნის ცოდნას და წარადგენს იმ ფორმით, რომელიც განსაზღვრავს ამ ინფორმაციაზე მის შეხედულებას.



ნახ. 2. ცოდნის მართვის ძირითადი ობიექტების ურთიერთკავშირი

საინფორმაციო ტექნოლოგიები, როგორც ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სხვა ობიექტებთან კავშირის უზრუნველყოფის მთავარი კომპონენტი, წარმოადგენს ინფორმაციის დამუშავების მეთოდებისა და ინსტრუმენტების (მაგ., ნეირონული ქსელი), ასევე პროგრამულ საშუალებების (მაგ., პორტალები, პროგრამული უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა) ერთობლიობას.

„ადამიანი“, როგორც მართვის ობიექტის პოზიციიდან გამომდინარე, არსებობს შემდეგი ურთიერთკავშირი:

1. „ადამიანი - კომპანია“. კომპანია ქმნის პირობებს ცოდნის აღქმის, გაცვლისა და გამოყენებისათვის;
2. „ადამიანი - ინფორმაცია“. მიღებული ინფორმაცია და ფორმალიზებული ცოდნა აყალიბებენ არაფორმალ-

ზებულ ცოდნას და ადამიანის გამოცდილებას.

ადამიანსა და ცოდნის მართვის სხვა ობიექტებთან კავშირის უზრუნველყოფის მთავარი კომპონენტი **კულტურა**. იგი იმ ფასეულობების, პრინციპების, ნორმების, სამოტივაციო სისტემის, მუშაობის წესებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რომელიც, უმთავრესად, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის საფუძველზე იქმნება.

კომპანიის პოზიციიდან სახეზეა შემდეგი ურთიერთკავშირიკავშირები:

- „კომპანია - ადამიანი“. ადამიანი კომპანიაში ასრულებს ისეთ ქმედებას, რომლის მეშვეობით ცოდნა პროდუქტებსა და მომსახურებაში ნივთდება ანუ ადამიანები ცოდნის გამოყენებით ახალ ღირებულებას ქმნიან. ადამიანთა არსებული ცოდნა და მათი ახალი ცოდნის შექმნის უნარი, განსაზღვრავს კომპანიაში მიმდინარე პროცესების დონეს და კონკურენტულ ბრძოლაში მის შესაძლებლობას;

- „კომპანია - ინფორმაცია“. კომპანიაში არსებული ინფორმაცია და ფორმალიზებული ცოდნა, ასევე თვით ადამიანი, განსაზღვრავს კომპანიაში მიმდინარე პროცესების დონეს (ხარისხს) და კონკურენტულ ბრძოლაში მის უპირატესობას.

კომპანიასა და ცოდნის მართვის სხვა კომპონენტებთან კავშირის მხარდაჭერის მთავარი კომპონენტი **საქმიანობის ორგანიზაცია**. მასში იგულისხმება კომპანიაში მიმდინარე პროცესები, ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამშრომელთა ფუნქციური ვალდებულებები.

შემოდგენილი ტრადიციის კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ახლა უკვე მარტივია, ჩამოვყავილით ცოდნის მართვის ამოცანები (იხილეთ ცხრ. 1)¹.

ცხრ. 1. ცოდნის მართვის ამოცანები და განზოგადებული ციკლი

ცოდნის ანალიზი და დიაგნოსტიკა	ცოდნის მიღება	ცოდნის მართვის სასიცოცხლო ციკლი	ცოდნის გამოყენება
ამოცანები			
ფორმალიზებული და არაფორმალიზებული ცოდნის იდენტიფიკაცია	საჭირო ინფორმაციის მოძიების ხელშეწყობა	ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის მოტივაცია	ინოვაციების წახალისება
კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება	თანამშრომლების სწავლება	ცოდნის გაცვლის შემამსუხუქებელი სტრუქტურების შექმნა	გუნდური მუშაობის განვითარება
კომპანიის სტრატეგიებისა და პროცესების შესასრულებლად ცოდნის მოთხოვნების განსაზღვრა	ფასეულობათა განვითარება	ცოდნის გაცვლისათვის ნდობის ატმოსფეროს შექმნა	ექსპერიმენტების ჩასატარებლად სათანადო პირობების შექმნა
კომპანიის ცოდნის მართვის სისტემის დაგეგმვა	ცოდნის ავტომატიზებული შექმნა	ცოდნის სტრუქტურირება	მონაცემთა ზაზების შექმნა
ინფორმაციის მოთხოვნების განსაზღვრა	ცოდნის გამოვლენა	საჭირო ფორმაში ცოდნის წარდგენა	სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერის სისტემის შექმნა
ცოდნის გამოყენების მოთხოვნების ანალიზი	ცოდნის შექმნა	ცოდნის გავრცელება	მომველებული ცოდნის განადგურება
კომპანიის პოზიცია	ადამიანის პოზიცია	ინფორმაციის პოზიცია	

¹ „კომპანიის პოზიცია“ - კომპანიაში სტრატეგიული დაგეგმვის (განვითარების) კომპეტენციების სფერო; „ადამიანის პოზიცია“ - ცოდნის მართვის განყოფილების მუშაკთა კომპეტენციების სფერო; „ინფორმაციის პოზიცია“ - საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაკთა კომპეტენციების სფერო.

Guram Jolia
Dali Sekhniashvili

aims to determine the optimal relationship between the company's success in a competitive market basis.

KNOWLEDGE MANAGEMENT TASKS

Competition is relatively successful companies realized the importance of knowledge management and special units were created, whose knowledge of the Information processing. However, difficulties in knowledge management and skilled workers in an effort to clearly define the objectives of the priority areas concentrate to creative direction.

The article deals with the issues of what should be done or what tasks need to be solved in the field of knowledge management. The other components of the knowledge management with the support of the main components of the organization's activities. It is understood the company processes, organizational structure, functional responsibilities and employees.

The objectives of knowledge management is difficult to define. At the same time, it may be working with a different intensity. One thing is clear - Knowledge Management

ლიტერატურა:

1. Нонака И., Такеучи Х., Компания – создатель знаний. «Олимп-Бизнес. М., 2003.
2. David Pariby, Knowledge Management Research Report KPMG Consulting: <http://www.kpmg.co.uk/>
3. Букович У., Уильямс Р. Управление знаниями: руководство к действию. –М., 2002.
4. Гаврилова Т., Хорошевский В. Базы знаний интеллектуальных систем. – СПб: Питер. 2000.
5. Гаврилова Т., Григорьев Л., Бизнес держится на знаниях, сам того не зная // Ж. «Персонал-Микс», N2, 2004.- с.107-112.
6. Поиск знаний – основа управления знаниями. Весть-Мета технология, [www.vest.msk.ru/tech/knowledge/ Knowledge-Management-Rus.pdf](http://www.vest.msk.ru/tech/knowledge/Knowledge-Management-Rus.pdf).
7. Karl Wiig, Robert de Hoog, Rob van der Spek Supporting knowledge management: a selection of methods and techniques. 2002.

ფირმის საქმიანობის წინასწარი შეფასების მრავალკრიტერიუმული მქსპერტული მეთოდი, არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის და MATLAB-ის ბაზაზე

სულხან ხუციშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნინო მჭედლიშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
გიორგი ამილახვარი, სტუ-ს დოქტორანტი



დღევანდელი ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს დიდი რაოდენობით სამეწარმეო იდეების არსებობა და შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის დაუბრკოლებლად დაწყების შესაძლებლობა. თუმცა ერთი შეხედვით მისაღები ბიზნეს-გეგმა და შესაბამისი მცირე თუ საშუალო სიდიდის ფირმის დაფუძნება, სულაც არ არის საქმიანობის სწორად დაწყების და წარმართვის გარანტია. განსაკუთრებით ბევრი სირთულე ახლავს საქმიანობის დაწყებამდე ეტაპს (წინასწარ ეტაპს), როცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი სახის რისკი და გაურკვევლობა. ამ დროს შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელოვანია ქონდეს ფირმის მდგომარეობის მრავალმხრივ, ზოგად ანალიზს და შეფასებას რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საშუალებით (ექსპრეს – ანალიზი).

უნდა აღინიშნოს, რომ ფირმის მდგომარეობის შეფასება საქმიანობის დაწყებამდე არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე შემდგომი სრული, ფუნდამენტური ანალიზი.

ამ ეტაპის მიზანი უნდა იყოს რაციონალურად დაასაბუთოს ფირმის ზოგადი მდგომარეობა და გაკეთდეს პროგნოზი, განვითარების ახალი პერსპექტივების შესახებ, გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის სამოქმედო რეკომენდაციების ფორმირების მიზნით.

აღნიშნული ანალიზური შეფასების ჩატარება შეუძლებელია ერთი მაჩვენებლის მიხედვით, ეს გადაწყვეტილებები უნდა დაფუძნდეს მრავალ მაჩვენებელს, მრავალკრიტერიუმულ შეფასებას, ანუ ეკონომიკური ერთეულის ექსპრეს-ანალიზი უნდა ჩატარდეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე.

მრავალკრიტერიუმული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ნაშრომში შემოთავაზებულია არამკაფიო სიმრავლეთა მეთოდი [2, 4]. მას საკმაოდ გამოკვეთილი უპირატესობები გააჩნია შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით: პირველ რიგში მეთოდი საშუალებას გვაძლევს ერთ ჭრილში განვიხილოთ და გამოვიყენოთ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლები. მეორეს მხრივ საწყისი პარამეტრების პროგნოზის დროს გადაწყვეტილებების მიმღები პირისგან მოითხოვება არა ზუსტი ალბათური შეფასებები, არამედ საკმარისია საპროგნოზო პარამეტრების მნიშვნელობების შესახებ საანგარიშო დიაპაზონის დაფიქსირება.

ეკონომიკური ერთეულის საქმიანობის ნებისმიერი სახის ანალიზი და მათ შორის ექსპრეს-ანალიზიც თავისი ფორმით მაჩვენებელთა სისტემის, მახასიათებლების ანალიზს წარმოადგენს. მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ ეკონომიკურ სუბიექტს ან მოვლენას, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული სიდიდეების

ერთობლიობას. ყოველი კუთხით ასახავს მოცემული სუბიექტის მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებს. მაჩვენებელთა სისტემის კლასიფიკაცია მრავალი ნიშნით არის შესაძლებელი. თავისი შინაარსის მიხედვით მაჩვენებელთა სისტემა იყოფა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებად. ხარისხობრივი მაჩვენებლები განსაზღვრავენ შესასწავლი ობიექტების არსებით თავისებურებებს და თვისებებს, რაოდენობრივი მაჩვენებლები კი განსხვავებული განზომილების რიცხვითი მახასიათებლებია.

არსებობს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ფართო ჩამონათვალი. მაგალითად, [1,3]–ში განხილულია შემდეგი სახის ხარისხობრივი მაჩვენებლები: მიზნობრივი (რომელთა შემადგენლობაც განისაზღვრება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციებით); გარე და ეკოლოგიური (მოიცავს სამართლებრივ-საკანონმდებლო უზრუნველყოფას და ეკონომიკური ერთეულის „დამოკიდებულებას“ ეკოლოგიასთან); სამეცნიერო ტექნიკური, ტექნოლოგიური (ახასიათებს სამრეწველო ფირმებში ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მდგომარეობას და თანამედროვეობას); საბაზრო და ა.შ.

შეფასების მაჩვენებელთა სისტემა იმით განსხვავდება მაჩვენებელთა ჩვეულებრივი ნაკრებისგან, რომ მას აუცილებლად გააჩნია რაღაც „მორგანიზებული“ საწყისი, რომელიც განაპირობებს ცალკეული მაჩვენებლის ფორმირებას და შემდეგ მათ გაერთიანებას ერთ მთლიანად, შესაბამისი კავშირებით.

ნაშრომში მაჩვენებელთა სისტემის ფორმირებისთვის ასეთ საწყისად შემოთავაზებულია ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის ბიზნეს-გეგმა და მასში არსებული ძირითადი მონაცემები, ის აუცილებელი მახასიათებლები, რომლებიც ბიზნეს-გეგმის შემადგენელი განყოფილებების და მთლიანი ბიზნეს-გეგმის სრულყოფისთვის არის განმსაზღვრელი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ნაშრომში წარმოდგენილია შეფასების ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდეგი სისტემა:

1. ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე: ძირითადი მიზნების რეალიზაციას განაპირობებს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხოლო მისი ეფექტურ და ხარისხობრივ რეალიზაციას უზრუნველყოფს ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლები, მათი თანამედროვეობა.
2. ფირმის ეკონომიკური პოტენციალის მდგომარეობა: ეკონომიკური სუბიექტის თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ძირითადი საშუალებების არსებობა და მათი თავისუფალი გამოყენების შესაძლებლობა განსაზღვრავს რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებსაც და ეკონომიკური პოტენციალის მისაღებ მდგომარეობასაც.
3. ფინანსური მდგომარეობა: ფინანსური ანალიზი ნებისმიერი ბიზნეს-გეგმის ძირითადი

შემადგენელია. აქ გამოყენებული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშების მონაცემები, რათა განისაზღვროს ფინანსური მდგარობის არსებული დონე და გაუმჯობესების შესაძლებლობები. 4. მარკეტინგული საქმიანობის დონე: პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლები, გასაღების ბაზრების შესახებ მონაცემების, სარეკლამო საქმიანობის ხარისხის და სხვა მონაცემების დამუშავებით ღებინება მარკეტინგული საქმიანობის დონე და ფირმის შიდა სისუსტეები. 5. ფირმის საქმიანობის ეფექტურობის პირობები: საინვესტიციო მიმზიდველობის დონე, თვითგამოსყიდვის უნარი და ვადები, ფინანსური დაბანდები გარკვეულწილად განსაზღვრავენ ეფექტურობის ზოგად დონეს. 6. რისკების დონე: ეკონომიკური საქმიანობის რისკები ბევრნაირია, მათი კვლევა უნდა მოხდეს დასახული მიზნების შესაბამისად. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე აქ ორგანიზაციულ და ეკოლოგიურ რისკებზე შეიძლება გამაზვილდეს ყურადღება.

უნდა ავლენონ, რომ ნებისმიერი ეკონომიკური ერთეულის საქმიანობა მიმდინარეობს რისკის და ბევრი განუსაზღვრელობის პირობებში, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რისკების ხარისხობრივი შეფასების პარალელურად მოვახდინოთ რისკების რაოდენობრივი შეფასებაც, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

მაჩვენებელთა სისტემის მოცემული ჩამონათვალი არ არის უნივერსალური და კონკრეტულ ეკონომიკურ სუბიექტთან მიმართებაში ის შესაძლებელია შეიცვალოს როგორც რაოდენობრივად ასევე შინაარსით, თუმცა მიგვაჩნია, რომ „მორგანიზებული საწყისი“ – ბიზნეს-გეგმა და მისი მონაცემები არ უნდა შეიცვალოს.

ცხრ. 1 შეფასების სკალა არამკაფიო რიცხვების გათვალისწინებით

	ძალიან დაბალი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ძალიან მაღალი
არა მკაფიო შეფასება	(0;0;0.1;0.3;0.5)	(0.1;0.3;0.3;0.5)	(0.3;0.5;0.5;0.7;	(0.5;0.7;0.7;0.9;)	(0.7;0.9;1;1;)

ექსპერტები შეფასების შედეგებს აფიქსირებენ ანკეტებში, სადაც შესაფასებელ კითხვას მისადაგებული აქვს არარიცხვითი შეფასება ყოველი კითხვის გასწვრივ (იხ. ცხრილი 2).

რადგანაც შეფასებაში მონაწილეობს ბევრი ექსპერტი, აუცილებელია თითოეული მათგანის აზრის გათვალისწინება, ამიტომ უნდა განისაზღვროს თითოეული მაჩვენებლის შესაბამისი არამკაფიო რიცხვის საშუალო არითმეტიკული შეფასება.

შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მე-7 და მე-8 ცხრილში 2), თუმცა აუცილებელია ანკეტის შემავსებელ ექსპერტს მიეთითოს რაოდენობრივი მაჩვენებლის მნიშვნელობა რიცხვითი შუალედის სახით. ეს ალბათ უნდა შეასრულონ ფუნქციურმა სამსახურებმა.

ფირმის მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეფასების დროს წინასწარი შეფასების ეტაპზე, აუცილებელი ხდება მიღებული შეფასებების ნაკრების მიყვანა საბოლოო, ინტეგრალურ შეფასებამდე. ამისთვის მიზანშეწონილია შესრულდეს შემდეგი თანმიმდევრული მოქმედებები: 1. შეფასების სკალის ფორმირება; 2. თითოეული მაჩვენებლის შეფასება არამკაფიო რიცხვებით; 3. რაოდენობრივი მაჩვენებლების ნორმირება (თუ ხდება შეფასება მათი საშუალებით); 4. შეთანხმებულობის დადგენა

ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება მიზანშეწონილია განხორციელოს კვალიფიციური ექსპერტების ჯგუფმა, პრაქტიკულად გამართლებულია თუ ასეთ ჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ ფირმის კვალიფიციური თანამშრომლები სხვადასხვა ფუნქციური რგოლებიდან. ექსპერტთა ჯგუფში უნდა შედიოდეს არანაკლებ 10 ექსპერტი (ჩავთვალოთ, რომ ხელმძღვანელობისთვის ყველა ექსპერტი არის ერთნაირი რეიტინგის მქონე). ფირმის ხარისხობრივი შეფასებისთვის ავირჩიოთ ბაზური მაჩვენებლების სისტემა. ანუ ავირჩიოთ ლინგვისტური ცვლადი „მაჩვენებლის დონე“ ხუთი არამკაფიო ქვესიმრავლით. B1. არამკაფიო ქვესიმრავლე – „მაჩვენებლის ძალიან დაბალი დონე“. B2. არამკაფიო ქვესიმრავლე – „მაჩვენებლის დაბალი დონე“. B3. არამკაფიო ქვესიმრავლე – „მაჩვენებლის საშუალო დონე“. B4. არამკაფიო ქვესიმრავლე – „მაჩვენებლის მაღალი დონე“. B5. არამკაფიო ქვესიმრავლე – „მაჩვენებლის ძალიან მაღალი დონე“.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა ქულებით შეფასების მაგივრად შემოვიღოთ რიცხობრივი სკალა. ამისთვის გამოვიყენოთ არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის შესაძლებლობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ყოველ აღწერილ შეფასებას მივუსადაგოთ ტრაპეციის მაგვარი არამკაფიო რიცხვი [0,1] შუალედში (იხ. ცხრილი 1). ეს რიცხვები ჩავთვალოთ მახასიათებლის არამკაფიო შეფასებად. ე.ი ხარისხობრივი მაჩვენებლის შეფასების შედეგი წარმოადგენს არამკაფიო რიცხვს, რომელიც მდებარეობს 0-ს და 1-ს შორის.

ექსპერტთა შორის; 5. ყოველი მაჩვენებლისთვის შესაბამისი წონის დადგენა; 6. არამკაფიო შეფასებების აგრეგირება მოცემული წონების საშუალებით; 7. ორგანიზაციის მდგომარეობის საბოლოო შეფასების გამოთვლა.

შეფასების მაჩვენებლებისთვის წონების დათვლა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან და შინაარსობრივ ეტაპს. ამ დროს ექსპერტმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი მაჩვენებელია უფრო მნიშვნელოვანი (პრიორიტეტული), სხვა მაჩვენებლებთან შედარებით, რაც განსაზღვრავს კიდევ შედეგის საბოლოო სახეს.

შეფასების მაჩვენებლებისთვის წონების დადგენის განსხვავებული მეთოდები არსებობს [1, 2], მათ შორის სტანდარტულ მეთოდებს წარმოადგენს ანალიტიკური იერარქიის პროცესი, რომელიც შემოთავაზებული იყო საატის მიერ [4].

ნაშრომში გამოყენებულია შეფასების მაჩვენებლების რანგების დათვლის მეთოდი, რომელიც [2]-შია დამუშავებული. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება მაჩვენებლების ჯამური რანგების შედარების შედეგებს. ჯამური რანგები გამოიყენება ექსპერტთა შეთანხმებულობის დონის დასადგენ კონკორდაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში და თუ ექსპერტების შეთანხმებულობა დამაკმაყოფილებელია, მაშინ მისაღები იქნება წონების დათვლის ასეთი წესიც.

ექსპერტული შეფასების შეთანხმებულობის დონეს, რომელიც მიღებულია ყველა ექსპერტის მიერ, შემადგენლის

მაცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგია

ცხრილი 2. ფირმის ექსპერტული შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის მახასიათებელი ძირითადი კითხვები	0;0;0,1;0,3	0,1;0,3;0,3;0,5	0,3;0,5;0,5;0,7;	0,5;0,7;0,7;0,9	0,7;0,9;1;1;
1.ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე	მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა					
	ტექნიკური და ენერგეტიკული					
	აღჭურვილობა მექანიზაციის და ავტომატიზაციის ხარისხი					
	ტექნოლოგიური პროცესების პროგრესულობა					
2. ეკონომიკური პოტენციალის მდგომარეობა	თანამშრომელთა რაოდენობა და კვალიფიკაციის დონე					
	ძირითადი და დამხმარე საშუალებები					
	ძირითადი საშუალებების თავისუფალი გამოყენების ხარისხი					
	პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლების დონე					
3. ფინანსური მდგრადობა	საკუთარი საბრუნავი კაპიტალის დონე					
	საკუთარი კაპიტალის შესაბამისობა ბალანსის ვალუტასთან					
	აქტივების შესაბამისობა საწესდებო კაპიტალთან					
	გრძელვადიანი ვალდებულებები					
4. მარკეტინგული საქმიანობის დონე	გასაღების ბაზრები, მომხმარებელი					
	პროდუქციის კონკურენტუნარიანობა					
	მოთხოვნის დონე (საბაზრო)					
	სარეკლამო საქმიანობა					
5. ორგანიზაციის ეფექტურობის პირობები	საინვესტიციო მიმზიდველობის დონე					
	აქტივების რენტაბელობა					
	საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის უნარი					
	მოკლევადიანი ფინანსური დაბანდები					
6. რისკის დონე	გაუმართლებლად რთული ორგანიზაციული სტრუქტურა					
	კონკურენციის დონე ბაზარზე					
	მესაკუთრეების მიერ ხელმძღვანელობის კონტროლი					
	ეკოლოგიური მდგომარეობა					
7. წარმოების საპროგნოზო მოცულობა						
8. ერთეულის გვერდითი თვითღირებულება						

შეფასების შემდეგ, ახასიათებენ შეთანხმებულობის კოეფიციენტით (კონკორდაციის კოეფიციენტი) W . რაც მეტია W მით უფრო მეტად შეთანხმებულად (საიმედოდ) ითვლება შეფასებები.

$$W = \frac{12 \cdot \sum_{i=1}^n \Delta R_i^2}{[m^2 (n^3 - n) - m \sum_{j=1}^m T_j]} \quad \Delta R_i = R_i - \bar{R} \quad (3)$$

სადაც R_i არის რანგების ჯამი i -რი მაჩვენებლებისთვის, მინიჭებული ყველა ექსპერტის მიერ; j - ნომერი შეესაბამება j -რ ექსპერტს $j=1, \dots, m$; m - ექსპერტის რაოდენობა; i - შეესაბამება მაჩვენებლების ნომერს; $i=1, 2, \dots, n$; n - შეფასების მაჩვენებლების რაოდენობა; \bar{R} - რანგების ჯამების საშუალო მნიშვნელობა; T_j - განიხილება მაშინ, როცა რომელიმე ექსპერტს აქვს თანხვედნილი შეფასებები.

ჩვეულებრივად შეთანხმებულობის დონე ითვლება

დამაკმაყოფილებლად თუ $W > 0,5$ და კარგია, როცა $W > 0,7$.

თუ შეთანხმებულობის დონე ექსპერტებს შორის დაბალია, მაშინ უნდა დადგინდეს აზრთა განსხვავებულობის მიზეზი. შედეგები უნდა ეცნობოს ექსპერტული კომისიის ყველა წევრს, ამის შემდეგ უნდა მოხდეს მაჩვენებლების ხელახალი გამოკვლევა და შეიცვალოს მათი შეფასებები.

ამ ეტაპზე შესაძლებელია გამოყენებული იქნას „დელოფიდ“ მეთოდი.

შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომელთაც აქვთ, განსხვავებული განზომილების ერთეული. ამიტომ აუცილებელია მათი გადაყვანა განზომილების არ მქონე რიცხვებში. ასეთი ნორმირების მიზანია რაოდენობრივი მაჩვენებლის წარმოდგენა არამკაფიო რიცხვის სახით, რომელიც მოთავსებული იქნება $[0,1]$ შუალედში. რაოდენობრივი მაჩვენებლების ნორმირება

საშუალებას მოგვცემს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღებული არამკაფიო შეფასებები მივიყვანოთ ერთ ინტეგრალურ შეფასებად.

თუ მაჩვენებლის უკეთესი მნიშვნელობა არის მაქსიმალური სიდიდე, მაშინ ნორმირებას ვახდენთ შემდეგი წესით: რიცხვით დიაპაზონში მოცემულ რიცხვის ყოველ შემადგენელს ვყოფთ მათ შორის მაქსიმალურზე. ასეთ მაჩვენებლად ჩვენს შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დასაშუალებელი პროდუქციის წარმოების საპროგნოზო მოცულობა.

თუ $B = (b_1, b_2, b_3, b_4)$ არის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლის არამკაფიო მნიშვნელობა, რომლის უკეთესი მნიშვნელობა არის მაქსიმალური სიდიდე, მაშინ ნორმირების შემდეგ შეფასების მაჩვენებელს ექნება სახე:

$$\bar{B} = \left(\frac{b_1}{b_{max}}; \frac{b_2}{b_{max}}; \frac{b_3}{b_{max}}; \frac{b_4}{b_{max}} \right)$$

სადაც $b_{max} = \max(b_1, b_2, b_3, b_4)$.

თუ მაჩვენებლის უკეთესი მნიშვნელობა არის მისი მინიმალური სიდიდე, მაშინ მას ვყოფთ არამკაფიო რიცხვის ყოველ შემადგენელზე. შეფასების მაჩვენებელი შეიძლება იყოს პროდუქციის ერთეულის გეგმიური თვითღირებულება.

თუ $B = (b_1, b_2, b_3, b_4)$ არის რაოდენობრივი მაჩვენებლის არამკაფიო მნიშვნელობა, რომლის მინიმალური სიდიდეც ითვლება უფრო უკეთესად. მაშინ ნორმირების შემდეგ შეფასების მაჩვენებელი იქნება

$$\bar{B} = \left(\frac{b_{min}}{b_{max}}; \frac{b_{min}}{b_2}; \frac{b_{min}}{b_3}; \frac{b_{min}}{b_4} \right);$$

სადაც $b_{min} = \min(b_1, b_2, b_3, b_4)$.

რაოდენობრივი მაჩვენებლების ფორმირებული არამკაფიო რიცხვები $(b_1^k, b_2^k, b_3^k, b_4^k)$ აკმაყოფილებენ ცხად უტოლობებს:

$$0 \leq (b_1^k, b_2^k, b_3^k, b_4^k) \leq 1$$

სადაც k - არის რაოდენობრივი მაჩვენებლების რიცხვი.

ვთქვათ კვლევის ობიექტის პარამეტრების შეფასება ხდება, არამკაფიო რიცხვებით X_1, X_2, \dots, X_n და მაჩვენებლების შესაბამისი წონებია $\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_n$ სადაც $\alpha_i \geq 0$ და

$$\sum_{i=1}^n \alpha_i = 1$$

მაშინ, ობიექტის ინტეგრალური შეფასება ტოლი იქნება $X = \sum_{i=1}^n \alpha_i X_i$. თუ მაჩვენებლების მნიშვნელობები იქნება ტრაპეციის მაგვარი არამკაფიო რიცხვები

$$X_i = (x_{i1}, x_{i2}, x_{i3}, x_{i4}), \quad i = 1, 2, \dots, n, \text{ მაშინ}$$

$$X = (\sum_{i=1}^n \alpha_i x_{i1}; \sum_{i=1}^n \alpha_i x_{i2}; \sum_{i=1}^n \alpha_i x_{i3}; \sum_{i=1}^n \alpha_i x_{i4})$$

როგორც ვხედავთ არამკაფიო რიცხვთა მეთოდი საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ მაჩვენებელთა მნიშვნელობების არაცხადი ფორმა, რაც ნიშნავს იმას, რომ მაჩვენებელთა ზუსტი გეგმიური მნიშვნელობების დადგენა შეუძლებელია.

აქ თავისთავად ისმის ძირითადი კითხვა: როგორ დავუკავშიროთ მიღებული ინტეგრალური არამკაფიო რიცხვი, ფირმის „შესაფასებელი მდგომარეობის“ დონეს? ვფიქრობთ შესაძლებელია ორი მიმართულებით გაგრძელდეს საკითხის

კვლევა.

პირველი შედარებით მარტივი და უფრო ზოგადია, კერძოდ: იმის შემდეგ რაც კვლევის ობიექტისთვის მივიღებთ ინტეგრალურ არამკაფიო შეფასებას, შესაძლებელი არის მისი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობის (რიცხვითი შეფასების) გამოთვლა. არსებობს რამდენიმე განსხვავებული მეთოდი [4]. მაგალითად: ჩიუ-პარკის მეთოდი, ჩანგის მეთოდი, კაუფტმან-გუფტის მეთოდი ა.შ.

ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ჩანგის მეთოდი, რომელიც მარტივია გამოსაყენებლად და გამოსათვლელად. თუ $X = (x_1, x_2, x_3, x_4)$ არის ინტეგრალური არამკაფიო შეფასება, მაშინ ფორმულა

$$ch(x) = \frac{x_3^2 + x_3 \cdot x_4 + x_4^2 - x_1^2 - x_1 \cdot x_2 - x_2^2}{6}; \quad (2)$$

გვაძლევს შესაბამის „მკაფიო“ ნამდვილ რიცხვს. შედარებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ჩიუ-პარკის მეთოდიც, რომელსაც აქვს სახე:

$$Cp(A) = \frac{x_1 + x_2 + x_3 + x_4}{4} + k \cdot \frac{x_2 + x_3}{2}; \quad (3)$$

(3) ფორმულაში ხდება k პარამეტრის დაფიქსირება და ითვლება არამკაფიო რიცხვის შესაბამისი ნამდვილი რიცხვი [4].

რადგანაც ინტეგრალური არამკაფიო რიცხვი აუცილებლად ხდება (0;1) შუალედში, ხოლო არამკაფიო რიცხვი (0.7; 0.9; 1; 1) შეესაბამება შეფასებას „ძალიან მაღალი დონე“ („რეალური ორიენტირი“) ცხრილში 1. ამიტომ შეიძლება მისი მიყვანა ფორმულით (2) – მკაფიო რიცხვად (ის 0.195-ის ტოლია). ამის შემდეგ შეიძლება პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას – რაც უფრო ახლოს იქნება ინტეგრალური შეფასების შესაბამისი რიცხვი „რეალურ ორიენტირთან“, მით მაღალი იქნება ფირმის შესაფასებელი მდგომარეობა.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ის შემდეგში მდგომარეობს:

ნაშრომში [5] მოცემული სქემის მიხედვით ავავით ახალი კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც შეაფასებს ფირმის საბოლოო მდგომარეობას. სქემა შემდეგია:

1. ფირმის მდგომარეობის ძირითადი A სიმრავლე იყოფა ხუთ გადამკვეთ არამკაფიო სიმრავლედ, ესენია:

$A1$ – მდგომარეობის ამსახველი არამკაფიო ქვესიმრავლე „უკიდურესი უიმედობა“; $A2$ – მდგომარეობის არამკაფიო ქვესიმრავლე „უიმედობა“; $A3$ – მდგომარეობის არამკაფიო ქვესიმრავლე „საშუალო დონე“; $A4$ – მდგომარეობის არამკაფიო ქვესიმრავლე „შედარებითი საიმედოობა“; $A5$ – მდგომარეობის არამკაფიო ქვესიმრავლე „უმაღლესი საიმედოობა“.

ასე რომ, ლინგვისტური ცვლადის „ფირმის მდგომარეობა“ შედგება ხუთი კომპონენტისგან. ყოველ ქვესიმრავლეს $A1, \dots, A5$ შეესაბამება, თავისი მიკუთვნების ფუნქცია $M1(NS) \dots M5(NS)$, სადაც NS – არის ფირმის მდგომარეობის კომპლექსური (ინტეგრალური) მაჩვენებელი.

ფირმის მდგომარეობის შესაფასებელი წესი მოცემულია ცხრილში 3. ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი კვლავ ერთვება საქმეში. ისინი ადარებენ ინტეგრალურ არამკაფიო შეფასებას – NS მოცემულ ცხრილს, ანალიზებენ შედარების შედეგს და აკეთებენ დასკვნას ფირმის მდგომარეობის შესახებ. ზოგადად, რაც უფრო მაღალია NS , მით უფრო „საიმედოა“ ფირმის მდგომარეობა.

ცხრილი 3. ფირმის მდგომარეობის შეცნობის წესი

მნიშვნელობის ინტერვალი	პარამეტრის დონის კლასიფიკაცია	მიკუთვნების ფუნქცია
$0 < NS < 0,15$	„უკიდურესი უიმედობა“	1
$0,15 < NS < 0,25$	„უკიდურესი უიმედობა“	$M1 = 10(0,25 - NS)$
	„უიმედო“	$1 - M1 = M2$
$0,25 < NS < 0,35$	„უიმედო“	1
$0,35 < NS < 0,45$	„უიმედო“	$M2 = 10(0,45 - NS)$
	„საშუალო დონე“	$1 - M2 = M3$
$0,45 < NS < 0,55$	„საშუალო დონე“	1
$0,55 < NS < 0,65$	„საშუალო დონე“	$M3 = 10(0,65 - NS)$
	„შედარებით საიმედო“	$1 - M3 = M4$
$0,65 < NS < 0,75$	„შედარებით საიმედო“	1
$0,75 < NS < 0,85$	„შედარებით საიმედო“	$M4 = 10(0,85 - NS)$
	„უმაღლესი საიმედო“	$1 - M4 = M5$
$0,85 < NS < 1,0$	„უმაღლესი საიმედო“	1

არამკაფიო სიმრავლეთა თეორია საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეაფასოთ შესაფასებელი ობიექტის რისკის სიდიდე – ვგულისხმობთ საშუალო კვადრატული გადახრის σ -ს განსაზღვრას. ტრაპეციის მაგვარ არამკაფიო რიცხვთან $X = (x_1, x_2, x_3, x_4)$ შეიძლება დავაკავშიროთ ორი რიცხვითი მახასიათებელი საშუალო მნიშვნელობა $E(X)$ და დისპერსია $Var(x)$ – რომლებიც გამოითვლება ფორმულებით:

$$E(X) = \frac{x_1 + 2x_2 + 2x_3 + a_4}{6}; \quad (4)$$

$$Var(X) = \frac{(x_4 - x_1)^2 + 2(x_4 - x_1)(x_3 - x_2) + 3(x_3 - x_2)^2}{24}; \quad (5)$$

რის შემდეგაც $\sigma = \frac{\sqrt{Var(X)}}{E(X)}$ (6)

უნდა ავლნიშნოთ, რომ მოცემულ ფორმულებს ადგილი აქვს მაშინ, თუ მიკუთვნების ფუნქცია არის ალბათური განაწილების სიმკვრივე (არანორმირებული) და განვიხილავთ შესაბამისი შემთხვევითი სიდიდის მათემატიკურ ლოდინს და დისპერსიას.

განვიხილოთ მოცემული მეთოდის კონკრეტულ მაგალითზე. დავუშვათ, რომ საჭიროა რომელიმე სამრეწველო ფირმის ზოგადი ანალიზის ჩატარება, ანუ „ექსპრეს-შეფასება“. შეფასებას ატარებს 10 კვალიფიციური ექსპერტი (მათი რეიტინგები პირობითად ერთნაირია). პირველ ეტაპზე ექსპერტული ჯგუფის ყოველი წევრი თავის მოსაზრებას გამოთქვამს მაჩვენებელთა სისტემაში, მაჩვენებლების პრიორიტეტის შესახებ, ეი ანიჭებს თითოეულ მაჩვენებლებს რანგს (ადგილი ჩამონათვალში აღნიშნავს მაჩვენებლის რანგს) (ცხრილი 4).

ცხრილი 4. მაჩვენებელთა სისტემის რანგების განაწილება ექსპერტთა ჯგუფის მიერ

მაჩვენებლები	ექსპერტების მიერ მაჩვენებლების რანჟირება										R _i
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1. ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე	1	2	1	3	2	3	1	3	2	2	20
2. ფირმის ეკონომიკური პოტენციალი	5	7	2	2	4	1	2	5	4	3	35
3. ფირმის ფინანსური მდგომარეობა	2	1	3	1	1	2	4	1	1	1	17
4. ფირმის მარკეტინგული საქმიანობა	6	5	4	4	5	5	3	2	3	5	43
5. ფირმის ეფექტურობის პირობები	3	4	6	5	7	6	7	4	3	6	51
6. რისკის დონე	4	3	5	6	3	4	5	6	5	4	45
7. წარმოების მოცულობა	8	8	7	7	8	8	8	7	8	8	77
8. ერთეულის გეგმიური თვითღირებულება	7	6	8	8	6	7	6	8	7	7	70

შემდეგ ეტაპზე ყოველი ექსპერტი ავსებს ბლანკს, რომელიც ცხრილი 2-ის სახითაა წარმოდგენილი. ექსპერტების მიერ მიღებული ინფორმაცია თავს იყრის ერთ განაწილებულ ბლანკზე. შეფასების პირველი ხარისხობრივი

მაჩვენებლისთვის ბლანკის ფორმა მოცემულია ცხრილში 5. ანალოგიურად ხდება დანარჩენი ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებაც.

ცხრილი 5. ხარისხობრივი მაჩვენებლის – ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე, ექსპერტული შეფასება

მაჩვენებლის დასახელება	ძირითადი კითხვები რომლითაც ვახასიათებთ მაჩვენებელს	პირველი მაჩვენებლის არამკაფიო შეფასება				
		0; 0; 0,1;0,3	0,1;0,3; 0,3; 0,5	0,3;0,3; 0,5; 0,7	0,5;0,7; 0,7;0,9	0,7;0,9; 1; 1;
ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე	მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა			XXX	XXXX	XXX
	ტექნიკური და ენერგეტიკული აღჭურვილობა			XXXX	XXXX	XX
	მექანიზაციის და ავტომატიზაციის ხარისხი			XXXX	XXX	XXX
	ტექნიკური პროცესების პროგრესულობა			XXXX	XXXX	XXX
	მაჩვენებლის ჯამური არამკაფიო შეფასება	(0,475; 0,678; 0,7; 0,9)				

კომპიუტერული პროგრამა MATLAB-ის ბაზაზე შეიქმნა პროგრამული პროდუქტი, რომელიც ცხრილი 4-ის მონაცემების გამოყენებით ადგენს ექსპერტთა შეთანხმებულობის დონეს – ითვლის კონკორდაციის კოეფიციენტს W – მე-(2) ფორმულით.

$$W = \frac{12 \cdot \sum_{i=1}^n \Delta R_i^2}{[m^2 (n^3 - n) - m \sum_{j=1}^m T_j]} = 0,763$$

ხოლო შემდეგ ახდენს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების რანჟირებას {2}-ში მოცემული წესით (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6. მაჩვენებელთა რანჟირება განხილული ამოცანისთვის

შეფასების მაჩვენებელი	რანჟი
1. ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე	0.22
2. ფირმის ეკონომიკური პოტენციალი	0.12
3. ფირმის ფინანსური მდგომარეობა	0.26
4. ფირმის მარკეტინგული საქმიანობა	0.1
5. ფირმის ეფექტურობის პირობები	0.09
6. რისკის დონე	0.1
7. პროდუქციის წარმოების მოცულობა	0.06
8. ერთეულის გეგმიური თვითღირებულება	0.06

შემდეგ ეტაპზე პროგრამა ყოველი ხარისხობრივი მაჩვენებლისთვის (ცხრილი 5), ითვლის ჯამურ არამკაფიო შეფასებას მეთოდის მიხედვით აღწერილი წესით. აქ დაფიქსირებულია ის ფაქტი, რომ ყველა ექსპერტის აზრის გასათვალისწინებლად უნდა მოხდეს ჯამური არამკაფიო მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის მოძებნა. ასევე მეთოდის მიხედვით აღწერილი წესით არის მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლების არამკაფიო შეფასებები. გამოთვლების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 7.

ცხრილი 6. და ცხრილი 7–ს მონაცემებით ითვლება შეფასების ინტეგრალური მაჩვენებელი. ის მიიღება მაჩვენებელთა წონების და არამკაფიო ჯამური შეფასებების წრფივი კომბინაციის გამოყენებით. თუ ინტეგრალურ არამკაფიო რიცხვს ავლნიშნავთ NS-ით, მაშინ ჩვენ შეძლებთ შემთხვევისთვის

NS= (0,503; 0,701; 0,735; 0,883);
 მისი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა ფორმულა (2)-დან იქნება

$$ch(x) = \frac{x_3^2 + x_3 \cdot x_4 + x_4^2 - x_1^2 - x_1 \cdot x_2 - x_2^2}{6} = 0,146;$$

ცხრილი 7. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ჯამური არამკაფიო შეფასება.

შეფასების მაჩვენებელი	ჯამური არამკაფიო შეფასება
1. ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე	(0,475; 0,678; 0,7; 0,9)
2. ფირმის ეკონომიკური პოტენციალი	(0,465; 0,665; 0,688; 0,843)
3. ფირმის ფინანსური მდგომარეობა	(0,51; 0,71; 0,743; 0,878)
4. ფირმის მარკეტინგული საქმიანობა	(0,44; 0,64; 0,655; 0,825)
5. ფირმის ეფექტურობის პირობები	(0,465; 0,665; 0,69; 0,84)
6. რისკის დონე	(0,51; 0,71; 0,74; 0,88)
7. წარმოების მოცულობა	(0,422; 0,646; 0,785; 1)
8. ერთეულის გეგმიური თვითღირებულება	(0,794; 0,906; 0,951; 1)

რიცხვითი მნიშვნელობა საკმაოდ ახლოს იმყოფება 0.194-თან, რაც გვაძლევს გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა – ფირმას აქვს საიმედო მდგომარეობა. უფრო დაზუსტებულ ინფორმაციას იძლევა ინტეგრალური შეფასება: ინტეგრალურმა არამკაფიო რიცხვმა გადაფარა ცხრილი 3-ის (0,55; 0,85) შუალედი, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: ფირმას აქვს შედარებით საიმედო მდგომარეობა, თუმცა მცირე თანაკვეთა აქვს საშუალო საიმედობასთან. ეს კი ნიშნავს ფირმის გარკვეულ სისუსტეებს, შეფასების რომელიმე მაჩვენებლის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა უნდა გაანალიზოს ეს შემთხვევა, ცხრილი 5-დან გამოავლინოს შესაბამისი მაჩვენებელი ან მაჩვენებლები და ინფორმაცია მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებ პირს შემდგომი რეაგირებისთვის.

რისკის რაოდენობრივი მნიშვნელობის მისაღებად დათვლილია მათემატიკური ლოინი და დისპერსია:

$$E(X) = \frac{x_1 + 2x_2 + 2x_3 + a_4}{6} = 0,832;$$

$$ar(X) = \frac{(x_4 - x_1)^2 + 2(x_4 - x_1)(x_3 - x_2) + 3(x_3 - x_2)^2}{24} = 0,007;$$

რის შემდეგაც მიღებულია:

$$\sigma = \frac{\sqrt{var(X)}}{E(X)} = 0,102.$$

დასკვნა. მცირე ფირმის შეფასების წარმოდგენილი მეთოდი ექსპერტთა ჯგუფის კვალიფიკაციას და განსჯის შედეგებს ეფუძნება, რომელიც გარკვეულწილად სუბიექტურ ფაქტორებსაც შეიცავს. ამ დროს მნიშვნელოვანია დამუშავებულმა მოდელმა ადექვატურად ასახოს კვლევის ობიექტის თავისებურებები და მახასიათებლები, ობიექტზე არსებული ინფორმაციული განუსაზღვრელობების პირობებში. ამიტომ ის რაც ვიცით და როგორც ვიცით ყველაფერი ასახავს პოულობს ლოგიკურ-მათემატიკურ ფორმალიზმში, რომელზეც დაფუძნებულია მეთოდი. ვგულისხმობთ არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის „შესაძლებლობებს“, რომლის გარეშეც რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთდროული გამოყენება და შესაბამისად მსგავსი მეთოდიკის ფორმირება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ეს მეთოდის უდავო უპირატესობაა.

წარმოდგენილი მეთოდი არ არის საბოლოო ვარიანტი. შესაძლებელია მისი გაუმჯობესება სხვადასხვა მიმართულებით: პირველ რიგში ეს არის მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფა: მაჩვენებელთა რაოდენობის ცვლილება, სხვადასხვა „განმსაზღვრელი საწყისის“ ფორმირება, თითოეული მაჩვენებლის ანალიზი უფრო დეტალიზებული მახასიათებლებით, წონების დადგენა ქვემაჩვენებლებისთვის და ინტეგრალური შეფასების მიღება ორმაგი შეჯამების გამოყენებით და ა.შ. შესაძლებელია წონების დადგენის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

ვფიქრობთ, რომ შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი საბოლოო ანალიზის ეტაპი, რომლის სრულყოფაც დროის საკმაოდ.

დასმული ამოცანიდან გამომდინარე შეიძლება შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის წინასწარი დამუშავება და გარკვეული მონაცემთა ბაზის შექმნა.

SUMMARY

In the article there is discussed a mechanism for evaluating the condition of small firms, in the period of entrepreneurial activity. The multi criteria expert evaluation method is proposed, which is based on the ability of fuzzy set theory. There is proposed a system of qualitative indicators and their measurement scale. Boolean variables relevant for each term -set have adapted to trapeze similar of fuzzy numbers (fuzzy evaluation). For proportionality of qualitative and quantitative indicators, the quantitative index of fuzzy numbers carries out fixed range. In this way it was possible to simultaneous use the qualitative and the quantitative indicators and evaluation of integrated indicators.

The quantitative analysis of risks is made by using fuzzy numbers. The method developed on the basis of a computer program Matlab language is a steady expert handle the data: sets the level of experts (counts coefficient of concord), a fuzzy evaluation indicators, integral evaluation of the level of firm size and risk.

ლიტერატურა:

1. А.И. Орлов - Организационно-экономическое моделирование, учебник в 3-ч. Ч-2 Экспертные оценки-2011. 486 с.
2. ნ. მჭედლიშვილი, ს. ხუციშვილი, ლ. ხუციშვილი პროექტების შეფასების მრავალკრიტერიუმიანი ექსპერტული მეთოდის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, ბიზნეს-ინჟინერიზმი-სამეცნიერო ჟურნალი N 3. თბ.: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012 გვ. 126–128.
3. В.Г. Логденко Экономический анализ. 2-ое изданиею М.:ЮНИТИ-2007
4. Леоненко А.В. Нечеткое моделирование в среде MATLAB и fuzzy ТЕСН-БХВ-Петербург 2005-736с.
5. Недосекин А.О., Максимов О.Б. Новый комплексный показатель оценки финансового состояния предприятия-Аудит и финансовый анализ N 2, 2001.

ეპროკული გაცვლითი და ტრენინგის პროგრამები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ნინო კუპრაშვილი, სტუ-ს აკადემიური დოქტორი



უმაღლესი განათლება ევროპაში გამოირჩევა მაღალი აკადემიური სტანდარტებით, ევროპული უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები მთელ მსოფლიოშია აღიარებული. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში უდიდეს ყურადღებას უთმობს განათლების სისტემის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და არ იშურებს ძალისხმევას ხარისხიანი საბაზისო განათლების ხელშეწყობისთვის. ძირითადი ყურადღება ეთმობა ხარისხის საკითხებს, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას.¹

ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში აქტუალური სადისკუსიო თემაა. მასთან დაკავშირებით, საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე მეცნიერები და პოლიტიკოსები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის ქართულ სინამდვილეში ასახვასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო კითხვა რჩება.

ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის სამეცნიერო პოტენციალზე, თანამედროვე ტექნიკის ათვისების უნარზე, მაღალკვალიფიციური კადრების არსებობაზე, საერთაშორისო თანამეგობრობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. სწორედ ამიტომ, განათლების სისტემის ეფექტური ფუნქციონირება და მართვა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. სახელმწიფოს წარმატების გარანტი განათლების პრიორიტეტულობა იქნება.

საქართველოში განათლების მხარდასაჭერად ევროკავშირი სხვადასხვა მეთოდს მიმართავს. გამოიყოფა კონკრეტული პროექტები განათლების სექტორის მდგრადობისთვის და სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი დახმარებისთვის. საქართველოში ევროკავშირი განათლების სფეროს ორი საშუალებით აფინანსებს: ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ფორმების მეშვეობით ხდება საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე; თემატური პროგრამის - „ინვესტირება ადამიანებში“ - ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხიანი საბაზისო განათლების მიწოდებას სირთულეების მქონე ბავშვებისთვის, ასევე, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების გაზრდას.²

ევროკავშირი სხვადასხვა ქვეყანაში, და მათ შორის

საქართველოში, ბევრ საერთაშორისო გაცვლით პროექტს ახორციელებს. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმეზე, ესენია „ერაზმუს მუნდუსი“, „ტემპუსი“, ჟან მონეს პროგრამა – „გავეცნოთ ევროპული ინტეგრაციას“, „ახალგაზრდობა მოქმედებს“, ევროკავშირის სტუმრის პროგრამა.

ერაზმუს მუნდუსი (2009-2013) უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობისა და მობილურობის პროგრამაა. მისი მიზანია ადამიანებსა და კულტურებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობა მესამე ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობის გზით. ამასთან, მას წვლილი შეაქვს ადამიანური რესურსების განვითარებაში და საერთაშორისო თანამშრომლობაში უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შორის მესამე ქვეყნებში, ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მობილურობის გაზრდის გზით. ერაზმუს მუნდუსის პროგრამა 3 სხვადასხვა აქტივობისგან შედგება, რომლებსაც აღმასრულებელი სააგენტო ხელმძღვანელობს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს ან ქმნიან უწყებათაშორისი თანამშრომლობის საპარტნიორო ურთიერთობებს ევროპასა და მესამე ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის, ესენია ერაზმუს მუნდუსის განსაკუთრებული ხარისხის ერთობლივი პროექტები ბაკალავრიატისა (Action I A) და სადოქტორო (Action I B) დონეზე, ამ პროგრამებში მონაწილეობისთვის, სტიპენდიების ჩათვლით.

ცალკეულ სტუდენტებს, მკვლევრებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებსაც სურთ სწავლა ან კვლევა ერაზმუს მუნდუსის პროგრამებში, ამის კარგი საშუალება ეძლევათ. ერაზმუს მუნდუსის პარტნიორობა ევროკავშირსა და მესამე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გულისხმობს სტიპენდიების მობილურობისთვის ყველა აკადემიურ დონეზე (Action 2). **ერაზმუს მუნდუსის პარტნიორობამ ჩაანაცვლა ერაზმუს მუნდუსის თანამშრომლობის ფანჯარა.**³ (განათლება ევროპაში;⁴ ევროკავშირის სამაგისტრო პროგრამა⁵).

ევროპის უმაღლესი განათლების ხელშეწყობა ხდება ისეთი პროექტების საშუალებით, რომლებიც ევროპის, როგორც საგანმანათლებლო არეალის, მიმზიდველობას უწყობს ხელს. ესაა განვითარების პროექტები, რომელთა მიზანია ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმზიდველობის, იმიჯის ამაღლება მთელ მსოფლიოში. იქმნება უამრავი შესაძლებლობა, რომლებიც აქტიურობის სტიმულს აძლევს პარტნიორ ქვეყნებს (იგულისხმება სადოქტორო სტიპენდიები, მეტი აქცენტის

¹ http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:9Bs08iIRZcj.eas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/tech_financial_cooperation/instruments/education_and_training/index_ka.htm+%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98+%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90&cd=3&hl=en&ct=clnk&gl=ge

² იქვე

³ http://eacea.ec.europa.eu/extcoop/results/2007/documents/project_fact_sheet_lot_5.pdf

⁴ <http://ec.europa.eu/education/study-in-europe/>

⁵ <http://www.mastersportal.eu/>

გადატანა ხარისხის უზრუნველყოფაზე, სტუდენტების/დოქტორების დასაქმების პერსპექტივები და ა.შ.).

სამაგისტრო კურსები და ერთობლივი სადოქტორო პროგრამები ყოველწლიურად ცხადდება.

ტემპუსი ევროკავშირის პროგრამაა, რომელიც ეხმარება აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, დასავლეთ ბალკანეთისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებს თანამშრომლობის პროექტების საშუალებით საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზებაში. ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების აკადემიური წრეების თანამშრომლობას ევროპულ უნივერსიტეტებთან, რაც გულისხმობს გამოცდილების გაზიარებას განათლებაში ევროპული სტანდარტების სფეროში, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საგანმანათლებლო დღის წესრიგის და პროგრამების შემუშავებას, თანამედროვე ლიტერატურის შექმნას, მასწავლებელთა უნარ-ჩვევების ამაღლებაზე გამიზნული ტრენინგების ჩატარებას, სტუდენტთა სწავლას უცხოეთში, უნივერსიტეტების მართვის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და განვითარებას, უნივერსიტეტის არააკადემიური თანამშრომლების მომზადებას.¹

ტემპუსის საშუალებით ფინანსდება ორი ტიპის საქმიანობა: ერთობლივი პროექტები, რომელთა მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება ან აკადემიური პროგრამების დახვეწა; ასევე, სტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია უმაღლესი განათლების სისტემების ხარისხისა და მათი საჭიროების გაზრდა და ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან მათი კონვერგენცია.

დღეისათვის ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით ტემპუსის ექვსი პროექტი მიმდინარეობს. მათი საერთო ბიუჯეტი 3.3 მლნ ევროს აღემატება. ამ პროექტებში 10 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ჩართული – სამი მათგანი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთდროულად ორ პროექტშიც კი მონაწილეობს. ტემპუსის დღევანდელ პროექტებში მხოლოდ ორი რეგიონული – თელავისა და ქუთაისის – უნივერსიტეტებია ჩართული.

ჟან მონეს პროგრამა – გაცენტოთ ევროპულ ინტეგრაციას. ჟან მონეს პროგრამა ხელს უწყობს ევროპული ინტეგრაციის სწავლებას, მის კვლევას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მსოფლიო მასშტაბით. ჟან მონეს პროგრამა, დაწყებისთანავე, აკადემიური ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მტკიცე პრინციპის პატივისცემაზე დაყრდნობით ხორციელდება. იგი სამ ძირითად აქტივობას მოიცავს:

ჟან მონეს აქტივობა (ევროპული ინტეგრაციის შესახებ უნივერსიტეტის ღონის პროექტების მხარდაჭერა) მოიცავს ჟან მონეს კათედრების, ცენტრების, მოდულების შექმნასა და საინფორმაციო და კვლევითი ღონისძიებების განხორციელებას, ევროპული ინტეგრაციის მცოდნე პროფესორთა და მკვლევართა აკადემიური ასოციაციების

შექმნის ჩათვლით. ჟან მონეს პროექტების შერჩევა აკადემიური ღირსებების მიხედვით ხდება. აღსანიშნავია, რომ ეს შერჩევა დამოუკიდებელი პროფესიონალების მიერ საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობს.

ხდება მხარდაჭერა ექვსი აკადემიური ინსტიტუტისა, რომელთა ინტერესს ევროპული კვლევა წარმოადგენს, ესენია: ევროპის კოლეჯი, ევროპის საინფორმაციო ინსტიტუტი, სახელმწიფო ადმინისტრირების ევროპული ინსტიტუტი, ევროპული სამართლის აკადემია, ევროპული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, განათლებაში სპეციალური საჭიროებების ევროპული სააგენტო. ამ ექვს დაწესებულებას არ სჭირდება დაფინანსების მოთხოვნა, რადგან ისინი ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ მთელი არსებობის განმავლობაში სწავლის პროგრამაში არიან ჩართულნი.

მნიშვნელოვანია ევროპული მასშტაბის მქონე ასოციაციების დახმარება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი განათლებასა და ტრენინგში ევროპის დონეზე. ეს ევროპული ასოციაციები, სულ მცირე, ერთ წევრ ქვეყანაში მაინც უნდა მოქმედებდნენ. მათ შესარჩევად ყოველწლიურად სპეციალური კონკურსები ცხადდება.²

ევროკავშირის წარმომადგენლობა ხელს უწყობს ქართულ უნივერსიტეტებს, მონაწილეობა მიიღონ ამ ინიციატივებში ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით.³

„ახალგაზრდობა მოქმედებს“. ევროკავშირის პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებს“ ახალგაზრდებისთვისაა შემუშავებული. მისი მიზანია აქტიური ევროპული მოქალაქის ჩამოყალიბების მხარდაჭერა, ახალგაზრდა ევროპელებს შორის სოლიდარობისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა და მათი ჩართვა ევროპის მომავლის განსაზღვრაში. პროგრამა ხელს უწყობს მობილურობას ევროპის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ, არასამთავრობო განათლებასა და ინტელექტუალურ დიალოგს; ის ხელს უწყობს ყველა ახალგაზრდას, მიუხედავად განათლების, სოციალური და კულტურული ცენზისა, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის მომავლის განსაზღვრაში. პროგრამა ყველას მონაწილეობას ითვალისწინებს. ყოველწლიურად, ათასობით განაცხადი შედის პროგრამაში ფინანსური დახმარების მისაღებად. საუკეთესო პროექტის გამოსავლენად შერჩევის პროცესი იმართება.⁴

აღმოსავლეთის პარტნიორობის ფანჯარა ახალგაზრდებისთვის არის თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები მომავალი თაობისთვის.⁵

ევროკავშირის სტუმრის პროგრამა (EUVP) შესაძლებლობას აძლევს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებსაც ევროკავშირისადმი პროფესიული ინტერესი აქვთ, ეწვიონ ევროკავშირის ინსტიტუტებს და როგორც ინდივიდუალური სტუმრები, გაეცნონ ევროპის პარლამენტისა და ევროკომისიის მუშაობას. პროგრამა 25-იდან 45 წლამდე ადამიანების-

¹ http://ec.europa.eu/education/external-relation-programmes/tempus_en.htm

² http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-programme/doc88_en.htm

³ http://eacea.ec.europa.eu/llp/jean_monnet/jean_monnet_en.php

⁴ http://ec.europa.eu/youth/index_en.htm

⁵ http://eas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/eapyouthwindow2012_01_en.pdf

თვისაა გამიზნული (მაგალითად, ესენი შეიძლება იყვნენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები, საგარეო ურთიერთობების სპეციალიზაციის მქონე ჟურნალისტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომელთა სპეციალიზაცია ევროკავშირი და საერთაშორისო ურთიერთობებია. პროგრამა მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს ანაზღაურებს).

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეზეა ორიენტირებული. ბოლონის პროცესში გაწევრიანებით საქართველოს განათლების სისტემა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების აუცილებლობა განპირობებულია მრავალი გარემოებით, მათ შორის, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესებით. განვითარების ახალი სტადია საინფორმაციო ეპოქის სახით სულ უფრო ახალ მოთხოვნებს აყენებს საგანმანათლებლო სისტემის წინაშე. სწორედ ამიტომ, საჭიროა ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა, რესურსების კონცენტრირება პრიორიტეტულ მიმართულებებზე და ა.შ..

განათლების და კერძოდ უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში ძლიერი და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ვინაიდან უმაღლეს განათლებას მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია საქართველოში ეკონომიკის განვითარებაზე, ევროკავშირი ხელს უწყობს უმაღლესი განათლების სექტორის მისაწვდომობის გაუმჯობესებას. 2006-2008 წლებში, უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომ განვითარებასა და რეგიონულ აკადემიურ ქსელში მის ინტეგრირებაში საქართველოს დასახმარებლად, 1,3 მილიონი ევრო გამოიყო.

SUMMARY

New educational system in Georgia is a quite actual issue. Qualified international scientists and politicians express different opinions thus indicating that this issue has not been solved by the international educational system yet.

Higher education in Europe offers high academic standards and the diplomas of European higher educational institutions are recognized all over the world as well. The European Union is implementing many projects in various countries, including Georgia.

The paper refers to several projects, such as: Erasmus Mundus, Tempus, Jean Monnet Program and European Integration, Youth in Action, European Union Visitors Program – EUVP. Inclusion in Bologna Process provides Georgia with more opportunities to participate in the European Programs.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, “სიანხლები განათლებასა და მეცნიერებაში”, 2008 წლის, ნოემბერი საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”
2. საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო, 31.VII.2009 წ.
3. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და დიპლომის დანართი სახელმძღვანელო, ლიკა ლლონტი
4. Е.Ф. Матвейчук «Инновации в образовании и болонский процесс. Международная научно-практическая конференция «Формирование профессиональной культуры специалистов XXI века в техническом университете». Санкт-Петербург.
5. lika Rlonti - Participation of Georgian Universities in Tempus Programme
6. <http://www.president.gov.by/press90315.html>
7. <http://www.bologna.spbu.ru/>

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

საინფორმაციო საზოგადოებისადმი ქვეყნის მზაობის საერთაშორისო ინდექსები

*ზუმბურიძე ოთარ, სტუ-ს სრული პროფესორი
ჯიქილაშვილი ნინო, სტუ-ს დოქტორანტი*

XX

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) გამოყენება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ის არსებითად ცვლის ყველა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოდგენილია კაცობრიობის, ცხოვრების ნებისმიერი სფეროს პროგრესი, მსოფლიოს უსაფრთხოება, ეფექტური საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების სისტემა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება თუ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

იქმნება და ვითარდება ახალი, საინფორმაციო საზოგადოება. საინფორმაციო საზოგადოების შექმნა და განვითარება, მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში აქტიური ინტეგრირება ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საფუძვლად და პრიორიტეტად მოიაზრება.

ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგებითი შეფასების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო კომპოზიტური ინდექსები გამოიყენება, რომელთა საფუძველზეც მუშავდება მრავალფეროვანი რეიტინგები, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოების მზაობას საინფორმაციო საზოგადოებისადმი და ასევე, სსტ-ს გამოყენების ცალკეულ მიმართულებებს - ელექტრონულ ბიზნესსა და ელექტრონულ მთავრობას.

მსოფლიოში განსაკუთრებით ცნობილი ინდექსებია: ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI), რომელსაც ყოველწლიურად ამზადებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მსოფლიო ბანკი და ბიზნესის საერთაშორისო სკოლა (INSEAD) [1]; ციფრული შესაძლებლობების ინდექსი (Digital Opportunity Index – DOI), რომელსაც ამუშავებს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) [2]; ელექტრონული მზაობის ინდექსი (E-Readiness), რომელსაც Economist Intelligence Unit (EIU) განსაზღვრავს ინსტიტუტთან IBM Institute for Business Value თანამშრომლობით [3]; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი, რომელსაც ამუშავებს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი [4] და ასევე, გაეროს მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული ელექტრონული მთავრობისადმი ქვეყნების მზაობის ინდექსი (E-Government Readiness

Index) [5].

განვიხილოთ ზემოხსენებული ინდექსები და მათი შესაბამისი ძირითადი მაჩვენებლები და აგრეთვე, საქართველოს ადგილი მოცემული ინდექსების მიხედვით მიღებულ მსოფლიო რეიტინგებში და ამ მდგომარეობის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში.

ძსალური მზაობის ინდექსი (NRI)

ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI) კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას მსოფლიოს ქვეყნებში. იგი 2001 წ. იქნა შექმნილი. 2002 წლიდან ქვეყნდება მსოფლიოს ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ სპეციალურ ყოველწლიურ ანგარიშში - „გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების ანგარიში“ („The Global Information Technology Report“). ამჟამად აღნიშნული ინდექსი ქვეყნის სსტ-ს პოტენციალისა და მისი სსტ-ს განვითარების შესაძლებლობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად განიხილება და სსტ-ს განვითარების ინდექსს ზომავს 67 პარამეტრის მიხედვით, რომლებიც 3 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

1. სსტ-ს განვითარებისათვის შესაბამისი პირობების არსებობა - საქმიანი და ნორმატიულ-სამართლებრივი გარემოს საერთო მდგომარეობა, კონკურენცია, ინოვაციური პოტენციალი, ინფრასტრუქტურა, ახალი პროექტების დაფინანსების შესაძლებლობები, მარეგულირებელი ასპექტები და სხვ.

2. სსტ-ს გამოყენებისადმი მოქალაქეთა, საქმიანი წრეებისა და სახელმწიფო ორგანოების მზაობა - სახელმწიფოს პოზიცია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, აღნიშნულ სფეროზე გაწეული ხარჯები სახელმწიფოს მხრიდან, ბიზნესისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ინტერნეტზე დაშვებისადამისი გამოყენების დონე, მობილური კავშირის ღირებულება და სხვ.

3. საზოგადოებრივ, კომერციულ და სახელმწიფო სექტორებში სსტ-ს გამოყენების დონე - პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა, ინტერნეტკომპონენტების რაოდენობა, მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა, სახელმწიფო ორგანიზაციების მოქმედი ინტერნეტ-რესურსების არსებობა, ასევე, ქვეყანაში საინფორმაციო

ტექნოლოგიების ზოგადი წარმოება და გამოყენება.

ინდექსი გამოითვლება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორცაა გაერო, ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი, მსოფლიო ბანკი, ასევე, იმ შედეგებით, რომელიც მიიღება ხელმძღვანელების ყოველწლიური კომპლექსური გამოკითხვით და რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პარტნიორ ინსტიტუტებთან ერთად (კვლევითი და საქმიანი ორგანიზაციები) ატარებს კვლევის ობიექტ ქვეყნებში [1,6].

მიღებული ინდექსების მიხედვით ხდება ქვეყნების რანჟირება და მიღებულ მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი ინდექსის უმაღლეს მნიშვნელობას შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ სსტ-ს სფეროში მსოფლიო ლიდერების წარმატება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ყურადღებით, ხარისხიანი განათლებით, ნოვატორობით და მოსახლეობისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისადმი ფართო ხელმისაწვდომობით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2008-2009 წწ. ქსელური მზაობის ინდექსის მიხედვით მსოფლიო რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შესაბამისად შემდეგ ქვეყნებზე გადასწილდა: დანია, შვედეთი, აშშ, სინგაპური, შვეიცარია. საქართველო 88-ე ადგილს იკავებდა. ამ მხრივ, კავკასიის რეგიონში ლიდერობდა აზერბაიჯანი (60-ე ადგილი), რომელსაც შესაბამისად მოსდევდა საქართველო

და სომხეთი (114-ე ადგილი).


რაც შეეხება რუსეთს, ის ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს და აღნიშნულ რეიტინგში 74-ე ადგილს იკავებდა.

2009-2010 წწ. მოცემული ინდექსის მიხედვით იმავე რეიტინგში (რეიტინგის პირველი ხუთეული იყო: შვედეთი, სინგაპური, დანია, შვეიცარია, აშშ) საქართველო ჩამოქვეითდა 10 პოზიციით და 93-ე ადგილზე აღმოჩნდა. კავკასიაში ლიდერობას ინარჩუნებდა აზერბაიჯანი, რომელიც საქართველოს მსგავსად ჩამოქვეითდა და 64-ე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველო კვლავ უსწრებდა სომხეთს, რომელიც თავის მხრივ, დაწინაურდა და 101 ადგილზე გავიდა.

რუსეთმა 80-ე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა კვლავ აზერბაიჯანის მომდევნოდ აღმოჩნდა [7].

2011-2012 წწ. მონაცემებით მიღებულ რეიტინგში (რეიტინგის პირველი ხუთეული: შვედეთი, სინგაპური, ფინეთი, დანია, შვეიცარია) 88-ე ადგილზე გასულმა საქართველომ დაიბრუნა ძველი პოზიცია. ზოგადი სურათი კვლავ შენარჩუნდა, ანუ კავკასიაში ლიდერობს აზერბაიჯანი (61-ე ადგილი), მას მოსდევს საქართველო და სომხეთი (94-ე ადგილზე).

რაც შეეხება რუსეთს, მისი ინდექსი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აღნიშნულ რეიტინგში იგი 56-ე ადგილზე აღმოჩნდა და ამგვარად, წინა წლებთან შედარებით, კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან თუ მხოლოდ აზერბაიჯანს ჩამორჩებოდა, ამჯერად მან ამ უკანასკნელსაც გაუსწრო ქსელური მზაობის ინდექსის მიხედვით [7,8] (იხ.ნახ.1).



ნახ.1. ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI)

ციფრული შესაძლებლობების ინდექსი

ციფრული შესაძლებლობების ინდექსის (Digital Opportunity Index – DOI) საშუალებით ფასდება სსტ-ს განვითარების ინტეგრალური დონე, რომელიც მიიღება სამ ჯგუფში გაერთიანებული 11 მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე:


1. სსტ-ს გამოყენების შესაძლებლობები:
 - მობილური სატელეფონო კავშირით მოცული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა;
 - ერთ სულ მოსახლეზე მობილური კავშირის ტარიფები პროცენტებში, მოგების მიხედვით;
 - ერთ სულ მოსახლეზე ინტერნეტზე დაშვების ტარიფები პროცენტებში, მოგების მიხედვით;
2. სსტ-ს ინფრასტრუქტურა:
 - ფიქსირებული სატელეფონო ხაზის მქონე ოჯახების წილი;
 - 100 მოსახლეზე მოძრავი მობილური კავშირის მქონე აბონენტთა რაოდენობა;
 - კომპიუტერის მქონე ოჯახების წილი;

3. სსტ-ს გამოყენება:

- ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 100 სულ მოსახლეზე;
- ფართოზოლოვანი ინტერნეტის (ფიქსირებული) მომხმარებელთა წილი ინტერნეტმომხმარებელთა სრულ რაოდენობაში;
- ფართოზოლოვანი მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა წილი მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სრულ რაოდენობაში.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი გაერთიანებულ ერებს იყენებდა ციფრული შესაძლებლობების ინდექსს სსტ-ს განვითარების დონის შესაფასებლად, მსოფლიოს 180 ქვეყნისთვის [2,6].

2005 წლის ციფრული შესაძლებლობების ინდექსის შესაბამისად შედგენილ მსოფლიო რეიტინგში პირველ ხუთეულს შემდეგი ქვეყნები წარმოადგენდნენ შესაბამისად: კორეა, იაპონია, დანია, ისლანდია, ჰონგ-კონგი/ჩინეთი. აღნიშნული რეიტინგის მიხედვით კავკასიის რეგიონში საქართველო ლიდერობდა (84-ე ადგილი) და წინ უსწრებდა აზერბაიჯანსა (99-ე ადგილი) და სომხეთს (120-ე ადგილი).



ნახ.2. ციფრული შესაძლებლობების ინდექსი (Digital Opportunity Index – DOI)

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 60-ე ადგილზე იმყოფებოდა [9].

მოდერნო, 2006 წლის რეიტინგში (ამჯერად რეიტინგის პირველი ხუთეულია: კორეის რესპუბლიკა, იაპონია, დანია, ისლანდია, სინგაპური) საქართველომ 88-ე ადგილზე გადაინაცვლა (4 პოზიციით ჩამოქვეითდა), თუმცა


აზერბაიჯანისა და სომხეთის ინდექსების შესაბამისი მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტად გაუარესდა და კავკასიის რეგიონში ლიდერი კვლავ საქართველოა, ხოლო მას მოსდევს აზერბაიჯანი (101-ე ადგილი) და სომხეთი (117-ე ადგილი).

რუსეთმა კი წარმატებით გადაინაცვლა 51 ადგილზე და უკან ჩამოიშორა კავკასიის რეგიონის ქვეყნები [10] (იხ.ნახ.2).

ელექტრონული მზაობის ინდექსი

ელექტრონული მზაობის (e-readiness) ყოველწლიურ რეიტინგს განსაზღვრავს Economist Intelligence Unit (EIU) ორგანიზაცია ინსტიტუტთან IBM Institute for Business Value თანამშრომლობით; განსაზღვრის პროცესში გამოიყენება მსოფლიო ბანკის, Pyramid Research და სხვა ორგანიზაციებისგან მიღებული მონაცემები და იგი განისაზღვრება შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, რომლებსაც თავისი შესაბამისი წონები გააჩნიათ:

დაშვების შესაძლებლობა და ინფრასტრუქტურა - 20%; ქვეყანაში ელექტრონული ბიზნეს-გარემოს მდგომარეობა - 15%; სოციალური, განათლების დონე - 15%; სამართლებრივი გარემო - 10%; სახელმწიფო პოლიტიკა - 15%; განსხვავებული ინტერნეტ-შესაძლებლობების გამოყენებისადმი ბაზრის მზაობა - 25%. აღნიშნულ 6 ძირითად ჯგუფში გაერთიანებულია 100-ზე მეტი სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი [3, 6].



ნახ.3. ელექტრონული მზაობის (e-readiness) ინდექსი

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მზაობის ინდექსის ანუ როგორც მას შემდგომ ეწოდა, ციფრული ეკონომიკის ინდექსის მიხედვით მიღებულ მსოფლიო რეიტინგებში (რანჟირებული იქნა 70 ქვეყანა), სამწუხაროდ, საქართველო და სომხეთი ვერ მოხვდა (იხ.ნახ.3).

რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2008-2010 წლების რეიტინგებში (2008 წლის რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შეძგენიარად გადაწაწილდა: აშშ, ჰონგ-კონგი, შვედეთი, ავსტრალია, დანია; 2009 წლის რეიტინგში - დანია, შვედეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, აშშ; 2010 წლის რეიტინგში - შვედეთი, დანია, აშშ, ფინეთი, ჰოლანდია) რუსეთი სტაბილურად ინარჩუნებს 59-ე ადგილს, ხოლო აზერბაიჯანი 2008 წლის რეიტინგში 68-ე ადგილიდან 2009 წელს 70-ე ადგილზე გადაინაცვლა (2 პოზიციით ჩამოქვეითდა), რომელიც არც 2010 წელს არ შეუცვლია [3, 11].

სსტ-ს განვითარების ინდექსი IDI

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი სსტ-ს განვითარების საერთო პროგრესის განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ის შედგენილი (კომპოზიტური) ინდექსია, რომელიც 11 მაჩვენებელს აერთიანებს და ემყარება მონაცემებს, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის კავშირგაბმუ-

ლობის ადმინისტრაციები და სტატისტიკური უწყებანი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირს ყოველწლიურად აწვდიან. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უწყებანი არ წარადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი ან გახსნილი ინტერნეტრესურსებიდან იყენებს მონაცემებს, ან ინდექსში ქვეყნის წინა წლის მაჩვენებლებს ტოვებს.

IDI-ინდექსი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირმა 2007 წელს დაამუშავა. ის გამოითვლება სამი ქვეინდექსის გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ სსტ-ზე დაშვების, სსტ-ს გამოყენებისა და ამა თუ იმ ქვეყნის მიერ სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების (კვალიფიკაციების) მაჩვენებლებს. ამასთანავე, IDI-ქვეინდექსები განსხვავებული წონით ხასიათდებიან. სსტ-ზე დაშვება - 40%; სსტ-ს გამოყენება - 40%, სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები - 20%.

თავისმხრივ, აღნიშნული ქვეინდექსების გამოსათვლელად განსაზღვრულ მაჩვენებლებს თავისი წონა აქვთ [12].

სსტ-ზე დაშვება - 40% ასახავს ქვეყანაში სსტ-ს ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს და განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. 100 სულ მოსახლეზე ფიქსირებული სატელეფონო კავშირის რაოდენობა - 20%,

- 100 სულ მოსახლეზე მობილური სატელეფონო კავშირის კონტრაქტების რაოდენობა - 20%,
- ერთ მომხმარებელზე საერთაშორისო ინტერნეტ-რესურსების გამტარუნარიანობა (ბიტი/წმ) - 20%.
- კომპიუტერის მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა - 20%
- ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა - 20%

სსტ-ს გამოყენება - 40% განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

- ინტერნეტის მომხმარებელთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში - 33%,
- 100 სულ მოსახლეზე ფიქსირებული ფართო-ზოლოვანი დაშვების მომხმარებელთა რაოდენობა (ფართო-ზოლოვანი დაშვება ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის მიერ განისაზღვრება, როგორც დაშვება, რომლის მინიმალური სიჩქარეა 256 კბიტი/წმ) - 33%,
- 100 სულ მოსახლეზე მობილური ფართო-ზოლოვანი დაშვების კონტრაქტების რაოდენობა - 33%.

სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები - 20%, ასევე, საბი მაჩვენებლით განისაზღვრება:


- მოზრდილი მოსახლეობის განათლების კოეფიციენტი - 33%,

- საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა - 33%,
- უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების პროცენტული რაოდენობა - 33%. [12]

2008 წელს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსის მიხედვით შედგენილი მსოფლიო რეიტინგის თანახმად, წამყვანი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურებოდა: კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, დანია, ლიუქსემბურგი, ჰოლანდია. კავკასიის რეგიონში ლიდერობდა აზერბაიჯანი (83-ე ადგილი), მას მოსდევდა საქართველო (85-ე ადგილი) და სომხეთი (86-ე ადგილი).

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 49-ე ადგილზე იმყოფებოდა.

2010 წელს (რეიტინგში პირველი ხუთეული შემდგენილად გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, ისლანდია, დანია, ფინეთი), წინა წლებთან შედარებით, კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა გაიუმჯობესეს IDI-ინდექსის მაჩვენებლები და საბოლოო ჯამში, კავკასიის რეგიონში ლიდერობდა სომხეთი (72-ე ადგილი), მას მოყვებოდა აზერბაიჯანი (74-ე ადგილი) და შემდეგ საქართველო, რომელმაც მოცემულ რეიტინგში 77-ე ადგილზე გადაინაცვლა (დაწინაურდა 8 პოზიციით).



ნახ.4. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი

ასევე, რუსეთმაც 49-ე ადგილიდან 47-ე ადგილზე გადაინაცვლა [13].

2011 წლის იმავე რეიტინგის მიხედვით (რეიტინგის პირველი ხუთეული - კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, დანია, ისლანდია, ფინეთი), კავკასიაში კვლავ შეინარჩუნა ლიდერობა აზერბაიჯანმა (68-ე ადგილი), საქართველომ კი 73-ე ადგილზე გადაინაცვლა (დაწინაურდა 5 პოზიციით), ხოლო სომხეთი

კვლავ აღნიშნულ რეიტინგში (იხ.ნახ.4).

კავკასიის კვლავ უსწრებდა რუსეთი, რომელიც 38-ე ადგილზე აღმოჩნდა [14].

ელექტრონული მთავრობისადმი მზადების ინდექსი

ელექტრონული მთავრობის გამოყენებისადმი ქვეყნის მზადების ინდექსის (E-Government Readiness Index)

შეფასება სრულდება გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს, სადაც ასახულია სსტ-ს განვითარების პოტენციალი და შესაძლებლობები მსოფლიოს 191 ქვეყნის მიხედვით.

ამ მიზნით გამოყენებული ინდექსები აფასებენ სახელმწიფოს მზაობას ელექტრონული მთავრობისა (E-Government Readiness) და ელექტრონული მონაწილეობის (E-participation) მიხედვით. გამოიყოფა ელექტრონულ მთავრობის განვითარებაზე მოქმედი 2 ძირითადი ასპექტი:

- სსტ-ს ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი ან შესაძლებლობა სახელმწიფოს მხრიდან, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს მოსახლეობისა და ბიზნესის მომსახურების ხარისხი ანუ ქვეყნის მზაობა ელექტრონული მთავრობისადმი;
- მზაობა, რაც გულისხმობს მთავრობის მხრიდან მოქმედებების არსებობას, რომელიც მიმართულია შესაბამისი ინფორმაციითა და ცოდნით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსი გამოხატავს ელექტრონულ მთავრობაზე დაშვების მასშტაბს, ძირითადად, ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და განათლების დონეს, რომ შეიქმნას წარმოდგენა, როგორ იყენებს ქვეყანა სსტ-ს საშუალებებს ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მიზნებისათვის. ამ ინდექსით შესაძლებელია შედარდეს მდგომარეობა და ანალიზი გაუკეთდეს იმ ტენდენციებს, რომლებიც არსებობს ქვეყნებისა და რეგიონების ფარგლებში, ასევე, უშუალოდ მათ შორის. მოცემული ინდექსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის ხელმძღვანელებისთვის, პოლიტიკოსებისთვის, სპეციალისტებისთვის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყნის მდგომარეობა და პოზიცია მსოფლიო საზოგადოებაში ელექტრონული მთავრობის განვითარებისა და გამოყენების მხრივ.

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსი შედგება 3 ამოსავალი ინდექსისგან, ეგვიტ წოდებული ქვეინდექსებისგან. ესენია სამთავრობო ვებსაიტების განვითარების, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის ქვეინდექსები. აღნიშნულ ქვეინდექსებში ჩართული მაჩვენებლებიდან უშუალოდ ელექტრონულ მთავრობას ეხება მხოლოდ ერთი - Web Measure Index - რომლის ფარგლებშიც ანალიზდება სამთავრობო ვებსაიტების განვითარების დონე. ამასთანავე, რადგან შეუძლებელია ყველა სამთავრობო ვებგვერდის შეფასება (სამინისტროებისა და სააგენტოების საიტები) ინდექსში მონაწილე ყველა სახელმწიფოსთვის, გადაწყდა, შემოფარგლულიყვნენ 6 რესურსით: მთავრობის საიტი და 5 სამინისტროს ან სააგენტოს ვებგვერდი - ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების, ფინანსების. ორი დანარჩენი ქვეინდექსი განისაზღვრება ოფიციალურ სახელმწიფო სტატისტიკებზე დაყრდნობით ტელეკომუნიკაციებისა (ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი) და განათლების (UNDP და UNESCO) სფეროში.

მნიშვნელოვანია სამთავრობო ორგანოების საქმიანობაში სტატისტიკური პრაქტიკისა და სსტ-ს გამოყენების

მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრულყოფა და ასევე, იმ ინდიკატორების ნაკრების შეთანხმება-შესაბამისობა, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო მართვის ხარისხის მონიტორინგის სისტემებში ელექტრონული მთავრობის განვითარების კვლევებთან მიმართებით. ამგვარი ინტეგრაციისა და ურთიერთქმედების საფუძველს წრმოადგენს ელექტრონული მთავრობის, როგორც ადმინისტრაციული რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტის განხილვა [6].

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსის მიხედვით მიღებულ 2010 წლის მსოფლიო რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შმდეგ ქვეყნებზე გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია. მოცემულ რეიტინგში კავკასიის რეგიონს ლიდერობდა აზერბაიჯანი (83-ე ადგილი), მას მოსდევდა საქართველო (100-ე ადგილი) და სომხეთი (110-ე ადგილი).

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 59-ე ადგილზე იმყოფებოდა [14].

2012 წლის იმავე რეიტინგის მონაცემებით (რეიტინგის პირველი ხუთეული - კორეის რესპუბლიკა, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, დანია, აშშ) კი კავკასიის რეგიონში ლიდერობა ითავა საქართველომ, რომელმაც 38 პოზიციით დაწინაურდა და 72-ე ადგილზე აღმოჩნდა, მას შესაბამისად მოყვნენ სომხეთი (94-ე ადგილი) და აზერბაიჯანი (96-ე ადგილი) (იხ.ნახ.5).


ხოლო 27-ე ადგილზე დაწინაურებული რუსეთი კვლავ წინ უსწრებს კავკასიის ქვეყნებს [5].

აღსანიშნავია, რომ ინდექსების მაჩვენებელთა გაზარდების მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე არ არის მაღალი, ასევე, დაბალი შემოქმედებითი ინიციატივა ყველა დონეზე, ეკონომიკის განვითარებაში ბოლო დრომდე არსებული სსტ-ს გამოყენების დაბალი ხარისხი.

საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფეროში არსებული პრობლემები, ძირითადად განპირობებულია ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონით, მიუხედავად მოსახლეობის მხრიდან ინფორმაციაზე, საკომუნიკაციო მომსახურების სახეებზე დიდი მოთხოვნისა, რაც თავის მხრივ აფერხებს ამ სფეროს შემდგომ განვითარებას. აგრეთვე, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში სრულყოფილი, განვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, ქვეყნის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურაში მოქმედებული ტექნიკური საშუალებების ზვედრითი წილის მაღალი მაჩვენებლის შემცირება, დარგში საინვესტიციო მიზიდველობის ზრდა და თანამედროვე ტექნოლოგიურ სისტემებში ინვესტიციების სტიმულირება.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება არ უნდა იქცეს უაზრო თვითმიზნად, არამედ ამა თუ იმ ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკური მიზნებისა და საჭიროებების შესაბამისად ჯეროვნად უნდა განისაზღვროს კონკრეტულად, რა ტიპის ტექნოლოგიები იქნება უფრო ეფექტური.

აუცილებელია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მოდელის ინფრასტრუქტურის აგება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ტრადიციული, ისე ახალი თაობის ქსელური ტექნოლოგიების გამოყენებით და ამასთანავე, მოსახლეობის, სამთავ-



ნახ.5. ელექტრონული მთავრობის გამოყენებისადმი ქვეყნის მზაობის (E-Government Readiness Index)

რობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს უზრუნველყოფა შესაბამისი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებებითა და მომსახურებით. ქვეყნის მოდერნიზაციისა და ინოვაციური განვითარების კურსი, ინოვაციური საქმიანობისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების შემდგომი გაფართოება არსებული სიტუაციის გაუმჯობესების საწინდარია.

SUMMARY

The paper refers to the most popular and widely known international indexes for the country rankings by their readiness for the information society: Networked Readiness Index – NRI; Digital Opportunity Index - DOI; E- Readiness; ICT Development Index - IDI and E-Government Readiness Index and analyzes the main indicators of these indices as well.

The paper illustrates Georgia’s performance in these rankings and its dynamics in recent years.

Herewith, the article considers the main factors and issues regarding the low rate of Georgia in these rankings and suggests the ways how to resolve these problems, in general.

ლიტერატურა

1. The Global Information Technology Report 2012: Living in a Hyperconnected World, World Economic Forum, 2012
2. <http://www.itu.int/ITU-D/ict/doi/methodology.html>
3. *Digital economy rankings 2010: Beyond e-readiness - Economist Intelligence Unit, 2010 Measuring the Information Society 2012, ITU, 2012*
4. United Nations E-Government Survey 2012: E-Government for the People, 2012
5. О. Н. Вершинская, О. А. Алексеева «Международные индексы готовности стран к информационному обществу», Труды ИСА РАН. Т.61.2 /2011
6. http://en.wikipedia.org/wiki/Networked_Readiness_Index
7. http://www3.weforum.org/docs/GITR/2012/GITR_OverallRankings_2012.pdf
8. *World Information Society Report 2006 – ITU, 2006*
9. *World Information Society Report 2007: Beyond WSIS –ITU, 2007*
10. *E-readiness rankings 2009. The usage imperative. A report from the Economist Intelligence Unit, 2009*
11. Вольнкина Е. “Чем будем мерить свое информационное общество?”. ИКС № 10 2011. <http://www.iksmedia.ru/articles/3970038.html>
12. *Measuring the Information Society 2011, ITU, 2011*
13. United Nations E-Government Survey 2010: Leveraging E-government at a Time of Financial and Economic Crisis, 2010

(because decrypting logic is so complicated). Most of the packer's code is heavily obfuscated and armed with numerous anti-debug tricks, to ward off attackers before reaching OEP. After decompression and decryption of original executable in memory, the packer applies relocation fix-ups if required and resolves imports, constructing the required Import Address Table (IAT) replacement. Finally, the execution jumps to the original entry point of the application (saved during the packing process).

Most of the stronger protectors ensure that the application still maintains the dependency to the packer's body after OEP, e.g. to make dumping of application's sections harder. Code section of the original binary is usually modified during the packing process, applying code obfuscation, virtualization, import redirection, and other anti-analysis and anti-modification techniques, to ensure protection after passing control to the original application. Also, many software protection system vendors offer SDKs which enable software developers to integrate protector code at the source level, enabling applications to utilize packer's (heavily protected) code for various security-related functionality: from debugger detection checks to generating hardware IDs for licensing routines, for example. Most protectors also incorporate full-featured software licensing solutions (usually accessible via SDKs), embedded right into the packer's code.

Protection techniques. Since the first executable packer was released in public, circa 1998, the protection technology has been developing constantly to meet the new challenges. Today's protection systems implement so many different defensive measures beyond just packing the binary modules, that the collective word "packer" might seem a little underestimating, but that is just a general term used throughout the reverse engineering community. In this section I'll try to review some of the commonly used approaches against reverse code engineering, used by modern software protection systems. While primarily focused on natively compiled executable modules (produced by languages like C/C++ and Delphi), many techniques will be relevant, or at least conceptually compatible, to other software platforms (like byte-code based frameworks, for instance) which store compiled code of any type in PE binaries.

Packing consequences. As outlined above, even simplest executable compression automatically provides multiple benefits from the protector's perspective:

Preventing static analysis – static disassemblers and decompilers are completely ineffective with packed binaries as the original sections are simply unavailable until runtime; Preventing direct file patching – even if the attacker manages to make necessary patching in memory, saving changes directly to the binary file is impossible, and even though "indirect" methods of patching (known as inline patching) make it possible, this significantly complicates the attacker's task. Concealing OEP – there is no standard way to determine when the execution reaches OEP after unpacking, and this is a significant barrier for reverse engineers; as to why – I'd like to elaborate on this subject a little bit further:

In almost every reverse engineering session, determining the original entry point of application and trapping the transition to it from the packer's code is the key requirement. There reason for this is twofold. Firstly, analyzing complex applications are frequently started from the entry point, otherwise comprehension of the whole picture could be hard or even impossible. In some cases, mostly with a

GUI applications or DLL binaries, this might not be the necessity, but the ability to trace the execution from its very beginning is usually a big help for the analysis. Secondly, module dumping – which is the primary technique used for unprotecting packed applications after they are decrypted in memory, is possible at the OEP only, at least for the natively compiled applications. The reason for this is that after OEP the data section of file might be modified, which makes dumping dangerous (as the resulted section(s) will not be in original state anymore), plus the OEP should be known to be correctly specified in the PE header of the dump. As a side note: this usually is not the case with .NET assemblies protected with general-purpose (i.e. not .NET-specific) packers, where dumping is normally possible at any time after program's execution.

Debug prevention. Binary-level debugger is the main weapon against packers in hands of reverse engineer. Hence debugger detection and prevention at runtime is one of the central objectives of any protector. Variety of techniques exists to determine whether current process is being debugged or not. In case of debugger detection, actions vary from immediate process termination to concealed corruption of important runtime data structures to digressthe application from normal execution path, without reverser suspecting the reason for program's misbehavior. Many techniques are built upon the undocumented features of the platformarchitecture, so the implementations are often OS version specific.

Exploiting PEB fields. Process Environment Block (PEB) is the semi-documented runtime data structure available in every process, representing some of the process' important properties. Designed to be used by the application-mode code in the operating system libraries for internal needs, couple of its fields contain different values when the process is being debugged, and this can be exploited for debugger detection. While dedicated Win32 API exists for this purpose, namely kernel32.IsDebuggerPresent(), which determines debugger presence based on one of the fields of PEB, it is more common for the protectors to read values directly from PEB structure, because that API is well-known and easily patchable for most reverse engineers.

Inspecting process' heaps. When the application is being debugged, each heap of the process has certain flags set in its header, which subsequently result in appending special sequence of bytes to the end of each heap allocation–technique designed for easy buffer overflow detection. While the heap structure is officially undocumented, it has been researched by reverse engineers for various purposes. The protector can check for these flags or directly for the special signature of bytes, in any of the process' heaps to determine if the process was created in the debug mode. The main heap of the process (pointed to by the PEB.ProcessHeap field) is the common target of exploitation, but the other heaps can be inspected as well.

Utilizing undocumented low-level APIs. At the lowest level of Win32 API, in ntdll.dll module, there are couple of functions that, when called with appropriate (mostly undocumented) arguments, provide interesting information about debug session, if present. ZwQueryInformationProcess() and ZwQueryObject() are such API functions, that indirectly, though reliably, can be used to trap the presence of active debugger.

Checking for debug privileges. Debuggers need to acquire SeDebugPrivilegeright to debug another application. The ordinary applications usually do not have this privilege present in the access token of the process, but when the

process is created by the debugger it usually inherits this privilege, and this provides another possibility to determine debugger's presence. Protectors can check for this privilege, usually indirectly – attempting to execute actions that could only succeed with debug privileges. One common way is to try opening csrss.exe system process – an attempt that should fail from non-debugged applications. It is even possible to cause BSOD when SeDebugPrivilege is available. Indirect ways of testing for the presence of debug privileges make this method a powerful debugger detection trick.

Manipulating SEH mechanism. Structured Exception Handling (SEH) is the native exception handling mechanism for Windows. Variety of anti-debug techniques employ on it, because of its special characteristics related to debugging. When the exception is generated, it is firstly passed to the debugger – if such is attached to the process. The debugger can then either consume it, or ignore – pass it to the application's event handler. The protector can install its own exception handler and then deliberately generate some exception, e.g. via dereferencing invalid pointer, dividing by zero, or even using kernel32.RaiseException() (or lower-level ntdll.RtlRaiseException()) system API. If the debugger will “swallow” (i.e. not pass to the application) the exception (and this is usually the default behavior), protection code will deduce debugger's presence.

In such cases, when the application expects to receive these exceptions, the debugger can be configured to pass all or specific exceptions to the program, but protectors have more tricks to circumvent this. The frequently used API kernel32.CloseHandle() (more precisely the lower-level ntdll.ZwClose() function it is based onto) will throw EXCEPTION_INVALID_HANDLE (0xC0000008) exception when passed an invalid handle value, but only when the debugger is attached. The protector can monitor for this behavior by deliberately passing the invalid handle to the function. In such case, in order to avoid detection, the attacker should not pass the exception to the program.

Another interesting method is generating DBG_PRINTEXCEPTION_C exception, which – as opposed to most of other exceptions – is unconditionally consumed by many debuggers, because it represents the means of passing the diagnostic textual messages to the debugger (functionality wrapped by kernel32.OutputDebugStringW() and similar APIs) and hence is not expected to be of any use for the application code itself.

One more interesting anti-debug trick is installing the last-resort exception handler via kernel32.SetUnhandledExceptionFilter() system API. While normally catching unhandled exceptions (purposely generated by the protector) when the application is not being debugged, when the debugger is attached to the process such handler will not be called, even when explicitly instructing the debugger to pass exception to the program.

Structured Exception Handling mechanism can also be used to manipulate the execution flow of the application, complicating the analysis process for the reverse engineer. Variations of discussed techniques can be combined to significantly complicate the debugging session for the attacker.

Breakpoint detection. Software breakpoints are usually realized in form of the one-byte INT3 instruction (opcode 0xCC), which causes the processor interrupt that is handled by the debugger. When placing such breakpoint, first byte of the target instruction is overwritten with 0xCC byte, and when it gets hit the debugger restores original byte to continue execution. Memory CRC checks can be effectively

used to detect software breakpoints, because code has to be modified when placing them. First bytes of known internal or imported functions, as well as small critically important code fragments, can be checked directly for the value of this opcode. Checking the return address of current function for this value is a very effective anti-tracing technique, as the debugger usually places such breakpoint after target function when performing the “step-over” functionality.

When software breakpoints are being detected, attacker might opt to use hardware breakpoints instead. They are implemented by means of special debug registers of CPU, where up to four memory addresses can be stored to be monitored not only for code execution, but for read or write memory access as well. Detecting hardware breakpoints is possible by inspecting the appropriate debug registers. This can be accomplished by retrieving the CONTEXT structure of current thread, either by explicitly calling the ntdll.ZwGetContextThread() API with CONTEXT_DEBUG_REGISTERS flag, or by artificially generating any exception and receiving pointer to the CONTEXT structure as indirect argument in the associated exception handler.

Alternatively, instead of detecting breakpoints, protector can try to blindly erase them periodically, without even checking whether they exist. In case of software breakpoints, this is possible by overwriting important code fragments, desirably whole code section, from the file on disk. This will make all software breakpoints in that fragment disappear. With hardware breakpoints, the debug registers can be nullified to achieve the same results.

Execution timing. When the debugger intervenes in the program's execution, for example when processing breakpoints or generated exceptions, the execution is usually slowed down significantly. The protector can measure the amount of time spent for the execution of important code fragments, and deduce if the process was suspended meanwhile – presumably by the debugger. RDTSC assembly instruction can be used for such purposes, which returns internal CPU timestamp counter stored in one of its MSR registers. Alternatively, kernel32.GetTickCount() API can be used to get the system's uptime counter, or it can even be read directly from the specific user-mode memory location where it is constantly updated by the operating system's kernel code. When carefully concealed by code obfuscation techniques, execution time monitoring can become very effective debugger prevention measure.

Hiding the thread from debugger. The ntdll.ZwSetInformationThread function is officially documented as a routine that can be used to change the priority of a thread. But when it receives the undocumented HideThreadFromDebugger (0x11) info-class value as an argument, it sets the appropriate flag in the thread's ETHREAD kernel structure, causing all debug events associated to that thread to be discarded without passing them to the attached debugger. This means that the debugger will no longer be notified about breakpoints hit, or generated exceptions, for example. In case of the application's main thread, it won't even receive the process termination notification. This will effectively render the debugger useless for the most part.

Avoiding debugger attach. Sometimes, especially when the unpacking code of the protector is hard for the reverser to trace and finding OEP is not required, it might be preferred to attach the debugger to the already running process, instead of starting the application under the debugger. When this happens, the operating system creates

a new thread in the target process, with an entry point at ntdll.DbgUiRemoteBreakin() routine which calls ntdll.DbgBreakPoint() function consisting of only one instruction – the INT3 software breakpoint. When this breakpoint is triggered, the first notification is sent to the debugger, the newly created thread terminates and the attach procedure is complete. In order to avoid attaching the debugger, the protector can patch either the DbgUiRemoteBreakin() or the DbgBreakPoint() function, and redirect to the kernel32.ExitProcess() API for example. In such scenario the application process will terminate as soon as any debugger will attempt attaching to it.

ადამიანის უნარის ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება პირველ რიგში იმით, რომ თანამედროვე საზოგადოებაში პროგრესულად ძლიერდება შრომის დიფერენცირებისა და პროფესიათა რაოდენობის მატების პროცესი. ასეთ პირობებში თითოეული ადამიანის ინდივიდუალური უნარისა და შესაძლებლობების შესწავლა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროსთან მიმართებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ასევე, მისი ცალკეული წევრისათვის. ეს პროცესი, ფაქტობრივად, წარმოადგენს პიროვნების პროფესიულ ორიენტაციას.

ამრიგად, კორექტული და დროული პროფესიული ორიენტაცია, აგრეთვე, კადრების პროფესიული შერჩევა და განაწილება საშუალო ადგილებზე, კანდიდატთა შერჩევა საწარმოო სწავლებისათვის, თანამედროვე პირობებში კონკრეტულ ეკონომიკურ გამოხატულებას იძენს. მეორე მხრივ, პიროვნების უნარის სწორ დიაგნოსტიკას აქვს გამოხატული ჰუმანისტური მიმართულება, რადგან იგი ხელს უწყობს თითოეული ადამიანისათვის შესაძლებლობებისა და მიდრეკილების შესაფერისი პროფესიის შერჩევას მისი ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დადებითი პროფესიული მოტივაციისა და შრომით მიღებული კმაყოფილების, შედეგად კი, ცხოვრებით კმაყოფილების ფორმირებაზე.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, პიროვნების ხასიათის თავისებურებათა გამოვლენას. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ის თვისებები, რომელ-

საც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და რომელიც, შესაძლებელია, საჭიროებს კორექციას სოციალურ და ცხოვრებისეულ ქცევაში უსიამოვნებათა, წარუმატებლობათა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

ამჟამად, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ობიექტური შეფასება და მათი განვითარების დონის გამოვლენა ძირითადად ხდება ტესტების საკმაოდ კარგად დამუშავებული და მოქნილი სისტემის მეშვეობით. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პიროვნების შეფასებისას და, განსაკუთრებით, პროფესიული შერჩევის სისტემაში, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სხვადასხვა სატესტო მეთოდიკებს. მათგან განსხვავებით, ყოფილ საბჭოთა კავშირში ტესტირებისადმი დამოკიდებულება უპირატესად უარყოფითი იყო. ამის გამო, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ტესტირების მეთოდები ფართოდ ვერ გავრცელდა. გარდა ამისა, კადრების შერჩევის მეცნიერულად დასაბუთებული ობიექტური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვისადმი და, შესაბამისად, ტესტირების პრობლემებისადმი დირექტიული ორგანოების დანებრუნების უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სამეცნიერო-კვლევით საშუალებებს ტესტირების ახალი მეთოდების დამუშავებისა და არსებულის სრულყოფის მიმართულებით. ამ მიზეზთა კომპლექსმა განაპირობა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ტესტირების მეთოდოლოგიისა და მეთოდების განვითარებასა და პრაქტიკულ დანერგვაში. სათანადოდ ვერ განვითარდა აგრეთვე, ტესტირების მეთოდების გამოყენების რეკლამენტაცია.

ფსიქომეტრიკის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია უცხოეთში დამუშავებული ტესტების გამოყენების დროს. საქართველოში არსებული ორიგინალური მეთოდიკების ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების პირობებში თავს იჩენს უცხოური მეთოდიკების გამოყენების ტენდენცია ტესტების სათანადო ადაპტაციის გარეშე. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეალური ენობრივი, კულტურული და სოციალური განსხვავება ადგილობრივ და უცხოურ პოპულაციებს შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი პრაქტიკა უნდა შეფასდეს

როგორც არაკორექტული (უძრავი) და სავსებით დაუშვებელი. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ფასეულობათა ორიენტაციის შკალებს, მანსაიათებელთა კითხვარებსა და სხვა პიროვნულ ტესტებს.

საქართველოში არსებობს პროფესიული ტესტირების სფეროში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ორი გზა: ა) ორიგინალური მეთოდების შექმნა და ბ) უცხოური ტესტების ადაპტირება. დღესდღეობით შექმნილი სიტუაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს პირობებში უფრო მისაღებია მეორე ვარიანტი, რადგან პირველი მოითხოვს სხვადასხვა დარგის გამოცდილი სპეციალისტების ერთობლივ მუშაობას მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტესტების შექმნისა და მათი შემდგომი გამოცდისათვის. მეორე გზა გულისხმობს უცხოური ტესტების ემპირიულ ადაპტირებას, რაც შედარებით მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით შეიძლება განხორციელდეს.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში, სამუშაოს ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია სატესტო მეთოდების შემდეგი ორი ჯგუფის გამოყენების შესაძლებლობისა და თავისებურებების შესწავლა:

1. ტესტები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად შეფასდეს ინდივიდის ცალკეული უნარის განვითარების დონე და ხარისხობრივი თავისებურებანი (მაგალითად, Occupational Tests – OT და General Ability Tests – GAT).

2. ტესტები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მოცემული პიროვნებისათვის ტიპური და შესაძლო სოციალური სიტუაციების მაქსიმალურად ფართო კლასში მისი ქცევის თავისებურებათა განმსაზღვრელი მახასიათებლები (მაგალითად, Occupational Personality Questionnaires – OPQ).

პირველი ჯგუფის სატესტო მეთოდებში განასხვავებენ ფსიქოლოგიური ან ფსიქომეტრიული ტესტების სამ ძირითად ტიპს: ა) მაქსიმალური შესაძლებლობების ან უნართა

ტესტები, ბ) ტიპური შესრულების ტესტები, რომლებიც მოიცავენ პიროვნულ და მოტივაციასთან დაკავშირებულ კითხვარებს და გ) ინტერესების ინვენტორებს.

არსებობს უნართა ტესტების სხვადასხვა ტიპი:

- საკვალიფიკაციო ტესტი - შექმნილია მიღებული განათლებისა და სწავლების შედეგების შესაფასებლად;
- შესაძლებლობების ტესტი - ზომავს მომავალში ცოდნისა და გარკვეული სამუშაო ჩვევების (მაგალითად, ხელობის) მიღების უნარს;
- IQ ან ზოგადინტელექტის ტესტი - აფასებს ზოგად ინტელექტს (ხდება მისი განვითარების დონის გამოთვლა).

ზოგადი ინტელექტის ტესტები

ზოგადი ინტელექტის ტესტი ან IQ აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევს როგორც საზოგადოებაში, ასევე, აკადემიურ წრეებში. ინტელექტის, როგორც ერთიანი მახასიათებლის განსაზღვრა, ძალიან რთულია. ინტელექტის ტესტებისადმი ორი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა სპირმანისა ((Spearman, გაერთიანებული სამეფო) და მოგვიანებით გილფორდის (Guilford, აშშ) მიერ.


ბრიტანულ ფსიქოლოგიაში არსებობს ტრადიცია, რომ შექმნან ასეთი სახის ძალიან განზოგადებული ტესტები. ქვემოთ მოცემულია ზოგადი კითხვების მაგალითები ინტელექტის ტესტიდან:

1. მოცემულია ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის აღმნიშვნელი სიტყვები. მონიშნეთ ოჯახის იმ წევრის შესაბამისი ასო, რომელსაც მხოლოდ ერთი უფროსი თაობა ჰყავს.

A	B	C	D	E
დიდი ბებია	მამიდა	ძმის შვილი	ბაბუდა	დედა

2. განარბეთ რიგი მოძღვრო ერთი რიცხვით: 7, 14, 28, ...


3. ქვემოთ მოცემული, სიბრტყეში განლაგებული ფიგურებიდან, თუ პირველ ფიგურას შეესაბამება მეორე, ჩამოთვლილთაგან (A, B, C, D, E) რომელი შეესაბამება მესამეს?



გასული საუკუნის დასაწყისში ჩარლზ სპირმანმა შეიმუშავა ინტელექტის იერარქიული მოდელი. მის სათავეში განათავსა "გ", ჰიპოთეტური ზოგადი აზროვნების უნარი,

რომელიც მემკვიდრეობით იყო განპირობებული. სპირმანის მოდელის უფრო გაუმჯობესებული ვერსია შემუშავებულ იქნა ვერნონის (Philip Ewart Vernon, ბრიტანეთი) მიერ (1960).

ზოგადი ინტელექტი



ინტელექტის კიდევ ერთი მოდელი შეიმუშავა გილფორდმა. იგი გამოყოფს ინტელექტის სხვადასხვა სახეს. მაგალითად, ანსხვავებს, ერთი მხრივ, ინფორმაციის დამახსოვრების უნარს და, მეორე მხრივ, პრობლემის ახალი გზებით გადაჭრის უნარს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგადი ინტელექტის დიფერენცირებული მოდელი აქცენტს აკეთებს სპეციფიკურ უნარებზე. დიფერენცირებული მიდგომა, განსაკუთრებით კი სამუშაოსთვის საჭირო უნარ-ჩვევების კარგ ანალიზთან ერთად, წარმოადგენს შერჩევის უფრო ეფექტიან ხერხს, ვიდრე ზემოთ ნახსენები ზოგადი IQ ტესტი.

ტესტების დიდი ნაწილი აგებულია ინტელექტის დიფერენცირებული მოდელის საფუძველზე. ტესტები განსხვავდება სირთულის სხვადასხვა დონით: ზოგიერთი ტესტი მოითხოვს მხოლოდ ინფორმაციის გაგებას, ზოგი - ინფორმაციის გადამუშავებასაც, ხოლო ყველაზე მაღალი სირთულის ტესტები ასევე მოითხოვს ინფორმაციის შეფასებასაც.

შესაძლებლობების თანამედროვე ტესტების ძირითადი კატეგორიებია:

– **ვერბალური:** უზრუნველყოფს როგორც კლერკული სამუშაოებისთვის გათვალისწინებულ გრამატიკისა და მართლწერის ცოდნის შემოწმებას, ასევე, ვერბალური კრიტიკული აზროვნების დონის შეფასებას. ძირითადად გამოიყენება მენეჯერებისა და უმაღლესი საგამანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის;

– **რიცხვითი:** აფასებს რიცხვებთან მუშაობის უნარს მართივით არითმეტიკული ამოცანებიდან, რიცხვითი კრიტიკული აზროვნების ჩათვლით, სადაც პასუხის გასაცემად საჭიროა სამუშაო/ბიზნეს მონაცემების გამოყენება;

– **დიაგრამული:** ზომავს ლოგიკური აზროვნების განვითარების დონეს აბსტრაქტული ფიგურებისა და დიაგრამების საშუალებით. გამოიყენება ისეთ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს გრაფიკულ მონაცემთა დაშვებას;

– **მექანიკური:** წარმოადგენს მექანიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ ამოცანებს, რომელიც, ძირითადად, გრაფიკულად ილუსტრირებული სახით არის წარმოდგენილი. გამოიყენება როგორც დამხმარე (apprentice), ასევე, საინჟინრო სამუშაოებისთვის;

– **სივრცეში ორიენტირება:** აფასებს სივრცეში ფიგურების ბრუნვის (როტაციის) წარმოდგენის უნარს. შეესაბამება დიზაინერულ სამუშაოს და, ასევე, ნებისმიერი სახის სამუშაოს, რომელიც მოითხოვს იმის გააზრებას, თუ როგორ ერგება რაიმე საგნის სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს;


– **კლერკული:** ზომავს შეცდომების ამოცნობის სისწრაფესა და აკურატულობას სხვადასხვა სახის ჩამონათვალში, კომპიუტერულ მონაცემებში და ა. შ. ასევე, აფასებს ცხრილების შევსებისა და მონაცემთა კლასიფიცირების გარკვეული ჩვევების განვითარების დონეს;

– **მოქნილობა:** აფასებს ხელის სისწრაფესა და აკურატულობას, ასევე, კოორდინაციის უნარს. გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორცაა, მაგალითად, პილოტების შერჩევა, ამწყობი მუშების შერჩევა;

– **მგრძობელობა:** ზომავს მხედველობის სიმახვილეს, ხმისა და ფერების განსხვავების უნარს. გამოიყენება სამუშაოების შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს აპარატთან, მოწყობილობასთან ოპერირების უნარს, მაგალითად, სამხედრო შინაარსის მქონე სამუშაოები. ასეთი ტესტების კარგი

მაგალითია იშიჰარას დალტონიზმის ტესტი (Ishihara Test of Colour Blindness).

ქვემოთ მოცემულია შესაძლებლობების თანამედროვე ტესტების ძირითადი კატეგორიები.



შესაძლებლობების ტრადიციულ ტესტებთან ერთად ძლიერ იზრდება სიმულაციური (მოდელირებული) დავალებების მეთოდის პოპულარობაც, განსაკუთრებით მაღალი რგოლის მენეჯერთა პოზიციებისთვის. მაგალითად, შემოსული დოკუმენტაციის დამუშავების სავარჯიშო, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის წერილების, მემორანდუმებისა და ინფორმაციისგან. იგი აფასებს ისეთ თვისებებს, როგორცაა: ორგანიზება, პროგნოზირება, გადაწყვეტილების მიღება და წერილი კომუნიკაციები.

სამუშაოს ნიმუშის ტესტები

ასეთი ტესტები აგებულია სამუშაო დავალებების ნიმუშებზე. ისინი ძირითადად გამოიყენება ისეთ სამუშაოებთან დაკავშირებით, სადაც მნიშვნელოვანი დავალებები შეიძლება შედარებით მარტივად ამოვიცნოთ, მაგალითად, პერანგზე მანქეტის დაკერება. ეს ისეთი დავალებაა, რომელიც შესაძლოა გამოვიყენოთ მკერავების დაქირავებისას.

სამუშაოს ნიმუშის ტესტების უპირატესობებია:

- ისინი შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს და მათი ვარგისიანობა კანდიდატისთვის თვალსაჩინოა;
- ასეთი სახის ტესტები განაპირობებენ თვითშეფასებას. ის აპლიკანტი, რომელიც აღმოაჩენს, რომ ტესტი რთულია, გაიტანს საკუთარ განაცხადს.
- სამუშაოს ნიმუშის ტესტების ნაკლოვანებებია:
- მათი ადმინისტრირება საკმაოდ რთულია და დიდ დროსა და კონკრეტულ საქმიანობაში გამოცდილ ხელმძღვანელს მოითხოვს;
- ტესტის ადმინისტრირება კანდიდატთა ინსტრუქტირებისა და პროცედურის მომზადების თვალსაზრისით შესაძლებელია არაერთგვაროვანი იყოს, რაც აუცილებლად იმოქმედებს ტესტის სანდოობაზე. ამიტომ, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თვით სატესტო ამოცანებისა და შედეგების ათვლის სტრუქტურირებასა და სტანდარტიზაციას.

ქულათა ინტერპრეტაციის ტიპები

სამუშაოს ნიმუშის ტესტი წარმოადგენს სამუშაოს სფეროზე დამოკიდებული (domain-referenced) ტესტის მაგალითს. ამ შემთხვევაში შედეგი დაკავშირებულია საქმიანობაში დახელოვნების, პროფესიონალიზმის დონესთან ან კონკრეტული მოქმედების წარმატებით შესრულებასთან. შესაძლებლობების ტესტების უმრავლესობა არის ნორმებზე

დამოკიდებული (norm-referenced), როდესაც შეფასების ქულების მნიშვნელობები დამოკიდებულია შესაბამისი ნორმატიული ჯგუფის ქულებზე. იქ სადაც არსებობს სტატისტიკურად დამტკიცებული კავშირი შეფასების ქულებსა და რაიმე გარეგან საზომს შორის (მაგალითად, სწავლების კურსის შედეგი), ქულათა ინტერპრეტაცია ხდება ამ კავშირის საფუძველზე და ამ მეთოდს კრიტერიუმზე დამოკიდებულ (criterion-referenced) ინტერპრეტაციას უწოდებენ.

პიროვნული კითხვარები

ინტერვიუს სუბიექტურობის გამო, პიროვნული თვისებების კვლევისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია პიროვნული კითხვარები.

მსგავსი ინსტრუმენტები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს ფრანცის გალტონის (Francis Galton, ინგლისი) კვლევებში მენტალური წარმოდგენების შესახებ. მისი გაცხადება, რომ „ადამიანის ხასიათი, რომელიც ფორმას აძლევს ქცევას, არის განსაზღვრული და მტკიცე რამ და შესაბამისად... აზრი აქვს, რომ ვცადოთ მისი გაზომვა“, დიდად არ განსხვავდება იმდროინდელი შეხედულებებისგან პიროვნულობის შესახებ. ამის საფუძველზე მან შეიმუშავა ტესტები, როგორც პიროვნების აღქმისა და გრძობების შინაგანი სამყაროს შესასწავლი სტანდარტული პროცედურები.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვუდვოროთმა შეიმუშავა პიროვნული კითხვარი „პიროვნული მონაცემების ფურცელი“ (Personal Data Sheet) ამერიკული ჯარისთვის სამხედროების შერჩევის მიზნით. ეს ინვენტორი იმისთვის გამოიყენებოდა, რომ გამოეკვლინათ მეომრები, რომლებიც ვერ გაუძლებდნენ ბრძოლას. აღნიშნული კითხვარი წარმოადგენს ე. წ. „მორგების ინვენტორთა“ (adjustment inventories) წინამორბედს.

სამუშაოზე აყვანის პიროვნული კითხვარი (OPQ)

OPQ შექმნილია იმისათვის, რომ გამოიკვლიოს და შეაფასოს ინდივიდისთვის დამახასიათებელი ტიპური ქცევები, რომელთაც იგი უპირატესობას ანიჭებს სამუშაოს შესრულების პროცესში. აღნიშნული ტექნოლოგია ჩამოყალიბდა და პირველად გამოიყენეს 1984 წელს ბრეტანეთში. მას შემდეგ რეგულარულად ხდება მისი განახლება. იგი თარგმნილია და ადაპტირებულია მრავალ ენაზე და ფართოდ გამოიყენება საქმიან სფეროში.

OPQ-ს მრავალმხრივი გამოყენება აქვს: პერსონალის შერჩევა, განვითარება, ჯგუფის შექმნა, პროფორიენტაცია და ა. შ. მისი ყველაზე დეტალური ვერსია არის OPQ32 მოდელი. იგი ყოფს პიროვნების ტიპური ქცევის ასპექტებს დედუქციური გზით მიღებულ 32 სკალად, რომლებიც უკავშირდება ადამიანებთან ურთიერთობას, აზროვნების სტილს, გრძობებსა და ემოციებს.

OPQ32 იყენებს შეფასების ორგვარ მიდგომას: ა) ნორმატიული, რომელიც მოიცავს 1 - 5 რეიტინგულ სკალას ყოველი კითხვისთვის და ბ) იფსიტიური („forced choice“ – „იძულებითი არჩევანი“), რომელიც პიროვნებას აიძულებს გაამახვილოს ყურადღება მისი პიროვნებისთვის ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად მისაღებ ასპექტებზე. ორივე მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები, მაგრამ ითვლება, რომ იფსიტიური მიდგომა უფრო ეფექტიანია ცდომილებების კონტროლის მხრივ. ეს ვერსია ძირითადად გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებთან, მენეჯერებთან

და სხვა სახის პროფესიონალებთან.

არსებობს OPQ-ს მოკლე ვერსიებიც (ფაქტორული მოდელი და ცნებები - Images), რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ არამმართველი პოზიციებისთვის. ასევე, არსებობს ვერსიები, რომლებიც შექმნილია სპეციფიკური სახის სამუშაოებისთვის, მაგალითად, მომხმარებელთან ურთიერთობის სტილის კითხვარი (ვაჭრობასა და მომხმარებელთან უშუალო შეხების მქონე პერსონალისთვის) და სამუშაოს სტილის კითხვარი (მომსახურე პერსონალისთვის).

სამუშაოზე აყვანის ინტერესის ინვენტორები

ინტერესის ინვენტორები შედგება მრავალი კითხვისგან, რომლებიც მოიცავს ჰობის, სასწავლო, სამუშაო ან ზოგადად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ა. შ. იგი გვეხმარება მოვებნოთ ინდივიდისთვის სასურველი სამუშაოს მიმართულება. ინტერესის ინვენტორები ფართოდ გამოიყენება კარიერულ კონსულტაციებში, სადაც მათი გამოყენება უზრუნველყოფს ინტერესების შესახებ არსებულ სტატისტიკურად დამუშავებულ ინფორმაციას. შეიძლება გამოვიყენოთ როგორც იფსიტიური, ისე ნორმატიული სახის კითხვარები. მათი გამოყენება, ასევე, შეიძლება პერსონალის შერჩევის დროს. მაგალითად, კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაჭრობასა და მართვაში პოტენციურად ეფექტიანი მენეჯერის ამოცნობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ რა მოსწონს მას და რა არა.

პროექციული ტექნოლოგიები

პროექციული ტექნოლოგიები პიროვნების შეფასების მეთოდია, როდესაც პიროვნებას აძლევენ სურათს ან რაიმე გაურკვეველ გამღიზიანებელს, როგორცაა, მაგალითად, მელნის ლაქა და სოხოვენ აღწეროს ის საკუთარი წარმოდგენით ან შეთხზას რაიმე ისტორია მის შესახებ. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება ფსიქო-ანალიტიკურ თეორიას, რომ ადამიანებს აქვთ თვისება გამოავლინონ თავიანთი პიროვნულობა გარე სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის ფორმებში.

პროექციული ტექნოლოგიების ნაკლია მათი სტანდარტიზების სირთულე, განსაკუთრებით ქულათა დაანგარიშებისა და ინტერპრეტაციის მხრივ. ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ისინი საერთოდ არ წარმოადგენენ ტესტებს და იმდენს გვეუბნებიან ინტერპრეტატორის შესახებ, რამდენსაც თვითონ ცდის პირის შესახებ.

პროექციულ ტექნოლოგიებს ახასიათებს სამუშაოს შესახებ ყოველმხრივი, სრულფასოვანი მონაცემების ნაკლებობა და საჭიროებენ მნიშვნელოვან ყურადღებასა და სწავლებას მათი გამოყენებისა და შედეგების ინტერპრეტაციისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით პროფესიულ ტესტირებას საქართველოს პირობებში მეთოდოლოგიური ხასიათის მთელი რიგი სირთულეები ხვდება. ასე, მაგალითად, თანამედროვე ფსიქომეტრიკის მოთხოვნების მიხედვით, ახალ პოპულაციაში ან ახალი მიზნით ტესტის კორექტულად გამოსაყენებლად აუცილებელია წინასწარი ფსიქომეტრიული ექსპერიმენტების ჩატარება ახალ პირობებში ტესტის სანდობის, ვალიდობისა და რეპრეზენტატულობის შესამოწმებლად. ერთი პოპულაციიდან მეორეში ტესტის გადატანამ, სულ მცირე, სატესტო ქულების განაწილების ერთგვაროვნების (ე.ი. სატესტო ნორმების მდგრადობის) შემოწმების გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სადავინო შეცდომები და უსარგებლო ფსიქოდაიგნოსტიკაზე გაწეული გაუ-

მართლებელი ხარვეზები. სერიოზული შეცდომები შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე, ვალიდობაზე შეუმოწმებელი ტესტების შედეგებით პროგნოზირების მცდელობამ.

SUMMARY

It is well-known that the level and tempo of a society's social-economic development is significantly defined by the society's each member's activeness, initiative, effectiveness and correct value orientation. In connection with this, in modern society the special significance is given to scientific methods enabling to get objective and concrete information about a person's individual differences causing efficiency of his/her studying and performance.

Thus, correct and timely professional orientation and consultancy, professional selection and staff distribution over work places, candidates' selection for industrial training acquire concrete economical expression in modern circumstances. On the other hand correct ability diagnostic has a pronounced humane direction as it helps in selecting professions corresponding to each person's abilities and inclinations considering their individual peculiarities. All this has significant influence upon positive professional motivation and work satisfaction resulting in life satisfaction.

As it is well-known application of various testing methods have important place in professional selecting system of western developed countries. As distinct from this, the attitude towards testing practice was mainly negative in former Soviet Union. As a result in Georgia, application of international professional testing standards meets different methodological difficulties. So, according to the requirements of modern psychometrics, in order

to use a test appropriately in a new population or for new aims, it is necessary to make preliminary psychometric experiment in order to check reliability and validity of the test in new conditions. Shifting a test from one population to another, at least, without the checking the uniformity (i.e. stability of test norms) of test scores distribution, may cause serious diagnostic mistakes and unjustified expenses spent on useless diagnostics. Serious mistakes can be also caused by attempt of prognosis made on test results which are not checked against validity.

Strict observation of the requirements of psychometrics is absolutely necessary while applying tests developed abroad. It must be emphasized that real linguistic, cultural and social difference between local and foreign population is so important that such practice must be evaluated as incorrect (inappropriate) and completely unacceptable.

So, the analysis of present situation existing in professional testing has shown that in order to implement international standards for testing aimed on professional selection in Georgian conditions it is necessary to carry out particular preparatory activities.

ლიტერატურა:

1. Occupational Testing, SHL training academy (2006);
2. Occupational personality Questionnaires, SHL training academy (2006);
1. Intelligence Testing 1928-1978: What Next? by Philip Ewart Vernon (1978).

თარების ტენდენციებს, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულების, ურთიერთობის და აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც აუცილებელია კლიენტთა კმაყოფილების მიღწევის და ლოიალობის მოპოვებისთვის ორგანიზაციაში. ასეთი მენეჯერების განათლების დონე საქმიანობაში მუდმივად უნდა იზრდებოდეს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით მენეჯერმა უნდა მოახერხოს იმ ძირითადი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია:

- ადამიანებთან;
- საშუალო და სტრუქტურებთან;
- სისტემებთან და სტრუქტურებთან;

არც ერთი სფერო არ ქმნის ორგანიზაციული და პროფესიული წარმატების მიღწევის ისეთ საშუალებებს, როგორც კლიენტთა მომსახურება. ის წარმოადგენს თითოეული ორგანიზაციის არსებობის მიზანს. კომპანიები, რომლებიც კარგად ართმევენ თავს ამ ამოცანას, დიდ წარმატებას აღწევენ ბაზარზე ადგილის მოპოვებისა და საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობის საქმეში.

ორგანიზაციები, რომლებიც არინტერესდებიან კლიენტთა საჭიროებებით, რომელთა თანამშრომლები ნაკლებად იცნობენ თავისივე კომპანიის პროდუქტს ან არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ, ვერასოდეს აღწევენ წარმატებას. წარმატებულ ორგანიზაციებში თანამშრომლები კარგად არიან მომზადებული და ფლობენ სრულ ინფორმაციას. ასეთი ორგანიზაციები მუდმივად ცდილობენ ინფორმაციის მიღებას დაინტერესებული პირებისაგან და შესაბამისად მოქმედებენ.

ცნობილია, რომ ხშირად კლიენტთა დაკარგვა ხდება არა იმიტომ, რომ პროდუქციის ხარისხი ან ფასი იყო ცუდი, არამედ იმიტომ, რომ მათ აღარ მოეწონათ მათდამი მოპყრობა. აქედან გამომდინარე უნდა მიექცეს ყურადღება მართვის ძირითად ფუნქციებს, რადგან ის კლიენტთა მომსახურებას ეხება. უამრავ ქმედებას, რომელსაც ადამიანებთან მუშაობისას მივმართავთ, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს კლიენტის კმაყოფილებასა და ლოიალობის მოსაპოვებლად.

ურთიერთობის წარმატებას კლიენტი წყვეტს. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობის სხვა მხარეც. სინამდვილეში ჩვენ არ შეგვიძლია ურთიერთობის კონტროლი, რადგან ჩვენ მიერ გადაცემული მესიჯის მნიშვნელობას მხოლოდ კლიენტი განსაზღვრავს. ადამიანთა უმრავლესობა კი ფიქრობს, რომ შეუძლიათ თავიანთი ურთიერთობის 100 პროცენტის გაკონტროლება. ეს არც ისე მარტივია.

მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ურთიერთობის აბსოლუტური გაკონტროლება, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია მათზე შემოქმედების ეფექტიანი გზების გამონახვა.

სხვა ადამიანთან ურთიერთობა მეცნიერება არ არის - ეს ხელოვნებაა! არ არსებობს ამ ხელოვნების დაუფლების რაიმე ზუსტი და ჯადოსნური რეცეპტი.

ურთიერთობის ხელოვნება ხშირად გატკეპნილი გზით სიარულზე უარის თქმის უნარს გულისხმობს. კარგი ურთიერთობა არ ნიშნავს ხმამაღალ, ემოციურ ან გულწრფელ ლაპარაკს. ის შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული სხვებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობის გაზრდასთან, არც ჩვენთვის სულ უფრო სასურველი მესიჯის მიღებასთან. ის მხოლოდ და მხოლოდ უფრო მეტ ურთიერთგაგებას მოითხოვს. კარგი ურთიერთობა ნიშნავს სამყაროს იმ ადამიანის თვალთ

აღქმის უნარს, ვისთანაც ასეთი ურთიერთობის დამყარება გსურთ. ამის გათვალისწინებით, კლიენტის კმაყოფილება კარგი ურთიერთობების დამყარებით და მომსახურებაში მათი სურვილების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. თუ ჩვენ მომსახურებას აღვიქვამთ, არა როგორც მოვალეობას, ანდა ვაღდებულებას კლიენტის მიმართ, არამედ შევხედავთ მას, როგორც ხელოვნებას, ჩვენი წარმატება გარანტირებული იქნება. სწორედ ამ მიდგომებით არის გამორჩეული თანამედროვე მომსახურება: გავითვალისწინოთ კლიენტის სურვილები და ჩავრთოთ იგი მომსახურების პროცესში.

• ორგანიზაციისთვის კლიენტთა მომსახურების მართვა რთული ამოცანაა, რომელიც მუდმივ სიფხიზლესა და ძალისხმევას საჭიროებს. მენეჯერებს მიზნების მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როცა მჭიდროდ თანამშრომლებს სხვა ადამიანებთან. ეს მოითხოვს ტაქტს, ურთიერთობის დამყარების ცოდნასა და მოტივირებას.

• მენეჯერის წარმატების გასაღებს წარმოადგენს სწორი კითხვების დასმის უნარი და კრიტიკისთვის მზადყოფნა. მენეჯერის საქმიანობაში ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ქმედებად ითვლება კარგი განზრახვების განხორციელება სტრატეგიაში, რომელსაც იმუშავებს.

• ყოველი მენეჯერი თავის საქმიანობას სხვადასხვაგვარად წარმართავს. მომსახურებაში მენეჯერის როლი დიდია, რადგან მას ევალება მენეჯმენტის, როგორც ცოდნის დარგის მეცნიერული მეთოდების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს არც თუ ისე ადვილია, რადგან თითოეულ მენეჯერს გააჩნია განსხვავებული მიდგომა და მეთოდები, აქვს მართვის განსხვავებული სტილი .

• მენეჯერის მუშაობაში არსებობს საქმის შემოქმედებითი მხარე. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აიღოს საღებავები და წაუსვას ტილოს, მაგრამ მხოლოდ ნამდვილ მხატვარს შეუძლია მისი სწორად განაწილება, რათა მიღწეოს მაღალმხატვრულ ეფექტს. ასევეა მენეჯერის შემთხვევაშიც. იგი თავის ტალანტს იყენებს სხვადასხვა სფეროში: ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, ნებისმიერი ტიპის პრობლემის გადაწყვეტის უნიკალურობა, კონცეპტუალური (კონცეფცია-მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგება, შეხედულებათა სისტემა) სიახლეები. თუ მეცნიერული ცოდნა და მართვის სიახლეები შეიძლება შეისწავლო და აითვისო, შემოქმედებითი უნარი ბუნებით გენიჭება, იგი ვითარდება გამოცდილებითა და განათლებით. შესაბამისად, შემოქმედებითი უნარის ეფექტურად გამოყენება და რეგულირება მომსახურებაში, საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

ლიტერატურა:

1. ი. მარგალიტაძე - მენეჯერის უნარ-ჩვევები; თბილისი. 2009.
2. თ. ზომერიკი- მენეჯმენტი; თბილისი. 2000.
3. ჯ. ქოული - მენეჯმენტი; თბილისი. 2002.
4. მ. შელია, მ. ვასაძე, მ. კობიაშვილი, გ. ზომერიკი - მომსახურების ხელოვნება; თბილისი. 2008.
5. ო. ზუმბურიდი - მენეჯმენტის საფუძვლები; თბილისი 2008.
6. R.L. Daft, Management, 2003.
7. C.R. Bell, Customers as Partners (San Francisco: Berret-Koehler Publishers, 1994).
8. Customer Service Manager's Handbook of People Power Strategies (Englewood Cliffs,NJ: Prentice Hall), 1989.

ტყის პროდუქტების მრეწველობაში გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობა

თ. ხმელიძე, სტუ-ს სრული პროფესორი
თ. კანიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის დაკმაყოფილება მერქნით ერთ-ერთი პირველი ამოცანაა, რადგან მრეწველობა და მშენებლობა ყოველწლიურად ზრდის მოთხოვნას მერქანპროდუქტებზე.

მასიურ მშენებლობაში ხის კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება ითვალისწინებს მშენებლობის რაოდენობრივ უზრუნველყოფას მაღალხარისხოვანი მერქნით, თუმცა უშუალოდაა დაკავშირებული მერქანპროდუქტების თვითღირებულების შემცირებასთან. დღეისათვის არსებული მერქნის ნედლეულის ბაზის მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შესაძლებელია ტყითსარგებლობის ეფექტურობის ამაღლებით, მერქნის კვლავწარმოების გაზრდით და არსებული რეზერვების მხედველობაში მიღებით.

დასახული ამოცანის რეალიზაცია უზრუნველყოფს მოწინავე სამეცნიერო - ტექნიკური მიღწევების დანერგვას, აგრეთვე საშენი მასალების და კონსტრუქციების წარმოებისათვის ფოთლოვანი ჯიშის მერქნის გამოყენებას, რაც საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ტყეების 75% ფოთლოვანი ჯიშისაა, 25%-წიწვოვანის. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული წიწვოვანი მერქნის (ნაძვი, ფიჭვი) დაბალი ხარისხი (მომეტებული როკიანობა) ევროპულ და რუსულ ჯიშებთან შედარებით, რაც დღის წესრიგში აყენებს ქართული ფოთლოვანი ჯიშის მერქნის უპირატეს გამოყენებას.

ფოთლოვანი ჯიშის მერქანი (წიფელი, მუხა, კობიტი, თელა, თხმელა, აკაცია) უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში კუსტარული სარეწების

ორგანიზაციაში, რომელთა შემცირებამ გასული საუკუნის 60 - იანი წლებიდან არა მარტო გაართულა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები დეფიციტური ფოლადის ნაკეთობების შემოსვლით, არამედ გააძევა ხალხის ცხოვრებაც.

ქვემოთ ჩამოთვლილია არასრული დასახელება ფოთლოვანი ჯიშის მერქნისაგან დასამზადებელი ნაკეთობებისა, რომელთა წარმოებაც მარტივად შეიძლება ორგანიზებულ იქნას (ინდემწარმე, მცირე საწარმო, შპს და სხვა) ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებთან ან კერძო სახლებშიც და რომელთა მასალით მომარაგება შეიძლება ვაწარმოოთ ტყის შერჩევითი ან სანიტარული ჭრის შედეგად. ასეთ ნაკეთობებს მიეკუთვნება:

- მარტივი ტიპის ავეჯი;
- საღურგლო ნაკეთობები: კარი, ალათა, პარკეტი, პლინთუსი, თარო, მაგიდა, სკამი, კარადა, ჩარჩო, რაფა, სკივრი, სკა, ყუთი, ღარი და სხვა;
- სახარატო ნაკეთობები: ინსტრუმენტის სახელურები, კოვზები, სათამაშოები, მოწყობილობების ნაწილები და სხვა;
- საყოფაცხოვრებო ნივთები: კასრი, ჩამჩა, ჩარჩო,

გოგზა, ხუნდი, გისოსი, ცხაურა, ვარცლი, გობი და სხვა.

- სასოფლო სამეურნეო ნაკეთობები: ხის ნიჩაბი, ცოცხი, საწვეარი, ფოცხი, ფოცხის კბილები, რკინის ნიჩბის და ფოცხის ტარი და სხვა.

- საზიდავი, ურიკა, ციგა, მშვილდი, ხელნა, ოთხთვალა;

- სახურეო ნაკეთობები: ბოძი, თამასოვანი ღობე და სვა.

- მოწნილი ნაკეთობები: კალათი, ავეჯი, კალანჩხა, ტირიფის ტოტებისაგან დაწნული სამგიდე ინვენტარი და სხვა.

საქართველოში მოსაჭრელი ტყის ფართობები პრაქტიკულად გაჩანაგებულია, ამიტომ უახლოეს წლებში მოსალოდნელი არ არის მერქანწარმოების ზრდა ადგილობრივ ნედლეულზე დაყრდნობით.

საქმიან მერქანზე მწვავე სამშენებლო დეფიციტის შემცირება შესაძლებელი იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- მშენებლობაში ხის სამშენებლო კონსტრუქციების მასალატევალობის შემცირება;

- ფოთლოვანი ჯიშის მერქნის გამოყენების სფეროს გაფართოება;

- ხის ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის ბაზარზე წარმოებების შექმნა, რომლებიც ბაზარს მიაწვდის იაფ მერქანბოჭკოვან და მერქანბურბუმელოვან ფილებს, აგრეთვე სხვადასხვა დაწნეხილ ამსალებს;

- მრეწველობაში მშენებლობის სასარგებლოდ საქმიან მერქნის მოხმარების რაოდენობრივი შემცირება;

- ერთობლივი საწარმოების შექმნა მერქნით მდიდარ ქვეყნის ფირმებთან, რომლებიც იმუშავებს ამ ქვეყნიდან შემოტანილ ნედლეულზე;

- მერქანპროდუქტების იმპორტის ზრდა;

ტყის პროდუქტების მრეწველობაში გამოყენების ეფექტურობის შეფასებისათვის განვიხილოთ საქმიანი მერქნის სახალხო მეურნეობის რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი.

შესაფუთი ტარა. რუსული ლიტერატურული მონაცემებით [3] მე- 20 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ტარის დასამზადებლად ყოველწლიურად გამოიყენებოდა 74 – 80 მლნ.კუბ.მ წიწვოვანი ჯიშის მერქანი, რაც მშენებლობაში გახარჯული მერქნის შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობა იყო. ტარა ძირითადად იხმარება საკვები და სამრეწველო პროდუქციის შესაფუთად. საქართველოში ბოლო ოცწლეულში შეინიშნება პლასტმასის ტარის მოზღვაება, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა წიწვოვანი მერქნის გასავალი მისი ღირებულების 2-3 ჯერ გაზრდის ხარჯზე, რაც უარყოფიდათ აისახება მცირე და უშუალო ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვფიქრობთ, რომ ქართულ ბაზარზე უნდა დაბრუნდეს ხის ტარა, რომელიც დამზადდება ფოთლოვანი ჯიშის მერქნისაგან. ტარისათვის ასევე მნიშვნელოვანია მუყაოს გამოყენება, რომლის

წარმოება, ინგინის ცელულოზა- ქაღალდის კომბინატის დახურვის შემდეგ, პრაქტიკულად არ ხდება და მუყაოს ტარის მოხმარება მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. მუყაოს ტარის გამოყენების ეფექტურობა ასეთია – 1 ტ ტარა ან სამშენებლო მუყაო წარმატებით 9 კუბ.მ დახერხილ ხის მასალას ანუ 13 კუბ. მრგვალ მორს.

მართალია მცირე ზომის ტარის ნაცვლად უკეთესია პროდუქციის გადასაზიდად კონტეინერული სისტემის გამოყენება, მაგრამ ჩვენი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დონე ყოველთვის არ იძლევა ამის საშუალებას, ამიტომ მცირე ზომის ტარის (ყუთების) დამზადებას და რეალიზაციას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

რკინიგზის შპალები. შპალებისათვის გამოიყენება მაღალი ხარისხის წიწვოვანი ჯიშის მერქანი. ფართოლიანდაგებიანი რკინიგზის შპალი 3 ტიპისაა - მთავარი, სასადგურე (მისასვლელი) და სამრეწველო ობიექტების ნაკლებად დატვირთული გზებისათვის. იგი შეიძლება იყოს ნაშურიანი, ჩამოხერხილი მხოლოდ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეზე და სუფთა, ჩამოხერხილ ოთხივე მხარეზე. I ტიპის შპალის სისქეა 180 მმ, ზედა ფენის სიგანე – 165 მმ, ქვედასი – 250 მმ; II ტიპის შპალის სისქეა 160 მმ, ზედა ფენის სიგანე ტოლია სისქის, ე. ი ისიც 160 მმ –ია, ხოლო ქვედა ფენის სიგანეა 230 მმ; III ტიპის შპალის სისქე და ზედა ფენის სიგანე შეადგენს 150 მმ-ს, ქვედა ფენისა კი – 230 მმ.

ლიანდაგებს შორის არსებულ ზომაზე (1524 მმ) დამოკიდებულებით შპალის სიგრძეა 2750 მმ, მძიმე პირობებში მომუშავე შპალებისათვის 2780 მმ, ხოლო იმ უბნებისათვის, სადაც ფართო და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები შეთავსებულია – 3000 მმ. ტენიანობა ≤ 22 %.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში დაიწყო რკინაბეტონის დაძაბულ-არმირებული შპალების გამოყენება, ხის შპალები გაცილებით უკეთესი მონაცემებით ხასიათდება ვიბრაციის ჩაქრობის თვალსაზრისით, ამიტომ ხის შპალების წარმოება აუცილებელია სარკინიგზო საქმის ნორმალური წარმართვისათვის. გარდა ამისა, ამჟამად შპალების მოწოდება რუსეთიდან შეწყვეტილია, არსებული კი საკმაოდ ხანდაზმულია და მოითხოვს სისტემურ შეცვლას.

სამთო გვირაბების სამაგრი და მალაროს დგარები. ქვანახშირისა და სამთო მრეწველობაში დიდი რაოდენობით გამოიყენება მაღალი ხარისხის ხის მორები – დგარების, წოლანების, მისაბჯენების და სხვა სახით. ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნა განუსაზღვრელია როგორც ღია, ისე დახურული მადნის მოპოვებელი წარმოებებისათვის. ნებისმიერ მალაროს ასეთი დგარების დიდი რაოდენობა ჭირდება, რადგან საქართველოში მსხვილი მორების დეფიციტია, ამიტომ მიზანშეწონილია ხის დგარების (სამაგრების) ნაცვლად გამოვიყენოთ ლითონის გადასადგილებელი კონსტრუქციები, ან უპირატესობა მივანიჭოთ მადნის მოპოვების ღია მეთოდს, თუ ის ეკოლოგიურად ზიანს არ აყენებს გარემოს. ასეთი მიდგომით ბოლო 50 წლის განმავლობაში რუსეთში მოთხოვნა ამ პროდუქციაზე კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა ≈ 10 % - ით, ანუ ყოველწლიურად ქვანახშირის მრეწველობის სახით მიიღება საქმიანი მერქნის ეკონომია 20 მლნ. კუბ.მ – ის რაოდენობით, ხოლო საქართველოში ტყიბულის თუ

ჭიათურის მალაროებში, სამაგრი მასალების დეფიციტის გამო, მწვავედ დგას შრომის უსაფრთხოების საკითხი.

ცელულოზა-ქაღალდის წარმოება. ამ მიმართულებით მერქანზე მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებულია მერქნის ნედლეულის ქიმიურ გადამუშავებაზე, ყოველწლიურად მატულობს, რადგანაც ამ პროდუქციაზე მსოფლიო მაზარზე უზარმაზარი მოთხოვნაა. პერსპექტივაში ეს მოთხოვნა კიდევ გაიზრდება, რადგანაც ქაღალდი და მუყაო შედის ადამიანების ყოველდღიური მოხმარების საგნების რიცხვში.

აუცილებელია საქართველოში კვლავ აღდგეს ცელულოზა – ქაღალდის კომბინატი, რომელიც იმუშავებს ადგილობრივ ნედლეულზე და დააკმაყოფილებს შიგა ბაზრის მოთხოვნებს.

ხის ნებისმიერ წარმოებას თან ახლავს საკმაო რაოდენობის ნარჩენები ნაფოტების, ნახერხების, ბურბუმელის სახით. ამ ნარჩენების გადასამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზის ამუშავება ქვეყნის ეკონომიკისათვის ერთ-ერთი ეფექტური მიმართულებაა. ხის ნარჩენები – უნივერსალური პროდუქტია, რომელიც მიიღება ნებისმიერი ჯიშის მერქნისაგან. ერთი კუბ. მეტრი ნარჩენი თავისუფლად ცვლის ერთ კუბ. მეტრ მრგვალ მასალას. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება დიდადაა დამოკიდებული ტექნოლოგიური ნარჩენების ხარისხზე, რომლის უზრუნველყოფა მოითხოვს ნარჩენების დახარისხების სწორ ორგანიზაციას და ნედლეულის გაწმენდას ქერქისაგან.

ნარჩენებისაგან (სიგრძე 12-20 მმ, სისქე 2-3 მმ) მიიღება ძვირფასი პროდუქტი – ცელულოზა, რომლისაგანაც იწამოება ქაღალდი და მუყაო.

საქართველოში მერქნის გამოყენების პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს ფოთლოვანი ჯიშის მერქნის გადამუშავება სხვადასხვა პროდუქციის და პირველ რიგში ქაღალდის მისაღებად. ფოთლოვანი ჯიშის მერქნისაგან ქაღალდის მისაღებად. ფოთლოვანი ჯიშის მერქნისაგან ქაღალდის წარმოება განვითარებულია ისეთ ქვეყნებში როგორცაა აშშ, კანადა, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ფინეთი და იაპონია, რაც შეეხება რუსეთს, იქ ქაღალდის წარმოებაში ძირითადად გამოიყენება წიწვოვანი ჯიშები, რომლითაც ძალიან მდიდარია ეს ქვეყანა.

მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუმელოვანი ფილები. ეს მასალები ითვლება პროგრესულ სამშენებლო მასალებად, რადგანაც პასუხობს ხის მასალების გამოყენების ეფექტურობას. მერქანბოჭკოვანი ფილები (ДВП) მერქნის ან მისი ნარჩენების დაქუცმაცებით მიღებული ქაოსურად განლაგებული ბოჭკოების კანიფოლის ეშულსით შექმნებით მიიღება. ზოგჯერ უმატებენ ფენოლ-ფორმალდეჰიდურ ფისსაც. სიმკვრივე –

250-1000 კგ/კუბ.მ. ექვემდებარება ანტიესპტირებას. გამოიყენება როგორც კონსტრუქციულ, ასევე შემოფარგვლელ მასალად.

მერქანბურბუმელოვანი ფილები (ДСП) მზადდება მერქნის ბურბუმელისაგან (ან სხვა სხის ნარჩენებისაგან), რომელიც თერმორეაქტიული ფისით არის გაყენითილი. ფილებს აქვთ მაღალი სიმტკიცე ყველა მიმართულებით და გლუვი ზედაპირი.

ამჟამად ასეთი ფილების მშენებლობაში გამოყენების წილი გამოყენებული მერქნის დაახლოებით 10 % - ს

შეადგენს. იგი შემოგვაქვს რუსეთიდან და თურქეთიდან, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგანაც ასეთი მასიური მოთხოვნების ფილების დამზადებას არ ჭირდება რთული ტექნოლოგიური ხაზები და მისი წარმოების გამართვა ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის, მითუმეტეს, რომ ჩვენთან მოქმედი ხის საამქროების უმეტესობა ნარჩენებს მხოლოდ საწვავ მასალად იყენებს.

თუ გადავხედავთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს, ვნახავთ, რომ ასეთი ფილების წარმოების მოცულობა ყველგან იზრდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი მოსაზრებების სასწორეს. ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, სადაც მოცემულია მერქნის ნარჩენების გამოყენების შესაძლო მიმართულებების შედარებით ეკონომიკური ეფექტურობა.

ცხრილი 1.

№	ხის ნარჩენების გამოყენების სახეობები	პროდუქციის გამოსავალი 1 კუბ. მ ნარჩენებიდან, კუბ. მ	ეკვივალენტური რაოდენობა შემცველი დახერხილი მასალის, კუბ. მ	პროდუქციის ღირებულება 1 კუბ.მ – ზე, ლარი
1	დახერხილი ხის მასალის წვრილი სორტიმენტი	0,42	0,42	0,52
2	დაწებებული ხის პროდუქცია	0,54	0,81	1,11
	მერქანბურბუშელოვანი ფილები (ДСП)	0,69	1,72	1,66
	მერქანბოჭკოვანი ფილები (ДВП)	0,36*	1,44	1,72
	სატარე მუყაო	0,27*	3,2	1,62

* სასარგებლო გამოსავალი, ტ

თუ მშენებლობაში და მრეწველობაში საქმიან მერქანს შევცვლით მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილებით, შედეგები ასეთი იქნება

1 კუბ. მერქნისაგან შეიძლება დავაძალოთ 110 კვ. მერქანბოჭკოვანი ფილა ან 0, 7 კუბ. მერქანბურბუშელოვანი ფილა; 1 კუბ. მერქანბურბუშელოვან ფილებს შეუძლიათ შეცვალონ 14 – 16 კუბ. დახერხილი ხის მასალა.

3. დასკვნა

1. მიზანშეწონილია ქართულ ბაზარზე პლასტმასის ნაცვლად უპირატესად გამოყენებულ იქნას ადგილობრივი წარმოების იაფი ხის ტარა დამზადებული ფოთლოვანი ჯიშის მერქნისაგან.

2. აღსდგეს ინგირის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, რათა ქართული ბაზარი დაიჭვიროს ადგილობრივი წარმოების ნედლეულით (მუყაო, რვეულები, ქაღალდი და სხვა).

3. გაიხსნას მერქანბოჭკოვანი (ДВП) და მერქანბურბუშელოვანი (ДСП) ფილების დამამზადებელი წარმოებები, რომლებიც იმუშავებენ ადგილობრივ ნედლეულზე.

4. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს ეკონომიკისა

და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეამციროს ხის ტარის, ქაღალდის, მუყაოს, მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილების იმპორტი და იზრუნოს ამ ნაკეთობების დამამზადებელი წარმოებების გახსნაზე, რომლებიც იმუშავებენ ადგილობრივ ნედლეულზე და დააკმაყოფილებენ ქვეყნის შიგა ბაზრის მოთხოვნებს.

ლიტერატურა:

1. თ. ხმელიძე. ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008. 210 გვ. ISBN 978-9941-14-136-2.
2. Комар А. Г. Строительные материалы и изделия. – М. : „ Высшая школа „, 1983 – С ю487. ВВК 38. 3. 6С 3.
3. Некрасов А. Н., Голубев В.К. Эфффективность комплексного использования дерево в строительстве. – М. : Стройиздат, 1985. – С. 334. УДК 691. 11. 003 .1.
4. S.W. Nunnanny. Construction Methods and Management. – New Jersey, Columbus, Ohio.

ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

ინვესტირების ძირითადი ეკონომიკური ასპექტები

შალვა სრესელი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



უცხოელი და ქართველი მეცნიერების უმრავლესობის ერთსულოვანი აზრით, უკანასკნელ პერიოდში ფინანსური ბაზრის ყველაზე დინამიურ სექტორად კოლექტიური ინვესტირების სხვადასხვა ფორმები ითვლება. კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების ზრდის უმნიშვნელოვანესი ელემენტი კოლექტიური ინვესტირების ინსტრუმენტებია.

საინვესტიციო ფონდები თავის მოღვაწეობას აგებენ რიგითი მეანაბრეების სახსრების აკუმულირებაზე და მათ განთავსებაზე შემოსავლიან ფასიან ქაღალდებში. ფონდები სახსრების აკუმულირებას ახდენენ საკუთარი აქციების გამოშვებით და გაყიდვით. საინვესტიციო ფონდებს აკუმულირებული სახსრების მიმართვა მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობაზე შეუძლიათ [1].

ამგვარად, რიგითი მეანაბრეების სახსრების მოზიდვით, საინვესტიციო ფონდი აყალიბებს პორტფელს სხვადასხვა სახის საინვესტიციო საქონლით, უმეტესად ფასიანი ქაღალდებით. შესაბამისად, ფონდის ყოველი აქციონერი ან მეწილე ხდება – პორტფელის თავისი წილი შეტანის პროპორციული ზომით, ან მესაკუთრე. იგი ფლობს პორტფელში შემავალი ყოველი ფასიანი ქაღალდის პროპორციულ წილს. ფონდები თავისი ფასიანი ქაღალდების პროპორციული ფორმირებისათვის ქირაობენ გამოცდილ, კომპეტენტურ სპეციალისტებს [3].

საინვესტიციო ფონდები სხვა ფორმირებისაგან განსხვავებით ხასიათდებიან სპეციფიური განმასხვავებელი ნიშნებით:

პირველი: პირები, რომლებიც თავის სახსრებს გადასცემენ საინვესტიციო შუამავალს (მმართველს) თვითონ არიან პასუხისმგებელი ინვესტორებთან დაკავშირებულ რისკებზე.

მეორე: შუამავალი აერთიანებს მრავალი პირის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული) საზღვრებს ცალკეული შენატანების ერთ ფულად ერთეულში დაჯგუფებით და მონაწილეთათვის საინვესტიციო რისკის ერთიანი სქემის გათვლა-გაცნობით.

მესამე: რიგი ტრადიციული ინვესტირების ფორმირებისაგან განსხვავებით (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა) საინვესტიციო ფონდების სქემები არ ითვალისწინებენ წინასწარ შეთანხმებულ ფიქსირებულ გადახდებს.

მეოთხე: საინვესტიციო სქემაში მონაწილე ინვეს-

ტორები ინფორმირებული არიან სახსრების გამოყენების მიმართულებებზე და შეუძლიათ აირჩიონ ინვესტირების მათთვის მისაღები და მოსაწონი მიმართულებები.

კოლექტიური ინვესტირების პოზიტიური როლი, როგორც ცალკეულ ქვეყნების ფინანსური სისტემის, ასევე მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესში რთული შესაფასებელია.

საინვესტიციო ფონდების ყველაზე გავრცელებული და პერსპექტიული უპირატესობანია [2]:

- ეფექტიანობა და საინფორმაციო გამჭვირვალობა;
- დივერსიფიკაცია;
- პროფესიული მართვა;
- ლიკვიდურობა;
- მოხერხებულობა;
- საგადასახადო შეღავათები;
- რეგულირებადობა.

ეფექტიანობა და საინფორმაციო გამჭვირვალობა. გასაგებია, რომ საფონდო ბაზრის შედარებით მაღალ შემოსავლებს თან ახლავს ამ ბაზრის ცვალებადობისა და გაურკვევლობის მაღალი დონე. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საინვესტიციო ფონდების აქციები უნდა განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები. ფინანსურ ბაზარზე რყევების დროს საინვესტიციო ფონდებს არ ახასიათებს პანიკური მოქმედება, ანუ აქტივობის დაცემისას ისინი არ ახდენენ თავისი პაკეტების ლიკვიდაციას.

საინვესტიციო ფონდი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ინვესტორებს სთავაზობს ისეთ შემოსავლებს, როგორც ვერც ერთი ფინანსური ინსტიტუტი ვერ შესთავაზებს. დამატებითი შემოსავალი მიიღება დანახარჯების შემცირების გზით, მასშტაბის ეფექტის გზით, იმდენად, რამდენადაც, რაც დიდია გასაყიდი ან შესაძენი ფასიანი ქაღალდების პაკეტი, მით ნაკლებია გარიგების განხორციელების ღირებულება. სახსრების ვადამდელი გამოხმობის შემთხვევაში ინვესტორს აქვს დამატებითი დანახარჯები და საფრთხე, რომ მისი სახსრები შეიძლება გაიყინოს ხანგრძლივი ვადით.

ფონდების მიერ ინფორმაციის გახსნილობა ხელს უწყობს მეანაბრეთა ინფორმირებულობას და რთულ საბაზო ურთიერთობებში ინვესტორებისათვის საჭირო

გამოცდილების დაგროვებას. ზრდადი კომპეტენტურობა ინვესტორებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები დაბანდების შესახებ. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფასები ყალიბდება ინფორმირებული ინვესტორების ვაჭრობის შედეგად. შესაბამისად, ფასები ასახავს მთლიანად ეკონომიკაში არსებულ ვითარებას.

ბაზარს, სადაც ფასში აისახება სრული ინფორმაცია, სადაც ფასი ყალიბდება ცოდნაზე და ინფორმირებულობაზე დაყრდნობით, ეფექტიან ბაზრებს უწოდებენ. ამგვარი ბაზარი გაცილებით საიმედო და ნაკლებრისკიანია [2].

ლიკვიდობა. ინვესტორებს აქვთ რისკების გაწვევის შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნებში და ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში აქციების ფლობის მეშვეობით. სწორედ ამიტომ, საინვესტიციო ფონდები მიმზიდველია, რამდენადაც იძლევა ახალ საინვესტიციო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობას.

საინვესტიციო ფონდები აღმოცენდა მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში ბანკებთან და სხვა საფინანსო დაწესებულებებთან. ამ კონკურენციის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ბანკებიც, სადაზღვევო ფონდებიც, საინვესტიციო ფონდებიც არიან შუამავლები. შუამავლის სარგებლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ვლინდება მისი მომსახურების აუცილებლობის საჭიროება, რომ რიგითმა მეანბრემ გააცნობიეროს კონსულტაციის ან შუამავლის მომსახურების გარდაუვალობა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შემოსავლები და მოთხოვნა კაპიტალზე მაღალია. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სწორედ მაღალი შემოსავლების მისაღებად უნდა ჩაიდოს დიდი კაპიტალი. საინვესტიციო ფონდები აგროვებენ მრავალი მეანბრის დანაზოგებს, აბანდებენ მათ მრავალ ფასიან ქაღალდში, რის შედეგადაც მიიღწევა ღირებულების ეფექტი.

საინვესტიციო ფონდების არსებობის და წარმატების საფუძველია სწორედ ის, რომ მათ მისცეს საშუალება რიგით ინვესტორებს, მიეღონ შემოსავლები მათთვის სრულიად ახალი წყაროებიდან, რაც გამოხატავს ინვესტორის დაბანდებთან ღირებულების შესაძლებლობას.

საინვესტიციო ფონდების წყალობით ინვესტორებს (მეანბრებს) მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ ღირებულებითი საინვესტიციო პორტფელი, რაც ხელს უწყობს არაკომპენსირებული რისკის შემცირებას და ზრდის კომპენსირებადობის რისკს. რისკის სტრუქტურაში ამგვარი ცვლილება შესაძლებლობას იძლევა რისკისათვის მაღალი კომპენსაცია იქნას მიღებული.

პროფესიული მართვა. მმართველები დიდ დროს და ფულს ხარჯავენ კვლევებისთვის, ანალიზებზე, რომელი აქციები და ობლიგაციები იყიდონ ან გაყიდონ, აქტიურად ვაჭრობენ კაპიტალის ზრდისა და სადავო შემოსავლის გადიდებისათვის. ფონდების მმართველობის საქმიანობა დიდ გავლენას ახდენს საბაზრო აქტივობაზე, ხელს უწყობს ბაზრის სტაბილიზაციას[1].

წვრილ ინვესტორებს ნაკლები გავლენა აქვთ ბაზარზე, გასცემენ რა თავის დანაზოგებს პროფესიონალურ მართვაში. წვრილი ინვესტორი ბაზრისათვის სასიფათოა, ხშირად ვარდება პანიკაში, ხელმძღვანელობს რა ემოციებით, ჭორებით და არა ინფორმაციით და ცოდნით. შესაბამისად, ბაზარი, რომელსაც მართავს არაორგანიზებული

ინვესტორი არამდგრადია და ექვემდებარება მკვეთრ რყევებსა და პანიკას. ბაზარი, სადაც პროფესიონალი ინვესტორები მოქმედებენ წვრილი კლიენტების დაკვეთით, უფრო სტაბილურია.

ლიკვიდობა. კოლექტიური სქემიდან გამოსვლისას ინვესტორებს შეუძლიათ მიიღონ თავისი ფული ჩვეულებრივ რამოდენიმე დღეში. არასაინვესტიციო ფონდი ვალდებულია დააბრუნოს როგორც ძირითადი თანხა, ისე შემოსავალი, მეანბრის მოთხოვნისთანავე ნებისმიერ დროს. დაზარული საინვესტიციო ფონდის აქციები კი მიმოქცევა ბაზარზე, როგორც ჩვეულებრივი კორპორაციის აქციები და ექვემდებარება უპირობოდ თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას.

მოხერხებულობა. აქციების ან პაის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია ბროკერის ან პირდაპირ კომპანიის მმართველის მეშვეობით. ფონდის მეწილეს აქვს მუდმივი უფლება ფონდის შემოსავლის წილზე, იმის მიუხედავად რამდენი ხანია ფლობს აქციებს ან პაის. შემოსავალი შეიძლება მოიტანოს აქციების ან პაის ერთი დღით შექმნამაც კი.

საგადასახადო შეღავათები. მრავალი ქვეყნის მთავრობა განიხილავს ფონდებს, როგორც საინვესტიციო რესურსების მობილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს და ქმნის ხელსაყრელ საგადასახადო რეჟიმს, რომელიც ხელს უწყობს ამ ფონდებში ინვესტიციების შემოღინებას. უმეტეს ქვეყნებში საინვესტიციო ფონდები არ ექვემდებარება საგადასახადო დაბეგვრას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საგადასახადო შეღავათები არ არის, საინვესტიციო ფონდები მაინც მიმზიდველია, აქციებში ან ობლიგაციებში პირდაპირ ინვესტირებასთან შედარებით.

ზოგიერთ ქვეყანაში პოპულარობა შეიძინა საგადასახადო კრედიტების და საგადასახადო გადავადებების სქემებმა, ანუ მომუშავეს შეუძლია თავისი შემოსავლის ნაწილი ჩალოს საინვესტიციო ფონდში, ეს ნაწილი პენსიაზე გასვლამდე თავისუფლდება დაბეგვრისაგან.

რეგულირება. მრავალ ქვეყანაში შემოღებულია ამ სახის ბიზნესის კონტროლისა და რეგულირების მკაცრი სქემები. საინვესტიციო ფონდები ემორჩილებიან მკაცრ კანონებსა და წესებს, რაც საშუალებას აძლევს მათ თავიდან აიცილონ სკანდალები და სხვადასხვა უსიამოვნებანი.

ჩვეულებისამებრ, კომპანიებს აღებული აქვთ ლიცენზია და პასუხისმგებლობა მთელ საქმიანობაზე, რომელზედაც, როგორც სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების, ასევე თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მხრიდან, ზორციელდება მუდმივი კონტროლი. ეს ორგანოები მაღალ მოთხოვნებსა და სტანდარტებს უყენებენ საინვესტიციო კომპანიების მუშაობას და ითავსებენ დამკვირვებლის ფუნქციებს, რაც მოქალაქეებს საინვესტიციო ფონდებისა და მათი მმართველების მიმართ საიმედოობის გრძნობას უნერგავს.

საინვესტიციო ფონდები შექმნისას განცხადებას აკეთებენ, თუ ზუსტად სად იქნება ინვესტირებული მათ მიერ შეგროვილი სახსრები. მის შესახებ ფონდის მონაწილეებს წინასწარ აქვთ სრული ინფორმაცია, რაც საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ ფონდები “გემოვნების” მიხედვით.

თანამედროვე ეტაპზე ფინანსურ ბაზარზე შეიძლება

გამოვყოთ კოლექტიური ინვესტირების რამდენიმე ძირითადი ფორმა: შენატანები კომერციულ ბანკებში, არასახელმწიფო საბენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები. ისინი არსებითად განსხვავდებიან მთელი რიგი ნიშნებით: შემოსავლებით, საიმედოობის ხარისხით, ლიკვიდობით, ინფორმაციის გახსნილობით, სახელმწიფო რეგულირების ხარისხით, მინიმალურ შენატანზე შეზღუდვებით, სარეზერვო მოთხოვნებით და სხვ.

- შემოსავლიანობა – შემოსავლიანობის რა დონეს სთავაზობს ინვესტორებს მოცემული საინვესტიციო ინსტიტუტი;
- საიმედოობა – რამდენად საიმედოა სახსრების ჩადება მოცემულ საინვესტიციო ინსტიტუტში;
- ლიკვიდობა – რამდენად ადვილად და სწრაფად შეიძლება ამოღებული იქნეს ინვესტორების მიერ ჩადებული სახსრები;
- ინფორმაციული გახსნილობა – შეუძლია თუ არა ინვესტორს მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია მათ მიერ ჩადებული სახსრებისა და აღნიშნული საინვესტიციო ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ;
- სახელმწიფო რეგულირება – რამდენად სრულადაა შემუშავებული სახელმწიფო რეგულირების ნორმატიული ბაზა და რამდენად მკაცრად არეგულირებს სახელმწიფო მოცემულ საინვესტიციო ინსტიტუტებს;
- შეზღუდვები მინიმალურ შენატანზე – დაწესებულია თუ არა შეზღუდვები მინიმალურ შენატანზე.
- სარეზერვო მოთხოვნები – დაწესებულია თუ არა მოცემული საინვესტიციო ინსტიტუტისათვის მოთხოვნები სავალდებულო სარეზერვო ფონდების ფორმირებაზე.

ჩატარებული შეფასება გვიჩვენებს, რომ უმრავლესი კრიტერიუმების -საიმედოობა, ლიკვიდურობა, საინფორმაციო გახსნილობა, სახელმწიფო რეგულირების ხარისხი, მინიმალური შენატანის შეზღუდულობის არ არსებობა – საინვესტიციო ფონდში სახსრების დაბანდება უპირატესად ხელსაყრელია [2].

საინვესტიციო კომპანიები, თუ ისინი ჯეროვნადაა დაფუძნებული და მართული, ინვესტირების ძალზედ საიმედო ფორმაა. მათ შეუძლიათ არალიკვიდური ბაზრის პრობლემის, ეკონომიკური ვარდნის, ინფლაციის გადატანა. გარდა ამისა მათ აქვთ მძლავრი სტიმული

დაამტკიცონ, რომ არიან კარგად მართული და იმსახურებენ ინვესტორების ნდობას. წინააღმდეგ შემთხვევაში კერ შეძლებენ ახალი შენატანებით თავიანთი ფონდების შევსებას.

SHALVA SRESELI

THE BASIC ECONOMIC ASPECTS OF INVESTMENT

SUMMARY

In unanimous opinion of the majority of foreign and local experts, the most dynamical sector of the financial market, in last years act various forms collective investments. Tools of collective investments become more and more important element of growth of the international markets of the capital

Investment funds build the activity by accumulation of means of ordinary investors, and their placing between considerable number of profitable securities.

Funds accumulate means of investors by release and sale of own actions by it or shares. The accumulated means can direct investment funds only on investment activity.

ლიტერატურა

1. ქოქიაური ლ. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, I-II ტ, თბ. 2008.
2. Под редакцией Пивоварова С.Э., Тарасевича Л.С., Майзеля А. И. , изд. “ПИТЕР”, 2001.
3. ქოქიაური ლ. ინვესტიციების თეორიული გენეზისი, წიგნი I, თბ. 2007.
4. ა. სიჭინავა, ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა (ლექციების კურსი), 2010.
5. <http://www.economy.e/?category=4&lang=geo&dn=1178>
6. <http://www.eif.org/>
7. http://www.investorwords.com/2613/investment_fund.html

ბანკების საინვესტიციო რესურსების ფორმირების პრინციპები და თავისებურებები

ირინა მამალაძე



ეკონომიკა სხვადასხვა დონეზე ფუნქციონირებადი უამრავი სისტემისგან შედგება და ყოველი მათგანის განვითარებას ორის სახის რესურსები ჭირდება:

- მიმდინარე, მუდმივი და უწყვეტი;
- პერიოდული, კაპიტალური ანუ საინვესტიციო.

თუ კვლავწარმოება რესურსების მიმდინარე ნაკადის ხარჯზე ხდება, მაშინ სისტემა ერთჯერადი ხასიათისაა, ცვეთას განახლება არ მოსდევს და გაქრობა არ ასცდება;

თუ სისტემის კვლავწარმოება მისი გაცვეთილი ნაწილებისა და მთლიანად სტრუქტურის პერიოდული კაპიტალური განახლების ხარჯზე მიმდინარეობს, მაშინ გრძელვადიან სისტემაზეა საუბარი. მის ხანგრძლივად არსებობის კვლავწარმოებაში რესურსების ინვესტირება განაპირობებს (მარტივი ან გაფართოებული, წინანდელ ან უფრო მაღალ ხარისხობრივ დონეზე).

თუმცა ყველა რესურსი, საინვესტიციო რესურსების ჩათვლით მკაცრად შეზღუდული და უთანაბროდაცაა განაწილებული. ამიტომ აუცილებელია ისეთი მექანიზმი, რომელიც მეურნეობაში მათ განაწილებას უზრუნველყოფს საერთო ეფექტიანობის ზრდის მიზნით. ამგვარი საინვესტიციო რესურსებისათვის მექანიზმად გვევლინება ფინანსების ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნებისა და მათი მიწოდების შეპირისპირება. ამ რესურსების მუდმივი ყიდვა - გაყიდვის პროცესში. იგი მოიცავს ეკონომიკაში ფინანსური რესურსების მოძრაობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მთელ ერთობლიობას.

ბანკების საინვესტიციო რესურსების ბაზარი ფინანსების ბაზრის ნაწილია, თვითონ ფინანსების ბაზარი კი საბაზრო ეკონომიკის ერთ - ერთ ფუნქციურ ნაწილად გვევლინება. ფინანსების ბაზრის ძირითადი ფუნქცია კაპიტალის როგორც საზოგადოებრივი წარმოების ერთ - ერთი ფაქტორის ფორმირება, გადანაწილება და გადაადგილება. როგორც საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, ფინანსების ბაზარი ახორციელებს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების (დანაზოგების) მობილიზების ყველაზე უფრო ეფექტიანად გამოყენების სფეროებში მათ გადასატანად, ე.ი. იქ, სადაც მათგან ყველაზე სწრაფი სამეწარმეო შემოსავლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსების ბაზარი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზებული ან არაორგანიზებული სისტემაა. ამ ბაზარზე ხდება ფულის გაცვლა, კრედიტის გაცემა და კაპიტალის მობილიზება. ძირითად როლს აქ ფინანსური ინსტიტუტები თამაშობენ, რომლებიც ფულადი სახსრების ნაკადებს მათ მესაკუთრეებიდან მსესხებლებსკენ მიმართავენ. საქონლად გვევლინება საკუთარი ფული და ფასიანი ქაღალდები.

ფინანსების ბაზარი ფულად სახსრებს გარდასახავს, როგორც კერძო ისე სახელმწიფო მეწარმეობისთვის საჭირო ინვესტიციებად. ამ ბაზრის დაყოფის კრიტერიუმია მიზანი - კაპიტალის მოზიდვა ფინანსების ბაზრის ამა თუ იმ

სექტორის ინსტიტუტებისკენ მათი წარმართვის მეშვეობით. თუ კაპიტალს წარმოების გასაფართოებლად და ძირითადი კაპიტალის გასახლებლად იზიდავენ, მაშინ, როგორც წესი, კაპიტალის ბაზარს იყენებენ; თუკი საბრუნავ კაპიტალზე წარმოქმნილი მოთხოვნის დაფარვაა საჭირო, მაშინ ფულის ბაზარს მიმართავენ ხოლმე. აქვე ვთქვათ, რომ ჩვენ ამგვარად არ განვიხილავთ ფინანსების ბაზრის ისეთ სექტორს, როგორც ძვირფასი ლითონების ბაზარია, რადგან იგი საქონლის ბაზარსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ და ფინანსების ბაზარსაც. ამასთან, მისი ის ნაწილი, რომელიც ფინანსების ბაზარს ეკუთვნის, ძირითადად ფასიანი ქაღალდების ბაზარზეა წარმოდგენილი ფიუნქციების, ფორვარდების, ოპციონებისა და იმ სხვა ფასიანი ქაღალდების სახით, რომლებიც გარკვეული რაოდენობის ლითონზე უფლებას ადასტურებენ.

ფულის ბაზარს და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის დაყოფა საკმაოდ პირობითია. ფულის ბაზარი არის ფულადი სახსრების მოძრაობის პროცესში სუბიექტებს შორის წარმოქმნილ ეკონომიკურ ურთიერთობათა სფერო, რომლის მიზანიცაა ლიკვიდობის გადანაწილება მათ შორის. ამ ბაზარზე ხორციელდება მოკლევადიანი (1 წლამდე) დანაზოგების მოძრაობა, კაპიტალის ბაზარზე კი - საშუალო და გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) დანაზოგებისა. ფულის ბაზარს ხშირად საბანკო სესხების კაპიტალების ბაზარსაც უწოდებენ. თუმცა „ფულის ბაზარი“ უფრო სწორი სახელია, რადგან, ჯერ ერთი, იგი ფინანსების ბაზრის ამ ნაწილში შესრულებული ოპერაციების მოკლევადიანობასა და იმ ფორმის მიუთითებს, რომელიც კაპიტალს აქვს ამ ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ საკუთრივ სასესხო ოპერაციების გარდა ფულის ბაზარს ვალუტაზე განხორციელებული ოპერაციები ან ვალუტის ბაზარიც ეკუთვნის. ფულის ბაზარს ეკუთვნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნაწილიც. მაგალითად, თამასუქები, როგორც წესი, მოკლევადიანი სესხების მიღებას ემსახურება და თავისი არსით ფულის ბაზრის ინსტრუმენტად გვევლინება.

კაპიტალების ბაზარი იმ სახსრის მოძრაობას წარმოადგენს, რომელთა შედეგი ინვესტირებაზე არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა.

ფულის ბაზარსა და კაპიტალის ბაზარს მათი მოზიდვის ვადის მიხედვითაც ყოფენ. კაპიტალის ბაზარზე ემიტენტები და მსესხებლები კაპიტალს, როგორც წესი, 1 წელზე მეტი ხნით იზიდავენ, ანუ ეს ბაზარი საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციების სფეროა; ფულის ბაზარზე კაპიტალის 1 წელზე ნაკლები ხნით იზიდავენ ხოლმე ფულის სწორი მიმოქცევის სფეროს ემსახურება. აქ ფული ფუნქციონირებს როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალება, რაც განსაზღვრავს კიდევ ამ ბაზარზე გამოსული ფინანსური ინსტრუმენტების ტიპებს; კაპიტალის ბაზარი გაფართოებული კვლავწარმოების პროცესს ემსახურება და კაპიტალი აქ თვითმზარდი ღირებულების სახით ფუნქციონირებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფინანსების ბაზრის ის ნაწილია, რომელიც ინვესტიციებს შუამავლობს და თანაც ემსახურება როგორც ფულს, ისე კაპიტალის ბაზარს. ამასთან, ფასიანი ქაღალდები ფინანსური რესურსების მოძრაობის მხოლოდ ნაწილს მოიცავს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მიკროეკონომიკური ფუნქციაა კაპიტალის გადადინება უფრო რენტაბელურ დარგებში ბაზრის ინსტრუმენტების (ფასიანი ქაღალდების) მეშვეობით, რის შედეგადაც საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის ტრანსფორმირება ხდება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ამოცანაა კაპიტალის მოზიდვის საჭიროების მქონე პირების (ფასიანი ქაღალდების ემიტენტების) დაკავშირება ფინანსური სახსრების განთავსების მოთხოვნილების მქონე პირებთან (ინვესტორებთან). ფასიანი ქაღალდების ბაზარს სტრუქტურულად ასე ყოფენ:

- პირველადი ბაზარი, რომელსაც უწოდებენ ფასიანი ქაღალდების განთავსების გარიგებათა ერთობლიობას, ფასიანი ქაღალდების მიყიდვას პირველ მფლობელებზე. ამ გარიგებებში გამყიდველის როლში ან თვითონ ემიტენტი, ან მის მიერ უფლებამოსილი აგენტი;

- მეორადი ბაზარი, ე. ი. ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები გადაყიდვის გარიგებები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საკუთრების ინსტრუმენტებია აქციები, აქციების ოპციონი, ოპციონური და ფიუჩერული კონტრაქტები, ვარანტები (ისეთი მოწმობები, რომლებიც მომავალში გარკვეულ მომენტში კომპანიის ჩვეულებრივი აქციების ყიდვის უფლებას ანიჭებენ მათ მფლობელებს).

კრედიტების ბაზარი ზემოხსენებული სხვა ბაზრებივით ფინანსების ბაზრის სტრუქტურული ერთეულია. ესაა მსესხებლებს და კრედიტორებს შორის წარმოქმნილი იმ ეკონომიკური ურთიერთობების სფერო, რომლებიც დაბრუნებადობის, ვადიანობისა და ფასიანობის პირობით ფულის მოძრაობას უკავშირდება. მასზე ხდება ყველაზე უფრო რენტაბელურ დარგებში კაპიტალის გადადინების მეშვეობით სახსრების მობილიზება, ოღონდ ფასიანი ქაღალდების ბაზრისაგან განსხვავებით, ეს ფულადი ფორმის მქონე სახსრებია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ ნაწილზე კმაყოფილდება რესურსებზე არსებული მოკლევადიანი მოთხოვნა. მასზე ძირითადად ის მონაწილეები ასრულებენ ოპერაციებს, რომლებიც შემოსავალს იღებენ ფასიან ქაღალდებში გაწეული დაბანდებებით წარმოქმნილი სპეკულაციური სარგებლის სახით. უფრო სწორი იქნება, თუ ამ სექტორის ფიქტიური კაპიტალის ბაზარს ვუწოდებთ. ფიქტიური კაპიტალია ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის სახის მქონე ფულადი კაპიტალის (კაპიტალის ბაზრის მეორე ნაწილი) დაგროვება და მობილიზება, რომელიც რეალური კაპიტალისაგან (ფული, მოწყობილობა) განსხვავებით არის არა ღირებულება, არამედ შემოსავლის მიღების უფლება. ფასიანი ქაღალდი იმ ქონებრივი უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია რომელთა განხორციელება ან გადაცემა მხოლოდ მისი წარმოდგენის დროსაა შესაძლებელი.

ბაზარზე ფიქტიური კაპიტალის დამოუკიდებლად მოძრაობა იწვევს ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების მკვეთრად მოწყვეტას მათი საბალანსო ღირებულებიდან. ეს კიდევ უფრო ადრმავეებს რეალურ მატერიალურ ფასეულობებს და ფასიანი ქაღალდებით წარმოდგენილ მათსავე

ფარდობით ფიქსირებულ ღირებულებას შორის არსებულ ნაპრაღს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურება ისაა, რომ თუ მას კვლავწარმოების დინამიკის ფონზე განვიხილავთ, ბაზრის განვითარების მცდელობა კვლავწარმოების შეკვეცის პროცესს ემთხვევა. ფულადი სახსრების მოზიდვის საყოველთაოდ მიღებული სქემა ასეთია: დაგროვება ფასიანი ქაღალდებში ინვესტირება იგი წარმატებით მოქმედებს მხოლოდ გაფართოებულ კვლავწარმოების პირობებში. ამ დროს სახსრები ფინანსური სექტორიდან რეალურში გადადინება და პირიქით, რადგან დროებით თავისუფალი კაპიტალები გამოდმებით ეძებენ ყველაზე უფრო სარფიანად გამოყენებას. რუსეთში ეს სქემა ძლიერ დამახინჯებულია წარმოების დაქვეითებისა და მაღალი დონის მქონე ინვესტიციის გამო, რამაც არსებითად გააუფასურა დანაზოვები. წარმოების ვარდნა უმართავი იყო მისი საინვესტიციო მხარდებულების თვალსაზრისით. ასეთ პირობებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი განმანაწილებელ ბაზრად ჩამოყალიბდა. საქმიანობის ამ სფეროს ძირითადი წარმომადგენლები ამჟამად ის ნაირგვარი საფინანსო კომპანიებია, რომლებიც ამა თუ იმ აქტივში ხანმოკლე პერიოდით განთავსებენ თავიანთი ინვესტორების სახსრებს.

იმის გამო, რომ ყველა ფასიანი ქაღალდი ფულადი კაპიტალისგან არ წარმოსდგება, არ შეიძლება ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ ნაწილს, რომელიც ეყრდნობა ფულს როგორც კაპიტალს, საფონდო ბაზარს უწოდებენ (როგორც ფინანსების ბაზრის შემადგენელ ნაწილს) იგი ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და კაპიტალის ბაზრის გადაკვეთაზეა. ფინანსური ბაზრის ეს ნაწილი ძირითად კაპიტალში ინვესტირებას ემსახურება და პირველ რიგში, გრძელვადიან ინვესტიციებს. საფონდო ბაზარი წარმოების მომავალი სტრუქტურის ჩამოყალიბების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში მის მდგომარეობას გამოდმებით აკონტროლებს ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ორგანოები.

საფონდო ბაზარი ფასიანი ქაღალდების ბაზრის დიდ ნაწილს აყალიბებს. თუმცა ზოგადად სამართლებრივი სივრცე და საფონდო ბაზრის ინფტრასტრუქტურა ჯერ კიდევ სრულყოფილი არაა. ამ ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან მცირერიცხოვანი საინვესტიციო ფონდები და სხვა ორგანიზაციები, მაშინ, როდესაც აქ ის სპეციალიზებული კომერციული ბანკები უნდა საქმიანობდნენ, რომლებიც ინვესტირებას, ეკონომიკის რეალურ სექტორში სახსრების დაბანდებას უნდა ეწეოდნენ.

ფულადი კაპიტალის ფორმირების შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ წარმოების სფეროში მისი ყოფნის პროცესში, იგი წმინდა ფულად კაპიტალს წარმოადგენს. მეურნეობის სხვა სფეროებში მისი გადაცემა მის მიერ სასესხო კაპიტალის ფორმის მიღებას ნიშნავს.

სასესხო კაპიტალის ბაზარს (როგორც კაპიტალის ბაზრის ნაწილს) შეუძლია ის წვრილ - წვრილი, ცალკეული ფულადი სახსრები გააერთიანოს, რომლებსაც თავისუფლად არ შეუძლიათ ფულადი კაპიტალის სახით მოქმედება. მსხვილ თანხებზე მათი გაერთიანება ბაზარს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესებში დიდი როლის თამაშის შესაძლებლობას უქმნის.

მოკლევადიან სასესხო ოპერაციებზე საუბრისას ჩვენ

მიმდინარე სასესიო ოპერაციების ბაზარს მივმართავთ, რომელზეც მოკლევადიან რესურსებზე გაჩენილ მოთხოვნას იკმაყოფილებენ ხოლმე. ფინანსების ბაზრის სწორედ ამ სექტორზე კმაყოფილება მოკლევადიან ინვესტიციებზე წარმოქმნილი მოთხოვნა მისი ძირითადი მონაწილეებია კომერციული ბანკები და ის ნაირგვარი საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც მოკლე ვადით გაასესხებენ ხოლმე კაპიტალს.

ფინანსების ბაზრის სექტორების განვითარება მჭიდრო ურთიერთკავშირს ავლენს. კაპიტალები თითქმის მთლად თავისუფლად გადადიან ერთი სექტორიდან მეორეში. სექტორების ზომები და პროპორციები განუწყვეტლივ იცვლება, თუმცა, ეს ბიძგს არ აძლევს ფინანსების ბაზრის სხვა შემადგენელი ნაწილების განვითარებას ეკონომიკის ჰარმონიულად განვითარება ფინანსების ბაზრის ნაწილების ერთმანეთთან სტრუქტურულ შესაბამისობას გულისხმობს.

ფინანსურის ბაზრის მთავარი ამოცანაა ფინანსური დანახოვების გარდასახვა საწარმოო ინვესტიციებად. ამ ბაზრის ფორმირების ობიექტური წონასწორობაა ფულად სახსრებზე საწარმოთა მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის წყაროების არსებობის შეუსაბამობა. ფინანსური სახსრები მათი მფლობელების განკარგულებაშია, საინვესტიციო მოთხოვნები იდეა კი საბაზრო ურთიერთობათა სხვა სუბიექტებს უჩნდებათ. ფინანსების ბაზრის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ამ რესურსების მფლობელებიდან (დამზოგველებიდან) მათი მოსარგებლეებისკენ (ინვესტორებისკენ) სახსრების მოძრაობაში იშუამდგომლონ.

ჩნდება კითხვა: რომელ სექტორში და რა მომენტში წარმოიქმნება საინვესტიციო რესურსები და რომელ სტადიაზე გადაიქცევიან ისინი ბანკების (საბანკო) საინვესტიციო რესურსებად?

ფინანსების ბაზარზე მყოფი რესურსები ასრულებენ წრებრუნვას: ფულადი ფორმიდან საქონლურ ფორმას იღებენ, საქონლურიდან - საწარმოოს, შემდეგ ისევ საქონლურს და ბოლოს - კვლავ ფულად ფორმას. რესურსების წრებრუნვა ფულადი ფორმის მქონე კაპიტალის მთლიანი წრებრუნვის ორგანული ნაწილია.

საინვესტიციო რესურსებში ფულადი რესურსების გადასვლის მომენტი შეგვიძლია გამოვყოთ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების წყალობის, რადგან კაპიტალის გადასვლა ერთიდან მეორე ფორმაში ბუნებრივი გზით ხდება, ამ პროცესების საზღვრები კი წაშლილია და ეს მაშინ, როცა ინვესტიციების სფერო კვლავწარმოების მთელი სისტემის ერთ - ერთი სტრუქტურული ელემენტია. კვლავწარმოების საინვესტიციო ფაზა ეკონომიკის განვითარების საბაზრო ეტაპზე ჩნდება სასაქონლო წარმოების გაფართოებული ზრდის უზრუნველსაყოფად.

ღირებულების ფორმების ცვლილების და საბოლოო პროდუქტად მათი გადაქცევის პროცესი დინამიკაში უნდა გამოვიკვლიოთ (ფინანსების ბაზრის ფარგლებში). საინვესტიციო პროცესში რესურსების მოძრაობა შემდეგ მეტამორფოზათა ჯაჭვია: რესურსები (ფასეულობები) ? დაბანდები (დანახარჯები) ? შემოსავლის მიღება. ეს მოძრაობა სხვადასხვა ფორმით მოძრაობს იმ კაპიტალური ღირებულების მოძრაობითაა წარმოდგენილი, რომელსაც მისი მესაკუთრისთვისაც მოაქვს მოგება და მოსარგებლისთვისაც, ამასთან, ეს მოძრაობა განსაკუთრებულია: ინვესტორიდან

(მისი მესაკუთრიდან ან განმკარგავიდან) მოსარგებლე სუბიექტამდე. მოსარგებლესთან საინვესტიციო რესურსები თავს იყრის (კონცენტრირდება), შემდეგ კი კაპიტალურ დაბანდებებად (ხარჯებად) გარდაისახება, რომელიც საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გზით შემდეგში მოგებად ტრანსფორმირდება. ადრე ინვესტირებული სახსრები დივიდენდების სახით უბრუნდება ინვესტორს, დარჩენილი მოგება კი მოსარგებლის (მეწარმის) საკუთარ სახსრებს ადიდება.

მეწარმეების როლში ყოფნა შეუძლიათ ცალკეულ იურიდიულ პირებსა და საწარმოებს (ფირმებს), ინვესტორის როლს კი მრავალი სუბიექტი თამაშობს: კომერციული ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, საპაიო ფონდები, ცალკეული ფორმები, საფინანსო კონსულტანტები, კერძო პირები. მეწარმის ინტერესი ობიექტურად ისაა, რომ ფულადი რესურსები მოიზიდოს, ინვესტორის კი - მოგება მიიღოს ცალკეული კრედიტორისთვის კუთვნილი პროცენტის სახით ან აქციიდან შემოსული დივიდენდის სახით. ამგვარად, საინვესტიციო სფერო გამსჭვალულია მთელი რიგი ეკონომიკური ურთიერთობებით ინვესტორებსა და მეწარმეებს შორის, რომლებიც კაპიტალური ღირებულების მესაკუთრისა და მისი მოსარგებლისათვის შემოსავლის მომტანი კაპიტალური ღირებულების მოძრაობითაა განპირობებული.

ამ ჯაჭვში საინვესტიციო რესურსების მოძრაობის პროცესის ანალიზით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი კომერციული ბანკების საინვესტიციო რესურსებია, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ამ ჯაჭვის საწყისი და საბოლოო რგოლები ჩაკეტილია (შეკრულია) და ახალ ურთიერთკავშირს ქმნის („მოგება - რესურსები“) ე. ი. დაგროვების პროცესი მეორდება. ფულადი რესურსების დაგროვების პროცესი საინვესტიციო საქმიანობაში არ შედის, მაგრამ მისი აუცილებელი წანამდგარია. ამავე დროს ინვესტირება არის ფულის როგორც საინვესტიციო რესურსის არა მარტო მოძრაობა ერთი სუბიექტიდან მეორისაკენ, არამედ კაპიტალურ ღირებულებად მისი აუცილებელი გამოყენებაც.

ამგვარად, საინვესტიციო რესურსების წრებრუნვა სამი კვლავწარმოებითი ფორმით - რესურსებით, დაბანდებით და შემოსავლით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თუმცა, ბანკების საინვესტიციო რესურსების (ბსრ) ვველა წყარო ერთნაირად არ მონაწილეობს სარესურსო ბაზის ჩამოყალიბებაში, მაგალითად ცენტრალური ბანკის სახსრები და ბანკთაშორის ბაზარზე მოზიდული სახსრები შედარებით ძვირია და არასაკმარისად სტაბილური იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებთან შედარებით; საწარმოთა ანგარიშსწორების ანგარიშებზე ნაშთების შენახვის პოტენციურად ხანმოკლე ვადისა და ანაბრების მოთხოვნამდე განთავსების მიუხედავად, რესურსების ამ ჯგუფში სტაბილური რესურსების ნაწილიც გვხვდება.

ბანკების საინვესტიციო რესურსები ყალიბდება როგორც დაგროვების შედეგი. დაგროვება ინვესტირებამდელი სტადიაა, რომელიც ინვესტიციების წინაპირობა და პოტენციალია. ინვესტიციების ფორმის რესურსების ფორმირება მეორე კვლავწარმოებითი სტადიის - დაბანდების განხორციელებას ქმნის შესაძლებელს. ბანკების საინვესტიციო რესურსების დაბანდების სტადიაზე კვლავწარმოების ის კანონები იკრებენ ძალას, რომელთა შესაბამისადაც კაპიტალი მოძრაობს

ბის პროცესში წრებრუნვის სამ სტადიას და სამ ფუნქციურ ფორმას იღებს თანახმად ფორმულისა:

ფ - ს ... წ... ს - ფ,

სადაც ფ - ფულია, ს - საქონელი და წ - წარმოება.

საწარმოო საქმიანობა ჩვენ ინვესტიციების წრებრუნვაში არ ჩავგირთავს; ამის მიუხედავად იგი ინვესტიციების მიზნების მიღწევის აუცილებელი პირობაა. საწარმოო საქმიანობის პროცესში საწარმოები ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, იძენენ და ყიდიან ნედლეულს, მასალებსა თუ მზა პროდუქციას, ასევე მოსახლეობასთან - საქონლის ყიდვა - გაყიდვითა და ხელფასის გადახდით. ეს მოძრაობა წრებრუნვის პროცესს ასახავს, უწყვეტია და ლოგიკურად მთავრდება, მხოლოდ რესურსების სრული ბრუნვის შემდეგ.

სუბიექტებს შორის ბსრ - ების მოძრაობა ორი ფორმით ხდება: ფინანსური და რეალური (ნატურალური). ფინანსური ფულადი სახსრების დაბანდება აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში. ამ შემთხვევაში საკუთრების ტიტულები ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე გადაინაცვლებს, რაც სპეკულაციური შემოსავლის მიღების უფლებას იძლევა; რეალური ინვესტირებისას კაპიტალს ახალი კაპიტალური დოვლათის შექმნაში აბანდებენ და ამით ან ახალი კაპიტალი იქმნება ან უკვე არსებული კაპიტალი მატულობს. ასე რომ, კაპიტალური ღირებულების მოძრაობა, მისი ღირებულებითი შინაარსის შესაბამისად, მთელი საინვესტიციო პროცესის განმავლობაში ხდება, ფულადი რესურსების მოზიდვით დაწვებული და დივიდენდების გაცემით დამთავრებული.

ბანკების საინვესტიციო რესურსების კიდევ ერთი თავისებურება დაკავშირებულია მწარმოებლების მიერ ინვესტირება ფულადი სახსრების ხანგრძლივად გამოყენებასთან კაპიტალური დაბანდებისათვის, რასაც თან ახლავს კაპიტალური ღირებულების მატება, და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ავანსირებული კაპიტალის დაბრუნებისკენ (ინვესტირებისთვის) არის მიმართული. ამ მოძრაობის პროცესში ღირებულება თანმიმდევრულად იცვლის რამდენიმე ფორმას: ფულადს, ავანსირებულს, მწარმოებლურს, შემდეგ ისევ ფულადი კაპიტალის.

საბანკო ინვესტირების პროცესის შინაარსი კომერციული ბანკის მიერ სხვადასხვა ობიექტში სახსრების დაბანდებაში მდგომარეობს, რომლის დროსაც მიზნები უცვლელია. ამიტომ ინვესტირება არის ბსრ - ების მიერ მთელი ფულადი მიმოქცევის თანმიმდევრულად გაცვლა. როცა საქონლისა და საფონდო ბაზრებზე სრულდება ეკვივალენტების გაცვლა, და წარმოების პროცესის გავლა მატერიალური ნაკადების სახით, როცა ღირებულება მწარმოებლური კაპიტალის ფორმას იღებს და მატულობს მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში. ამ მატების გარეშე ვერც მეწარმის ინტერესები განხორციელდება და ვერც ინვესტორის, ე. ი. ვერც თვითონ ინვესტირების პროცესი შედგება.

სახსრების მოძრაობის სქემა კვლავ გვაბრუნებს ფორმულასთან, შემოსავალი ? რესურსების წარმოებაში ღირებულების მწარმოებლური ფორმა საქონლურით იცვლება. გაცვლის მეშვეობით მწარმოებელი მოგებას ითვისებს, გამანაწილებელი სფეროს მეშვეობით კი მის ნაწილს ბანკს უბრუნებს პროცენტების ან დივიდენდების სახით. შემდეგ კვლავ იწყება ბსრ - ების ფორმირების პროცესი: ინვესტორი (კომერციული ბანკი) ფულად სახსრებს აგროვებს მიღებული შემოსავლიდან, მეწარმე კი ამ სახსრებს დარჩენილი წმინდა

მოგებიდან და სამორტიზაციო ფონდიდან უყრის თავს. ამიტომ ინვესტიციების სფერო ორ მთავარ ელემენტს მოიცავს: საწარმოოსა და ფინანსურს. ამ სფეროსათვის სპეციფიკური სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებითაა საჭირო საინვესტიციო რესურსების რეგულირების მექანიზმის სტრუქტურის შედგენის დროს.

ფინანსების ბაზარზე ბსრ - ების ფორმირების პროცესის მკაფიოდ წარმოდგენისათვის მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია მათი ფუნქციონირების პრინციპების განსაზღვრა, რაც მათი ფორმირების სპეციფიკის გამოვლენაში დაგვეხმარება. პრინციპების გამოვლენისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბაზარზე ისინი ყალიბდება იმ არსებული გარემოს ფარგლებში, რომელიც ბაზრის სხვა მონაწილეებსაც აერთიანებს. საინვესტიციო რესურსების ფორმირების პროცესზე გავლენას ახდენენ მარეგულირებელი ორგანოები, გარეშე ინვესტორები და მიკროეკონომიკური მოვლენები. ამ პროცესში აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც თვითონ საინვესტიციო პროცესის მონაწილის, ისე მთელი ეკონომიკური გარემოს პერსპექტივებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ბსრ - ების ჩამოყალიბების პრინციპები:

- კომერციული ბანკის ურთიერთმოქმედება საინვესტიციო პროცესის დანარჩენ მონაწილეებთან;
- კომერციული ბანკის საქმიანობის შესაბამისობა და შეთანხმებულობა ეკონომიკური განვითარების მოქმედ პირობებთან;
- ბსრ - ების ფორმირების პერსპექტივების გათვალისწინება.

მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთმოქმედების პრინციპს. საინვესტიციო პროცესის მონაწილეების, მათ შორის კომერციული ბანკების, მთლიანობა ერთიან სისტემას ქმნის. საინვესტიციო რესურსების ფორმირება მხოლოდ იმ მხარეების ურთიერთმოქმედებითაა შესაძლებელი, რომლებიც ბსრ - ების ფორმირებაში მონაწილეობენ. მათი მოძრაობის ყოველ ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის მონაწილეებს თანამოქმედება უწევთ. ყველაზე მომგებიანი მდგომარეობა იმ მხარეს აქვს, რომელიც უკეთესადაა მორგებული ამ თანამშრომლობას და შეთავისებული აქვს შესაბამისი უნარ - ჩვევები, პირველ რიგში - კომუნიკაციის უნარი. როგორც ცნობილია ის, ვინც ინფორმაციას ფლობს, მსოფლიოს განაგებს. ამიტომ რესურსების ფორმირების მთავარი და აუცილებელი პირობაა ინფორმაციის გავლის არხების არსებობა, თანაც, ინფორმაციის მოძრაობა ორივე მიმართულებით უნდა ხდებოდეს - როგორც მთელი სისტემიდან საინვესტიციო პროცესის კონკრეტული მონაწილისკენ, ისე საპირისპირო მიმართულებით. ეს კი მხოლოდ საინვესტიციო რესურსების ფორმირების მონაწილეებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების პირობებშია შესაძლებელი.

ხსენებულ პროცესში ცალკეული მონაწილეები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ამისთ რესურსების ფორმირების სტრუქტურის დაუგეგმავ ცვლილებებს იწვევენ. ამგვარი რამ სხვა სისტემაში ხდება, რაც სისტემების განვითარების დამახასიათებელი მარკენებელია. ამდენად, ამა თუ იმ გადაბმის არსებობა შემდგომი სრულყოფის დამახასიათებელი ნიშანია.

შეთანხმებულობის პრინციპი ბსრ - ების ფორმირებაში

მონაწილე ყველა მხრისგან მოითხოვს ეკონომიკური განვითარების მოქმედ პირობებთან მათ სავალდებულო შესაბამისობას, ე.ი. გარემოს მოთხოვნების აუცილებელ დაცვას (ურთიერთმოქმედების პრინციპისგან განსხვავებით, სადაც იგულისხმება, რომ ფინანსების ბაზრის მონაწილე ურთიერთქმედების დანარჩენ მონაწილეებთან, რომლის დროსაც ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებითა და ბაზარზე ქცევის წესებით). ამ პრინციპის შესრულების დროს ბსრ - ების ფორმირების დასაქმებული კომერციული ბანკები გარემოს მოთხოვნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, ე. ი. ამ პრინციპებით მოქმედებდნენ, რომლებსაც გარემო კარნახობს მათ, და ის ვალდებულებები შეასრულონ, რომლებსაც მაკროეკონომიკური გარემო აკისრებს მათ.

თუმცა ასეთი ზემოქმედება სრული ვერ იქნება პერსპექტიულობის პრინციპის გაუთვალისწინებლად. ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებით ბანკებს შეუძლიათ საინვესტიციო რესურსების ფორმირების მაქსიმალურ დონეს მიაღწიონ, რადგან პერსპექტიული მაჩვენებლის გათვალისწინება მომავლისთვის მუშაობას ხდის შესაძლებელს. ამგვარი პროგნოზირება, ფინანსების ბაზრის ყველა მონაწილეს არ ხელეწიფება - მხოლოდ ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილ სუბიექტებს. თანაც მხოლოდ აღნიშნული პრინციპის დაცვის პირობითაა შესაძლებელი ბსრ - ების იმ შედეგებისდაგვარად მაქსიმალური დონის მიღწევა, რომელიც აუცილებელია როგორც მიმდინარე, ისე საპროგნოზო საინვესტიციო პროცესის საჭიროებებისთვის.

უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკა და პრიორიტეტები ხშირად არ ემთხვევა სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის მიზნებსა და პრიორიტეტებს. კომერციული ბანკების დიდ ნაწილს რესურსული ბაზის ხარისხი და სტრუქტურა საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის და სერიოზული კომერციული მიმზიდველობის მქონე მსხვილი პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობის შესაძლებლობას არ აძლევს მათ. ამის გათვალისწინებით არაერთ ქვეყანაში შექმნილია განვითარების სპეციალური ფინანსური ინსტიტუტების (ბანკები, ფონდები) სისტემა, რომლებიც პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდევერას უზრუნველყობენ. განვითარების დაფინანსებაში, ცხადია, დაწესებული ბათა საერთაშორისო სისტემაც მონაწილეობს, რომელშიც გაერთიანებული არიან სსფ, მსოფლიო ბანკი, ვმო, ეთგო, საერთაშორისო ანგარიშსწორება ბანკი და განვითარების ნაირგვარი რეგიონული ბანკები.

პრიორიტეტულ პროექტებზე მუშაობის (მათი განხილვა, მონიტორინგის ორგანიზება) ფუნქციები და როლი უმრავლეს ქვეყნებში სპეციალიზებულ საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუტებს აქვთ დაკისრებული, რომელთა საქმიანობის სფეროა სახელმწიფოს საინვესტიციო რესურსების მულტიპლიკაცია და მათი წარმართვა ეკონომიკის პერსპექტიულ დარგებში. განვითარების ბანკი (კორპორაცია) შეიძლება იყოს სახელმწიფო ან კერძო ბანკი (კორპორაცია), რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს და მსხვილი პროექტების გრძელვადიან დაკრედიტებას. ასეთი ბანკები არ იღებენ დეპოზიტებს ექვეიან ანგარიშსწორებებს და არ გასცემენ მოკლევადიან სესხებს. ამ ტიპის ინსტიტუტები გამორჩეულ როლს თამაშობენ ეკონომიკურ ზრდა - განვითარებაში. მათ რიცხვში გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), საფრანგეთის გან-

ვითარების სააგენტო (ADF) იაპონიის განვითარების ბანკი (DBJ), ესპანეთის სახელმწიფო დაკრედიტების ინსტიტუტი (ICD), ჩინეთის განვითარების ბანკი (CDB), ინდოეთის მრეწველობის განვითარების ბანკი (IDBI), ბრაზილიის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკი (BDNES), და ა. შ.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები ქვეყნების განვითარების დონეზეცაა დამოკიდებული. მაგალითად სტაბილური ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში (გფრ, საფრანგეთი, ესპანეთი, იაპონია) განვითარების ბანკები აფინანსებენ სოციალურ, ეკოლოგიურ და ისეთ პროექტებს, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება; სწრაფად განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ყაზახეთი) შექმნილი განვითარების ბანკები ეროვნულ მეურნეობათა იმ კონკრეტულ დარგებს აკრედიტებენ, რომლებიც მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს.

ბსრ - ების ფორმირებაზე არაერთი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც ან მაკროეკონომიკურია, ან მიკროეკონომიკური. როდესაც საწარმოების ანგარიშებზე რიცხული სახსრები კლებულობს იკვეცება ორგანიზებული დანაზოგების მატება და იზღუდება უცხოური კრედიტების მოზიდვის შესაძლებლობები, ეს საბანკო კაპიტალის დონეს აქვეითებს და საინვესტიციო სფეროს მიმართ ინტერესს უკარგავს საზოგადოებას. კლიენტურას უქრება ბანკების მიმართ ნდობა, რაც აფერხებს ეკონომიკურ ფინანსურ სექტორში სახსრების რაციონალურად გადაწოდებას, აძლიერებს სახსრების მოზიდვის მოკლევადიან ხასიათს და რესურსულ ბაზად ფულის ბაზრის უპირატესად მოკლევადიანი ინსტრუმენტებით ავსებს. ასეთ პირობებში საინვესტიციო სფეროში ბანკების მონაწილეობის გააქტიურების აუცილებელი წინაპირობაა საბანკო სისტემის კაპიტალიზაცია.

იმისათვის, რომ სასურსათო ბაზრის სტრუქტურის ცვლილებათა პერიოდში საბანკო სისტემა მდგრადად ვითარდებოდეს, ხოლო ეკონომიკის დაკრედიტება არ ფერხდებოდეს, ბანკის კლიენტებს უნდა ეძლეოდეთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ვადამდე გატანის უფლების მქონე ანაბრებსა (ოლონდ - უფასო მაღალი პროცენტებით) და ამ უფლების მომნიჭებელ ანაბრებს შორის (ოლონდ ნაკლები პროცენტებით). ეს, ერთი მხრივ ბანკებს აძლევს ასეთი ანაბრების ნაწილში რესურსული ბაზის სტაბილურობის იმედს, ხოლო, მეორე მხრივ, კლიენტებს - არჩევანის შესაძლებლობას.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია საინვესტიციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ინვესტიციების ბაზარზე ფაქტობრივად მხოლოდ კონვერტიული ბანკები საქმიანობენ, არადა, მსოფლიო პრაქტიკაში ამ ბაზარზე სხვა, თანამდევნი ინსტიტუტებიც ახდენენ არსებით გავლენას (საპენსიო და კენჭურული ფონდები, საკრედიტო თუ სარეიტინგო სააგენტოები), მკაცრად თუ ვიტყვით, საინვესტიციო პროექტების ბაზარი საერთოდ არ არსებობს ეს ძალიან უარყოფითად მოქმედებს ბსრ - ების რეგულირების მექანიზმის სრულყოფაზე.

რეგულირების მექანიზმის გადართულად მოქმედებაზე ძალიან საგრძნობია რესურსებისა და პერსონალის მენეჯმენტის გავლენა. საინვესტიციო რესურსების ნაწილში მენეჯმენტის თავისებურებაა ეკონომიკური პროცესების მართვისა

და საბანკო ოპერაციების ორგანიზაციის ერთგვაროვანი ტექნოლოგიის უქონლობა. ბაზარზე არსებული კონკურენტის პირობებში ბანკი თვითონ შეიმუშავებს ქცევის საკუთარ წესებს, მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური ვითარებას კი ერთხელ მიღებული ხერხებისა და მეთოდების კორექტირებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს.

რაც შეეხება ბანკის პერსონალის მართვას, იგი ორიენტირებულია თანამშრომელთა ცოდნისა და გამოცდილების რაციონალურად გამოყენებაზე, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი შრომის მოტივაციას, შრომის სწორად ორგანიზებას და კადრების რაციონალურად განაწილებას, სტიმულირებას და კონტროლს, კოლექტივში ჯანსაღი და საქმიანო ურთიერთობების პრინციპების დანერგვას.

Irina Mamaladze

THE BANKS PRINCIPLES AND FEATURES OF THE FORMATION OF THE INVESTMENT AND RESOURCES

SUMMARY

Investment banks and financial markets are part of the resources market, the financial market is a market economy - a functional part of the act.

Financial instruments financial markets trade in an organized or informal system. The market share of the money, credit, and capital mobilization.

Render financial market funds, both private and state enterprises for investment.

Investment banking resources in the context of a commercial bank by different vendors is which goals are unchanged.

Foreign experience shows that commercial banks

and investment policies and priorities often do not match the state's investment policy objectives and priorities. The quality and structure of the overall resource base of commercial banks, a large part of national importance and significant commercial development of large-scale projects to give them the opportunity to participate.

Priority projects in most countries of the functions and role of specialized financial - credit institutions are entrusted with the conduct of economic activity in areas of the state's investment resources, animation, and their prospective fields.

The investment activities of banks in a particular direction depends on the level of development of the countries. Stable economies in the developed countries, the banks are financing the social, ecological, and the projects that are related to the latest technologies.

ლიტერატურა:

1. Денисов А Ю Инвестиции и иниовации. М.: ЛИС, 2007.
2. Мобиус М. Руководство для инвестора по развивающимся рынкам. М.: Афон, 2006.
3. Хейлфонер Р., Туроу Л. Экономика для всех. – Новосибирск.: Экономика, 2006.
4. Инвестиционная деятельность российских и зарубежных банков. – [http:// Rknowledge.allbert.ru/bank/2c0665_1/html/](http://Rknowledge.allbert.ru/bank/2c0665_1/html/)
5. Ван Хорн Дж. К. Основы управления финансами. –М.: Финансы и статистика, 2006.
6. Банки: Мировой опыт. Аналитические и реферативные материалы. 2009. №1.

ტურიზმის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ტურიზმისა და ეროვნული პარკების ურთიერთდაზოგადების ძირითადი პრინციპები

*ბესიკ ბარკალაია, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ზურაბ ვაშაკიძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ოიმუშაოს სახსრები ბუნების დაცვისა და ეთნოგრაფიულ-კულტურული თავისებურებების შესანარჩუნებლად, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ტურისტული რესურსების აღდგენა-განახლებასაც.

ტურიზმის სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ბუნებრივი ტურიზმის კონტროლირებადი ფორმა – ეკოტურიზმი. მისი საფუძველია ბუნების შეცნობა, სადაც მთავარია ბუნების შედარებით ხელუხლებელ ზონებში განსაზღვრული რაოდენობის ტურისტთა მოგზაურობის ორგანიზება იმ ადგილების მონახულების მიზნით, რომელიც კულტურულ-შემეცნებით ინტერესს იწვევს. ძირითადი აქცენტი კეთდება ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებასა და ბუნებრივი რესურსების გააზრებულ გამოყენებაზე მათი აღდგენის, მოვლის და დაცვის მიზნით. იგი განსხვავდება მასობრივი ტურიზმისაგან და გამოირჩევა სპეციფიკური ტურისტული რესურსების (უნიკალური და ნაკლებად შეცვლილი ბუნების, კულტურული ობიექტების) მდგრადი გამოყენებით, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით და ეკოლოგიური განათლების ორგანიზაციით.

ეკოტურიზმი ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, იძლევა ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის შეთავსების საშუალებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც მეურნეობის გაძლიერების ტრადიციული მეთოდები ნაკლებ ეფექტიანია და რესურსების მნიშვნელოვან დეგრადაციას იწვევს. ეკოტურიზმის განვითარებას ტურიზმის ინფრასტრუქტურის, მასთან დაკავშირებული სამეურნეო დარგების განვითარება და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მოჰყვება.

ეკოლოგიური ტურიზმი გააიზრება როგორც დასვენების, ბუნებაში მოგზაურობის, საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, შემეცნებით-კულტურული და ეკონომიკურ საქმიანობათა ერთობლიობა, რომლის ზეგავლენა საზოგადოების ცხოველქმედებაზე მეტად მნიშვნელოვანი და სწრაფმზარდია. პრაქტიკულად, ყოველდღიურად ფართოვდება მისი სტრუქტურულ-ფუნქციური დიფერენციაცია, გავრცელების გეოგრაფია, დამთავალიერებელთა და რეკრეანტთა მომსახურების რიცხოვნობა, ძლიერდება მისი როლი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებაში. ამიტომაც, ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს სრულყოფილად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურული და დემოგრაფიულ-ეკონომიკური რესურსების პოტენციალი, აქტიურად ჩაერთოს სოციალურ-ეკონომიკურად ხელსაყრელ მსოფლიო სისტემაში.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებისათვის დიდი გამოუყენებელი პოტენციალი არსებობს. მის მომავალ განვითარებას ემსახურება დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ახალი კონცეფციის შექმნა და ეროვნული პარკების ფორმირების საორგანიზაციო ღონისძიებები. ეროვნული პარკების დაარსება და მის ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ბუნებრივი რესურსების აღდგენა-განახლებას, ასევე ჩამორჩენილი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკოტურიზმის წარმატებული განვითარება დიდად არის დამოკიდებული როგორც დაუზიანებელი ბუნების არსებობაზე, ისე გარემოს დაცვის კარგ ორგანიზაციაზე. ამ ორი ძირითადი ფაქტორის გარეშე ტურიზმის აღნიშნული სახეობა თავის ფუნქციას კარგავს, ამიტომაც მისი ყველაზე მდგრადი განვითარება მიიღწევა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში ანუ ეროვნულ პარკებში, სადაც ცალ-ცალკეა განსაზღვრული ტურისტული და დაცვითი, ბუნებრივი და ეთნოგრაფიულ-კულტურული ზონების ფუნქციები. ეკოტურიზმს შეუძლია თვითონ გამ-

გარდა იმისა, რომ ეროვნულ პარკებს გარემო ბუნების დაცვის საქმეში გააჩნიათ გამოკვეთილი ფუნქციური თავისებურებანი, მათ შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის განვითარებისათვის. კერძოდ, იმ ადგილებში სადაც დაცული ბუნებრივი ტერიტორიები ტურიზმის განვითარებასაც ითვალისწინებს, ადგილობრივი ეკონომიკა საგრძნობლად ვითარდება. ტურიზმს მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავალი როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის სახით. იგი ხელს უწყობს შემოსავლიანი მცირე ბიზნესის განვითარებას, რადგან მისი ფართე დიპაზონი ითვალისწინებს ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების შექმნას.

ბევრ ქვეყანაში გამორჩეული სილამაზის მქონე ბუნება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული პარკების შექმნისა და ტურიზმის განვითარებისათვის. მსოფლიოში, მილიონობით ადამიანი ისწრაფვის დაისვენოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ფეხით იაროს ბუნებაში, დაათვალიეროს

ლამაზი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, დააკვირდნენ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, ნახონ რაღაც ახალი და არაჩვეულებრივი, გადაიღონ ფოტოსურათები სამახსოვროდ და სხვ. მაგრამ, ხშირად ტურისტებს სურვილი უჩნდებათ არაკომფორტულობას შეუთავსონ კომფორტი, მაგალითად, აუზში ცურვა, მაღაზიებში სიარული, რესტორნებში და კაფე-ბარებში ვართობა, ეროვნულ-კულტურულ პროგრამებზე დასწრება და სხვ. ამიტომ, ტურისტებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში მიზანშეწონილია კომფორტის ელემენტები დაიგეგმოს ეროვნული პარკების მომიჯნავე ტერიტორიებზე. ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების შერწყმა მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს და გაზრდის ეროვნული პარკების რენტაბელობას.

ეროვნული პარკების დასაშვებ ზღვარში რენტაბელობის გასაზრდელად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმღები ტურისტული ცენტრების (ბევრ ქვეყანაში მიმღები ტურისტული ცენტრის როლს ეროვნული პარკი ასრულებს) ადგილმდებარეობას, მისასვლელ გზებს, მგზავრობის ხანგრძლივობას, დაგეგმილ ტურისტულ ინფრასტრუქტურას და სხვ.

ეროვნული პარკების მართვა და ინფრასტრუქტურის შექმნა ტურიზმის ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია განხორციელდეს პარკების დირექციასა და ეროვნულ და რეგიონალურ ტურისტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, რადგან ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ გარკვეული დახმარება გაუწიონ პარკების დირექციას ტურისტული ობიექტების მოსაწყობად. გარდა ამისა, პარკის დირექციამ ტურისტულ ორგანიზაციებს უნდა განუმარტოს რა შეზღუდვები არსებობს ტურისტებისათვის. მაგალითად, შეზღუდვების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პარკის გამტარუნარიანობის გადაჭარბება, რადგან კონტროლის არარსებობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პარკზე, გაანადგუროს ან დააზიანოს ის რესურსები, რაზეც დამოკიდებულია ტურიზმის განვითარება.

მართვის დაგეგმვის საკითხები

ეროვნული პარკების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მართვის გეგმის არსებობა, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს პარკის მოწოდება და მისი შემდგომი მართვა. ამასთან, ტურიზმი ეროვნული პარკის დაგეგმარებისა და მართვის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს უნდა შეადგენდეს. მართვის ერთიანი დაგეგმვის ჭრილში, ტურისტული პროგრამა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სპეციფიკურ ასპექტებს. ესენია:

- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, რათა გადაწყვეტილებები დაფუძნდეს ადგილობრივი რესურსების, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ცოდნასა და სხვა მოსაზრებებს;
- ეროვნული პარკების ტურისტული მიზნებით გამოყენებისათვის აუცილებელია მუდმივი დაკვირვება ბუნებრივ რესურსებზე და ტურისტთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება. ეს დაგეგმარება: გაანგარიშებებსა და პარკში შესვლის საფასურის განსაზღვრაში; მომსახურე პერსონალის შერჩევაში; პარკში სამუშაოების დაგეგმვაში; მომხმარებელთა ინტერესების უკეთ გაგებას და დათვალიერების ტენდენციების დადგენაში; საერთო დაგეგმარების

სრულყოფაში. გარდა ამისა, მონიტორინგი საჭიროა რათა განისაზღვროს: პარკის დამთვალიერებელთა რაოდენობა; რა სახის ტრანსპორტით იმგზავრეს ტურისტებმა და საიდან ჩამოვიდნენ; მოთხოვნილების ბაზრის უკეთ შესასწავლად და მომსახურე პერსონალის შესაბამისად მოსამზადებლად; პარკში ტურისტთა გადაადგილების და საქმიანობის სახეები (ფეხით, ცხენით, კარვებში ცხოვრება და ა.შ.); ტურისტთა პარკში ყოფნის ვადები, რათა შემუშავებულ იქნას გრაფიკები პარკის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად; ტურისტთა დაკმაყოფილების დონე და მათი წინადადებები პარკის საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (ანკეტის შედეგა);

• ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს ტურიზმისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რესურსების ერთდროულად სარგებლობისას წარმოქმნილი წინააღმდეგობები და შექმნას რესურსების გამოყენების ისეთი მექანიზმები, სადაც ტურიზმის განვითარება ჰარმონიულად შეერწყმება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და კულტურას;

• არსებობს ბუნების ღირსშესანიშნავი ადგილები, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურის შენობა-ნაგებობებმა შესაძლოა მათ ხიფათი შეუქმნას (ეკოსისტემების დაზიანება ან განადგურება, ესთეტიკური დაზიანება და სხვ.). კერძო წყაროებით დაფინანსებისას ხშირად მოითხოვენ, რომ ტურისტული ობიექტები განლაგდეს ლამაზ, ბუნებრივ უნიკალურ ადგილებში ან მათ სიახლოვეს. ამიტომ, ასეთ მშენებლობებს წინ უნდა უძღოდეს ეკოლოგიური და ეკონომიკური ანალიზი, ზონირების გეგმა. ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მშენებლობით მიღებული ყველა სარგებელი და დანახარჯები. გამორჩეულ, ესთეტიკური თვისებების მქონე ბუნებრივ ობიექტებს უდაოდ დიდი პოტენციური მნიშვნელობა აქვთ ტურიზმის განვითარებისათვის. ამიტომ, ზონირების გეგმის შედგენისას აუცილებელია შემუშავდეს ღირსშესანიშნავი ობიექტების სათანადო დაცვის წესები და კონტროლი.

კონკრეტულ რეგიონში ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა ხორციელდებოდეს ეკოლოგიურ მოთხოვნათა პრინციპზე შემუშავებულ ბუნებათსარგებლობის კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის მიხედვით. ეროვნული პარკები ჩართული უნდა იყოს მოცემული რაიონის (რეგიონის) მიწათსარგებლობის საერთო გეგმაში. ეს უკანასკნელი კი უნდა ითვალისწინებდეს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რასაც რაიონი (რეგიონი) მიიღებს ტურისტულ ზონაში (პარკი და მისი მიმდებარე დასახლებული ტერიტორია) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით. ტურისტული ინფრასტრუქტურის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია სამთავრობო (ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი) და კერძო სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ტურიზმთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები უნდა განიხილოს სამთავრობო სტრუქტურებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან კოორდინაციაში. მართვის საერთო გეგმის ტურისტული ქვეპროგრამა შეთანხმებული უნდა იყოს მოცემული რაიონის (რეგიონის) სხვა გეგმებთან. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს ზონირების გეგმას და გაერთიანდეს

მოცემული რაიონის (რეგიონის) სექტორულ გეგმებთან და კონკრეტულად განსაზღვრავდეს საქმიანობის სახეობებს, რომელიც შეიძლება დაშვებულ იქნას ამ ზონაში.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებამ შესაძლოა დაარღვიოს ეროვნული პარკის რესურსების ბუნებრივი წონასწორობა. ამიტომ, ალტერნატიული რესურსებისა და ეკოლოგიური ფასეულობების გამოყენების გათვალისწინებით, საჭიროა წინასწარ ზუსტად განისაზღვროს ტურიზმის რომელი სახეობები და მასთან დაკავშირებული როგორი ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს მოცემულ ტერიტორიაზე.

ეროვნული პარკების საზღვრების დადგენის დროს, საკურორტო ადგილები შესაძლოა მოექცეს პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. კურორტების განაშენიანების შემთხვევაში საერთო მართვის გეგმაში აუცილებელია აისახოს ობიექტების სტანდარტები და განლაგება, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები, მყარი ნარჩენების პრობლემების მოგვარება და სხვ. გარდა ამისა, მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს იმ წინააღმდეგობრივი საკითხების გადაჭრასაც გარემოსთან კავშირში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კურორტების განაშენიანების შედეგად და სხვ.

ეროვნული პარკის საზღვრების დადგენის შემდეგ, აუცილებელია დადგინდეს მართვის ზონები სადაც, უნდა დაიგეგმოს ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები და წარმართოს მისი სწორი მართვა. ტურისტული თვალსაზრისით გამოყოფილი ზონები მოიცავენ პარკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებს. ესენია: პარკის ტერიტორიაზე განლაგებული (დამის სათევი ქოხები, საინფორმაციო ფირნიშები, პანორამის დასათვალიერებელი მოედნები და სხვ.) და პარკის საზღვრის მომიჯნავე ტერიტორიებზე განლაგებული ტურისტული ინფრასტრუქტურის (სასტუმროები, მაღაზიები, კვების ობიექტები და სხვ.) ობიექტები. ამგვარი ზონირება ხელს შეუწყობს პარკის მოწესრიგებულ ფუნქციონირებას, რაც გარკვეულწილად, ეროვნულ პარკებზე ადამიანების ზეგავლენის შემცირების საწინდარია.

ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი ეროვნული პარკებისათვის ინდივიდუალურად უნდა დაიგეგმოს მარკეტინგული სამუშაოები და შეირჩეს მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები. გამოცემულ საინფორმაციო მასალებში (ბუკლეტები, ბროშურები და სხვ.) უნდა აისახოს პარკის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მისი ადგილმდებარეობის, სატრანსპორტო კვანძების, ჰაეის, სე-ზონურობის, ფლორისა და ფაუნის, ტურისტული ღირსშესანიშნაობების, განთავსების ადგილების და სხვათა შესახებ. გამოცემული მასალები უნდა იყოს ლამაზად გაფორმებული, მოიცავდეს ტევად ინფორმაცია და გავრცელდეს საერთაშორისო ბაზრობებზე. ამჟამად, ფართოდ გამოიყენება ელექტრონული საშუალებები, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია გავრცელდეს საჭირო ინფორმაცია.

შიდა ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, კერძოდ, პარკის რეკლამირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ტელევიზია, გაზეთები, გამოიცეს პლაკატები, კალენდრები პარკის ჰეიზაჟებით და სხვ., რათა ქვეყნის მოსახლეობა დაინტერესდეს ამ ადგილებით

და საერთოდ, ბუნებრივ-შემეცნებითი ტურიზმით.

ეროვნულ პარკებში, მართვის დაგეგმვის ერთიან კომპლექსში უნდა არსებობდეს ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო ობიექტების განლაგების კონკრეტული გეგმები. მაქსიმალურად შეუმჩნეველმა ნაგებობებმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დააზიანოს გარემო, ვინაიდან მათი დომინირება თრგუნავს ბუნებრივ ფასეულობებს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია ობიექტების საშენ მასალად გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები: ქვები, ხე-ტყე, თიხა და სხვ. მიუღებელია უცხო მასალის (აზბესტი, წიდაბლოკები და სხვ.) და მყვარალა, დისპარმინის შემოტანი ფერის საღებავების გამოყენება. შენობა-ნაგებობების დაპროექტების, არქიტექტურული გაფორმების და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ადგილობრივი სტილი, კოლორიტი და ე.წ. „ეკოტექნოლოგიების“ გამოყენება.

ტურიზმის განვითარებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა ეროვნულ პარკებზე

ეროვნულ პარკებში ტურიზმის არასწორმა განვითარებამ და მართვამ, შესაძლოა, პარკი მნიშვნელოვნად დააზიანოს. დაზიანებები შეიძლება გამოიწვიოს: პარკში არასწორად დაგეგმილმა მარშრუტებმა და მისი დამთვალიერებლებით გადატვირთვამ; გარემოსთან შეუსაბამო ობიექტების მშენებლობამ; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინტენსიურად გამოყენებამ; ხეების ჭრამ ცეცხლის დასანთებად; სხვადასხვა სახის, აკრძალული, ე.წ. სუვენირების შეგროვებამ; ნადირობამ; მყარი ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებამ და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად ხდება: როგორც მყიფე, ასევე არამყიფე ეკოსისტემების დაზიანება-განადგურება; ნიადაგის ეროზია; გარემოს ესთეტიკური დამაზინჯება; პარკის ბინადართა ბუნებრივი განვითარების პირობებისა და სიმყუდროვის დარღვევა ან მათი დამახინჯება-განადგურება; ტრანსპორტის შედეგად არასავალ გზებზე მცენარეული საფარის დაზიანება და გამოწვევით ჰაერის დაბინძურება და სხვ.

ეროვნულ პარკებში ტურიზმიდან მიღებული სარგებელი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ამიტომ სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ უარყოფით შედეგებთან ბრძოლა, რაც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას. თუ კი ეროვნულ პარკებში, დასაშვებ ფარგლებში ტურისტებისათვის მაქსიმალური კომფორტი უნდა იყოს შექმნილი, იმავედროულად ტურიზმის განვითარების შედეგად მიყენებული ნეგატიური ზეგავლენა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ეს საჭიროებს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ობიექტურ შეფასებას, მის სერიოზულ ანალიზს, პოტენციალის განვითარების და სიტუაციების აუცილებელ კონტროლს.

Besik Barkalia, Associate Professor, GTU;
Zurab Vashakidze, Associate Professor, GTU.

THE MAIN PRINCIPLES OF THE INTERDEPENDENCY BETWEEN THE TOURISM AND THE NATIONAL PARKS

SUMMARY

One of the most wide-spread and popular types of the tourism is the controllable form of the natural tourism – ecotourism. The comprehension of the nature constitutes the base for the latter, which requires the organisation of the trips for the definite number of the tourists in the relatively intact zones of the nature for the purposes of visiting such places, which stirs the cultural-educative interest. The main emphasis is put upon the susceptible approach and reasonable use of the natural resources for the purposes of the restoration, care and protection. This kind of tourism is different from mass tourism and is distinctive for its stable use of the specific touristic resources (unique and less transformed nature, cultural objects), for the support of the social-economic development of the regions and organisation of the ecological education.

The ecological tourism is the unity of the leisure, outdoor trips, educative, explorative, cultural and economic activities and it has utterly important and increasing influence on the social processes. Practically, its structural-functional differentiation, geographic distribution, the number of the visitors and recreational service is increasing daily and its role is growing in the reinforcement of the cultural and economic relations.

The successful development of the ecotourism is highly dependent on the existence of the intact nature, as well as the good quality organisation of the protection of the environment. Without these two factors, this type of the tourism will lose its purpose, that is why the most stable development of the ecotourism is achieved in the natural-territorial complexes or the national parks, where there are separately determined the touristic and protective, and natural and ethnographic-cultural functions.

The ecotourism supports the social-economic development of the regions of the county, gives the possibility for the combination of the economic growth and the protection of the nature, which is particularly important for the developing countries, where the traditional methods of the agriculture are less effective and causes the significant degradation of the resources. The expansion of the ecotourism will cause the development of the tourism infrastructure and of the other linked fields of the agriculture and will be accordingly followed by the emergence of the

new employment opportunities.

There is the largely unexploited potential of the ecotourism in Georgia. The creation of the new concept on the natural territories and the organisational measures for the formation of the national parks serves for the future development of the ecotourism. Founding the national parks and the development of the ecotourism on their territory will support the restoration and renovation of the natural resources, as well as the improvement of the social and economic condition of the underdeveloped regions.

The governance of the national parks and the creation of the infrastructure are essential to be conducted in close cooperation between the administration of the parks and the national and regional touristic organisations, as these organisations are able to provide appropriate assistance to the administration of the parks for the construction of the touristic objects. Besides, the administration of the parks should introduce to the touristic organs with the restrictions for the tourists. For instance, one of the restrictions is exceeding the capacity of the park, as the lack of the control might have a negative influence upon the park, destroy and damage resources, which are vital for the development of the tourism.

In the specific regions, the planning and development of the tourism should be conducted in accordance with complex state programme on the use of the nature, based on the ecological requirements. The national parks should be included in the common plan for the land-tenure of the particular region. The latter should envisage the economic profit, which the certain region will get due to the development of the touristic infrastructure in the touristic zone (park and its adjusting territory) and the close cooperation of the private structures.

The development of the touristic infrastructure might infringe the natural balance of the resources of the national parks. Therefore, taking into consideration the use of the alternative resources and the ecological values, it is necessary to determine in advance the types of the tourism and of the infrastructure linked to it on the particular territory.

In the national parks, there should be specific plans for the situation of the objects necessary for the touristic infrastructure. The maximally unnoticed premises should damage the environment as little as possible, as their dominance restrains the natural values. In every case, it is necessary to use the local natural recourses: stones, woods, clay and other for the construction works. It is unacceptable to use the foreign materials (asbestos, slag-blocks and other) and the paints of the electric, disharmonic colours. Throughout the projection of the buildings, architectural design and construction works the local style, traditions should be taken into consideration coupled with the use of the so called “echo-technologies”.

ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

სამეცნიერო-ტექნიკური პარკი, როგორც ინოვაციური რეალიზაციის ობიექტი

თამაზ ბაციკაძე, სტუ-ს სრული პროფესორი
კობა სონაძე, სრული პროფესორი
ზურაბ ფარესიშვილი, აკადემიური დოქტორი



განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროგრესული ფორმების ძიება. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი მართულეობა ტექნოლოგიური პარკების შექმნა და განვითარება. უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნოპარკები შეიძლება გახდეს ყველაზე უფრო ეფექტური წარმონაქმნი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში.

თავისი შინაარსით ტექნოპარკი არის დამაკავშირებელი რგოლი მეცნიერ-გამომგონებელსა და კომპანიებს შორის რომლებიც აღიარებენ ამ გამოგონებას და მიზანშეწონილად ჩათვლიან მის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკები დაინტერესებული არიან ტექნოლოგიების გაყიდვით, ამასთან ზოგჯერ უშუალოდ არ მონაწილეობენ მისი გაყიდვის პროცესში თუმცა ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სპეციალური საინფორმაციო თუ სხვა მომსახურებით, დამფუძნებელი ან თანადამფუძნებელი.

პირველი ტექნოპარკის წინამორბედი იყო 1939 წელს აშშ-ში კალიფორნიის შტატის, პალო ალტოში შექმნილი ინოვაციური ცენტრი, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. სტენფორდის ტექნოპარკი შეიქმნა 1951 წელს, რითაც იწყება ტექნოპარკების შექმნის პირველი ეტაპი. 1950-იანი წლების ბოლოდან როცა შეიქმნა პირველი საუნივერსიტეტო ტექნოპარკები სტენფორდში, კემბრიჯში და აშშ-ის და ინგლისის სხვა ქალაქებში. უნივერსიტეტებში იქმნებოდა ტერიტორიები, რომლებზეც გამოგონებლები წყვეტდნენ პრაქტიკოსების მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებების მიუხედავად, (აშშ და საფრანგეთში ფუნქციონირებენ ტექნოპოლისები, ბელგიასა და გერმანიაში მათ ეწოდებათ ინოვაციური ცენტრები, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში მათ ეწოდებათ ტექნოპარკები), მათი გაერთიანების პრინციპები თითქმის ერთიანია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველა ქვეყანაში ისინი ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში 1956 წელს შეიქმნა ნოვოსიბირსკის აკადემქალაქი,

რომელშიც განთავსდნენ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები სხვადასხვა დარგობრივი მართულეობების მიხედვით, რომლებიც დასავლეთის ტექნოპარკებისაგან განსხვავებით ორიენტირებულნი იყვნენ ქვეყნის წინაშე მდგომი დარგობრივი გეგმური ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტაზე.

მიუხედავად გარკვეული სპეციფიურობისა ტექნოპარკებისათვის დამახასიათებელია ერთი მთავარი ნიშანი, რომ ტექნოპარკები ეს არის მთავრობის, მრეწველობისა და უნივერსიტეტების რესურსული პოტენციალის ორგანიზების მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარების სტიმულირება, მოსახლეობის სოციალური და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

სპეციალისტების აზრით სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა შეადგენს ტექნოპარკების გულს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იაპონიის ტექნოპარკის “ნაგაოკი”, რომლის ორგანიზაციის დროსაც აშენდა ახალი სწრაფი რკინიგზა, ექსპლუატაციაში შევიდა ახალი საცხოვრებელი მასივები, აშენდა კომუნიკაციები, კულტურული და გამოსაჯანმრთლებელი ცენტრები, პარკები და მწვანე მასივები. პროგრამის სხვა დანახასიათებელი ნიშანი იყო ყოველი ცალკეული ქალაქი-ტექნოპარკის სპეციალიზაცია. მაგალითად “სამამატსუ” ვითარდებოდა, როგორც ელექტრონიკის, მექანიკის, ვიდეოინფორმაციული სისტემების წარმოების ცენტრი. “ტოიამა” სპეციალიზდება ფარმაცოლოგიაზე და ბიოტექნიკაზე, ხოლო “იამაგუტი” ახალი საამშენებლო მასალების და კერამიკის წარმოებაზე.

აშშ ტექნოპარკების მშენებლობას თან ახლდა ახალი აუთვისებელი ტერიტორიების სწრაფი ტემპებით ათვისება. გასული საუკუნის 50-იან წლებში სანტაკლარის ველის სამხრეთ-დასავლეთი წარმოადგენდა დაბალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს განუვითარებელი ინფრასტრუქტურით. სტენფორდის უნივერსიტეტის და რამდენიმე დამწეობის ფირმების ძალისხმევით შედეგად რაიონში შეიქმნა ტექნოპარკი, რომელმაც დასაბამი მისცა დღევანდელ აშშ ყველაზე უფრო მაღალგანვითარებული ტერიტორიული კომპლექსის შექმნას. დღეისათვის “სილიკონ-ველი” წარმოადგენს აშშ “ელექტრონულ დედაქალაქს”, რომელ-

შიც კონცენტრირებულია აშშ ელექტრონული წარმოების თითქმის ნახევარი, სადაც დასაქმებულია კალიფორნიის შტატში დასაქმებულთა 30 %-ზე მეტი.

ტექნოპარკების განვითარების მეორე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელმაც ძირითადად მოიცვა დასავლეთ ევროპა და დაკავშირებულია მსოფლიო ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფ ზრდასა და ეროვნული მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების სტაგნაციასთან, როგორებიცაა: მეტალურგია, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა. ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო იყო გარკვეული ტექნიკური და ტექნოლოგიური ნახტომის გაკეთება და მრეწველობის ახალ ზარისხობრივ დონეზე აყვანა. აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო ახალი, მეცნიერებატევადი დარგებისა და ბაზრების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. აღნიშნულ ეტაპზე ხდება ბიზნეს-ინკუბატორების არსებული ტემპებით განვითარება, რომლებსაც აქვთ ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაცია. 1983 წელს იაპონიაში მიღებული იქნა კანონი ტექნოპოლისების შესახებ.

ტექნოპარკების განვითარების მესამე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ტექნოპარკები სულ უფრო მეტად იყენებენ ინოვაციებს, როგორც კონკურენტუნარიან საქონელს. ამასთან ახალი თაობის ტექნოპარკების კონკურენტუნარიანობა აისახება მათი გამოგონებითი საქმიანობის მრავალფეროვნებაში.

სამეცნიერო ტექნოპარკების სამი მოდელი. ტექნოპარკები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ მოდელად – ამერიკული (აშშ, დიდი ბრიტანეთი), იაპონური და შერეული (საფრანგეთი, გერმანია).

მოდელის ტიპური მაგალითია, სამეცნიერო პარკებიდან უძველესი – სტენფორდის პარკი, რომელიც განლაგებულია უნივერსიტეტის მიწებზე და 51 წლიანი იჯარით აქვთ გაცემული მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან და რომლებშიც მეცნიერ-მუშაკებად და მასწავლებლებად მიწვეული არიან უნივერსიტეტის პროფესორები. კომპანიაში თავდაპირველად გაერთიანდნენ 80 კომპანია და ელექტრონიკის, გეოლოგიური სამსახურის, აეროკოსმოსური, ქიმიური და ბიოტექნოლოგიური მიმართულებების.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთევროპის ქვეყნებში გავრცელდა ტექნოპარკების ახალი ნაირსახეობა, რომელიც ორიენტირებულია წვრილ მაღალტექნოლოგიურ საწარმოებზე – ინოვაციურ ცენტრებზე, რომლებიც წააგავს ამერიკულ “ინკუბატორებს”. მათი ამოცანაა შეაერთონ იდეები და გამოგონებები წარმოებასთან და მათ რეალიზაციაში ჩართონ საზოგადოებრივი და კერძო ფონდები მათთვის სასტარტო კაპიტალი. ინოვაციური ცენტრების ფუნქციები მოიცავს ინოვაციური პროცესების სხვადასხვა სტადიებს, განსაკუთრებით ექსპერიმენტალური წარმოებიდან ახალი პროდუქციის კომერციულ ათვისებამდე. აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის არ არის საჭირო ახალი კომპანიების შექმნა, ხშირად ინოვაციური ცენტრები გამოგონებულ-მწარმოებლებს აღმოუჩენენ დახმარებებს ახალ პროდუქტზე ლიცენზიების გაცემაზე.

რიგი ინოვაციური ცენტრებისა იმყოფება ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში, ხოლო შედარებით მსხვილები შედიან ევროპულ ქსელში, რომლის ბაზაც ბრიუსელშია და აერთიანებს სხვადასხვა ცენტრის დაახლოებით 40 ინოვაციურ ცენტრს. ევროპული ცენტრი ხელს უწყობს ფირმებს ტექნოლოგიების სხვადასხვა ქვეყნებს შორის ვაჭრობაში.

სამეცნიერო პარკების **იაპონური მოდელი** ამერიკულიდან განსხვავებით, გულისხმობს სრულიად ახალი ტიპის ქალაქების, “ტექნოპოლისების” მშენებლობაზე, რომლებიც თავს უყრიან სამეცნიერო კვლევების ჩატარებას მოწინავე, პიონერულ და წარმოების მეცნიერებად დარგებში. ტექნოპოლისების შექმნის პროექტი “ტექნოპოლისი” სარეალიზაციოდ მიღებული იქნა 1982 წელს.

ტექნოპოლისების შექმნის მოდელად აღებული იქნა 19 ზონა რომლებიც განფენილი იყო ოთხ კუნძულზე. ყველა მათგანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი კრიტერიუმები:

- განთავსებული უნდა იყოს 30 წუთის სავალზე “ქალაქ-მშობლისაგან” (არა ნაკლებ 200 ათასი მცხოვრებით) და ტოკიოდან, ნაგოიდან ან ოსაკიდან ერთი დღის სავალზე.
- დაკავებული ფართობი 500 კვ. მილი ან ნაკლები.
- თანამედროვე სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსის დაბალანსებული კომპლექსის, უნივერსიტეტის და კვლევითი ინსტიტუტის არსებობა თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთად.
- განთავსებული უნდა იყოს მიმზიდველ რაიონებში და ჰარმონიზებული უნდა იყოს ადგილობრივ ტრადიციებთან და ბუნებრივ პირობებთან.

ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 მილში მდებარეობს “ტვინების ქალაქი” – ცუკუბა, რომელშიც ცხოვრობს 11 500 ადამიანი. ისინი მუშაობენ 50 სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებში და ორ უნივერსიტეტში. ცუკუბაში ფუნქციონირებს იაპონიის 98 წამყვანი სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორიებიდან 30 რის გამოც ეს პატარა ქალაქი აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ცენტრად.

“შერეული მოდელი” მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საფრანგეთის სამეცნიერო პარკები, რომლებიც ორიენტირებული არიან, როგორც იაპონურ ისე ამერიკულ მოდელზე. საფრანგეთში უმსხვილესია “სოფია ანტიპოლისი”, რომელიც განლაგებულია რივერში, 200 ჰა-ზე მეტ ფართობზე. მიწები მიეყიდათ კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს. განსაზღვრულია დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 6 000 კაცი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პირველი ინგლისური ტექნოპარკის კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი, რომელიც შეიქმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში და უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის მის ფირმებში მუშაობდა 18 ათასი კაცი. უნივერსიტეტისა და კვლევითი ლაბორატორიების მჭიდრო კავშირები იყო ურთიერთსასარგებლო. გავრცელებული იყო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის ფართის იჯარით აღების პრაქტიკა, რომელთა კვლევის შედეგებიც წარმატებით ინერგებოდა პრაქტიკაში. დღეისათვის ტექნოპარკში წარმატებით ფუნქციონირებს

400-ზე მეტი მაღალტექნოლოგიური ფირმა, რომლებიც დასპეციალებულნი არიან ელექტრონიკის, ხელსაწყოთა და მანქანათმშენებლობაში, კომპიუტერულ ტექნიკაში, პროგრამულ უზრუნველყოფაში, ტელეკომუნიკაციაში და ბიოტექნოლოგიაში. კომპანიების უმეტესობა მცირერიცხოვანია (30 კაცზე ნაკლები) და ახალშექმნილია (მათი არსებობის ვადა 5 წელს არ აღემატება).

შეიძლება გამოიყოს კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპარკების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. უპირველეს ყოვლისა ეს არის მეცნიერებატევადი საწარმოების აღმოცენება, რომელთა რიცხვიც სულ უფრო იზრდება. საწარმოები ახალი ვენჩურული კომპანიებისათვის ასრულებენ ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციას. ტერმინი “ინკუბატორი” კემბრიჯში გამოიყენება ორი ძირითადი გაგებით: ფართო გაგებით როგორც ტექნოპარკის ნაარსახეობა, რომლის მთავარი ფუნქციაა, ახალგაზრდა ორგანიზაციებზე დახმარება და ვიწრო გაგებით, როგორც ტექნოპარკის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

აღსანიშნავია ის, რომ კემბრიჯში იზრდება ინგლისის და აშშ-ის მსხვილი კონცერნების და ფინანსური ინსტიტუტების განყოფილებების რიცხვი. კემბრიჯის მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ფირმები უზრუნველყოფენ მოცემული რაიონის მოსახლეობის 20 %-ის დასაქმებას.

საინტერესოა ინგლისის ტექნოპარკების დაფინანსების პრაქტიკა. საუკუნის დასაწყისისათვის დიდი ბრიტანეთის 40 ტექნოპარკში დაბანდებული იყო 400 მლნ. ფუნტ სტერლინგამდე, რომელიც დახარჯული იქნა მიწების შეძენაზე, შენობების აშენებაზე და ინფრასტრუქტურის შექმნაზე. საბრუნავი საშუალებების ფორმირების ძირითადი წყაროა იჯარის შემოსავალი და მომსახურებიდან შემოსავალი. რაც შეეხება სამეცნიერო პარკების ძირითად შემოსავალს ის ფორმირდება შემდეგი ძირითადი წყაროებიდან: ა) დამფუძნებლებისა და სპონსორების შენატანები; ბ) მიწის არენდიდან შემოსავალი; გ) კომერციული კრედიტები; დ) პარკის კაპიტალიდან წილის გაყიდვა. ე) გრანტები და სახელმწიფო სუბსიდიები. ვ) მოგების რეინვესტირება; ზ) პარკის მიერ აშენებული შენობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

დიდი ბრიტანეთის ტექნოპარკების შემადგენლობაში მყოფი ფირმების 60% მეტს წარმოადგენენ მცირე ფირმები, რომლებსაც უჭირავთ მხოლოდ ერთი ოფისი. მათში დასაქმებულთა რაოდენობა 5 დან 10 კაცამდეა. თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ გამოყენებითი კვლევების სფეროში, ამასთან საჭიროების შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებლებთან ან მსხვილ კორპორაციასთან.

ფინანსირება და საბრუნავი კაპიტალი. ტექნოპარკის შემადგენლობაში შემავალი ფირმებისათვის ფინანსირების შიდა წყაროს წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი. თუ კი დაფინანსების შიდა რეზერვები ამოწურულია ფირმები გადადიან დაფინანსების გარე წყაროების გამოყენებაზე, რომელთა შორისაც უმთავრესია:

- ა) საბანკო კრედიტები და ოვერდრაფტები; ბ) სააქციო კაპიტალი; გ) ვენჩურული კაპიტალი; დ) მსხვილ კომპანიებთან პარტნიორობა; ე) ტექნოპარკის ინიციატივები;
- ვ) მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

- ა) **საბანკო კრედიტები და ოვერდრაფტები.** დიდ ბრიტა-

ნეთში ტექნოპარკების კრედიტებით და ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით იქმნება ცენტრალური ბანკების რეგიონალური ფილიალები, რომლებიც მცირე ბიზნესის განვითარებას უწყვენ სათანადო დახმარებას. დაკრედიტების კუთხით არსებობს მთელი რიგი პაკეტები. მაგალითად კრედიტები ბიზნესის დაწყებისათვის ყოველი ბანკი ცდილობს აჩვენოს თავისი მიმზიდველობა სხვადასხვა შეღავათებით, ფიქსირებული ან მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით, ერთსა და იგივე პაკეტში სხვადასხვა პირობებით.

ოვერდრაფტი არის ტექნოპარკების დაფინანსების ყველაზე უფრო გავრცელებული და მისაღები ფორმა, რომელიც გამოიყენება საბრუნავი საშუალებების მიმდინარე დეფიციტის დასაფარად და არა გრძელვადიანი ფინანსირებისათვის. ოვერდრაფტის გაცემის დროს ბანკები ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრავენ მის ფიქსირებულ ყოველთვიურ გადასახადს.

ფართოდ გამოიყენება ასევე კომერციული იპოთეკური კრედიტები, რომელიც იპოთეკური კრედიტის ერთ-ერთი მოქნილი ფორმაა. ბანკებს შორის კონკურენცია ხდება კლიენტებისათვის ყველაზე უფრო მოქნილი პაკეტების შეთავაზებით, როგორც ყველაზე უფრო მისაღები ვადების, ისე საპროცენტო განაკვეთების ფიქსირებული ან მოძრავი პროცენტებით.

ბანკებიდან საკრედიტო თანხების შეუფერხებლად მიღების მიზნით ტექნოპარკის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პირობები: სისტემატურად უნდა მისცენ ბანკებს ინფორმაციები ფირმის ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ; ბიზნეს-გეგმებში დეტალურად გაწერონ და დაასაბუთონ ფინანსური ნაკადების მიღების აუცილებლობა; ბანკებს წარუდგინონ ფინანსური მდგომარეობის არა ზოგადი დახასიათება არამედ კონკრეტული პროექტები თუ რისთვისაა საჭირო კრედიტები.

ბ) **სააქციო კაპიტალი.** ტექნოპარკის სტრუქტურაში შემავალმა მცირე და საშუალო ფირმებმა შეიძლება უზრუნველყონ საკუთარი ფინანსირება დაფინანსების ისეთი გარე წყაროდან როგორცაა რეგისტრაცია არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების ლონდონის საფონდო ბირჟაზე, თუმცა აქ ერთი მომენტი გასათვალისწინებელი ის, რომ ფირმის რეგისტრაციიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგაა შესაძლებელი მათი აქციების საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირება. აღსანიშნავია ისიც, რომ საფონდო ბირჟაზე კოტირებას დაწყებიდან სჭირდება ექვსი თვე მაინც. აღნიშნული მსხვილი ფინანსების მიღების მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა აღნიშნულისა ახალი დაფინანსების წყაროა ახალი აქციონერების მიღება.

გ) **ვენჩურული კაპიტალი.** ბრიტანეთის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ვენჩურული კაპიტალის გამოყენება მიზანშეწონილია ტექნოპარკში შემავალი სწრაფი ტემპებით მზარდი მცირე და საშუალო ფირმებისათვის. ვენჩურული კაპიტალი, როგორც წესი გაიცემა სამი-ხუთი წლის ვადით, რომლის განმავლობაშიც ვენჩურული ინვესტორი არ ელოდება ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას. იმის გამო, რომ ვენჩურული ინვესტორი სერიოზულად რისკავს იმის გამო, რომ თანხებს აბანდებს ყოველგვარი გარანტიის გარეშე. ვენჩურული კაპიტალისტები ზედმიწევნით ზუსტად სწავლობენ საინვესტიციო წინა-

დადებების სიცოცხლისუნარიანობას, ახდენენ ბიზნეს-გეგმის დეტალურ შესწავლას. ფინანსირება ხორციელდება ფირმის კაპიტალის წილის ან დირექტორთა საბჭოში წარმომადგენლის შეყვანის სანაცვლოდ.

დ) მსხვილ კომპანიასთან პარტნიორობა ხორციელდება მაშინ როცა მსხვილი კომპანია იძენს მცირე ფირმის კაპიტალის წილს ან მასთან ერთად ანხორციელებს ერთობლივ წარმოებას. მსხვილი ფირმა როგორც წესი გამოყოფს სოლიდურ თანხებს და ახდენს მხარდაჭერას მენეჯმენტის სფეროში, ის ახდენს მარკეტინგულ ოპერაციებს, გავლენას ახდენს მომწოდებლებსა და მომხმარებლებზე. კორპორაცია მცირე ფირმას გადასცემს იმ ტექნოლოგიას, რომლის გამოყენების მასშტაბებიც მისთვის არარენტაბელურია. მცირე ფირმა პარტნიორობაში დებს თავის შემოქმედებით პოტენციალს და ნოვატორულ სულისკვეთებას, უკვლევს მსხვილ კორპორაციას გზას ახალი ტექნოლოგიებისა და მოდელირებული საქონლის წარმოებისაკენ.

ე) სამეცნიერო პარკების ინიციატივების ერთ-ერთ გამოვლინებაა აქტიური მონაწილეობა კლიენტის ფირმების მომსახურებაში, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც კერძო ფირმები ისე მუნიციპალური სტრუქტურები. ასეთი თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლოა და წყდება ტექნოპარკისა და საზოგადოების ერთობლივი ინტერესები.

ვ) მთავრობის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. დიდ ბრიტანეთში მთავრობა თამაშობს მეტად მნიშვნელოვან როლს ტექნოპარკების და მასში შემავალი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის. ტექნოპარკების დახმარებისათვის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

1. დაკრედიტების გარანტიის პროგრამები, უზრუნველყოფს კომერციული ბანკებისათვის 100000 ფუნტი სტერლინგის ფარგლებში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროების გარანტიებს 70-85 %-ის ფარგლებში იმისდა მიხედვით თუ რომელ რეგიონალურ ზონაში იმყოფება დასაკრედიტებელი ორგანიზაცია. კრედიტის ვადა ორიდან ხუთ წლამდეა, სასესო პროცენტი წელიწადში შეადგენს 2.5 % (შეიძლება 1%-იც თუ კი სესხი გაცემულია პირველად და მსესხებელი შედის სპეციალურ რეგიონთა ჩამონათვალში.)

2. ბიზნესის განვითარების პროგრამები მიმართულია მცირე საწარმოებში კაპიტალდაბანდებების წახალისებისათვის და უპირველესად მოიცავს ღონისძიებებს დამწეობის ბიზნესისათვის რისკების თავიდან აცილების საკომპლექსოდ სავადასახადო შეღავათების დაწესებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობისათვის დაწესებულია გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც გამიზნულია მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ინვესტიციების წახალისებლად.

3. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მცირე ფირმების გრანტებით წახალისების პროგრამა. ეს პროგრამა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს პროგრამის ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს ტექნოპარკების მხარდაჭერას. პროგრამა ითვალისწინებს კონკურსის ორი ეტაპის ჩატარებას ინოვაციური მცირე საწარმოებისათვის, რომლის რიცხოვნობაც 50 კაცამდეა. პირველი ეტაპის გამარჯვებულები სამინისტროდან იღებენ გრანტს, რომელიც ფარავს პროექტის 75%-ს, მაგრამ არა უმეტეს 50000 ფუნტი სტერლინგისა. პროექტების შერჩევა ხდება სი-

ახლის, მნიშვნელობის და ქვეყნისათვის კომერციული სარგებლიანობის გათვალისწინებით. თუმცა მნიშვნელოვანია კონკურსანტების ფინანსური საჭიროებანი. მეორე ეტაპი წარმოადგენს დამოუკიდებელ კონკურსს, რომელიც ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 9 თვის შემდეგ პირველ ტურში გამარჯვებულებისათვის. მისი მისანია პროექტის მეორე წლის დაფინანსება და ფარავს ხარჯების 50% მაგრამ არა უმეტეს 100000 ფუნტი სტერლინგისა. 4. ახალი პროდუქციის შექმნის მხარდაჭერის პროექტის მიზანია მცირე საწარმოებისათვის დახმარების გაწევა ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ხაზების შექმნისათვის, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ფირმების, რომელთა რიცხოვნობაც 500 კაცამდეა, შეუძლიათ მიიღონ გრანტი, რომელიც დაფარავს პროექტის ღირებულების 30 %-ს, მაგრამ არა უმეტეს 150 000 ფუნტი სტერლინგისა. პროექტის მინიმალური ღირებულება უნდა იყოს 50000 ფუნტი სტერლინგზე უფრო მეტი და მისი რეალიზაციის ვადები უნდა იყოს ექვსი თვიდან სამ წლამდე. გარდა ამისა პროექტმა უნდა შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი დარგის განვითარებაში.

ტექნოპარკის ფუნქციონალური ასპექტები. საქართველოსათვის განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ ევროპის ტექნოპარკების ფუნქციონირების თავისებურებები.

ჩეხეთში ტექნოპარკების საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო-ტექნიკური პარკების საზოგადოება. აქ გავრცელებულია სამეცნიერო-ტექნიკური პარკების ოთხი ნაირსახეობა: ა) საზოგადოებრივ-სამართლებრივი; ბ) კერძო; გ) კომბინირებული; დ) აკადემიური.

ა) საზოგადოებრივ-სამართლებრივი სამეცნიერო – ტექნიკური პარკი არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება რესპუბლიკური მთავრობის მიერ. მისი პრიორიტეტული მიმართულებებია რეგიონების ეკონომიკის განვითარება ტექნიკური პროგრესის დაწინაურების, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის და ეკონომიკის დივერსიფიკაციის საშუალებით, რაც გულისხმობს რისკის შემცირების მიზნით სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტსა და სხვა აქტივებს შორის საინვესტიციო პორტფელის გადანაწილებას და კომპანიების საქმიანობის სფეროს გაფართოებას.

ბ) კერძო სამეცნიერო-ტექნიკური პარკები წარმოადგენენ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობის საფუძველია კაპიტალების გაერთიანება სადაზღვევო კაპიტალის მონაწილეობით, ფირმის ინოვაციურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთ შემთხვევაში ის სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, რომლებიც განლაგებული არიან პრესტიჟულ ადგილებში მათი შემოსავლების მთავარი წყაროა საიჯარო ქირა და სხვადასხვა ფასიანი მომსახურება.

გ) კომბინირებული სამეცნიერო ტექნიკური პარკები შექმნის საფუძველია სახელმწიფო, კომუნალური და არამომგებიანი ინსტიტუტების გაერთიანება კერძო სექტორთან. ასეთი გაერთიანებები შესაძლებელს ხდის პარკები დაფინანსდნენ სხვადასხვა დონის სახელმწიფო დოტაციებით და კერძო დაფინანსებით. კერძო სექტორიდან ყველაზე ხშირად პარტნიორობად გამოდიან ბანკები, დიდი საწარმოები, მეცენატები და სხვა სპონსორები, რომლებიც

თავიანთი წვლილით დემონსტრირებას ახდენენ ინოვაციური პოლიტიკის მხარდაჭერის შესახებ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს.

დ) აკადემიური სამეცნიერო – ტექნიკური პარკები მიერთებული არიან უნივერსიტეტებთან ან მათ ფაკულტეტებთან და პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება როგორც პირადი ისე ინოვაციური გამოგონებები.

საინტერესოა პოლონეთის ტექნოპარკების საქმიანობის ორგანიზაციული საფუძვლების შესწავლა. აქ საქართველოს მსგავსად ტექნოპარკებისათვის არ არის შექმნილი სპეციალური კანონმდებლობა და ისინი საქმიანობას ეწევიან განათლების, მეცნიერებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ყველაზე უფრო ხშირად პოლონეთში ტექნოპარკები საქმიანობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებების ფორმით. სააქციო საზოგადოებები უპირატესად იქმნება მაშინ როცა მასში მთავარი მონაწილეები არიან სახელმწიფო ორგანოები და სხვადასხვა ორგანიზაციების ადმინისტრაციები.

ტექნოპარკის მცნება გვხვდება “ინვესტიციების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ” პოლონეთის კანონში. კანონი განსაზღვრავს ტექნოპარკების დახმარების პრინციპებს, ფორმებს და პირობებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: უძრავი და მოძრავი ქონების გამოყოფა; ტექნოლოგიური კრედიტების და ტექნოლოგიური პრემიების გამოყოფის პრინციპები; საწარმოებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მინიჭების პრინციპები. ტექნოპარკები რომლებიც მდებარეობენ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში სარგებლობენ დამატებითი საგადასახადო და სხვა სოციალური შეღავათებით.

მსოფლიოში ტექნოპარკების საქმიანობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში იწყება ტექნოპარკების ფორმირების პროცესი და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოპარკების სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო ისეთი ახალი ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას, როგორც მიმდინარე ეტაპზე ისე უახლოეს მომავალში. დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ტექნოპარკებში ტექნოლოგიების განვითარების შემდეგი მიმართულებები: ახალი სახეობების პროდუქციისა და მასალების შექმნა; ცნობილი ტექნოლოგიების გადატანა წარმოების ახალ სფეროებში და დარგებში; ფუნდამენტალური სამეცნიერო გამოგონებების მზა ტექნოლოგიურ წარმოებებში ჩართვა; საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომითი პროცესების რეორგანიზაცია და კადრების მომზადების სისტემა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩამოყალიბდა ზოგადი წარმოდგენა საინოვაციო საქმიანობის შინაარსის, ფორმებისა და მართვის საკითხებზე. თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ეფექტური საინოვაციო სისტემის ჩამოყალიბება, რაც ძირითადად გამოწვეულია ეროვნული რესურსებისა და მოზიდული საინოვაციო საქმიანობისათვის განკუთვნილი ინვესტიციების დისბალანსით, რასაც ემატება მმართველობის არასწორი

სხვადასხვა სისტემა. ამ მხრივ გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს ბალტიისპირეთის ქვეყნები, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია რომლებმაც შექმნეს დასავლეთ ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური არეალი, საკუთარი კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შესაქმნელად.

საინოვაციო საქმიანობის შედარებით ნაკლებ ეფექტურ მიმართულებით მუშაობს რუსეთის ფედერაციის რიგი რეგიონები და ცალკეული მსხვილი ქალაქები. პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვისა და ინოვაციურ საქმიანობის წარმართვის შედარებითი წინსვლა აღინიშნება ბელორუსის, უკრაინის, მოლდავეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის რესპუბლიკებში.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სისტემა, მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, რომელიც არსებობს სამეცნიერო-კვლევითი, სამეწარმეო, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში, ცდილობს აღიდგინოს ძველი ტრადიციები, შექმნას საინოვაციო სისტემის რეგულირების სამეცნიერო-კვლევითი მეცნიერებატევადი ინსტიტუტები, განავითაროს მეცნიერებისა და მრეწველობის კავშირები, ძლიერი მატერიალურ ტექნიკური ბაზით და ვენჩერული კაპიტალის მოზიდვით.

მსოფლიო ქვეყნების საინოვაციო სისტემებისგან განსხვავებით, საქართველოში ეროვნული რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის რაციონალური გამოყენებით უნდა დამუშავდეს საინოვაციო სისტემის შუალედური მოდელი რომელიც დაბალანსებული იქნება ინოვაციური საქმიანობით გამოშვებულ პროდუქციასთან და გასაღების ბაზართან.

დასკვნა

1. კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გზით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხდება პროგრესული ფორმების დანერგვა-განვითარება. რომლის უმთავრესი მიზანია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების შექმნა.
2. უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული ტექნიპარკების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მაგალითზე სამეცნიერო-ტექნიპარკი შეიძლება გახდეს ყველაზე უფრო ეფექტური წარმონაქმნები სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისა ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში.
3. ინოვაციური საქმიანობის ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ ტექნოპარკი არის დამაკავშირებელი რგოლი მეცნიერ-გამომგონებელსა და მწარმოებელ კომპანიებს შორის.
4. დადგინდა, რომ ტექნოპარკები დაინტერესებულნი არიან ინოვაციური ტექნოლოგიების გაყიდვით და ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვანიური პროექტების რეალიზაციისათვის.

The main priority to our country and to the Technical University is commercialization of science researches. In his conception to develop strategic plans Prof. Archil Prangishvili substantiated necessity and prospect of materialization non-material actives. It's mentioned that West countries experience for Innovation in business and search commercialization is not suitable for Georgia. That's why we need original conception in commercialization science researches.

Besides skilled scientists we need people who know and will do their best to make non-material actives (licenses, trade marks, knowlage) in Material aspect.

Unfortunately in Georgia we don't have any juridical database for regulation Innovation activities. (P.s. If we don't have into consideration some Laws issued last years but they are not completed and it can't guarantee to advocate businessman from finance and payrolling demands) According above mentioned implementation Innovation activities in technical progress is not suitable with Governmental interests and not reflects (represents) developing and branches of innovational activities.

1. საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, 2010 წ. ქობილისი.
2. ო.შატერაშვილი; – საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა „შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში“, ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები. გამოცემა: „ღია საზოგადოება-საქართველო“ 2011 წ. ქობილისი.
3. მ.კოპალეიშვილი ნ. მახვილაძე, თ. ჩუბინიშვილი; – საინოვაციო საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. – გამომცემლობა ტექნიფორმი 2010 წ. ქობილისი.
4. მ.კოპალეიშვილი, ი.ბედინაშვილი; – „უცხოეთის ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემები“. – გამომცემლობა ტექნიფორმი 2009 წ. ქობილისი.
5. კ.სოხაძე; – შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემები. „ეურნალი ბიზნეს – ინჟინერინგი“ №1. 2011 წ. ქობილისი.

რეგიონების ინოვაციური განვითარების და ტექნოლოგიური პარკების სტრუქტურების მოდელი

გუგული ყურაშვილი
სტუ პროფესორი

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინოვაციური პროცესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მომავლის განვითარების პროპორციებს და მიმართულებებს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიოში ვერ დაიჭერს მოწინავე პოზიციებს, თუ ის წარმატებული არ იქნება ინოვაციური სფეროს განვითარებაში. განვითარებული ქვეყნები მეცნიერებისადმი, ინოვაციური სფეროსადმი გაძლიერებულ ყურადღების გამო ცდილობენ თავიანთი გავლენის სფეროში მოაქციონ ეკონომიკის ცვლილებები და ტექნიკური აღმოჩენების ურთიერთკავშირები. არანაკლებ მნიშვნელოვანია საბაზრო რეგულირება ინოვაციური პროცესების განვითარებაში, რომლის მამოძრავებელ ძალად კონკურენცია გამოდის. კონკურენცია არის რაიმე მოქმედების შედეგად მეტოქეობა. საქმიან ურთიერთობებში თითოეული მონაწილის ეკონომიკური დამოუკიდებლობა ვერ გამოირიცხავს ასეთი მეტოქეობის შესაძლებლობას. თანამედროვე სამეცნიერო შრომებში კონკურენცია არის შეჯიბრი, ეკონომიკური და პირისპირება მომგებიან პირობებში საქონელმწარმოებლებსა და პროდუქციის მომწოდებლებს შორის მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

საქონელმწარმოებლების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენება ბაზარზე არსებული საქონლის წარმოების საშუალებას იძლევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ბაზარზე დროებით შეინარჩუნოს მონოპოლიურობა და შედეგად მიიღოს ზემოქმედება. ი. შუმპეტერის „სამეწარმეო კონკურენციის“ კონცეფციის თანახმად, სწორედ ინოვაცია წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობების ცვლილებების მთავარ ფაქტორს, მაგრამ მაღალმონოპოლიზებულ ბაზრებზეც არსებობს საწარმოების გამოჩენის შესაძლებლობა ჩამნაცვლებელი ტექნოლოგიების წინადადებით, რომელთა პროდუქცია დღემდე მონოპოლიზებულია. ეს შესაძლებლობა საქონელმწარმოებლებს ახალი პროდუქციის და ტექნოლოგიის შეცვლას სთავაზობს. შედეგად სწორედ კონკურენცია წარმოადგენს მეწარმეებისათვის ახალი საქმიანობის მასტიმულირებელ ბერკეტს, რომელიც ეფუძვნება სამეურნეო სუბიექტების მიერ განვითარების სტრატეგიების არჩევის შედეგად მოტივაციის მექანიზმს.

„ინოვაციური საქმიანობის“ ცნების ჩამოყალიბებაზე შეიძლება დავეთანხმობთ რიგ ავტორებს (გოლოვანი, შერბაკოვი, ბალაბანოვი), რომლებიც ინოვაციურ საქმიანობას განიხილავენ როგორც განსაკუთრებულ საშუალოთა ერთობლიობას სიახლეების შექმნისაკენ და მათი სამეურნეო საქმიანობაში გავრცელებისაკენ. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ინოვაციური ციკლი მიმდინარეობს სწორხაზოვნად და შემდეგი სტადიებისაგან შედგება: მეცნიერული კვლევების, გამოგონებების, სიახლეებისა და ტექნოლოგიური ნოვაციების ნაერთებისაგან.

მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური საქმიანობის ეფექტური განვითარების და ფორმირების აუცილებლობისათვის

გამოყოფენ სახელმწიფოს მონაწილეობის ორ მოდელს. პირველი მოდელი ხასიათდება ინოვაციურ პოლიტიკაზე სახელმწიფო კონტროლით და განვითარებული ეკონომიკური პროგრამირებით. ამისკენ იხრებიან საფრანგეთი და იაპონია. მეორე მოდელისათვის დამახასიათებელია ინოვაციურ საქმიანობის რეგულირებაში ცენტრის ჩაურევლობა, მაგრამ დაძუშავდა კოორდინაციის და საკანონმდებლო სისტემის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია კერძო და საწარმოო ბიზნესის მიერ რესურსული პოტენციალის ფართოდ გამოყენებისაკენ და სახელმწიფო ფინანსირების შემცირებისაკენ. ამ მოდელმა განვითარება ჰპოვა აშშ და დიდ ბრიტანეთში.

XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ დაიწყო ამერიკული მოდელის განხორციელება ნაციონალური სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა ამ მოდელით ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია ინოვაციური პროცესების ანალოგიურ ეფექტიანობას.

გერმანიაში ინოვაციური პროცესების რეგულირების სისტემა მსოფლიოში არსებულ არცერთ მოდელს არ შეესაბამება. გერმანიაში სახელმწიფოს ჩარევა ასეთ პირობებში შემთხვევითობის ხასიათს ატარებს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პირველ რიგში სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობა არ ექვემდებარება რომელიმე ერთ გეგმას, მეორეის არ არის მიმართული ეკონომიკური წესრიგის ძირეული ცვლილებებისაკენ, მესამე-სახელმწიფო ღონისძიებები არ ატარებენ ერთხაზოვან ხასიათს. ამასთანავე გერმანიის ინოვაციური პოლიტიკის სფერო მკვეთრად განსაზღვრულია ორი მიმართულებით, კერძოდ: ტექნიკური სიახლეების წარმოება და მათი სამეურნეო განაწილება მომხმარებლებს (გამომყენებელი) შორის.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ სამეცნიერო გამოკვლევების და ტექნოლოგიების ფედერალურმა სამინისტრომ დაიწყო ინოვაციური აქტივობის ამაღლების მიზნით კომპლექსური ღონისძიებების რეალიზაცია. განისაზღვრა მცირე ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამა შემდეგი მიმართულებებით:

1. ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულების პროექტების სარეალიზაციოდ აღმოსავლეთ გერმანიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოყოფილი იყო 750 მილიონი მარკა.
2. საწარმოებში ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტებული ცენტრების შექმნა. ამ პროგრამის შესაქმნელად გამოყოფილი იყო 30 მილიონი მარკა. 90-იანი წლების დასაწყისში უკვე წარმოადგენილი იყო 650 განაცხადი ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტებული ცენტრების და ფორმების ქსელის შესაქმნელად.
3. სამეცნიერო კვლევების და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტროს კანონების მოქმედების განთავსება დასავლეთ გერმანულ საწარმოებსა და ახალ ფედერალურ მიწებზე. ამ პროგრამას უნდა გაეზარდა მცირე და საშუალო

ინოვაციური საწარმოების რიცხვი. დაახლოებით 1992 წლის შუა პერიოდისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში 1200 ფირმა ფუნქციონირებდა ასეთი სახით. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში პოზიტიური ტენდენციები ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოწვეული იყო გერმანიის ფედერაციული სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მსხვილი ფინანსური დაბანდებებით.

ითვლება, რომ მეცნიერების და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს რეგიონალურ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. და ეს სინამდვილეს შეესაბამება. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის პროგრამის უდიდესი ნაწილი რეალიზდება რეგიონალურ დონეზე. ეს პროგრამები განიხილება როგორც ადგილობრივი განვითარების, დასაქმების და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ფაქტორებად. მაგალითად, ზამცუში (იაპონია) ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნა ვენჩერული ბიზნესისათვის ფონდი 17 მილ. \$ აშშ ოდენობით, რომლისგანაც საწარმოს მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების და ახალი სახის პროდუქციის მიღებით შექმნილი მიწოდება 5,8% წლიური კრედიტი. იაპონიაში ინოვაციური სფეროს მიმართ უდიდესი ყურადღების დათმობის შედეგად 80-იანი წლების პერიოდში მოიხსნა ფედერალური შეზღუდვები ინვესტირების საშუალებებზე სახელმწიფო საპენსიო ფონდებიდან რისკკაპიტალის შესაქმნელად. 1978 წელს აშშ-ში საპენსიო ფონდების ნაწილი გამოყენებული იქნა ვენჩერული დაფინანსებისათვის, რათა გაზრდილიყო კაპიტალის ნაკადი ვენჩერულ ფონდებში. განვითარებულ ქვეყნებში რეგიონალური ფონდები ძირითადად ყალიბდება ადგილობრივი ბიუჯეტების კორპორაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო მოხალისეთა შენატანების საშუალებით.

ინოვაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი რეგიონებისათვის. ინოვაციების შედეგად მათ შეუძლიათ გახდნენ უფრო განვითარებული მათი თავისებურებების და მოთხოვნების გათვალისწინების შესაბამისად.

ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნიკური ინოვაციების შექმნასა და შემუშავებაზე ორიენტირებული მცირე ორგანიზაციული ფორმები. მაგალითად, აშშ-ში НОКР სფეროში კომპანიების 90% მცირე ფირმებია. რამდენადაც ასეთი ფირმები 24-ჯერ მეტად განახლებადია, ვიდრე გიგანტური კონცერნები. ამასთანავე ასეთი ფირმებში 1 ინჟინერზე ან მკვლევარზე დანახარჯები 2-ჯერ მცირეა, ვიდრე მსხვილ ფირმებში. განვითარებული ქვეყნების კვლევით ბიზნესში იყენებენ ისეთ ორგანიზაციულ ფორმებს, როგორც ვენჩერული ფირმებია („რისკ-კაპიტალი“), ფირმები “СПИН-ОФФ“, „ОТПРИСКИ“ და მცირე საწარმოების ინოვაციური ფონდები.

განვითარებული ქვეყნების ინოვაციური რეგიონების ორგანიზაციის ერთერთ თავისებურებად ითვლება ის, რომ მსხვილი კომპანიების უმრავლესობა ორიენტებული არიან ინოვაციების მიმართ სრულყოფისაკენ. თვლიან, რომ მსხვილი ფირმებისათვის რადიკალური გარდაქმნები ტექნიკასა და ტექნოლოგიაში არაა სასურველი ორი მიზეზით: პირველი, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან წილად მიმდინარეობს დაგროვილი სამრეწველო პოტენციალის ჩამოფასება; მეორე, მსხვილი საწარმოების კონფლიქტებისათვის მეტად მომგებიანია არსებული საწარმოო ტექნოლოგიების სრუ-

ლყოფა ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენადაც სრულყოფით გარანტირებულია გარკვეული მოცუბის მიღებაზე. აქედან გამომდინარე საქონელმწარმოებლები ძირითად მოტივად ინოვაციების დანერგვისას ეკონომიკური ეფექტიანობის მიღებას ასახელებენ. ეკონომიკური ეფექტი გამოისახება ორი შემადგენელით: მცირდება წარმოების ხარჯები და იზრდება სიახლეების გამოყენებით მიღებული მოცუბა ადრე არსებულ და გამოყენებულ მანქანა-დანადგარების და ტექნოლოგიებთან შედარებით. სიახლეების დანერგვით გამოიხატება აგრეთვე სოციალური ეფექტიც, რაც დაკავშირებულია შრომითი დანახარჯების შემცირებასთან, ადამიანის ცხოვრების და შრომითი პირობების გაუმჯობესებასთან. რეგიონალურ დონეზე ინოვაციების ასეთ მოტივაციას ადგილი არ აქვს.

რეგიონალური ინოვაციური მოდელი დაკავშირებული უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიებზე და პირველხარისხოვანი პრობლემების მოგვარებაზე. ევროპული ეკონომიკის დირექტივებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების შესაბამისად გამოიყოფა ტერიტორიული მართვის მოქმედი სამი მოდელი:

- პირველი მოდელი მოიცავს სამეურნეო სუბიექტების საგადასახადო ღონისძიებების კოორდინაციის კვლევას და დამუშავებას, მრეწველობაში სიახლეების ათვისებას და დანერგვას. მოდელის თავისებურება ისაა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები ადგილობრივი ტერიტორიული მართვის ორგანოებისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ გათვალისწინებულია დარგობრივ და დარგთაშორის პროგრამებში;
- მეორე მოდელი მოიცავს პირველი მოდელის იმ ნაწილების განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია ტერიტორიის განვითარებისათვის, მაგრამ რესურსული უზრუნველყოფის გარეშე;
- მესამე მოდელი ითვალისწინებს იმ ღონისძიებების რესურსის უზრუნველყოფას, რომელიც ტერიტორიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განხილული მოდელებიდან არცერთი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონული განვითარებისათვის, რამდენადაც მეურნეობის ახალი პირობები არ ითვალისწინებს მბრძანებლურ-ადმინისტრირებულ ჩარევას. რეგიონალური განვითარების ინოვაციური მოდელების საფუძვლებში ჩადებული უნდა იყოს ეკონომიკური რეგულატორები და მას უნდა შეეძლოს ეკონომიკური ბერკეტების ერთობლიობით, ერთის მხრივ, სამეურნეო სუბიექტებთან სიახლეების გამოყენების მოთხოვნილება და, მეორეს მხრივ, რეგიონალური ინოვაციური პოლიტიკის რეალიზება, რომლის საბოლოო მიზანია კონკურენტუნარიანი და პრიორიტეტული მიმართულების წარმოების განვითარება.

ინოვაციური მოდელების ძირითად გეგმებს წარმოადგენს ტერიტორიის განვითარების პრიორიტეტი. ცნება „პრიორიტეტი“ ბერძნული წარმოშობისაა. „prioritat“ (ლათინური „prior“ - პირველი, მნიშვნელოვანი) და აღნიშნავს პირველობას, რაიმეს პირველს, უპირატესობას. ზოგიერთი ავტორი პრიორიტეტის ცნებაში გულისხმობს ინტელექტუალურ საკუთრებას, როგორც საავტორო აღმოჩენების პირველად უფლებას, როგორც სამეცნიერო ტექნიკურ პრიორიტეტს. სხვა ავტორები გამოყოფენ ეკონომიურ-მარეგულირებელ აზრს: საწარმოო თანამშრომლობის პრიორიტეტი

როგორც სახელმწიფოთაშორის მატერიალურ სფეროში მსხვილმასშტაბიანი ურთიერთობების უპირატესობის სტატუსის ჩატარებითი მიმართულებაა. [მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი].

ჩვენი აზრით „პრიორიტეტის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ტერიტორიულ ერთეულში სამეცნიერო ინოვაციური სფეროს მართვაში საქმიანობის უპირატესი მიმართულება. ეს განმარტება ვფიქრობთ მაქსიმალურად პასუხობს სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს, ტერიტორიულ წარმონაქმნის მიზნებსა და ინტერესებს.

ტერიტორიული განვითარების ინოვაციური მოდელების პრიორიტეტების მეთოდების შერჩევა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პროცედურებით:

1. ტერიტორიულ განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მიზნების დადგენა. **სოციალური მიზნები** - მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარება (კომუნალური მეურნეობა, სატრანსპორტო ქსელი, ენერგეტიკული ბლოკი).

ეკონომიკური მიზნები საბაზრო რეგულატორებით გარდამავალ პირობებში - წარმოების რესტრუქტურისა და შიდა საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად; ტერიტორიული რესურსების რაციონალური გამოყენება (სამეცნიერო-ინოვაციურ და საწარმო პოტენციალი, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ამაღლება; ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება).

2. ტერიტორიული განვითარების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა. მათ შეიძლება მიეკუთვნოს:

- ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია;
- რეგიონალური ტექნოლოგიური შეკვეთების ჩამოყალიბება და რეალიზაცია. ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ინოვაციურ სფეროში მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის პირობების შექმნა, (მომგებიანი დაკრედიტება და გადასახადისუნარიანობა, ინოვაციური ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა, ინოვაციური ფონდების ფორმირების მხარდაჭერა);

- ვენჩერული ფირმების შექმნა;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ორგანიზაციის პროექტების პრინციპებით;
- საშუალო და მსხვილი საწარმოების გამოცოცხლება ინოვაციების დანერგვით, მიზნობრივი გადასახადების და სხვა ქვოტების გათვალისწინების ხარჯზე.

3. ინოვაციური საქმიანობის კონკურენტუნარიანობის მიმართულებით შეფასებების განხორციელება, რის შედეგად შეიძლება შერჩეული იქნეს პრიორიტეტული მიმართულება. შესაფერის თვისებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მაჩვენებლები:

- რეგიონში ინოვაციური საქმიანობის საბოლოო მიზნების მიღწევის დროებითი ფაქტორები;
- აუცილებელი რესურსების რაოდენობა;
- ამა თუ იმ ინოვაციური მიმართულების რეალიზაციიდან მოსალოდნელი საბოლოო შედეგები.

მიმართულება, რომელიც მეტად უზრუნველყოფს ინოვაციური მიზნების შესრულებას რეგიონში, ჩაითვლება პრიორიტეტად რესურსების და ქვოტების მისაღებად. ასეთი სახით, რეგიონალური განვითარების ინოვაციურ მოდელად

იგულისხმება პრიორიტეტული სამუშაოები, საწარმოო ძალების გარდაქმნის შედეგად მიღებული სახეშეცვლილი გაუმჯობესებული პროდუქციის გამოშვებით.

მეცნიერების ინტეგრაციული ფორმის განვითარება შიდა ბიზნესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტექნოპარკების სტრუქტურებმა, რომლებიც ემსახურებიან მეცნიერების და წარმოების კავშირის გამყარებას, სიახლეთა დანერგვის დაჩქარებას, ცალკეულ რეგიონებს შორის მეცნიერულ-ტექნოლოგიური დისპროპორციების მოწესრიგებას. ტექნოლოგიურმა სტრუქტურებმა მნიშვნელოვანი განვითარებას გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მიადწიეს, რომელიც დაკავშირებული იყო მიზეზთა კომპლექსებთან. ტექნოლოგიური პარკების შექმნის და კლასიფიკაციის მიზეზებია:

1. გამოშვებულ პროდუქციაში სამომხმარებლო თვისებების და ხარისხის ამაღლების მოთხოვნა. ეს მოთხოვნა ძირითადად ვერ იქნა დაკმაყოფილებული მანქანათმშენებლობის დარგის მიერ დიდი პარტიებით ხანგრძლივი პერიოდით გამოშვებულ პროდუქტზე. თანამედროვე პირობებში აუცილებელი გახდა შემცირებული ხარჯები უახლესი პროცესებით პროდუქციის გამოშვება. შედეგად გაჩნდა ავტომატიზირებული ტექნოლოგიები. ცვლილებები აგრეთვე აუცილებელი გახდა მრეწველობის სხვა დარგებისათვისაც, რათა შეუნარჩუნდეთ მათ კონკურენტუნარიანობა და რენტაბელობა, მეცნიერებატევადი, მასალათადაზოგვითი და ენერგოდაზოგვითი ტექნოლოგიებით. წარმოების მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარებისათვის თავის წვლილი შეიტანა მეცნიერულმა ტექნოლოგიურმა პარკებმა.

2. ახალი მეცნიერებატევადი დარგობრივი წარმოების განვითარების აუცილებლობა, რომლებიც შეიქმნა მომავლის ტექნოლოგიებით და პრიორიტეტული მიმართულებების ბაზაზე. მათ წარმატებებზე დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე განვითარებული ქვეყნების გვერდით დგომა. მათ მიეკუთვნება ელექტრონიკა, მეხატრონიკა, ბიოტექნოლოგია, სპეციალური ქიმია და სხვა...;

3. მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირის მოქნილობის მიხედვით ტექნოპარკების სტრუქტურის პრესპექტიულობა. მოცემული ორგანიზაციული სტრუქტურები რამდენადმე გადალახავენ სამეცნიერო სფეროს და წარმოების ავტონომიურობას. რამდენადაც მეცნიერების და წარმოების მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია წარმოების შემდგომი განვითარება.

4. მსხვილ საწარმოების რესტრუქტურისა და მცირე და საშუალო ინოვაციური კომპანიების ბაზაზე უფრო დინამიური და მოქნილი ეკონომიკური სექტორის შექმნა, რომლებიც შედეგებიან მცირე და საშუალო ფირმების მეცნიერებატევადი ბიზნესის ვენჩერული სექტორისგან. გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში დღეს წამყვანი ტექნიკის ფირმები „იუნიმეიშენ“ და „ცინცინატი მილაკრონ“ იყვნენ მცირე რისკიანი საწარმოები. ეკონომიკის ამ სექტორების შემდგომი განვითარებით ტექნოპარკების სტრუქტურებმა გარკვეული როლი შეასრულეს. მრეწველობის უმრავლესობა შედგებოდა მცირე და საშუალო მაღალტექნოლოგიური ფირმებისგან.

5. ეკონომიკური რეგიონალური პროგრამების წარმატებით შესრულების მიზეზი დაკავშირებულია შედარებით ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რაიონების

გარდაქმნასთან სამეცნიერო-სამრეწველო ზონებად. ევროპაში პირველი სამეცნიერო პარკები და ინოვაციური ცენტრები გამოჩნდნენ გასული საუკუნის 50-იან წლებში. მათ შორის იყო ბელგიური პარკები „კენა“ და „ივერ-ბრიუსელი“. დიდ ბრიტანეთში 80-იანი წლების პერიოდში მოქმედებდა 21 სამეცნიერო პარკი. საფრანგეთში ამავე დროისთვის ფუნქციონირებდა ტექნოპოლისი. გერმანიაში პირველი ტექნოპარკები შეიქმნა 1998 წლის ბოლოს.

6. უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნის შესაძლებლობა კურსდამთავრებულთა მომზადების საშუალებას იძლევა მათ ტექნოპარკების და ტექნოპოლისების ფორმებში და ქვედანაყოფებში დასაქმებისათვის. საგანმანათლებლო სისტემის ასეთი სახით დაახლოებით შეიძლება ვიკარაუდოთ რომ ტექნოპარკები მეცნიერებაში გაზრდა სამეცნიერო და საწარმოო პროცესების ძირითადი შემაერთებელი ფორმა. აღსანიშნავია რომ სამეცნიერო პარკების და ტექნოპოლისების წარმოქმნა გამოწვეულია საზოგადოების ეკონომიურად განვითარებით. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ: მეცნიერების და მეწარმეების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას, მეცნიერებატევადი ბიზნესის და იდეების განხორციელების შეუცვლელ ფორმებს.

ტექნოპარკების სტრუქტურის ზოგადი სქემის ცენტრალურ ბლოკს წარმოადგენს მართვის სტრუქტურისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც იმყოფება პარკის ფულადი ფონდი. პარკის საზღვრებში განლაგებულია ინკუბატორები და სამეწარმეო ბლოკი, სადაც გადადიან ზრდის მიხედვით ინკუბატორის ფორმა-კლიენტები. ინკუბატორში პარკის კლიენტები ხვდებიან სამეცნიერო ცენტრებიდან, მცირე და საშუალო ბიზნესიდან და მრეწველობის სხვა დარგებიდან. სამეცნიერო ტექნოპარკებიდან გაძლიერებული ფორმებიგადადიან მცირე და საშუალო ბიზნესში ან მრეწველობაში.

გარემო-მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები - პარკის პოტენციური დამფუძნებლები შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამების მეშვეობით. პარკის ცალკეული სექტორები (სამრეწველო, ინკუბატორები, სამეწარმეო ბლოკი) შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ბანკებთან, მსხვილ სამრეწველო კონცერნებთან, ფონდებთან, ასოციაციებთან და ინდივიდუალურ რეჟიმში მომუშავე ფორმებთან. მათ შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ ორგანოებში. ეს მონაწილეობა განპირობებულია განსაზღვრული ფინანსური საშუალებების შეტანით ორმხრივი მომგებიანობის პირობებში.

თუ წარმოვიდგენთ პარკის აგების და მისი გარემოსთან ურთიერთქმედების სქემას, პრაქტიკაში თითოეულ კონკრეტულ პარკში შეიძლება რეალიზებული იყოს საქმის ერთი ან რამდენიმე ნაწილი. ძირითადად ითვლება პარკის მექანიზმის გადაცემა მეცნიერებიდან ინკუბატორის მეშვეობით კომერციულ წარმოებად.

არსებობს სამეცნიერო პარკების ან მასთან ახლოს მდგომი ორგანიზაციების აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი: ტექნოპარკი, სამრეწველო პარკი, ინოვაციური პარკი, ინკუბატორი. ტექნოლოგიური სხვადასხვაობა ართულებს მოცემული სტრუქტურების ფუნქციონირების ანალიზს და იწვევს ამ სტრუქტურების კლასიფიკაციის აუცილებლობას. ჩვენი თვალსაზრისით, შეიძლება დავეთანხმოთ მათ კვალიფიკაციას მასშტაბურობის მიხედვით, რამდენადაც მასზეა

დამოკიდებული შესასრულებელი ფუნქციები და ამ კლასიფიკაციით შესაძლებელია გამოიყოს სტრუქტურების ქვეტიპები. მასშტაბურობის კრიტერიუმზე დამოკიდებულობით მრავალსახოვანი პარკები იყოფა 4 კატეგორიად:

1. **მეცნიერების სფერო (რეგიონი)** - მასშტაბით მსხვილი სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსი. განვითარებული მომსახურების ინფრასტრუქტურით, მნიშვნელოვანი ტერიტორიებით, რომელიც თითქმის რაიონის ტერიტორიის საზღვრებს ემთხვევა. ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებენ ახალი ტექნოლოგიების დამამუშავებელი კვლევითი ცენტრები და წარმოება, რომელიც იყენებს ახალ ტექნოლოგიებს. კომპლექსის შემადგენლობაში ფუნქციონირებენ უმაღლესი სასწავლებლები, საკვლევი-სამეცნიერო დაწესებულებები, მსხვილი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის მეცნიერებატევადი სპეციალიზაციით პროდუქციის გამოშვები საწარმოები, მეცნიერული პარკები, ინკუბატორები, წვრილი და საშუალო საწარმოები, აგრეთვე საწარმოო და სამომხმარებლო სერვისის ორგანიზაციები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. სტრუქტურის ფუნქციონირებას, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის სამეცნიერო საწარმოო კომპლექსის პრობლემებთან, როგორც წესი, ადგილობრივი ორგანოები ასრულებენ.

2. **ტექნოპოლისი**-ტერიტორიული სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი მოიცავს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიებს, ეკონომიკაში ძირითად როლს ასრულებენ კვლევითი ცენტრები, რომლებიც ქმნიან ახალ ტექნოლოგიებს და წარმოება იყენებს ამ ტექნოლოგიებს. არსებითად ისინი წარმოადგენენ ინოვაციურ რეოლეს. კომპანიებისთვის მათი როლი მდგომარეობს წარმოების დივერსიფიკაციაში, რის შედეგად ხდება ახალი ტექნოლოგიებით პროცესების დაჩქარება და დამატებითი ფინანსური წყაროების და ინვესტიციების გაჩენა კოლექტივის სტაბილიზაციის უზრუნველყოფად. თავად ქალაქისთვის წარმოადგენს არსებული საწარმოო, ეკონომიკური, სოციალური პოტენციალის შენარჩუნებას, საქმიანი და სოციალური ინფრასტრუქტურის, მაღალტექნოლოგიური საწარმოების, ადგილობრივი ბიუჯეტის დამატებითი წყაროების გაჩენას და განვითარებას, სოციალური დაძაბულობის შესუსტებას.

3. **სამეცნიერო პარკი**-სამეცნიერო საწარმო ტერიტორიული კომპლექსია, რომელშიც ჩართულია კვლევითი ცენტრი და მასთან კომპლექსურად დაახლოებული საწარმოო ზონა, რომელშიც არენდის პირობებში შედიან მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ფორმები. ზომების, ფუნქციონირების პირობების, კლიენტი-არედანტორების შემადგენლობის, უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთობის მიხედვით მრავალგვარია.

ტერმინოლოგიაში შესაძლო განსხვავებებია: კვლევითი პარკები, ტექნოლოგიური პარკები, სამრეწველო პარკები გამოხატავენ ფორმა-არედანტორების მიმართ და საწარმოო საქმიანობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომლებიც კლიენტებისთვის ითვლება მისაღებად კონკრეტული პარკისთვის. როგორც წესი სამეცნიერო და კვლევითი პარკები საკუთრივ წარმოებას არ ახორციელებენ. მათი იდეები და წინადადებები აჰყავთ სანიმუშო სტადიებად. სერიული პროდუქციის დანერგვას ახორციელებენ კონკრეტული პარკის გარეთ ან ქმნიან თავიანთ საწარმოო ფილიალს. ტექნოპარკებში შესაძლებელია მცირე სერიული წარმოება.

MODELS OF INNOVATION DEVELOPMENT OF REGIONS AND DESIGNS OF INDUSTRIAL PARKS

SUMMARY


The experience shows that innovation processes significantly determine the trends and proportions of future development. State economics can't play the leading role if it's not successful in the field of innovations. Developed countries accentuate on science and innovations. They try to have influence over the economical changes and interrelationships among technical discoveries. Entrepreneurs produce goods by means of scientific-technological knowledge. It's very important to temporarily preserve monopoly and get extra revenues.

Innovations are especially important for developing regions. Regions develop by means of innovations according to their specifications and demands. Alliance of business and science promote the social-economic development of regions. The biggest component of innovation business is realized at the regional scale in many developed countries.

Region's innovation model should correlate with particular territories and primary problems. Designs of industrial parks played important role in the development of business and science. Industrial parks promote the relationship between science and business, speed up the introduction of innovations and regulate scientific-technological disproportions among regions.

როგორც წესი, ტექნოპარკები იქმნება მსხვილი უნივერსიტეტების და სამეცნიერო ცენტრების უშუალო მონაწილეობით, რომლებიც სარგებლობენ სპეციალისტების მომზადების მაღალი რეპუტაციით. მათი ჩამოყალიბება ხდება უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრების და სამრეწველო საწარმოების ფინანსური რესურსების ხარჯზე.

4. ინკუბატორი-წარმოადგენს ტერიტორიათა ერთობლიობას, რომელშიც განსაზღვრულ დროს განთავსდება ახლადშექმნილი მცირე ფირმა-კლიენტები. ინკუბატორის დანიშნულებაა ტექნიკურად გაამყაროს, შექმნას ფინანსური სტაბილიზაცია და იპოვოს ბაზარზე საკუთარი ნიშა. ინკუბატორი წარმოადგენს პარკის წარმონაქმნს ან სამეცნიერო პარკის რომელიმე კომპონენტს, რომლის მიზანია იცოცხლოს და დააყენოს საქმე ისე, რომ შემდგომში გაფართოვდეს ან დატოვოს პარკი. როგორც წესი, მას ამისთვის ესაჭიროება 4-5 წელი. ხშირად ინკუბატორები იწოდებიან ინოვაციურ ცენტრებად და აქედან გამომდინარე მათი საქმიანობა დაკავშირებულია მეცნიერებადტევად ტექნოლოგიებთან. ზოგადი განმარტებებიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ რომ ინოვაციური წარმონაქმნების კლასიფიკაცია ავებულება „მოდულის“ პრინციპით (ნახ.1).



ნახ.1. ინოვაციური წარმონაქმნების კლასიფიკაციის სქემა

ამ პირობით სქემაში ცენტრალურ მოდულს წარმოადგენს თვით სამეცნიერო პარკი. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს იმიტომ, რომ მის შემადგენლობაში მონაწილეობს ყველა საჭირო და აუცილებელი კომპონენტები. ინოვაციური წარმონაქმნის არსებობისთვის მეცნიერების, წარმოების, მართვის სფეროს, ფინანსების სახით. სწორად მოცემულ დონეზე მიმდინარეობს ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების ფორმების და მეთოდების ურთიერთქმედება, წყდება მეტად სპეციფიკური ამოცანები, მათ შორის: მოდულის-სამეცნიერო პარკის – განვითარება და გაფართოება „ბუნებრივი სახით“ მიღის ტექნოპოლისის წარმოქმნამდე, ხოლო შემდეგ რეგიონულ მეცნიერებამდე. სამეცნიერო პარკის ამა თუ იმ კომპონენტის ნაკლებობის და არსებობის მიხედვით- ინკუბატორამდე, ინოვაციურ ცენტრამდე ან სხვა უფრო მცირე ინოვაციურ წარმონაქმნამდე.

ლიტერატურა:

1. ებარათაშვილი – „ტექნოპარკები– ინოვაციებისსტიმულატორი“,საუნივერსიტეტთაშორისო ჟურნალი „ბიზნესი დ მენეჯმენტი“.
2. ებარათაშვილი – „ვიდეო ერთხელ ტექნოპარკების განვითარების საკითხებისადმი“, ჟურნალი „ეკონომიკა“ №1, 2011წ.
3. ებარათაშვილი, თ.ბაქანიძე – „რეგიონული ტექნოპარკების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №3, 2012წ.
4. Латкин А., Осипов С. и др. – Наушно-техническая политика региона. М. 2001 г.
5. <http://www.parliament.gh/docs/uploads/Free%20zones%20Act%2050/pdf>

ტექნოპარკების ფუნქციონირების მნიშვნელობა და მისი დაზინანების წყაროები

ალექსანდრე ედიბერიძე,
სტუ-ს სრული პროფესორი
თონა ბაქანიძე,
სტუ-ს დოქტორანტი (უფ. მასწავლებელი)

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციებია საქონლისა და მომსახურებების მსოფლიო ბაზრის გაფართოება და კაპიტალის მსოფლიო ბაზრების სულ უფრო მზარდი ინტეგრაცია. გლობალიზაცია უზრუნველყოფს სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობათა დამყარების შესაძლებლობას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება ამ ურთიერთობათა მნიშვნელობა ეროვნულ კანონებსა და ნორმებთან შედარებით.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობის ზრდა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების ერთ მესამედზე მეტი, საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტი და ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე პატენტების დაახლოებით 80 %.

მე-20-ე საუკუნის დასასრულის უმნიშვნელოვანესი ნიშანი გახდა გადასვლა განვითარების ახალ ინოვაციურ ფაზაზე. ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დამყარებულ ინდუსტრიულ ეკონომიკას ცვლის ცოდნასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ეკონომიკა, რომელიც გამოირჩევა ინტელექტისა და ცოდნისადმი გაზრდილი ყურადღებით. ამრიგად, მოცემული ტიპის ეკონომიკის წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ინტელექტუალური რესურსები.

მეცნიერებისა და ინოვაციების სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროდ მიჩნეულ ძირითად ამოცანებს განეკუთვნება ფუნდამენტური კვლევების განვითარება, კვლევებისა და პროექტების სექტორის შედეგაწარმოების ამაღლება, გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინოვაციური პროცესების ეფექტური მართვა ყველა დონეზე იძლევა ქვეყნის, მისი რეგიონებისა და ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

განვითარების ინოვაციური ხაზის უპირატესი არჩევანი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

– ინოვაციები წარმოადგენს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს. არსებული შეფასებების თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში 50%-დან 90%-მდე მშპ-ის ზრდა განპირობებულია ინოვაციებითა და ტექნოლოგიური პროგრესით. განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა ის, რომ ინოვაცია ხდება მრეწველობის ყველა სექტორის განვითარების აუცილებელი პირობა და მამოძრავებელი ძალა.

– ინოვაციები არსებით გავლენას ახდენს როგორც ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე, ასევე რეგიონისა და მთელი სახელმწიფოს ეკონომიკაზე.

ეკონომიკურმა კვლევებმა დაადასტურა დამოკიდებულება ინოვაციურ ეკონომიკასა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შორის. კონკურენტუნარიანობის ინოვაციური გეზის ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს განვითარება რესურსული ბაზის საფუძველზე, რაც უმეტეს შემთხვევაში იწვევს ეფექტიანობის დაქვეითებას ტრადიციულ დარგებში რესურსებზე მსოფლიო ფასების მერყეობის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნას ბუნებრივი რესურსების მარაგის შესაბამისად და ა.შ.

წლიური ბრუნვა ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე რამდენადმე აღმატება ბრუნვას ნელდელის ბაზრებზე, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზრებზე. მსოფლიო ბაზრის ამ პერსპექტიულ სექტორებზე გასვლა შესაძლებელი ხდება ინოვაციებით უზრუნველყოფილი დივერსიფიკაციის ხარჯზე.

ინოვაციური პროცესების ეფექტური მართვა ყველა დონეზე იძლევა ქვეყნის, მისი რეგიონებისა და ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ინოვაციები იძლევა მეცნიერებატევადი პროდუქციის არსებულ მსოფლიო ბაზრებზე გასვლისა და ახალი ბაზრების შექმნის შესაძლებლობას.

თანამედროვე პირობებში რეგიონების მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური პროცესების აქტივიზაციით ეკონომიკის ყველა სფეროში. უკანასკნელ ხანს მართვის ფედერალურ და რეგიონულ დონეებზე დიდ ყურადღებას უთმობენ ტექნოლოგიური პარკების - ტექნოპარკების, როგორც ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების განვითარებას.

ტექნოპარკების საერთაშორისო ასოციაციამ 2002 წლის დასაწყისში შემოგვთავაზა შემდეგი განმარტება: „ტექნოლოგიური პარკი - ეს არის სპეციალისტების მიერ მართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადგილობრივი თანამეგობრობის კეთილდღეობის ამაღლება ინოვაციური კულტურის პრომოუშენის, ასევე ინოვაციური ბიზნესისა და სამეცნიერო ორგანიზაციების შეჯიბრების გზით. ამ მიზნების მისაღწევად ტექნოპარკი სტიმულს აძლევს და მართავს ცოდნისა და ტექნოლოგიების ნაკადს უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კომპანიებსა და ბაზრებს შორის.“

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში შეინიშნება ისეთი ცნებების ეკვივალენტურობა, როგორცაა „ტექნოლოგიური პარკი“, „ტექნოპარკი“, „ტექნოლოგიური არეალი“, „კვლევითი პარკი“ და „სამეცნიერო პარკი“. დიდ ბრიტანეთში, ჩვეულებრივ, იყენებენ ტერმინს „სამეცნიერო პარკი“, აშშ-ში - „კვლევითი პარკი“, ხოლო რუსეთში - „ტექნოპარკი“.

ორგანიზაციები, რომლებიც სტიმულს აძლევენ ტექნო-

ლოგიური პარკების შექმნას თავიანთ ტერიტორიაზე, განმარტავენ მას უფრო კონკრეტულად. ასე, მაგალითად, ქინსლენდის ინოვაციური საბჭო გვთავაზობს ამგვარ ფორმულირებას: „ტექნოლოგიური პარკი – ეს არის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება რეგიონის ეკონომიკური ბაზის გასაუმჯობესებლად სამეცნიერო და ტექნოლოგიური რესურსების უფრო ადეკვატურად გამოყენებისათვის. ტექნოპარკის მისიას წარმოადგენს რეგიონული განვითარების სტიმულირება, დენდუსტრიალიზაცია, ასევე კომერციული და სამრეწველო ინოვაციების რეალიზაციის გამარტივება. ტექნოპარკის საქმიანობა ამდიდრებს რეგიონის სამეცნიერო და/ან ტექნიკურ კულტურას, ქმნის სამუშაო ადგილებს და დამატებულ ღირებულებას“.

უცხოურ ლიტერატურაში ტექნოპარკის განმარტებისადმი, რომლის შესაბამისადაც ტექნოლოგიური პარკი – ეს არის კომპაქტურად განთავსებული კომპლექსი, რომელიც, ზოგადად, შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამრეწველო საწარმოებს. ტექნოპარკში შემავალი ფირმები შეიძლება იმყოფებოდნენ ინოვაციათა განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე – ატარებდნენ კვლევებსა და სამუშაოებს, უშვებდნენ მზა პროდუქციას, უწევდნენ სერვისულ მომსახურებას, ეწეოდნენ საშუაშალო საქმიანობას. ტექნოპარკი აერთიანებს როგორც წამყვან კომპანიებს, ასევე მოწესრიგებული წარმოებისა და სტაბილური საბაზრო «ნიშის» მქონე ფირმებს. ტექნოპარკის ფუნქციონირება ეფუძნება სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის კომერციალიზაციას და სიახლეების დანერგვის დაჩქარებას მატერიალური წარმოების სფეროში.

ტექნოპარკს, ყველაზე ხშირად განმარტავენ როგორც ორგანიზაციას იურიდიული პირის უფლებებით, რომელსაც მჭიდრო ფუნქციონალური კავშირები აქვს ერთ და/ან რამდენიმე კვლევით ცენტრსა და ინსტიტუტთან, უნივერსიტეტებთან (უმაღლეს სასწავლებლებთან), სამრეწველო საწარმოებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და მეცნიერებატევადი მეწარმეობის განვითარების მიზნით ქმნის რეგიონში თანამედროვე ინოვაციურ გარემოს დამოუკიდებელი საქმიანობისათვის მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების ჩამოყალიბების, განვითარების, მხარდაჭერისა და მომხადების, ბაზარზე ტექნოლოგიების გადაცემის დაჩქარებისათვის მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, ინფორმაციული და სოციალურ-კულტურული ბაზის შექმნის გზით.

- დღეისათვის გამოყოფენ ტექნოპარკების შემდეგ სახეობებს:
 - კვლევით;
 - სამრეწველო;
 - სამეცნიერო-ტექნიკურ;
 - ინოვაციურ-ტექნოლოგიურ პარკებს.

მოცემული კლასიფიკაცია ეფუძნება მათ მიერ შესასრულებელ კვლევით და წარმოებრივ ფუნქციებს შორის გასწავებულ თანაფარდობას.

ზოგიერთი მკვლევარი, ტექნოპარკების კლასიფიკაციისას, ასახელებს ისეთ ჯგუფებს, როგორცაა კვლევითი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, ტექნოლოგიური და სამრეწველო-ტექნოლოგიური პარკები, რომელთა საქმიანობა მოიცავს ინოვაციური პროდუქციის შექმნის სხვადასხვა სტადიებს.

წარმატებით მომუშავე ტექნოპარკს არსებითი წვლილის შეტანა შეუძლია რეგიონის ეკონომიკაში:

- რეგიონის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით;
- ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციით, რაც მას უფრო მდგრადს ხდის;
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული კომპანიების განვითარებით;
- ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებით.

ტექნოპარკების ფუნქციონირების შეფასებას საფუძვლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმები, ასე მაგალითად, ტექნოპარკისა და უნივერსიტეტის კავშირის ხარისხი, სტრუქტურა ჩაბმის დონე, შექმნილი და სამრეწველო საწარმოებში დანერგილი ტექნოლოგიების რიცხვი, ტექნოპარკის მუშაობით რეგიონის, მრეწველობისა და მოსახლეობის დაინტერესებულობის ხარისხი და სხვ.

თანამედროვე პირობებში ტექნოპარკის ძირითადი ამოცანაა რეგიონისა და მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებისათვის სამეცნიერო კვლევების შედეგების ეფექტიანი კომერციალიზაცია და განათლებას, მეცნიერებას, წარმოებას, ხელისუფლებასა და მომხმარებლებს შორის ურთიერთქმედების (ჯაჭვში «გამოყენებითი კვლევები – საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტები – წარმოება») ინტეგრაციული მექანიზმების რეალიზაცია.

ტექნოპარკის განსაკუთრებული მისია მდგომარეობს იმ მეცნიერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო კვლევების, გამოგონებებისა და აღმოჩენების შედეგების კომერციალიზაციაში, რომელთაც აირჩიეს მცირე მეწარმეობა სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, თუმცა, შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებენ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტექნოპარკის ინფრასტრუქტურული მდგენელი, რომელიც წარმოდგენილია მენეჯერების გუნდით, ასევე სერვისული ფირმებით, რომლებიც ახორციელებენ მეცნიერების, გამოგონებებისა და ინჟინრების ინდივიდუალურად მომუშავე და დამოუკიდებელი ჯგუფების ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ, ინფორმაციულ მხარდაჭერას.

ეკონომიკაში ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობით ტექნოპარკი ასრულებს, მაგალითად, რეგიონის ან ქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე უნივერსიტეტის ან სამეცნიერო ცენტრის გაავლენის გამაძლიერებლის როლს.

გარდა ამისა, ტექნოლოგიური პარკი იძლევა ისეთი ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას, როგორიცაა: მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მეწარმეობის კულტურის ზიარება უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებში და ა.შ.; წარმოების ახალი სახეების გაჩენა, სტრუქტურული გარდაქმნა და რეგიონების ეკონომიკური განახლება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; სხვა რეგიონებიდან სპეციალისტებისა და ინვესტიციების მოზიდვა.

ტექნოპარკის საქმიანობის არსი მდგომარეობს განსაკუთრებული გარემოს შექმნაში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მეცნიერთა, ნოვატორთა, გამოგონებელთა მხარდაჭერა, მეწარმეობის კულტურასთან მათი ზიარება. ტექნოპარკში წინა პლანზე იწვევს არა შენობების, ქონების შექმნა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არამედ გამოგონებლობისა და მეწარმეობის ატმოსფეროს შექმნა, იდეების კონცენტრაცია და მათი ხორცშესხმა ახალ ტექნოლოგიებში, ტექნიკურ ნაკეთობებში, მასალებსა და

მომსახურებებში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაზარზე და მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ კომერციულ პროდუქტში, რომელიც წყვეტს ადამიანთა რეალურ პრობლემებს.

ტექნოპარკის მიზანია რეგიონის ინტელექტუალური პოტენციალის მონიტორინგი, რეგიონის ინოვაციური სფეროს ინფორმაციული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, უპირველესად კი ინფორმაციის მიწოდება ახალი ტექნოლოგიებისა და პრინციპულად ახალი (ინოვაციური) პროდუქტის გასაღების შესაძლო ბაზრების შესახებ, ასევე – კერძო ინვესტირებისა და საკრედიტო ორგანიზაციებისათვის - პოტენციურად მაღალი შემოსავლიანობის მქონე კაპიტალდაბანდების ობიექტების შესახებ.

იმისათვის, რომ ტექნოპარკი გახდეს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ეფექტური ინსტრუმენტი, იგი უნდა გახდეს რეგიონული მოვლენა. ტექნოპარკის შექმნას საფუძვლად უდევს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები – ახალი, უკიდურეს შემთხვევაში, აღნიშნული რეგიონისთვის ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე რეგიონის ეკონომიკის გარდაქმნის მიზნები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა სფეროში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მეშვეობით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორი მუშაობიდან პრაქტიკული უკუგების დაჩქარებაში.

ეკონომიკური ლიტერატურის წყაროების ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტექნოპარკების ფუნქციონირება რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, ამჟამად არ არის „ტექნოპარკის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება და ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია არსებული ტექნოპარკების სტრუქტურის, ზომისა და რეალიზებული ბიზნეს-პროცესების არსებითი განსხვავებით.

ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროში ტექნოპარკებს მიაკუთვნებენ მცირე ზომის ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს იდეებისა და პროექტების შესაქმნელად. მათ ქმნიან მეცნიერთა და სპეციალისტთა მცირე ჯგუფები, ტექნოპოლისები, ასევე ინოვაციათა რეგიონები, რომელთაც უკავიათ მნიშვნელოვანი ტერიტორიები და წარმოადგენენ ინოვაციაზე ორიენტირებულ რთულ რეგიონულ ეკონომიკურ კომპლექსებს.

ზემოთქმული განსაზღვრავს ცნება «ტექნოპარკის», როგორც რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის კონკრეტიზაციის მიზანშეწონილობას. ტექნოლოგიურ პარკს შეუძლია როგორც მთელი ინოვაციური პროცესის, ასევე მისი ცალკეული ეტაპების რეალიზება. მისი ძირითადი ფუნქციაა სიანხლეთა კომერციალიზაცია. ამასთან დაკავშირებით, ტექნოპარკი ავლენს პერსპექტიულ პროექტებს და მათი კომერციალიზაციის პროცესში მეცნიერებს, ნოვატორებსა და გამოგონებლებს უწევს ფინანსურ, იურიდიულ, მატერიალურ-ტექნიკურ, კონსალტინგურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას. თუმცა, ტექნოპარკი არ უწევს ორგანიზებას მასობრივ წარმოებას, მას მხოლოდ მიჰყავს იდეა ახალი პროდუქტის საცდელი ნიმუშის შექმნის სტადიაზე ან ახალი ტექნოლოგიის დამუშავებამდე.

დღეისათვის არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც იქმნება ქვეყნის რეგიონებში ტექნოპარკების შექმნისა და ფუნქციონირებისას.

იმდენად, რამდენადაც ტექნოპარკი, უმეტეს შემთხვევაში

გულისხმობს რესურსების ტერიტორიულ დაჯგუფებას, ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონის ინოვაციური რესურსების შეზღუდულობის პრობლემას.

ასე, მაგალითად, ტექნოპარკის შექმნისას იქმნება სიძნელებები მცირე ტერიტორიაზე კონკრეტული სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების დიდი ოდენობით აუცილებელ კონცენტრაციასთან დაკავშირებით. თუმცა, დამატებით სპეციალისტების ნაკადის მიღების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება დროის მოკლე მონაკვეთში, ან ეს მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს, რაც ქმნის დამატებით სიძნელებებს ტექნოლოგიური პარკის შექმნისას.

ასევე ყოველთვის ვერ ხერხდება ტექნოპარკის უზრუნველყოფა მცირე ტერიტორიაზე კონცენტრირებული საჭირო საწარმოო ფართით და ლაბორატორიული მოწყობილობებით.

უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულ მცირე ტერიტორიაზე მიმაგრებული ტექნოპარკი წარმოადგენს „რჩეულთა“ მხარდაჭერის ინსტრუმენტს, თანაც ტერიტორიული ნიშნით გამოჩეულთა და არა ხარისხით. უფრო მეტიც, ხშირად ტექნოპარკები აერთიანებენ მცირე საწარმოებს, ხშირად არა მეცნიერებატევადს, რომელთაც მოწესრიგებული აქვთ თავიანთი პროდუქციის გამოშვება და ამიტომაც მისი თავდაპირველი ფუნქცია – მაღალტექნოლოგიური ბიზნესის მხარდაჭერა – იშვიათი გამონაკლისის გარდა არ სრულდება. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ტექნოპარკი წარმოადგენს ერთგვარ „უსაფრთხოების ზონას“ რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს იქ განლაგებული საწარმოების დაცვას აგრესიული გარე გარემოსგან.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, ტექნოპარკი სრულადაა დამოკიდებული საბაზო უმაღლეს სასწავლებელზე ან სამეცნიერო ცენტრზე, რომლის ბაზაზეც იქნა შექმნილი, რადგან წარმოადგენს მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილს. ამის გამო მრავალ ტექნოპარკს გააჩნია კერძო ინვესტიციების მოზიდვის შეზღუდული შესაძლებლობა.

ტექნოპარკების შექმნისას მათი აგებისა და ფუნქციონირების მკაფიო განაწესების არარსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს უკუგებას მათი საქმიანობიდან. ადრე შექმნილი ტექნოპარკების დიდმა ნაწილმა უკვე შეწყვიტა ინოვაციური საქმიანობა, იმდენად რამდენადაც ამოწურა თავდაპირველი დაფინანსება. გარდა ამისა, ტექნოპარკები, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების თვალსაზრისით, ძალზე მცირეა და უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს უძრავი ქონების ექსპლუატაციის პროექტებს, იმდენად რამდენადაც მათი ძირითადი ფუნქციაა შენობა-ნაგებობების აღჭურვა საჭირო ძვირადღირებული მოწყობილობით და შემდგომ მათი გადაცემა არენდით.

მითითებული პრობლემების შედეგები შეიძლება მინიმიზებული იქნას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნოპარკების შექმნისას გამოყენების საფუძველზე.

მთლიანობაში, ყოველი რეგიონი ინდივიდუალურია ინოვაციური (ინტელექტუალური, მმართველობითი, წარმოებრივი, შრომითი, ინფორმაციული და ფინანსური) რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომელიც აუცილებელია მის ტერიტორიაზე ტექნოპარკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტექნოპარკი,

როგორც რეგიონის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტი, შეიძლება გახდეს სახელმწიფო და რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი.

იმავდროულად, ტექნოპარკების შექმნისა და განვითარების არსებული მეთოდური აპარატი სრულად არ იძლევა ინოვაციური გარემოს რეგიონული თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ასევე, პრაქტიკულად არ არსებობს იმ ტექნოპარკების რაციონალური ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის არჩევანის დასაბუთების მეთოდოლოგია, რომელთა საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის რეგიონების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად. მითითებული გარემოება მნიშვნელოვანწილად აქვეითებს არსებული ტექნოპარკების სტრუქტურების ეფექტიანობას, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ინოვაციური პროექტებისა და რეგიონების განვითარების პროგრამების შედეგიანობაზე.

ამასთან დაკავშირებით იქმნება რეგიონული ტექნოპარკების სტრუქტურების შექმნისა და საქმიანობის უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების შემუშავების აქტუალური მეცნიერული ამოცანა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს რეგიონული ინოვაციური გარემოს სპეციფიკას და მიმართულია რეგიონის ინოვაციური პოტენციალის რაციონალური გამოყენების


საფუძველზე ქვეყნის სუბიექტების მდგრადი განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად.

ტექნოპარკის წარმატებით შექმნისა და შემდგომ განვითარებაზე გავლენას ახდენს დაფინანსების მოთხოვნა. ტექნოპარკს ფინანსური კაპიტალი სჭირდება ინფრასტრუქტურის შექმნის, მართვაზე გაწეული ხარჯების დაფარვის, ტექნოპარკის მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის მომსახურებების გაწევის, შენობების შენახვისა და სხვა საჭიროებებისათვის. საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნილება ტექნოპარკს მანამ ექნება, სანამ არ შემოვა შემოსავლები ტექნოპარკის საქმიანობიდან, რომლებითაც დაიფარება მიმდინარე ხარჯები.

სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე შექმნილი ტექნოპარკის დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

- დამფუძნებელთა შენატანები;
- კომერციული კრედიტი;
- ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ფონდი;
- სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მცირე ფორმის საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ფონდი;
- გრანტები ან სუბსიდიები;
- ცარიელი შენობების არენდით გაცემა.

ტექნოპარკის ფინანსური მოთხოვნილებების სტრუქტურა და მათი გამოყენების მიმართულებები ნაჩვენებია ნახ. 1.1-ზე.



მოცემული სქემა იძლევა შესაძლებლობას ტექნოპარკის ფუნქციონირების მთელი ციკლის განმავლობაში გამოყენებულ იქნას დაფინანსების სხვადასხვა წყაროები.

დამფუძნებელთა შენატანები. დამფუძნებლებს შეიძლება გააჩნდეთ არსებითი კაპიტალი, თუმცა, მოცემული წყარო შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა დამფუძნებელს ან დამფუძნებლებს შეუძლიათ მიიღონ პირდაპირი სარგებელი ტექნოპარკის საქმიანობიდან, ან როცა დამფუძნებლებს გააჩნიათ შენობა ან ქონება, რომლის გადაცემა შეუძლიათ ტექნოპარკისთვის დამფუძნებელთა შენატანის სახით.

ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (გაცემის თავის საშუალებებს დაბრუნებად საფუძველზე და აფინანსებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს ხარჯების განსაზღვრული შეზღუდუ-

ლი მუხლების შესაბამისად და, როგორც წესი, ინოვაციების წარმოებაში დანერგვის სტადიაზე. **ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ფონდი** დამოკიდებულია საბიუჯეტო საშუალებებზე. ტექნოპარკის განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე ფონდის საშუალებები, რასაკვირველია, შეიძლება იქნას გამოყენებული.

სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მცირე ფორმის საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ფონდი. აღნიშნული ფონდი სპეციალურად იქმნება ინოვაციური სტრუქტურების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობად და ჩართულია უწყებათაშორის პროგრამაში.

კომერციული კრედიტი. ტექნიკური სიახლის რეალიზაციასთან დაკავშირებული სტრუქტურებისთვის, როგორცაა ტექნოპარკი, საბანკო კრედიტით სარგებლობა არასასურველია. საქმე ისაა, რომ საკრედიტო შეთანხმე-

ბა გულისხმობს გადახდების მკაცრ სქემას, რომელიც უზრუნველყოფს ვალის თანხის და პროცენტების დაბრუნებას საკრედიტო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში, ვენჩურული (რისკიანი) სტრუქტურებისთვის გადახდების ასეთი კალენდარული გრაფიკის დაცვა ძალზე პრობლემატურია რეალიზაციიდან შემოსავლების თანხის თანდათანობით ზრდის გამო. აქედან გამომდინარე, ინოვაციური სფეროს ტექნოპარკის უზრუნველყოფა მცირე კრედიტით საკმაოდ ხანგრძლივი დროით – ყველაზე ეფექტიანი ფორმაა.

გრანტები ან სუბსიდიები. რეგიონებში, სადაც ტექნოპარკის შექმნის მთავარი მიზანია ეკონომიკის აღმავლობა, დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი რეგიონული ორგანიზაციის გრანტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ტექნოპარკის ფინანსური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარება. სამეცნიერო ცენტრების ინიციატივით შექმნილი ტექნოპარკებისათვის გრანტების მიღება სავსებით ხელმისაწვდომია. გრანტი შეიძლება შევიდეს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების რეგიონულ პროგრამაშიც.

შენობათა არენდით გადაცემა. აღნიშნული წყარო საკვებით მისაღება ტექნოპარკის დაფინანსების დამატებითი საშუალების სახით. მას შეუძლია უზრუნველყოს ტექნოპარკის შექმნის პროცესის ოპერაციის შემდგომი ეტაპი. შენობათა არენდიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება გრძელვადიანი იყოს და მიმართული იყოს ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. თავისუფალი შენობების არენდით გადაცემა მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთი ფირმებისათვის, რომლებიც უშუალოდ არაა დაკავშირებული ტექნოპარკის საქმიანობასთან.

ტექნოპარკების პოტენციური ინვესტორები შეიძლება იყოს სადაზღვევო კომპანიები და კომერციული სტრუქტურები. მაგრამ ეს საფინანსო ინსტიტუტები პრაქტიკულად შეიძლება სრულიად არ მონაწილეობდნენ ტექნოპარკების დაფინანსებაში.

ტექნოპარკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, არსებობს თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენს საფინანსო სტრატეგიაზე.

იმ მოდელის პირობებში, როცა ტექნოპარკის ერთადერთი დამფუძნებელი სამეცნიერო ცენტრია, მართვა დაევალება ცენტრის ერთ-ერთ ქვედანაყოფს. ამ შემთხვევაში ცენტრი პარკის პერსონალის დაქირავების ხარჯზე აკეთებს ეკონომიას. მრეწველობასთან ტექნოპარკის ურთიერთქმედების საკითხებით დაკავებულია ცენტრის სხვა ქვედანაყოფი, მაგალითად, ცენტრის ადმინისტრაცია.

ასეთი სქემა ერთგვარად ზოგავს ფინანსურ საშუალებებს, თუმცა შეიძლება ტექნოპარკის უზარისხო მართვაც გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ცენტრმა დანიშნოს ტექნოპარკის დირექტორი და დააფინანსოს აღნიშნული თანამდებობა 2-3 წლით.

ტექნოპარკის რამდენიმე დამფუძნებლის პირობებში, როცა ერთ-ერთი დამფუძნებელი ადგილობრივი ადმინისტრაციაა, მან შეიძლება თავის თავზე აიღოს მმართველობითი ხარჯები და ტექნოპარკს გადასცეს ცარიელი შენობები არენდის გადასახადის გარეშე. ამის მოტივაცია არის სოციალური წვლილის შეტანის შესაძლებლობა,

იმდენად რამდენადაც პარკის საქმიანობა ხელს შეუწყობს ადგილობრივ ღონეზე სამუშაო ადგილების შექმნას.

თუ კიდევ ერთი დამფუძნებელია საწარმო, ამ შემთხვევაში ტექნოპარკის სასტარტო დაფინანსება უფრო საიმედო ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამოსავალი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ივება ტექნოპარკის ფინანსური სისტემა:

- **სისტემის მიზნობრივი ორიენტაცია** გულისხმობს მის დაკავშირებას მთავარ ამოცანასთან – მეცნიერული კვლევების კომერციალიზაციასთან, მეცნიერული იდეებისა და პროექტების ეფექტიან დაწერვასთან;
- **დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება** გულისხმობს არსებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებას, რომელიც შეიძლება მოზიდულ იქნას ტექნოპარკის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა სტადიებზე;
- ფინანსური საშუალებების მაქსიმალური ეფექტიანობის მხარდაჭერის მიზნით მუდმივად ცვალებადი გარემო პირობებისადმი **ადაპტირება და მოქნილობა.**

ტექნოპარკის დაფინანსების დონე, სიდიდე და წყაროები მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა სტადიაზეა ტექნოპარკი. სტადიურობის შესაბამისად ფინანსური მდგენელი შეიძლება ოთხ ღონედ (ჯგუფად) დაიყოს: წინასასტარტო, სასტარტო, საწყისი სტადიის დაფინანსება და განვითარების უფრო გვიანდელი სტადიის დაფინანსება.

ტექნოპარკის წინასასტარტო დაფინანსება ხორციელდება უშუალოდ მის წარმოქმნადე. იგი მოიცავს ტექნოპარკებისათვის მომსახურებათა ნაკრების გაწევის შესაძლებლობების ანალიზის ჩატარების, თავიანთი შემდგომი საქმიანობის სამართლებრივი გაფორმების, გასაღების ბაზრის შესწავლის, ტექნოპარკის გეგმისა და კონცეფციის შემუშავებისა და მენეჯერთა შერჩევის სამუშაოების დაფინანსებას.

ამ სტადიაზე დაფინანსების ყველაზე რეალური წყაროა „საწარმოთა მცირე ფორმების განვითარების ხელშეწყობის ფონდი“ და სამეურნეო ხელშეკრულებების შესაბამისად სამეცნიერო ცენტრის საშუალებების გადარიცხვა.

სასტარტო დაფინანსება – ეს არის ინვესტირება ტექნოპარკის საქმიანობის დასაწყებად. ამ ეტაპზე ხდება ტექნოპარკის რეკლამირება, პრეზენტაცია და მისი იურიდიული გაფორმება.

დაფინანსების რეალური წყარო იქნება ტექნოპარკის დამფუძნებელთა შენატანები.

ტექნოპარკის განვითარების **საწყისი სტადიის დაფინანსება** დაკავშირებულია ტექნოპარკის თანამშრომლებისა და კლიენტებისათვის საჭირო დახმარების გაწევასთან იმ პირობით, რომ აღნიშნულ ტექნოპარკს გააჩნია თავისი სამუშაოების კომერციალიზაციის მაღალი პოტენციალი, ფუნქციონირებს არანაკლებ ორი წელი, მაგრამ არ მიუღია მოგება.

ტექნოპარკის განვითარების **უფრო გვიანდელი სტადიის დაფინანსება** გულისხმობს სახსრების გამოყოფას იმ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს თავიანთი სამუშაოების კომერციულ გამოყენებას და კადრების მომზადებას. ასეთი ინვესტიციების

რისკი ნაკლებია, ვიდრე წინა სტადიებზე, ამიტომაც შესაძლებელია ვენჩურული კაპიტალის და მცირე ოდენობით ბანკის კრედიტის მოზიდვა.

ყოველ კონკრეტულ ტექნოპარკში დაფინანსების მოდელი დამოკიდებულია ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონეზე, სხვადასხვა წყაროების ფინანსურ შესაძლებლობებზე, დამფუძნებლების შესაძლებლობებსა და სურვილებზე და სხვა ფაქტორებზე.

ტექნოპარკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საფინანსო და საგადასახადო სტიმულების სისტემას. თუ რამდენად ითვალისწინებს ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობა საგადასახადო სისტემაში შეღავათებს სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადზე; დამატებული ღირებულების გადასახადზე. ეს შეღავათები შეიძლება ვრცელდებოდეს კონკრეტული ქვეყნის მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების სფეროს მოგებიან სტრუქტურებზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტექნოპარკები ეკუთვნის კაპიტალის რისკიანი დაბანდების სფეროს და მათ ფორმირებას დაახლოებით 5-6 წელი სჭირდება, ამ შეღავათებს მათთვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს.

სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების ნაწილში საჭიროა პრინციპულად ახლებური მიდგომები.

ჯერ ერთი, აუცილებელია დაბეგვრისგან ყველა იმ საშუალების (გრანტების) განთავისუფლება, რომლებსაც გამოყოფს ნებისმიერი სამამულო თუ იურიდიული და ფიზიკური პირი სამეცნიერო ორგანიზაციების, ტექნოპარკების, ასევე ცალკეული მკვლევარებისთვის კვლევებისა და პროექტების განსახორციელებლად.

მეორე, საგადასახადო კრედიტი უნდა გაიცეს ყველა სამეცნიერო-კვლევით და სხვა მოწყობილობაზე, გამოთვლელ საორგანიზაციო ტექნიკაზე, ასევე კვლევებსა და პროექტებზე დანახარჯებზე.

მესამე, დასაბეგრი მოგებიდან გამოირიცხოს ბანკების შენატანები ვენჩურულ ფონდებში, ასევე, გამოყენებულ იქნას შეღავათიანი განაკვეთები ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად გამოყენებული კრედიტების ხარჯზე მიღებულ მოგებაზე.

ტექნოპარკის ორგანიზებისას უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი ჩამოყალიბების პროცესის თანმიმდევრულობა აკადემიური სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე, რომელიც შედგება ოთხი ძირითადი ეტაპისაგან: მოსამზადებელი, კონცეპტუალური, ორგანიზაციული, ოპერაციული ეტაპებისგან (სქემა 2.1.)

მოსამზადებელი ეტაპი - განისაზღვრება ტექნოპარკის შექმნის კონცეპტუალური შესაძლებლობები. ვლინდება აუცილებელი პირობები და წინამძღვრები. ტარდება მარკეტინგული სამუშაოები და წინასწარი ეკონომიკური გაანგარიშებები.

შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კონცეპტუალური ეტაპი - მიიღწევა შეთანხმება სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრაციასთან, ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებთან პარკის სპეციალიზაციის, დაინტერესებული სტრუქტურების,

ხელისუფლების მონაწილეობის შესახებ.

ორგანიზაციული ეტაპი - გულისხმობს შენობათა არენდასთან ან რეკონსტრუქციასთან, საორგანიზაციო ტექნიკის შესყიდვასთან, სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასთან და სხვ. დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებას.

ამ ეტაპზე ხდება ტექნოპარკის რეკლამირება და მარკეტინგი კლიენტების, ასევე პოტენციური ინვესტორებისა და აქციონერების მოზიდვასთან დაკავშირებით.

ოპერაციული ეტაპი - ტარდება ტექნოპარკის აკრედიტაცია და ცხადდება მისი ფუნქციონირების დაწყება. პრაქტიკულად რეალიზდება კონკრეტული პროექტები.

SUMMARY

The article provides a detailed and well defined information about the role of transnational corporations' growth in the globalization of the world. How is changed the use of natural resources and industrial economy based on knowledge and information technology at the end of XX century.

The article clearly presented that the development of the regions is carried out only by activation of innovative processes in all areas of the economy. Management of federal and regional levels are paying a great attention to the technological parks, as well as the development of innovative infrastructure elements. The article discusses the concept and importance of parks, how the parks affect on the functioning of the economy. Article represented how the parks contribute to the region's economy. It basically describes the tasks which help the parks in the effective commercialization of research results in education, science, industry, government and customers.

Here are presented the main sources of funding of the existing parks which are created on science center base, the structure of the financial needs of their application and directions of their use. Existence those basic principles cause the development of financial system of the parks.

There is a description about the variety sources of funding used entire cycle of operation of the parks in the article, such as: the founders' contributions, the country's technological development, small enterprises development fund in the scientific - technical form, commercial loans, grants or subsidies.

ლიტერატურა:

1. ლილა მამულაშვილი, გიორგი ტულუში – თავისუფალი ეკონომიკური ზონები- ოფშორული ცენტრები”, “მერანი” , თბილისი 2005. გვ.168
2. ებარათაშვილი – “კიდევ ერთხელ ტექნოპარკების განვითარების საკითხისადმი”, ჟურნალი “ეკონომიკა”. №1. 2011;
3. ებარათაშვილი – “ტექნოპარკები – ინოვაციების სტიმულატორი”, საუნივერსიტეტოთამორისო ჟურნალი “ბიზნესი და მენეჯმენტი”. ბათუმი.
4. ებარათაშვილი, თ. ბაქანიძე – „რეგიონული ტექნოპარკების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №3, 2012 წ.
5. <http://www.parliament.gh/docs/uploads/Free%20zones%20Act%2050/pdf>

ოფშორული ზონების თანამედროვე ბაზარი და მისი პირითაღი თავისებურებანი

რამაზ სიჭინავა, სტუ-ს დოქტორანტი

თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იგივე ოფშორული ზონები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ზონები წარმოადგენენ ხელსაყრელ წარმონაქმნებს, სადაც შესაძლებელია ზემოკების მიღება და ასევე მნიშვნელოვან რგოლს ღია ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციაში. აქ გამოყენებული ეკონომიკური წესები, ბერკეტები და სპეციალური ადმინისტრაციული კანონები ამსუბუქებენ სამართლებრივ და სამეურნეო რეჟიმს. საბაჟო, საინვესტიციო და სავადასახადო რეჟიმი ნებისმიერი საგარეო და შიდა ინვესტიციებისათვის ხელსაყრელია და აქედან გამომდინარე ოფშორული ზონები თავისებურ მიმზიდველ "ზაფხანს წარმოადგენენ უცხოური კაპიტალდაბანდებისათვის.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა ოფშორულმა წარმოებამ, ოფშორული წარმოება ნიშნავს საბაზო ქვეყნიდან წარმოების უცხოეთში გატანას და შემდეგ მზა პროდუქციის ეროვნულ ან სხვა ქვეყანაში გაყიდვას, რომელსაც მცირე საწარმოო ხარჯები და ბაზრებთან მიახლოება განაპირობებს. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ოფშორულ ბიზნესში მოქმედი კაპიტალი 500 მილიარდ დოლარს აღწევს. მასში მონაწილეობს თითქმის ორი მილიონი მეანბრე (იურიდიული და ფიზიკური პირი) და ყოველწლიურად ხდება რამდენიმე ათასი ახალი კომპანიის რეგისტრირება, რომლებიც ზრდიან ოფშორული საქმიანობის მოცულობას.

ოფშორული კომპანიების რეგისტრაცია შესაძლებელია იურისდიქციებში, რომლებიც ფლობენ ოფშორული ფირმების სტატუსის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ბაზას. ოფშორული კომპანია - ეს არის ერთ-ერთ სავადასახადო პავანში (ნავსადგურში) რეგისტრირებული ფირმა, რომელსაც ოფშორული ტიპის საწარმოებს სთავაზობენ გადასახადებისაგან მთლიანად განთავისუფლებას ან გარკვეულ სავადასახადო შეღავათებს.

ტერმინი - "ოფშორული კომპანია" ახასიათებს საწარმოს განსაკუთრებულ ორგანიზაციულ-იურიდიულ სტატუსს, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის სავადასახადო დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას, უმეტეს შემთხვევაში - ნულამდეც კი.

კანონმდებლობა, როგორც წესი, მოითხოვს, რომ ოფშორული კომპანიის მართვა, ფუნქციონირებადი ოფისის დაფუძნება და კონტრაქტების დადება, რეგისტრაციის ტერიტორიის გარეთ იქნას გამხორციელებული. სხვა სიტყვებით, ოფშორული კომპანია უმრავლეს შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს თავისი ოფიციალური იურისდიქციის რეზიდენტი. აქედან წარმოსდგება, სწორედ, ტერმინი „Offshore“, - ნიშნავს საქმიანობას "ნაპირებს იქით" ანუ "საზღვრებს გარეთ". იურიდიული თვალსაზრისით, ოფშორული კომპანია პრინციპულად არაფრით გასხვავდება სხვა კომპანიებისა და საწარმოებისაგან. ის წარმოადგენს სამეურნეო სამართლებრივი ურთიერთობის

სრულყოფილებიან სუბიექტს და შეუძლია დადოს გარიგებები სხვა იურიდიული პირების თანასწორად.

ცნებები "ოფშორული ზონა" და "თავისუფალი ეკონომიკური ზონა" ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ ოფშორული ზონა გულისხმობს კომპანიის საქმიანობას მისი რეგისტრაციის ზონის (ტერიტორიის) გარეთ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირობებში კომპანიებს შეღავათები იმიტომ ეძლევათ, რომ ისინი იმავე ზონაში საქმიანობენ. ოფშორული ზონები აღირიცხება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ.

"ოფშორულ ზონად" ითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია "ფინანსური სტაბილურობის ფორუმი" ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობის მაღალ დონეს განაპირობებს". ეს აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა, ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ზორციელებდა მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

ოფშორული იურისდიქციის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ მის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს რეგისტრირებული ოფისი და კომპანიის მდივანი ან აგენტი. რეგისტრირებული ოფისის პრობლემის არსი მძღვომარეობს იმაში, რომ ის არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ოფისს. უბრალოდ, ეს არის მისამართი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი პირს შეუძლია კონტაქტში შევიდეს ოფშორული კომპანიის წარმომადგენელთან (აგენტთან). სხვა სიტყვებით, ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესის მართვისათვის. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ოფშორული იურისდიქციის ტერიტორიაზე კონტრაქტების გაფორმების ფაქტიც შეიძლება გახდეს კომპანიისათვის ოფშორული სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი.

უმეტეს შემთხვევაში, ოფშორული ფირმის დირექტორად ხდება თვითონ მფლობელი. თუმცა, ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ სიტუაციას, როდესაც ოფშორული კომპანიის დირექტორი არის ნომინალური პირი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნომინალური დირექტორი მხოლოდ ფორმალურად იმყოფება ამ თანამდებობაზე. ფაქტიურად, ის კისრულობს ვალდებულებას, არ განახორციელოს რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც კონტრაქტით არაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში კომპანიას მართავს ოფშორული კომპანიის მფლობელი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ეძლევა უფლება კომპანიის

სახელით იურიდიულ ქმედებაზე.

შეიძლება გამოვყოთ ოფშორული კომპანიების შემდეგი ხუთი ძირითადი მახასიათებელი:

1. ოფშორული კომპანია არ შეიძლება იყოს იმ ტერიტორიის რეზიდენტი, სადაც ის ოფიციალურადაა რეგისტრირებული. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი კონტროლისა და მართვის ცენტრი მდებარეობს საზღვარგარეთ. ოფშორული კომპანიის ნებისმიერი კომერციული ოპერაცია უნდა განხორციელდეს იმ იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, სადაც ის არის რეგისტრირებული.

2. ოფშორული კომპანია თავისუფლდება (ყველა, ან უმეტესობა) გადასახადებისაგან და იხდის ყოველწლიურად სარეგისტრაციო მოსაკრებელს.

3. გამარტივებულია რეგისტრაციის პროცედურა და კომპანიის მართვა. დაშვებულია "ნომინალური" მფლობელებისა და დირექტორების არსებობა. მოთხოვნები საერთო კრებებისა და დირექტორთა საბჭოების ჩატარების შესახებ ატარებს ფორმალურ ხასიათს;

4. ოფშორულ ფირმებზე არ წარმოებს სავალუტო კონტროლი; მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყვანილია მინიმუმამდე; აუდიტორულ შემოწმებებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთოდ არ საჭიროებს;

5. ოფშორული ფირმის მფლობელობა შეიძლება განხორციელდეს ანონიმურ საფუძველზე კონფიდენციაურობის მაღალი გარანტიით.¹

ოფშორული ზონები განლაგებულია ისეთ ტერიტორიებზე, რომლებსაც, როგორც წესი, არ გააჩნიათ სამხედრო ხარჯები, არ ინახავენ წამებთან საწარმოებს და გააჩნიათ სახელმწიფო მოხელეების ოპტიმალური რიცხოვნება. მათ აქტიურ გამოყენებას, უპირატესად, ხელს უწყობს ზონებში არსებული შეღავათიანი რეჟიმი, რაც უპირველეს ყოვლისა, ვლინდება დაბალ გადასახადებსა და მარტივ ბიუროკრატიულ პროცესებში. ასეთი პოლიტიკის გატარებით ბუნებრივი რესურსების არმქონე და უმნიშვნელო ეკონომიკური პოტენციალის მქონე მცირე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ არსებობის შესაბამის დონეს. კაპიტალის მოძრაობის პროცესი ოფშორულ სისტემებში ე.წ. "გამტარი" კომპანიების საშუალებით მიმდინარეობს, რომლებიც მოგების შემქმნელ ან გამსაღებელ კომპანიას ოფშორული ზონის ფირმებთან აკავშირებენ. ოფშორული ზონების ყველაზე გავლენიან კლიენტებად ტრანსნაციონალური კომპანიები სახელდება. ტერმინი "ოფშორული კომპანია" ახასიათებს კომპანიის იურიდიული სტატუსის თავისებურებებს, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთ შეღავათიან საგადასახადო გარემოში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადასახადების ტვირთის მაქსიმალურად კლებას, ხოლო, რიგ შემთხვევაში, თითქმის ნულამდე დაყვანას.

ოფშორული კომპანია წარმოადგენს როგორც საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტს, ასევე რისკის მართვისა და კაპიტალდაბანდების საიმედოობის ამაღლების საშუალებას.

საგადასახადო დაგეგმვა შეიძლება განვიხილოთ,

¹ ოფშორული ფირმის მფლობელობის კონფიდენციაური ხასიათი გარანტირებულია საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი ნორმებითა და იმ იურისდიქციის კანონმდებლობით, სადაც ოფშორული ფირმა რეგისტრირებულია.

როგორც სხვადასხვაგვარი-გეოგრაფიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენება საგადასახადო დანაკარგების შემცირების მიზნით. საგადასახადო დაგეგმვა არ შეიძლება მთლიანად გამოვყოთ კომპანიის ფინანსური და საწარმოო დაგეგმვისაგან.

ოფშორული ფირმების ფუნქცია მხოლოდ საგადასახადო დაგეგმვით არ შემოიფარგლება. ოფშორული ფირმები იქმნება რისკების მართვისათვის რაც გულისხმობს მსოფლიოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილურ რეგიონებში საწარმოების რეგისტრაციასა და მათი აქტივების განლაგებას. რისკის მართვა მიიღწევა აქტივების გადაწვილების მოქნილი და მოძრავი სისტემების შექმნით, რისკის მინიმუმამდე დაყვანისა და საერთაშორისო საწარმოების მდგრადობის ამაღლების მიზნით. არასტაბილურობის ნიშნის გამოჩენის ან სხვა რისკების შემთხვევაში ოფშორული სტრუქტურები საშუალებას იძლევიან სწრაფად გადაიგზავნოს კაპიტალი საიმედო რაიონში მისთვის "თავშესაფრის" შექმნის მიზნით.

ოფშორული ფირმები და მათი წარმომადგენლები ზოგიერთ იურისდიქციაში ასრულებენ საერთაშორისო კომპანიების ოპერატიული მართვის შტაბბინის ფუნქციას. ასეთ სტრუქტურად შეიძლება მოგვევლინოს ჰოლდინგური კომპანია შეღავათიან ჰოლდინგურ იურისდიქციაში.

ოფშორული კომპანიის მფლობელის განკარგულებაშია ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვისა და სხვა აქტივების მომსახურების ფართო არჩევანი. ოფშორული ფირმების დახმარებით როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ოფშორული ტრასტებისა და ფიდუციარული ფონდების მომსახურებით.

ოფშორული კომპანიები საშუალებას აძლევენ მათ მფლობელებს მთლიანად ისარგებლონ ევრო სავალუტო ფინანსური სისტემის უპირატესობებით. კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვების მიმართ მოთხოვნები ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში ნაკლებად მკაცრია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, რიგ შემთხვევები რეზერვებს საერთოდ არ საჭიროებს. ამის გამო ფინანსური ოპერაციების ხარჯები ევროვალუტაში უფრო მცირეა, ვიდრე ეროვნულ ფინანსურ ბაზარზე.

ოფშორული ფირმების მფლობელებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა განაზოცილონ სხვადასხვა ფინანსური ოპერაციები და სპეკულაციური თამაშები მაღალგანვითარებულ ფინანსურ ბაზარზე. მათ განკარგულებაშია - შუამავლებისა და ცნობილი რეპუტაციის კონსულტანტების ფინანსური მომსახურება და კაპიტალის მართვის სხვადასხვაგვარი სქემები. მთავარი კი ამ ბაზარზე ისაა, რომ ყოველთვის შეიძლება ამოიჩიოთ ის, რაც გჭირდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის სტაბილური მართვის პირობების შეფასებას. არა ნაკლებ როლს თამაშობს კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი; მნიშვნელოვანია მოცემულ იურისდიქციაში თუ როგორ არის გადაწყვეტილი ოფისის რეგისტრირებული აგენტისა და კომპანიის მდივნის საკითხი. სხვადასხვა იურისდიქციებში ოფისის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება სხვადასხვაგვარად. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს შეიძლება თუ არა კომპანიის ოფისის აქტიური ფუნქციონირება აღნიშნული

იურისდიქციის ტერიტორიაზე თუ რეზიდენტული ოფისი არ არის საჭირო, მაშინ სეკრეტარული კომპანია უზრუნველყოფს ოფისის ფუნქციებისა და პროცედურების შესრულებას, მაგრამ ოფისის არსებობის აუცილებლობისას, უნდა შეირჩეს ისეთი ოფშორული იურისდიქციები, რომლებშიც დაშვებულია რეზიდენტული ოფისის დაფუძვნება. ასეთი ოფისი შეიძლება შეიქმნას მესამე ქვეყანაში.

იურისდიქციები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საბუღალტრო წიგნების წარმოების, აუდიტის წესების ფინანსური ანგარიშგებისა და დეკლარაციის მიწოდების წესების მიხედვით. თუმცა, ოფშორული ფირმების მფლობელებისათვის ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც არსებობს შემუშავებული ტექნოლოგიები ოფშორული ფირმების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

თავისუფალი ოფშორული ზონები ორი ძირითადი პრინციპით იქმნება: ტერიტორიალური და ფუნქციონალური. პირველ შემთხვევაში ზონა განიხილება როგორც გამოცალკევებული ტერიტორია, სადაც ყველა საწარმო საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობს. მეორე პრინციპით, ეს არის შეღავათიანი რეჟიმი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში იმის მიუხედავად, თუ სად მდებარეობს ქვეყანაში ესა თუ ის ფირმა.

იმ ქვეყნის ძირითადი სარგებლობა, რომელშიც ორგანიზებულია ოფშორული ზონა, იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მიიზიდოს დამატებითი უცხოური კაპიტალი, მიიღოს შემოსავალი ამგვარ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიებიდან, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ადგილობრივი სპეციალისტებისათვის, რაც თავისთავად ეროვნული ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საზოგადოებაში ოფშორული ზონების საქმიანობას არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ. ბევრი იმ აზრისაა, რომ ოფშორული ცენტრები ხშირად წარმოადგენენ “ჭუჭყიანი ფულის” ჩამორეცხვისა და სხვადასხვა სახის საბანკო თაღლითობის ადგილებს. ამ აზრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეს პროცესები სრულიად გასაიდუმლოებულია და მკაცრადაა დაცული იმ პირის ან კომპანიის კომფენდენციალურობა, რომელიც ბანკში რიცხავს ფულს.

დღეისათვის მსოფლიოში უამრავი ოფშორული ზონა არსებობს: მათ შორისაა: აშშ, ჩინეთი, ავსტრია, ტაივანი, შვეიცარია, გერმანია, და ა.შ.

საქართველოს, ამ ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით დაბალი ეკონომიკური მახასიათებლები გააჩნია. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ოფშორული ბიზნესი ფაქტობრივად არ არსებობს. თუმცა, ჩვენთან, გამართლებულ იქნებოდა შექმნილიყო ამგვარი ზონები ისეთ რეგიონებში. სადაც ეკონომიკა ჩავარდნილია. საქართველოში ნებისმიერი კაპიტალდაბანდება ქვეყნისთვის შემოსავლიანი იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა საინვესტიციო გარემო უფრო მიმზიდველი გახდეს კაპიტალ დაბანდებას საშუალებით,

ჩაიღოს გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმები გრძელვადიანი და ამაღროულად იაფი კაპიტალის მოზიდვისთვის, განსაკუთრებით პორთფელური (კერძო ინვესტორების) კაპიტალის მოზიდვისთვის, რის მთავარ მექანიზმსაც გადასახადების თვალსაზრისით შეღავათების შექმნა წარმოადგენს, რათა მოხდეს გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვა, რომელიც დაასტიმულირებს საქართველოში რაც შეიძლება გახსნილი და გამჭვირვალე კომპანიების წარმოქმნას, ეს კი ნიშნავს ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების ამუშავებას, ამ შემთხვევაში მოგებულია სახელმწიფო, რადგანაც იგებს ის მექანიზმი, სადაც იზრდება ეკონომიკის რეალური სისრულე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავისუფალი ზონების წარმოშობა დიდადაა დამოკიდებული მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებაზე და სახელმწიფოს ძალისხმევაზე მათი შემდგომი განვითარებისათვის, რადგანაც ცენტრალიზებული ხელშეწყობის გარეშე ოფშორული ზონები პრაქტიკულად სიცოცხლისუნარიანი არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ საქართველო არ ისურვებს თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის ბაზრის სრულ გამოყენებას, მას შესაძლებლობა აქვს შექმნას დროებითი თავისუფალი ზონა მანამ სანამ გაიზრდება ჩვენი ეკონომიკის რეალური სექტორი. ამისათვის კი აუცილებელია პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა ქვეყნის შიგნით.

SUMMARY

The article discusses the Free Economic Zone, one of the - one of the offshore zone, setting up offshore companies, developing the principles and objectives. It explains the various offshore firms operating under the jurisdiction of the offshore companies' management structure and organizational forms.

The work is very interesting and I think it will provide important information for readers interested in offshore centers.

ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., სტუ, 2008;
2. ჯოლია გ., ჯოლია ნ., საერთაშორისო თანამეგობრობის ანტიოფშორული პოლიტიკის შეფასება, თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“; 2012, №1;
3. ბაკიძე თ., თავხელიძე დ., სოხაკე კ., ტექნოპარკების ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი, ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №1.

წრფის ანალიზურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$y = -0.33401 + 1.144274x$$

მიღებული კორელაციური კავშირის და დაგროვილი სტატისტიკური მასალის (ნიადაგში და კარტოფილში მძიმე ლითონების შემცველობის) გამოყენებით შეგვიძლია შევქმნათ მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ კარტოფილში სპილენძის მიახლოებითი კონცენტრაცია, ნიადაგში Cu; Zn; Cd და pH-ის ცნობილი მნიშვნელობებით.

როგორც ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, კარტოფილში სპილენძის შემცველობა გარკვეულ წილად დამოკიდებულია სხვა კომპონენტებზე (ნიადაგში სპილენძის, თუთიისა და კადმიუმის შემცველობასა და ნიადაგის pH-ზე). აქედან გამომდინარე შევეცადეთ დაგვედგინა კორელაციური კავშირი ამ სიდიდეებს შორის [4], ამისათვის შემოგვაქვს აღნიშვნები:

- Y- კარტოფილში სპილენძის შემცველობა;
- X₁- ნიადაგში სპილენძის შემცველობა;
- X₂- ნიადაგში თუთიის შემცველობა;
- X₃-ნიადაგში კადმიუმის შემცველობა;
- X₄- ნიადაგის pH;

ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ვადგენთ ცხრილს 1.

№	X ₁	X ₂	X ₃	X ₄	Y	y
1	2050	5420	68.7	7.9	2.7	2.7098
2	231.8	3770	34.6	5.46	1.9	1.9031
3	37.5	186	24.3	7.03	0.65	0.6434
4	3.18	183.9	5.35	7.56	0.21	0.2036
Σ	2322.48	9559.9	132.95	27.95	5.46	5.4599

ვსაზღვრავთ ცვლადების საშუალო მნიშვნელობებს. თუ ჩავთვლით Y-ს ფუნქციად, ხოლო X₁; X₂; X₃; და X₄-ს არგუმენტებად, შეგვიძლია დავწეროთ რეგრესიის განტოლება:

$$Y = \bar{Y} + b_1(X_1 - \bar{X}_1) + b_2(X_2 - \bar{X}_2) + b_3(X_3 - \bar{X}_3) + b_4(X_4 - \bar{X}_4)$$

რეგრესიის კოეფიციენტების b₁; b₂; b₃; b₄-ის გამოსათვლელად ვადგენთ წრფივ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned} b_1 \sum X_1^2 + b_2 \sum X_1 X_2 + b_3 \sum X_1 X_3 + b_4 \sum X_1 X_4 &= \sum X_1 Y \\ b_1 \sum X_2 X_1 + b_2 \sum X_2^2 + b_3 \sum X_2 X_3 + b_4 \sum X_2 X_4 &= \sum X_2 Y \\ b_1 \sum X_3 X_1 + b_2 \sum X_3 X_2 + b_3 \sum X_3^2 + b_4 \sum X_3 X_4 &= \sum X_3 Y \quad (2) \\ b_1 \sum X_4 X_1 + b_2 \sum X_4 X_2 + b_3 \sum X_4 X_3 + b_4 \sum X_4^2 &= \sum X_4 Y \end{aligned}$$

სისტემაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით ვღებულობთ:

$$b_1 5393913.3504 + b_2 22202676.552 + b_3 308773.716 + b_4 64913.316 = 12680.7408$$

$$b_1 22202676.552 + b_2 91391688.01 + b_3 1270988.705 + b_4 267199.205 = 52197.054$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით (გაუსის მეთოდით) ვსაზღვრავთ:

$$\begin{aligned} b_1 &= -0.00028 \\ b_2 &= 0.0003 \\ b_3 &= 0.02379 \\ b_4 &= 0.00386 \end{aligned}$$

ხოლო რეგრესიის განტოლებაში რეგრესიის კოეფიციენტების ჩასმით ვღებულობთ:

$$y_1 = 1.365 - 0.00028(2050 - 580.62) + 0.0003(5420 - 2389.975) + 0.02379(68.7 - 33.2375) + 0.00386(7.9 - 6.9875) = 2.7098$$

$$y_2 = 1.365 - 0.00028(231.8 - 580.62) + 0.0003(3770 - 2389.975) + 0.02379(34.6 - 33.2375) + 0.00386(5.46 - 6.9875) = 1.9031 \quad 4$$

$$y_3 = 1.365 - 0.00028(37.5 - 580.62) + 0.0003(186 - 2389.975) + 0.02379(24.3 - 33.2375) + 0.00386(7.03 - 6.9875) = 0.6434$$

$$y_4 = 1.365 - 0.00028(3.18 - 580.62) + 0.0003(183.9 - 2389.975) + 0.02379(5.35 - 33.2375) + 0.00386(7.56 - 6.9875) = 0.2036$$

ამ განტოლებაში გამოთვლილი Y-ის მნიშვნელობები წარმოადგენილია ცხრილი 1-ის ბოლო სვეტში. კორელაციის კოეფიციენტს ვსაზღვრავთ განტოლებით:

$$R^2 = \frac{\sum (Y_i - \bar{Y})^2}{\sum (y_i - \bar{y})^2} \quad 5$$

აქ Y_i და \bar{Y} ექსპერიმენტული მონაცემებია (აიღება ცხრილი 1-დან), ხოლო \bar{y} და y_i რეგრესიის განტოლების ამოხსნით მიღებული მნიშვნელობები. განტოლება (5) ამოხსნით ვღებულობთ R=0,9 რაც მეტყველებს მაღალ კორელაციურ დამოკიდებულებაზე ამ მაჩვენებლებს შორის.

შესრულებული კვლევითი სამუშაო და აგებული მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა ნიადაგის ცნობილი pH-ისა და Cu; Zn; Cd-ის კონცენტრაციის შემთხვევაში განვსაზღვროთ კარტოფილში სპილენძის მიახლოებითი კონცენტრაცია. გარდა ამისა მიღებული კორელაციური დამოკიდებულება კარტოფილში Zn და Cu შორის საშუალებას გვაძლევს სპილენძის ცნობილი კონცენტრაციის დროს თეორიულად განვსაზღვროთ მასში თუთიის კონცენტრაცია ან პირიქით, თუთიის ცნობილი კონცენტრაციის დროს თეორიულად განვსაზღვროთ სპილენძის კონცენტრაცია.

ლიტერატურა:

1. Ильин, В.Б. Тяжелые металлы системе: почва — растение / Новосибирск, Наука, 1991.
2. ი. ქავთარაძე, გ. ავჭოფაშვილი, ე. შენგელია, ლ. გვასალია. ბოლნისის რაიონის ზოგიერთ სისტემაში მძიმე ლითონების შემცველობის მონიტორინგი./საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 06.2011.
3. 4. Батунер М. М., Позин М.Е. Математические методы в химической технике М.1971

ბიზნეს-ინჟინერინგი ჯანდაცვის სისტემაში და ქრონიკულ დაავადებათა პრევენცია რეინჟინერინგში

მელა ჩიქავა

სტუ-ს სრული პროფესორი

ბიზნეს-ინჟინერინგი ინჟინერინგის ინტერდისციპლინარული სფეროა, რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ მოხდეს კომპლექსური ბიზნესის დაგეგმვა და მართვა. ბიზნეს-ინჟინერინგი Van Meel-ისა და Sol-ის (1996) მიერ განმარტებულია, როგორც „ორგანიზაციული სტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემების ინტეგრალური დაგეგმვა“ [4].

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად წარმოდგენილია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებით, რომელთა საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, ქრონიკულ დაავადებათა და მდგომარეობათა პრევენციისა და მკურნალობის სწორად დაგეგმვას და მართვის ეფექტურობას.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ ვარიანტად რეკომენდებულია სამედიცინო დაწესებულებების მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია პროცესებზე. არსებობს ბიზნესის თანამედროვე სისტემების პროექტირების ორი ძირითადი მიდგომა: სტრუქტურული და პროცესული.

1. სტრუქტურული მიდგომა დაფუძნებულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის გამოყენებაზე, რომელიც საკმაოდ სწრაფად იცვლება და ამიტომ პროექტის რეალიზაციის პროცესში აუცილებლად მოითხოვს შესაბამისი კორექციის შეტანას. სწორედ ეს არის ამ მიდგომის ნაკლი.

2. პროცესული მიდგომის დროს ორგანიზაცია განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბიზნეს-პროცესების ერთობლიობა, რომელიც, ორგანიზაციული სტრუქტურისგან განსხვავებით, საკმაოდ იშვიათად იცვლება [12].

ტერმინი „ბიზნეს-პროცესი“ გულისხმობს სტაბილურ, მიზანმიმართულ ერთობლიობას ურთიერთდაკავშირებული საქმიანობებისა (თანმიმდევრული სამუშაოებისა), რომლებიც გარკვეული ტექნოლოგიით გარდაქმნიან შესასვლელებსა და გასასვლელებს, რაც ფასეულია მომხმარებლისთვის. ვიწრო გაგებით, ბიზნეს-პროცესი შეიძლება განისაზღვროს როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცედურების ლოგიკურად დასრულებული ნაკრები, რომელიც მიმართულია განსაზღვრული შედეგის მიღწევისკენ, რაც ღირებულია მომხმარებლისთვის. ბიზნეს პროცესი იყენებს გარკვეულ (ფინანსურ, მატერიალურ, ადამიანურ, ინფორმაციულ) რესურსებს, შესასვლელი ელემენტების გასასვლელად გარდაქმნის მიზნით. ზოგადად, ბიზნეს-პროცესი კომპანიისთვის წარმოადგენს ამოცანათა უწყვეტ სერიას, რომელთა გადაჭრაც ხორციელდება გასასვლელის (შედეგის) შექმნის მიზნით. ბიზნეს პროცესის ამოსავალი წერტილი და საბოლოო პროდუქტი არის გასასვლელი, რაზეც მოთხოვნას აყ-

ენებენ კორპორატიული ან გარე „მომხმარებლები“ [27].

ამჟამად არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე ეფექტური მიმართულება, რომლითაც შესაძლებელია პროცესული მიდგომის რეალიზება, არის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი (ბპრ). ბპრ არის მიმართულება, რომელიც აღმოცენდა ისეთი ორი სხვადასხვა სფეროს საქმიანობასთან კავშირში, როგორებიცაა მართვა და ინფორმაციზაცია. ჯანდაცვა დიდი ხანია იცნობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ის პირველად დაინერგა აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში. საზღვარგარეთის მრავალი წამყვანი სამედიცინო ორგანიზაცია იყენებს საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემას – ERP (Enterprise Resource Planning System) და ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგს – BPR (Business Process Reengineering) [12].

პირველად ტერმინი „ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი“ შემოღებულ იქნა მაიკლ ჰამერის მიერ 1990 წელს [20] და მას შემდეგ იგი მენეჯმენტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთა აქტიურ ინტერესს იწვევს. ინჟინერინგი წარმოსდგება ინგლისური სიტყვიდან „engineering“, რაც ნიშნავს აშენებას, დიზაინის შექმნას, პროექტირებას, მოწყობას, მოფიქრებას, გამოგონებას, გამოსახვას. ინჟინერინგი განისაზღვრება, როგორც ინტელექტუალურ საქმიანობათა ერთობლიობა, რომლის საბოლოო მიზანია საინვესტიციო ან სხვა ხარჯებისგან საუკეთესო (ოპტიმალური) შედეგების მიღება მატერიალური, შრომითი, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების ყველაზე უფრო რაციონალური შერჩევისა და ეფექტური გამოყენების ხარჯზე. ინჟინერინგი, როგორც ორგანიზაციისა და მართვის მეთოდების ერთობლიობა, დაფუძნებულია უახლეს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე, სპეციფიკური პირობებისა და პროექტების გათვალისწინებით.

ბპრ მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობაა, რომლის მიზანია კომპანიის (საწარმოს) საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების კარდინალური გაუმჯობესება, რაც არსებული ბიზნეს-პროცესების ანალიზისა და რედიზაინის გზით ხორციელდება. რეინჟინერინგი მოიცავს შებრუნებულ ინჟინერინგს და პირდაპირ ინჟინერინგს. შებრუნებულ ინჟინერინგი – არსებული ბიზნესის ინჟინერინგია, პირდაპირი ინჟინერინგი კი – ახალი ბიზნესის ინჟინერინგი.

1994 წლიდან აშშ-ში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები ბპრ-ის შესახებ. გამოქვეყნებულია ათზე მეტი წიგნი და ასობით სტატია, რომლებიც აღწერს ბპრ-ს. განსაკუთრებით წარმატებული იყო მ. ჰამერისა და ჯ. ჩამპის წიგნი „კორპორაციის რეინჟინერინგი – რევოლუცია ბიზნესში“, რომელიც გამოცემულ იქნა 1993 წელს. ორი წლის განმავლობაში ეს იყო ყველაზე გაყიდვადი წიგნი არა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ, არამედ – მხატვრულ წიგნებს შორისაც [5].

რამდენიმე წელიწადში რეინჟინერინგი გადაიქცა ერთ-

ერთ წამყვან და აქტიურად განვითარებად კონცეფციად. აშშ-ში 80 უმსხვილესი კომპანიის ფინანსური დირექტორების გამოკითხვის შედეგებით, რომელიც Ernst & Young-ის მიერ იქნა ჩატარებული, რეინჟინერინგის გატარების ძირითადი მოტივაცია პროდუქციის ხარისხისა და მომსახურების, სერვისის გაუმჯობესება და ხარჯების შემცირება იყო. დასავლურ სამყაროში (პირველ რიგში, აშშ-ში) რეინჟინერინგი სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს [12]. იგი თანდათან შემოდის საქართველოშიც, როგორც პროცესული მართვა, ავტომატიზებული ძირითადი ბიზნეს-პროცესები.

რეინჟინერინგის იდეოლოგიის – მ. ჰამპერისა და ჯ. ჩამპის განსაზღვრების თანახმად, ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი განისაზღვრება, როგორც "ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური ასლებური გააზრება და რადიკალური პერეპროექტირება (ხელახალი დაგეგმვა) კომპანიის ძირითადი საქმიანობის მაჩვენებლების ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად" [11]. ბპრ-ის მიზანია მატერიალური, საფინანსო და საინფორმაციო ნაკადების ჰოლისტიკური და სისტემური მოდელირება და რეორგანიზაცია, რომელიც მიმართულია ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივებისკენ, სხვადასხვა რესურსების გადანაწილებისა და გამოყენების მინიმიზაციისკენ, მომხმარებლის საჭიროებების რეალიზაციის დროის შემცირებისკენ, მათი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ [27].

მ. ჰამპერი ბპრ-ს განიხილავს, როგორც რეკოლუციას ბიზნესში, რომელიც აღნიშნავს ორგანიზაციის შენების ძირითადი პრინციპებისგან გადახვევას და ბიზნესის კონსტრუირებას გარდაქმნის საინჟინრო საქმიანობად. ასეთი რეკოლუციის შესაძლებლობა განპირობებულია, პირველ რიგში, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებული უახლესი მიღწევებით, რომლებიც წამყვან როლს ასრულებს ბიზნეს-პროცესების მოდელირებაში.

ბილ გეიტსი წიგნში „ბიზნესი აზრის სისწრაფით“, საუბრობს რა რეინჟინერინგზე, აღნიშნავს „დაწვევებულების ნერვული სისტემის“ შექმნის აუცილებლობას, რათა ჩვეულებრივი პროცესების უმეტესობა, ისევე როგორც ცოცხალ ორგანიზმში, მიმდინარეობდეს „რეფლექსების“ დონეზე, რაც თავს დატოვებს თავისუფალს შემოქმედებისა და შტატგარეშე სიტუაციებზე რეაგირებისთვის [12].

რეინჟინერინგისთვის საჭიროა გააზრება, თუ როგორ მოხდეს ბიზნეს-პროცესების სწორად შეცვლა. თანდათან რეინჟინერინგმა, რომელიც გვთავაზობს საწარმოში არსებული სისტემის შეჩერებასა და ხელახლა აშენებას ბიზნეს-პროცესების რეკოლუციური შეცვლის გზით, დაიწყო გადაქცევა მართვის სისტემად, რომელსაც უჩნდება მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი. რეინჟინერინგიდან, როგორც ბიზნესის რეორგანიზაციის მეთოდიდან, რომელიც ხორციელდება არსებული ბიზნეს-პროცესების ძირეული გარდაქმნის გზით, მართვითი აზრი შეიცვალა „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს კონცეფციით, ანუ ბიზნესის, როგორც საინჟინრო მეცნიერების შექმნის სისტემით, რომელიც ხორციელდება ბიზნეს-პროცესების პროექტირებითა და მართვით, სათანადო პროგრამული პროდუქტების გამოყენებით [26].

ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი მოიცავს ბიზნეს-პროცესების გარდაქმნისას 2 სხვადასხვა მიდგომას: რე-

ინჟინერინგსა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

1. ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის (BPR) ძირითადი იდეაა საკითხის რადიკალური გადახედვა და ხელახალი დაგეგმვა. იგი ტარდება გარკვეული პერიოდული-ბით, მაგალითად, 5-7 წელიწადში ერთხელ.

2. ბიზნეს-პროცესების უწყვეტი გაუმჯობესება – Continuous Improvement (CI) გულისხმობს ორგანიზაციის გრძელვადიან გაუმჯობესებას ცვალებადი გარემო პირობებისადმი მათი ადაპტაციის გზით. იგი წარმოშობილია სოციალური ფსიქოლოგიიდან [12.]


ამდენად, ბიზნეს-ინჟინერინგი იწყება რეინჟინერინგით, რომელსაც ფესვები მართვის მეცნიერებისადმი ინჟინერულ მიდგომაში აქვს. იგი ხორციელდება ნახტომისებურად, მსხვილ მასშტაბებში და გრძელდება მუდმივად, უწყვეტი გაუმჯობესებით – მოთმინებით, ნელი ტემპებით. ვითარდება ზევითან ქვევით – ბიზნეს-მოდელის შემუშავების, რედიზაინის საფუძველზე; უწყვეტი გაუმჯობესება – ქვევითან ზევით, რომლის აუცილებლობასაც ძირითადად რეინჟინერინგის პრაქტიკაში გატარება გვიჩვენებს.

ბიზნეს-ინჟინერინგში მთავარია პროცესული მიდგომა, სადაც მართვის ობიექტია საწარმოში არსებული პროცესები. ამ თვალსაზრისით, რეინჟინერინგი, როგორც მათი გარდაქმნის ტექნიკა, გახდა ბიზნეს-ინჟინერინგის მხოლოდ და მხოლოდ შემადგენელი ნაწილი. ეს მოითხოვს მართვაზე არსებული ტრადიციულ შეხედულებებზე უარის თქმას, მის სერიოზულ გააზრებას თავიდან. სწორედ ამიტომ აქამდე არამარტო ჩვენთან, არამედ – დასავლეთშიც, ბიზნეს-ინჟინერინგი ჯერ კიდევ ვერ გახდა მასიური გამოყენების ინსტრუმენტი.

ამდენად, ბიზნეს-ინჟინერინგის გამოყენება იწყება იმით, რომ ხელმძღვანელებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი ცნობიერება. მაგრამ არსებული რწმენის შეცვლა საკმაოდ რთულია. ამის გაკეთება შეუძლიათ ინოვაციური ტიპის მენეჯერებს, რომლებიც მუდმივად ცდილობენ სიახლის გააზრებას თავიანთი საწარმოს მართვის სრულყოფის მიზნით [26]. სიახლე კი მდგომარეობს ფუნქციური მიდგომიდან პროცესულ მიდგომაზე გადასვლაში. იმისათვის, რომ ჩამოვყალიბოთ ბიზნეს-ინჟინერინგის მნიშვნელობა თანამედროვე ჯანდაცვისთვის, მოკლედ განვიხილავთ ორივე მიდგომის არსს ზოგადად საწარმოსთვის.

საწარმოს მართვის ფუნქციებზე ორიენტირებული მიდგომა. დღესდღეობით ორგანიზაციათა უმრავლესობა მოწყობილია ფუნქციურ-იერარქიული პრინციპით. ასეთ ორგანიზაციებში არის ხელმძღვანელი, რომელსაც ექვემდებარებიან მოადგილეები სხვადასხვა მიმართულებებით. ისინი, თავის მხრივ, ხელმძღვანელობენ ქვეგანყოფილებებს, რომლებიც ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს. იერარქიული სისტემის რგოლები (ორგანიზაციის ქვეგანყოფილებები) ხშირად დაჯგუფებულია ფუნქციური ნიშნით, ანუ ორგანიზაციის ფარგლებში საქმიანობის მიხედვით, მაგალითად, შესყიდვების დეპარტამენტი, წარმოების დეპარტამენტი, მარკეტინგის დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი და ა.შ. (სურ. 1).

თითოეული ასეთი რგოლის შიგნით არსებობს ფუნქციური იერარქია მაღალი დონის ხელმძღვანელიდან შემსრულებლისკენ. ფუნქციური იერარქიის რგოლების შიგნით არის ინფორმაციის ნაკადები, რომლებიც მიმართულია ზევითან ქვევით და ქვევითან ზევით. მართვის



სურათი 1. ტრადიციული ორგანიზაციის განზოგადებული ფუნქციურ-სტრუქტურული მოდელი

ასეთ ორგანიზაციას საფუძვლად უდევს ადამ სმიტის შრომის განაწილებისა და სპეციალიზაციის პრინციპი, რომელიც აღწერილია მის შრომაში მე-18 საუკუნის ბოლოს. ამჟამად ასეთი პრინციპით მართვა არაფუნქციურია შემდეგი მიზეზების გამო:

1. ფუნქციებზე ორიენტირებული ორგანიზაციის დროს-ფუნქციები განაწილებულია ქვეგანყოფილებებს შორის, სადაც საწარმოს თანამშრომლები ასრულებენ ვიწრო სპეციალურ ამოცანებს თავიანთი სპეციალიზაციის მიხედვით. ასეთი ორგანიზაცია ვერ ასტიმულირებს თანამშრომელთა დაინტერესებას საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგით, რადგან მათი მოღვაწეობის შეფასების სისტემა მოწყვეტილია მთლიანი საწარმოს მუშაობის შედეგიანობისგან. მათი ხედვა მომხმარებლის შესახებ უმეტესად არ სცილდება იმ ქვეგანყოფილების ჩარჩოებს, სადაც ისინი მუშაობენ. ასეთი სისტემა პერსონალს უბიძგებს თავისი ფუნქციების კარგად შესრულებისკენ, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მათ ორიენტირებულობას საწარმოს მიერ დასახულ ამოცანებზე. არადა სწორედ საწარმოს ამოცანების გადაჭრა უზრუნველყოფს ბიზნესის წარმატებას.

2. ფუნქციური მიდგომის დროს თანამშრომლის შრომის შედეგიანობის ძირითადი მომხმარებელია მისი ზემდგომი ხელმძღვანელი. ეს ნიშნავს, რომ ყველა ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ცდილობს ასიაშინოს მას და არა კოლეგას მეზობელი ქვეგანყოფილებიდან, მითუმეტეს – მომხმარებელს.

3. საწარმოს რეალური სამუშაო პროცესების დიდი ნაწილი შედგება მრავალი ფუნქციისგან, რომლებიც გამოდის ქვეგანყოფილების ჩარჩოებიდან. ფუნქციებზე ორიენტირებულ სტრუქტურებში ძალიან გართულებულია სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რაც იწვევს დიდ ზედნაღებ სარჯებს, მართვითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლად ხანგრძლივ ვადებში მიღებას და, შედეგად,

მომხმარებლის დაკარგვას. ანალიტიკოსთა გაანგარიშებით, ქვეგანყოფილებებს შორის ურთიერთქმედებაზე დახარჯული დრო იყოფა შემდეგნაირად: 20% – მუშაობის დრო, 80% – შედეგის შემდეგ შემსრულებელზე გადაცემის დრო.

4. იერარქიულ ფუნქციურ სისტემას კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი აქვს. ესაა ინფორმაციის გადაცემისას მისი დამახინჯების ფუნდამენტური კანონი. მმართველი ინფორმაცია ძირითადად გადაეცემა ბუნებრივი ენით, რაც იწვევს შეტყობინების არსის დამახინჯებას. ე.ი. თუ, მაგალითად, ინფორმაცია გაივლის მართვის ოთხ დონეს და თითოეულ დონეზე, ვთქვათ, იგი დამახინჯდება მინიმუმ 25%-ით, მაშინ მაღალი ალბათობა იქნება იმისა, რომ საწყისი შეტყობინება 100%-ით დამახინჯდეს.

ამდენად, ასეთ სისტემაში რეალურად ადგილი აქვს მხოლოდ ნებართვებსა და ბრძანებებს, რომლებიც საწარმოში წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესების კრებულის სახით. ეს პროცესები უმეტეს შემთხვევაში არავის მიერ არ იმართება და მათზე პასუხს არავინ აგებს, რადგან ბიზნეს-პროცესები არ არის აღწერილი და დოკუმენტირებული.

საწარმოს მართვის პროცესებზე ორიენტირებული მიდგომა. პროცესები – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ განმეორებად ქმედებათა (ფუნქციათა) ნაკრები, რომელიც საწყის მასალას და/ან ინფორმაციას გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (მომსახურებად), წინასწარ დადგენილი წესების შესაბამისად. პროცესული მიდგომის დაწერვა კომპანიას საშუალებას აძლევს, გაზარდოს მუშაობის ეფექტურობა, უზრუნველყოს ახალი სერვისები და პროდუქტები, თანამშრომელთა შტატის გაზრდის გარეშე.

თეორიულად განსხვავება ფუნქციებზე ორიენტირებულ და პროცესებზე ორიენტირებულ მიდგომებს შორის შემდეგში მდგომარეობს:


ფუნქციებზე ორიენტირებული მიდგომის დროს თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს (თანამშრომელს, განყოფილებას, სამმართველოს) აქვს თავისი ფუნქციები, აღწერილია მათი პასუხისმგებლობის არე, ჩამოყალიბებულია წარმატებული და წარუმატებელი საქმიანობის კრიტერიუმები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჰორიზონტალური კავშირი სუსტია, ხოლო ვერტიკალური კავშირი "ხელმძღვანელ – დაქვემდებარებულს" შორის საკმაოდ ძლიერია. რიგითი თანამშრომელი, რომელიც მუშაობს ასეთ სისტემაში, ჩვეულებრივ თვლის, რომ ის პასუხს აგებს იმ ფუნქციებზე, რომელსაც მას ან მთელ განყოფილებას ავალებს ხელმძღვანელი. ის პარალელური სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისადმი გულგრილია, რადგან პასუხისმგებლობას გრძნობს მხოლოდ უშუალოდ ხელმძღვანელის წინაშე. ასეთ პირობებში უგულებელყოფილია საერთო ინტერესები, სამაგიეროდ ძალაში რჩება საკუთარი ინტერესები. ინტერესთა კონფლიქტი – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელსაც ქმნის შრომის ორგანიზაციისადმი ფუნქციური მიდგომა. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები ამ მიდგომის ნაკლთა გააზრების შედეგად.

პროცესებზე ორიენტირებული მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი თანამშრომელი უზრუნველყოფს კონკრეტული ბიზნეს-პროცესის სასიცოცხლო ქმედუნარიანობას, მასში უშუალო მონაწილეობით. თითოეული თანამშრომლის მოვალეობები, პასუხისმგებლობის არე, წარმატებული საქმიანობის კრიტერიუმები ფორმულირებულია და მათ მხოლოდ კონკრეტული ამოცანის ან პროცესის კონტექსტში აქვთ აზრი. ჰორიზონტალური კავშირი სტრუქტურულ ერთეულებს შორის ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე – ფუნქციური მიდგომის დროს; ვერტიკალური კავშირი "ხელმძღვანელი – დაქვემდებარებული" კი – ოდნავ სუსტდება. თანამშრომლის პასუხისმგებლობის

გრძნობა ხარისხობრივად იცვლება: იგი პასუხისმგებელი ხდება არა მხოლოდ იმ ფუნქციებზე, რომლებსაც მას ავალებს ხელმძღვანელი, არამედ – ბიზნეს-პროცესზე მთლიანად. ასეთ პირობებში პარალელური სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის შედეგები მისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს. პასუხისმგებლობა მთელი ბიზნეს-პროცესის შედეგზე უბიძგებს მას კოლეგების წინაშე პასუხისმგებლობისკენ, რომლებიც ისეთივე მონაწილენი არიან ბიზნეს პროცესისა, როგორც თვითონ.

იდეა ორგანიზაციის წარმოდგენისა ბიზნეს-პროცესების კომპლექტის სახით, ხოლო მისი საქმიანობის მართვისა – ბიზნეს-პროცესების მართვის სახით, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გავრცელდა. მას შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო კომპანიებმა დაიწყეს ამ ამოცანის გადაჭრა და მისი პრაქტიკაში გატარებით აშკარა გახდა წარმოების კლიენტზე (მომხმარებელზე) ორიენტირებულობაზე და წარმოების მართვის – პროცესზე ორიენტირებულობაზე გადასვლის მნიშვნელობა, ეფექტურობა, ეკონომიურობა და პროგრესულობა. ამით დაძვინკვდა საბოლოო შედეგზე ორიენტირებულობის სისწორე, რომელსაც აფასებს პროცესის მომხმარებელი – კლიენტი [27]. ამდენად, პროცესულ მიდგომაზე გადასვლა არ ნიშნავს, რომ ფუნქცია და სტრუქტურა აღარ არის საჭირო, არამედ იგულისხმება ფუნქციაზე ორიენტირებულობიდან პროცესზე ორიენტირებულობაზე გადასვლა, რაც შედეგზე ორიენტირებულობაზე გადასვლას ნიშნავს, ფუნქცია და სტრუქტურა კი რჩება პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად.

თუ განვიხილავთ ბიზნეს-პროცესის განზოგადებულ მოდელს, ნებისმიერი ბიზნეს-პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მისი არსებითი ნაწილის (სამუშაო ობიექტების, რესურსების, ორგანიზაციული ერთეულების), ფუნქციების (მოქმედებების) და მოვლენების მოწესრიგებული ერთობლიობა (სურ. 2).



სურ. 2. ბიზნეს-პროცესის განზოგადებული მოდელი

ფუნქცია (მოქმედება, ოპერაცია) შესასვლელ სამუშაო ობიექტებს გარდაქმნის გასასვლელად ან ახდენს მათ მოდიფიცირებას. შესასვლელებითა და გასასვლელებით ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციათა გარკვეული თანმიმდევრობით დალაგება, ანუ სეკვენსირება ქმნის ბიზნეს-პროცესს. ბიზნეს-პროცესის ფუნქციამ შეიძლება შექმნას ნებისმიერი ბუნების სამუშაო ობიექტი (მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო) [27].

ამჟამად დასავლეთის ჯანდაცვის სისტემებში უკვე გაზრდილია ინტერესი სამედიცინო დაწესებულებათა მართვის პროცესზე ორიენტირებული მიდგომებისადმი. მაგალითად, აშშ-ში სამედიცინო დაწესებულებათა 60%-ში, ევროპაში (ძირითადად დიდ ბრიტანეთში) – 20%-ზე ნაკლებში მიმდინარეობს რეინჟინერინგი [17]. ასეთ დაწესებულებებში დაავადებათა მართვის წარმატება დამოკიდებულია კლინიკური ბიზნეს-პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რეინჟინერინგზე [8]. აქ ნებისმიერი პროცესის შესრულების ხარისხის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია მომხმარებლის – პაციენტის კმაყოფილება, რომელიც ამ პროცესების საბოლოო ბენეფიციარია და, პირდაპირ თუ ირიბად, მათი ძირითადი გადამხდელია. პაციენტის, როგორც სამედიცინო მომსახურების მომხმარებლის, მთავარი ობიექტური ინტერესია არამარტო სწორი დიაგნოზის დასმა, არამედ – დაავადებათა პრევენცია და პრევენციული მკურნალობა რაც შეიძლება ადრეულ ვადებში. ამ ამოცანების გადაჭრის ერთადერთ საიმედო საშუალებად კი სწორედ რეინჟინერინგი წარმოგვიდგება [19].

ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებათა რეინჟინერინგს საფუძვლად უდევს სხვადასხვა სპეციალობის ექიმებსა და სხვა სამედიცინო პერსონალს შორის შრომის მრავალსაფეხურიან განაწილებაზე უარის თქმა და ცალკეული ოპერაციების (ქვეპროცესების) რეინტეგრაცია პროცესებად, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საბოლოო შედეგს, რაც ღირებულია პაციენტისთვის [21].

დღესდღეობით საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკულად არ არიან სპეციალისტები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გარკვეული უფლებამოსილება, რათა პასუხისმგებლობა აიღონ დაწესებულების პროფესიულ კომპეტენციებზე. ჯანდაცვის დაწესებულებებში ფაქტიურად არ ხდება სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესის დოკუმენტურად გადმოცემა და შესაბამის თანამდებობაზე არ არიან დანიშნული პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მათ შესრულებასა და ხარისხზე.

სამედიცინო დაწესებულებებში არის პერსონალი, რომელიც დაკავებულია ლაბორატორიული გამოკვლევებით, დიაგნოზის დასმით, მკურნალობის დანიშვნითა და განხორციელებითა დაა.შ. მათ შორის განაწილებულია ფუნქციები, მაგრამ თითოეული მხოლოდ კონკრეტული სამუშაოს რუტინული განმხორციელებელია და არც ერთ მათგანს არ გააჩნია რეალური პერსონალური პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე (პროცესის გასასვლელზე – კლინიკური შემთხვევის გამოსავალზე). ასეთ დაწესებულებებში არ არსებობს სამედიცინო მომსახურების მიწოდების საიმედო მორალურ-მატერიალური სამოტივაციო ინსტრუმენტი, აგრეთვე – მათი ეფექტური სადაზღვეო მექანიზმი. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში საჭიროა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ინოვაციური მოდერნიზაცია.

ამ ამოცანას პასუხობს რეინჟინერინგის კონცეფცია და შინაარსი, რომლის ობიექტებია სამედიცინო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესები. დასავლეთში დაგროვილი გამოცდილების ანალოზი მოწმობს, რომ ჯანდაცვის დაწესებულებათა რეინჟინერინგი შეიძლება იყოს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რადიკალურად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხარისხი.

ინოვაციური მოდერნიზაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე პერიოდში, რამდენადაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში სამკურნალო-პრევენციული საქმიანობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ არ გაამართლა არც ექიმებისა და არც პაციენტებისთვის და დაგვანახა არსებული წაროდგენების რეკონსტრუქციური შეცვლის საჭიროება, მუშაობის ფუნდამენტურად ახალ ხარისხზე გადასვლის აუცილებლობა რეინჟინერინგის გზით, რათა სამედიცინო მომსახურება განხორციელდეს სერვისულობისა და პაციენტზე C [19].

ჯანდაცვის სისტემის რეინჟინერინგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ქრონიკულ დაავადებათა პრევენციისა და პრევენციული მკურნალობის რეინჟინერინგი, რადგან ეს გაცილებით უფრო ეფექტურია და იაფი ჯდება, ვიდრე – უკვე ჩამოყალიბებულ დაავადებათა და მათ გართულებათა მკურნალობა [10]. საზოგადოებრივ ჯანდაცვაში პრევენციის რეინჟინერინგის განხორციელება მოითხოვს ღრმა ცვლილებების გატარებას, მათ შორის პრევენციის ინტეგრირებას ჯანდაცვის მენეჯმენტსა და სერვისების მიწოდებაში. მართალია, ცვლილება მტკივნეული იქნება, მაგრამ გასულ საუკუნეში აშშ-ის მედიცინის წარმატებული ტრანსფორმაცია გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია [18].

დასავლეთში პრევენციულ ღონისძიებათა ერთობლიობის დასადგენად შემუშავებულია მრავალი ქრონიკული დაავადების: შაქრიანი დიაბეტის, არტერიული ჰიპერტენზიის, ღებრესიის და სხვათა პრევენციის ბიზნეს-მოდელები. აღნიშნულ მოდელებში აღწერილია სამიზნე ჯგუფები, მათი სკრინინგი, ცხოვრების წესის შეცვლის (თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება, ჰიპოდინამია, არასწორი კვება, ჭარბი წონა) მნიშვნელობა და რისკის ფაქტორთა მოდიფიკაციის მიმართულებები; პრევენციის ღირებულება მაღალი და დაბალი რისკის მქონე ინდივიდთა ჯგუფებისთვის [13].

ინდიელთა და ალასკის აბორიგენულ პოპულაციაში ქრონიკული დაავადებათა და მდგომარეობათა პრევენციისთვის ჩამოყალიბებული ბიზნეს-გეგმა გულისხმობს: ქცევითი, გარემოს და სოციალური რისკის ფაქტორების მოდიფიკაციას; პრევენციულ ღონისძიებათა კომპლექსის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და გატარებას სხვადასხვა ღონეებზე [6].

თანამედროვე სამყაროში დამსაქმებლები თანდათან უფრო და უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ ჭარბწონიანობას, ფიზიკური აქტივობის ნაკლებობას და მოწვევას, აგრეთვე სხვა ქცევებსა და მდგომარეობებს (როგორცაა ღებრესია და სტრესი), აქვს უდიდესი ზეგავლენა არამარტო თანამშრომელთა (დასაქმებულთა) ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე, არამედ – მათი ბიზნესის ფინანსურ „ჯანმრთელობაზე“. მაგალითად, ინდოეთში, 2006-11 წლის მონაცემებით, სულ უფრო მეტად იზრდება დამსაქმებელთა რაოდენობა, რომლებიც წლების განმავლობაში

უზრუნველყოფენ დასაქმებულთათვის პრევენციული პროგრამების განხორციელებას. ასეთი შეთავაზება აქვს 50-ზე მეტ თანამშრომლიან კომპანიას 80%-ს და თითქმის ყველა კომპანიას, სადაც მუშაობს 750-ზე მეტი დასაქმებული [22].

ზოგი კომპანიის პროგრამა აქცენტს აკეთებს მხოლოდ ერთ რისკ-ფაქტორზე, როგორცაა მოწვევა ან რომელიმე დაავადება, მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, მაშინ როცა ზოგი – ფოკუსირებულია რისკ-ფაქტორთა და დაავადებათა ფართო სპექტრზე [23]. ქრონიკული დაავადებები (მაგალითად, დეპრესია – 33%-ით, სიმსუქნი – 20%-ით, ქრონიკული ტკივილი – 13%-ით, შაქრიანი დიაბეტი – 11%-ით და ა.შ.) ამცირებს მუშაკთა პროდუქტიულობას.

2009 წელს აშშ-ის Canyon Ranch ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი Jennifer Cabe აღნიშნავდა: "ჩვენი მიმდინარე ეკონომიკური რეალობა გვახსენებს, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ინვესტირება ჩვენი ეკონომიკის სერენმაღში – ამერიკულ სამუშაო ძალაში. ამერიკელ დასაქმებულთა თითქმის 80 პროცენტს მინიმუმ ერთი, ხოლო 55 პროცენტს – ერთზე მეტი ქრონიკული მდგომარეობა აქვს. ამიტომ ბევრი კომპანია უკვე აქტიურ ნაბიჯებს დგამს ქრონიკულ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, თანამშრომელთა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, სამუშაო ადგილებზე გამაჯანსაღებელი პროგრამების განხორციელებით".

აშშ-ში დიდ ფირმათა 35-60% და მცირე ფირმათა 10-32% თავის თანამშრომლებს გარკვეული ტიპის პრევენციულ პროგრამებს სთავაზობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია პროგრამები, რომლებიც მოიცავს სპორტული დარბაზის წევრობას ან ფასდაკლებას ვარჯიშებზე.

ამერიკაში ფარმაცევტული კვლევის მწარმოებელი კომპანიის – PhRMA-ს (Pharmaceutical Research and Manufacturers of America) პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი Billy Tauzin 2009 წელს აღნიშნავდა: "PhRMA და ჩვენი წევრი ბევრი კომპანია მხარს უჭერს სამუშაო ადგილებზე ინოვაციური პრევენციული პროგრამების განხორციელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, ჩვენ ვაკეთებთ ინვესტირებას ამ პროგრამებში ჩვენი საკუთარი თანამშრომლებისთვის. კარგი კომპანიები ფოკუსირებული არიან თავიანთი თანამშრომლების კეთილდღეობაზე და თავიანთი კომპანიის მომგებიანობაზე".

იმავე წელს The Care Continuum Alliance-ის პრეზიდენტის Tracey Moorhead-ის თქმით, „ვინაიდან ქრონიკული დაავადებების მხარდი გავრცელება განსაკუთრებით მძიმეა დასაქმებულებისთვის, ამიტომ თანამშრომელთა ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სარგებელი უნდა გახდეს ყველა დასაქმებულის სტრატეგიული ბიზნეს-მოდელის ფუნდამენტური ნაწილი, როგორც მართვის გარდაუვალი ხარჯი“. აშშ-ის საავტორო პალატის, ჯანდაცვის პოლიტიკის აღმასრულებელი დირექტორის Anthony C. Wisniewski-ის აზრით, "ჯანმრთელობის რეფორმაში ინვესტირების გარეშე დასაქმებულებს შეიძლება ძალიან შეუმცირდეთ სარგებელი ან შეიძლება სულაც გამოძევდნენ ბიზნესიდან, გლობალურ ბაზარზე კონკურენციის უუნარობის გამო" [16].

ინდოეთში ბოლო პერიოდის ტენდენციები გვიჩვენებს, რომ თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად იზრდება

ინტერესი ჯანდაცვასთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესებისადმი. ჯანდაცვის სექტორში არის ფირმები, რომლებიც მოსახლეობას ბიზნეს-პროცესების მართვით სერვისებს სთავაზობენ. ასეთ ფირმებში ძირითადად მუშაობენ აიურვედას პრაქტიკის მქონე ექიმები, ჰომეოპათები, ექთნები და ფიზიოთერაპევტები. სამუშაო მოიცავს საერთაშორისო ზარების მიღებას, მონაცემების კომპიუტერში შეყვანას, ელექტრონული რეგისტრაციის პროცესს, მონაცემთა ინტერპრეტაციას, ანალიზს და ა.შ. მრავალი აიურვედას პრაქტიკოსი ექიმი და ჰომეოპათი ცვლის თავის პროფესიულ პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას ბიზნეს-პროცესების მართვის სერვისებით, რადგან მას დიდი სარგებელი მოაქვს როგორც საზოგადოებისთვის, ისე – მათთვის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2015-16 წლებისთვის ამ სექტორში ასე ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება [24].

მნიშვნელოვანია, საქართველოშიც გაჩნდეს დამსაქმებელთა ინტერესი პრევენციული პროგრამების განხორციელებისადმი. ასეთი პროგრამები ბიზნეს-პროცესის მოდელის შემადგენელი ნაწილია. ქრონიკულ დაავადებათა განვითარებას ძირითადად მოზარდობის პერიოდში ეყრება საფუძველი. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკულ დაავადებათა (სმსდ) პრევენციული პროგრამების შემუშავება, რადგან, ჩვენს მიერ ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით, მათი გავრცელება საქართველოში საკმაოდ მაღალია. კერძოდ, სმსდ შუა და გვიანი პერიოდის (14-21 წლის) მოზარდთა დაახლოებით მეოთხედს (19,5%) აღნიშნება და კიდევ დაახლოებით მეხუთედს (23,5%) ამ დაავადებათა განვითარების რისკის ქვეშაა [3]. ამიტომ მნიშვნელოვანია სმსდ-თა პრევენციის რეინჟინერინგის განხორციელება.

როგორც აღვნიშნეთ, ბპრ-ის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ორიენტაცია არა ფუნქციებზე, არამედ – პროცესებზე. მენეჯმენტის ყველა კონცეფციითა შორის, რომლებიც დაფუძნებულია პროცესებზე, ბპრ განიხილება როგორც ყველაზე ეფექტური, რადგან მისი აქტუალურობა განპირობებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მდგომარეობით. დღევანდელ მსოფლიოში გადაწყვეტილების მიღების შეცვლილი შესაძლებლობები, ანუ საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების საყოველთაო ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც გამოიწვია წარმოების მართვის პროცესზე ორიენტირებულობაზე გადასვლა [27].

რეინჟინერინგისთვის ბიზნეს-პროცესების აღწერის აზრი მდგომარეობს ორგანიზაციის მოდელირებაში კომპიუტერის საშუალებით ან ქაღალდზე, შემდეგ – ამ მოდელის შეცვლაში ორგანიზაციის მიმდინარე და სამომავლო ამოცანების შესაბამისად: უმეტესად საჭიროა გადამწყვეტი უარი არარაციონალურ სტრუქტურებსა და ფუნქციებზე.

რეინჟინერინგი მოითხოვს ინფორმაციის წარდგენისა და დამუშავების ახალ სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც გასაგები უნდა იყოს როგორც მენეჯერებისთვის, ისე – საინფორმაციო სისტემების დეველოპერებისთვის. რეინჟინერინგი – ეს არა მხოლოდ პრეცედურებისა და პროცესების ავტომატიზაციაა; ის ვარაუდობს სამედიცინო დაწესებულების მართვითი საქმიანობის ორგანიზაციის ძირეულ გაუმჯობესებას აუცილებელი თანმიმდევრობით.

საუბარია არა იმდენად ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე, თუმცა ამასაც აქვს ადგილი, რამდენადაც – ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციაზე ორიენტირებულობაზე. ეს კი შესაძლებელია მათი რეალიზაციის ხარისხის კომპლექსური ამაღლებით, რაც გულისხმობს მრავალი ღონისძიების გატარებას, მათ შორის მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას [12].

ბიზნეს-პროცესების მართვისა და სრულყოფის ყველა საქმიანობა სორციელდება ბიზნეს-ინჟინერინგის ტექნიკის საშუალებით, რომლის რეალიზების ერთ-ერთი საშუალებაა ბიზნეს-პროცესების დიზაინის – მოდელის შექმნა. „ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს მოდელებში, რათა წარმოებამ მუდმივად შეძლოს შეინარჩუნოს ბიზნეს-პროცესთა სრული კომპლექსის არსებული ვერსია. ანალოგიურად შეიძლება დავგეგმოთ მომავალი პროცესები და შევინახოთ ისინი ვერსიის სახით, რომლებიც გაანალიზდება, გადამოწმდება, შეინახება და მხოლოდ შემდეგ გადავა საშუალო მდგომარეობაში“ [1].¹

მოდელი მოიცავს მისი შემადგენელი ყველა პროცესის აღწერას, როგორც: ფუნქციები, რესურსები, მონაწილეები, მიზნები, ინფორმაცია, შედეგები, მოვლენები, მოქმედებების მიმართულებები და თანმიმდევრობა [26]. ბიზნეს-პროცესების მოდელი გვეხმარება გავიგოთ, როგორ უნდა შესრულდეს საშუალო, საშუალებას იძლევა დავაფიქსიროთ მისი შესრულების თანმიმდევრულობა. ბიზნეს-პროცესების მოდელი გვეხმარება მართვაში: თუ ცნობილია საშუალოს შესრულების თანმიმდევრულობა, მაშინ შესაძლებელია მისი პარამეტრებისა და რესურსების სწორად გათვლა [12].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიზნეს-პროცესების შემადგენელი ნაწილია ფუნქციები. „პროცესი – ფუნქციების შესრულების თანმიმდევრობაა, რომელიც მომხმარებლისათვის ღირებული შედეგის მიღწევაზეა მიმართული [2].“² ფუნქცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი მოქმედებით ან მოქმედებათა ერთობლიობით, რომელიც შეიძლება ორგანიზებულ იქნას იერარქიის სახით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ფუნქცია შეიძლება შეესაბამებოდეს რაიმე პროცესს, სადაც ქვეფუნქციებს შეესაბამება თავისი ქვეპროცესები და ა.შ., სანამ ყოველი ქვეფუნქცია არ იქნება წარმოდგენილი არადეკომპოზირებად ქმედებათა თანმიმდევრულობით.

ბიზნეს-პროცესის ფუნქციების იერარქიები განსაზღვრავს პროგრამული პროცედურების იერარქიას. მონაცემთა ნაკადების დიაგრამები ამყარებენ პროგრამული პროცედურების ინტერფეისებს მონაცემთა ბაზებთან, ინფორმაციის შემავალ და გამომავალ ფორმებთან, ხოლო მონაცემთა ნაკადების დიაგრამები განსაზღვრავენ პროცედურებს შორის გადასვლის მართვას.

დაავადებათა პრევენციის რეინჟინერინგის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭიროა პრევენციის მოდელის შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება ფუნქციითა – გასატარებელ ღონისძიებათამიმართულებები და

იერარქიული თანმიმდევრულობები. მაგალითად, ქრონიკულ დაავადებათა მართვისა და პრევენციის რეინჟინერინგის მიზნით ამჟამად სტენფორდში ტარდება ჯანდაცვის სერვისებისა და კლინიკური გამოსავლების კვლევა სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით [9].

სმსდ-თა პრევენციის მოდელის შესამუშავებლად ჩვენს მიერ 14–21 წლის მოზარდთა პოპულაციაში განხორციელდა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევები. ეპიდემიოლოგიური კვლევისას გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდი, რითაც შესწავლილ იქნა დემოგრაფიული, გენეტიკური, კვებითი, ფსიქოსოციალური და გარე სამყაროს სხვა რისკის ფაქტორთა სიხშირეები მოზარდებში. კლინიკური კვლევით შეფასდაჩვენს მიერ ჩატარებული ჰომეოპათიური პრევენციული მკურნალობის შედეგები.

ინფორმატიზაციის ხარისხის მიხედვით პროცესის ფუნქციები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

1. ავტომატური ფუნქციები (off-line), რომელთაც ასრულებს ელექტრონული გამოძვლევი მანქანა (ეგმ) ადამიანის მონაწილეობის გარეშე. მაგ., სტანდარტული ანგარიშების მომზადება, ანგარიშსწორება.

2. ინტერაქტიული ფუნქციები (on-line), რომელთაც ასრულებენ ეგმ და ადამიანი დიალოგის რეჟიმში. მაგ., არასტანდარტული მოთხოვნების განხორციელება, სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინება.

3. ექსპერტული ფუნქციები, რომელთაც ასრულებს ადამიანი ეგმ-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციების (ბრძანებების) საფუძველზე.

4. არაავტომატიზებული ფუნქციები, რომელთაც ასრულებს ადამიანი ეგმ-ის გამოყენების გარეშე [27].

სმსდ-თა პრევენციის მოდელის შესამუშავებლად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ოთხივე ფუნქცია. მაგალითად, თავდაპირველად შემუშავებულ იქნა სკრინინგ-ანკეტები და ეპიდემიოლოგიური კვლევის რუკა-კითხვარები ეგმ-ის გამოყენების გარეშე, რაც არაავტომატიზებულ ფუნქციებს განეკუთვნება.

პროგრამისტის მიერ სათანადო პროგრამების დაწერის შემდეგ ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეტანილ იქნა Microsoft Access-ის, SPSS-ის; ხოლო კლინიკური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები – Microsoft Excel-ის მონაცემთა ბაზებში და გამოყენებულ იქნა ინტერაქტიული ფუნქციები (on-line). იმის მიხედვით, თუ რა კუთხით იყო საჭირო კვლევა, Access-ის Queries-ში შესვლით პროგრამას ვაძლევდით სათანადო კითხვებს და ვიღებდით სათანადო პასუხებს ეგმ-ისგან. მაგალითად, რისკის ფაქტორების დალაგება ასაკისა და სქესის, ჯგუფების, კორელაციური კავშირების მიხედვით და ა.შ.

Microsoft Access-ში და Microsoft Excel-ში სათანადო ფორმულების შეტანით სორციელდებოდა ეგმ-ის ავტომატური ფუნქციები (off-line). მაგალითად, პირსონის კორელაციის კოეფიციენტის (r) მიხედვით გამოთვლილ იქნა ინტერკორელაციური კავშირები რისკის ფაქტორებს შორის; შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR) გამოანგარიშებით დადგინდა, თუ რამდენად აღემატება მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა ჯგუფში სმსდ-ის ან მისი რისკის არსებობის შანსი, საკონტროლო (რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფში არსებულ შესაბამის

¹ ა. სიჭინავა, ზ. ჩხაიძე, შ. კეშაბიძე, დ. სეხნიაშვილი, ნ. ჩიკვილაძე. // ბიზნეს-ინჟინერინგის თანამედროვე კონცეფცია. ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინერინგი". №1, 2012, გვ. 10.

² ე. ბარათაშვილი. // ბიზნეს-ინჟინერინგის ლეფინიციის საკითხისათვის. ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინერინგი". №1, 2012, გვ. 26.

მანსს. ე. ი. დადგინდა ასოციაციის ძალის სიდიდე თითოეულ რისკის ფაქტორსა და სმსდ-ს ან მის რისკს შორის მოზარდებში.

ეგმ-ის საშუალებით მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სმსდ-თა პრევენციის განსაზოვრებელი ღონისძიებათა რანჟირებული თანმიმდევრობა OR სიდიდის კლების მიხედვით, რაც შეიძლება ექსპერტულ ფუნქციებს მივაკუთვნოთ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა სმსდ-თა პრევენციის მოდელები დიფერენცირებულად: პრაქტიკულად ჯანმრთელი, რისკის ქვეშ მყოფი და სმსდ-ის მქონე მოზარდთა ჯგუფებისთვის. თითოეულ ჯგუფში გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა წარმოდგენილ იქნა იერარქიული თანმიმდევრობით, რაც შეიძლება საფუძველად დაედოს შესაბამისი ბიზნეს-მოდელების შემუშავებასა და რედიზაინს.

რა არის ასეთი პრევენციული მოდელების მიზანი? გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, რათა:

1. დაავადებული პოპულაცია გამოჯანმრთელდეს, დაავადებამ არ განიცადოს პროგრესირება;
2. რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდები არ გახდნენ ავად;
3. პრაქტიკულად ჯანმრთელი პირები დარჩნენ ჯანმრთელები [25].

ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სმსდ-თა განვითარების რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის უპირველესად საჭიროა შემდეგი პრევენციული ღონისძიებების გატარება:

1. კვებითი დარღვევების კორექცია (OR = 26,3);
2. ქრონიკული გადატვირთვის შემცირება (OR= 15,3);
3. ფსიქოლოგიური დაძაბულობის შემცირება (OR=12,2).

ვინაიდან მეტკვიდრობითი წინასწარ განწყობა ნაკლებად მართვად ფაქტორებს განეკუთვნება (OR = 11,5), ამიტომ სმსდ-თა პრევენციისთვის, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე:

1. ზრუნვა მოზარდებში მავნე ჩვევათა შემცირებისთვის (OR = 5,14);
2. ჭარბი კვების ნორმალიზება სიმსუქნის თავიდან ასაცილებლად (OR = 4,62);
3. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება (OR = 3,74);
4. მწვავე დაავადებათა პრევენცია ბავშვობის პერიოდში (OR = 3,09);
5. კომპიუტერის, ტელევიზორის რაციონალური გამოყენება (OR = 2,74);
6. ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენის შემცირება (OR = 2,55).

ყოველი ზემოაღნიშნული ეტაპი მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას, რომლებიც ჩვენს მიერ რანჟირებულია ასევე OR სიდიდის კლების მიხედვით. მაგალითად, ქრონიკული გადატვირთვის შემცირება გულისხმობს მოზარდის ისეთი მძიმე ფსიქიკური დატვირთვის შემცირებას, როგორებიცაა:

1. ფსიქოლოგიური დატვირთვა სწავლის გაძლიერებასთან დაკავშირებით_ სწავლა ორ დამეტ სკოლაში, ორ და მეტ მასწავლებელთან მომზადება და ა. შ. (OR =7,1);
2. კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში (OR =6,0);
3. სიძნელეები თანატოლებთან ურთიერთობისას (OR=3,83);
4. უარყოფითი ემოციები ჭამამდე და ჭამის დროს (OR =2,77);

5. კონფლიქტური სიტუაციები სასწავლებელში (OR =2,37).

რაც შეეხებათ პრაქტიკულად ჯანმრთელ მოზარდებს, მათ მიმართ საჭიროა ნაკლებად კომპლექსურ ქმედებათა თანმიმდევრული განხორციელება **სმსდ**-თა განვითარების ისეთი ადრეული პრედიქტორების ზეგავლენის შესამცირებლად, როგორებიცაა:

1. კვებითი და მედიკამენტური ალერგია (OR = ∞);
2. მწვავე ვირუსული ჰეპატიტის გადატანა (OR = 4,82);
3. ხშირი კვებითი მოწამვლები (OR = 4,49);
4. შფოთვის ღონის მატება (OR = 4,29);
5. ჰიპოდინამია (OR = 1,66) და ა. შ.

კლინიკური კვლევით დადგინდა, რომ საჭმლის მომწელებელი სისტემის ფუნქციურ დარღვევათა ჰომეოპათიური მკურნალობით, ალოპათიურ – კლასიკურ სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით, სასურველი შედეგების მიღების შანსი საკმაოდ მაღალია 1 თვეში, რაც ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ჰომეოპათიური დისკინეზიის მხრივ გაუმჯობესებით გამოიხატება (OR=7,09). 6 თვის განმავლობაში სმსდ-თა ჰომეოპათიური მეთოდით მკურნალობის ეფექტურობის შესწავლით დადგინდა, რომ მას პრევენციული ეფექტი აქვს, რადგან ჰომეოპათიური საშუალებების გამოყენების დროს მინიმუმამდე მცირდება რეციდივების განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენს მიერ აღწერილ რისკის ფაქტორთა მოდიფიკაციის მიმართულებები და გასატარებელ ღონისძიებათა თანმიმდევრულობები, ჰომეოპათიური პრევენციული მკურნალობის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი პრევენციული პროგრამებისა და ბიზნეს-მოდელების შესამუშავებლად, რაცა ღნიშნულ დაავადებათა პრევენციის რეინჟინერინგის მეცნიერულ საფუძველს შექმნის. მათი პრაქტიკული განხორციელების პროცესს აუცილებლად თან უნდა ახლდეს შემდგომი უწყვეტი გაუმჯობესება. ბპრ და უწყვეტი გაუმჯობესება ერთად კი საშუალებას მოგვცემს, რომ პრევენციის ინტეგრირება ჯანდაცვის მართვა შიბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპით განხორციელდეს.

Medea Chikava, full professor

BUSINESS ENGINEERING IN THE HEALTH CARE SYSTEM AND REENGINEERING PREVENTION OF CHRONIC DISEASES

SUMMARY

Business Engineering, as *process oriented management*, is recommended to be implemented in the health care system *management*. Business Engineering includes: Business Process Reengineering (BPR) and Continuous Improvement (CI). The patient's satisfaction with the process is the main criteria for assessing the quality of any process performance in the health care system. The innovative modernization of the public health system in our country needs to be carried through reengineering. Though change is painful, the successful transformation of

medicine in the USA at the turn of the last century shows that it is possible.

The chronic disease prevention and *preventive treatment reengineering* are important components of the health care reengineering. They must be based on the *business process model*, for which it is necessary to develop and redesign prevention programmes.

Digestive disorders prevention models for adolescents are developed by us. The list of measures to be conducted are presented in hierarchical sequence. *The trends of risk factors modification and homeopathic preventive treatment method described by us are recommended to be used for development of digestive disorders prevention programmes and business models. It will create the scientific basis for reengineering prevention of chronic diseases. Its practical implementation must be accompanied by the continuous improvement. BPR and CI together will allow to integrate prevention in health care management based on Business Engineering principles.*

ლიტერატურა:

1. ა. სიჭინავა, ზ. ჩხაიძე, შ. ვეშაბიძე, დ. სეხნიაშვილი, ნ. ჩიკვილაძე. // ბიზნეს-ინჟინირინგის თანამედროვე კონცეფცია. ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინირინგი". №1, 2012.
2. ე. ბარათაშვილი. // ბიზნეს-ინჟინირინგის დეფინიციის საკითხისათვის. ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინირინგი". №1, 2012.
3. მ. ჩიქავა. // საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა ზოგიერთი წამლის ზემოქმედებით. დის. მედ. დოქტ. ხარ. მოსაპოვებლად. 2009.
4. Business engineering. From Wikipedia, the free encyclopedia. http://en.wikipedia.org/wiki/Business_engineering
5. Инжиниринг - понятия и определения инжиниринга. <http://www.engrg.ru/engineering>
6. 6) Indian Health Service . Health Promotion/Disease Prevention. **PREVENTIVE TASK FORCE STRATEGIC PLAN 2006 – 2011.** http://www.ihs.gov/hpdp/documents/Strategic_Plan_PTF_HPDP.pdf
7. 7) **BUSINESSES AND OTHER EMPLOYERS PROMOTING HEALTH AND DISEASE PREVENTION.** U.S. Department of Health and Human Services. September 2003. <http://aspe.hhs.gov/health/prevention/index.shtml#BUSINESSES>
8. Maureen O Padden MD MPH. CDR MC USN (FS). // Disease Management: Proactive vs. Reactive? Reengineering for success. <http://www.slideserve.com/elina/disease-management-proactive-vs-reactive-reengineering-for-success>
9. Outcomes Research Workshop (ORW) - Randy Stafford, Stanford - Re-Engineering Prevention and Chronic Disease Management: **Can We Escape Cultural, Economic and Technological imperatives.** February, 2010. <http://event.uchicago.edu/maincampus/detail.php?guid=CAL-402882f8-264c390d-0126-574d3298-0000027ceventscalendar@uchicago.edu>
10. Motsoaledi – DOCUMENTS. Politicsweb - How we re-engineering the health system. May 2011. [http://www.politicsweb.co.za/politicsweb/en/page71656?oid=238984&sn=Detail&pid=71616](http://www.politicsweb.co.za/politicsweb/view/politicsweb/en/page71656?oid=238984&sn=Detail&pid=71616)
11. Тельнов Ю.Ф. РЕИНЖИНИРИНГ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ: Учебное пособие // Московский государственный университет экономики, статистики и информатики. – М.: МЭСИ, 2004. – 116 с.
12. С.Э. Ермакова. // Реинжиниринг бизнес-процессов в системе управления медицинской компанией. С амарский медицинский университет, 2010. <http://ec-socman.hse.ru/data/2011/06/14/1267350458/14.pdf>
13. Business model for the prevention of chronic disease. Jan 2011. <http://www.gpgc.com.au/getFileLibFile.aspx?FK=1694>
14. Christensen R. Employment-based health promotion and wellness programs. Employee Benefit Research Institute. 2001 (July); 22(7):1-6.
15. Department of Labor. National Compensation Survey: Employee Benefits in Private Industry in the United States, 2000. January 2003.
16. The Burden of Chronic Disease on Business and U.S. Competitiveness. **Excerpt from the 2009. Almanac of Chronic Disease.** http://www.prevent.org/data/files/News/pfdalmanac_excerpt.pdf
17. И. В. Кузьмин. // Реинжиниринг управления в визуализационной медицине. 1996. <http://oncodome.narod.ru/re-engineering.htm>
18. Farshad Fani Marvasti, M.D., M.P.H., and Randall S. Stafford, M.D., Ph.D. // From Sick Care to Health Care — Reengineering Prevention into the U.S. System. N Engl J Med 2012; 367:889-891. September, 2012. <http://www.nejm.org/doi/full/10.1056/NEJMp1206230>
19. А.И. Иванов, И.В. Сударев, В.Г. Гандель, Л.В. Удалова, А.В. Кузьменко, Д.А. Иванова. <http://www.raen.info/files/3784/83-85.pdf>
20. Hammer M., Champy J. // Reengineering the Corporation: A Manifesto for Business Revolution, Harper-Business Books. N.Y., 1993.
21. Иванов, И.В. Сударев, С.А. Никифоров, В.Г. Гандель. // Процессный подход при оказании медицинской помощи. А.И. Ремедиум. 2010. №10. С. 51–54.
22. Riedel JE, Lynch W, Baase C, Hymel P, Peterson KW. The effect of disease prevention and health promotion on workplace productivity: a literature review. *American Journal of Health Promotion.* 2001; 15(3): 167-191.
23. Heaney CA, Goetzel RZ. A review of health-related outcomes of **multi-component worksite health promotion** programs. *American Journal of Health Promotion.* 1997; 11(4):290-308.
24. Growing Recruitment of Medical Professionals in BPM sector. October, 2012. <http://www.bpmwatch.com/columns/growing-recruitment-of-medical-professionals-in-bpm-sector/>
25. Henri Hietala. // The rules of the game and business models in primary prevention. 2010. <http://www.slideshare.net/PREVEproject/the-rules-of-the-game-and-business-models-in-primary-prevention>.
27. Борис Карабанов. // Бизнес-инжиниринг. Не роскошь, а средство управления. <http://www.aup.ru/articles/management/12.htm>
28. Фа стовский Э.Г. // Сервис-ориентированные технологии интеграции информации. 2011 г. Лекция № 1. Инжиниринг бизнес-процессов. <http://khpi-iip.mipk.kharkiv.edu/library/sotii/lectures/Lecture1.pdf>

როგორც ცხრილი №5-ში ასახული მონაცემებიდან ჩანს ხელოვნური ნეირონული ქსელებით ელექტროენერჯის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება მრავალფაქტორიანი მოდელთან შედარებით გაცილებით მაღალი სიზუსტით ხასითდება. პროგნოზირების კლასიკურ მეთოდებთან შედარებით ნეირონული ქსელების შემთხვევითი მნიშვნელოვანი უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ ქსელების საშუალებით შეიძლება დიდი რაოდენობის ფაქტორების გათვალისწინება შედარებით ნაკლები სტატისტიკური მონაცემების პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროენერჯის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის შერჩეულ იქნა ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელი. ამ მოდელით შესრულებული მოკლევადიანი პროგნოზი ასახულია გრაფიკი №1-ზე:



გრაფიკი №1. ქ. თბილისის 2011 წლის მარტის თვის ელექტროენერჯის დღე-ღამური მოხმარების ფაქტიური და საპროგნოზო მაჩვენებლები, მლნ. კვტ. სთ

დასკვნა

1. კორელაციური ანალიზის საფუძველზე დადგინდა ელექტროენერჯის მოკლევადიანი მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები;
2. ელექტროენერჯის მოხმარების მოკლევადიანი

პროგნოზირებისათვის შეიქმნა ხელსაწყო ნეირონული ქსელის სტრუქტურა, კონფიგურაცია, აქტივაციის ფუნქცია და შემუშავდა ელექტროენერჯის მოხმარების პროგნოზირების ოპტიმალური მოდელი;

ელექტროენერჯის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირების მიღებული მოდელი ატარებს უნივერსალურ ხასიათს. ამ მოდელით შესაძლებელია ნებისმიერი ქალაქის, რაიონის და მთელი ქვეყნის ელექტროენერჯის მოხმარების მოკლევადიანი (საათი, დღე-ღამე) პროგნოზის მაღალი სიზუსტით შესრულება. ელექტროენერჯის პროგნოზირების მაღალი სიზუსტე საშუალებას იძლევა განხორციელდეს ელექტროენერჯეტიკული სისტემის ოპტიმალური ოპერატიული მართვა, მოკლევადიან პერიოდში მუშაობის სრულყოფილი დაგეგმვა, რეჟიმების სათანადო სიზუსტით გაანგარიშება, ელექტროსადგურებსა და ელექტრო ქსელებს შორის დატვირთვების ოპტიმალური განაწილება. უზრუნველყოფილი იქნას ელექტროენერჯის მოთხოვნის დაკვეთილი სიდიდიდან მინიმალური გადახრა.

**DAVID JAPARIDZE
TENGIN MAGHRADZE**

**SHORT-TERM DEMAND FORECASTING OF
ELECTRICITY BASED ON
BUSINESS-ENGINEERING PRINCIPLES IN
ORDER TO PROVIDE ELECTRIC
POWER SYSTEM OPTIMAL MANAGEMENT**

SUMMARY

The article presents the survey results of the short-term forecasting of electricity demand by using of Artificial Neural Networks. By Correlation analysis it is determined factors affecting the demand of electricity. For short-term prognosis of electricity demand optimal structure, configuration and activation function of artificial neural network were determined.

The optimal short-term electricity demand forecasting model was developed. Based on this model Daily forecast of electricity demand of the city Tbilisi is made.

In Georgian for short-term electricity demand forecasting it is scientifically proved practical application of the designed method.

ლიტერატურა:

1. ა. ელიზბარაშვილი. ნეირონული ქსელები. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications. 2006. No.3(10).
2. დ. ჯაფარიძე, თ. მალრაძე. საქართველოში ელექტროენერჯის მოთხოვნის საშუალოვადიანი პროგნოზირება მრავალფაქტორული მოდელის გამოყენებით. „საქართველოს ეკონომიკა“. 2009 წ. №9.
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემ“-ის 2011 მარტის თვის ანგარიში. www.gse.com.ge
4. სს „თელასი“-ს 2011 წლის ანგარიში. www.telasi.ge
5. Campo, R. & Ruiz, P. (1987). Adaptive weather-sensitive short-term load forecasting. IEEE Transactions on Power Systems, 3, 592-600.
6. Chow, T.W.S. & Leung, C.T. (1996). Neural network based short-term load forecasting system using weather compensation. IEEE Transactions on Power Systems, 11, 1736-1742.
7. Hippert HS, Pedreira CE, Souza RC. Neural networks for short-term load forecasting: a review and evaluation, IEEE Transactions on Power Systems 2001; 16; 44-55.
8. Makukule N.A, Sigauke C. and Lesoana M.. Daily electricity demand forecasting in South Africa. African Journal of Business Management Vol. 6 (9), pp. 3246-3252, 7 March, 2012.
9. Rui, Y. & El-Keib, A.A. (2004). A review of ANN-based short-term load forecasting models, mimeo, Department of Electrical Engineering, University of Alabama.
10. Taylor, J. W. (2003). Short-term Electricity Demand Forecasting using Double Seasonal Exponential Smoothing. Journal of the Operational Research Society, Vol 54, 799-805.
11. Taylor, J.W. & Buizza R. (2003). Using weather ensemble predictions in electricity demand forecasting. International Journal of Forecasting, 19, 57-70.
12. Taylor, J. W. (2006). A Comparison of Univariate Methods for Forecasting Electricity Demand up to a Day Ahead. International Journal of Forecasting, Vol 22, 1-16
13. Zhang, G., Patuwo, B.E. & Hu, M.Y. (1998). Forecasting with artificial neural networks: The state of the art. International Journal of Forecasting, 14, 35-62.
14. Соломкин А.В. “Краткосрочное прогнозирование потребления электроэнергии с помощью нейросетевых методов”. Электронное научное издание “Электроника и информационные технологии”. 2011.
15. Соломкин А.В. “Применение нейросетевых методов для прогнозирования потребления электроэнергии”. Электронное научное издание «Электроника и информационные технологии». 2009.
16. Чернов С. С. Перминов А. Ю. Кузичев В. М. Методический подход к моделированию бизнес-процессов управляющей компании. Проблемы современной экономики, N 2 (30), 2009

СОЛНЕЧНАЯ ЭНЕРГИЯ И ЕЕ ИСПОЛЬЗОВАНИЕ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ

Кэтеван Арчвадзе,

Академический доктор, Аграрный университет

Василь Мотиашивили, Академический доктор

Нанули Багдавадзе, Академический доктор,

институт физики им. Э. Л. Андроникашвили

XX

В настоящее время к числу важных народнохозяйственных проблем, стоящих перед Грузией, относятся проблемы, связанные с решением задач, вытекающих из продовольственной программы страны, топливно-энергетической и экологической проблемы. Выполнению этих задач способствует увеличение масштабов использования возобновляемых источников энергии. Использование солнечной энергии в рациональном сочетании с другими источниками энергии во многих случаях позволяет сэкономить значительное количество топливно-энергетических ресурсов. Эффект от использования солнечной энергии особенно ощутим при осуществлении наиболее энергоемких теплотехнологических процессов в гелиоустановках.

Поток солнечного излучения, проходящий через площадку в 1 м^2 , расположенную перпендикулярно потоку излучения на расстоянии одной астрономической единицы от центра Солнца (на входе в атмосферу Земли), равен 1367 Вт/м^2 (солнечная постоянная). Из-за поглощения, при прохождении атмосферной массы Земли, максимальный поток солнечного излучения на уровне моря (на Экваторе) — 1020 Вт/м^2 . Однако следует учесть, что среднесуточное значение потока солнечного излучения через единичную горизонтальную площадку как минимум в три раза меньше (из-за смены дня и ночи и изменения угла солнца над горизонтом). Зимой в умеренных широтах это значение в два раза меньше. Возможная выработка энергии уменьшается из-за глобального затемнения — уменьшения потока солнечного излучения, доходящего до поверхности Земли.

Количество солнечной энергии, поступающей на Землю, превышает энергию всех мировых запасов нефти, газа, угля и других энергетических ресурсов. Использование всего лишь $0,0125 \%$ могло бы обеспечить все сегодняшние потребности мировой энергетики, а использование $0,5\%$ — полностью покрыть потребности в будущем. Преимущества технологий, использующих энергию солнца, в том, что при работе солнечных установок практически не добавляется тепло в приземные слои атмосферы, не создается тепличный эффект и не происходит загрязнения воздуха. Но у солнечной энергии есть недостаток — ее зависимость от состояния атмосферы, времени суток и года [1, 4, 5].

В последнее время проблемы поиска все новых и

новых альтернативных источников энергии приобретает особую актуальность. В настоящее время к различным видам возобновляемых источников энергии относятся гидро-энергия, солнечная, ветровая, животная и растительная биомасса.

Одним из самых бурно развивающихся направлений в этой отрасли является солнечная энергетика, в своей основе она использует солнечное излучение. Солнечная энергия является возобновляемым и экологически чистым источником энергии и не производит вредных отходов.»Перевозчик» солнечной энергии — излучение. Оно состоит из видимых световых лучей и невидимого ультрафиолетового и инфракрасного излучения (и др.) [5]. Солнечный спектр состоит из:

- ультрафиолетовых волн длиной $0,28 \dots 0,38 \text{ мкм}$, невидимых для наших глаз и составляющих приблизительно 2% солнечного спектра;

- световых волн в диапазоне $0,38 \dots 0,78 \text{ мкм}$, составляющих приблизительно 49% спектра;

- инфракрасных волн длиной $0,78 \dots 3,0 \text{ мкм}$, на долю которых приходится большая часть оставшихся 49% солнечного спектра.

Остальные части спектра играют незначительную роль в тепловом балансе Земли. Примерно 9% солнечного излучения лежит в полосе теплового излучения. По данным за $2000—2004$ годы, усреднённый по времени и по поверхности Земли, этот поток составляет 341 Вт/м^2 или $1,74 \cdot 10^{17} \text{ Вт}$ в расчёте на полную поверхность Земли (полное излучение Солнца примерно в $2,3 \cdot 10^{10}$ раз больше). За пределами земной атмосферы поток излучения составляет 1394 Вт/м^2 , или 2 кал/см^2 в мин. Эта величина называется солнечной постоянной. Проходя через атмосферу, огромное количество этого излучения ($30-40\%$) рассеивается, и поверхность Земли на уровне моря в ясный день получает $0,855 \text{ кВт/м}^2 - 1 \text{ кВт/м}^2$ прямой радиации. Естественно, что часть (около 50%) рассеянного в атмосфере света достигает поверхности Земли также в виде энергии.

Продолжительность солнечного излучения и его интенсивность зависят от времени года, погодных условий и, конечно, от географического положения местности [4, 6].

На сегодняшний день одним из перспективных направлений в обеспечении сохранности сельскохозяйственных продуктов является развитие перераба-

тывающей промышленности, в том числе усовершенствование и разработка новых технологических установок для сушки и хранения продуктов. На современном этапе развития дальнейший рост сельскохозяйственного производства неразрывно связан со степенью энергообеспеченности сельскохозяйственных потребителей. Использование солнечной энергии является важным резервом в улучшении энергообеспеченности сельскохозяйственной перерабатывающей техники. Большая энергоемкость сушильных процессов, а также тенденция развития сушильной техники и технологии требуют, наравне с усовершенствованием их

конструкции, поиска альтернативных вариантов решения проблемы. Благоприятные климатические условия нашей страны позволяют в период массового созревания сельскохозяйственных продуктов почти полностью экономить органическое топливо, затрачиваемое на нагрев сушильного агента. Разработка и создание новых эффективных солнечных сушильных установок, внедрение энергоэкономичных гелиосушильных технологий позволят значительно сократить потери сельскохозяйственных продуктов, потребление топливно-энергетических ресурсов, предотвращая загрязнение окружающего воздуха выбросными газами [1, 5].




Рис.1. Комбинированный спектр излучения солнца




Рис. 2. Распределение плотности энергии солнечного излучения на поверхности Земли в зависимости от длины волны

К настоящему времени в научно-технической литературе проблеме использования солнечной энергии для сушки сельскохозяйственных продуктов посвящены многочисленные работы. В этом направлении многие важные и интересные научные и практические результаты получены учеными нашей страны [7-12].

Анализируя большинство научно-исследовательских работ многих авторов, можно отметить, в основном, конкретную практическую направленность: исследование и изучение объекта сушки, разработка схемных и конструктивных решений, разработка солнечных радиационных сушильных установок и др. На основе анализа технических и экономических параметров промышленных и полупромышленных солнечных сушильных установок показан ряд их недостатков, требующих своего решения для дальнейшего развития сушильной техники и технологии. В ряде работ приводятся противоречивые данные об удельной производительности солнечных сушильных установок. В отдельных случаях не подтверждаются полученные данные результатами испытания промышленных установок. Систематизация результатов, полученных в промышленных и полу-промышленных установках, показывает явную недостаточность как самих солнечных сушильных установок, так и результатов их производственных испытаний и опыта эксплуатации. Анализ современ-

ного состояния проблемы использования солнечной энергии для сушки сельскохозяйственных продуктов показывает необходимость решения множества научно-технических задач, направленных на разработку новых эффективных солнечных сушильных установок, научно-технических основ гелиосушильной технологии, создание, производственное испытание и обобщение опыта эксплуатации гелиосушильных установок и комплексов. Количество научных исследований и конструкторских работ по установкам для нагрева воздуха значительно меньше, чем по системам водонагрева, хотя есть много областей применения, где более целесообразно использовать воздух в качестве теплоносителя, например, для сушки сельскохозяйственной продукции или для отопления помещений. [1, 13, 14].

Существует изобретения различной сложности коллекторов солнечной энергии.

В Грузинском Аграрном университете были созданы крупногабаритная и конвективная (рис. № 3) гелиосушилки для сушки разной сельскохозяйственной продукции. Для проверки эффективности сконструированных солнечных установок, сушка сельскохозяйственных продуктов производилась как в гелиосушилке, так и естественной сушкой на открытом воздухе, затем результаты сравнивались. Приведем результаты сушки шиповника и сбора лекарственных растений.



Рис. № 3. Конвективная гелиосушилка

Сушка шиповника. Плоды шиповника обладают наиболее высокой витаминной ценностью в период полной зрелости. При их перезревании содержание витаминов понижается. Плоды шиповника при сушке сохраняют витамины лучше других плодов. Существует много спо-

собов сушки. Например, в комнате – на столе или другой поверхности, притенив от солнечного света; в доме деревенского типа – на чердаке, в печке, в электросушилке, в теплом сухом помещении при комнатной температуре, но обязательно разстлав тонким слоем на чистой

бумаге или ткани, или на решетке с мелкой сеткой, плоды время от времени переворачивают, чтобы влага уходила равномерно. На сушку шиповника таким методом, как правило, уходит 2-3 недели. Продукт готов, если ягоды при надавливании ломаются на кусочки. Но у каждого из этих способов есть какой-либо свой недостаток. Считается, что шиповник нельзя сушить на солнце. Сегодня часто шиповник сушат в специальных сушилках. Плоды шиповника необходимо сушить сразу после сбора, а не через неделю или две. Продолжительность сушки плодов влияет на сохранность витамина «С». Чем быстрее

они сушатся, тем больше сохраняется витамин «С». Начальная температура сушки 40 °С, постепенно ее повысить до 60 °С. Время сушки – 8-10 часов. Следующий момент высушивания шиповника заключается в том, что горячая ягода должна «пропотеть» (то есть выровнять влажность). Для этого желательно, после того как плоды высохнут, ссыпать их в плотно закрывающийся деревянный ящик (или хотя бы в плотную коробку) с крышкой. Данный процесс продолжается 2-3 дня [3].

На процесс сушки существенно влияет химический состав продукта.

Пищевая ценность и химический состав продукта «Шиповник».

Пищевая ценность		Витамины	
Калорийность	109 кКал	Витамин РР	0,6 мг
Белки	1,6 гр	Бэта-каротин	2,6 мг
Жиры	0,7 гр	Витамин А (РЭ)	434 мкг
Углеводы	22,4 гр	Витамин В1 (тиамин)	0,05 мг
Пищевые волокна	10,8 гр	Витамин В2 (рибофлавин)	0,13 мг
Органические кислоты	2,3 гр	Витамин С	650 мг
Вода	60 гр	Витамин Е (ТЭ)	1,7 мг
Моно- и дисахариды	19,4 гр	Витамин РР	0,7 мг
Крахмал	3 гр		
Зола	2,2 гр	Микроэлементы	
Насыщенные жирные кислоты	0,1 гр	Железо	1,3 мг
		Цинк	1,1 мг
		Медь	37000 мкг
		Марганец	19 мг
		Молибден	4330 мкг
Макроэлементы			
Кальций	28 мг		
Магний	8 мг		
Натрий	5 мг		
Калий	23 мг		
Фосфор	8 мг		



[2, 15].

Результаты экспериментов приведены в таблице (рис. № 4).

Сушка шиповника естественной сушкой в тени заняло 20 суток, а в гелиосушке с гофрированным покрытием 5 суток. Таким образом, сушка в г/с заняла в 4 раза меньше времени.

Лабораторный анализ на витамин «С» показал, что при естественной сушке разрушается 23% указанного витамина, а при использовании гелиосушки - 15%.

ლიტერატურა:

НАЗВАНИЕ ПРОДУКТА		
ШИПОВНИК		
	Г/С	Е/С
начальная масса (гр)	700	690
конечная масса (гр)	350	350
уменьшение массы (%)	50	49,3
длительность сушки (сутки)	5	20

Рис. № 4. (Г/С - сушка продукта в гелиосушилке, Е/С –сушка продукта естественной сушкой на открытом воздухе

*Ketevan Archvadze
Vasili Motiashvili
Nanuli Bagdavadze*

SUMMARY

Solar drying of fruits and vegetables is one of the most acceptable and cheap methods of their conservation, which makes possible the preservation of maximum amount of vitamins and minerals. With the use of constructed heliodryer of simple design and by using of sun energy to the maximum extent is possible to dry agriculture products with time-saving and improvement of consumer properties of dried products. As experiments on drying of various kinds of agricultural products show, drying rate increases 3-5 times, in comparison with traditional open-air drying. Products dried in the helio-drying device, have better consumer properties than products prepared by means of natural drying. As results of analyses on the vitamin content of products before and after drying show, losses of vitamin C in the dog-rose, dried in the helio-drying device comprises of 15%, while during natural drying – up to 23%.

1. www.infratechnology.ru
2. И. М. Скурихин, В. А. Тутельян. Химический состав пищевых продуктов. М.: «ДеЛи принт». 2002, -237 с. 3. З. А. Меньшикова, И. Б. Меньшикова, В. Б. Попова. Лекарственные растения в народной медицине. М.: «Эксмо», 2010, -496 с.
3. В. М. Андреев, В. А. Грилихес, В. Д. Румянцев. Фото-электрическое преоб-разование концентрированного солнечного излучения. Л.: «Наука», 1989,- 310 с.
4. С.А. Кибовский, А. С. Мазинов,Е.В. Николаев, А.С. Слепокуров и др.. Солнечная энергетика в Крыму. Киев, «Симферополь», 2008,- 176 с.
5. Дж.Орир.Перевод с английского под редакцией Е.М.Лейкина. Физика. М.: «Мир».1989,- 509 с.
6. ა. ჩავლეიშვილი. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია. თბილისი. განათლება. 1988.
7. ა. ჩავლეიშვილი. ხილისა და ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია. თბილისი. 1985.
8. თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. ბერუაშვილი. კვების საწარმოთა მოწყობილობები და კონსტრუირება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2006, – 89 გვ
9. თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. გოლეთიანი, გ. გუგულაშვილი. კვების მანქანების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2011, - 224 გვ.
10. ს. მღებრიშვილი, ე. სადალაშვილი ,თ. მეგრელიძე. კვების პროდუქტების ქიმიური და ბიოქიმიური ცვლილებები გაყინვის პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ შრომათა კრებული. ქუთაისი: 2010, 185-188 გვ.
11. ზ. ჯაფარიძე, გ.ბერუაშვილი ,თ.მეგრელიძე. კვების საწარმოთა მოწყობილობები და კონსტრუირება. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2006 წ.
12. World map of solar thermal industry: big business with the sun // Sun, Wind, Energy. № 4. 2007.
13. В. А. Бутузов. Состояние и перспективы развития солнечных тепловых установок в России. Ж. «Гелиотехника» № 1. 2005,- 37-39 с.
14. Ю. Б. Буланов. Химический состав продуктов. М.: «Феникс», 2008, - 318с.

– სადაც $\sum_{k=1}^m B_{0k}$ მუდმივი წევრია და ამოცანა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმით:

$$\Delta B_c = \sum_{k=1}^m \psi_k(P_k - \underline{P}_k) \rightarrow \min \quad (13)$$

შემდეგი შეზღუდვებით:

$$\sum_{k=1}^m (P_k - \underline{P}_k) = P_c - \sum_{k=1}^m P_k \quad (14)$$

$$P_k - \underline{P}_k \leq \overline{P}_k - \underline{P}_k \quad (15)$$

$$P_k - \underline{P}_k \geq 0 \quad (16)$$

ამ ფორმაში უკვე ამოვადებულია უტოლობის ტიპის შეზღუდვის განხილვის აუცილებლობა და შესაბამისად m რაოდენობის დამხმარე ცვლადი. კვლავ მოვახდინოთ მიღებული ფუნქციის აპროქსიმაცია წრფივი მონაკვეთებით.

$$Y_{sk} = \lambda_{sk} (P_k - \underline{P}_k) + \mu_{sk} \quad (17)$$

რის გამოც ვკვირება უტოლობა:

$$Y_k \geq \lambda_{sk} (P_k - \underline{P}_k) + \mu_{sk}; \quad s = 1 + m_k \quad (18)$$

ამრიგად, ამოცანის ცვლადთა რიცხვი არის მხოლოდ $3m$, შეზღუდვათა რიცხვი ორი მონაკვეთით აპროქსიმაციისას - $3m+1$, ხოლო სიმპლექსური ცხრილის ზომა - $2m(3m+1)$. უნდა აღინიშნოს, რომ არაწრფივი მახასიათებლის აპროქსიმაცია შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი რაოდენობით სიმპლექსური ცხრილის ზომის გაზრდის ხარჯზე.

ამის შემდეგ სისტემის მათემატიკურ მოდელში ჩავრთოთ ქსელში დანაკარგები. სისტემის გადამცემ ნაწილში დანაკარგების გამოსახვისათვის ვიყენებთ როგორც დანაკარგების B_{ij} კოეფიციენტებს, ასევე კვანძებში აქტიური სიმძლავრის W_p, W_j მნიშვნელობებს. მაშინ სრული დანაკარგი შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$z = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^m W_i B_{ij} W_j \quad (19)$$

აქედან, დანაკარგების ფარდობითი ნაზრდისათვის მივიღებთ:

$$\sigma_i = \frac{\partial Z_i}{\partial W_i} = 2 \sum_{j=1}^m B_{ij} W_j \quad (20)$$

$$dZ_i = \sum_{i=1}^m \frac{\partial Z_i}{\partial W_i} dW_i = \sum_{i=1}^m \sigma_i dW_i \quad (21)$$

თუ ვიცით დატვირთვის მიახლოებითი განაწილება, ე.ი. კვანძური სიმძლავრეების მნიშვნელობები, შეიძლება განისაზღვროს სისტემის საერთო დანაკარგები ისე, რომ, მათ დააკმაყოფილონ პირობათა ბალანსი. განვიხილოთ, თუ როგორ ჩავრთოთ დანაკარგების გავლენა დატვირთვის ოპტიმალური განაწილების ამოცანაში. ესლა უკვე ვიყენებთ ცვლადებს გამოუმუშავებული სიმძლავრის აღნიშვნისათვის, ხოლო N_i -ს დატვირთვის აღნიშვნისათვის.

სისტემის დატვირთვის ცვლილებისას $d(\sum N_i)$ -ში ჩავწეროთ ცვლილებები გამოუმუშავებასა და დანაკარგებში:

$$\sum_{i=1}^m dP_i = \sum_{i=1}^m dN_i + dZ \quad (22)$$

გამოვსახოთ დანაკარგების ფარდობითი ნაზრდის სრული დიფერენციალი (21);

$$\sum_{i=1}^m dP_i = \sum_{i=1}^m dN_i + \sum_{i=1}^m \frac{\partial Z}{\partial W_i} dW_i \quad (23)$$

აღვნიშნოთ:

$$dW_i = dP_i - dN_i \quad \frac{\partial Z_i}{\partial W_i} = \sigma_i$$

და ჩავსვათ

$$\sum_{i=1}^m dP_i(1 - \sigma_i) = dN - \sum_{i=1}^m \sigma_i dN_i \quad (24)$$

დავუშვათ, რომ დანაკარგების ფარდობითი ნაზრდი მნიშვნელოვნად არ იცვლება. მაშინ (24) განტოლება შეიძლება ჩავწეროთ:

$$\sum_{i=1}^m (P_i - P_{i0})(1 - \sigma_i) = N - N_i - \sum_{i=1}^m \sigma_i (N_i - N_{i0}) \quad (25)$$

ელემენტალური გარდაქმნების შედეგად

$$\sum_{i=1}^m (1 - \sigma_i) P_i = N + \sum_{i=1}^m (P_{i0} - N_{i0})(1 - \sigma_i) - \sum_{i=1}^m \sigma_i N_i \quad (26)$$

სადაც წევრი

$$\sum_{i=1}^m (P_{i0} - N_{i0})(1 - \sigma_i) = 0$$

ვინაიდან

$$\sum_{i=1}^m [(P_{i0} - N_{i0}) - \sigma_i (P_{i0} - N_{i0})] = \sum_{i=1}^m (P_{i0} - N_{i0} - Z_{i0})$$

და

$$\sum_{i=1}^m (1 - \sigma_i) P_i = N_c - \sum_{i=1}^m \sigma_i N_i \quad (27)$$

ამგვარად, დანაკარგების გათვალისწინებით ქსელში დატვირთვის განაწილების ამოცანის გადასაწყვეტად, თავდაპირველად ხდება დატვირთვის განაწილების გამოთვლა დანახარჯების გარეშე. მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრება განტოლების (27) კოეფიციენტები, რომელიც ცვლის პირობებს ფორმულა 14-ში. ამის შემდეგ ხდება გამოთვლები და შესაბამისი ცვლილება სიმპლექსურ ცხრილში. გამოთვლები გრძელდება მანამ, სანამ მეზობელ მნიშვნელობათა სიდიდეები არ გაუტოლდება ერთმანეთს ან მათ შორის სხვაობა არ დააკმაყოფილებს მოცემულ სიზუსტეს.

ლიტერატურა:

1. Доду, Марген, Мерлен. «Формулировка и решение задач краткосрочного планирования режимов работы энергетической системы с учетом ограничений на потоки мощности по линиям электропередачи.» Сб. «Автоматизация в проектировании», М., «Мир», 1972 г.
2. Воронницкий В.Э., Железко Ю.С «Потери электроэнергии в электрических сетях энергосистем», М. «Энергоатом издат», 1993г., 368 л.

ნიკო ნიკოლაძის ღაპირისპირება ძიებში ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან

კაჟა შუბითიძე, სტუ სრული პროფესორი



დღეს, როცამთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მტკიცედ ებრძვიან მონოპოლიების წარმოქმნას და ამ მხრივ საქართველოს ახალი ხელისუფლებაც აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს, უთუო ინტერესს იწვევს უდიდესი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძიებში ნობელების (ერთ-ერთის - ალფერდის სახელს დღეს ატარებს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პრემია) მიერ შექმნილ ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მონოპოლიასთან.

130 წლის წინ, 1882 წლის 28 აგვისტოს ნიკო ნიკოლაძემ მოხსენება გააკეთა რუსეთის სამეცნიერო - ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის IV განყოფილების სხდომაზე, რომლითაც იგი ღიად დაუპირისპირდა ძიებში ნობელების კომპანიას, რომელმაც ბაქოს ნავთობის გატანის მონოპოლია იგდო ხელთ და სერიოზულ ზიანს აყენებდა სხვა, განსაკუთრებით კი ადგილობრივ კომპანიებს (ეს მოხსენება სახელწოდებით „ვ.ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“, ინახება ნიკო ნიკოლაძის არქივში N X-25-1, 26-14, ასევე დაიბეჭდა თხზულებათა VIII ტომში, 2003 წელს).

დასაწყისში ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ბაქოს ნავთობისა და მისი დერეფანების გატანა ღლითი დღე იზრდება, მაგრამ ასეთი სიმდიდრით გვიანტური სარგებლობა სრულიად არ იგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობის, მშრომელი ხალხისა და თვით მეწარმეთა ცხოვრებაში. იმის კითხვა, სად მიდის ამ ნაქები წარმოების სიმდიდრის რეზულტატი, მოგება? ნიკოლაძეს აქვე მოაქვს ბაქოს ნავთობის წარმოების შედარება ამერიკის ნავთობის საქმესთან: „შეხედეთ, რამდენი მსხვილი და კოლოსალური კონკურენცია წარმოიშვა იქ (აშშ-ში - ვ.მ.), ნავთობის რამდენი ღორდი გაჩნდა, რომელთაც ნამდვილი სიმდიდრე დააგროვეს? [1,506]. ნიკოლაძე სვამს კითხვას: სად არიან ბაქოს ნავთობის ღორდები? სად იმალება მათი კეთილდღეობა? და იქვე პასუხობს, რომ ამ „ღორდებმა“ ჯერ მხოლოდ ვალები მოაგროვეს და ოფლში გაქაფულნი, ძლივს აერხებენ ამ ვალების პროცენტთა გადახდას. ნიკოლაძე ამას რუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების გავლენით ხსნის, რომელთა გამოც რუსეთში ყველაფერი, რაც უნდა აიღოთ, მაიორატსა და მონოპოლიაში გადაიზრდება.

ბაქოელი მრეწველები იძლებულნი არიან შესანიშნავი პროდუქცია, რაც ქარხნებს მეტისმეტად ძვირი დაუჯდათ, ნახევარ ფასად გაასაღონ, ვინაიდან მისი ადგილიდან დასაძვრელად ყველა გზა გადაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო მისი გასაღები „ერთ ფირმას“ ჩაუვარდა ხელში... ეს ფირმა ძიებში ნობელების ამხანაგობაა, - წერს იგი.

ნიკოლაძე ინტერესდება და იკვლევს, თუ როგორ მოხვდა მათ ხელში ნავთობის საქმის გასაღები. მისი აზრით, არც ერთი წარმოება არ შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ მას თავს მოვანვეთ მიმოსვლის საშუალებათა მოწყობასა და შენახვასაც: „განა ჩვენი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ან მეღვინეობა განმტკიცდებოდა, სოფლის მეურნეობა რომ თვითონვე ყოფილიყო ვალდებული გაეკაფა თავისთვის გზა მთავარი სამომხმარებლო ბაზრებისაკენ? ამ გზების გაყვანა

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა საქმეა, რადგან კერძო პირის ხელში ის აუცილებლად ქმნის მონოპოლიას, რაც ყოველგვარ წარმოებას კლავს (მონოპოლია წარმოებაში კი არ აღმოცენდება, არამედ გადატანის დროს) - ჩვენ საშუალება მივეცით ჩვენსავე თავს კერძო საზოგადოებას ჩავვარდნოდით ხელში, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფომ მაშინვე არ შეასრულა იმ ამოცანათა ნაწილიც კი, რომელიც უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როდესაც საჭირო იყო თანხა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ჩამოსასხმელი ვაგონებით გასაზრდელად, ხოლო ვოლგასა და კასპიის ზღვაზე ასევე ჩამოსასხმელი გემები, ყველა მექარხნეს, ვისაც კი მისწვდა, ნობელმა (ლუდვიგმა-ვ.მ.) თავისი სამსახური შესთავაზა. რა საჭიროაო, ამბობდა ის, ახალი ხარჯები, რისთვის უნდა გავზარდოთ რკინიგზისა და გემთა საზოგადოების საობლიგაციო კაპიტალი? ეს ხომ ტვირთად აწვება სახელმწიფო სახსრებს, გარანტიის დანამატს. მე ვიკისრებ ყველა ამ ხარჯს, მე თქვენ შემოგიყვანთ შესანიშნავ გემებს, ბრწყინვალე ვაგონციტერნებს და ეს სახელმწიფოს კაპიკი არ დაუჯდება... ჩვენ მოგვეწონა ასეთი კეთილისმყოფელი და პირდაპირ წინ დავედგით ტაბლა. ამიტომ შეძლო მან ასე ადვილად მილიონების მოხვეჭა; მაგრამ, ცნობილია, თუ ვინმეს ჯიბეში მილიონს დავინახავთ, თუნდაც სიზმრად, მაშინვე ფარ-ხმალს ვყრით მის წინაშე. ხედავთ - ეს ძალაა! ყოველგვარი ძალის წინაშე ქედის მოხრის თანდაყოლილი თვისების გამო ჩვენ მალე ვიქეცით ყურმოჭრილ მონებად“ [1,508].

ნიკო ნიკოლაძე ეჭვის თვალით და ირონიით უყურებს ასეთი ხელოვნური გზით შექმნილ ავტორიტეტებს და კერპებს; „ბ-ნმანობელმა ჩვენში ნავთობის საქმე განავითარაო, ნავთობის პროდუქტები საზღვარგარეთ გააქვს; მან შეავიწროვა ამერიკული ნავთი და სწორედ ასეთი ხალხი გვჭკრდებო! ... ბატონებო! მძიმე გრძნობა ეუფლება ადამიანს, როდესაც იგი აშკარად ხედავს ასეთ ბრმა მორჩილებას მთელი საზოგადოებისას მის მიერ თიხისგან შექმნილი კერპისადმი! მაგრამ კიდევ უფრო უსიხარულოა ეს გრძნობა, როდესაც ხედავ, რომ ამ კერპს ემორჩილება და თავყვანს სცემს არა მხოლოდ ბნელი მასა, არამედ მეცნიერებისა და მრეწველობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწილიც; როცა საქმის მუხრუჭი მის საყრდენადაა გამოცხადებული... ბაჟი რომ დავადოთ - უნდა შევეკითხოთ ბ-ნ ნობელს. ერთი სიტყვით, ბ-ნი ნობელის გარეშე უკვე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ყველაზე სპეციალურ საკითხზე, ბათუმის პორტის მოწყობის საკითხზე მსჯელობის დროსაც კი, საგანგებოდ ამ საკითხის განსჯისათვის მოწვეულ კომისიაშიც კი, მას ეკუთვნის პირველი ადგილი“ [1,509].

ამ კომისიაში ნობელმა განაცხადა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკო ძალიან პატარაა თავისი ფართობით, ხოლო მისი გაფართოება საშიშიც კია ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო, თუ დაუშვებთ მის ნაკვეთში ქარხნების მოწყობასა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა დადგმასო. კომისიამ მისი

ჩარევით დაადგინა, რომ შესწავლილ იქნას საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია პორტო-ფრანკოს საზღვართა გაფართოება, ხოლო მანამდე კი აიკრძალოს მის საზღვრებში ქარხნებისა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა აგება.

ამით აღშფოთებული ნიკოლაძე წერს, რომ „პორტო-ფრანკოს გაფართოების თაობაზე კიდევ ათ და ოც წელს იმსჯელებენ (მართლაც ასე მოხდა - ვ.შ.), მანამდე კი ბ-ნი ნობელი თავისუფალია იმ მექარხნეთა კონკურენციისაგან, რომელთაც შეეძლოთ ეწარმოებინათ პორტო-ფრანკოს ნაკვეთში იაფი, უბაჟო ჭურჭელი ნავთის გადასაზიდად საზღვარგარეთ და შავი ზღვის სამხრეთ ნავსადგურებში“ [1,509].

ნობელების საქმიანობის გამოწვევით შესწავლის შემდეგ ნიკოლაძე ასკვნის, რომ მათი მილიონები და დაგროვილი ცოდნა როდი ხმარდება პროდუქციის გაუმჯობესებას, ღირებულებების გააიფებას, მათთვის ახალ-ახალი ბაზრების გასსნას. პირიქით ნობელების ამხანაგობა მოგვევლინა სპეკულიანტად და მთელი თავისი სახსრები მიმართა სხვა მეწარმეთა გასანადგურებლად. მაშინ რუსეთის კანონებით აკრძალული იყო ერთი პროდუქტის შესყიდვის მონოპოლიზება. ნობელების ამხანაგობა კი შეისყიდდა ნავთსა და მის პროდუქტებს, რათა სხვა გემების მფლობელები ეიძულებინა გაეუქმებინათ ჩამოსხმით გადატანა, რომელიც კონკურენციას უწევდა მათ გემებს. არსებობდა საგანგებო კანონი, რომელიც მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს აძლევდა კაბოტაჟური ცურვის უფლებას რუსეთის შიდა წყლებში და მკაცრად უკრძალავდა უცხოელებს ამ საქმის წარმოებას. მაგრამ ამ კანონმა სრულიად არ შეუშალა ხელი ნობელებს, რომ გაენადგურებინა ძმები არტემიევიების სანავთობო კაბოტაჟი და დაეპყროთ მთელი ჩამოსხმით გადაზიდვა თავიანთი თავიანთი გემებისათვის, რომლებიც ფსევდორუსული ამხანაგობის ბაირალით დაცურავდნენ. ხოლო იმისთვის, რომ არავის შემოეყვანა ჩამოსასხმელი გემები, იზრუნეს, რომ დაწესებულიყო 40%-იანი დამამძიმებელი ბაჟი შიდა წყლებში მოცურავე ყველა იმ გემისთვის, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდიოდა, რადგან მხოლოდ იქ შენდებოდა ჩამოსასხმელი გემები.

ყველაზე საყურადღებო იყო ის, რომ ამ ბაჟის დაწესების დროს ნობელმა განაცხადა, თითქოს მოტალას ქარხანას უკვე შეუკვეთა 8 ჩამოსასხმელი გემი, გარდა იმ ხუთისა, რომლებიც უკვე დაცურავდნენ მისი ბაირალით და ეს 8 გემი რუსეთში უბაჟოდ უნდა შემოსულიყო მაშინ, როცა ნობელის კონკურენტებს უნდა გადაეხადათ 40%-იანი ბაჟი. ნობელმა იზრუნეს იმაზეც, რომ მოტალას ქარხანა არ იღებდა შეკვეთებს სხვა მექარხნეებისაგან და იმიზეზებდა, რომ ნობელების სამუშაოთი ვარ გადატვირთულია.

საბოლოოდ ნიკოლაძე დაასკვნის, რომ „ძმები ნობელების ამხანაგობა სრულიად არ არის დაინტერესებული წარმოების შემდგომი წარმატებითა და გაუმჯობესებით, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლია უზრუნველყოფს მათ წარმატებას, როგორც არ უნდა იყოს მათი პროდუქციის ხარისხი და ფასი. დანარჩენი მექარხნეები კი ბოლოს და ბოლოს სულელები ხომ არ არიან, რომ შევარდნენ ცეცხლში და გამოამზეურონ თავიანთი საუკეთესო კაპიტალი ყოვლისშთანთქმელი ამხანაგობისათვის. რითი სჯობს ამ მილიონერი ამხანაგობის ყოფა, მათი საკვები ან მშრომელთა მდგომარეობა ვოლგელი ბურლაკის ან

გაპარტახებული ქოხის უღარიბესი ბატრაკის მდგომარეობას? თქვენ დარწმუნდებით, რომ მონოპოლისტური საწარმოს ბრწყინვალე წარმატებას ერთი ბეწვითიც არ გაუუმჯობესებია მუშათა ზვედრი“ [1,511-512].

ნიკო ნიკოლაძემ რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს შესთავაზა ამ მონოპოლიიდან თავდახსნის გზები და საშუალებები: „აუცილებელია ყურადღება მიექცეს ნავთობის პროდუქტების გადასაზიდი გზების მოწყობასა და განთავისუფლებას (აქვე ნიკოლაძე მიუთითებს, რომ სრულიად შემთხვევით და წინასწარი განზრახვის გარეშე იგემა პირველი დარტყმა ნობელის მონოპოლიამ, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გაიყვანეთ, რომელიც ვალდებულია ნავთის მრეწველის განკარგულებაში იქონიოს ჩამოსასხმელი ვაგონები. მაგრამ ეს თავდასაცავი სარქველი ძალიან მცირეა და ადრე თუ გვიან ძმები ნობელების ამხანაგობა შეეცდება, ასე თუ ისე, დავიწყებას მისცეს იგი. პირველი საცდელი საცავები მან უკვე ჩაღვა ბათუმის პორტო-ფრანკოში; ახალ, კიდევ უფრო მტკიცე საცავთა ჩადგმასაც უნდა ველოდეთ)

აუცილებელია, ვაიძულოთ ყველა რკინიგზა, რომელიც ვოლგასა და შავ ზღვას აკრავს და დაკავშირებულია მის აუზებთან, ჰქონდეს ჩამოსასხმელ ვაგონთა საჭირო რაოდენობა, ხოლო მთავარ სადგურებზე კი - საკმაო მოცულობის რეზერვუარებიც.

ასევე აუცილებელია ყველა მექარხნეს, მეწარმესა და ვაჭარს მივცეთ ისეთივე შეღავათიანი პირობები ნავთის ჩამოსხმის სახით გადატანისა, ბ-ნ ნობელს რომ აქვს მინიჭებული, რკინიგზის სამმართველოსაგან... საერთოდ კი პრინციპულად უნდა დადგინდეს, პირველ ყოვლისა ის, რომ მთავრობის მიერ ზურგის შექცევას ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის საქმისგან, სამიმოსავლო გზების გაუმჯობესებისაგან და ამ საქმეების მთლიანად გადაბარებას ნავთობის მეწარმეებზე, მონოპოლიის შექმნისაგან მივყავართ (ე.ი. ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მომხრე იყო სახელმწიფოს გარკვეული დოზით ჩარევისა ბიზნესის სამართლიანად დამრეგულირებლის, არბიტრის როლში, რაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის გაბატონებული ტენდენციაა და კეინსამდე გაცილებით ადრეა წამოყენებული). მეორეც ის, რომ ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის ყველა საშუალება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანაბარი პირობებით“ [1,514-515].

ნიკოლაძე აქვე მიუთითებს, იმასაც, რომ თუ ნობელების მონოპოლია განმტკიცდება, მაშინ ნავთის ფასიც, გაიაფების ნაცვლად, სწრაფად აიწევს.

ნიკო ნიკოლაძის მიერ დაყენებულ საკითხს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სხლომაზე კენჭი უყარეს და იგი გავიდა: 29 კაცი იყო ნიკოლაძის მომხრე, 9 კი - წინააღმდეგი.

ნიკოლაძის დაპირისპირება ნობელებთან ამით არ დამთავრებულა. მალე რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ვრემია“ ზემოთნახსენებ სხლომასთან დაკავშირებით დაბეჭდა ვასილ პოლუტიკას ცილისმწამებლური პასკვილი „დიდი საქმე“, რასაც პასუხი გასცა ნიკო ნიკოლაძემ სტატიაში „დიდი შეცდომა დიდ საქმეში“ (წერილი რედაქციას).

„ნოვოე ვრემიას“ ამ სტატიაში ლუდვიგ ნობელის მიერ დაქირავებული ჟურნალისტი ვასილ პოლუტიკა უპირისპირდება ნიკო ნიკოლაძეს.

ნიკოლაძე მიანიშნებს, რომ არსებობს არა მარტო ნავთობის ექსპლოატაცია, არამედ საზოგადოებრივი აზრის ექსპლოატაციაც. იგი წერს, რომ ნობელმა „თავისი მიღწევების ჯადოსნური სურათი გადაგვიშალა, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მიადწევს თავის მიზანს, რომ მას, ნაფოტებად რომ ექცია მეტლეუთა, მექარხნეთა და მოშურნეთა მთელი არმია, სრულიად არაფრად უღირს მოერიოს „მარტო ერთ“ ნიკოლაძეს. პოლემტიკამ კი მომხიბვლელად დაამღერა გულისამაჩუყებელი რაფსოდია თავისუფალი კონკურენციის მშვენიერებაზე.

ყოველივე ეს მომხიბვლელიც იყო და საინტერესოც. მაგრამ გაქნილობა გაქნილობაა და საკითხი მაინც დიდ რჩება. ლაპარაკია ნობელის მონოპოლიაზე და სხვა არაფერზე, ხოლო ვისაც ნებავს იკამათოს ამ საკითხის თაობაზე, დეილაპარაკოს ან წეროს მასზე და არა რაღაც სისულელეებზე, რომლებიც ამ საკითხს სრულიად არ ეხებიან. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ჭეშმარიტებამდე მისვლა ყველას, ვისაც არ ესაჭიროება საქმის არე-დარევა“ [2,538-539].

ნიკოლაძე კიდევ ერთხელ დაასკვნის, რომ ნავთობის დიდ საქმეში დაშვებულია დიდი პოლიტიკური შეცდომა: „დიდ მრეწველობას რომ ვნერგავდით, ჩვენ არ გვიზრუნია გზა გაგვესწრა მისი პროდუქტების გატანისათვის. ამის შედეგად მრეწველობას დააწვა გარეშე ვალდებულება - სამომოსვლო გზების მოწყობა. ასეთი ტვირთი უმეტესობის ძალას აღემატება. ვისაც შეუძლია გზის გაყვანა, ცხადია, ის თავისთვის გაიყვანს და არა ყველასთვის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო არ აღმოცენებულიყო მონოპოლია და აღმოცენდა კიდევ. კერძო წამოწყებისთვის ახლა მისი თავიდან აცილება ადვილია ყოველგვარი დანაკარგის გარეშე: ამისთვის საჭიროა ნავთობის წარმოება, გადატანის მხრივ, ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორშიცაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. თუ ასე არ მოვიქცევით, მონოპოლია, ბოლოს და ბოლოს, დაკარგავს ნავთობის მთელ მრეწველობას“ [2,540]. შესაბამისად, ბაქოს ნავთობის საბადოების ამ „ამოუწურავი სიმდიდრიდან“ რუსეთს ის მიკროსკოპული სარგებელიც კი აღარ შეხვდება, რომელსაც ახლა უწილადებს ბ-ნი ნობელი გადასაზიდი გადასახადის სახით(1/4 - ერთი მეოთხედი კაპიტი 1 ფუთ ამოღებულ და გადატანილ ნავთობზე). ამგვარად, „თვით ნავთობის გაყვანილობის შესანიშნავი საქმე უეჭველად დაიღუპება ნავთობის წარმოებაში ურჩხული მონოპოლის (იგულისხმება ნობელის მონოპოლია - ვ.შ.) გაჩენის გამო, რომელსაც უკვე ვერაფრით ვერ დამღევ, თუ ამ საქმის განხორციელების დროს გაყვანილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეა ყოველთვის: ყოველი სასარგებლო ნივთი შეიძება ბოროტ იარაღად აქციაო, ისეთ დანად, ურომლისოღაც ვერც შეჭამ საჭმელს და ისეთ დანადაც, რომლითაც დაიჭრა თავი ან დაჭრა სხვა“ [2,541].

ნიკო ნიკოლაძე აქვე უარყოფს ვასილ პოლემტიკას ბრალდებას, თითქოს ნიკოლაძე „სახელმწიფო სოციალიზმის“ მომხრე იყოს. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევა ბიზნესის სფეროში სულაც არ აღიქმება სახელმწიფო სოციალიზმად და იგი ფართოდამკვიდრებული პრაქტიკაა. შესაბამისად ნიკო ნიკოლაძე ამ ყურნალისტთან პოლემტიკაშიც მართალი იყო, ისევე როგორც ნობელის მონოპოლიასთან დაპირისპირებაში.

ნიკონიკოლაძისესდაპირისპირებამაშინდელმსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ ძმები ნობელის მონოპოლიასთან ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის ძალიან საინტერესო და სასახელო ფურცელია. როცა მართალი იყო, ნიკო ნიკოლაძე არავითარ ავტორიტეტებს ქედს არ უხრიდა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში გამოთქმული ერთი ბრწყინვალე შეგონება: „შეუძლებელია, მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ დღევანდელი ფაქტები; აუცილებელია ვიხედებოდეთ შორს, განვკვირვოთ თუ რა მოხდება დროთა განმავლობაში. ჩვენ მივეჩვიეთ ქედის მოხრას დღევანდლობის წინაშე, ისე, რომ სრულიად არ ვუფიქრობთ მომავალზე“ [1,524].

Vazha Shubitidze,
Full Professor, GTU

NIKO NIKOLADZE’S CONFRONTATION WITH THE OIL-SHIPING MONOPOLY OF THE NOBEL BROTHERS

SUMMARY

130 years ago, on August 28, 1882, Niko Nikoladze had made a speech at the 4th Section Session of Russia’s Scientific-Technical Society Members’ Congress. Niko Nikoladze confronted with the famous company of the Nobel brothers, which captured the oil-shipping monopoly from Baku and caused serious problems to the local companies. In Nikoladze’s opinion, the monopoly had arisen not at the time of oil-production, but in the process of its shipping, control on which was captured by the Nobel Company. According to Nikoladze’s conclusion, no production can develop and become stronger if it is imposed through the arrangement of transport facilities and their maintenance. Here Nikoladze clearly declares about the necessity of limited interference from the side of a state in the business affairs, which idea nowadays is under the dominant trend in the world economy, and which was positioned far earlier before prominent Keynes. In his speech, Nikoladze build up the ways of eradication the Nobel monopoly, among which was the development of Batumi’s Porto-Franco and providing all entrepreneurs with the same privileges as the Nobel Company had. Nikoladze managed to convince the delegates of the congress, and, as a matter of fact, his proposal was accepted.

ლიტერატურა:

1. ნიკო ნიკოლაძე „ვ.გ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“, თხზულებანი, ტ VIII, ქუთაისი, 2003.
2. ნიკო ნიკოლაძე „დიდი შეცდომა დიდ საქმეში“, თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003.

მოკლე ნარკვევი საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების ისტორიიდან

დემურ ჩიშნაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

XX

ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკას ამჟამად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არეგულირებს. მას 2012 წლის 1 აგვისტოს დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. კომისია 1997 წლიდან ელექტროენერგეტიკას არეგულირებს, ხოლო 1999 წლიდან მას დამატებით ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირების ფუნქცია მიენიჭა. 2007 წელს, კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, კი იგი უკვე წყალმომარაგების რეგულირების მოვალეობასაც ასრულებს.

პრეზიდენტის ბრძანებულებით კომისია 1996 წელს აგვისტოში ჯერ ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა და მას ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ტარიფების გაანგარიშება დაევალა. ამ სამინისტროსთან კომისია ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა.

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 27 ივნისს მიიღო კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, რომელიც 1 აგვისტოს გამოქვეყნდა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №183). კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და ამ დღიდან კომისია ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ორგანო. 1997 წლის 8 აგვისტოს კი პრეზიდენტის განკარგულებით კომისიის პირველი შემადგენლობის წევრები დაინიშნენ.

კანონმა კომისიას თავიდანვე მიანიჭა საკმაოდ მაღალი დამოუკიდებლობის სტატუსი. იგი გახდა მუდმივმოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოისცემს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოადგენს ნორმატიულ აქტებს ენერგეტიკის სფეროში. მარეგულირებელი კომისიის შექმნა გახდა საქართველოს ენერგეტიკაში დაწესებული ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი.

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტურად გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისა და ბუნებრივი მონოპოლიის ნიშნის გამოკვეთილად მატარებელი დარგის დამოუკიდებელი რეგულირების შესახებ.

ამ კანონის მიღებით განისაზღვრა ურთიერთობა ელექტროენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, ელექტროენერჯის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის და სხვა.

ამ კანონმა დასაბამი მისცა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის მოწესრიგებას ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში, საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების უზრუნველყოფას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

კანონმა მიზნად დაისახა:

ა) კონკურენციის მექანიზმებისა და არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების შეხამებით ელექტროენერჯის ეფექტიანი წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების დანახარჯების ზუსტი ასახვის უზრუნველყოფა სატარიფო სისტემაში;

ბ) ყველა კატეგორიის მოხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;

გ) ელექტროენერგეტიკის რეგულირების განვითარების მიზნით ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისადმი ხელშეწყობა.

ამ კანონის შესაბამისად ქვეყანაში დარგის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებაზე ძირითადად პასუხისმგებელი ორი უწყება გახდა: სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ამ თვალსაზრისით განისაზღვრა კანონის ამოცანები:

ა) დააკისრა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ელექტროენერგეტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია და გაათავისუფლა იგი დარგში მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციისაგან.

ბ) საჯაროობისა და თანასწორობის საფუძველზე განსაზღვრა ელექტროენერგეტიკის რეგულირების ძირითადი პრინციპები ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების სუბიექტებისა და მოხმარებლების მიმართ და ამ მიზნით შეიქმნა დარგის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანოს ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძველი;

გ) ხელი შეუწყო ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების და მოხმარების ეფექტიანობის ამაღლებას;

დ) კონკურენციის განვითარების უზრუნველყოფა საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე.

საქართველოს ენერგეტიკაში განვლილი პირველი ორი წლის (1997–1998) განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სტრუქტურული გარდაქმნები და ეკონომიკური რეფორმები; იგი მოწოდებული იყო გაუმჯობესებინა სექტორის მართვა, შეექმნა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და ხელი შეეწყო დარგის განვითარებისათვის.

1999 წელს კანონში „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ შევიდა ცვლილებები და დამატებები. ახალი კანონი პარლამენტმა მიიღო 1999 წლის აპრილში. მას ეწოდა კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ხოლო კომისიას – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ). ახალი კანონის თანახმად სემეკ-ს მიენიჭა საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში ლიცენზიების გაცემისა და ტარიფების რეგულირების

უფლება. კანონის მიხედვით, მნიშვნელოვანად შეიცვალა და გაფართოვდა კომისიის ფუნქციები. კომისიის უფლებამოვალეობები ელექტროენერგეტიკის გარდა გავრცელდა ბუნებრივი გაზის სექტორზეც. კერძოდ, ძირითადი ფუნქციები გახდა:

- ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება;
- ექსპლუატაციაში შესულ ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემა, განახლება, შეჩერება და გაუქმება;
- ელექტროენერგეტიკასთან და ბუნებრივი გაზის სექტორთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;
- კონკურენციის ხელშეწყობა ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში, ენერჯის მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება;
- ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ენერგეტიკულ სექტორში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია.

კანონში მორიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები განხორციელდა 2007 წელს და შემდგომ პერიოდში, რომლის თანახმად, კომისიას წყალმომარაგების რეგულირების ვალდებულება დაეკისრა. დღევანდელი სახით კომისიის ფუნქციებია:

ა) ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუირებისა და განაწილების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების, აგრეთვე წყალმომარაგების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა და მათი გაუქმება;

ბ) ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუირებისა, განაწილების, გატარების, იმპორტისა და მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, გატარების მიწოდებისა და მოხმარების ტარიფების, ასევე გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენა და რეგულირება;

გ) ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა;

დ) სექტორში ლიცენზიატების პირობების დაცვის კონტროლი და დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ე) ენერგეტიკაში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია;

ვ) წყალმომარაგების ტარიფის დადგენა და ლიცენზიების გაცემა;

ზ) სასმელი წყლის ხარჯვის ნორმების განსაზღვრა. თავდაპირველი კანონისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, განვილილი 15 წლის მანძილზე კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში ქვეყნისათვის სრულიად ახალი ნორმატიული ბაზის შექმნის მიმართულებით, დარგის ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების უკეთ განხორციელებისათვის, სატარიფო

მეთოდოლოგიების სრულყოფისათვის, საბაზრო წესების რეალური ამოქმედებისათვის, ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და ამოქმედებისათვის და, რაც მთავარია, დარგის მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის რეგულირებაში და სხვა.

ცხრილი 1
სემეკ-ის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი

წლები	კომისიის წევრები	თანამშრომელთა რაოდენობა	მიღებული სამართლებრივი აქტები		
			მათ შორის		
			სულ	დადგენილება	გადაწყვეტილება
1999	3	60	82	9	73
2000	3	61	102	10	92
2001	3	65	151	15	136
2002	3	67	128	17	111
2003	3	92	158	29	129
2004	2	74	110	16	94
2005	2	88	143	31	112
2006	2	90	149	44	105
2007	3	72	65	24	41
2008	5	106	79	37	42
2009	5	106	102	24	78
2010	5	108	208	31	177
2011	5	84	405	23	382

ცხრილ 1-ში ნაჩვენებია კომისიის ზოგიერთი მაჩვენებლის ცვლილება 1999–2011 წლებში. ცხრილიდან ჩანს, რომ კომისიის წევრების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში 3-დან 5-მდე გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეულია სარეგულირებელი დარგების რაოდენობის გაზრდით. 2004–2006 წლებში კი კომისიას 2 წევრის შემადგენლობით მოუწია საქმიანობა. 2010 წელს აპარატის თანამშრომელთა რაოდენობამ იგივე მიზეზის გამო მაქსიმუმს – 108-ს მიაღწია, თუმცა 2012 წლის დასაწყისში იგი 24 ერთეულით (22%-ით) შემცირდა. კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა რეკორდული იყო 2011 წელს – 405, მათ შორის გადაწყვეტილება – 382 (საერთო რაოდენობის 94,4%) და დადგენილება 23 (4,6%). აღნიშნული მაჩვენებლები 1999 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს შესაბამისად აღემატება 4,9-ჯერ, 5,2-ჯერ და 2,5-ჯერ.

გასული 15 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს კომისიას ხელმძღვანელობდა 4 თავმჯდომარე და 8 წევრი (იხ. ცხრილი 2). პრეზიდენტის მიერ პირველი შემადგენლობის წევრებად დაინიშნენ ელ. ერისთავი (თავმჯდომარე), დ. ჩომახიძე და პ. ცინცაძე. მათ უფლებამოსილების ვადა როტაციის საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრა შესაბამისად 6, 4 და 2-წლიანი ვადით. შემდგომში ეს ვადა 6 წლიანია. დ. მირცხულავა კომისიას თავმჯდომარეობდა 2003 წლის 12 აგვისტოდან 2003 წლის 19 დეკემბრამდე, ხოლო გ. თავაძე 2004 წლის 2 აპრილიდან 2007 წლის 9 აგვისტომდე. 2003 წლის 19 დეკემბრიდან 2004 წლის 2 აპრილამდე შუალედში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა დ. ჩომახიძე.

კომისიას 2007 წლის 30 აგვისტოდან ხელმძღვანელობს გ. ჩალაგაშვილი. ამ პერიოდს უკავშირდება კომისიის ბოლოდროინდელი წარმატებები, მათ შორისაა ფუნქციების მნიშვნელოვანი გაფართოება, მისი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განმტკიცება, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზზე ტარიფების სტაბილიზაცია, მომხმარებლებსა და ლიცენზიატებს შორის ურთიერთობათა წესების თანამედროვე მითხვენათა ღონეზე

მოწესრიგება, მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვა, მომსახურების ხარისხის ამაღლება და სხვ.

ცხრილი 2
(სემესტრის წევრები 1996 – 2012 წწ)

გვარი და სახელი	მოღვაწეობის პერიოდი	
	დანიშნა	გათავისუფლება
თავმჯდომარეები		
ელიზბარ ერისთავი	1996 წ. 08.08	2003 წ. 12.08
დავით მირცხულავა	2003 წ. 12.08	2003 წ. 19.12
გიორგი თავაძე	2004 წ. 02.04	2007 წ. 09.08
გურამ ჩალავაშვილი	2007 წ. 30.08	დღემდე
წევრები		
დემურ ჩომახიძე	1996 წ. 08.08	2004 წ. 02.04
პაატა ცინცაძე	1996 წ. 01.10	2004 წ. 02.04
ირმა ქავთარაძე	2005 წ. 17.08	2011 წ. 17.08
ზურაბ გაბელია	2007 წ. 21.09	დღემდე
მაია ნადირაძე	2008 წ. 20.10	დღემდე
ვასილ როინიშვილი	2009 წ. 05.10	2010 წ. 26.02
სერგო მესხი	2010 წ. 17.08	დღემდე
გონა შონია	2011 წ. 18.08	დღემდე

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად უფრო კონკურენტუნარიანი გახდა საქართველოს ენერჯეტიკული ბაზარი, ნაწილობრივ დერეგულირებული ბუნებრივი გაზის მიწოდება, ხოლო სრულად დერეგულირებული – 13 მგკტ-მდე სიმძლავრის და 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები. ბოლო წლებში დადებითი ცვლილებები განიცადა ენერჯეტიკული ბაზრის ძირითადმა მახასიათებლებმა.

2008 წლის ივლისიდან კომისია ქ. ქუთაისში ფუნქციონირებს. საიუბილეო დღისათვის კომისიის აპარატს და მის ქვეგანყოფილებს ხელმძღვანელობენ: აღმასრულებელი დირექტორი **ზ. ჩომახიძე**, დეპარტამენტების ხელმძღვანელები: მ. ძიძიკაშვილი, დ. ნამგალაძე, ნ. ბერიძე, გ. მანდარია, გ. იოსებაშვილი, ნ. ლაშხია, გ. ფანგანი, ე. ლავგილია, ალ. ქობულაძე; დეპარტამენტების უფროსების მოადგილეები: ელ. გოგიაშვილი, მ. ბერიშვილი, ქ. ბერიკაშვილი, ლ. გვაზავა. კომისიასთან არსებული საზოგადოებრივი დამცველის მოვალეობის შემსრულებელი ნ. გულეიშვილი. მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო ფუნქციებს ასრულებენ: მ. ხეცურიანი, მ. სომხიშვილი, მ. მელიქიშვილი, ვ. მახათაძე, თ. გაბიაშვილი და სხვ. კომისიის აპარატი მნიშვნელოვანწილად დაკომპლექტებულია მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი გამოცდილი და პერსპექტიული მუშაკებით. კომისიის მუდმივი ზრუნვის საგანია კადრები, მათი კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ძველი თანამშრომელი კომისიაში ახლაც მოღვაწეობს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც აქ მისი დაარსებიდან მუშაობენ. ესენია: ელ. ერისთავი, დ. ჩომახიძე, მ. სომხიშვილი, ზ. გურიელიძე. ათ წელზე მეტი ხნის მუშაობის სტაჟი აქვთ: ზ. გაბელიას, გ. შონიას, ალ. ფირცხალაიშვილს, ნ. ლაშხიას, გ. მილაძეს, ბ. მჭედლიძეს, მ. კაკაბაძეს, დ. ნამგალაძეს, ილ. ნაკაშიძეს, გ. ბედოშვილს, ილ. ხეროდინაშვილს, ჯ. ფხალაძეს, ნანა ჩიხლაძეს, ს. კოროშინაძეს, ქ. ტურაშვილს, ნ. ჯაფარიძეს, გ. დიდუბაშვილს, ი. ჯოლოხავას, მ. გარიშვილს.

კომისიის აპარატს და დეპარტამენტებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: რ. უშვერიძე, ალ. ფირცხალაიშვილი, ნოდარ ჩიხლაძე, თ. ყიფიანი, გ. ჩახნაშვილი, ავთ. ირმაშვილი, ნ. ჩოხელი, თ. ინაშვილი, ირ. კაკაბაძე, პ. ვარდოსანიძე, ნ. ასათიანი, ილ. ნაკაშიძე, თ. მირესაშვილი, ივ. შალაბერიძე, ალ. ხეთაგური, დემურ ჩომახიძე, თ. ცაბაძე, მ. სუქნიძე, გ. მამულაშვილი, დავით ჩომახიძე, ვ. მეჭურჭლიშვილი. მომხმარებელთა უფლებების დამცველები: დ. ებრაღიძე, დ. მიქაუტაძე, მ. ძიძიკაშვილი, ვ. ფხაკაძე.

კომისიის ფუნქციათა შორის უმნიშვნელოვანესია ტარიფების დადგენა და რეგულირება. ელექტროენერჯეტიკაში ტარიფების გამოთვლის მეთოდოლოგია პირველად სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1998 წლის 1 ივლისიდან, ბუნებრივი გაზის სექტორში – 1999 წლის 8 სექტემბრიდან, ხოლო წყალმომარაგების სექტორში – 2008 წლის 29 აგვისტოდან. ყველა აღნიშნული მეთოდოლოგია პირველი იყო თითოეული დარგის განვითარების მთელ ისტორიაში. 2011 წლის 8 ივნისიდან მოქმედებაშია ელექტროენერჯის განახლებული სატარიფო მეთოდოლოგია.

პირველად თავის ისტორიაში კომისიამ ელექტროენერჯის ტარიფები ჯერ კიდევ ეკონომიკის სამინისტროსთან ფუნქციონირების პერიოდში (1997 წლის თებერვალი) დაადგინა. იგი ეხებოდა ელექტროსადგურების მიერ გასაყიდ საბითუმო ტარიფს. მის საფუძველზე პრეზიდენტის 1997 წლის 28 ივნისის №389 ბრძანებულებით ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის დაწესდა – 4,5 თეთრი ყოველი კვტ.სათისათვის. მანამდე ტარიფი დგინდებოდა მინისტრთა კაბინეტის მიერ და 45 ათას კუბონს შეადგენდა კვტ.სთ-ზე. ტარიფი მოქმედებდა 1997 წლის 1 აგვისტოდან 1998 წლის 1 ოქტომბრამდე. აღნიშნული ტარიფი შეიცვალა 1998 წლის 1 ოქტომბერს. იგი გამოთვლილი იყო ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით და შეადგენდა 6 თეთრს ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის. რეალურად ეს იყო პირველი ტარიფი, რომელიც კომისიამ დაადგინა დამოუკიდებელი არსებობის პირობებში. მას შემდეგ დღემდე საქართველოში ელექტროენერჯის საცალო ტარიფი 9-ჯერ შეიცვალა და მას ზრდის ტენდენცია ჰქონდა, რაც საბაზრო ურთიერთობათა დანერგვით, ცალკეული საწარმოების პრივატიზაციით, თბოსადგურებისათვის საჭირო საწვავის გაცივრებით იყო განპირობებული.

პირველ ეტაპზე ზრდის ტენდენცია ჰქონდა ბუნებრივი გაზის ტარიფსაც. მაგ., 1999 წლის 1 აგვისტოდან 2007 წლის 1 მაისამდე თბილისში სამომხმარებლო ტარიფი დღ-ის ჩათვლით 6-ჯერ შეიცვალა 250-დან 506,2 ლარამდე 1000 კუბ.მ-ზე, ანუ გაიზარდა 2-ჯერ. ზრდა მთლიანად გარე ფაქტორებით იყო გამოწვეული. 2007 წლის 1 იანვრიდან კი როგორც ბუნებრივ გაზზე, ისე ელექტროენერჯიაზე ტარიფის დონე შენარჩუნებულ იქნა და გაცილებით სტაბილური გახდა.

საწყის ეტაპზე ტარიფების მატება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდი იყო, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულირების გარეშე ეს ზრდა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფრო ძნელი იქნებოდა ენერჯის მიმწოდებელთა ფასების მატებაზე სწრაფვის მოთხოვნა. ამის ნათელი დადასტურებაა თავისუფალ ბაზარზე ნავთობპროდუქტების და სხვა ენერ-

გიაშემცველების, გნებავთ, სხვა საქონელზე, ფასების გაცვლილებით მრავალჯერადი ზრდა რეგულირებად ბაზართან შედარებით.

კომისია, ცხადია, იცავს ენერჯის მწარმოებელთა და მიმწოდებელთა კანონიერ ინტერესებსაც. თუ იგი ელექტროენერჯიას და ბუნებრივ გაზს უფრო იაფად შეაფასებს, ვიდრე ის ფასობს, მაშინ ენერჯის მწარმოებლები და მიმწოდებლები ვეღარ მიიღებენ კუთვნილ ანაზღაურებას, დაიკარგება შრომისადმი ინტერესი, დარგი, უკეთეს შემთხვევაში, ისეთივე ლეგიტიმური იქნება, როგორიც იყო; ან, საკვებით შესაძლებელია, რომ სრულიად დაინგრეს.

კომისიამ ყველა შესაძლო ღონისძიება გაატარა დარგის საწარმოთა ლიცენზირებისათვის და ამ პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის. საწყის ეტაპზე კომისია მხოლოდ შუალედურ ლიცენზიებს გასცემდა (დადგენილება №2, 1997 წლის 5 ნოემბერი). 1997–1998 წლებში გაიცა ელექტროენერჯის განაწილების 63, წარმოების 36, გადაცემის 2 და დისპეტჩერიზაციის 1 შუალედური ლიცენზია. ლიცენზირების საკმაოდ რთული პროცესი მიმდინარეობდა ბუნებრივი გაზის სექტორშიც. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, ამ დარგში, 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ ლიცენზირებული იყო 53 ორგანიზაცია. აქედან მიწოდების ლიცენზია ჰქონდა 2-ს, ტრანსპორტირების ლიცენზია – 1-ს, დანარჩენ 50 ობიექტს ჰქონდა ბუნებრივი გაზის მიწოდება–განაწილების ლიცენზიები.

კანონის შესაბამისად, ახლა კომისია გასცემს მუდმივ ლიცენზიებს. 2012 წლის მდგომარეობით, კომისიას 85 ლიცენზიანტი ჰყავს, მათ შორია 20 ლიცენზია ელექტროენერჯეტიკაში (13 წარმოების, 3 განაწილების, 1 დისპეტჩერიზაციის, 3 გადაცემის), 57 – ბუნებრივი გაზის სექტორში (1 ტრანსპორტირების და 56 განაწილების) და 8 – წყალმომარაგებაში.

ამ „მშრალ“ ციფრების უკან კი უზარმაზარი სამუშაოა გაწეული. თითოეულ მათგანზე შემუშავებულია სალიცენზიო პირობები, ყველა მათგანზე პერიოდულად ტარდება მონიტორინგი სალიცენზიო პირობების დაცვის თვალსაზრისით, საჭიროების შემთხვევაში ხდება ლიცენზიანტის კანონიერი უფლებების დაცვა და ა.შ.

კომისიის მუდმივი ზრუნვის საგანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რადგანაც მომხმარებელთა უფლებები – სტაბილური, თავისუფალი და მოწესრიგებული სამოქალაქო ზრუნვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. ჯერ კიდევ 2001 წლის 1 ივნისს კომისიაში ფუნქციონირება დაიწყო სამოქალაქო უფლებების დაცვის ქვედანაყოფი; ხოლო 2003 წლის 22 ივლისს „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული დამატებების საფუძველზე მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით კომისიასთან მისი აპარატივსაგან დამოუკიდებლად შეიქმნა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ამ მიმართულებით კომისია მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებს. წლითიწოდებით იზრდება შემოსული განცხადებები, ხოლო მათი უმრავლესობა მომხმარებელთა სასარგებლოდ წყდება. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ 1 წლის განმავლობაში, 2011 წელს კომისიამ განიხილა მომხმარებელთა და კომპანიებს

შორის 858 სადავო საკითხი, რომელთაგან 667 (77,7%) მორიგებით გადაწყდა, ხოლო 151 (17,6%) დავა მომხმარებელთა სასარგებლოდ დამთავრდა. საბოლოო ჯამში მომხმარებლებს ჩამოეწერა თითქმის 0,5 მლნ ლარი.

კომისია მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებს მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია მომხმარებელთა უწყვეტი ენერგომომარაგება და მომსახურების კომერციული ხარისხის მართვა.

კომისია მომხმარებელს სისტემატურად სთავაზობს მომსახურების სხვადასხვა დახვეწილ და გაუმჯობესებულ პაკეტს. კერძოდ, 2011 წელს განისაზღვრა ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების ახალი წესი და საფასური. განხორციელებული ცვლილებებით რადიკალურად შეიცვალა მიდგომა ამ საკითხის მიმართ და ის პროცედურები, რომლებიც უნდა განვლოს ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მსურველმა, კერძოდ, დაინერგა:

- „ერთი სარკმლის პრინციპი“;
- მიერთება ხორციელდება შერჩეული სიმძლავრის პაკეტის თანახმად;
- საფასურისა და მიერთების ვადა განისაზღვრება შესაბამისი პაკეტის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების ძირითადი მიზეზი მიერთების მსურველთათვის პროცედურების გამარტივება იყო, რაც მომავალში ქვეყნის ახალი ინვესტორების მოზიდვაში, ბიზნესის წარმოების გამარტივებასა და განვითარებაში შეუწყობს ხელს.

ამ მიმართულებით კომისიამ 2012 წლის 5 ივლისს მიიღო დადგენილება №6 ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეულ მომსახურების კომერციული ხარისხის წესების შესახებ. მისი მიზანია მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. წესები ადგენს ერთიან მოთხოვნებს შემდეგ საკითხებში:

- მომსახურების კომერციული ხარისხის მოთხოვნები და კრიტერიუმები;
- ლიცენზიანტის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად გაუწეველი მომსახურების კომპენსირების წესი და ოდენობა;
- ლიცენზიატის მიერ მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;
- ლიცენზიანტის მიერ მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის წარდგენა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში;
- წესების მოქმედება ვრცელდება ელექტროენერჯის განაწილების ყველა ლიცენზიანტზე;
- მომსახურების ხარისხი თანდათან იხვეწება გაზომომარაგებაშიც.

კომისია დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო მასშტაბით. იგი ერთ-ერთი დამფუძნებელია ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონალური ასოციაციის (ERRA), რომელიც 2000 წლის დეკემბერში ევროპისა და აზიის ორგანიზაციაში 15 ქვეყნის ინიციატივით შეიქმნა ბუდაპეშტში. ამჟამად ამ ორგანიზაციაში 30 ქვეყანაა გაწევრიანებული. ასოციაციის მიზანია:

– ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებში ენერჯეტიკის რეგულირების პროცესის სრულყოფა, რეგულირების მეთოდებისა და პრაქტიკის ეფექტიანობის ამაღლება;

– სტაბილური, დამოუკიდებელი და საკმარისი უფლებების მქონე ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოების განვითარების ხელშეწყობა;

– ენერჯეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება.

ასოციაცია უზრუნველყოფს:

– ასოციაციის წევრებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას და კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცვლას;

– რეგულირების სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დარგოვანი ინფორმაციისა და გამოცდილების ხელმისაწვდომობას.

მთლიანობაში, კომისიის მუშაობის განვლილ 15-წლიან პერიოდში მიღწეულია ძირითადი მნიშვნელოვანი შედეგები:

1. დაწესდა გამოკვეთილი და სამართლიანი „თამაშის“ წესები სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის;

2. სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, ჩატარდა უმრავლეს საწარმოთა პრივატიზაცია;

3. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფო, სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებელი ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრათ. სახელმწიფო კი მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და პოლიტიკას ახორციელებს;

4. გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები შეიქმნა სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის. საფუძველი ჩაეყარა დარგის თვითდაფინანსებას. ლიცენზიანტებს საშუალება შეექმნათ სრულად გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და სათანადო შემთხვევაში მიადწიონ კიდევ მათ ასახვას ტარიფში;

5. განისაზღვრა ლიცენზიანტთა უფლებები და ვალდებულებები, პროდუქციის (მომსახურების) აღრიცხვის, მიწოდების, შეწყვეტის და აღდგენის წესები და პროცედურები, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მყოფ ლიცენზიანტთა ურთიერთობათა სავალდებულო ქცევის წესები. კარგი პირობები შეიქმნა კონკურენციის განვითარებისათვის;

6. შეიქმნა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძვლები მომხმარებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის. ამაღლდა მომსახურების ხარისხი;

7. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, აგრეთვე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით;

8. ამაღლდა და თითქმის სრულყოფილი გახდა ლიცენზიანტთა მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო;

9. ახლანდელ ეტაპზე ყველა კანონიერი ღონისძიება ხორციელდება ტარიფების ზრდის შეჩერებისა და სტაბილიზაციისათვის. ამ მიზნით სტიმული მიეცა ადგილობრივი რესურსების ათვისებასა და რაციონალურ გამოყენებას, ენერჯეტიკის მრეწველების მოწოდების დივერსიფიკაციას;

10. დარგი დაზღვეულია პოლიტიკური ჩარევისაგან.

ასეთი ზეწოლისაგან უკეთ დაზღვეული გახდა ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ზასიათის რეგულირება;

11. შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები. კომისიის მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტების არსებობამ დიდად შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. თვით კომისიის შექმნა ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის და მათთან თანამშრომლობისათვის; მაგ; USAID- ისა და კომისიის პარტნიორული ურთიერთობა დაიწყო კომისიის შექმნის დღიდან. სააგენტო კომისიას უწევს ტექნიკურ, მატერიალურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო დახმარებას.

12. კომისიამ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის გაუმჯობესებაში, ელექტრიფიკაციისა და გაზიფიკაციის ამაღლებაში. განვლილი 15 წლის მანძილზე (1997-2011) ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა – 38,2%-ით, მოხმარება – 23,3%-ით, ბუნებრივი გაზის მოხმარება – 2,1-ჯერ. წარსულში დეფიციტური ელექტროენერჯის გაზრდა უდევდა ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი რაოდენობა კი ექსპორტზე გადას. ჰესებში ელექტროენერჯის გამო-მუშავებამ (2010წ.) რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია არამარტო დამოუკიდებლობის, არამედ საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მთელ ისტორიაში.

უფრო დიდი და ფართო მასშტაბიანია სამომავლო ამოცანები. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტად კვლავაც მომხმარებელთა უფლებების მაქსიმალური დაცვა, მომსახურების ხარისხის ამაღლება, ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება და მისი მონიტორინგი. გრძელვადიანი პერსპექტივისათვის გაგრძელდება რეგულირების თანდათანობითი ლიბერალიზაციის პროცესი და სხვ.

SHORT ESSAY OF ENERGY REGULATION HISTORY IN GEORGIA

SUMMARY

The article devotes to establishment of energy state regulation's 15-th anniversary in Georgia. In this article, there are analyzed commission creation and development history of Georgian national energy and water supply regulatory commission from 1997 to 2012. There are chronological considered basic problems, achievements and tendencies, which were mentioned in activities of GNERC:

By creation of regulatory organ in fields were marked off state, economic and regulatory functions, there were established the rules of just "Game" for all sector included subjects, there were defined rights and obligations of licensee, were created mutual beneficial conditions between the energy delivers and consumers, the field is better insured against the political interference. Tariffs and diverse regulation have been protected of such pressure, protection of consumer's rights have been improved, there were created better conditions for country's economy integration in international organizations, attraction of investment, etc. All these facts have contributed to the energy securing improvement of the country.

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების განვითარების და დაქვეითების საკითხისათვის

შოთა ვეშაბიძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნანი მამფორია, სტუ-ს დოქტორანტი



მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების თითქმის ორასწლიანი პერიოდის მანძილზე მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისები მიმდინარეობდა. შეიმჩნეოდა წარმოების მზარდი დაცემა, ბაზარზე არარეალიზებული საქონლის და მომსახურების დაგროვება, ფასების დაცემა, ურთიერთანგარიშსწორების მოშლა, საბანკო სისტემის კრაზი, სამრეწველო და სავაჭრო ფირმების გაკოტრება, გადატაკება, განადგურება, უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. სპეციალურ ლიტერატურაში ეკონომიკურ კრიზისებს ახასიათებენ როგორც საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დარღვევას. სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოვიდეთ კრიზისების განხილვისას.

ეკონომიკური კრიზისი – მეტ-ნაკლებად რეგულარულად განმეორებადი, აგრეთვე წარმოების არარეგულარული დროებითი დაცემა. დრო ერთი კრიზისიდან მეორეზე არის ციკლი, ანუ წარმოების მოძრაობა თანამიმდევრულად დაკავშირებული ფაზების გავლით – კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება, (გაცხოველება) აღმავლობა. წარმოების ციკლური განვითარების საფუძველია ეკონომიკური კრიზისი.

კრიზისი გამოიხატება იმით, რომ საქონელი წარმოებულია მეტი (ვიდრე ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნა), ვიდრე შეიძლება მათი რეალიზება, ვინაიდან მოთხოვნა შეზღუდულია. რეალიზაციის შესაძლებლობათა შეზღუდვა იწვევს იმ სასაქონლო სიჭარბის გაზრდას, რომელიც ვერ პოვებს გასაღებას. შემდეგ ყველაფერი მიდის ჯაჭვური რეაქციით: მეწარმეები ამცირებენ წარმოებას და ათავისუფლებენ მუშებს. მკვეთრად იზრდება უმუშევრობა. მცირდება მყიდველობითი უნარი და შესაბამისად – გასაღება, რაც, თავის მხრივ, ვაჭრობის მოშლას იწვევს. საკრედიტო კავშირები ირღვევა. მეწარმეები განიცდიან საშუალებათა მკვეთრ უკმარისობას მიმდინარე გადასახადებისთვის. ბირჟებზე იწყება პანიკა – აქციათა, ობლიგაციათა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსი სწრაფად ეცემა. უმაღლეს დონეზე სამრეწველო საწარმოების, საბანკო და სავაჭრო ფირმების გაკოტრების ტალღა. ეს ყველაფერი ნიშნავს საზოგადოების საწარმოო ძალების დიდ ნგრევას, მის მოშლას.

საერთოდ, კრიზისის თანამედროვე გაგება დაკავშირებულია ბრიტანელი ეკონომისტის ჯ.მ. კეინის სახელთან. მისი ნაშრომების გამოჩენამდე კლასიკური თეორია კრიზისს განიხილავდა, როგორც საბაზრო ეკონომიკაში

გარეშე ჩარევის შედეგს. კლასიკური თეორიის თანახმად, გარეშე ჩარევის გარეშე ეკონომიკაში მოქმედი ძალები ერთმანეთს აწონასწორებს. ამასთანავე წონასწორობა რესურსების სრულ დასაქმებას გულისხმობს.

კეინმა პირველმა დაასაბუთა ეკონომიკის წონასწორობის საერთო თეორია არასრული დასაქმების დროს. ამ თეორიაში წონასწორობა რესურსების სრული დასაქმებისას ხდება მხოლოდ კერძო შემთხვევა. ასეთ პირობებში კრიზისის მიზეზი არის ეფექტიანი მოთხოვნის ქრონიკული უკმარისობა. ამაში კეინსი გულისხმობს სამომხმარებლო მოთხოვნასაც და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნასაც.

თავისი თეორიის აგებას კეინსი ამყარებს იმ მაკროეკონომიკური ცვლადების შერჩევაზე, რომლებიც ექვემდებარება შეგნებულ კონტროლს ან მართვას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ასეთი ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავს შემოსავლის და დასაქმების დონეს, არის კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა, მოხმარებისადმი მიდრეკილება, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, ლიკვიდურობისთვის უპირატესობის მინიჭება ან პროცენტის ნორმა, ნომინალური ხელფასი. ნებისმიერი მათგანის ცვლილება ცვლის ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობას, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გავლენა მოახდინოს ეროვნული წარმოების და დასაქმების სიდიდეზე.

კრიზისის შემდეგ იწყება **დეპრესია** – ესაა ციკლის ფაზა, რომელიც ხასიათდება მრეწველობის უძრაობით, ვაჭრობის მოდუნებით, თავისუფალი ფულადი კაპიტალის დიდი მასის არსებობით. ამ პერიოდში მზადდება წანამდევრები შემდგომი გამოცოცხლებისა და აღმავლობისთვის. ნელ-ნელა იწყება გადასვლა დეპრესიიდან **გამოცოცხლების** ფაზაზე. კრიზისული რყევებიდან გამოსული საწარმოები წარმოების მოცულობას ზრდის უწინდელ დონემდე. ამ პერიოდში ჩქარდება ფასების და მოვების ზრდა.

შემდეგ იწყება **აღმავლობის** ფაზა, როცა წარმოება სცდება უმაღლეს წერტილს, რომელსაც აღწევს კრიზისის ბოლოს წინა ციკლში. აღმავლობის პერიოდში ხდება ახალი საწარმოების აქტიური მშენებლობა და ძველების მოდერნიზაცია, იზრდება დასაქმება, მასთან ერთად კი საქონელზე მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან და ა.შ. ფასები იზრდება, სპეკულაციური ბუმი იწყება, ვინაიდან სავაჭრო კაპიტალი ცდილობს შეისყიდოს რაც შეიძლება

მეტი საქონელი ფასების შემდგომი აწვეის ანგარიშით, რითაც მრეწველებს უბიძგებს წარმოების კიდევ უფრო მეტ გაფართოებაზე. ბანკები დიდი სიამოვნებით გასცემენ საწარმოებზე სესხს, ვინაიდან ისწრაფვიან მიიღონ შემოსავლის თავიანთი წილი. ეს იწვევს წარმოებისა და ვაჭრობის სტიქიურ გაფართოებას. იქნება ჭარბწარმოების მორიგი ეკონომიკური კრიზისის წანამდღვრები.

თავიანთი შინაარსით ეკონომიკური კრიზისები იყოფა რამდენიმე ძირითად სახედ. საერთო კრიზისთან ერთად ხდება შუალედური კრიზისები. ასეთი კრიზისები დასაბამს არ აძლევს ახალ ციკლს, ისინი რაღაც დროით წყვეტენ აღმავლობის ან გამოცოცხლების ფაზის მიმდინარეობას. ეს კრიზისი ნაკლებად ღრმაა, ნაკლებად ხანგრძლივი, ვიდრე საერთო კრიზისი და ჩვეულებრივ ლოკალური ხასიათისაა. რაც უფრო ძლიერია შუალედური კრიზისი, მით უფრო სუსტია შემდგომი ციკლური.

ნაწილობრივი კრიზისი შუალედურისგან განსხვავებით მოიცავს არა მთელ ეკონომიკას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს, მაგალითად, ფულადი მიმოქცევისა და საკრედიტო სფეროს (საბანკო კრიზისი გერმანიაში 1932 წელს).

დარგობრივი კრიზისი მოიცავს მრეწველობის ერთ-ერთ დარგს, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და შეიძლება განვითარდეს ციკლის ნებისმიერ ფაზაში. იგი შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით: სტრუქტურული ძვრებით, განვითარების დისპროპორციულობით, დარგობრივი ჭარბწარმოებით.

სტრუქტურული კრიზისი არის კაპიტალისტური ეკონომიკის დისპროპორციული განვითარების შედეგი, რომელიც გამოწვეულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, ეკონომიკის მილიტარიზაციით, მისი სანედლეულო ან მონოდარგობრივი ორიენტაციით. ამ კრიზისებს შეუძლია მოიცვას რამდენიმე ციკლის პერიოდი.

მიუხედავად სხვადასხვაგვარი წარმოშობის კრიზისების სიუხვისა, საერთო კრიზისს ცენტრალური ადგილი უკავია. პირველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოხდა 1857 წელს. ის იყო ყველაზე ღრმა კრიზისი მანამდე მომხდარ კრიზისებს შორის. ეკონომიკური კრიზისები ხდებოდა 1882 წელს, 1890-93 წლებში, 1900-1903 წლებში, 1907 წ-ს, 1920 წ-ს. მაგრამ 1929-1933 წლების კრიზისს ვერაფერი შეედრებოდა. იგი გრძელდებოდა 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მოიცვა მთელი კაპიტალისტური სამყარო. ამ კრიზისის სიმძაფრემ აჩვენა, რომ კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაზე გადასვლამ ვერ შეძლო კაპიტალისტური წარმოების სტიქიურობის დაძლევა.

ისტორიაში „თანამედროვე“ ტიპის პირველი კრიზისი ჩვენს ერამდე 88 წელს, რომის რესპუბლიკაში განვითარდა. გვიანდელ რომის რესპუბლიკას ჰქონდა გამართული საბანკო სისტემა, განვითარებული საფინანსო ბაზარი. სამომხმარებლო კრედიტის მაქსიმალური განაკვეთი იქ სულ რაღაც წლიურ 12%-ს შეადგენდა. მარადიული ქალაქი ფულის უკმარისობას არ განიცდიდა. სწორედ კრიზისის წინ „დენომინირება“ განიცადა წვრილმა მონეტამ – ასმა. არავინ შეშფოთებულა რომში, როცა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა დაიპყრო მცირე აზია. მითრიდატეს თავდასხმა რომაელებმა მოიგერიეს,

მაგრამ საკრედიტო ბუშტი მაინც გასკდა: სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეიცვალა დეპრესიით. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ გაართვეს თავი ამ პრობლემას.

დამარცხებულმა მითრიდატემ ყველაფერი ზღო. მშვიდობიანი ხელშეკრულებით მან გაათავისუფლა ყველა დაკავებული ტერიტორია და დააბრუნა სამხედრო ნადავლი; გარდა ამისა, რომმა მიიღო 2000 ტალანტი კონტრიბუციის სახით. მიუხედავად ამისა, 88 წლის მოვლენათა ექო დიდხანს დასტრიალებდა თავს რესპუბლიკას. 20 წლის შემდეგ ციცერონმა მოითხოვა გამოეყოთ კეთილი პომპეისთვის ფული ახალი კამპანიის წამოსაწყებად, რათა ჯამში კიდევ უფრო მეტი არ დაეკარგათ. საერთოდ კი, იმდროინდელი რომაული რყევების ერთ-ერთი მიზეზი იყო 88-85 წლების ფინანსური არასტაბილურობა.

წლის მსოფლიო კრიზისი ანუ ლათინოამერიკული დეფოლტი: ელდორადო, რომელიც ვერ აღმოაჩინეს. 1825 წელს ლონდონში რომ „ჩასძახეს“, ლათინურ ამერიკაში „ამოსძახეს“. რამ განაპირობა კრიზისი? ეს იყო ისტორიაში პირველი საერთაშორისო და ამავდროულად კონტინენტთაშორისი ფინანსური კრიზისი.თითქოს ყველაფერი კარგად იყო: ევროპა ნაპოლეონის ომების შემდეგ დაწყნარდა და მშვიდად ვითარდებოდა. სამხრეთამერიკულმა კოლონიებმა გამოაცხადეს „სუვერენიტეტების აღლუმი“, მაგრამ ესეც სასიკეთოდ წაადგა ევროპას. ახალ ქვეყნებს ფული სჭირდებოდა. ლათინოსებმა გადაწყვიტეს ოქროსა და ვერცხლის საბადოების მოძიება, რათა იოლად გამდიდრებულიყვნენ. მდიდარი ინგლისელი ინვესტორები აღფრთოვანებულნი იყვნენ მათი გეგმებით და აქტიურად აბანდებდნენ ფულს მათ პროექტებში. პარალელურად ტექნოლოგიურმა რევოლუციამ საშუალება მისცა მრეწველებს ეწარმოებინათ ბევრად მეტი საქონელი, ვიდრე საჭირო იყო. საწყობები გადაივსო არალიკვიდური საქონლით – მოგვიანებით ამას უწოდეს „ჭარბწარმოების კრიზისი“. სამხრეთამერიკულმა კრედიტებმა და ინგლისურმა ჭარბწარმოებამ კრიზისის ნაპერწკალი გააჩინა. დაიწყო ინფლაცია, ინგლისის ბანკმა ამოწურა თავისი ოქროს სავალუტო რესურსი, საფონდო ბაზარი დაეცა – ლათინოამერიკელებმა ხომ თავიანთი ელდორადო ვერ აღმოაჩინეს, ასე რომ, ვალის დაბრუნება არ შეეძლოთ. 1825 წლის დეკემბერში მსოფლიო შეეჯახა პირველ საბანკო პანიკას. ყველაზე მეტად იზარალა ლათინურმა ამერიკამ – ყველა ახალგაზრდა ქვეყანამ გამოაცხადა დეფოლტი (უარი ვალდებულებების შესრულებაზე) სახელმწიფო სესხზე, ვინაიდან ერთმანეთისგან ვედარაფერს ისესხებდნენ.

როგორ გაართვეს თავი? ევროპაში რეცესია დაახლოებით ერთი წელი გრძელდებოდა: მისმა ჯანმრთელმა ეკონომიკამ მოახერხა ორიენტირება შიდა ბაზარზე, დაემშვიდობა რა ოცნებებს ელდორადოზე. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, მან უკან დაიხია ათწლეულობით – საბოლოოდ დეფოლტის შედეგებს მხოლოდ 1850 წელს გაუმკლავდა. ეს იყო ყველაზე გრძელი კრიზისი თანამედროვე კაპიტალის ისტორიაში. და ეს იმიტომ რომ ოქრო კი არ უნდა ეძებო, არამედ მეურნეობა უნდა განავითარო.

სარკინიგზო ბუმი: დაცემა ყოველწამს არის მოსალოდნელი. 1857 წელს აშშ აქტიურად ავითარებს სარკინიგზო ხაზს... რამ განაპირობა კრიზისი?..გაკოტრებამ საშინელ მასშტა-

ბებს მიაღწია. თითოეული ეკითხებოდა თავის თავს, რა ელოდა მომავალში. მრავალს ქონება გაუნადგურდა, ბევრს გაუნახვერდა, უწინ შეძლებული მრავალი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდა, მუშათა უმრავლესობა უმუშევრად დარჩა. ნაცნობი სურათია, არა? არადა ყველაფერი კარგად იწყებოდა. ჩრდილოეთ ამერიკას სამხრეთთან შედარებით ოქოსთან დაკავშირებით გაუმართლა. კალიფორნიაში მდიდარი საბადოების აღმოჩენამ აშშ-ში ეკონომიკური ბუმი გამოიწვია. მაგრამ კალიფორნია მაშინ ისე შორს იყო საქმიანი ცენტრებიდან, რომ ამერიკელებმა გამალებით იწყეს რკინიგზების მშენებლობა. 1857 წელს კი აშკარა გახდა, რომ რელსები და შპალები თავს ვერ აინახავდნენ. კრედიტების დაბრუნება კი არაფრით შეეძლო.

იტყვი, რა შუაშია აქ ევროპა? შტატებში ერთ-ერთი დარგი დაინგრა – ეს არის და ეს. მაგრამ საკრედიტო თანხა ზომ დირითადად ინგლისიდან – საყოველთაო მკვასზე დედაბრისგან – მოედინებოდა. ოკეანგაღმა გაკოტრებამ ცულის დარტყმაზე უარესად იმოქმედა. ვერ მიიღო რა „სარკინიგზო“ ფული, ათობით ბანკი ასეულობით ფილიალით განადგურდა: დაიწყო ნამდვილი ფინანსური აპოკალიფსი. მასობრივად იხურებოდა საწარმოები, ინგლისის ბანკმა რაღაც ერთ თვეში 5-ჯერ გაზარდა სააღრიცხვო განაკვეთი, მაგრამ ოქროს მარაგი მაინც ვერ იხსნა. დეკემბერში პანიკა მოედო კონტინენტს, მოგვიანებით კი კრიზისის ექო იგრძნობოდა მთელ მსოფლიოში – სახრეთ აფრიკიდან ჩინეთამდე.

როგორ გაართვეს თავი? ევროპა შედარებით სწრაფად გამოვიდა კრიზისიდან – 1825 წლის გამოცდილებით ბანკირებმა უკვე იცოდნენ, რომ საჭიროა მკვეთრად გაზარდო ფინანსური დისციპლინა და თავიდან მოიშორო საეჭვო „აქტივები“. ყველაზე მეტად გაუჭირდა აშშ-ის ჩრდილოეთს, რომელმაც არასაიმედო მსესხებლის რეპუტაცია შეიძინა. ფინანსური კრიზისის შედეგები იქ თითქმის სამოქალაქო ომამდე იგრძნობოდა. ქვეყნის აგრარულმა სამხრეთმა კი საერთოდ ვერაფერი იგრძნო: ბამბას სულ არ ენადვლებოდა რკინიგზის ხაზები, მისი დრო დიდი დეპრესიის დროს მოვიდოდა...

კრიზისი გერმანიას და აშშ-ში – იტანჯება ინგლისი. 1873 წელს აშშ გონს მოეგო სამოქალაქო ომისგან, გერმანიამ სულ ახლახან გასრისა საფრანგეთი და ზეიმობდა თავის გაერთიანებას...**რამ განაპირობა კრიზისი?**

მორიგი „თავბრუსხვევა წარმატებებისგან“ – ამჯერად სამხედროთა. ავსტრო-უნგრეთსა და გერმანიაში დაიწყო ბობოქარი აღმავლობა. პარიზიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს კარგად ეცხოვრათ – ახალ ფართო ბინებში. მათი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა სპეციალური ბანკები. რაღაც მომენტში ადამიანებმა უბრალოდ შეწყვიტეს გიჟური ფულის გადახდა სადღაც ბერლინის განაპირას მდებარე სახლებისთვის და 1873 წელს, „შავ პარასკევს“, ვენაში, საფონდო ბირჟაზე, კოტირება დაეცა. მაშინვე დაინგრა ამსტერდამის და ციურიხის ბაზრები. პანიკამ მოიცვა მთელი ევროპა. მაგრამ განა მართლ ევროპა?! შეშინებულმა გერმანულმა ბანკებმა მაშინვე უარი უთხრეს ტანჯულ ამერიკელ რკინიგზელებს კრედიტების გაგრძელებაზე. აშშ-ში უმუშევრობამ მალე 25-30%-ს

მიადწია, განსაკუთრებით დაზარალებულნი მეტალურგები. ეს კიდევ რაა – გაკოტრდა თვით ჯეი კუკი – წყნარი ოკეანის გაერთიანებული სარკინიგზო ხაზის ფინანსისტი და პრეზიდენტი. ასეთი საორთქმავლო სიურპრიზების შემდეგ გასაკვირი აღარაა, რომ სწორედ აშშ გახდა მასობრივი ავტომშენებლობის სამშობლო.

როგორ გაართვეს თავი? აშშ-ში ყველაფერი მარტივად გადაწყდა: კეთილმა ბანკირმა, ჯ.პ. მორგანმა 62 მლნ დოლარი ოქროთი მისცა ამერიკის ფინანსთა სამინისტროს, რამაც მას საშუალება მისცა გაესტუმრებინა ძირითადი ვალდებულებები. გერმანიას მოუხდა საკუთარი ამბიციების შეზღუდვა, რითაც საფრანგეთის და რუსეთის პოზიციები კვლავ გამტკიცდა. ყველაზე მეტად გაუჭირდა ბებრუზუნა-მევანზე ინგლისს, რომელიც ფულს უხდიდა როგორც გერმანიელ მშენებლებს, ისე ამერიკელ რკინიგზელებს. 23 გრძელი წელი დასჭირდათ მიაშიტ ინგლისელებს გონზე მოსასვლელად, ბრიტანეთის ისტორიაში კი ეს დრო შევიდა სახელწოდებით „ხანგრძლივი დეპრესია“.

პირველი სანედლეული კრიზისი: გამარჯობა, „რაშა“ (რუსეთო), ახალი საუკუნეა! 1900 წელი- ბებრუზუნა ევროპა და მასზე მიკედლებული რუსეთი. რამ განაპირობა კრიზისი? კვლავ გვიხდება იმის თქმა, რომ კრიზისამდე მიგვიყვანა აღმავლობამ – არნახულმა ეკონომიკურმა ზრდამ XIX საუკუნის ბოლოს. სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ნახშირის მსოფლიო მოპოვება გაიზარდა 65%-ით, თუჯის გამოდნობა – 70%-ზე მეტით, ფოლადის წარმოება – თითქმის 3-ჯერ! მხოლოდ არ იცოდნენ, ეს ყველაფერი სად წაეღოთ: წარმოება ვერ ეწეოდა. შედეგად ფასები ნედლეულზე შემცირდა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო, თან ბაზრის გიგანტებმა მოასწრეს დარტყმისთვის მომზადება – ისინი გაერთიანდა კარტელებად, რათა მოეხდინა ფასების რეგულირება. ფასების მკვეთრი ვარდნა და უმუშევრობის აფეთქება 1900-1903 წლებში იმის მაუწყებელი პირველი მერცხლები გახდნენ, რასაც შემდეგ უწოდეს „იმპერიულიზმი“. მსოფლიო მონოპოლიებმა დაიპყრო.

როგორ გაართვეს თავი? ამ კრიზისიდან მსოფლიო იხსნეს გამოგონებლებმა: ტექნიკურმა რევოლუციამ შეცვალა სოციალური. ახალი მეთოდები, ახალი გამოგონებები საჭიროებდა მსხვილ კაპიტალდაბანდებებს. უშველეს გენერლებმაც: საკმაოდ დიდი ხანი ევროპაში აღარ იყო საომარი მოქმედება, შეკვეთა „თავდაცვისთვის“ მუდმივად იზრდებოდა. საჭირო იყო ლითონი და ენერგომატარებლები. ასე გადაარჩინეს ნოვატორებმა და მილიტარისტებმა მენედლეულენი უფსკრულში გადაჩეხვისგან.

დიდი დეპრესია: როგორ შეირყა სამყარო. 1929-1933 წლების აშშ და დანარჩენი მსოფლიო. რამ მიგვიყვანა კრიზისამდე? არსებობს, სულ მცირე, 8 მოსაზრება ყველაზე ცნობილი ფინანსური კრიზისის მიზეზების შესახებ. უხეშად რომ ვთქვათ, ნაღდი ფულის უკმარისობა მიაწვა საბირჟო ბუმტს და 1929 წლის 24 ოქტომბერს ყველა ამერიკული აქციის კოტირება ჩაიფუშა („პანიკა უოლ-სტრიტზე“). ეს იყო ალბათ ყველაზე შავი ხუთშაბათი აშშ-ის ისტორიაში. ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ამერიკელმა აქციონერებმა დაკარგეს 15 მლრდ დოლარი, ორი თვის შემდეგ კი – 40 მლრდ დოლარი. არადა მაშინდელი დოლარი ბევრად ძლიერი იყო ახლანდელზე! წარმოებამ უკან დაიხია 30

წლით, უმუშევრობის დონე არნახული გახდა. 1931 წელს საბოლოოდ დაინგრა საერთაშორისო კრედიტორების ბაზარი. მესამე მსოფლიოს ქვეყნები წაშში აღმოჩნდა ფინანსური წყაროს გარეშე.

როგორ გაართვეს თავი? კრიზისის მთავარი შედეგი გახდა ეროვნული ვალუტების გამოშვებობა „ოქროს სტანდარტთან“ – მხოლოდ დოლარი რჩებოდა ფორმალურად მიბმული ოქროზე. ამერიკის ეკონომიკამ აღორძინება დაიწყო 1932 წელს, როცა პრეზიდენტად აირჩიეს ფ. რუზველტი – მისმა „ახალმა კურსმა“ გაამხნევა ამერიკელები და ისინი სისხარულით მისცვიდნენ გროშებზე გზების მშენებლობას (რა თქმა უნდა, საავტომობილოს) და დაიწყეს სხვა საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობა. სამხრეთელ ფერმერებს უხდინდნენ იმის გამო, რომ აღარ მოეყვანათ ბამბა, რომელიც სად წაეღოთ, უკვე აღარ იცოდნენ. ევროპული ქვეყნები იძულებული იყვნენ, მაგრად შემოეჭირათ ქაძრები და აერჩიათ უფრო მკაცრი ლიდერები. ასე მაგალითად, ახალმა გერმანელმა რაიხსკანცლერმა, მოკრძალებული ზომების მაჩომ, სწორედ იმ მომენტში მიიღო ხელისუფლება, როცა ევროპა კრიზისიდან გამოდიოდა, რის წყალობითაც მოახერხა მოხწვენებოდა ყველას „ერის მხსნელად“.

ნავთობის ემბარგო. 1973 წელი. მსოფლიოში ნავთობის ყველა მომხმარებელი.

რამ განაპირობა კრიზისი? 1973 წლის ოქტომბრის ომმა („სამსჯავრო დღის ომი“) ერთი მხრივ, ისრაელსა და ეგვიპტეს და მეორე მხრივ, სირიას შორის რატომღაც აღფრთოვანება არ გამოიწვია ნავთობის არაბ ექსპორტორებს შორის (ობეკის ქვეყნები). 1973 წლის 17 ოქტომბერს მათ უბრალოდ უარი განაცხადეს მიეწოდებინათ ენერგომატარებლები აშშ-ისთვის, რომელმაც მხარი დაუჭირა ისრაელს ამ კონფლიქტში – ასე ვთქვათ, შური იძიეს მასზე. ისრაელის სხვა მოკავშირეებისთვის ერთ საათში ფასები აწიეს 60%-ით, შემდეგ კი ორჯერ მეტად. ჯამში, ზრდამ 3 დოლარიდან 12 დოლარამდე მიადწია ბარელზე. დასავლეთი სრულიად არ მოელოდა ასეთ „არაადეკვატურ“ რეაქციას. საინტერესოა, რომ არაბულ ულტიმატუმამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკელები გაბრაზდნენ თავიანთ ნავთობმწარმოებლებზე – ვითომდა ხელოვნურად ზრდიან ფასებსო. ეს ბავშური ცელქობა იყო ობეკის განცხადებასთან შედარებით. დასავლეთში მკაცრი ეკონომიის დრო დადგა. ბევრი კომპანია გაკოტრდა, 15 მლნ ადამიანი უმუშევარი დარჩა, წარმოება დაეცა.

როგორ გაართვეს თავი? დასავლეთის დასახმარებლად გამოვიდა მსოფლიოში პირველი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, აგრეთვე ობეკში არმყოფი ირანი. სწორედ იმ შემოდგომით საბჭოთა კავშირმა პირველად გაუკეთა საკუთარ თავს ნავთობის ზემოკებების ინექცია. დასავლეთი კი პირველად ჩაფიქრდა სერიოზულად ენერგომომარაგებაზე. მთავრობებმა დაიწყეს ენერჯის ალტერნატიული წყაროების ძიების დაფინანსება – ატომიდან ნაკელამდე. ემბარგო მოიხსნა 1974 წელს, მაგრამ წარმოების ამაღლება დაიწყო ორიოდე წლის შემდეგ.

„აზიური კრიზისი“: როგორ გასკდნენ ვეფხვები. 1997 წელი. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, შემდეგ ყველგან. **რამ განაპირობა კრიზისი?** 1980-90-იან წლებში ვინ არ აღფრთოვანებულა „აზიური ვეფხვების“ წარმატებით.

რამდენიმე პატარა ქვეყანამ აჩვენა ფანტასტიკური ზრდის ტემპები: ისე ჩანდა, თითქოს ბოლოს და ბოლოს გამოიგონეს პროგრესის მუდმივი ძრავი. მაგრამ მსოფლიო ისეა მიწყობილი, რომ სადაც კი გვარიანად ვითარდება ეკონომიკა, მაშინვე იქ მიდიან ბატონი ინვესტორები ზემოკების ანგარიშით. ამ რიგში პირველები აღწევნ წარმატებას, მას მიჰყვებიან სხვები... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პირამიდა ინგრევა. ასე რომ, ტაილანდის უზარმაზარი საგარეო სესხი არ შეიძლება დაუსჯელი დარჩენილიყო. 1997 წლის ივნისში ტაილანდურმა ბატმა ორჯერ განიცადა დევალვაცია. მანამდე არხეინად მყოფი ბატონი ინვესტორები შემფოთდნენ და დაიწყეს თავიანთი ფულის გამოტანა რეგიონიდან. შედეგად უძლიერესი დარტყმა მიიღო ინდონეზიამ, მალაიზიამ, სამხრეთ კორეამ და რეგიონის სხვა ქვეყნებმა. აღმოჩნდა, რომ „ვეფხვების“ კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო სასესხო კაპიტალზე. მხოლოდ სინგაპურმა ტაივანთან ერთად მოახერხა დაეცვა თავიანთი ბაზრები მკვეთრი დაცემისგან. ნახევარ წელიწადში პლანეტამ დაკარგა 2 ტრლნ დოლარი, რომელიც წინდაუხედავად დააბანდა მსუნავი „ვეფხვის ყბებში“. აქციათა კოტირება შემცირდა მთელ მსოფლიოში.

როგორ გაართვეს თავი? თითქმის ყველა დაზარალებულ ქვეყანაში შეიცვალა მთავრობები, გამოცხადდა „ქაძრების შემოჭრის“ პოლიტიკა. საერთაშორისო საკალუტო ფონდი დაეხმარა „ვეფხვებს“ კრედიტებით. 1999 წლის დამდეგს აშკარა გახდა, რომ კრიზისი უკან დარჩა. აშშ-ში იბოთეკური ბაზრის ჩავარდნამდე რჩებოდა 9 წელზე მეტი...

როგორც ხედავთ, კრიზისი სულაც არაა სასიკვდილო. ასეთ რყევითა უმეტესობა 2-4 წელიწადში გადის, რომლის შემდეგაც კვლავ ღვება საყოველთაო კეთილდღეობა.

როგორ შეცვალოს დებრესია. 1929-33 წლების დიდმა დებრესიამ ისე შეაშინა ამერიკელი ეკონომისტები, რომ დაიფიცეს: ქვეყანაში მეტად აღარ იქნება დიდი დებრესია! ამისთვის გამოიგონეს ტერმინი „რეცესია“, რომლითაც სარგებლობდნენ ექპერტები ყველა შემდგომი კრიზისის დროს.

ევროს სერიოზული პრობლემები აქვს. და ახლანდელი კრიზისი? აი თითქოსდა დავინახეთ გვირახის ბოლოს სინათლე, რომ იფეთქა სამხრეთ ევროპამ: საბერძნეთის ფინანსურმა კრახმა დარტყმის ქვეშ დააყენა მთელი ევროზონა. ბერძნებს ხომ უნდა ვუშველოთ, ამისთვის კი საჭიროა მილიარდობით თანხის დახარჯვა დაბრუნების გარანტიის გარეშე. „როდესმე საბერძნეთი გაკოტრდება. მისგან შეიძლება დასნებოვანდნენ პორტუგალია და ესპანეთი, ყველა ამ ქვეყნის შველა კი ევროპას არ შეუძლია. ევროს მომავალი საკმაოდ სავალალოა“ – სკეპტიკურად განაცხადა ნ. ფერგიუსონმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა. „ევრო სუსტდება, – გვაფრთხილებს მეცნიერი, – მან ახლაც უკვე საკმაოდ დაიკლო დოლართან შედარებით“. ერთიანი ვალუტა ხომ უბიძგებს ძლიერ ქვეყნებს სუსტების დასაცავად. გადასახადების გადამხდლებს კი, ვთქვათ, გერმანიას რატომღაც არ სურს თავისი ევროს მიცემა ბერძნებისა და სხვებისთვის. მათ კარგად ახსოვთ, რომ გერმანული მარკების დროს ასეთი ქაოსი არ იყო. ასე რომ, გამორიცხული არაა ეროვნულ ვალუტაზე დაბრუნება კვლავ აქტუალური გახდეს.

*Shota Veshapidze
Nani Mamphoria*

**THE WORLD ECONOMIC CRISIS
DEVELOPMENT AND REDUCTION**

SUMMARY

In the article is discussed, as the first Keins proved that the cause of the crisis is an effective demand of chronic shortage. By the contrastof him, the classical theory of crises is considered as the result of interference in the market economy. Despite of the different origins of the plentiful crisis, the total crisis takes the central place. The first world economic crisis occurred in 1857. It was the most profound crisis between that crisis ocured before. Economic crises occurred in 1882, in 1890-93, in the years of 1900-1903, 1907th and 1920th. But the recession of 1929-1933 nothing compared. It lasted more than 4 years and covered the entire capitalist world.

The article concentrates on the historical experience of the crisis. Successful ways of overcoming this problem was: the economical orientation toward the domestic market, mainly to repay, its support with liquid assets, it required to increase financial discipline and to avoid the doubtful 'actives'. During the great depression, when in 1932 was elected the President of U.S. P. Ruzvelt, his new course encouraged Americans, and they were very happy to construct the roads (of course, the automobile), and began other public useful activities. In this way they overcame the great depression. They also overcome crises when the technical revolution has changed the social, new methods, new inventions which were used in a large capital investments, the government launched alternative energy

searching for funding – from atom till the droppings, all affected countries changed governments, declared 'the Hence' policies, the International Monetary Fund helped the 'Tiger' with credits.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამოცემა "სიახლე", თბ., 2010.
2. აქუბარდია თ. ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი. თბ., 2009.
3. გველესიანი მ. ეკონომიკური ციკლის საიდუმლო "კომენტარი", №3, 2004
4. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ. "კომენტარი" 2008.
5. ნაკაიძე გ., ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი. თბ.,2001.
6. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის გამოცემა. 2009.
7. Asatiani R. Dictionary of Business and Economics. The publication, «News», Tb. 2010.
8. Akubardia T. The financial and political component of economic crisis, Tb. 2009.
9. Gvelesiani M. Secret of the economic cycle, «comment», № 3, 2004
10. 4. Gvelesiani M. What is the economic policy? Tb. «Comment» in 2008.
11. Nakaidze G., Baratashvili E., Veshapidze Sh. Development economics and technological progress. Tb. 2001.
12. The 2008 crisis in Georgia: Background, reality, perspective. Independent Experts Club edition. 2009.